

67. 99(2Γ)7
374.4(479.22)
ჭ 236

კომენტარი მოამზადეს

ლადო ჭანტურიამ: წინათქმა, ზოგადი ნაწილი გარდა მეექვსე მუხლისა, კერძო ნაწილის მეორე, მესამე და მეოთხე თავები.

თაღო ნინიძემ: მეექვსე მუხლი, კერძო ნაწილის პირველი და მეხუთე თავები

© გამომცემლობა „სამართალი“, 2002

© ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, 2002

ISBN99940-703-0-4

მესამე გამოცემის წინათქმა

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მეორე გამოცემიდან ოთხი წელი გავიდა და ამ ხნის მანძილზე კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ჩამოყალიბდა უაღრესად საინტერესო სასამართლო პრაქტიკა, რამაც დღის წესრიგში დააყენა კომენტარის ახალი გამოცემის მომზადების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, კომენტარის წინა გამოცემისაგან განსხვავებით, წინამდებარე გამოცემაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკას. ამდენად, კანონის ნორმათა ინტერპრეტაციას სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებები და განმარტებები უდევს საფუძვლად, რითაც მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი თანდათანობით უახლოვდება აღიარებულ სტანდარტებს. მრავალ საკითხში სასამართლოები იზიარებენ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო გამოცდილებას, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ დასახვეწია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება საწარმოთა რეგისტრაციისას არსებულ ხარვეზებს, კრებათა ოქმების გაფორმების წესებს, უფლებამონაცვლეობის დადგენას და ა.შ.

1999 წლის ივნისში მრავალი ცვლილება შევიდა კანონის მეოთხე თავში სააქციო საზოგადოების შესახებ, რამაც მოითხოვა სააქციო საზოგადოებათა საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების ახლებური კომენტირება. ამიტომ, კომენტარის ეს ნაწილი თითქმის თავიდან დაიწერა. ამ თავის წაკითხვისას, სადაც ბევრი პრობლემა უფრო დაწვრილებით არის განხილული, ვიდრე კომენტარის ადრინდელ გამოცემებში, მკითხველი მრავალ სიახლეს გაეცნობა.

განვლილი წლების მანძილზე ნელ-ნელა იქმნებოდა ქართული იურიდიული ლიტერატურა საკორპორაციო სამართლის საკითხებზე. საბედნიეროდ, წინა გამოცემისაგან განსხვავებით, შესაძლებელი გახდა ქართული სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებაც, რამაც, ბუნებრივია, გაამდიდრა წინამდებარე კომენტარი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომების ავტორთა დიდი ნაწილი ნაკლებად იყენებს ან საერთოდ არ იყენებს ქართულ სასამართლო პრაქტიკას, არადა სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის გარეშე იურიდიული სამეცნიერო ნაშრომების დონე მუდამ დაბალი იქნება და

მათ ცოტა მომხმარებელი ეყოლება. იმედია, ქართველი იურისტები გაითვალისწინებენ ზემოაღნიშნულს და მომავალში თავიანთ მოღვაწეობას სასამართლო პრაქტიკის შესწავლასაც დაუკავშირებენ.

იმედს გამოვთქვამ, რომ ქართველი მკითხველი კვლავაც ინტერესით გაეცნობა მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის წინამდებარე გამოცემასაც, რომლის ავტორები სიამოვნებით მიიღებენ შენიშვნებსა და წინადადებებს, რაც აუცილებლად აისახება კომენტარის მომდევნო გამოცემებში.

ლადო ჭანტურია

თბილისი, 2002 წლის ივლისი

მეორე ხამოცემის წინათქმა

მეწარმეთა შესახებ კანონის მიღების შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა. მრავალი დისკუსიისა და ვნებათაღელვის მიუხედავად, რომელიც კანონმა იურისტებსა და მეწარმეებში გამოიწვია, იგი დაინერგა ცხოვრებაში. ასი ათასზე მეტი საწარმო დაფუძნდა ამ აქტის საფუძველზე. კანონი მეწარმეთა შესახებ სამეწარმეო საქმიანობის აუცილებელ სამართლებრივ ატრიბუტად იქცა.

როგორც კომენტარის პირველ გამოცემაში ვამბობდი, უხარვეზო კანონი არ არსებობს. ამას ყველაზე უფრო კანონის რეალური გამოყენება ადასტურებს. ამიტომ არაფერია უცნაური იმაში, რომ ზოგ ცხოვრებისეულ საკითხზე კანონი პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა. ამან სასამართლო პრაქტიკა ნორმების ახლებური ინტერპრეტაციის პრობლემის წინაშე დააყენა. ბევრ შემთხვევაში სასამართლოებმა ღირსეულად გაართვეს თავი ამ ამოცანას. ზოგ შემთხვევაში კი მათი ინტერპრეტაცია არც თუ ისე მართებული იყო. განსაკუთრებით აღენიშნავ ახალგაზრდა იურისტების როლს. უდავოდ მისასალმებელია მათი მონდომება კანონის ცალკეული ნორმების ორიგინალური ინტერპრეტაციის სფეროში.

კანონის ძალაში შესვლიდან განვლილმა დრომ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ახალი კომენტარის გამოცემა. ბევრ იმ საკითხზე, რომელიც კომენტარის პირველ გამოცემაში მხოლოდ სქემურად იყო განხილული, მეორე გამოცემაში შევეცადეთ უფრო დაწვრილებით გაგვეცა პასუხი. ამიტომაც არის მეორე გამოცემა უფრო ვრცელი, ვიდრე პირველი. მასში ახლებურადაა განხილული საწარმოთა დაფუძნებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები, განსაკუთრებით არაფულადი შესატანის საკითხები, საზოგადოებიდან გასვლისა და გარიცხვის ურთიერთობები, წილის გასხვისების თავისებურებები, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეორგანიზაციის საკითხები და ა.შ.

კომენტარს დარუკელი აქვს სამეწარმეო საზოგადოებათა წესდებების ნიმუშები, რაც პრაქტიკოს იურისტებს უეჭველად გაუწევს დახმარებას.

ლადო ჭანტურია

თბილისი 1998 წელი

პირველი გამოცემის წინათქმა

მწვავე დებატების შემდეგ, 1994 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“. საქართველოს ისტორიაში ესაა პირველი კანონი კერძო სამართალში, რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებას შეესაბამება და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შესრულებული. ეს ქართული სამართლის მონაპოვარი, ამავე დროს, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციის გაგრძელება და ხორცშესხმაა.

მეწარმეთა კანონის იდეა პირველად დაიბადა 1993 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე სამოქალაქო კოდექსის კოჩისიაში მუშაობისას. კერძოდ, კომერციულ იურიდიულ პირებზე დისკუსიის დროს გერმანელმა იურისტებმა (პროფესორი როლფ კნიპერი ბრემენიდან და ადვოკატი პარტმუტ ფრომი ფრანკფურტიდან) წამოაყენეს მოსაზრება ამ პირთა შესახებ ერთიანი კანონის შემუშავების თაობაზე. კანონი შეიქმნა ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგად. მან დღის წესრიგიდან მოხსნა სავაჭრო კოდექსის შემუშავების აუცილებლობა.

სავაჭრო კოდექსები წარმოიშვა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპაში. ამ ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვაჭრები (კომერსანტები) უდიდეს როლს თამაშობდნენ. ამიტომ მათი სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება კანონმდებლის მნიშვნელოვან ფუნქციად იქცა. სავაჭრო კოდექსები შეიქმნა ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ გერმანიაში. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. მათი სამართლებრივი მოწესრიგება სავაჭრო კოდექსებში შეუძლებელი იყო. ამიტომ წარმოიშვა ცალკე კანონების მიღები, აუცილებლობა. ასე შეიქმნა სააქციო კანონები და კანონები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ. ზოგჯერ ქვეყანამ ეს საზოგადოებები სამოქალაქო კოდექსებში გაერთიანა და იქ მოაწესრიგა (შვეიც

ცარია). ასეთივე მოწესრიგების მცდელობა იყო საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც.

მეოცე საუკუნის მანძილზე დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა შექმნილიყო ერთიანი ნორმატიული აქტი სავაჭრო საზოგადოებების მოწესრიგებისათვის. სასიხარულოა, რომ ეს გამოცდილება კონცენტრირებული სახით ქართულ კანონში გამოიხატა.

ჩვენში ამ კანონის მიღებამდე და მისი მიღების შემდეგ, ხშირად გაიგონებთ, თითქოს ეს არის გერმანული კანონი. ეს შენიშვნა არასწორია. მის მსგავს ერთიან აქტს ვერც გერმანიის კანონმდებლობაში ნახავთ, ვერც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყანაში. მეწარმეთა შესახებ კანონი არის ქართული კანონი. მასში გამოყენებულია იმ საზოგადოების ცოდნა და გამოცდილება, რომლის აშენება მიზნადაც დავისახეთ. ეს არის გერმანულ მეცნიერებთან თანამშრომლობაში შექმნილი ქართული კანონი, რომელიც ემყარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას, მის ძირითად პრინციპებს, რომელთაგანაც ზოგიერთს ორიათასწლიანი ისტორია აქვს და რომის სამართლიდან მომდინარეობს.

კანონის სახელწოდებაც ხანგრძლივი კამათის შედეგად შეირჩა. თავდაპირველად პროექტს ეწოდა „კანონი სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ“. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ინდივიდუალური მეწარმე არ წარმოადგენდა „საზოგადოებას“, მაგრამ იურიდიული ფიქციის დაშვების გზით პროექტის ავტორები ცდილობდნენ ეს ხარვეზი ამოევსოთ. ალტერნატიულ სახელწოდებად აირჩა „კანონი საწარმოთა შესახებ“. ამ დასახელებით წარედგინა იგი პარლამენტს, რომელმაც პირველი მოსმენით მიიღო კიდევ 1994 წლის ზაფხულში.

1999 წლის 15 ივლისს ქალაქ ბრემენში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიემდინა „პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში სამოქალაქო და სამეურნეო სამართლის რეფორმის“ პრობლემებს. ამ კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო აღნიშნულ კანონპროექტს. ერთიან კანონში სამეწარმეო საზოგადოებათა მოწესრიგების იდეა დადებითად იქნა შეფასებული. კამათის საგანი გახდა საწარმოს ცნების საკითხი. კერძოდ, საკითხი

შეეხო იმას, თუ რას წარმოადგენდა საწარმო. იყო იგი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი თუ სუბიექტი. მრავალი დისკუსიისა და კამათის შემდეგ ქართველი იურისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კანონს უნდა დაერქვას „მეწარმეთა შესახებ“. ამის მთავარი არგუმენტი (და ალბათ ყველაზე დამაჯერებელი) ის იყო, რომ კანონი აწესრიგებს სწორედ მეწარმეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და განსაზღვრავს მათ სტრუქტურას.

იყო სხვა წინადადებებიც. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ კანონს უნდა დარქმეოდა „მეწარმეობის შესახებ“, სხვები მიიჩნევდნენ, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“. ვფიქრობ, რომ ორივე ეს მოსაზრება საფუძვლიანად იქნა უარყოფილი და აი რატომ: პირველი, მეწარმეობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობები. ფაქტობრივად მეწარმეობის პროცესში გამოიყენება ყველა ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსშია გამტკიცებული, მეორე, მეწარმეობა, სამეურნეო საქმიანობა გულისხმობს ასევე საჯარო-სამართლებრივ (ე.ი. სახელმწიფო-სამართლებრივ და ა.შ.) ურთიერთობებსაც. მათი მაგალითია: ლიცენზიების გაცემა. საგადასახადო პოლიტიკა და ა.შ. კანონი კი მხოლოდ ამ ურთიერთობების ძონაწილე მეწარმეთა სამართლებრივი მდგომარეობით შემოიფარგლება. ამიტომ ვფიქრობ, რომ კანონის სახელწოდება სწორად-აა შერჩეული.

კანონის სიახლე შეიძლება რამდენიმე ასპექტით განვიხილოთ.

ჯერ ერთი, კანონშემოქმედების თვალსაზრისით ესაა პირველი კოდიფიცირებული აქტი, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. შეუქმნა მას ზოგადი ნაწილი, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, საერთოა ყველა სამეწარმეო სუბიექტისათვის.

მეორე, მეწარმეთა ურთიერთობის სფეროში წარმოშობილი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების ხარისხით იგი არის პირველი კანონი საქართველოში. 1991 წლიდან მოქმედებდა კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებზე შესახებ. რომელიც უფრო პოლი-

ტიკურ-საჯარო ხასიათის აქტი იყო, ვიდრე კერძო სამართლის კანონი. მასში გათვალისწინებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტაცია სამთავრობო დადგენილებებითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით ხდებოდა. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, რომელიც კანონის უზენაესობას აღიარებს, ამგვარი რამ მიუღებელია: მეწარმეთა სტატუსი კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და არა კანონქვემდებარე ლოკუმენტებით;

მესამე, ინვესტორები თავიანთი თავშეკავების მიზეზად საკანონმდებლო ბაზის უქონლობას თვლიდნენ. ამ კანონით ეს ხარვეზი შეივსო, თუმცა ზოგი პოლიტიკოსის აზრის საპირისპიროდ, კანონი არ უქმნის ვინმეს პრივილეგიას. შეხედულება უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ მცდარი მგონია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური საერთო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა.

სრულყოფილი და უნაკლო კანონი ჯერ, ალბათ, არავის შეუქმნია. ცხადია, რომ არც მეწარმეთა კანონია გამონაკლისი. ცხოვრება ბევრ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა ამ კანონში. დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა ამ ხარვეზებს შეავსებს. ასე იყო ეს თითქმის ორსაუკუნოვან ფრანგულ სამოქალაქო კოდექსთან, საუკუნოვან გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში.

მკითხველს რომ სწორი შეხედულება შეექმნას მეწარმეთა კანონის მნიშვნელობაზე, მოვიხმობ ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის, ამ კანონის ერთ-ერთი თანაავტორის როლფ კნიპერის წინასიტყვაობას კანონის იმ ტექსტისათვის, რომელიც ჯერ კიდევ პროექტის სახით არსებობდა.

„კონტინენტური ევროპის ტრადიციებს შეესატყვისება საწარმოთა, მომწესრიგებელი სამართლის თავმოყრა ერთიან კანონში. XIX სუკუნის კოდიფიკაციები, იმ დროს არსებული იურიდიულ-დოგმატური დაურწმუნებლობის გამო, დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა; ეს იყო იმჟამინდელი სავაჭრო საზოგადოებების იურიდიული ორგანიზაცია. ამგვარი ახალი ეკონომიკური ფუნქციების სამართ-

ლებრივი რეგულირების ტრადიცია მაშინ არ არსებობდა. ამის გამო, ამ სამეურნეო ფორმირებათა მოწესრიგებისას მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა პირებზე, როგორც სამართლის სუბიექტებზე და არა თვითონ ორგანიზაციებზე, მათ ეკონომიკურ მთლიანობაზე. ამ სუბიექტების მზარდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნილების უაღრესად გაფართოების შედეგად რამდენიმე ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში ერთიანი საკორპორაციო სამართალი რამდენიმე სპეციალურ კანონად დაიშალა. ასეთ საკანონმდებლო ტექნიკას ის დიდი ნაკლი აქვს, რომ იგი ხშირად ბუნდოვანია და არ იძლევა იმ მთლიანობის შექმნების შესაძლებლობას, რაც ყველა საწარმოსათვის საერთოა.

ამ თვალსაზრისით, კანონის ქართული პროექტი უფრო თანამედროვეა: იგი აღარ აყენებს წინა პლანზე საწარმოს, როგორც პირის (ე.ი. სამართლის სუბიექტის) დახასიათების გამო უკვე დაძლეულ დავას, არამედ გამოდის საწარმოს ეკონომიკური ფუნქციებიდან და მისი ორგანიზაციული ერთიანობიდან. ზოგად ნაწილში იგი ხაზს უსვამს მსგავსებას და ერთიანად აწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც ყველა სახის საწარმოსათვის ერთიანად უნდა მოქმედებდეს: წარმოშობა, რეგისტრაცია, სახელწოდება (ფირმა), ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, მათ შორის, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში მონაწილე დამხმარე პირთა მიერ, საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, საზოგადოების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა საზოგადოებებთან გაერთიანების, ფილიალების დაარსების, კონცერნების სხვადასხვა ფორმები. ზოგადი ნაწილი მთავრდება ნორმებით ხანდაზმულობისა და დოკუმენტაციით ფორმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილია ცალკეულ ფორმათა თავისებურებანიც, მთლიანად, იგი შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის საწარმოსათვის.

მეორე — კერძო ნაწილი ერთ კანონში მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ყველა სახელმწიფოს ეკონომიკაში გამოყენებულ სამეწარმეო საზოგადოებათა ხუთ ძირითად ფორმას. ამით კანონს უკვე აქვს დიდი უპირატესობა: საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკაში საწარმოთა შექმნის მსურველებს

ნათლად წარუდგინოს სხვადასხვა ფორმები, ცალკეულ საწარმოთა ფორმებისათვის, როგორცაა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაძლებლობის ფარგლებში, დაცულია ერთიანი სტრუქტურული სქემა იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც თითოეულ მათგანს ახასიათებს. საწარმოს დამფუძნებელს აქვს ნათელი და გასაგები არჩევანი იმ ფორმათა დასაარსებლად, რომლებიც მას თავისი მიზნებისათვის ყველაზე ხელსაყრელად მიაჩნია. საწარმოთა ნათელი და მკაცრად განსაზღვრული ტიპების მიხედვით, ქართული კანონის პროექტი უფრო თანამედროვეა, პრაქტიკულია და ითვალისწინებს სრულიად სხვადასხვა ინტერესებს. ამიტომ იგი შეიძლებადა ყოფილიყო საწარმოთა შესახებ კანონმდებლობის რეფორმის კარგი მაგალითი.

საბოლოო ჯამში, წარმოდგენილია მოდელები, რომლებიც არჩევის ფართო შესაძლებლობებს იძლევა როგორც მცირე, ასევე მსხვილი, როგორც ინდივიდუალური, ასევე კაპიტალური საზოგადოებების შესაქმნელად. აგრეთვე გვთავაზობს მრავალ შესაძლებლობას საწარმოთა სტრუქტურის შეცვლის შემთხვევებისათვის. რა თქმა უნდა, კანონი არ აქცევს ყურადღებას მეწარმის პიროვნებას, არამედ გამოდის საზოგადოებათა ორგანიზაციული ერთიანობის პრინციპიდან. ამიტომ მიუღებელია სუბიექტების დაყოფა ქართველ ან უცხოელ კერძო პირებად, ან სახელმწიფოდ. ამგვარად დაყოფა სამეწარმეო სამართალში არ უნდა არსებობდეს. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე ყველა პირი უნდა ემორჩილებოდეს ერთიან წესებს, ე.ი. პრიველეგიები არ უნდა არსებობდეს არც სახელმწიფოსათვის, არც უცხოელი ინვესტორებისათვის. ამგვარი პერსპექტივა, გამოცდილებების თანახმად, ერთი მხრივ, ყველაზე გამართლებული მეთოდია იმისათვის, რომ მოზიდულ იქნეს სეიარსებულ და ე.ი. გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციები და მეორე მხრივ, ეს არ ხდის აუცილებელს სახელმწიფო საწარმოების გადაჭარბებულ გაცემას კერძო საკუთრებაში, რომლის დროსაც ქონების განიკარგება ადვილი მოსალოდნელია. საბაზრო ეკონომიკა შეიძლება მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებდეს, როცა სახელმწიფოც

ერთ-ერთი პარტნიორია და სვიტონვე იცავს მოქმედ კანონებს“.

კანონი მეწარმეთა შესახებ ქართული მართლშეგნებისათვის მაინც ახალი ქმნილებაა. მასში განმტკიცებული ბევრი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის. მაგრამ შიში ახლის დანერგვის წინაშე არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი პროგრესისათვის. წინამდებარე კომენტარი მიზნად ისახავს ამ სიახლეთა განმარტებას, გაანალიზებას და მათი გამოყენების პრაქტიკულ ხელშეწყობას. იგი არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მკითხველისა და დაინტერესებული პირების ყოველ წინადადებასა და შენიშვნას. ეს უთუოდ წაადგება ხალხისა და ქვეყნის მომავალ საქმეს.

ლადო ჭანტურია

თბილისი, 1996 წ.

პირველი გამოცემის რედაქტორისაგან

აღიარებულ ქართველ ცივილისტებს ლაღო ჭანტურიასა და თედო ნინიძეს მეწარმეთა შესახებ კანონის მხოლოდ მზამზარეული ტექსტი არ აუღიათ მისი კომენტარებისათვის.

ისინი იყვნენ უაქტიურესი მონაწილენი ჩვენი ცხოვრებისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის გაჩარხვისა და საბოლოო დახვეწის ყველა ეტაპისა, მათ შორის საპარლამენტო განხილვის დროს. სწორედ ამიტომ, საკვლევი საკითხების ყველა მხრიდან დანახვა საშუალებას აძლევს მკითხველს სრულად აღიქვას ამ კანონის შუქჩრდილები.

კომენტარის ავტორები როდი კმაყოფილდებიან თავიანთი პირდაპირი მიზნებით: ნათლად წარმოაჩინონ ცალკეულ ნორმაში გამოხატული კანონის ნება, ამასთან ერთად ისინი, როცა ამის აუცილებლობას ხედავენ, გეთავაზობენ ისტორიულ-შედარებით სამართლებრივ ჭრილში საკითხების მიმოხილვას, რაც მხოლოდ აძლიერებს ამ კანონის სწორად გამოყენების გზას.

ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე ცდილობენ აჩვენონ ყველა შესაძლებელი განსხვავებული გადაწყვეტა, რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს მეწარმეთა გააქტიურებასა და ამით საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სიმდიდრის ზრდას.

მარჯვე მაგალითების მოშველიებითა და ტერმინოლოგიური სიახლეებით მკითხველი კომენტარში ბევრ საინტერესოს იპოვნის.

კომენტარი გამსჭვალულია იმის შეგნებით, რომ სამეწარმეო საქმიანობა მკაცრ წესრიგსა და უმაღლეს პასუხისმგებლობას გულისხმობს, რაშიც, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდნენ მეწარმეები, რადგანაც კანონის დაცვას მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია მათთვის, ვიდრე მის დარღვევას, ან გვერდის ავლას.

რასაკვირველია, სავალდებულო ძალა ოფიციალურ ტექსტს აქვს, მაგრამ სწორი კომენტარი მნიშვნელოვნად აუშჯობესებს კანონის შემეცნებისა და მისი მოქმედების ზუსტი ფარგლების განსაზღვრას.

წარმოდგენილი წიგნი პირველი მარჯვე ცდაა სამოქალაქო სა-

მართლაში ქართულ ენაზე ამგვარი კომენტარისა. დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნი სპეციალისტთა და მკითხველთა სამართლიანი შენიშვნების გათვალისწინებით მომავალში მრავალ გამოცემას გაუძღვება.

სერგო ჯორბენაძე

თბილისი, 1996 წელი

შინაარსი

მესამე გამოცემის წინათქმა.....	III
მეორე გამოცემის წინათქმა.....	V
პირველი გამოცემის წინათქმა.....	VI
პირველი გამოცემის რედაქტორისაგან.....	XIII
შინაარსი.....	XV

I. ზოგადი ნაწილი

<i>მუხლი 1. გამოყენების სფერო</i>	1
I. სამეწარმეო საქმიანობის ცნება.....	1
II. საქმიანობა, რომელიც არ მიიჩნევა სამეწარმეოდ.....	5
III. სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობათა გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა.....	7
IV. მეწარმეობის თავისუფლება და მისი ფარგლები.....	9
<i>მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი შორეობი. მათი დაფუძნება</i>	11
I. საწარმოს ცნება.....	12
II. ინდივიდუალური საწარმო.....	14
III. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	15
IV. კომანდიტური საზოგადოება.....	16
V. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.....	17
VI. სააქციო საზოგადოება.....	18
VII. კოოპერატივი.....	19
VIII. სახაზინო საწარმო.....	20
IX. პარტნიორის ცნება და პარტნიორთა სახეები.....	20
1. ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი.....	21
2. იურიდიული პირი, როგორც პარტნიორი.....	22
3. სახელმწიფო, როგორც პარტნიორი.....	23
X. საწარმოთა დაფუძნება.....	24
1. ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნება.....	26
2. სამეწარმეო საზოგადოებათა დაფუძნება.....	27
2.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება.....	27
2.2. კომანდიტური საზოგადოების დაფუძნება.....	28
2.3. შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის დაფუძნება.....	28
2.4. ნების გამოვლენა საწარმოთა დაფუძნებისას.....	30
XI. რეგისტრაციის ცნება.....	31
XII. რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები.....	32
XIII. იურიდიული პირის ცნება.....	33
<i>მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შინაგანი. ცვლილებები საფუნდამო კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები</i>	38
I. პასუხისმგებლობის ცნება და დახასიათება.....	41

II.	კრედიტორის ცნება.....	45
III.	შესამე პირის ცნება.....	46
IV.	შესატანის ცნება და სახეები.....	46
V.	არაფულადი შესატანის ცნება.....	47
VI.	შეტანაუნარიანი ობიექტები.....	48
	1. ნივთები.....	49
	2. მოთხოვნები.....	50
	3. სხვა უფლებები და ქონებრივი ფასეულობები.....	50
	4. ნივთებისა და უფლებების ერთობლიობა.....	52
	5. ობიექტები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულად შესატანად.....	52
VII.	არაფულადი შესატანების აღნიშვნა წესდებაში.....	53
VIII.	წესდების ნაკლის შედეგები.....	55
IX.	შესატანის შეცვლა.....	56
	1. ფულადი შესატანის შეცვლა არაფულადი შესატანით.....	56
	2. არაფულადი შესატანის ობიექტების გამოცვლა.....	57
	3. არაფულადი შესატანის შეცვლა ფულადით.....	57
X.	არაფულადი შესატანის შეფასება.....	57
XI.	საწესდებო კაპიტალის ცნება.....	59
XII.	საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების ქონება.....	61
XIII.	შესატანის დაბრუნება.....	62
XIV.	შესატანის შეუსრულებლობის შედეგები.....	64
XV.	შესატანის განხორციელების ვადები და ვადის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები.....	65
XVI.	პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის ცნება.....	68
	<i>მუხლი 4. საშვარამო რეესტრი</i>	70
I.	ცნება.....	70
II.	რეესტრის მნიშვნელობა.....	71
	<i>მუხლი 5. რეგისტრაციის აქტები</i>	73
I.	საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება.....	76
	1. უფლებამოსილი პირები.....	76
	2. ასსუხისმგებლობა რეგისტრაციისას არასწორი მონაცემების წარდგინისათვის.....	78
II.	რეგისტრაციისას სასამართლოს მიერ დამატებითი საბუთების მოთხოვნის უფლება.....	78
III.	ცვლილებების რეგისტრაცია.....	80
	1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა.....	80
	2. საწარმოთა ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შეცვლა.....	81
	3. პარტნიორების შეცვლა.....	82
	4. დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა.....	83
IV.	საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია.....	83
V.	პრიატიზებული საწარმოების რეგისტრაციის თავისებურებანი.....	85
	1. პირდაპირი მყიდვის წესით აკტიზებულ ობიექტთა საფუძველზე შექმნილ საწარმოთა რეგისტრაცია.....	85

2. აქციონირების გზით პრივატიზებულ საწარმოს რეგისტრაცია	86
VI. საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია	87
VII. რეგისტრაციის გაუქმება	87
VIII. რეგისტრაციის გაუქმების შედეგები	89
IX. რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფცია	90
X. რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია	91
პუხლი 5. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის პირობები	92
I. კანონის სიახლე	94
II. რეგისტრაციის ვადები და რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები	95
პუხლი 6. საფირმო სახელწოდება (ფირმა)	97
I. ფირმის ცნება და მნიშვნელობა	98
II. ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდება	98
III. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება	99
IV. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება	100
V. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის საფირმო სახელწოდება	101
VI. საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია	102
VII. საფირმო სახელწოდების გადასვლა საწარმოს შემქმენზე	103
პუხლი 7. რეგისტრის საჯაროობა	104
I. რეგისტრის საჯაროობის მნიშვნელობა	104
პუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში, სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმოებთან და კოოპერატივულ საწარმოებში სხვა საწარმოს შიგნით დროს	107
I. პასუხისმგებლობა უფლებამონაცვლეობისას	108
II. პასუხისმგებლობა ინდივიდუალური საწარმოს შექმნისას	108
III. მემკვიდრეების პასუხისმგებლობა ინდივიდუალური საწარმოს მიღებისას	110
IV. უფლებამონაცვლეობის დადგენა სასამართლო პრაქტიკაში	111
პუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. საქონლუბრატორი საბჭო	113
I. ხელმძღვანელობის მნიშვნელობა	115
II. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირები	116
III. საზოგადოების მართვის ორგანოები	117
1. საერთო კრება	117
2. სამეთვალყურეო საბჭო	117
3. დირექტორატი (დირექტორები)	118
IV. ხელმძღვანელობითი საქმიანობა	119
V. ხელმძღვანელობის ფორმა	120
VI. საზოგადოების ხელმძღვანელების უფლებამოსილებათა შეზღუდვა	121
VII. წარმომადგენლობა	121
VIII. კონკურენციის აკრძალვა	122

2. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი

IX.	საზოგადოების ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერი განხორციელების ვალდებულება.....	124
X.	მტკიცების ტვირთი.....	125
XI.	რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის დაუშვებლობა.....	125
XII.	საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველყოფა.....	126
XIII.	საკონსულტაციო საბჭო.....	126
XIV.	საზოგადოების შინაგანაწესი.....	127
XV.	კორპორაციული მართვის საკითხები.....	127
	1. ორსაფეხურიანი სისტემა (two-tier-System).....	128
	2. ერთსაფეხურიანი სისტემა (one-board sistem).....	129
<i>მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (აროკურა) და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება.....</i>		
	131	
I.	პროკურის ზოგადი მიმოხილვა და მნიშვნელობა.....	132
II.	პროკურის გაცემა.....	132
III.	პროკურის ფარგლები და მოცულობა.....	133
IV.	იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება (სავაჭრო მინდობილობა).....	135
V.	სავაჭრო მინდობილობის განსხვავება პროკურისაგან.....	136
VI.	პროკურისა და სავაჭრო მინდობილობის გაუქმება.....	137
<i>მუხლი 11. სავაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოვაჭრე. კომისიონერი.....</i>		
	138	
I.	ზოგადი მიმოხილვა.....	142
II.	ცნებები და დახასიათება.....	143
III.	სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მოვალეობები.....	146
	1. ანგარიშგების ვალდებულება (11.2 მუხლის პირველი აბზაცი).....	146
	2. კონკურენციის აკრძალვა (11.7 მუხლი).....	147
	3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისათვის (11.7 მუხლის მეორე აბზაცი).....	148
	4. კომპენსაციის გამოთვლის წესი.....	148
IV.	სავაჭრო წარმომადგენლის სხვა მოვალეობანი.....	148
V.	მარწმუნებელი საწარმოს მოვალეობები.....	150
	1. პროვიზიის გადახდის ვალდებულება (11.2 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 აბზაცი).....	150
	2. პროვიზიის (კომისიის) ცნება.....	150
	3. პროვიზიის სიდიდე და მისი გამოთვლის წესი (11.4 მუხლი).....	151
VI.	მარწმუნებელი საწარმოს სხვა ვალდებულებები.....	152
VII.	კომისიონერის პასუხისმგებლობა (11.5 მუხლი).....	153
VIII.	დელკრედერე ხელშეკრულება (11.6 მუხლი).....	154
IX.	ხელშეკრულების ვადა (11.8 მუხლი).....	154
X.	კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.....	155
XI.	კომპენსაციის მოთხოვნის დაუშვებლობა.....	155
<i>მუხლი 12. სავაჭრო გაკლერი.....</i>		
	157	
I.	ცნება და დახასიათება.....	159

II.	დასკვნითი აქტი (12.2 მუხლი)	160
III.	დასკვნითი აქტის დაუშვებლობა	161
IV.	მეორე მხარის დაუსახელებლობის შედეგები	162
V.	შუამავლობა გარიგებისას სინჯის აღების გზით (12.4 მუხლი)	162
VI.	სავაჭრო მაკლერის ანაზღაურება (12.5, 12.7 მუხლები)	163
VII.	სავაჭრო მაკლერის პასუხისმგებლობა (12.6 მუხლი)	163
VIII.	სავაჭრო მაკლერის დამატებითი ვალდებულებანი (12.8, 12.9 მუხლები)	164
	1. დღიურის წარმოების ვალდებულება	164
	2. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება	164
მუხლი 13. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშსწორება		
I.	კანონის სიახლე	167
II.	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპები	168
მუხლი 14. ხანგრძლივობა, ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით		
I.	საზოგადოების არსებობის ხანგრძლივობა	175
II.	საზოგადოების ლიკვიდაცია	176
	1. ლიკვიდაცია სპს-სა და კს-ში	176
	2. შპს-სა და სს-ის ლიკვიდაცია	177
	3. საზოგადოების ლიკვიდაცია გადახდისუნარობის გამო	178
	ა. გადახდისუნარობის ცნება	178
	ბ. გადახდისუნარობის შედეგები	179
	გ. გადახდისუნარობის ან ზღავალიანების განუცხადებლობის შედეგები ..	179
III.	საზოგადოების ლიკვიდაცია ლიკვიდატორების მიერ	180
	1. ლიკვიდატორების უფლება-მოვალეობანი	181
IV.	ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილების წესი	182
V.	საწარმოთა რეორგანიზაცია	184
	1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა)	185
	ა. ფორმის შეცვლა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) შიგნით	186
	ბ. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) გარდაქმნა კაპიტალურ საზოგადოებებად (შპს, სს, კოოპერატივი)	187
	გ. ფორმის შეცვლა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების შიგნით (შპს, სს, კოოპერატივი)	188
	დ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებების გარდაქმნა სპს-ად ან კს-ად ..	190
	ე. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის ყველა შემთხვევისათვის საერთო და სავალდებულო წესები	191
	2. საწარმოთა შერწყმა (14.5 მუხლი)	193
	3. საწარმოთა გაყოფა (14.6 მუხლი)	198
	ა. საწარმოს გაყოფის ფორმები	198
	ბ. ნატურით გაყოფის წინაპირობები	200
მუხლი 15. ხანდაზმულობა. სასაჩივრების ვადები		
I.	ხანდაზმულობის ცნება	204
II.	პრეტენზიის ცნება	204

<i>მუხლი 16. ფილიალები</i>	207
I. ცნება	207
II. ფილიალის რეგისტრაცია	210
III. საზღვარგარეთის საწარმოთა ფილიალების რეგისტრაცია საქართველოში	210
<i>მუხლი 17. საწარმოთა ურთიერთაკავშირი (კონცერნი)</i>	212
I. ცნება. კონცერნი, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა	213
II. კონცერნის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა	214
1. ზუთპროცენტიანი მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.2 მუხლი)	214
2. ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.3 მუხლი)	215
3. სამოცდათხუთმეტ პროცენტიანი მონაწილეობა (17.4 მუხლი)	216
III. კონცერნის შექმნის გზები	217
1. შეიღობილი საწარმოს ცნება	217
2. წილთა უმრავლესობის ცნება	218
3. სახელშეკრულებო კონცერნი	219
4. მმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა	219
IV. ორმხრივი წილობრივი მონაწილეობის აკრძალვა	220
1. ორმხრივი მონაწილეობის ცნება	220
<i>მუხლი 18. გამომყვამება და კონფიდენციალობა</i>	221
I. გამოქვეყნების ცნება და მნიშვნელობა	221
II. ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნება საეკლდებულა	222
III. კონფიდენციალობა (18.2 მუხლი)	223
<i>მუხლი 19. სხვა ფაზები: სანოტარო შორება, საქმიანი წერილის ბლანკის მონაცემები. მესაქარტების დანიშვნა</i>	224
I. სანოტარო ფორმის მნიშვნელობა	225
II. საქმიანი წერილის (ე.წ. ბლანკის) მონაცემები	226
III. დამოუკიდებელი ექსპერტის ცნება (19.3 მუხლი)	227

II. კერძო ნაწილი

თავი პირველი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

<i>მუხლი 20. ცნება</i>	228
I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი დახასიათება	228
II. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილეები	230
<i>მუხლი 21. აარტნიორის შებენიური მოთხოვნა</i>	231
<i>მუხლი 22. აარტნიორთა კრება</i>	233
<i>მუხლი 23. საზოგადოების ხელმძღვანელობა</i>	236
<i>მუხლი 24. აარტნიორის კონტროლის უფლება</i>	238

მუხლი 25. მოგება და ზარალი.....	238
მუხლი 26. მოგებისა და ზარალის ბანაწილება.....	239
მუხლი 27. ფულის გახარჯვა პარტნიორის მიერ.....	241
მუხლი 28. ლიკვიდაციის საფუძვლები.....	242
მუხლი 29. ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით.....	243
მუხლი 30. წილი კაპიტალის გასხვისება.....	244
მუხლი 31. ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა ან გაქობა.....	245
მუხლი 32. ურთიერთობანი საზოგადოებრივ პარტნიორის გასვლის შემდეგ.....	247
მუხლი 33. პარტნიორის ბარდაცვალება.....	249

თავი მეორე

კომანდიტური საზოგადოება

მუხლი 34. ცნება.....	252
I. ცნება და დახსიათება.....	252
მუხლი 35. კონსტრუქციის აკრძალვა.....	254
მუხლი 36. კომანდიტის კონტროლის უფლება.....	255
მუხლი 37. საზოგადოების ხელმძღვანელობა.....	256
მუხლი 37. საზოგადოების ხელმძღვანელობა.....	257
მუხლი 38. მოგება და ზარალი.....	258
მუხლი 39. მოგებისა და ზარალის ბანაწილება.....	259
მუხლი 40. კომანდიტის მიერ მოგების გამოყენება.....	260
მუხლი 41. კომანდიტის აკრძალვის გამოცდობა.....	261
მუხლი 42. აკრძალვის გამოცდობა კომანდიტად ღრმ.....	263
მუხლი 43. კომანდიტის წილის გასხვისება ან გამაჟივრებით გადაცემა.....	263

თავი მესამე

შეზღუდული აკრძალვის საზოგადოება

მუხლი 44. ცნება.....	264
I. ცნება, არსი და მნიშვნელობა.....	264
II. შპს-ის განსხვავება სააქციო საზოგადოებისაგან.....	265
მუხლი 45. საწესდებო კაპიტალი. შესატანები.....	267
I. საწესდებო კაპიტალის მნიშვნელობა შპს-ისთვის.....	267
II. შესატანის რეზერვის განსაზღვრა პარტნიორებისათვის.....	268

<i>მუხლი 46. პარტნიორის უშუაბა-მოვალეობანი</i>	269
I. ზოგადი დებულებები.....	270
II. წილის გასხვისება.....	271
1. წილის თავისუფალი გასხვისების უფლება.....	271
2. წილის გადაცემა მემკვიდრეობით.....	274
3. რამდენიმე წილის შეძენის უფლება.....	275
4. წილის ნაწილობრივი გასხვისება.....	275
5. წილის გასხვისების ფორმა.....	276
6. შეზღუდვები წილის გასხვისებისას.....	276
7. საკუთარი წილის შეძენის დაუშვებლობა.....	277
8. წილის გასხვისებასთან გათანაბრებული გარიგებანი.....	278
II. დამატებითი შესატანების გადახდა (46.7 მუხლი).....	278
III. პარტნიორის გასვლა შპს-დან.....	280
IV. პარტნიორის გარიცხვა შპს-დან.....	284
V. პარტნიორთა კრების მოწვევა (46.8 მუხლი).....	288
VI. კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე (46.9 და 46.10 მუხლები).....	289
1. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ინდივიდუალური კონ-ტროლი (ინფორმაციის მიღების უფლება).....	289
2. დირექტორის უარი.....	290
3. სასამართლოს უფლებამოსილება.....	290
<i>მუხლი 47. პარტნიორთა კრება</i>	291
I. ცნება.....	293
II. პარტნიორთა მორიგი და რიგგარეშე კრებები.....	293
1. პარტნიორთა მორიგი კრება.....	293
2. პარტნიორთა რიგგარეშე კრება.....	294
III. პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურა და კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა.....	294
IV. გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების მიერ.....	296
1. წესდების შეცვლა.....	296
2. საერთო კრების კომპეტენცია.....	296
3. გადაწყვეტილებათა მიღების დელეგირება დირექტორებისათვის.....	305
<i>მუხლი 48. სამეთვალყურეო საბჭო</i>	306
I. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის ორგანო.....	306
1. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის ფაქულტატიური ორგანო.....	306
2. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის საკუთარდებულო ორგანო.....	306
3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მომწესრიგებელი წესების გამოყენება შპს-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ.....	307
<i>მუხლი 49. დირექტორები</i>	308
<i>მუხლი 50. ფლიური შედეგები</i>	308

სააქციო საზოგადოება

მუხლი 51. ცნება. საზოგადოების აქციათა რეესტრი 310

I. სააქციო საზოგადოების ცნება და ზოგადი დახასიათება 311

II. აქციის ცნება 313

III. აქციაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი 317

IV. აქციათა გასხვისების წესი 320

 1. არასაჯარო (დახურული) სააქციო საზოგადოებების აქციათა გასხვისება 320

 2. საჯარო (ღია) სააქციო საზოგადოებების აქციათა გასხვისება 322

მუხლი 52. აქციათა სახეები. აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები 328

I. აქციათა სახეები და აქციათა კლასი 329

 1. აქციათა სახეები (52.1 მუხლი) 329

 2. აქციათა კლასი 330

II. საზოგადოების თანხმობა აქციების გასხვისებისას (ვინკულირებული აქციები) (52.3 მუხლი) 332

 1. აქციათა თავისუფალი გადაცემის პრინციპი და ვინკულირებული აქციის ცნება 332

 2. თანხმობის გაცემის პროცედურა და უარის პირობები 334

 3. საზოგადოების მიერ თანხმობის გაცემის ვალდებულება 335

 4. თანხმობისა და უარის სამართლებრივი შედეგები 335

III. აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები (52.4, 52.5 მუხლები) 336

IV. აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაცემა ნომინალურ თანხად (52.5 მუხლი) 337

მუხლი 53. აქციონერთა უფლებები და მოვალეობები 339

I. აქციონერის მოვალეობები (53.1 მუხლი) 341

 1. სააქციო შესატანის განუზოციელების მოვალეობა 341

 2. შესატანის განუზოციელებლობის შედეგები 343

 3. შესატანის გადახდისაგან აქციონერის გათავისუფლების დაუშვებლობა 344

 4. აქციონერის სხვა მოვალეობები 344

II. აქციონერის უფლებები 345

 1. ქონებრივი უფლებები 345

 2. საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებები 348

III. უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებები (53.3.2 და 53.3.3 მუხლები) 351

 1. კონტროლის უფლება 351

 2. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება 351

მუხლი 53'. საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა 353

I. ცნება და დახასიათება 354

1. წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც არსებითად ლაზავს აქციონერის უფლებებს	355
2. გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ	356
3. გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ მსხვილი გარიგებების დადების თაობაზე	357
II. აქციათა გამოსყიდვის პროცედურა	357
III. გამოსასყიდი აქციის ღირებულება	358
IV. გამოსასყიდი აქციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება	359
V. შეზღუდვები აქციის გამოსყიდვისას	359
1. აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების არარსებობა	360
2. აქციის გამოსყიდვის დაუშვებლობა	360
VI. აქციის გამოსყიდვის შედეგები	361
VII. განსაკუთრებული წესები ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის ..	361
მუხლი 54. საერთო კრება	362
I. საერთო კრების მოწვევის წესი	365
1. მორიგი საერთო კრება	366
2. რიგგარეშე საერთო კრება	366
3. კრების მოწვევის პროცედურა	367
4. კრების მუშაობაში მონაწილეობის წესი	370
5. საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა	371
6. კრების თავმჯდომარეობა და საერთო კრების ოქმი	372
II. საერთო კრების კომპეტენცია	373
1. აუდიტორი	384
2. სპეციალური კონტროლიორი	385
მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო	390
I. სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაციისა და მუშაობის ზოგადი მიმოხილვა	393
1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (55.1 მუხლი)	393
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა (55.2 მუხლი)	395
3. უფლებამოსილების შეწყვეტა ვადაძღვე	396
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად საზოგადოების დირექტორების არჩევის დაუშვებლობა	399
5. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია	399
4. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაუნარიანობა (55.7 მუხლი)	403
5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების წარმართვა და გადაწყვეტილებების მიღება	404
6. კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგები	404
II. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებები და მოვალეობანი. პასუხისმგებლობა	406
III. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია	409
1. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა (55.8 მუხლი)	409

	2. საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას..	412
	3. თანხმობის გაუცემლობის შედეგები.....	421
მუხლი 56. ღირებუტორები 422		
I.	ღირებუტორატის ცნება და მისი ზოგადი დახასიათება.....	423
	1. ღირებუტორატი, როგორც სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანო.....	423
	2. ღირებუტორების დანიშვნა.....	424
	3. ღირებუტორების გამოწვევა (გათავისუფლება).....	427
	4. სასამსახურო ხელშეკრულება ღირებუტორებთან.....	429
II.	ღირებუტორების კომპეტენცია.....	431
	1. ხელმძღვანელობა.....	431
	2. წარმომადგენლობა.....	432
	ა. არასასამართლო წარმომადგენლობა.....	432
	ბ. სასამართლო წარმომადგენლობა.....	433
	გ. წარმომადგენლობა ღირებუტორთა სიმრავლისას.....	433
II.	ღირებუტორების მოვალეობა.....	434
	1. ანგარიშების შედგენის მოვალეობა.....	435
	2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.....	435
III.	საზოგადოების კრედიტორთა უფლებები.....	436
მუხლი 57. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება.		
	მოგების მოვლის ვალდებულება	437
I.	წლიური ანგარიშის შედგენა და დამტკიცება.....	437
II.	ქონების შენარჩუნების (მოვლის) ვალდებულება.....	438
მუხლი 58. რევიზია 441		
I.	აუდიტორის დანიშვნის წესი.....	441
II.	რევიზიის ცნება და საგანი.....	443
III.	შემოწმების აქტის შინაარსი.....	444
IV.	აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	444
მუხლი 59. კაპიტალის შიგნით ღონისძიებები. კაპიტალის		
	გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან	445
I.	კაპიტალის შექმნის ცნება და მნიშვნელობა.....	446
	1. საწესდებო კაპიტალის რეგულარული (ჩვეულებრივი) გაზრდა.....	446
	2. კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფორმით (59.2 მუხლი).....	448
	3. კაპიტალის გაზრდა პირობითი კაპიტალის ფორმით.....	450
II.	კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან (59.6 მუხლი) ...	451
III.	ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება (59.7 მუხლი) ...	451

თავი მეხუთე

კოოპერატივი

მუხლი 60. ცნება 453		
I.	კოოპერატივის ცნება და საქმიანობის პრინციპები.....	454

II. კოოპერატივის სახეები.....	455
III. კოოპერატივის წევრი.....	455
IV. კოოპერატივის პასუხისმგებლობა (60.3 მუხლი).....	455
მუხლი 61. აკი. კოოპერატივში გაწევრიანება.....	456
მუხლი 62. წევრის გასვლა კოოპერატივიდან.....	458
მუხლი 63. სამართო კრება.....	465
I. საერთო კრება როგორც კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანო ..	468
მუხლი 64. წარმომადგენელთა კრება.....	473
I. წარმომადგენელთა კრების ცნება და კომპეტენცია (64.1 მუხლი)	474
მუხლი 65. სამეთვალყურეო საბჭო.....	476
I. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და კომპეტენცია.....	477
მუხლი 66. გამგეობა. დირექტორები.....	479
I. დირექტორების უფლებამოსილებანი (66.1 მუხლი).....	479
მუხლი 67. ფლიური ანგარიში.....	480
მუხლი 68. მოგებიანა და ზარალის ბანაწილება.....	480

თავი მეთექვსე

გარდაამალი დებულებანი

მუხლი 69. აქტივთა რეგისტრის წარმოება.....	482
მუხლი 70. სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია.....	482
მუხლი 71. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის გადასახდელი.....	483
დანართი 1.....	484
დანართი 2.....	504

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე....	507
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.....	510
სამეწარმეო საზოგადოებათა წესდებების ნიმუშები.....	513
ლიტერატურა.....	546
კომენტარში გამოყენებული შემოკლებანი.....	554

I. ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. გამოცენების სფერო

1.1. ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

1.2. სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა); სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997 წ., №1-2 (33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97 წ.)

I. სამეწარმეო საქმიანობის ცნება

1.1 მუხლი განსაზღვრავს კანონის მოქმედების სფეროს. კანონი არ არეგულირებს მთლიანად სამეწარმეო საქმიანობას ან მასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობას. იგი შემოიფარგლება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით.

სამეწარმეო საქმიანობა არის საქმიანობა, მაგრამ არა ყოველგვარი აქტიური მოქმედება ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად. 1.1 მუხლის მეორე წინადადებაში ჩამოყალიბებულია ის აუცილებელი ნიშნები, რომელთა არსებობისას შეიძლება საქმიანობა ჩაითვალოს მეწარმეობად.

საქმიანობა უნდა იყოს მართლზომიერი. იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი საქმიანობა, რომელიც ან პირდაპირ არის აკრძალული კანონით (მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა,

შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი და ა.შ.) ან ასეთი საქმიანობისათვის საჭიროა სახელმწიფოს ნებართვა (წიაღისეული მადნების მოპოვება, გასაღება და ა.შ.).

არამართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს ასევე საქმიანობა, რომელიც თუმცა არ არის კანონით პირდაპირ აკრძალული, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება არაეთიკურად, ამორალურად იქნეს მიჩნეული და ამ საფუძველით ჩაითვალოს არამართლზომიერად. ამის მაგალითი სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან არსებობს. მაგალითად, ოცდაათიანი წლების გერმანიის სასამართლოები ბორღელის მშენებლობას ამორალურ საქმიანობად მიიჩნევდნენ და ამ მოტივით ეს საქმიანობა არამართლზომიერად ითვლებოდა. საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში მსგავსი გადაწყვეტილების პრეცედენტი ჯერ არ არსებობს.

მეწარმეობა უნდა ატარებდეს არაერთჯერადი საქმიანობის ხასიათს. ეს ნიშნავს, რომ მოქმედებები უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად და გეგმაზომიერად. ცხადია, რომ სამეწარმეო საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებულია, ე.წ. კომერციულ რისკთან. ამიტომ, შესაძლოა, მეწარმეს პირველმა გარიგებამ დიდი ზარალი მოუტანოს და ამის გამო, მან გარკვეული ვადით შეწყვიტოს აქტიური საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია პირის განზრახვა, რომ მას სურდა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

არაერთჯერადობა ნიშნავს ასევე ანალოგიური, მსგავსი საქმეების წარმართვის განზრახვას. იგი არ გულისხმობს საქმიანობას განუსაზღვრელი ვადით. ეს არ არის აუცილებელი. მოკლევადიანი საქმიანობაც შეიძლება დაკვალიფიცირდეს მეწარმეობად (კერძოდ, სეზონური მუშაობა) და პირიქით, მრავალჯერადი, ოღონდ სხვადასხვა ხასიათის მოქმედებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამეწარმეო საქმიანობას.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოქმედების მხოლოდ გარეგნულ, ფორმალურ ასპექტს, იმას, რომ მოქმედება მხოლოდ ერთხელ განხორციელდა, ხოლო, რაც შეეხება თვით ამ მოქმედების შინაარსს, იგი უყურადღებოდ დატოვა. მაგალითად, სასამართლომ 1996 წლის 25 აგვისტოს

დადგენილებით¹ საზღვარგარეთიდან საქართველოში 2379 ცალი საბურავის შემოტანა არ ჩათვალა სამეწარმეო საქმიანობის მიზნით განხორციელებულ ქმედებად. ამასთან, მოსამართლემ არასწორად მიუთითა მეწარმეთა შესახებ კანონის 1.1 მუხლსა და კანონის კომენტარების მე-3-4 გვერდებზე. როდესაც პირს ერთდროულად შემოაქვს 2379 საბურავი, აშკარაა, რომ მას პირადი მოთხოვნილებებისათვის საბურავების ასეთი დიდი რაოდენობა არ სჭირდება. ამიტომ, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ამ ოპერაციის განხორციელების დროს მოგების მიღების მიზანი არ ფიგურირებდა. გარდა ამისა, არსებობდა საქართველოს პარლამენტის დადგენილება², რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ერთჯერად 100 კილოგრამზე მეტი წონის ტვირთის ან ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით შემოტანა განიხილება, როგორც საქონლის კომერციული მიზნით შემოტანა და დაიბეგრება საერთო რეჟიმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რა თქმა უნდა, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ეს აქტიც და ისე მიეცა შეფასება ზემოაღნიშნული მოქმედებისათვის.

ამგვარად, მრავალჯერადობის განსაზღვრისას გადამწყვეტია არა მხოლოდ მოქმედებათა რაოდენობა, არამედ ამ მოქმედებათა განმხორციელებლების განზრახვა მოგებაზე ორიენტირებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

ესა თუ ის საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, იგი ხორციელდებოდეს მოგების მიღების მიზნით. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია მოგების მიღების სურვილი. ფაქტობრივად და რეალურად მიიღო თუ არა მეწარმემ მოგება, პრაქტიკულ როლს არ თამაშობს. ამასთან, არ არის აუცილებელი, საწარმოთა წესდებაში ჩაიწეროს, რომ საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენს სამეწარმეო პრაქტიკაში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, მაშ საიდან უნდა ჩანდეს, რომ პირის საქმიანობა მიზნად ისახავს მოგების მიღებას? ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. მოგების მიღების პრეზუმფცია. როცა პირი საკუთარი მოწყობის ფორმად ირჩევს ამ კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ორგა-

¹ საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 აგვისტოს დადგენილება.

² საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის №273-II-ს დადგენილება.

ნიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ივარაუდება, რომ მისი საქმიანობა მიმართულია მოგების მისაღებად მიუხედავად იმისა, რეალურად ნახავს თუ არა იგი მოგებას.

რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ დამფუძნებელ დოკუმენტებში უნდა განისაზღვროს საქმიანობის სფერო და საგანი. მაგალითად, ეროვნული ბანკი არ არის მოგების მიღების მიზნით შექმნილი დაწესებულება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი უფასოდ უნდა თანამშრომლობდეს კომერციულ ბანკებთან. ამიტომ, სახელმწიფო დაწესებულებების შემთხვევაში სახელმწიფოს სპეციალური აქტით³ უნდა განისაზღვროს საქმიანობის მიზანი. ასეთი აქტი არ არის აუცილებელი, როცა სახელმწიფო პარტნიორის სახით მონაწილეობს სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის, ან სხვა სამეწარმეო საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიმართაც გამოიყენება მოგების მიღების პრეზუმფციის პრინციპი.

დამოუკიდებლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას განასხვავებს სხვა სახის საქმიანობისაგან. უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია სამართლებრივ დამოუკიდებლობაზე. ეკონომიკურად თითქმის ყველა საწარმო რამდენადმე დამოკიდებულია სხვებზე. სამართლებრივი დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ მეწარმე თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე. ასევე, თვითონ იღებს ამ საქმიანობიდან წარმოშობილ რისკსაც, რაც განასხვავებს ინდივიდუალურ მეწარმეს შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირისაგან.

მეწარმე თვითონ ქმნის თავისი საწარმოს მმართველობის ორგანოებს. ამასთან, დამოუკიდებლობის განსაზღვრისათვის არ არის გადამწყვეტი, მეწარმე გამოდის საკუთარი თუ სხვისი სახელით.

საქმიანობის განხორციელება ორგანიზებულად რამდენიმე ასპექტს გულისხმობს.

პირველი – მეწარმე მოწყობილი უნდა იყოს 2.1 მუხლში გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

მეორე – მეწარმეებს უნდა ჰქონდეთ მმართველობის ორგანოები,

³ ამ შემთხვევაში კანონით „ეროვნული ბანკის შესახებ“.

პყავდეთ დირექტორები და ა.შ., რაც საგარეო ურთიერთობებში უნდა იძლეოდეს იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ ვისთან აქვს ურთიერთობა მესამე პირს;

მესამე – ყველა ეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში.

II. საქმიანობა, რომელიც არ მიიჩნევა სამეწარმეოდ

შეიძლება საქმიანობა გარეგნული ნიშნებით შეესაბამებოდეს 1.1 მუხლში გათვალისწინებულ პირობებს, მაგრამ იგი არ მიიჩნევა სამეწარმეო საქმიანობად. კანონმა გაითვალისწინა ტრადიცია, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა და სამეწარმეო საქმიანობად არ ჩათვალა ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (პირველ რიგში, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.⁴

პირველ რიგში აქ ლაპარაკია ე.წ. თავისუფალ პროფესიებზე, რომლებიც დასავლეთის თითქმის არც ერთ ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება. თავისუფალი პროფესიების განხილვისას, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება პირთა პირადი მოღვაწეობა მაშინ, როცა სამეწარმეო საქმიანობა უპირველესად გულისხმობს კაპიტალის ჩადებასა და სხვისი შრომის მაქსიმალურ გამოყენებას.

1.2 მუხლში ჩამოთვლილ საქმიანობათაგან სახელოვნებო და სამეცნიერო შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს სამეწარმეო საქმიანობად. მწერალი, რომელიც რომანს წერს, მოქანდაკე, რომელიც ქანდაკებას ძერწავს, მეცნიერი, რომელიც ახალ აღმოჩენებს აკეთებს, შეუძლებელია მივიჩნიოთ მეწარმედ. ასევე გამორიცხულია შექსპირის, მიქელანჯელოს ან აინშტაინის წარმოდგენა მეწარმედ. არავის მოუვა აზრად, რომ კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის ან ზაქარია ფალიაშვილის ქმნ. ლეები სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიიჩნიოს.

საქმიანობათა მეორე ჯგუფს (სამედიცინო, არქიტექტურული, საად-

⁴ Schmidt, Karsten. Handelsrecht. 5. Aufl. 1999. S.282 f.

ვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, სასოფლო-სამეურნეო, ან სატყეო-სამეურნეო) გარეგნულად შეიძლება ჰქონდეს მეწარმეობის პრეტენზია. ამ სფეროების წარმომადგენლებს, მწერლებისა და მეცნიერებისაგან განსხვავებით, უფრო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება უხდებათ, მაგრამ იმის გამო, რომ აქ მათი პირადი შრომა და ღვაწლია წინ წამოწეული და განმსაზღვრელი, არც ამ პირთა საქმიანობა მიიჩნევა მეწარმეობად. საკონსულტაციო, მათ შორის საგადასახადო კონსულტანტების საქმიანობაც არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად. ეს შეხედულება კანონმა 1996 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით პირდაპირ განამტკიცა.⁵

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც გლეხობის პირადი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული საქმიანობა. ისტორიულად მეწარმეობა ვაჭრობის განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავდაპირველი წარმოებისაგან იგი ყოველთვის განსხვავდებოდა. ამის გამო მას სამეწარმეო საქმიანობად არ აღიარებენ.⁶ ქართულმა კანონმა ეს შეხედულება გაიზიარა და სასოფლო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაუქვემდებარა მეწარმეთა შესახებ კანონის მოქმედებას. მიუხედავად ამისა, კანონი უშვებს გამონაკლისს: სასოფლო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდნენ 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია კი სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად არის დასაქმებული მფლობელის (იგულისხმება გლეხის) ოჯახის არაწევრი ზუთი პირი მაინც.⁷

1.2 მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისები ვრცელდება ფიზიკურ პირებზე. რაც შეეხება იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობას, იგი ითვლება მეწარმეობად და მათ მიმართ გამოიყენე-

⁵ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1997 წლის 5 იანვარი.

⁶ Schmidt, Karsten, Handelsrecht, 5. Aufl. S.313 f.

⁷ ეს წესი განსხვავდება ვერმანიის სავაჭრო კოდექსით განსაზღვრული წესისაგან, რომლის თანახმად, სასოფლო და სატყეო-სამეურნეო საწარმოების რეგისტრაცია ფაკულტატურია. გლეხს ან მეტყვევს უფლება აქვთ გატარდნენ რეგისტრაციაში და ამით საკუთარი თავი მიაკუთვნონ მეწარმეთა კატეგორიას (§3 HGB).

ბა ეს კანონი. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს აუდიტორული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან საადვოკატო მომსახურების კომანდიტური საზოგადოება. მაგრამ პირი, რომელიც ეწევა საადვოკატო ან აუდიტორულ საქმიანობას, არ არის მეწარმე.

III. სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობათა გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა

სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობათა გამიჯვნას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ აღსანიშნავია ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების ორგანიზაციული მოწყობის ასპექტი და საგადასახადო პოლიტიკის სფერო.

პირველი შეეხება იმას, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები უნდა გამოიყენონ ამა თუ იმ საქმიანობაში დაინტერესებულმა პირებმა. მაგალითად, სამედიცინო საქმიანობა (ექიმობა) არ არის სამეწარმეო საქმიანობა. ამიტომ ექიმს თავისი საქმიანობისათვის არ მოეთხოვება მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული წესით რეგისტრაცია და საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებობა. ეს არ გამორიცხავს, რომ სამედიცინო დაწესებულება არსებობდეს სამეწარმეო საზოგადოების ფორმით (შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკის ცენტრი“, შპს „სტომატოლოგი“ და ა.შ.). ამ დროს სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, მაგრამ არა იქ დასაქმებული ექიმების ან სხვა სამედიცინო პერსონალის საქმიანობა.

პრაქტიკაში უფრო რთულდება საკითხი, როცა ექიმები ან სამედიცინო განათლების მქონე სხვა პირები ინდივიდუალურ მეწარმეებად ფორმდებიან და ისე ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ასეთი შემთხვევები? სამედიცინო საქმიანობა არ არის მეწარმეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმს ან მოეთხოვება მეწარმედ რეგისტრაცია. მისი სამართლებრივი სტატუსი სხვა ნორმატიული აქტებით განისაზღვრება (კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ჯანდაცვის სფეროში განათლების ძომწესრიგებელი აქტები და ა.შ.), ანუ, ექიმების სტატუსის განსაზღვრა უფრო მეტად საჯარო სამართლის სფეროს

განეკუთვნება, ე.ი. საქმიანობის ლიცენზირების სფეროს. როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა პირი აკმაყოფილებს სამედიცინო პერსონალისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ალებული აქვს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია, მაგრამ სურს დაფუძნდეს ინდივიდუალურ მეწარმედ ან სხვა სამეწარმეო საზოგადოებად. კანონი ამას არ კრძალავს. მას შეუძლია მეწარმედ გაფორმდეს, თუმცა მასზე გავრცელდება ის გადასახადები, რასაც მეწარმეები იხდიან. აქ აუცილებელია ერთი შენიშვნის გაკეთება: არასამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებლები მხოლოდ მაშინ შეიძლება დარეგისტრირდნენ მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, როცა ეს კანონით აკრძალული არ არის. მაგალითად, ნოტარიუსებს არა აქვთ უფლება ჩამოყალიბდნენ მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ამას კრძალავს კანონი ნოტარიატის შესახებ.⁸

მეორე საკითხი, რომელიც უკავშირდება სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობათა გამიჯვნის პრობლემას, შეეხება საგადასახადო სამართალს, კერძოდ, იმას, თუ რომელი გადასახადები უნდა გადაიხადონ არასამეწარმეო საქმიანობის მონაწილეებმა. ეს პრობლემა აქტუალური გახდა იმასთან დაკავშირებით, რომ არასამეწარმეო საქმიანობის მონაწილეები (მაგალითად, ნოტარიუსები) საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ისევე იბეგრებიან, როგორც მეწარმეები. ამან საზოგადოებაში ბევრი დისკუსია გამოიწვია. ძირითადი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: თუ ნოტარიუსები არ არიან მეწარმეები, რატომ იხდიან ისინი იმავე სახის გადასახადს, როგორსაც მეწარმეები?

უდავოა, რომ სანოტარო საქმიანობა არ არის მეწარმეობა, სამეწარმეო საქმიანობა. ეს პირდაპირ გამომდინარეობს როგორც მეწარმეთა შესახებ კანონიდან, ისე კანონიდან ნოტარიატის შესახებ. მაგრამ, თუ როგორ უნდა დაიბეგროს ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე, არის საგადასახადო პოლიტიკის სფერო. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს უფლება აქვს გადასახადების თვალსაზრისით მეწარმე და არამეწარმე პირი დაბეგრის ერთ სამართლებრივ რეჟიმში მოაქციოს. სხვა საკითხია, თუ რამდენად მიზანშეწონილია ეს ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით.

⁸ პარლამენტის უწყებანი, №12, 31.05.96.

IV. მეწარმეობის თავისუფლება და მისი ფარგლები

საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, მეწარმეთა შესახებ კანონი და სხვა კანონები განამტკიცებენ სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილეებს „შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“ (სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი).

ზოგადი წესის მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას არ სჭირდება რაიმე ნებართვა. ნებართვები ლიცენზიების ან თანხმობების სხვაგვარი ფორმით, რომლებიც არსებობს სამეწარმეო საქმიანობაში, გამონაკლისია ზოგადი წესიდან. თუმცა, ეს გამონაკლისი ხშირად მეწარმეობის თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება. განსაკუთრებით ეს ეხება ლიცენზირებას.⁹ ამიტომ კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ლიცენზირებადი და სანებართვო საქმიანობის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილების შეტანის, მათი მოქმედების შეჩერებისა და განახლების და მათი გაუქმების წესებს (მუხლი 1, ნაწილი 1).

რას არ აწესრიგებს კანონი მეწარმეთა შესახებ?

ხშირად ამ კანონს მეწარმეობის კანონს უწოდებენ. ეს არასწორია. მეწარმეობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამ კანონით მოწესრიგე-

⁹ ამით იყო გამოწვეული, რომ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა საქართველო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონის მიღება. კანონმა განამტკიცა ამომწურავი ჩამონათვალი საქმიანობათა იმ სახეებისა, რომელთათვისაც აუცილებელია სახელმწიფოს ნებართვა (ლიცენზია). საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მიიღო კიდევ კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ (სსმ, I, №18 (25), 1999 წ. მუხ. 70). 2002 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ (სსმ, I, №15, 2002 წ. მუხ. 61).

ბუკლი ურთიერთობა. ფართო გაგებით მეწარმეობა გულისხმობს ყველა იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამოყენებას (ნასყიდობა, ნარდობა, სესხი, გაცვლა და ა.შ.), რომლებიც ვალდებულებით სამართალშია განმტკიცებული. უეჭველია, ამ ურთიერთობებს ეს კანონი ვერ მოაწესრიგებს.

საჯარო სამართალში მეწარმეობა გულისხმობს ლიცენზიების გაცემას, მეწარმეთა საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას, სხვადასხვა ხასიათის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების დაწესებას და ა.შ. ბუნებრივია, ვერც ამ ურთიერთობებს მოაწესრიგებს მეწარმეთა შესახებ კანონი.

მეწარმეობა წარმოუდგენელია საგადასახადო სამართლის გარეშე. გადასახადები მეწარმეებზე სახელმწიფო ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა. არც ამ ურთიერთობების მოწესრიგება შეადგენს მეწარმეთა შესახებ კანონის მიზანს, მაგრამ იგი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საგადასახადო სამართლისთვის.

**მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი
ფორმები. მათი დაფუძნება**

2.1. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

2.2. ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით.

2.3. ამოღებულია

(სსმ I, 1999 №6(13) მუხ.23, ამოქმედდა 05.03.99 წ.)

2.4. საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997 წ., №1-2 (33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97 წ.; „საქართველოს რესპუბლიკა“ №172, 1998 წ. 10 ივლისი, ამოქმედდა 01.08.98 წ.)

2.5. საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით ვათვალისწინებულ უკლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

(სსმ I, 1999, №6(13), მუხ.23, ამოქმედდა 05.03.99)

თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

2.6. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, მეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

(სსმ I, 1999, №6(13), მუხ.23, ამოქმედდა 05.03.99)

ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი.

2.7. საზოგადოების წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საზოგადოების დაფუძნებისას წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების დამფუძნებელი მონაწილენი – დამფუძნებელი პარტნიორები, ხოლო წესდებაში ცვლილებების შეტანისას წესდებაზე პარტნიორთა ხელმოწერა არ მოითხოვება. ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის შექმნისათვის საჭირო დოკუმენტები უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-5 მუხლში მოცემულ სარეგისტრაციო პირობებს. საზოგადოების წესდება შეიძლება შეიცავდეს დამატებით წესებს მხოლოდ მაშინ, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან/და თუ ეს წესები არ ცვლის სამეწარმეო საზოგადოებათა ფორმების შესახებ კანონით განსაზღვრულ დებულებებს.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ.110, ამოქმედდა 01.09.99)

I. საწარმოს ცნება

საწარმოს ცნება კანონის ერთ-ერთი ფუძემდებლური ცნებაა. კანონის სახელწოდებასთან დაკავშირებული ბევრი დისკუსია უმთავრესად ამ ცნებით იყო განპირობებული. რა არის საწარმო? არის იგი სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი თუ ობიექტი. ერთი შეხედვით ეს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის საკითხია და პრაქტიკულ ცხოვრებაში არ თამაშობს რაიმე გადაწყვეტ როლს. თუმცა საპარლამენტო დისკუსიების დროს მან აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კანონის პროექტის ერთ-ერთ ვარიანტში წარმოდგენილი იყო საწარმო, როგორც ურთიერთობის სუბიექტი, მეორეში – როგორც ობიექტი. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, კანონმა სწორი კონცეფცია აირჩია. *საწარმო არის პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა*. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც, გარდა ამისა, მას განეუთვნება არამატერიალური ფასეულობანი. საწარმოს ცნება მოიცავს

*მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.
მათი დაფუძნება*

ასევე მატერიალურ ფასეულობებს (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, საქონელი, ფული და ა.შ.), აგრეთვე ვალდებულებებს.

საწარმო არ არის მეწარმის იდენტური. თუმცა, კანონი მას სამართლის სუბიექტადაც მიიჩნევს (2.5 მუხლი). იმავდროულად საწარმო არც სამართლის დამოუკიდებელი ობიექტია¹. ლიტერატურაში არსებობს მოსაზრებაც, რომლის თანახმად საწარმო არის ობიექტი. რომლის მატარებელი სუბიექტები არიან როგორც ფიზიკური პირები (ინდივიდუალური მეწარმე), ისე იურიდიული პირები (სამეწარმეო საზოგადოებები).² ვფიქრობ, უფრო სწორია შეხედულება, რომლის თანახმად, საწარმო ურთიერთობებში გამოდის როგორც პირთა, ნივთებისა და უფლებების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გასხვისდეს, იჯარით გაიცეს და ა.შ.

საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნიკერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტიც. ამ გაგებით გამოიყენება მეწარმეთა შესახებ კანონში საწარმოს ცნება. თუმცა ეს არ გამოირიცხავს სამართლის სხვა დარგებში საწარმოს განსხვავებული ცნების არსებობას, მაგალითად, შრომის, საგადასახადო, საფინანსო და ა.შ. სამართალში.

კანონი განამტკიცებს საწარმოთა ექვს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას კანონი მიმართავს “numerus clausus”-ის პრინციპს: *სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რე აღემატება კანონითაა გათვალისწინებულს*. მეწარმეთა შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ არ იცნობდა ამ პრინციპს. მართალია, იგი მე-11 მუხლში განამტკიცებდა

¹ Brox, Hans, Allgemeiner Teil des BGB, 15. Aufl. S.331.

² Schmidt, Karsten, Handelsrecht, 5. Aufl. S.88 f.

საწარმოთა ათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ შესაძლებელი იყო სხვა ფორმის საწარმოების არსებობაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას³. ამ ათი ფორმიდან ოთხი ხელოვნურად იყო შეტანილი კანონში და უფრო „განმანათლებელი ნორმის“ სახეს ატარებდა.⁴

ახლა განვიხილოთ 2.1 მუხლში გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

II. ინდივიდუალური საწარმო

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა. *ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი.* ამ შემთხვევაში მეწარმე გამოდის, როგორც ფიზიკური პირი, საკუთარი სახელით (2.2 მუხლი). ფიზიკური პირის არა ყოველგვარი საქმიანობა ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად და, აქედან გამომდინარე, მისი არა ყოველი აქტიურობა მიიღებს საწარმოს ფორმას. მაგალითად, საკუთარი ან სხვისი მანქანის გამოყენება ტაქსად ან ტვირთის გადასაზიდ საშუალებად არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად, თუ ამ მანქანის გამოყენებელს არა აქვს „სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე“ (2.2 მუხლი). ეს გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური პირი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო

³ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი (საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. №7, მუხ. 483).

⁴ კერძოდ, ეს შეეხება ერთი პირის საწარმოს, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს. ამ ფორმით მათი განმტკიცება კანონში არაკორექტული იყო. მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამოქალაქო სამართლისათვის ისეთივე პირია, როგორც ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამიტომ მას თავისუფლად შეუძლია დააარსოს იურიდიულ პირთათვის ნებადართული ნებისმიერი ფორმის სამეწარმეო საზოგადოება (კს, შპს და ა.შ.). რაც შეეხება ერთი პირის საწარმოს, იგი კანონის მიხედვით იყო შპს-ს ნაირსახეობა, თუმცა პრაქტიკაში მან დამახინჯებული ფორმა შეიძინა, რამეთუ ერთ პირს არ ჰქონდა შპს-ს დაარსების უფლება. მის მიერ დაარსებულ საწარმოს აუცილებლად ერთი პირის საწარმო უნდა რქმეოდა. მეწარმეებს შესაძლებელი გაუზარდა ეს ხარვეზი და ერთ პირს მისცა შპს-სა და სს-ის დაარსების უფლება ისე, რომ ამ შემთხვევაში არ არის საკალდებულო მითითება იმაზე, რომ ეს არის ერთი პირის საწარმო.

რეესტრში⁵. ამისათვის საკმარისია გვარისა და სახელის ჩაწერა და აღნიშვნა, რომ პირი არის ინდივიდუალური მეწარმე, მას უნდა ჰქონდეს სათანადო საბუღალტრო ჩანაწერები.

პრაქტიკაში დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა ინდივიდუალური საწარმო იყოს მსხვილი საწარმო და მისი მფლობელი სარგებლობდეს იმავე უფლებით, რითაც სხვა სამეწარმეო იურიდიული პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი, იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც სამეწარმეო იურიდიულ პირებს აქვთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს დიდი სამრეწველო ქარხნების მესაკუთრე ან სხვა სამეწარმეო საზოგადოებებში წილთა მესაკუთრე და სხვა.

III. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სპს ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სავაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი: გერმანიაში მას ეწოდება Offene Handelsgesellschaft და მისი სამართლებრივი მდგომარეობა განმტკიცებულია გერმანიის სავაჭრო კოდექსში. საფრანგეთში ამ საზოგადოების სახელწოდებაა Societe en nom collectif და მოწესრიგებულია სავაჭრო კოდექსითა და 1966 წლის 24 ივლისის კანონით სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ. ინგლისის 1890 წლის კანონი ამხანაგობათა შესახებ ამ საზოგადოებებს უწოდებს Partnership-ს, რუსეთის კანონმდებლობა კი მას იცნობს Полное хозяйственное товарищество-ს სახელით⁶ ვფიქრობ, რომ მეწარმეთა შესახებ კანონმა, დასახელებით ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სამართლისაგან, სწორი

⁵ 2001 წლის 1 ივნისიდან ინდივიდუალური მეწარმეების რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო (სსმ, I, №10, მუხ. 36).

⁶ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონმა გაიმორა რუსული სახელწოდება და აღნიშნულ საზოგადოებას უწოდა სრული სამეურნეო ამხანაგობა. მისი სამართლებრივი მდგომარეობა განმტკიცებული იყო ზოგადი სახით სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონის მე-13 მუხლში და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

სახელწოდება შეარჩია. განმსაზღვრელი ამ ჩიპის საზოგადოებებში არის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე. ამიტომ შინაარსის ძირითადი ელემენტი სამართლიანად იქნა ასახული საზოგადოების დასახელებაში.

კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით.⁷

IV. კომანდიტური საზოგადოება

ეს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. გერმანიის სავაჭრო კოდექსი მას იცნობს Kommanditgesellschaft-ის სახელით ფრანგული სამართალი მას უწოდებს societe en commandite-ს, ინგლისის 1907 წლის კანონით მას ჰქვია Limited partnership.⁸ კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო ობიექტის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები).⁹

⁷ დაწერილებით იხილეთ მე-20 მუხლის კომენტარში,

⁸ რუსული კანონმდებლობის გაეცნით სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონმა გაითვალისწინა შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა (მუხლები 11, 14), თუმცა, დეტალური სამართლებრივი მოწესრიგება ქართულ სამართალში მას მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებამდე არ ჰქონია.

⁹ დაწერილებით იხილეთ 34-ე მუხლის კომენტარში.

V. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს-ს, როგორც მეწარმეთა ორგანიზაციის ფორმას, არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც მაგალითად, სპს-ს, კს-ს ან სს-ს. იგი პირველად შეიქმნა 1892 წელს გერმანული კანონმდებლობის მიერ ისე, რომ ისტორიული ანალოგი ან წინამორბედი არ ჰყოლია. შპს-ების წარმოშობა ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი, ეს იყო სააქციო საზოგადოებათა დაარსების რთული პროცედურის შეცვლა უფრო ლიბერალურით, მეორე იყო პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პირთა გაერთიანების ისეთი ფორმები, როგორიცაა სპს ან კს, ბევრი უარს ამბობდა "თში მონაწილეობაზე" კინაიდან არ სურდათ მთელი პირადი ქონება ყოფილიყო კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის ობიექტი. ამანაც განსაზღვრა შპს-ის დამკვიდრება სავაჭრო სამართალში¹⁰.

გერმანელების მიერ შექმნილი სამეწარმეო საზოგადოების ეს ფორმა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ასი წლის იუბილევ კი გადაუხადეს, თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად თვლიან შპს-ების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების უფრო მეტ დისპოზიციურობას სააქციო საზოგადოებებთან შედარებით¹¹. ფრანგულ სამართალში მას ეწოდება *societe a responsabilite limitee*. შპს-ის პირდაპირი ანალოგი ინგლისურ სამართალში არ არსებობს. ამიტომ მას ხშირად ადარებენ ე.წ. კერძო კომპანიებს – *private company, corporation*¹², ამერიკულ სამართალში მას ასევე უწოდებენ *limited liability company (LLC)*.¹³

კანონის 44-ე მუხლში განმტკიცებულია შპს-ს ლეგალური დეფინიცია: *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება,*

¹⁰ Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz. 15. Aufl. München 1988, S. 1-3; დაწერილობით ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად აწილში, თბ. 1997წ. გვ. 295.

¹¹ Гражданское и торговое право капиталистических государств часть 1. М. 1983 с.191.

¹² იქვე, გვ. 196. ამერიკული სამართლის გავლენით დღეს ზოგიერთ ქვეყანა ამ ცნებას იყენებს იმ სააქციო საზოგადოებათა აღსანიშნავად, რომელთა აქციები არ არის გატანილი ბირჟებზე გ-საყიდად – დახურული ტიპის საზოგადოება. რეალურად ის, რასაც ამერიკულ სამართალში დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებას ეძახიან, კონტინენტური ეკროპის სამართალში არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

¹³ შპს-თა სამართლებრივი სტატუსი საქართველოში პირველად განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონში (მე-11 და მე-15 მუხლები.)

რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.¹⁴

VI. სააქციო საზოგადოება

დასავლეთის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, მსხვილი სამრეწველო და კომერციული საზოგადოებებია. მსოფლიოში ცნობილი ფირმები, როგორცაა ფორდი, ჯენერალ-მოტორსი და ა.შ. არსებობენ სააქციო საზოგადოებების ფორმით.

სააქციო საზოგადოება არის ახალი ეპოქის, კოლონიალიზმისა და სამრეწველო რევოლუციის პირმშო. შპს-საგან განსხვავებით ის არ არის კანონმდებლობის ხელოვნური ქმნილება. სააქციო კანონმდებლობა მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შექმნისა და განვითარების შედეგად წარმოიშვა¹⁵. სააქციო საქმე ეკონომიკური ცხოვრების ხანგრძლივი განვითარების შედეგია. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ ხალხს ერთ დღეს წარედგინა მზა მოდელი — ნიმუში სააქციო საზოგადოებებისა. ამის გამო მეცნიერებაში დღესაც სადავოა საკითხი, თუ რომელი იყო პირველი სააქციო საზოგადოება. თუმცა, უმეტესობა პირველ სააქციო საზოგადოებათა წინამორბედად მიიჩნევს St. Georgbank-ს გენუაში და “Ambrosiasbank”-ს მილანში (XV საუკუნე), რომელთათვისაც უკვე დამახასიათებელი იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვა და წილთა გადაცემის შესაძლებლობა. სააქციო საზოგადოებების ადრეულ ფორმებად მიიჩნევენ სავაჭრო კომპანიებს (1600 წლიდან), კერძოდ, ბრიტანულ-აღმოსავლეთ-ინდურ და ჰოლანდიურ-აღმოსავლეთ-ინდურ სავაჭრო კომპანიებს, მაგრამ თანამედროვე სააქციო საზოგადოებები გაჩნდა მხოლოდ XVIII საუკუნეში და უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთში. არსებობს მოსაზრება, რომ, თუ არა სააქციო საზოგადოებები, სამთო საწარმოები, სამრეწველო ორგანიზაციები და, პირველ რიგში რკინიგზა ვერასდროს ვერ გადავიდოდნენ კერძო საფუძველზე¹⁶.

¹⁴ დაწვრილებით იხილეთ 44-ე მუხლის კომენტარში.

¹⁵ დაწვრილებით სააქციო საზოგადოებათა წარმოშობის ისტორია იხილეთ: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს ს.მოქალაქე სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 280-294.

¹⁶ Karsten Schmidt, Gesellschaftrecht, 1986 S. 580-581.

დასავლეთის ქვეყნების სამართალი განამტკიცებს სააქციო საზოგადოებებს, როგორც სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. ფრანგულ სამართალში მას ეწოდება *societe anonyme*, გერმანულში – *Aktiengesellschaft*, ინგლისურ სამართალში – *Corporation* და ისინი მოქმედებენ როგორც კერძო კაპიტალისტური, ასევე სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოების სახით.¹⁷

მეწარმეთა შესახებ კანონი სააქციო საზოგადოებას ერთ-ერთ ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51.1 მუხლში განამტკიცებს მის ლეგალურ დეფინიციას: *სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად*¹⁸ (დაწვრილებით 51-ე მუხლის კომენტარი).

VII. კოოპერატივი

ისტორიულად კოოპერატივები XIX საუკუნეში წარმოიშვნენ. ისინი კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გაჩნდნენ ევროპაში. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. იყო წევრთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 18-4 წლებში), გერმანიაში რაიფაიზენის კოოპერატივი (1871 წ.) და ა.შ.

კოოპერატივის ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 60.1 მუხლში: *კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.*

¹⁷ პოსტკომუნისტურ საქართველოს სამართალში პირველად სააქციო საზოგადოების ცნება შემოვიდა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მიღებით შემდგომ მთავრობის დადგენილებით განმტკიცდა სააქციო საზოგადოებათა სამართლებრივი მდგომარეობა. თუმცა, სრულყოფილად იგი მაინც არ იყო მოწესრიგებული.

¹⁸ სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110.

VIII. სახაზინო საწარმო

1999 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები მეწარმეთა შესახებ კანონში¹⁹. ამ ცვლილებების საფუძველზე გაუქმდა სახაზინო საწარმოები, როგორც საწარმოთა სპეციფიკური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

საწარმოთა ეს ფორმა, რომელიც 1994 წელს საპარლამენტო დისკუსიების შედეგად წარმოიშვა, გათვალისწინებული იყო გარდამავალი პერიოდისათვის. კანონის ძალაში შესვლიდან 1996 წლამდე 2000-ზე მეტი სახაზინო საწარმო შეიქმნა საქართველოში. ვინაიდან სახაზინო საწარმოს ვალებისათვის პასუხს აგებდა სახელმწიფო, თითოეული ასეთი საწარმოს შექმნით გარკვეული ფინანსური რისკის ქვეშ ექცეოდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

19 თებერვლის კანონის საფუძველზე ყველა სახაზინო საწარმო დაექვემდებარა სავალდებულო რეორგანიზაციას შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებებად, რაც 1999 წლის 1 სექტემბრისათვის სრულად განხორციელდა.

IX. პარტნიორის ცნება და პარტნიორობა სახეები

პარტნიორი, ამ კანონის თანახმად, არის ერთ-ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ. „პარტნიორი“ არის კრებისითი სახელწოდება იმ პირებისა, რომლებიც შეიძლება იყვნენ საზოგადოების დამფუძნებლები ან მოგვიანებით შემოვიდნენ საზოგადოებაში.

„პარტნიორი“ არის იმ პირის აღმნიშვნელი ცნება, რომელიც შესაბამის საზოგადოებებში იწოდება კომპლემენტარად (კს), კომანდიტად (კს), აქციონერად (სს), მეპაიედ (კოოპ). ამ გაგებით აღნიშნული ცნება მეწარმეთა შესახებ კანონმა პირველად შემოიღო²⁰.

¹⁹ სსმ I, 1999წ. №6, მუხ. 23.

²⁰ კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ პარტნიორს იყენებდა მხოლოდ მოქალაქეთა გაერთიანებებისა და კოლექტიური მეწარმეების აღსანიშნავად (მუხლი მე-2, მე-2 აბზაცი). სხვა შემთხვევაში კანონი განამტკიცებდა საზოგადოების წევრის ცნებას (მუხლი 13, 14 და ა.შ.).

პარტნიორის ვინაობა და მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში უნდა განისაზღვროს საზოგადოების წესდებით. პარტნიორად ყოფნა არ შეიძლება მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდეს. პირი პარტნიორად უნდა იყოს აღნიშნული წესდებაში და რეგისტრირებული სასამართლოში.²¹

ვინ შეიძლება იყოს პარტნიორი? ზოგადად პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1. ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი

აღრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კანონი არ ყოფს ფიზიკურ პირებს – მოქალაქეებად ან არამოქალაქეებად, უცხოელებად ან არაუცხოელებად. კანონის კონცეფციაა, რომ **პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად მოქალაქეობისა, სქესისა, კანის ფერისა, ასაკისა და ა.შ.** ეს კანონის უეჭველად დიდი მიღწევაა, ვინაიდან იგი გათავისუფლდა იმ უაზრო ნახევრადპოლიტიკური დეფინიციებისაგან, რომლებიც უხვად იყო აღრე მოქმედ კანონმდებლობაში.²²

ამრიგად, **პარტნიორი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქეც და მოქალაქეობის არმქონე პირიც და მას რაიმე სპეციალური ნებართვის აღება ამისათვის არ სჭირდება.** ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს უცხოურ ინვესტიციებს და უზრუნველყოს ისეთივე თანაბარი სასტარტო სამართლებრივი პირობების შექმნა, როგორიც ქართველ მეწარმეებს აქვთ.

პარტნიორი შეიძლება იყოს, ასევე, არასრულწლოვანი პირიც. სრული ქმედუნარიანობის დადგომამდე მისი უფლება-მოვალეობები განხორციელდება წარმომადგენლების მიერ. პარტნიორი, პირველ რიგში, გამოხატავს მესაკუთრის მონაწილეობას სამეწარმეო საზოგადოებაში, ამიტომ ასაკი აქ განმსაზღვრელი არ არის. სულ სხვაგვარადაა დირექტორად

²¹ სუს გადაწყვეტილება გუმბერიძის საქმეზე, 2001 წლის 25 მაისი (საქმე №3/375-01).

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ეს პრინციპი კიდევ უფრო ნათლად განამტკიცა. კერძოდ, მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების პირების მიმართ.

(ე.ი. მმართველად, მენეჯერად) არჩევის საკითხი. აქ სრულ კმედუნარიანობასთან ერთად სხვა პირობებიც უნდა არსებობდეს.

2. იურიდიული პირი, როგორც პარტნიორი

სამეწარმეო საზოგადოებათა პარტნიორი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც.²³ ამ ზოგადი პრინციპის მიმართ კანონი გარკვეულ გამონაკლისებებს ითვალისწინებს, რომლებიც საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თავისებურებებით აიხსნება: იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სპს-ის პარტნიორი და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი). სხვა შეზღუდვებს მეწარმეთა შესახებ კანონი არ იცნობს.

თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების (სპს, კს, შპს, სს, კოოპ.) პარტნიორად ყოფნის საკითხი უდავოა და არაეითარ ეჭვს არ იწვევს, პრობლემები შეიძლება წარმოიშვას არაკომერციული იურიდიული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების პარტნიორობასთან დაკავშირებით. შესაძლებელია თუ არა სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს შპს-ის პარტნიორი ან სს-ის აქციონერი? აქვს თუ არა უფლება სკოლას, პარტნიორად გამოვიდეს სამეწარმეო საზოგადოებაში? სახელმწიფო უნივერსიტეტიც და სკოლაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნებიან და ამ უკანასკნელთა რაოდენობა, ცხადია, მხოლოდ სკოლებით და უნივერსიტეტებით არ შემოიფარგლება. თანამედროვე ქართულ სამართალში ყველა იურიდიული პირი, რომელიც არ არსებობს სპს-ს, კს-ს, შპს-ს, სს-ს, კოოპერატივის, კავშირის ან ფონდის სახით, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ამიტომ, აქტუალობა საკითხისა – შეიძლება თუ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირი პარტნიორად გამოვიდეს სამეწარმეო საზოგადოებაში, სრულიად აშკარა და თვალსაჩინოა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მათ შორის უნივერსიტეტის და სკოლების, უფლებაუნარიანობა სპეციალურია. ე.ი. მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რის უფლებასაც მათ

²³ იგივე წესი ვრცელდება უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზეც, რომელთაც ისეთივე უფლებამოსილება და კმედუნარიანობა აქვთ, როგორც საქართველოს იურიდიულ პირებს. დაწვრილებით იხ. თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ. 2001 წ. გვ. 54.

დამფუძნებელი დოკუმენტები, წესდება ან კანონი აძლევთ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გამოვიდნენ პარტნიორებად, თუ ამის უფლება მათ წესდებებით ან სხვა ნორმატიული დოკუმენტებით აქვთ მინიჭებული; თუ ეს პირობა არ არის დაცული, მაშინ მათი მონაწილეობა სამეწარმეო საზოგადოებაში უნდა ჩაითვალოს ბათილად.

რაც შეეხება კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირებს, როგორცაა კავშირები და ფონდები, მათ მიმართ გამოიყენება ზოგადი უფლებუნარიანობის პრინციპი და სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლიათ პარტნიორად მიიღონ მონაწილეობა სამეწარმეო საზოგადოებაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, კავშირისა და ფონდის მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი მონაწილეობა მიზანშეწონილად უნდა იყოს მიჩნეული.

3. სახელმწიფო, როგორც პარტნიორი

კანონი მეწარმეთა შესახებ სამეწარმეო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის ორ შესაძლებლობას ითვალისწინებდა. პირველი, როცა სახელმწიფო ქმნიდა სახაზინო საწარმოს და, მეორე, როცა სახელმწიფო პარტნიორის სახით მონაწილეობს სამეწარმეო საზოგადოებაში. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უფრო მიღებული და გავრცელებულია მეორე. ეს კი აიძულებს სახელმწიფოს, კერძო საწარმოებთან მძაფრ კონკურენციაში, დაადასტუროს თავისი უპირატესობა და დაიმკვიდროს ბაზარზე ადგილი. ამიტომ ნორმალურია, როცა სახელმწიფო გამოდის შპს-ის პარტნიორად ან სს-ის აქციონერად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, თუ რატომ გაუქმდა სახაზინო საწარმო, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ესეც იყო.

პარტნიორის სახით სახელმწიფოს მონაწილეობა სამეწარმეო საზოგადოებებში ფართოდ იქნა გამოყენებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების პროცესში. კერძოდ, როცა სახელმწიფო საწარმოები გარდაიქმნენ სააქციო საზოგადოებებად, რომელთა აქციების 100% თავდაპირველად სახელმწიფოს ხელში იყო, შემდგომ კი თანდათანობით მოხდა ამ აქციების გასხვისება. ასეთ დროს სახელმწიფოს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების

მართვის სამინისტრო, რომელსაც კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვს სახელმწიფო ქონების მართვის უფლება („სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი)²⁴.

სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის უფლებამოსილებებს ქონების მართვის სამინისტროს გარდა, შეიძლება ახორციელებდნენ, ასევე, სხვა სამინისტროები და დეპარტამენტები იმის შესაბამისად, თუ რომელ სფეროში საქმიანობს ესა თუ ის სამეწარმეო საზოგადოება. მაგალითად, კავშირგაბმულობის ან ტრანსპორტის სფეროში შექმნილ შპს-ში სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო და ა.შ.

მაშასადამე, *სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი, სამეწარმეო საზოგადოებებში პარტნიორად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი*. ეს ნიშნავს, რომ მას ყველგან შეუძლია პარტნიორად გამოსვლა, გარდა სპს-სა და ასევე, კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარად ყოფნისა.

X. საწარმოთა დაფუძნება

კანონი განამტკიცებს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების თავისუფალი არჩევის პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ბირს, მომავალ თუ მოქმედ მეწარმეს შეუძლია დააფუძნოს მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული საწარმო ან საზოგადოება. ამავე დროს, კანონი განსაზღვრულ შეზღუდვებსაც ითვალისწინებს, რომლებიც საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკიდან გამომდინარეობენ, კერძოდ:

ა. სპს-ის, კს-ისა და კოოპერატივის დასაფუძნებლად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა;

ბ. სპს-სა და კს-ში კომპლემენტარი, ე.ი. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი;

გ. შპს-ისა და სს-ის დასაარსებლად აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს კანონი;

დ. მინიმალური საწესდებო კაპიტალი ასევე საჭიროა კოოპერატ-

²⁴ პარლამენტის უწყებანი, №29-30, 9.07.97.

ივის დასაფუძნებლად, ოღონდ მის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. თუმცა, თითოეული მეპაიის პაის ოდენობა არ უნდა იყოს ორმოცდაათ ლარზე ნაკლები.

ე. საწარმო, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოებად (2.4 მუხლი). ეს ნორმა ნაკარნახევია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით, მრავალრიცხოვან აქციონერთა უფლებების უფრო სრულყოფილად დაცვის აუცილებლობითა და ასევე, საზოგადოების მართვის ეფექტური სისტემის შექმნის საჭიროებით. ორმოცდაათზე მეტი პარტნიორის არსებობა მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს კაპიტალის მსხვილ კონცენტრაციასთან, რომელიც მრავალი პირის მონაწილეობის შედეგად იქმნება. ეს კი, განაპირობებს იმპერატიული ნორმების დიდ მნიშვნელობას, რათა დაცულ იქნეს ამ აქციონერთა უფლებები. კერძოდ, ეს უზრუნველყოფილია სავალდებულო სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით და დირექტორატის საქმიანობაზე მკაცრი მეთვალყურეობის სისტემით.

დამფუძნებელთა რაოდენობრივი შეზღუდვა არ გამოიყენება კოოპერატივების მიმართ, სადაც მეპაიეთა რაოდენობა შეიძლება განუსაზღვრელი იყოს. ეს განპირობებულია იმით, რომ კოოპერატივების უმთავრესი მიზანია წევრთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებითა და არა მოგების მიღება.

საწარმოთა დაფუძნების იურიდიულ გაფორმებას, როგორც წესი, წინ უსწრებს გადაწყვეტილების მიღება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესახებ და ხშირ შემთხვევაში თანამოაზრეთა პონა, რომლებიც მზად არიან შექმნან საწარმო და ერთობლივად მოჰკიდონ ხელი მეწარმეობას. საწარმოს დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე, მომავალი პარტნიორები ფიქრობენ იმაზე, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეესაბამება მათ მიზნებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს. ცხადია, პირველ რიგში, მათ დაეხედებათ კითხვა პასუხისმგებლობის შესახებ. კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით შესაძლო პასუხისმგებლობის შიში ყველას აფიქრებს. ბუნებრივია, რომ ბევრს არ სურს, წარუმატებლობის შემთხვევაში, მისი პირადი ქონება გახდეს გადახდის საშუალება, რის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს კანონი, მაგრამ ეს „სიამოვნება“ ძვირი ჯდება.

– სააქციო საზოგადოების აქციონერები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალეებისათვის, მაგრამ ამ საზოგადოების დაფუძნებისათვის მათ, სულ ცოტა, თხუთმეტი ათასი ლარი მაინც უნდა გაიღონ ან საწესდებო კაპიტალში ჩადონ ამ ღირებულების ეკვივალენტური ქონება;

– შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებისათვის უფრო ნაკლებ თანხას მოითხოვს – საწესდებო კაპიტალში ორი ათასი ლარია შესატანი, რის გამოც ბევრი დიდი სიამოვნებით ირჩევს ამ ფორმას.

– ისინი, ვისაც პასუხისმგებლობის არ ეშინიათ და არც ბევრი ფული აქვთ, არჩევენ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების დაფუძნებას, მაგრამ ამას ისინი მარტო ვერ შესძლებენ და უნდა შეუამხნანაგდნენ ვინმეს. თუ მომავალ პარტნიორებში გამოჩნდება ისეთი, ვისაც არ სურს სრულად აგოს პასუხი, შეუძლია კომანდიტად შევიდეს საზოგადოებაში.

– მათ, ვისაც მოგება არ იზიდავს და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურთ, სხვებთან ერთად, შეუძლიათ შექმნან კოოპერატივი, რომლის საწესდებო კაპიტალი თითოეული წევრისაგან, სულ ცოტა, ორმოცდაათ ლარს მოითხოვს.

– ვისაც დიდი ფული არა აქვს და არც სხვებთან ერთად სურს საქმის გაძღოლა, მაგრამ აქვს საქმის კარგად გაძღოლის უნარი და შესაძლებელია მოგებაც ნახოს, შეუძლია დააფუძნოს ინდივიდუალური საწარმო.

მაშასადამე, კანონი მომავალ მეწარმეს მრავალ შესაძლებლობასა და ვარიანტს სთავაზობს, რომელიც კორექტულად უნდა იქნეს გაფორმებული, რათა საწარმო დაფუძნებულად ჩაითვალოს.

1. ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნება

2001 წლის 30 მარტს ცვლილებები შევიდა მეწარმეთა შესახებ კანონში, რომლებმაც შეცვალა ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის წესი. კანონს დაემატა ახალი – 5¹ მუხლი, რომელიც ახლებურად აწესრიგებს ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საკითხებს²⁵

²⁵ სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქმედდა 01.06.01

(დაწერილებით იხილეთ 5¹ მუხლის კომენტარი). ცვლილების მიზანი იყო ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის გაიოლება, თუმცა რეგისტრაციის უწინდელი პროცედურაც არ იყო რთული.

2. სამეწარმეო საზოგადოებათა დაფუძნება

უფრო რთულია სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა დაფუძნების პროცედურა. *ყველა საზოგადოებას მოეთხოვება საზოგადოების წესდება.*

საზოგადოების წესდება სამეწარმეო საზოგადოების ძირითადი დოკუმენტია, რომელშიც პარტნიორები აწესრიგებენ საზოგადოების საქმიანობისა და პარტნიორთა უფლება-მოვალეობების უმთავრეს საკითხებს.

საზოგადოების დაფუძნების პროცესი იწყება შეთანხმებით მომავალ პარტნიორებს შორის, საზოგადოების საქმიანობისა და ამ საზოგადოებაში მათი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. პარტნიორების ეს შეთანხმება აისახება წესდებაში. წესდების ფორმა თავისუფალია, მაგრამ კანონი ითვალისწინებს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს ეხება როგორც ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს (სპს, კს), ასევე კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილ საზოგადოებებს (შპს, სს, კოოპ.).

2.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს:

ა. საზოგადოების საფირმო სახელწოდებას, რომელიც შეესაბამება 6.3 მუხლის მოთხოვნებს;

ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

გ. საზოგადოების იურიდიულ მისამართს;

დ. საქმიანობის საგანს;

ე. მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

ვ. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს.

სპს-ის წესდებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მომავალი პარტ-

ნიორების ნება, რომ მათ სურთ ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა და ამ მიზნით ქმნიან სპს-ს. პარტნიორები ხშირად საზოგადოების დასაფუძნებლად განსაზღვრულ ქონებას — ფულადს ან არაფულადს დებენ, ან მომსახურების გაწევას კისრულობენ და ამით განსაზღვრავენ მოგებაში მათი მონაწილეობის ოდენობას, თუმცა კანონი მათ ამ ვალდებულებას არ აკისრებს. ამის შესახებაც ზუსტად უნდა აღინიშნოს წესდებაში. სპს-ში არაფულადი შესატანის დროს მისი შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ საჭირო არ არის, რამეთუ პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე აქ შეუზღუდავია თუ სპს-ის პარტნიორების წილი არ არის განსაზღვრული, ივარაუდება, რომ მათ თანაბარი წილი აქვთ. ეს სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

2.2. კომანდიტური საზოგადოების დაფუძნება

კომანდიტური საზოგადოების დაფუძნების პროცედურა და საზოგადოების წესდება თითქმის ემთხვევა სპს-ისას. თუმცა, ამ საზოგადოების დაფუძნებისას კანონი ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს: წესდებაში უნდა იყოს მითითებული ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა, ასევე შესატანის ფორმა (ფულადი თუ არაფულადი) და საბუთი განხორციელებული შესატანის ოდენობის შესახებ. კომანდიტის არაფულადი შესატანი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა, რადგან კომანდიტის პასუხისმგებლობა სწორედ ამ შესატანის ღირებულებით შემოიფარგლება.

იმ შემთხვევაში, როცა კს-ში ხელმძღვანელად ნიშნავენ კომანდიტს, ეს უნდა გაფორმდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით და კომანდიტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი ოქმის ამონაწერი წარედგინოს სასამართლოს რეგისტრაციისათვის.

2.3. შპს-ის, ხს-ისა და კოოპერატივის დაფუძნება

შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის დაფუძნებისას მომავალი პარტნიორები ადგენენ წესდებას. რომელსაც კანონი უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე სპს-ისა და კს-ის წესდებაებს. თვალსაჩინოება-

სათვის ჩამოთვლილი კანონით სავალდებულოდ მიჩნეულ საკითხებს:

ა. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება;

ბ. საზოგადოების ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი);

გ. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, კოოპერატივების შემთხვევაში საკმარისია ორი დამფუძნებელი პარტნიორის მითითება; თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მაშინ უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები (იურიდიული მისამართი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი წარმომადგენლის მონაცემები);

დ. საზოგადოების საქმიანობის საგანი;

ე. მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ;

ვ. საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მისი შევსების ფორმა (ფულადი თუ არაფულადი), საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;

ზ. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, ფორმა (ფულადი თუ არაფულადი), საბუთი განხორციელებული შესატანის თაობაზე და თითოეული პარტნიორის წილი;

თ. სააქციო საზოგადოების შემთხვევაში წესდებაში მითითებული უნდა იყოს აქციათა სახეები და მათი ნომინალური ღირებულება.

მას შემდეგ, რაც მომავალი პარტნიორები საზოგადოების წესდების საკითხებზე შეთანხმდებიან, იწვევენ პარტნიორთა საერთო კრებას, რომელზეც ირჩევენ საზოგადოებისთვის საჭირო ორგანოებს: შპს-ის შემთხვევაში — დირექტორატს, თუ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო არ არის; სს-ისა და კოოპერატივის შემთხვევაში კი — პარტნიორთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს.

არჩეული სამეთვალყურეო საბჭო სს-ში (ასევე შპს-ში, თუკი სამეთვალყურეო საბჭო არსებობს) ირჩევს თავმჯდომარეს და ნიშნავს საზოგადოების დირექტორებს.

1996 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებამდე კანონი დირექტორად დანიშნული პირებისათვის ითხოვდა შპს საინფორმაციო ცენტრის ცნობას

ნასამართლობის შესახებ. აღნიშნული ცვლილებით ეს მოთხოვნა გაუქმდა²⁶.

დახასიათებული საზოგადოებების წესდებათა სავალდებულო მონაცემები ავტომატურად გადადის საზოგადოების განცხადებაში რეგისტრაციის შესახებ. ე.ი. განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს ზემოთ აღნიშნულ ყველა მონაცემს.

2.4. ნების გამოვლენა საწარმოთა დაფუძნებისას

საზოგადოების წესდებას ხელს უნდა აწერდეს ყველა დამფუძნებელი პარტნიორი. საქართველოში იყო შემთხვევები, როცა ერთი ან რამდენიმე პარტნიორი (რომლებიც, როგორც წესი, უმრავლესობას შეადგენდნენ) ხელს არ აწერდნენ საზოგადოების წესდებას. როგორ უნდა გადაწყდეს ამ შემთხვევაში საკითხი? ჩაითვლება თუ არა საზოგადოება დაფუძნებულად? – წესდებაზე ხელის მოწერა და შესაბამისად, საზოგადოების დაფუძნება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, ამასთან, ორმხრივ ან მრავალმხრივ გარიგებას, რომლის დადებისათვის აუცილებელია ყველა მონაწილის ნების გამოხატვა და კონსენსუსი ამ ნებათა შორის. თუ ერთ-ერთი პარტნიორი არ ეთანხმება წესდების ამა თუ იმ პირობას, მაშინ გარიგება დადებულად არ ჩაითვლება და არც საზოგადოება მიიჩნევა დაფუძნებულად.

საზოგადოების დაფუძნების, როგორც გარიგების, მიმართ გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები გარიგებათა შესახებ.

სანოტარო წესით საზოგადოების წესდების დამოწმების ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია 2.8 მუხლით, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მიღებულ იქნეს წესდება ერთ-ერთი პარტნიორის ხელმოწერის გარეშე. თუ ეს მაინც მოხდა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება ნოტარიუსს.

იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების დაფუძნებისას მომავალი პარტნიორი წარმოდგენილია წარმომადგენლით, მისი უფლებამოსილების დასადასტურებლად, ასევე, აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

პრაქტიკაში ბევრი გაუგებრობა გამოიწვია საკითხმა, თუ როგორ

²⁶ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 5 იანვარი.

უნდა გაფორმებულიყო წესდებაში ცვლილებების შეტანა. იყო შემთხვევები, როცა წესდებაში ცვლილებების განხორციელებისას ითხოვდნენ ყველა პარტნიორის ხელმოწერას. ეს არ იყო სწორი, რის გამოც კანონმდებელმა 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებით დააზუსტა, რომ „წესდებაში ცვლილებების შეტანისას წესდებაზე პარტნიორთა ხელმოწერა არ მოითხოვება“ (2.7 მუხლის პირველი აბზაცი). საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება პარტნიორთა კრებაზე. ამიტომ, წესდებაში ცვლილება უნდა გაფორმდეს პარტნიორთა კრების ოქმის მეშვეობით. მასზე კი საკმარისია კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

კანონის 2.5 მუხლი განსაზღვრავს საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – *საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა*.

XI. რეგისტრაციის ცნება

რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში (მაგალითად, სამეწარმეო რეესტრში). როგორც წესი, რეგისტრაციას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც ფაქტის, მოვლენის აღნიშვნისა და მეორე – კონსტიტუციური მნიშვნელობა. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სწორედ მეორე სახის რეგისტრაციას. რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა – სამართლებრივად რალაც მოვლენა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა.

კანონი ერთმანეთისაგან განასხეავებს ორი სახის რეგისტრაციას – საწარმოს რეგისტრაციასა და საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაციას. რეგისტრაციის პირველ სახეს განსაზღვრავს იმპერატიული ნორმა: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. *საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.* სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) რეესტრის ნაირსახეობა, რომელშიც აღირიცხება მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები (დაწვრილებით იხ. მე-4 მუხლის კომენტარში).

მომავალმა პარტნიორებმა შეიძლება განახორციელონ საწარმოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ყველა მოქმედება. მოამზადონ წესდება, მოაწერონ ხელი, სანოტარო წესით დაამოწმონ იგი და ა.შ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო წარმოიშვა. ამისათვის აუცილებელია საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამდენად, კანონი რეგისტრაციას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს.

რეგისტრაცია არ არის თვითმიზანი. მისი ძირითადი ფუნქციაა საჯაროობის გზით დაიცავს მესამე პირები და კრედიტორები. ე.ი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მასალებს და გაიგოს, თუ რა ქონების მესაკუთრეა საწარმო. რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის პასუხისმგებლობის გარდაუვალობისა და ამ პასუხისმგებლობის მოცულობის ზუსტი ფიქსაცია.

XII. რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები

რეალური ცხოვრება, რეალური ურთიერთობები ხშირად განსხვავდება სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ურთიერთობებისაგან. ამიტომ ის, რაც დადგენილია კანონით, თავისთავად არ ნიშნავს, რომ უეჭველად შესრულდება. ე.ი. შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა პირმა არ გაატაროს თავისი საწარმო რეგისტრაციაში. ამ დროს მთავარი პრობლემა არის კრედიტორების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მისი რეალურობის უზრუნველყოფა²⁷.

მეწარმეებს რეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ საქმიანობა, ოღონდ კრედიტორების წინაშე ისინი პასუხს აგებენ არა როგორც ამა თუ იმ

²⁷ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის თანახმად არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალული იყო: არარეგისტრირებული საწარმოს შემოსავალი ამოიღებოდა სასამართლო წესით და შეიტანებოდა ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში (მუხლი 37). ახალმა კანონმა სამართლიანად თქვა უარი ამგვარ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმაზე და შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობაში გაუმართლებელ ჩარევას. ახალი კონცეფციის თანახმად, არარეგისტრირებულ საწარმოთა საქმიანობა ადმინისტრაციული წესით არ არის აკრძალული, რაც შეესაბამება ეკრძო-სამართლებრივ ურთიერთობებს. თუმცა, ადმინისტრაციული და საგადასახადო სამართალი არარეგისტრირებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს კვლავინდებურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, არამედ როგორც კერძო პირები.

მაგალითი:

სამმა პირმა გადაწყვიტა შეექმნათ შპს; შეადგინეს წესდება, მოაწერეს ხელი, დაამოწმეს სანოტარო წესით, მაგრამ არ გაუტარებიათ საზოგადოება რეგისტრაციაში. ამასობაში მათ საზოგადოების სახელით დადეს გარიგებები, რომლებიდანაც წარმოიშვა ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება კი არ აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე ისე, როგორც შპს (ე.ი. მხოლოდ თავისი ქონებით), არამედ პასუხს აგებენ პარტნიორები. მაშასადამე, ამგვარი მოქმედებისათვის სამივე ეს პირი პასუხს აგებს პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალე (2.5 მუხლის მე-2 აბზაცი).

თუ დამფუძნებლებმა საზოგადოება რეგისტრაციაში გაატარეს ვალდებულების წარმოშობის შემდეგ, მაშინ ისინი კვლავ პერსონალურად და პირადი ქონებით აგებენ პასუხს ამ ვალდებულებებისათვის. ამგვარად, ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ წესს, მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მოიქცნენ კანონის შესაბამისად. ეს ის შემთხვევაა, როცა კერძო ინტერესები და კერძო ბიზნესი კანონის ნორმის შესრულების გარანტიას იმგვარად, რომ სახელმწიფოებრივი იძულება არ არის აუცილებელი.

XIII. იურიდიული პირის ცნება

სპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

იურიდიული პირის ცნების საკითხი ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, საკამათოა თანამედროვე სამართალში. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა იურიდიული პირის დეფინიციას. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები,

მათ შორის – საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსიც. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა ამ ტრადიციის: 24-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია იურიდიული პირის ლეგალური დეფინიცია: „*იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ*“.

ამ კომენტარის მიზანი არ არის იურიდიული პირების შესახებ არსებული კონცეფციებისა და კვლევების ანალიზი. აქ შემოვიფარგლები მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ „იურიდიული პირი“ არის აბსტრაქტული ცნება, ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია, ადამიანთა იმ ორგანიზაციის გამოსახატავად, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე.²⁸ ე.ი. ფიზიკური პირების გარდა, სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილე ორგანიზაციებს პირობითად ვუწოდებთ იურიდიულ პირებს.

ამავე დროს არსებობს ნიშნები, რომლებიც აღიარებულია იურიდიული პირის არსებობის აუცილებელ წინაპირობად. ესენია:

1. იურიდიული პირი არსებობს დამოუკიდებლად და არ არის დამოკიდებული მასში შემავალ წევრთა ცვალებადობაზე. ამ გაგებით იურიდიულ პირს განიხილავენ როგორც პიროვნებას, რომელსაც აქვს თავისი ნება და ეს ნება არ ემთხვევა მისი წევრების ნებას;

2. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს თავისი ქონება, რომელიც გამოცალკევებულია წევრთა ქონებისაგან. ამის საილუსტრაციოდ, სასურველია, მაგალითის მოყვანა: შპს არის იმ ქონების მესაკუთრე, რომელიც პარტნიორებმა მასში ჩადეს, რის გამოც ამ ქონებაზე საკუთრების უფლება პარტნიორებს არა აქვთ;

3. იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს საკუთრება, ისარგებლოს, განკარგოს ის, ასევე საკუთარი სახელით განახორციელოს კანონით ნებადართული სხვა მოქმედებები;

²⁸ დაწერილებით: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 215–251.

4. იურიდიულ პირს შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და

5. იკისროს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა (თუმცა ეს არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში მისი წევრების ქონებრივ პასუხისმგებლობასაც).²⁹ ეს უკანასკნელი ნიშანი დამახასიათებელია სპს-თვის.

თავისთავად, ამ ნიშნების არსებობა არ იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის იურიდიულ პირად აღიარებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ენიჭება ამ ფაქტის, ე.ი. იურიდიულ პირად აღიარების, საკანონმდებლო რეგლამენტაციას. მეწარმეთა შესახებ კანონმა გაითვალისწინა დასავლეთის ქვეყნების კერძო სამართლის უახლესი ტენდენცია და მეწარმეთა კოლექტიური ორგანიზების ყველა ფორმა აღიარა იურიდიულ პირად.

რა სიახლით გამოირჩევა კანონი მეწარმეთა შესახებ იურიდიული პირების განსაზღვრის დროს? შევეცდები აქ ჩამოვყალიბო ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ:

1. სპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. ეს ნიშნავს, რომ *სხვა არც ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ ჩაითვლება იურიდიულ პირად (მაგალითად, კონსორციუმები და ა.შ.)*. საქართველოში გავრცელებული იყო ასეთი პრაქტიკა: სამეწარმეო საზოგადოებების წესდებათა შემუშავებისას მასში აღნიშნავდნენ, რომ ესა თუ ის საზოგადოება არის იურიდიული პირი. 1995 წლის 1 მარტიდან ეს აღარ არის საჭირო. კანონმა თვითონ განსაზღვრა, თუ რომელი საზოგადოებებია იურიდიული პირები და როგორ აგებენ ისინი პასუხს. ამიტომ წესდებებში იმის აღნიშვნა, რომ საზოგადოება არის იურიდიული პირი, სრულიად ზედმეტია. სამწუხაროდ, ეს მახინჯი პრაქტიკა დღემდე არ აღმოფხვრილა, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ ქართველი მეწარმეები (და არამართო ისინი) „იურიდიულ პირს“ გარკვეულ პრივილეგიად აღიქვამენ და წესდებაში აღნიშვნით ცდილობენ ამ „პრივილეგიის“ ხაზგასმას.

2. საბჭოთა სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული წესიდან გამომდინარე, ჩვენში ბოლო დრომდე არსებობდა იურიდიული პირების

²⁹ დაწერილობით: ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი. ზოგადი ნაწილი. 2001 წ. გვ. 147-150

სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი. ეს ნიშნავდა იმას, რომ იურიდიულ პირებს შეეძლოთ მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც პირდაპირ იყო აღნიშნული წესდებაში ან კანონში. სხვაგვარი მოქმედება მიიჩნეოდა მართლსაწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, ეს წესი შენარჩუნებულ იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ამას მაკონტროლებელი ორგანოები ბოროტად იყენებდნენ და პასუხს სთხოვდნენ მეწარმეებს ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც წესდებით არ იყო გათვალისწინებული. ამიტომ, სამეწარმეო საქმიანობა კურიოზებით იყო სავსე. მაგალითად, თუ წესდებაში არ იყო აღნიშნული, რომ საზოგადოებას ჰქონდა ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება, მას ბანკი ანგარიშს არ უხსნიდა; თუ წესდება არ განსაზღვრავდა, რომ საზოგადოებას ჰქონდა ნაღდი ან უნაღლო ანგარიშსწორების უფლება, მას აკრძალული ჰქონდა ნაღდი ფულის გამოყენება საქმიან ურთიერთობებში და ა.შ.

*მეწარმეთა შესახებ კანონმა გააუქმა იურიდიული პირების სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი, ე.ი. სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს და აკრძალული არ არის კანონით.*³⁰ ამით, სამეწარმეო ორგანიზაციები გაათვისუფლდნენ ზედმეტი, დაუსაბუთებელი ზედამხედველობისგან, რასაც მათ მიმართ მაკონტროლებელი ორგანოები ახორციელებდნენ.

სამოქალაქო კოდექსმა პირდაპირ განამტკიცა კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობის ინსტიტუტი: კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოსა თუ არასამეწარმეოს) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული (25-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ საწარმოთა საქმიანობის სავნის განსაზღვრისას დამფუძნებლები „ინერციით“ უთითებენ ყოველგვარ საქმიანობას, რაც მათ მომავალში შეიძლება განახორციელონ.³¹

³⁰ სამოქალაქო კოდექსის მიღებით ეს საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდა.

³¹ ა. კახნიაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. თურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 1999 წლის მეოთხე კვარტალი, გვ. 112.

*მუხლი 2. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.
მათი დაფუძნება*

3. კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ითვალისწინებდა საწარმოთა დროებით რეგისტრაციას. საბოლოოდ რეგისტრაციამდე იურიდიულ პირს უნდა გაეხსნა ბანკში ანგარიში და, თუ მისი საქმიანობის საგანი მოითხოვდა ნებართვას (ლიცენზიას) – მიეღო იგი. ლიცენზია აუცილებელი პირობა იყო საზოგადოების რეგისტრაციისათვის. მეწარმეთა შესახებ კანონმა უარი თქვა ასეთ წესზე. *საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციისათვის ლიცენზია არ არის საჭირო. თუ იმ საქმიანობისთვის, რომლის განხორციელებასაც იურიდიული პირი აპირებს, მოითხოვება ლიცენზია, იგი მას აიღებს, როგორც უკვე არსებული სუბიექტი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას იმ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც სავალდებულოა ნებართვა.*

განსხვავებით იურიდიული პირებისაგან, ინდივიდუალური მეწარმე ურთიერთობებში გამოდის როგორც ფიზიკური პირი (2.6 მუხლის მე-2 აბზაცი).

**მუსლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები
საწესდებო კაპიტალში. თანასწორ უფლები-
ანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტრო-
ლის უფლებები**

3.1. ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პირადად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე.

3.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირთათვის.

3.3. საზოგადოების დაფუძნებისას ან საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტი. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტი. შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებებში უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა (არაფულადი შესატანის შეფასება). შეტანაზე ვალდებული პარტნიორი საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რაც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა; თუ ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია, მაშინ ავი უნდა შეივსოს ფულით; თუ არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

შესატანის უკან დაბრუნება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისთვის საჭიროა ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997 წ., №1-2 (33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

3.4. კომანდიტური საზოგადოების კომანდიტი, შეზღუდული პასუხ-

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესაკანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

ისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერი, კოოპერატივის დამფუძნებელი წევრი შესატანის საბოლოო შეტანამდე საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აკებს მის მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით. შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

3.5. შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს.

თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადა, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილოს იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს.

ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი, რომელმაც გააჭიანურა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ამის შესახებ მას განემარტება წერილობით.

გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება, ხოლო არაფულადი შესატანის შემთხვევაში იგი შეიცვლება შესაბამისი ფულადი თანხით. თუ დამფუძნებელი პარტნიორების მიერ შესატანის შეუტანლობის გამო არ შეივსება ამ ფორმის საწარმოსათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი, შეუსრულებელი შესატანი ნაწილდება სხვა დამფუძნებელ პარტნიორებს შორის, გარდა 3.2 მუხლში დასახელებული საზოგადოებების პარტნიორებისა, მათ წილთა პროპორციულად.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

3.6. საზოგადოების კაპიტალი 3.3 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად შემცირების შემდეგ კვლავ უნდა შეივსოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე. თუ შემცირება მოხდება შესატანის დაბრუნების ან შეუტანელი ნაწილის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით, მაშინ თითოეულ პარტნიორზე დარჩენილი თანხა არ შეიძლება იყოს ორმოცდაათ ლარზე

5. შეწარმუნა შესახებ კანონის კომენტარი

ნაკლები. საწესდებო კაპიტალის შემცირება იმ შესატანის უკან დაბრუნების გზით იმ შესატანების მიმართ, რომლებიც პარტნიორების პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვრავენ, შეიძლება განხორციელდეს საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება 57.2 მუხლის ნორმები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

თუ რომელიმე პარტნიორს შესატანი უკან დაუბრუნდება საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე, კრედიტორებისათვის ეს დაბრუნებად არ მიიჩნევა. პარტნიორი ვალდებულია საზოგადოებას დაუბრუნოს მიღებული თანხა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, თუ პარტნიორი გაზარჯავს ფულს საზოგადოების სალაროდან და ზარალის შედეგად მისი წილი კაპიტალი შემცირდება გადახდილ შესატანთან შედარებით.

3.7. საზოგადოების უარი ამ კანონით გათვალისწინებულ შესატანებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ბათილია.

3.8. თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ეს კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს პირადი პასუხისმგებლობისა და კაპიტალის კვოტასთან დაკავშირებით, ანდა, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ სხვაგვარი მოწესრიგება არ იქნება შემოთავაზებული.

3.9. ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება მხოლოდ ამ კანონით შეიზღუდოს, გაფართოება კი შესაძლებელია საზოგადოების წესდებით ან სხვა კანონით.

I. პასუხისმგებლობის ცნება და დახასიათება

პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ამიტომ ბუნებრივია, რომ კანონი მეწარმეთა შესახებ მას დიდ ყურადღებას უთმობს. პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ *სამეწარმეო საზოგადოებათა კლასიფიკაცია არსებითად პასუხისმგებლობის ხასიათით და მოცულობით განისაზღვრება*. უფრო ზუსტად, ამ საზოგადოებათა დაყოფა სწორედ პასუხისმგებლობის ხასიათის მიხედვით ხდება: ერთ შემთხვევაში გვაქვს სპს, რომელშიც როგორც საზოგადოების, ასევე პარტნიორების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია; მეორე შემთხვევაში სახეზეა კს, რომლის პარტნიორთა ერთი ნაწილის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია (კომანდიტები); მესამე შემთხვევაში არსებობს შპს, სს, რომელთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით. ეს არის ე.წ. *საგარეო პასუხისმგებლობა*, როცა საკითხი ეხება სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთობას კრედიტორებთან და მესამე პირებთან.

არსებობს, ასევე, *პასუხისმგებლობა თვით საზოგადოების შიგნითაც*. ამ დროს ლაპარაკია პარტნიორების პასუხისმგებლობაზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის (მაგალითად, შესატანის შეუტანლობა) ანდა დირექტორების პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე.

კანონის სიახლეს ამ სფეროში წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ზოგად ნაწილშია გადმოტანილი და დახასიათებულია ის ნორმები, რომლებიც შეიძლება იყოს საერთო მთელი კერძო ნაწილისათვის.

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე *პასუხს აგებს პირადად* (3.1 მუხლი).

პასუხისმგებლობის საკითხი ყველაზე ნათლად და მარტივად არის გადაწყვეტილი ინდივიდუალური მეწარმის მიმართ. მისი, როგორც მეწარმის, პასუხისმგებლობა დამოკიდებულია რამდენიმე გარემოებაზე:

1. უნდა არსებობდეს ვალდებულება, რომლის შესრულებაც ინდივიდუალურ მეწარმეს ეკისრება. მაგალითად, ხელოსანი შეუთანხმდა აე-

ტომანქანის მესაკუთრეს, რომ მანქანის ძრავას შეაკეთებდა ორი კვირის ვადაში. ვალდებულება უკვე წარმოიშვა. მაგრამ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დადგომისათვის, თავისთავად, ასეთი ვალდებულების არსებობა არ არის საკმარისი.

2. ეს ვალდებულება წარმოშობილი უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობიდან. ასეთ საქმიანობად კი ჩათვლება 1-ლი მუხლით განსაზღვრული საქმიანობა, ე.ი. ხელოსნის ვალდებულება მხოლოდ მაშინ იქნება ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ იგი 1-ელ მუხლში განმტკიცებული პირობების შესაბამისად ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ.

3. პასუხისმგებლობა დგება არა ზოგადად, არამედ ამ კონკრეტულ ვალდებულებასთან დაკავშირებული კრედიტორის წინაშე. ე.ი. ათი კრედიტორიც რომ არსებობდეს, პასუხისმგებლობა განისაზღვრება თითოეული მათგანის მიმართ. ამას პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზება ეწოდება.

სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისაგან განსხვავებით ინდივიდუალური მეწარმე პასუხს აგებს პირადად. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთმანეთს ემთხვევა ფიზიკური პირისა და ამ პირის სამეწარმეო საქმიანობის ქონება. ამ დროს პასუხისმგებლობა არის შეუზღუდავი: მეწარმე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. „თავისი ქონება“ ნიშნავს პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას, მათ შორის, მეუღლეთა თანასაკუთრების წილს, სხვა სამეწარმეო საზოგადოებებში არსებულ წილებს, აქციებს და ა.შ. გადახდევინება არ შეიძლება მოხდეს იმ ქონებიდან, რომელიც ოჯახის სხვა წევრების საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომ, ისეთი ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა საქმიანობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, არცთუ იშვიათად თავიანთ ქონებას მეუღლეების ან შვილების სახელზე აფორმებენ.

3.2 მუხლი განსაზღვრავს სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების (კომპლემენტარების) პასუხისმგებლობის საკითხს. სპს-ის პარტნიორები და კს-ის კომპლემენტარები მათი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებზე თითოეული პარტნიორი პასუხს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სპს-სა და კს-ში პასუხისმგებლობის საკითხი მნიშვნელოვნად განსხვავდება სპს-სა და სს-ში პასუხისმგებლობისაგან. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საზოგადოება თავისი ქონებით. ამიტომაც არის, რომ მათ დასაარსებლად კანონი აუცილებელ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ითვალისწინებს. სპს-ისა და კს-თვის ასეთი ქონების არსებობა აუცილებელი არ არის – კრედიტორების წინაშე პასუხს პარტნიორები აგებენ.

აღნიშნული პარტნიორები პასუხს აგებენ *შეუზღუდავად, მთელი თავიანთი ქონებით*. თუ სპს-ის რომელიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია რაიმე განსაზღვრული თანხით, მაშინ სახეზეა კს. ყველა სხვა შემთხვევაში სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის კომპლემენტარების პასუხისმგებლობა შეუზღუდავია.

სპს-ისა და კს-ის მნიშვნელოვან თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ კრედიტორს შეუძლია საზოგადოების ვალდებულებების შესრულება უშუალოდ მოსთხოვოს ნებისმიერ პარტნიორს. ამიტომ, კრედიტორი, როგორც წესი, თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართავს იმ პარტნიორს, რომელსაც შესწევს გადახდის უნარი, თუნდაც გარიგება კრედიტორს სხვა პარტნიორთან ჰქონდეს დადებული. ამის გამო ამბობენ, რომ სპს და კს კრედიტორების დაცვის მნიშვნელოვანი ფორმაა.

გარდა იმისა, რომ კრედიტორი უშუალოდ მიმართავს სპს-ის ნებისმიერ პარტნიორს, მას შეუძლია ამ პარტნიორს მოსთხოვოს მთელი ვალდებულების მთლიანი შესრულება. პარტნიორის მოტივები, რომ მან ამ გარიგების შესახებ არაფერი იცოდა, მხედველობაში არ მიიღება.

პარტნიორების ეს *პირადი პასუხისმგებლობა* გამოიყენება ყველა ვალდებულების მიმართ, რომელიც საზოგადოების სახელით არის წარმოშობილი. ეს ნიშნავს, რომ *პარტნიორების სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ დელიქტურ ვალდებულებებზეც* (ე.ი. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზეც).

როდის აგებენ სპს-ის პარტნიორები და კს-ის კომპლემენტარები პასუხს? – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი პარტნიორის მიერ მოქმედება განხორციელებულია საზოგადოების სახელით. პასუხისმგე-

ბლობა დგება მაშინაც, როცა მოქმედება არ არის საზოგადოების სახელით განხორციელებული, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მოქმედების შედეგები გამიზნულია საზოგადოებისათვის ან ეს შედეგები მოხმარდა საზოგადოებას. პარტნიორის მიერ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე სრულდება პირდაპირ ისე, რომ არ არის საჭირო მითითება საზოგადოების ქონებაზე, მის აქტივებსა და პასივებზე. აქედან გამომდინარე კი, *კრედიტორს უფლება აქვს შესრულება მოითხოვოს ერთხელ და მოსთხოვოს იგი ერთ-ერთ პარტნიორს*. მართალია, ყველა პარტნიორი ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა, მაგრამ ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ამ ვალდებულების შესრულება ათავისუფლებს დანარჩენ პარტნიორებს კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

პრაქტიკაში ხშირად რთულია იმის გარკვევა, ესა თუ ის გარიგება პარტნიორმა საზოგადოებისთვის ან მისი სახელით დადო თუ არა. ამიტომ საკითხის გარკვევისას, უნდა დადგინდეს, მოუტანა თუ არა მოქმედებამ საზოგადოებას რაიმე სარგებელი. თუ ეს ასეა, მაშინ ჩაითვლება, რომ ამ მოქმედიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პარტნიორები იმ წესით, რომელზეც უკვე ვისაუბრე.

სპს-ის პარტნიორებისა და კს-ის კომპლემენტარების სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი კანონითაა განსაზღვრული. ამიტომ, პარტნიორებს არა აქვთ უფლება სხვაგვარი წესები განსაზღვრონ ან გაათავისუფლონ ერთ-ერთი პარტნიორი პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, სამმა მოქალაქემ ჩამოაყალიბა „სპს ავტომანქანების სარემონტო მომსახურება“. მათ ცალ-ცალკე სახელოსნოები აქვთ, საქმიანობენ დამოუკიდებლად, მაგრამ საქმიანობის რამდენიმე სფერო გააერთიანეს და ამიტომ შექმნეს სპს, რომლის წესდებაში ჩაწერეს, რომ ისინი ერთმანეთის ვალდებულებებზე პასუხს არ აგებენ, თუმცა საქმიანობენ ერთიანი საფირმო სახელწოდებით და მიღებულ შემოსავალს ინაწილებენ წესდებით განსაზღვრული პრინციპებით. პარტნიორებს შორის ამგვარი შეთანხმება არ არის იურიდიული ძალის მქონე და იგი ბათილია მესამე პირისათვის. როცა მოქალაქეები სპს-ს ქმნიდნენ, არ ჰქონდათ უფლება უარი ეთქვათ სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპზე, ვინაიდან ეს საკანონმდებლო მოთხოვნა სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის, მესა-

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

მე პირთა ინტერესების დაცვის გარანტიაა. როცა პირი ხელშეკრულებას დებს სპს-თან, მან იცის, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თითოეული პარტნიორი აგებს პასუხს. ეს არის იმპერატიული ნორმა და პარტნიორების სხვაგვარ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. სწორედ ასეთ შემთხვევებს გულისხმობს მეწარმეთა შესახებ კანონის 2.7 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება.

შპს, სს და კოოპერატივი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ამ დროს საზოგადოებათა პარტნიორების პასუხისმგებლობა არ გამოიყენება. ეს აიხსნება იმით, რომ საქმე გვაქვს კაპიტალური ტიპის საზოგადოებებთან. ამ ზოგადი წესიდან არსებობს ორი გამონაკლისი, როცა კრედიტორების წინაშე პარტნიორებიც აგებენ პასუხს: შესატანის სრულად შეუტანლობა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება. მათზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

II. კრედიტორის ცნება

კრედიტორი არის პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება¹. რომელიმე მოთხოვნის კრედიტორი იმავდროულად შეიძლება იყოს საპირისპირო მოთხოვნის მოვალე. ამის კლასიკური მაგალითია ნასყიდობის ხელშეკრულება, როცა მყიდველი ერთდროულად უფლებამოსილია გამყიდველს მოსთხოვოს ნივთის გადაცემა და ვალდებულიცაა გადაუხადოს მას შესაბამისი საზღაური. არ არის აუცილებელი, რომ კრედიტორი იყოს ხელშეკრულების მხარე. მაგალითად, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების დროს მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე, მაგრამ მას აქვს მოთხოვნის უფლება, ე.ი. არის კრედიტორი.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ. „სამართალი“, 2001 წ., გვ. 27; ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ. 1999 წ., გვ. 5.

III. მესამე პირის ცნება

მესამე პირის ცნება სამოქალაქო და საკორპორაციო სამართლის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ცნებაა.

მეწარმეთა შესახებ კანონი ტერმინს – „მესამე პირები“ იყენებს იმ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც: ა. არ არიან სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები; ბ. წარმოადგენენ მომავალი გარიგებების მხარეს; გ. არ წარმოადგენენ გარიგების მხარეს, მაგრამ გარიგება შეიძლება დაიდოს მათ სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ (ე.ი. გარიგება შეიძლება შეეხოს მათ ინტერესებს)².

მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც. როცა კანონი მიუთითებს ამა თუ იმ შემთხვევის ბათილობაზე მესამე პირთათვის (მაგალითად, 3.2 მუხლის ბოლო წინადადება), იგულისხმება საზოგადოების არაპარტნიორი, მაგრამ საზოგადოების მიერ დადებული გარიგების შესაძლო მხარე. მესამე პირად ჩაითვლება ასევე ყველა ის პირი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას მოთხოვნა საზოგადოების ან მისი პარტნიორების მიმართ.

ყველა კრედიტორი იმავდროულად მესამე პირიცაა, ოღონდ ყველა მესამე პირი ავტომატურად არ არის კრედიტორი.

IV. შესატანის ცნება და სახეები

საზოგადოების დასაარსებლად, როგორც წესი, საჭიროა მომავალი პარტნიორების მიერ განსაზღვრული შესრულების განხორციელება, რითაც პირები ამ საზოგადოებაში თავიანთ მონაწილეობას ადასტურებენ. ამ შესრულებას საკორპორაციო სამართალში ეწოდება *შესატანი*.

შესატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით.

ფულადი შესატანის დროს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ვალუტით, მაგრამ საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში ეს თანხა აღინიშნება ეროვნული ვალუტით იმ კურსის შესაბამისად, რა

² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ 230.

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

კურსიც ჰქონდა შეტანის დღეს ეროვნულ ვალუტას. მაგალითად, შპს-ის დაფუძნების დროს ოთხმა პარტნიორმა საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განსაზღვრა 10 000 აშშ დოლარით, ხოლო თითოეულის შესატანი კი – 2 500 აშშ დოლარით. ეს თანხა საბუღალტრო წიგნებში აღინიშნება ლარებში, თუმცა პარტნიორებს საზოგადოების წესდებაში შეუძლიათ მიუთითონ, რომ მათ გადახდა განახორციელეს აშშ დოლარებით. იგივე წესი გამოიყენება სხვა ვალუტების მიმართაც.

ფულადი შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც საზოგადოების საბანკო ანგარიშზე, ასევე საზოგადოების სალაროში. მთავარია, რომ ეს სახსრები აისახოს საზოგადოების სახელზე და გადავიდეს მისი განკარგვის სფეროში.

V. არაფულადი შესატანის ცნება

კანონის 3.3 მუხლის მე-3 წინადადების თანახმად, „*შესატანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტების სახით*“. ამ ფორმით განხორციელებულ შესატანს არაფულადი შესატანი ეწოდება.

შეთანხმება არაფულადი შესატანის განხორციელების შესახებ უნდა განმტკიცდეს საზოგადოების წესდებით. წესდებაში უნდა მიეთითოს არაფულადი შესატანის სახე და თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა. საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან დასრულებული არაფულადი შესატანი ისე უნდა იყოს განხორციელებული, რომ საზოგადოებას, უფრო ზუსტად, მის ხელმძღვანელობას ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად გამოიყენოს და განკარგოს იგი. თუ საზოგადოებას არ მიუწვდება ხელი არაფულადი შესატანის თავისუფალ გამოყენებაზე, მაშინ შესატანი განხორციელებულად არ ჩაითვლება და საზოგადოებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

იმისათვის, რომ არაფულადი შესატანი შეტანილ იქნეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, აუცილებელია, რომ ამ არაფულადი შესატანის შემტანი იყოს მისი მესაკუთრე. *დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების ჩადება საწესდებო კაპიტალში*. ამიტომ, ქუთაისის საოლქო

სასამართლომ სწორად გააუქმა ბალდათის რაიონის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შპს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც დამფუძნებელმა პარტნიორმა საწესდებო კაპიტალში ჩადო იჯარით აღებული ქონება და ხარვეზის გამოსასწორებლად მისცა სამი თვე³.

VI. შეტანაუნარიანი ობიექტები

მართალია, კანონი მიუთითებს, რომ შესატანი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ქონებრივი თუ არაქონებრივი ობიექტების სახით, მაგრამ არ აზუსტებს, თუ რომელი საგნები შეიძლება იყოს ამ მიზნით გამოყენებული. საკორპორაციო სამართალში აღიარებული შეხედულების თანახმად, არაფულადი შესატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ობიექტები, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის საგანს შეადგენენ (ბრუნვაუნარიანი ობიექტები) და შესაძლებელია მათი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ე.ი. *არაფულადი შესატანის ობიექტი შეიძლება იყოს „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს“* (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი) და შესაბამისად, შესაძლებელია თავისუფლად მათი ჩართვა საზოგადოების ქონებაში. იმ ობიექტებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულადი შესატანის სახით, *შეტანაუნარიანი ობიექტები* ეწოდებათ.

ობიექტის შეტანაუნარიანად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ვარგისი იყოს საზოგადოების კაპიტალში შესატანად, რათა ამით უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების რეალური ქონების შექმნა. ე.ი. *არაფულადი შესატანის განხორციელების გზით საზოგადოებას უნდა შეექმნას ისეთი ქონება, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებლობისას კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას*. ამის წინაპირობა კი არის ის, რომ ეს ობიექტები უნდა გადავიდეს საზოგადოების რეალურ მფლობელობაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია იჯარისა და

³ ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შპს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე.

ქირაენობის უფლებათა შეტანა საწესდებო კაპიტალში, მაგრამ არა იჯარით აღებული ან დაქირაავებული ქონებისა.⁴

ახლა განვიხილოთ ცალკეული შემთხვევები, თუ რა შეიძლება იყოს საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის სახით გამოყენებული:

1. ნივთები

*საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის სახით პარტნიორებს შეუძლიათ შეიტანონ როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთები.*⁵

ორივე შემთხვევაში ისინი ამ ნივთებზე საკუთრებას გადასცემენ საზოგადოებას. ამიტომ არაფულადი შესატანის გაფორმება ამ დროს უნდა განხორციელდეს შესაბამისად მოძრავ ან უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისათვის გათვალისწინებული წესით. თუ არაფულადი შესატანის ობიექტია უძრავი ქონება (მაგალითად, ბინა ან საცხოვრებელი სახლი), ამას სჭირდება სანოტარო წესით დამოწმებული წესდება, რომელშიც ზუსტად აღინიშნება ობიექტის სახეობა, მისი აღწერა, ვინ გადასცემს ამ ქონებას და საზოგადოების, როგორც მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში⁶. თუ პარტნიორს შეაქვს ავტომანქანა, მაშინ ეს ავტომანქანა უნდა გადაფორმდეს საზოგადოების სახელზე.

თავისი სამართლებრივი ბუნებით, უძრავ ნივთებს უთანაბრდება აღნაგობის უფლება. ამიტომ სანივთო შესატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნაგობის უფლებაც.

თუ უძრავი ან მოძრავი ნივთი დატვირთულია სხვა სანივთო (ქონებრივი) უფლებებით (დაგირაავებულია ან დატვირთულია იპოთეკით), ეს არ შეუშლის ხელს მის გამოყენებას არაფულადი შესატანის სახით, მაგრამ შესატანის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება ეს გარემოება და ნივთის ღირებულება შესაბამისად შემცირდება.

⁴ გ. ლილუაშვილი, სამეწარმეო სამართლის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში. ურნ. „სამოსამართლო სწავლების ცენტრის საინფორმაციო გამოშვება“, 2000, №3, გვ. 8.

⁵ დაწერილებით ნივთების შესახებ: ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი, თბ. 1999 წ. გვ. 23–30.

⁶ საჯარო რეესტრის სამსახურის შემოღებამდე ტექნიკენტარისთვის ბიუროებში განხორციელებული რეგისტრაცია ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაცია (სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლი)

2. მოთხოვნები

მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულად შესატანად, თუ მათი ეკონომიკური ღირებულების დადგენა რეალურად შესაძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესატანად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი მოთხოვნები, რომელთა შეფასება შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის მიმართ არსებობს ეს მოთხოვნა – იგი შეიძლება არსებობდეს საზოგადოების მიმართაც. მაგალითად, საზოგადოებას დაკისრებული ჰქონდა კომპენსაციის ვალდებულება ერთ-ერთი პარტნიორის მიმართ 10 000 ლარის ოდენობით. ამ დროს პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება პარტნიორთა შესატანის გაზრდის შესახებ. კომპენსაციაზე უფლებამოსილ პარტნიორს შეუძლია თავის შესატანად გამოიყენოს საზოგადოების მიმართ არსებული კომპენსაციის მოთხოვნა.

მოთხოვნის გამოყენება არაფულადი შესატანის სახით უნდა გაფორმდებოდეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით საზოგადოებასა და შეტანაზე ვალდებულ პარტნიორებს შორის. თუ საზოგადოების წესდება ამ საკითხს დაწვრილებით აწესრიგებს, მაშინ საეკონომიკურად არ არის ცალკე ხელშეკრულების გაფორმება.

3. სხვა უფლებები და ქონებრივი ფასეულობები

არაფულად შესატანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებები. პირველს განეკუთვნება აღნაგობა, იპოთეკა და ა.შ. ხოლო მეორეს – კონკრეტული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი უფლებები, მაგალითად, ქირავნობის უფლება, იჯარა და სხვა⁷ შესატანად ამგვარი უფლებების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ მათ საფუძვლად არსებული ხელშეკრულების სწრაფი შეწყვეტა გამორიცხული უნდა იყოს. მაგალითად, თუ პარტნიორი არაფულადი შესატანის სახით დებს იჯარის უფლებას, რომელიც მას იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს, ეს უფლება მას სულ მცირე ისეთი ვადით მაინც უნდა ჰქონდეს, რომ

⁷ გ. ლილუაშვილი, სამეწარმეო სამართლის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნ. „სამოსამართლო სწავლების ცენტრის საინფორმაციო გამოშვება“. №3, 2000, გვ. 8.

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა შესატანი ცელილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

საზოგადოების მიერ ამ უფლების რეალური გამოყენების შესაძლებლობებს იძლეოდა. თუ მეიჯარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა, მაშინ ეკონომიკურ აზრს კარგავს შესატანის სახით ასეთი იჯარის უფლების გამოყენება. ცხადია, რომ ხელშეკრულების კონტრაქტებს ყოველთვის შეუძლიათ ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ ეს გონივრულ პირობებში უნდა ხდებოდეს და არა ისე, რომ საფრთხე შეექმნას საზოგადოების არსებობას.

მაშასადამე, არაფულადი შესატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სანივთო ან ვალდებულებით-სამართლებრივი უფლება, რომელთა გადაცემა საზოგადოებისათვის რეალურად შესაძლებელია და ასევე ვარგისია საზოგადოების მიერ გამოსაყენებლად.

*შეტანაუნარიანობის ექსპერტებს განეკუთვნება არამატერიალური ქონებრივი უფლებები, როგორცაა საავტორო, საგამომცემლო, სამრეწველო საკუთრების უფლებები,*⁸ მაშინაც კი, როცა მათზე პატენტები ან მოწმობები არ არის გაცემული. ამ უფლებების შესატანის სახით გამოყენების დროს პრაქტიკული სირთულე მდგომარეობს მათი რეალური ღირებულების დადგენაში, რაც საკმაოდ რთულია. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, გამოცდილ ექსპერტებსაც კი უჭირთ ამ უფლებათა რეალური ღირებულების დადგენა.

ზემოთ აღნიშნული უფლებებისაგან განსხვავებით, *არ შეიძლება არაფულადი შესატანის სახით გამოყენებულ იქნეს სასაქონლო ნიშანი, საფირმო სახელწოდება, კლიენტურა.* ისინი შეიძლება მხოლოდ შესაბამის საწარმოსთან ერთად იქნეს შეტანილი საზოგადოების კაპიტალში.

არაფულადი შესატანის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციები ან შპს-ის, სპს-ის, კს-ის წილები, თუკი ამ საზოგადოებათა პარტნიორები თანახმა არიან, ან თუ წესდება ასეთ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. თუ ასეთი შესატანისათვის შესაბამისი საზოგადოების თანხმობა საკვალდებულოა, მაშინ საჭიროა მისი წარდგენა საზოგადოების რეგისტრაციისათვის აუცილებელ საბუთებთან ერთად. თუ წესდება იძლევა ამგვარი შესატანის განხორციელების უფლებას, მაშინ სასამართლოს რეგისტრაციისას უნდა წარედგინოს ამ წესდების ასლიც.

⁸ დაწერილებით: დ. მაშუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. 2000წ.

4. ნივთებისა და უფლებების ერთობლიობა

არა მხოლოდ ცალკეული საგნები ან უფლებები, არამედ მათი ერთობლიობაც შეიძლება ჩაითვალოს შეტანაუნარიან ობიექტებად, თუკი ისინი აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს. ამგვარი ერთობლიობის მაგალითები მრავლადაა: საქონლის საწყობი – მასში არსებულ საქონელთან ერთად, მალაზია – თავისი საქონლითა და მოწყობილობით, საწარმო მთლიანად ან ნაწილობრივ მათი შეტანა საზოგადოების კაპიტალში შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთიანი აქტის (ერთი ხელშეკრულების) მეშვეობით, ასევე ცალ-ცალკე ხელშეკრულებებით, რომლებიც შესატანის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს მოიცავს.

პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს გამოყენებას არაფულადი შესატანის სახით. ესაა შემთხვევები, როცა ერთი საწარმოს დასაფუძნებლად საწესდებო კაპიტალში პარტნიორს საწარმო შეაქვს. ინდივიდუალური საწარმოს ან სხვა სამეწარმეო საზოგადოებების შემთხვევაში არსებობს მათი რეორგანიზაციის შესაძლებლობა. საწარმოს შეტანის ვალდებულება გიცავს საწარმოს ყველა ქონებრივ ფასეულობას, მათ შორის ხელშეკრულებებს, კლიენტურას და ა.შ. *საზოგადოების წესდებაში უნდა განისაზღვროს, საწარმოს შეტანის შედეგად მხოლოდ უფლებები გადადის თუ შეტანილი საწარმოს ვალდებულებებიც.* თუ ეს ურთიერთობები საზოგადოების წესდებით დეტალურად არ არის მოწესრიგებული, მაშინ, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ კანონის მე-8 მუხლი.

5. ობიექტები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაფულად შესატანად

დასავლეთის ქვეყნების სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ აღიარებულია, რომ მომსახურების გაწევის ვალდებულება, ან მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები არ შეიძლება ჩაითვალოს შესატანად მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნები გადაცემადია⁹.

⁹ Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. – 15. Aufl. §5, Rn. 17.

VII. არაფულადი შესატანების აღნიშვნა წესდებაში

არაფულადი შესატანით საზოგადოების დაფუძნებისას წესდებაში აუცილებელია ისეთი დებულებების გამტკიცება, რომლებიც კრედიტორებს მიაწვდიან აუცილებელ ინფორმაციას საწესდებო კაპიტალის შემადგენლობის შესახებ, ხოლო სასამართლოს კი – გაუადვილებს კონტროლს საზოგადოების რეგისტრაციისას. მართალია, იმ მონაცემების ნუსხა, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების რეგისტრაციისათვის, მოცემულია 5.4 მუხლში, მაგრამ ამავე დროს, აუცილებელია იმ სპეციფიკური ნიშნების აღნიშვნაც, რომლებიც არაფულად შესატანს ახასიათებს. გარდა არაფულადი შესატანის განხორციელებაზე ვალდებული პარტნიორის ვინაობისა, წესდებაში უნდა აღინიშნოს:

ა. არაფულადი შესატანის ობიექტი •

წესდებაში ეს ობიექტი ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევდეს მისი სახეობის, ოდენობის, უფლებრივი მდგომარეობისა და ა.შ. საკითხი. თუ არაფულადი შესატანი არის საწარმო, მაშინ წესდებაში საკმარისია მისი აღმნიშვნელი, საიდენტიფიკაციო მონაცემების (საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის მონაცემები და ა.შ) ჩაწერა. უფრო დეტალური აღწერა შეიძლება მოცემული იყოს წესდების დანართში.

თუ შესატანი ხორციელდება გვარეობითი საგნებით, მაშინ საკმარისია წესდებაში აღინიშნოს მათი სახეობა და ოდენობა. მაგალითად, თუ ერთ-ერთ პარტნიორს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეაქვს შაქარი, მაშინ უნდა აღინიშნოს შაქრის ხარისხი და ოდენობა. თუ მანქანამოწყობილობა შეადგენს შესატანის საგანს, მაშინ ცალ-ცალკე უნდა იყოს აღწერილი ამ ნივთის ცალკეული ნაწილები.

ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნებისა და უფლებების შემთხვევაში, წესდებაში უნდა აღინიშნოს ის ნიშნები, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული ობიექტებისათვის და იძლევიან მათი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. საწარმოს რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს, თუ მისი

რეგისტრაციის მასალებში, ასევე წესდებაში არ არის მითითებული, თუ რა ობიექტია შეტანილი საწესდებო კაპიტალში.¹⁰

ბ. შესატანის ოდენობა

წესდებაში უნდა ჩაიწეროს არა მხოლოდ შესატანის ღირებულება, არამედ წილის ოდენობაც, მაშინაც კი, როცა შესატანი შეიტანება ნაწილი ფულის, ხოლო ნაწილი – არაფულადი შესატანის ფორმით, უნდა აღინიშნოს შესატანის ოდენობა და რეალურად განხორციელებული ღირებულებაც. *კანონი წილის დროებით განსაზღვრას არ იცნობს.* ამიტომ სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ საწარმოს დაფუძნებისას პარტნიორების წილი დროებით იყო განსაზღვრული.¹¹

არსებობს მოსაზრება, რომ შესატანის ოდენობისა და რაობის ფიქსირება სავალდებულო წესით მოგვეთხოვა კომპლემენტარებისაგან, იქნება ეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა თუ კომანდიტურ საზოგადოებებში.¹² ვფიქრობ, რომ ეს არ არის აუცილებელი, რადგან კომპლემენტარების პასუხისმგებლობა, განსხვავებით კომანდიტებისაგან, არის შეუზღუდავი: ისინი საზოგადოების კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს, მიუხედავად განხორციელებული შესატანის ოდენობისა.

გ. არაფულადი შესატანის განხორციელების ვადები

არაფულადი შესატანის განხორციელების მიმართ გამოიყენება შესატანის განხორციელების ზოგადი ვადები, რომლებიც განმტკიცებულია 3.5 მუხლში.

¹⁰ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება შპს „აპოლინას“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელიც ძალაში დატოვეს თბილისის საოლქო სასამართლომ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 14 თებერვლის განჩინებით და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 27 ივნისის განჩინებით (სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001, №10, გვ. 1056–1059).

¹¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №10 გვ. 488-490.

¹² ა. კახნიაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. ყურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა – 1999 წლის მეოთხე კვარტალი, გვ. III.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა სრულიად მართებული მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია დამფუძნებელ პარტნიორებს რეგისტრაციის განხორციელებამდე მოეთხოვოთ არაფულადი შესატანის სრულად შეტანა.¹³

VIII. წესდების ნაკლის შედეგები

თუ საზოგადოების წესდება არ შეიცავს 5.4 მუხლითა და წინა პარაგრაფში გათვალისწინებულ მონაცემებს, ან შეიცავს, მაგრამ არასრულყოფილად, მაშინ პარტნიორებს შორის შეთანხმება არაფულადი შესატანის განხორციელების თაობაზე ბათილია. ეს კი საზოგადოების დაშლის საფუძველია, ვინაიდან მიიჩნევა, რომ პარტნიორებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. სასამართლოს კი შეუძლია უარი თქვას საზოგადოების რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ საზოგადოების წესდება არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუ აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოში საზოგადოების რეგისტრაცია მაინც მოხდა, რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფციიდან გამომდინარე, საზოგადოების არსებობა ჩაითვლება ნამდვილად, მაგრამ ბათილი იქნება პარტნიორის ვალდებულება არაფულადი შესატანის შესახებ საზოგადოების წინაშე, თუმცა ის არ გათავისუფლდება საზოგადოების წინაშე ვალდებულებისაგან და 3.3 მუხლის მე-5 წინადადების თანახმად, მას დაეკისრება შესატანის განხორციელება ფულით.

არაფულადი შესატანის ფულადით შეცვლის ვალდებულება უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა, მართალია, წესდებაში აღნიშნულია არაფულადი შესატანის შესახებ, მაგრამ იგი საზოგადოებას არ გადასცემია სათანადო წესით, ე.ი. მის ბალანსში არ ასახულა. დამატებით შეიძლება აქ გამოყენებულ იქნეს კანონის 5.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

¹³ ა. კახიანიშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა - 1999 წლის მეოთხე კვარტალი. გვ. 109.

IX. შესატანის შეცვლა

კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობებს, რომ შესატანი განხორციელდეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანის სახით. მომავალი პარტნიორები დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს, თუ შესატანის რა ფორმა არის მათთვის ხელსაყრელი. ეს არჩევანი მათ საზოგადოების დაფუძნებამდე და მის რეგისტრაციამდე უნდა გააკეთონ.

ბუნებრივად, იბადება კითხვა — შეუძლიათ თუ არა პარტნიორებს უკვე განხორციელებული შესატანის შეცვლა? კანონი პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე არ იძლევა, მაგრამ მისი ცალკეული ნორმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნების გაკეთება, რომლებიც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა და პირველ რიგში მიზნად ისახავენ ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობისა და საწარმოთა შესაძლო კრედიტორების უსაფრთხოების დაცვას.

1. ფულადი შესატანის შეცვლა არაფულადი შესატანით

ფულადი შესატანის შეცვლა არაფულადი შესატანით მას შემდეგ, რაც შესატანი განხორციელებულია და საზოგადოება რეგისტრირებული, დაუშვებელია. ეს დასკვნა გამომდინარეობს 3.3 მუხლის მე-2 აბზაციდან, რომლის თანახმად, შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამ ნორმის მიზანი კრედიტორების დაცვა და საწარმოებს შორის ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. თუ პარტნიორებს ჩვენ ამის უფლებას მივცემთ, მაშინ დიდი საფრთხე შეექმნებოდა კომერციული ურთიერთობების სიმყარესა და სტაბილურობას. მაგალითად, კონტრაქტმა იცის, რომ მისი სახელშეკრულებო პარტნიორის საწესდებო კაპიტალი უზრუნველყოფილია ფულით და უცებ ეს პარტნიორი იღებს გადაწყვეტილებას შესატანი შეცვალოს არაფულადი შესატანით. ფულადი შესატანის არაფულადით შეცვლის დაუშვებლობა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებულ შეხედულებასა და სასამართლო პრაქტიკას. ეს შეესაბამება 3.3 მუხლის პირველი აბზაცის მოთხოვნასაც, რომელიც ითვალისწინებს ნაკლულად განხორციელებული არაფულადი შესატანის შევსებას ფულით, მაგრამ არა პირიქით.

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

2. არაფულადი შესატანის ობიექტების გამოცვლა

დაუშვებლად არის მიჩნეული, ასევე, არაფულადი შესატანის ობიექტების გამოცვლა, მიუხედავად ამ ობიექტების ღირებულებისა. არაფულადი შესატანის სახით შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც საზოგადოების წესდებაშია აღნიშნული. ასეთი ცვლილებები ეწინააღმდეგება 3.3 მუხლის მე-2 აბზაცის მოთხოვნებს. ე.ი განხორციელებული შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის ოფიციალური შემცირების შემთხვევაში.

იმავდროულად, კანონის 3.6 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

3. არაფულადი შესატანის შეცვლა ფულადით

კანონი ასეთ შესაძლებლობას პირდაპირ განამტკიცებს. მართალია, კანონის 3.3 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ეს შეეხება ნაკლულად განხორციელებულ არაფულად შესატანს, მაგრამ ფულადი შესატანის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე (მას არ სჭირდება დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება), იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ არაფულადი შესატანი ნებისმიერ დროს შეიცვალოს ფულადი შესატანით ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ეკონომიკურ ურთიერთობებს. ასეთი შეცვლის შესაძლებლობას ითვალისწინებს 3.5 მუხლის მე-4 აბზაციც.

X. არაფულადი შესატანის შეფასება

არაფულადი შესატანის გზით საწესდებო კაპიტალის შექმნისას კანონი (3.3 მუხლის მე-3 წინადადება) ერთ თავისებურებას ითვალისწინებს: თუ ასეთი შესატანი შეიტანება შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებათა (კს, შპს, სს) დასაარსებლად, მაშინ, იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ (არაფულადი შესატანის შეფასება). დამოუკიდებელი აუდიტორის ლეგალურ ლეფინიციას

განამტკიცებს კანონის 19.3 მუხლი, რომლის თანახმად „დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესაძლებელი საწარმოსგან ან მათი თანამდებობის პირთაგან“. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შედგენილი დასკვნა არაფულადი შესატანის შესახებ დაერთვება საზოგადოების წესდებას და 5.4, 5.5 მუხლებში გათვალისწინებულ მასალებთან ერთად წარედგინება სამეწარმეო რეესტრის რეგისტრაციისათვის.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დამფუძნებელ პარტნიორებს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პირდაპირ შეაქვთ სახელმწიფოსგან პრივატიზაციის გზით შეძენილი ქონება. ამ გზით ერთ-ერთი შპს-ის დაფუძნებისას არ იყო წარდგენილი არაფულადი შესატანის შესახებ აუდიტის დასკვნა, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ მიიჩნია რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლად, რადგან საწესდებო კაპიტალი შეფასებული იყო სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ. სასამართლომ არაფულადი შესატანის შეფასების დამადასტურებელ საბუთად ჩათვალა სახელმწიფოს მიერ გაცემული საპრივატიზაციო დოკუმენტები. უზენაესმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ *„აუდიტორის დასკვნა იმ შემთხვევაშია სავალდებულო, თუ სხვა რაიმე საბუთი არ არის წარდგენილი, რითაც შესაძლებელი იქნება დადგინდეს არაფულადი შესატანის შეფასება“*.¹⁴

შეტანაზე ვალდებული პარტნიორი (მაგალითად, კომანდიტი) საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს არაფულადი შესატანის იმ ღირებულებისათვის, რომელიც ამ ობიექტს რეგისტრაციის მომენტში ჰქონდა. შესაძლებელია, რომ არაფულადი შესატანის შეფასების დასკვნიდან საზოგადოების რეგისტრაციამდე გავიდეს გარკვეული დრო და ამ ობიექტის ღირებულება შემცირდეს ან გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, ღირე-

¹⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №10, გვ. 488–490.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

ბულების შეფასების კრიტერიუმი იქნება დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაში მოცემული ღირებულება.

საზოგადოების დაფუძნებისას განხორციელებული შესატანის განკარგვის უფლება შესატანის განხორციელების შემდეგ აქვს საზოგადოებას: საზოგადოება ხდება ამ ქონების მესაკუთრე.¹⁵

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა საზოგადოებათა წესდებების მიხედვით, საზოგადოების კაპიტალი „ეკუთვნის მის მონაწილეებს წილობრივი საკუთრების უფლებით“ (მაგალითად, შპს „პეგასის“ წესდების მე-2 თავის 2.4 პუნქტი).¹⁶ ეს ჩანაწერი ბათილია და იგი არის საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის საფუძველი, ხოლო თუ რეგისტრაცია მოხდა – მისი გაუქმების საფუძველი.

თუ შესატანი ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე ნაკლებია, მაშინ იგი უნდა შეივსოს ფულით (3.3 მუხლის მე-5 წინადადება). მაგალითად, მომავალ პარტნიორს უნდა შეეტანა 1500 ლარი. მან არაფულადი შესატანის სახით შეიტანა კომპიუტერი, რომლის ღირებულება არის 1300 ლარი. დანარჩენი 200 ლარი მან უნდა შეიტანოს ფულით, ხოლო *თუკი არაფულადი შესატანის ღირებულება აღემატება დათქმულ თანხას, ზედმეტი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია*. მაგალითად, პარტნიორს უნდა შეეტანა 1 000 ლარი, მან შეიტანა კომპიუტერი, რომლის ღირებულება 1 300 ლარია. განსხვავება 300 ლარი მას არ დაუბრუნდება.

XI. საწესდებო კაპიტალის ცნება

საწესდებო კაპიტალი არის კანონით განმტკიცებული და საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ქონება, რომელიც აუცილებელია შპს-

¹⁵ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში შეცდომით მიუთითა, რომ „პარტნიორებია შპს-ის ქონების მესაკუთრეები“ (სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №7, გვ. 715). უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ სასამართლო გულისხმობდა პარტნიორებს ეკონომიკური გაგებით მესაკუთრეებად და არა სამართლებრივი, უფლებრივი გაგებით.

¹⁶ თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „პეგასის“ საქმეზე.

ის, სს-ის ან კოოპერატივის დაფუძნებისათვის და რომლის შეტანის ვალდებულებასაც პარტნიორები (აქციონერები) წესდებით კისრულობენ. შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს ორი ათას ლარს, ხოლო სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი – თხუთმეტ ათას ლარს. რაც შეეხება კოოპერატივის მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობას, მას კანონი არ განსაზღვრავს. მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობას თითოეული კოოპერატივისათვის პარტნიორები თავად ადგენენ. 61.1 მუხლის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, კოოპერატივის მინიმალური საწესდებო კაპიტალი ას ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს: ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. ყველაზე მინიმალური თანხა, რომელიც ორმოცდაათზე უნაშთოდ იყოფა არის ორმოცდაათი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოოპერატივის დასაფუძნებლად აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პარტნიორი (მეპაიე) მაინც, და თითოეულის პაიც ორმოცდაათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს, მაშინ ცხადია, რომ კოოპერატივის მინიმალური საწესდებო კაპიტალი არის 100 ლარი.

საეკლდებულო საწესდებო კაპიტალის მქონე საზოგადოებას კაპიტალური (კაპიტალისტური) საზოგადოება ეწოდება.

საწესდებო კაპიტალის შესახებ კანონის ნორმების უმთავრესი მიზანი კრედიტორების დაცვაა. მას შემდეგ, რაც სამოქალაქო სამართალში შემოვიდა იურიდიული პირების ცნება, რომელიც პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან იყო დაკავშირებული, დადგა ამ პასუხისმგებლობის მინიმალური ფარგლების უზრუნველყოფის აუცილებლობაც. სწორედ ამიტომ, გაჩნდა ცნება – კაპიტალისტური საზოგადოების, რომლის არსებობაც, სწორედ, მინიმალური საწესდებო კაპიტალით იყო განპირობებული.¹⁷

კრედიტორების ინტერესების დაცვისა და საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, კანონი მოითხოვს, რომ განისაზღვროს:

- ა. საწესდებო კაპიტალის ოდენობა წესდებით;
- ბ. თითოეული პარტნიორის ვალდებულება საწესდებო კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით;

¹⁷ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 300.

გ. საწესდებო კაპიტალში შესატანის ფორმა (ფულადი თუ არაფულადი);

დ. არაფულადი შესატანის შემთხვევაში მისი სავალდებულო შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

ე. საწესდებო კაპიტალის ოდენობის გამოქვეყნება პრესაში და ა.შ.

მართალია, კაპიტალისტური საზოგადოებების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე მხოლოდ საწესდებო კაპიტალით არ შემოიფარგლება, მაგრამ იგი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების მინიმალური და მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამიტომაც, საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა (3.3 მუხლის მე-2 აბზაცი; 3.4, 3.6 და 3.7 მუხლები).

XII. საწესდებო კაპიტალი და საზოგადოების ქონება

საწესდებო კაპიტალი არ არის საზოგადოების ქონების იდენტური ცნება. საწესდებო კაპიტალი არის წესდებაში მყარად განსაზღვრული ფულადი თანხა. იგი დაყოფილია წილებად (შპს-ში), აქციებად (სს-ში) ან პაიებად (კოოპერატივებში). *საწესდებო კაპიტალის ოდენობა ყოველთვის შეადგენს წილთა (აქციათა, პაიების) ნომინალური ღირებულების ჯამს (არც მეტი არც ნაკლები)*. მათი რეალური საბაზრო ღირებულება კი ყოველთვის ან აღემატება, ან ნაკლებია ნომინალურ ღირებულებასზე.

საზოგადოების ქონება (ეკონომიკური გაგებით „საზოგადოების კაპიტალი“) არის საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა. მათ განეკუთვნება: ფული, მანქანა-დანადგარები, მიწის ნაკვეთები და ა.შ. საზოგადოების ქონება შეიძლება იყოს საწესდებო კაპიტალზე მეტი ან ნაკლები. საზოგადოების ქონება, როგორც წესი, აღემატება საწესდებო კაპიტალს. თუ საზოგადოების საქმიანობა წამგებიანია — ქონება შეიძლება საწესდებო კაპიტალზე ნაკლებიც იყოს.

ბუნებრივია, რომ არც ერთ კანონს არ შეუძლია საწარმოთა გაკოტრების ან მათი არარენტაბელობის თავიდან აცილება. მაგრამ *კანონი მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა:*

- ა. პარტნიორთა ვალდებულება შეიტანონ საწესდებო კაპიტალი;
 ბ. თუ საწესდებო კაპიტალი შემცირდა წესდებაში აღნიშნულთან შედარებით საზოგადოებამ სასწრაფოდ უნდა შეაქოს იგი;
 გ. პარტნიორი არ შეიძლება გათავისუფლდეს შესატანის შეტანის მოვალეობისაგან;

დ. დაუშვებელია მოგების განაწილება, ვიდრე საზოგადოების ქონება არ მიაღწევს საზოგადოების მინიმალურ საწესდებო კაპიტალს და ა.შ.

საწესდებო კაპიტალის შეტანისა და კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველყოფის პრინციპი კანონის მრავალ ნორმაშია განმტკიცებული და მიზნად ისახავს საწესდებო კაპიტალის დაცვას.

დასავლეთის უმრავლესი ქვეყნების მსგავსად, მეწარმეთა შესახებ კანონი არ განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მაქსიმალურ ოდენობას. ამ მხრივ, გამონაკლისია შეეცარიის სამართალი, რომელიც შპს-ისთვის აწესებს საწესდებო კაპიტალის მაქსიმუმს ორი მილიონი შეეცარიული ფრანკის ოდენობით¹⁸.

XIII. შესატანის დაბრუნება

კს-ში, შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში შესატანის დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. საწესდებო კაპიტალის შემცირებად ითვლება მისი ოფიციალური რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამისათვის კი საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში (3.3 მუხლის მე-2 აბზაცი). ამ ნორმის მიზანია კრედიტორების დაცვა და მათი მოთხოვნების რეალური უზრუნველყოფა. ამიტომ, თუ საწესდებო კაპიტალის შემცირება მოხდა ამ შემცირების ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე, მაშინ საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საწესდებო კაპიტალის იმ ოდენობით, რომელიც მას შემცირებამდე ჰქონდა. მაგალითად, შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 000 ლარს, რომელშიც ერთ-ერთი პარტნიორის წილი არის 2 500 ლარი. ამ უკანასკნელმა გაიტანა თავისი წილი ისე, რომ სამეწარმეო რეესტრში ეს ფაქტი არ ყოფილა რეგისტრირებული. როცა

¹⁸ შეეცარიის ვალდებულებითი სამართლის 773-ე მუხლი.

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

მისი პასუხისმგებლობა დადგება, იგი პასუხს აგებს 2 500 ლარის ოდენობით, ზოლო საზოგადოება, როგორც წესი, მთელი თავისი ქონებით პლუს 2 500 ლარი, ვინაიდან მისი უკან დაბრუნების ფაქტი არ იყო რეგისტრირებული.

3.6 მუხლი განამტკიცებს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში საზოგადოების ვალდებულებას. კერძოდ:

1. თუ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შემცირდა 3.3 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, იგი კვლავ უნდა შეივსოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე. თუ შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2 000 ლარს და ერთ-ერთმა წევრმა გაიტანა თავისი 500 ლარი, საწესდებო კაპიტალი კვლავ უნდა შეივსოს 2 000 ლარამდე. ამ შემთხვევაში სულ ერთია, თუ რა გზით მოხდება ეს შეესება – ახალი პარტნიორის მიღებით, თუ დარჩენილი პარტნიორები შეიტანენ ამ თანხას;

2. თუ შემცირება მოხდება შესატანის დაბრუნების ან შეუტანელი ნაწილის გადახდისაგან გათავისუფლების მიზნით, მაშინ თითოეულ პარტნიორზე დარჩენილი შესატანის თანხა არ შეიძლება იყოს 50 ლარზე ნაკლები (3.6 მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება).

შეზღუდვებს ითვალისწინებს კანონი იმ პარტნიორების მიერ შესატანის უკან გამოტანისთვისაც, რომელთა პასუხისმგებლობაც შეზღუდულია მათი შესატანის ოდენობით. კერძოდ, ეს წესი ეხება კომანდიტებს. მათი შესატანის უკან დაბრუნება შეიძლება მხოლოდ საზოგადოების საგარანტიო თანხის შემცირების ოფიციალური რეგისტრაციიდან და ამ ფაქტის გამოქვეყნებიდან თორმეტი თვის შემდეგ. ამ წესების დარღვევისათვის პარტნიორი ვალდებულია უკან დააბრუნოს მიღებული თანხა ან ვალდებულია ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი (57.2 მუხლის ანალოგიით).

როგორც უკვე აღინიშნა, პარტნიორის მიერ შესატანის უკან დაბრუნება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და ოფიციალურად უნდა შემცირდეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი. თუ ეს არ მოხდა, კრედიტორებისათვის ეს არ ითვლება უკან დაბრუნებად. ზოლო პასუხისმგებლობის შემთხვევაში პარტნიორი ვალდებულია საზოგადოებას დაუბრუნოს მიღებული თანხა, იგივე წესი გამოიყენება საზოგადოების სალაროდან

ფულის გახარჯვის შემთხვევაში და როცა ზარალის შედეგად მისი წილი კაპიტალი შემცირდება გადახდილ შესატანთან შედარებით.

XIV. შესატანის შეუსრულებლობის შედეგები

1999 წლის 9 ივნისის კანონით 3.4 მუხლში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც განსხვავებულად მოაწესრიგა პარტნიორების პასუხისმგებლობის საკითხი შესატანის შეუსრულებლობის შემთხვევისათვის.

3.4 მუხლის პირველი აბზაცი განსაზღვრავს კომანდიტის, შპს-ის პარტნიორის, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი წევრის პასუხისმგებლობის საკითხს, როცა მათ წესდებით გათვალისწინებული შესატანი სრულად არა აქვთ განხორციელებული. შესატანის სრულად შეტანამდე ისინი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შესატანის ოდენობით.

კანონის სიახლე სწორედ ამაში მდგომარეობს. კანონის ბოლო ცვლილებამდე პარტნიორები შესატანის საბოლოო შეტანამდე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ შეუზღუდავად მთელი თავიანთი ქონებით. კანონის ახალი ცვლილებით ეს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება შეუტანელი შესატანის მოცულობით.

მეორე შემთხვევა, როცა პარტნიორი პასუხს აგებს საზოგადოების ვალებისათვის, არის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად არ გამოძინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის საზოგადოებას, რა ვალდებულებები აკისრია მას და რა – არა.

თუ კონკრეტულ მაგალითს მოვიხმობთ, უფრო ნათელი გახდება ამგვარი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ერთ-ერთმა პარტნიორმა იკისრა შპს-ის კაპიტალში შესატანის სახით საკუთარი ავტომანქანის შეტანა. ამის შესახებ სათანადოდ აღინიშნა საზოგადოების წესდებაში, მაგრამ მანქანის გადაფორმება საზოგადოების სახელზე არ მომხდარა და არც ბალანსში ყოფილა სათანადო ჩანაწერი გაკეთებული. როცა დადგა სა-

ზოგადობის პასუხისმგებლობის საკითხი, კრედიტორს ეგონა, რომ მან-ქანა შპს-ის საკუთრებას შეადგენდა. სინამდვილეში კი ეს ასე არ იყო. ეს ის შემთხვევაა, როცა საზოგადოების ქონება სხვა ქონებაშია არეული. ამ დროს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ იმ პარტნიორს, რომელსაც ბრალი მიუძღვის.

ზშირია ანალოგიური შემთხვევები საწესდებო კაპიტალში ბინების ან საცხოვრებელი სახლების ჩადებისას. დამფუძნებელი პარტნიორები მხოლოდ იმით შემოიფარგლებიან, რომ წესდებაში აკეთებენ ჩანაწერს საწესდებო კაპიტალში სახლის ან ბინის ჩადების თაობაზე. თუმცა, შემდგომი გადაფორმება საზოგადოების სახელზე და არც რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში არ ხდება. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ დამფუძნებელ პარტნიორებსაც.

XV. შესატანის განხორციელების ვადები და ვადის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები

შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს (3.5 მუხლი). წესდების ხელმოწერისთანავე შესატანის შეტანა გულისხმობს, ფაქტობრივად, შესატანის განხორციელებას საზოგადოების რეგისტრაციამდე.¹⁹ ფულადი შენატანი აისახება ბანკის ანგარიშზე, ხოლო საწარმოს სალაროში ფულის შეტანისას კი – დამადასტურებელ ქვითარზე. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედებდა წესი, რომლის თანახმადაც ბანკი მხოლოდ დროებითი რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე უხსნიდა საზოგადოებას ანგარიშს, რაც უდავოდ ართულებდა საზოგადოებ-

¹⁹ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ლიტერატურაში გამოთქმული სამართლიანი მოსაზრება საწესდებო კაპიტალში შესატანის ნახევრის შეტანის ვადების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრების თანახმად, კანონში სასურველია დაზუსტდეს შეტანის განხორციელების ვადა და კერძოდ, იგი განისაზღვროს სასამართლოში განცხადების შეტანის დღით შემოთავაზებულია კანონში ცვლილების შეტანა შემდეგი რედაქციით: „ფულადი შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში განცხადების შეტანის დღისათვის“ (ა. კახიანიშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა – 1999 წლის მეორე კვარტალი. გვ. 109).

ის რეგისტრაციის პროცედურას. კანონი მეწარმეთა შესახებ ამგვარ პროცედურას არ ითვალისწინებს. ამიტომ *ბანკში დროებითი ანგარიშის გასახსნელად საკმარისია სანოტარო წესით დამოწმებული და პარტნიორების მიერ ხელმოწერილი წესდების წარდგენა.*

შესატანის შეტანის გაჭიანურება შეიძლება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი გახდეს. ამის შესახებ ყოველმა პარტნიორმა წერილობით უნდა გააფრთხილოს შეტანაზე ვალდებული პარტნიორი. ამ გაფრთხილებაში მითითებული იქნება შესატანის დამატებით ვადა, რომელიც არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები (3.5 მუხლის მე-2 აბზაცი).

შესატანის შეტანის ვადის უშედეგოდ გასვლის გამო პარტნიორის გარიცხვის გარდა, კანონი სხვა შედეგებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, ვადის დამრღვევი პარტნიორი მთლიანად კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ამის შესახებაც მას ეცნობება წერილობით.

შესატანის განუხორციელებლობის გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი პრაქტიკული საკითხი: თუ ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორს (ან პარტნიორებს) არ შეაქვს შესატანი სრულად, შეუძლია თუ არა უმცირესობაში მყოფ პარტნიორს (პარტნიორებს) გარიცხოს ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კანონის 3.5 მუხლის მე-2 აბზაცი იძლევა პარტნიორის გარიცხვის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ამ ნორმის შინაარსი არ განამტკიცებს, რომ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს უმრავლესობის მიერ. თუ შესატანის შეუტანლობის ფაქტი არსებობს, ეს უკვე საფუძველია იმისათვის, რომ ბრალეული პარტნიორი გაირიცხოს საზოგადოებიდან. არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას – უმცირესობა თუ უმრავლესობა. *შესატანის შეუტანლობის საბაბით პარტნიორის გარიცხვის საკითხი წყდება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ და ამ დროს საზოგადოების კრების მოწვევა სავალდებულო არ არის.* ასევე არ არის აუცილებელი პარტნიორის გარიცხვის მიზნით სასამართლოში სარჩელით მიმართვა.²⁰

²⁰ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ 244–250.

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

3.5 მუხლის შესაბამისად, შესატანის შეტანის ვადის გადაცილების გამო, პარტნიორის გარიცხვა წარმოადგენს პარტნიორთა უფლებამოსილებას და არა სასამართლოსი. სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოების მიერ აღნიშნული მუხლის მოთხოვნათა დაუცველობა.²¹

ყველა სხვა შემთხვევაში საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს საზოგადოებიდან მის გარიცხვას. ეს შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვის თაობაზე იღებს სასამართლო.²²

3.5 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან უდავო წარმოების წესით არ დაიშვება. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით.²³

თუ საზოგადოებამ მიიღო ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო შესატანის შეუსრულებლობით, დანარჩენი პარტნიორები პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება. იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს უნდა შეეტანა არაფულადი შესატანი, მაშინ, ის შეიცვლება ფულადი შესატანით, გადანაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის და შეტანა მოხდება მათი წილის შესაბამისად.

საზოგადოებას არა აქვს უფლება პარტნიორები გაათავისუფლოს შესატანთან დაკავშირებული მოთხოვნებისაგან, კერძოდ, გაათავისუფლოს შესატანის გადახდის მოვალეობისაგან (3.7 მუხლი).

²¹ თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02- 605/99.

²² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ 44-50.

²³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ 44-50; №3, გვ 244-250.

XVI. პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის ცნება

3.8 მუხლი განამტკიცებს *პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს* – თანაბარ პირობებში პარტნიორებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. თანაბარ პირობებში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ხმათა თანაბარი რაოდენობა საზოგადოებაში. ხმათა რაოდენობა კი დამოკიდებულია საზოგადოებაში წილის ოდენობაზე. ამიტომ, თანაბარი პირობების პრინციპი შეიძლება სხვაგვარად ასე ჩამოყალიბდეს: *თითოეულ პარტნიორს აქვს საზოგადოებაში თავისი წილის შესაბამისი უფლებები და მოვალეობანი*. თუ პარტნიორთა წილი თანაბარია, მაშინ მათი უფლება-მოვალეობანიც იქნება თანაბარი.

თანასწორუფლებიანობის ამ ზოგადი პრინციპიდან შეიძლება არსებობდეს *გამონაკლისები*: როცა კანონი თვითონ განსაზღვრავს მათ და, როცა, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, პარტნიორები თავად მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას. პირველის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კომანდიტური საზოგადოება. სადაც შესაძლოა კომპლემენტარსაც და კომანდიტსაც თანაბარი წილი ჰქონდეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში წილთა თანაბრობა არ განაპირობებს მათ თანასწორუფლებიანობას. კერძოდ, კომანდიტი არ შეიძლება იყოს საზოგადოების ხელმძღვანელი (9.1 მუხლი). გარდა ამისა, კრედიტორების წინაშე კომანდიტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი საგარანტიო თანხით, ხოლო კომპლემენტარი მთლიანად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით (34.1 მუხლი). მეორე შემთხვევა უფრო მეტად მიზანშეწონილობით არის განპირობებული: თანაბარი წილის მიუხედავად, პარტნიორებმა შეიძლება ერთ-ერთ პარტნიორს მიანიჭონ მეტი უფლებები. საზოგადოებამ შეიძლება გასცეს ხმის უფლების არმქონე წილები. ამ შემთხვევაში მოტივის მნიშვნელობა არა აქვს.

ყოველ პარტნიორს წილის სიდიდისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობის მიუხედავად, აქვს კანონით მინიჭებული უფლებები, რომელთა შეზღუდვა ან აკრძალვა დაუშვებელია. ამ უფლებებს მიეკუთვნება:

ა. წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება;

ბ. წლიური ანგარიშის სისწორის შემოწმების უფლება;

*მუხლი 3. პასუხისმგებლობა. შესატანი. ცვლილებები საწესდებო
კაპიტალში. თანასწორუფლებიანობა. ინფორმაციის
მიღებისა და კონტროლის უფლებები*

გ. ამ მიზნით საზოგადოების საბუღალტრო წიგნების შემოწმება უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით;

დ. საზოგადოების ორგანოებისათვის წლიური ანგარიშის შესახებ განმარტებების მოთხოვნის უფლება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე (3.9 მუხლი).

პარტნიორთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ის გარემოება, რომ არასწორად შედგენილი ანგარიშის შემოწმებისას გაწეული ხარჯები ეკისრება საზოგადოებას (3.9 მუხლის მე-3 წინადადება).

ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი და საზოგადოების წესდება შეიძლება სხვა უფლებებსაც ითვალისწინებდეს.

მუხლი 4. სამეწარმეო რეესტრი

4.1. საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქმედდა 01.06.01)

4.2. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ფაქტები ჩაიწერება რეესტრის ფორმულარებში. რეესტრის ფორმულარი მოცემულია ამ კანონის დანართში.

4.3. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სასამართლო დადგენილების ასლს უგზავნის შესაბამის საგადასახადო ორგანოსა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

(სსმ, I, 2000, №23, მუხ. 62, ამოქმედდა 24.06.00; სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქმედდა 01.06.01)

4.4. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები.

I. ცნება

მეწარმეთა შესახებ კანონით შემოღებულ სიახლეთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესია სამეწარმეო რეესტრი. ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამეწარმეო რეესტრს და მას არც იმ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომელიც რეესტრს საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქვს.

სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ

სამეწარმეო რეესტრს უძღვება სასამართლო, ე.ი. საწარმოთა რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო (4.1 მუხლი). 2001 წლის 1 ივნისიდან ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაცია ხდება საგადასახადო ორგანოებში, რომლებიც ვალდებული არიან ინდივიდუ-

აღური მეწარმეებისათვის აწარმოონ ცალკე სამეწარმეო რეესტრი.¹ ამრიგად, დღეს საქართველოში მოქმედებს ორი სამეწარმეო რეესტრი: ერთი სასამართლოში (სამეწარმეო საზოგადოებებისათვის), ხოლო მეორე – საგადასახადო ორგანოებში (ინდივიდუალური მეწარმეებისათვის).

საწარმოთა რეგისტრაცია დიდი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტია და კანონმდებელმა, სრულიად სამართლიანად, ამ ფაქტების აღნუსხვა მიანდო სასამართლოს, როგორც ნეიტრალურ, დამოუკიდებელ ხელისუფლებას სახელმწიფოში. ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაცია გამონაკლისია ამ ზოგადი წესიდან.

II. რეესტრის მნიშვნელობა

ა. სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები (4.4 მუხლი). რეესტრის საჯაროობის ამ პირველ გამოხატულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტაბილური საბაზრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ვიდრე კერძო პირი ან საწარმო რაიმე ხელშეკრულებას დადებს სხვა საწარმოსთან, მას შეუძლია მივიდეს სასამართლოში და მიიღოს კონტრაქტის საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია: თუ ვინ არიან საზოგადოების პარტნიორები, ვინ არის დირექტორი ან სავაჭრო წარმომადგენელი, რამდენი აქვს საწესდებო კაპიტალი და ა.შ. ადრე ეს მონაცემები საიდუმლოდ ითვლებოდა და გამგეობები დაინტერესებულ პირებს მათ არ აცნობდნენ. სასამართლოებში კომპიუტერიზაციის პროექტის დასრულების შემდეგ, სამეწარმეო რეესტრის მონაცემები ინტერნეტის მეშვეობითაც იქნება ხელმისაწვდომი.

რეესტრის საჯაროობის მეორე გამოხატულებაა რეგისტრირებული ფაქტების გამოქვეყნება. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (4.3 მუხლი). სამწუხაროდ,

¹ სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36.

კანონის ეს მოთხოვნა დღემდე არ შესრულებულა, რაც უდიდეს ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.²

რეესტრის საჯაროობის მნიშვნელობაზე დაწვრილებით იხილეთ მე-7 მუხლის კომენტარი.

ბ. სამეწარმეო რეესტრში შეიტანება ის ფაქტები, რომლებსაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ. პირველ რიგში, ლაპარაკია რეგისტრაციასთან დაკავშირებული ფაქტებზე, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთია რეგისტრაციასა და საკრედიტო ფაქტები და მეორე – რეგისტრაციასთან დაკავშირებული ფაქტები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ისეთი ფაქტები, რომელთა რეგისტრაცია, მართალია, არ არის სავალდებულო, მაგრამ შესაძლებელია. რეგისტრაციასა და საკრედიტო ფაქტები მესამე პირთათვის მნიშვნელობას მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ იძენენ.

სამეწარმეო რეესტრს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ის ამარტივებს და აიოლებს კომერსანტებისა და საქმოსნების³ ურთიერთობას. საჭირო მონაცემების გამოკვეყნება უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო წინაპირობებს სამეწარმეო საქმიანობისათვის.

² ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთებად მიჩნეული იყო „საქართველოს რესპუბლიკა“ და „სოფობონა გრუზია“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“, პუნქტი 9). მეწარმეთა შესახებ კანონის ამოქმედების დროიდან – 1995 წლის 1 მარტიდან ამ გაზეთებს რეგისტრაციის არც ერთი მონაცემი არ გამოუქვეყნებიათ, რაც კანონის ამკარა დარღვევას წარმოადგენს. საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით გაითვალისწინა ეს გარემოება: – გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკას“ და „სოფობონა გრუზიას“ ჩამოართვა რეგისტრაციის მონაცემების გამოკვეყნების ფუნქცია და დაავალა იუსტიციის სამინისტროს მეწარმეთა შესახებ კანონში მითითებული ყველა საჯარო ინფორმაციის გამოკვეყნების უზრუნველყოფა. 2002 წლის იანვრიდან ეს ინფორმაცია კვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მე-4 ნაწილში – საინფორმაციო მასალა.

³ ეს ტერმინი საბჭოთა ეპოქის საქართველოში ნეგატიური გაგებით გამოიყენებოდა და საქმოსნობას საღამომდე მოღვაწეობად მიიჩნევდნენ. საბაზრო ეკონომიკის და სამოქალაქო საზოგადოების პირობებში მან უნდა შეიძინოს თავისი ნამდვილი მნიშვნელობა – საქმოსანი, თუმცა მან მაინც ვერ დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ლექსიკაში.

მუხლი 5. რეგისტრაციის პირობები

5.1. რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ განცხადება რეგისტრაციაზე შესრულებულია მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლო ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება ამ მოთხოვნებს.

5.2. პარტნიორები, ისევე, როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ. პირები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

(სსმ, I, 1999, №6(13), მუხ. 23, ამოქმედდა 05.03.99)

განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგენილ უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

განცხადება შეიტანება სასამართლოში საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით.

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქმედდა 01.06.01)

5.3. თუ საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილია არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო საზოგადოებას ზარალი მიადგა, მაშინ პარტნიორები, ისევე როგორც საზოგადოების დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები, ვალდებული არიან გადაიხადონ შეუტანელი გადასახდელეები, ანაზღაურონ დაფუძნების ხარჯების გადაუხდელობით გამოწვეული, აგრეთვე ამ დროს წარმოშობილი სხვა ზარალი.

5.4. განცხადება უნდა შეიცავდეს:

5.4.1. ყველა საწარმოსათვის:

- ა. საფირმო სახელწოდებას (ფირმას);
- ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
- გ. ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს);
- დ. საქმიანობის საგანს;
- ე. მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დაბთვების შესახებ;

ვ. ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის (კოოპერატივების შემთხვევაში – არანაკლებ ორის) სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს; ხოლო, თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებასა და რეგისტრაციის მონაცემებს (იურიდიული მისამართი, სასამართლოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მისი წარმომადგენლის მონაცემები);

(პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №1-2(33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. №36, ამოქმედდა 01.06.01)

ზ. წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

5.4.2. კომანდიტური საზოგადოებისათვის 5.4.1 მუხლში მოცემულის გარდა, დამატებით საჭიროა მიეთითოს ყოველი კომანდიტის შესატანის ოდენობა და წარმოდგენილ იქნეს საბუთი, უკვე ვინ რამდენი შეიტანა.

5.4.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისთვის 5.4.1 მუხლში მოცემულის გარდა დამატებით საჭიროა:

ა) საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ;

ბ) ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის შესატანის ოდენობა, შესაბამისად წილი;

გ) ყოველი დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

დ) დოკუმენტები დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი არსებობს) წევრების დანიშვნის შესახებ.

(პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №1-2(33-43/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

5.5. საზოგადოების განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) საზოგადოების წესდება;

ბ) არაფულადი შესატანით დაფუძნებისას შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი;

გ) ამოღებულია;

დ) შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისათვის – დოკუმენტები დირექტორების დანიშვნის შესახებ, შეზღუდუ-

ლი პასუხისმგებლობის საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას მისი წევრების დანიშვნის შესახებ.

(პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №1-2(33-43/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

5.6. 5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ. პარტნიორების შეცვლა სააქციო საზოგადოებაში არ მოითხოვს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას.

(პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №1-2(33-43/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. №36, ამოქმედდა 01.06.01)

5.7. გაკოტრების შემთხვევაში ან საზოგადოების წესდებაში სასამართლოს მიერ არსებითი ხარვეზების დადგენისას, სასამართლო ვალდებულია მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია და მოუთხოვს საფუძველი.

5.8. თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ სარჩელის საფუძველზე.

რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ.

5.9. სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განაზოციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან შეიდი კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განზოციელებს ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. №36, ამოქმედდა 01.06.01; სსმ, I, 2001, №19, მუხ. 66, ამოქმედდა 03.07.01)

I. საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება

1. უფლებამოსილი პირები

რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. საწარმოს წარმოშობა და მათთან დაკავშირებული სხვა ფაქტები მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ იძენენ იურიდიულ ძალას. ამიტომ კანონი ზუსტად განსაზღვრავს რეგისტრაციის პირობებს.

საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს (5.1 მუხლი). თუ საზოგადოებას აფუძნებს რამდენიმე პირი, რეგისტრაციის პირობების დაცვის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთი დამფუძნებლის მიმართვა სასამართლოში. ამ პარტნიორს არ სჭირდება დანარჩენი პარტნიორებისაგან მინდობილობა ან სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვა.

კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა საზოგადოების პარტნიორებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ხელმოწერების როლის ამღობება. 1995 წლის 1-ელ მარტამდე მოქმედი კანონმდებლობით სამეწარმეო იურიდიული პირების აუცილებელი, კონსტიტუციურ პირობად ითვლებოდა ბეჭდის არსებობა. კანონი მეწარმეთა შესახებ არ ითვალისწინებს ამას¹ და ბეჭდის ნაცვლად, სრულიად სამართლიანად უფლებამოსილ პირთა ხელმოწერას მიიჩნევს გადამწყვეტად. ამიტომ *პარტნიორები, ისევე როგორც წარმომადგენლობითი და სამეთვალყურეო ორგანოების შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ* (5.2 მუხლის 1-ლ წინადადება). გარდა ამისა, ის პირები², რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც ისინი საქმიან ურთიერთობებში გამოიყ

¹ 2001 წლის 30 მარტს შევიდა ცვლილება კანონის მე-19 მუხლში. კერძოდ, გადაემატა მუხლი 19.4, რომელმაც იმპერატოულად აკრძალა სამეწარმეო საზოგადოებებისთვის ბეჭდის მოთხოვნა (იხ. მე-19 მუხლის კომენტარი).

² 2001 წლის 1 ივნისიდან ინდივიდუალური მეწარმეების რეგისტრაცია ხდება არ სასამართლოში, არამედ საგადასახადო ორგანოებში (სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36).

ენებენ.³ ბეჭდის ფუნქციას საქმიან ურთიერთობებში ასრულებს ხელმოწერა.

საწარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა ხელმოწერის ნიმუშს ითხოვდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან, რაც არასწორია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ არიან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები. ისინი არ არიან უფლებამოსილნი საზოგადოების სახელით დადონ გარიგებები ან წარმოადგინონ ეს საზოგადოებები მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კანონის 55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი: *ღირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს*. ღირექტორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის საზოგადოების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში (9.4 მუხლის პირველი წინადადება). გარდა ღირექტორებისა, საზოგადოების წარმომადგენლები მესამე პირებთან ურთიერთობაში არიან: სპს-ის პარტნიორები, კს-ში – კომპლემენტარები. საზოგადოება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასევე პროკურისტების მიერ. გამომდინარე აქედან, სასამართლომ საწარმოთა რეგისტრაციისას უნდა მოითხოვოს მხოლოდ ამ პირთა ხელმოწერების ნიმუშები.

რეგისტრაციის შესახებ განცხადება, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები, ასევე მათი ასლები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

რეგისტრაციის შესახებ განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც აქვს საწარმოს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

³ სასამართლოში ხელმოწერის ნიმუშის დატოვება ზრ ნიშნავს პირის სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას, როგორც ამას ზოგჯერ მიიჩნევენ. იხ.: ა. კახიაშვილი, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. თურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა – 1999 წლის მეოთხე კვარტალი, გვ. 109. სასამართლოს საზოგადოების რეგისტრაციისას წარედგინება სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერის ნიმუში და ეს საქმარისა.

2. პასუხისმგებლობა რეგისტრაციისას არასწორი მონაცემების წარდგენისათვის

5.3 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრების წესს იმ შემთხვევებისათვის, როცა საზოგადოების შექმნის მიზნით წარდგენილი იყო არასწორი მონაცემები ან დაფუძნების ხარჯების გამო მიადგა საზოგადოებას ზარალი.

რა შეიძლება ჩაითვალოს არასწორ მონაცემად? – ყველა ის მონაცემი, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების სწორ რეგისტრაციას. კერძოდ, 5.4 და 5.5 მუხლებში გათვალისწინებული მონაცემების არასრულყოფილი წარდგენა. ყოველივე ამან კი შეიძლება გამოიწვიოს დაფუძნების ხარჯების გაზრდა, რითაც ზარალი ადგება საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში პასუხს დამდგარი ზარალისათვის აგებენ პარტნიორები და საზოგადოების დირექტორები, როგორც სოლიდარული მოვალეები. ფაქტობრივად, მათი ეს პასუხისმგებლობა უთანაბრდება არარეგისტრირებული საწარმოს ვალდებულებისათვის პარტნიორთა პასუხისმგებლობას (2.5 მუხლის მე-2 აბზაცი).

დაფუძნების პროცედურისა და ხარჯების შემოწმების მიზნით, სააქციო საზოგადოებებში უმცირესობაში მყოფ აქციონერებს უფლებაც კი აქვთ მოითხოვონ სპეციალური შემოწმება და ამ მიზნით აირჩიონ სპეციალური კონტროლიორი (54.6 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

5.4 და 5.5 მუხლებში მოცემულია იმ საბუთების ნუსხა და გაფორმების წესი, რომელთა წარდგენაც აუცილებელია საწარმოთა რეგისტრაციისათვის.

II. რეგისტრაციისას სასამართლოს მიერ დამატებითი საბუთების მოთხოვნის უფლება

პრაქტიკაში მეტად მტკივნეულად დადგა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სასამართლოს მოიხოვოს დამატებითი საბუთები საწარმოთა რეგისტრაციისას. მართალია, 5.4 და 5.5 მუხლების ჩამონათვალი ფაქტობრივად ამომწურავია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს დამატებითი საბუთების მოთხოვნის შიკიდებლობას, თუკი სასამართლო ამას აუცილებლად მიიჩნევს. სასამართლო, როგორც წესი, კანონმდებელზე უფრო

ადრე რეაგირებს ცხოვრებისეულ მოვლენებზე და უფრო ადრე ამჩნევს კანონის ხარვეზებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როცა რეგისტრაციაში გატარებისას განმცხადებლები არასწორ მისამართს უთითებდნენ. ამის გამო, შეუძლებელი ხდებოდა მეწარმეთა ზუსტი მისამართის დადგენა. ამ მანკიერი მოვლენის თავიდან ასაცილებლად დამკვიდრდა შემდეგი სასამართლო პრაქტიკა: მოსამართლეები სთხოვენ მეწარმეებს იურიდიული მისამართის დამადასტურებელ ცნობას. ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნა სამართლიანია.

არაფულადი შესატანი საწარმოს დაფუძნებისას, როგორც წესი, განმცხადებლებს მხოლოდ ქონების შეფასების დამადასტურებელი ცნობა მიაქვთ მოსამართლესთან, ხოლო საკითხი, რეალურად გადავიდა თუ არა ეს ქონება საზოგადოების საკუთრებაში – ღიად რჩება. ამიტომ, მოსამართლეებმა უნდა მოითხოვონ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ არაფულადი შესატანი რეალურად განხორციელდა. საცხოვრებელი სახლით, ბინით, ან სხვა უძრავი ქონებით დაფუძნებისას ეს საბუთი უნდა იყოს საჯარო რეესტრის სამსახურის (ან ტექნარცივის ბიუროს) მიერ გაცემული ამონაწერი იმის თაობაზე, რომ ქონება რეალურად გადაფორმდა საზოგადოების სახელზე; ავტომანქანით დაფუძნებისას სასამართლომ უნდა მოითხოვოს საზოგადოების სახელზე ავტომანქანის გადაფორმების დამადასტურებელი საბუთი. რაც შეეხება სხვა მოძრავი ნივთებით დაფუძნებას, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ბალანსიდან ამონაწერი. ამ საბუთების მოთხოვნა მიზანშეწონილია იმიტომ, რომ სასამართლო დარწმუნდეს, შეასრულეს თუ არა პარტნიორებმა ნაკისრი ვალდებულება, რეალურ დაფუძნებასთან გვაქვს საქმე თუ ფიქციურთან.⁴

ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საწარმოს რეგისტრაციისათვის „სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე დამფუძნებელთა კრების ოქმი“.⁵ ეს შეხედულება არასწორია, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული არ არის. ასევე არასწორია

⁴ 2001 წლის 30 მარტის კანონით, რომელმაც შემოიღო ინდივიდუალური მეწარმეების სავადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის წესი, იმპერატიულად აიკრძალა კანონით განსაზღვრულის გარდა რაიმე სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაციისას (იხ. 5^ე მუხლი).

⁵ დ. ძიძიგური. სასამართლო ორგანოების მონაწილეობა სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაციაში. თურნ. „სამართალი“, №3-4, 1997 წ., გვ. 37.

მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას საზოგადოებას რეგისტრაციაზე, როცა სხვა დოკუმენტებთან ერთად არ არის რაიმე საქმიანობის განხორციელებაზე ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი – ლიცენზია“.⁶

III. ცვლილებების რეგისტრაცია

რეგისტრაცია სავალდებულოა არა მხოლოდ საწარმოს დაფუძნებისათვის, არამედ, 5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილების დროს.

რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ცვლილებად, უწინარეს ყოვლისა, ჩაითვლება 5.4 და 5.2 მუხლებით გათვალისწინებული ფაქტების შეცვლა. მათგან შეეხები მხოლოდ რამდენიმეს, რომლებმაც ცხოვრებაში პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინეს.

1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა

საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა წესრიგდება კანონის 14.4, 14.5 და 14.6 მუხლებით. გადაწყვეტილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ ფორმდება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების სახით იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია 14.4 მუხლის მეორე აბზაცის მეორე წინადადებაში. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – აგრეთვე ნოტარიუსი, რომელიც ადგენს კრების ოქმს. ცვლილებების რეგისტრაციისას არ არის აუცილებელი საზოგადოების ყველა პარტნიორის ხელმოწერა, თუმცა მათ შეუძლიათ ყოველი ცვლილება ყველა პარტნიორის ხელმოწერითაც დაადასტურონ.

ცვლილებების რეგისტრაციისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს რამდენად უფლებამოსილი იყო პარტნიორთა კრება მიეღო ესა თუ ის ცვლილება: იყო თუ არა კრება გადაწყვეტილებათუნიარანი, ხმების საჭირო რაოდენობამ დაუჭირა თუ არა მხარი გადაწყვეტილებას და ა.შ. (მა-

⁶ იქვე, გვ 39.

გალითად, სააქციო საზოგადოებებში. გადაწყვეტილების მიღებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის თაობაზე სჭირდება ხმის უფლების მქონე დამსწრე აქციონერთა ხმების 3/4-ზე მეტი (54.7 მუხლი).

2. საწარმოს ადვილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შეცვლა.

საწარმოს იურიდიული მისამართის მითითება აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნაა რეგისტრაციისათვის (5.4.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). „იურიდიული მისამართი – ეს არის განსაზღვრული ინდივიდუალური ტერიტორია, რომელიც ქალაქებში ქუჩითა და შესაბამისი ნომრით უნდა გამოიხატოს“.⁷ იურიდიული მისამართის მითითების მიზანი არის ის, რომ დაინტერესებულმა პირებმა და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა (ფოსტა, საგადასახადო დაწესებულება), საჭიროების შემთხვევაში, ადვილად მიაგნონ საზოგადოებას. ამიტომ ლიტერატურაში მართებულად არის გაკრიტიკებული შემთხვევები, როცა მისამართი წესდებებში ზოგადად არის მითითებული, მაგალითად, „თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია“, „მერვე ლეგიონის მიმდებარე ტერიტორია“ და ა.შ.⁸ უნდა დავეთანხმოთ ავტორის მოსაზრებას, რომ იურიდიული მისამართის ზოგადად და დაუკონკრეტებლად მითითებისას უნდა დადგეს კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული შედეგები.⁹

ლიტერატურაში გამოთქმული იყო ასევე მოსაზრება, რომ სასამართლოში საწარმოს იურიდიულ მისამართად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი ადგილი, ხოლო სხვა ადგილების ზუსტი მითითება უნდა მოხდეს სამეწარმეო რეესტრში.¹⁰

იურიდიული მისამართის შეცვლის რეგისტრაციის საკითხმა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა. ლაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, როცა

⁷ გ. ლილუაშვილი, სამეწარმეო სამართლის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში. თურნ. „სამოსამართლო სწავლების ცენტრის საინფორმაციო გამოშვება“. №3, 2000 წ., გვ. 6.

⁸ იქვე, გვ. 5-6.

⁹ იქვე, გვ. 6.

¹⁰ მ. ცისკაძე, სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი: სერგო ჯორბენაძე, 70, საუბედულო კრებული, თბ., „ნორმა“, 1996 წ., გვ. 381.

საწარმო რეგისტრირებულია მისი ადგილსამყოფელის შესაბამის სასამართლოში და შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას ადგილსამყოფელი შეცვალოს და გადავიდეს სხვა რაიონში. იყო შემთხვევები, როცა სასამართლოები ამ დროს საწარმოთა ხელახალ რეგისტრაციას ითხოვდნენ. ეს არასწორია. საზოგადოების ადგილსამყოფელის შეცვლა იწვევს არა ხელახალ რეგისტრაციას, არამედ მხოლოდ ცვლილების რეგისტრაციას.

მაგალითი:

შპს მღებარეობს მცხეთის რაიონში და შესაბამისად, რეგისტრირებულია მცხეთის რაიონის სასამართლოში. საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება გადავიდეს ბორჯომის რაიონში. ეს არ გამოიწვევს საზოგადოების ხელახალ რეგისტრაციას ბორჯომის სასამართლოში. საზოგადოება რეგისტრირებულად დარჩება მცხეთის სასამართლოში. სარეგისტრაციო დოკუმენტებში კი შევა ცვლილება ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ. 19.2 მუხლის მოთხოვნები სარეგისტრაციო ორგანოსა და რეგისტრაციის ნომერთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა მიეთითოს საზოგადოების საქმიან წერილზე, უცვლელი დარჩება.

3. პარტნიორების შეცვლა

პარტნიორების შეცვლა საზოგადოებაში იწვევს ცვლილებას, რომლის რეგისტრაცია სასამართლოში სავალდებულოა. ეს წესი არ გამოიყენება სააქციო საზოგადოებების მიმართ. სასამართლოში რეგისტრაცია შეეხება მხოლოდ დამფუძნებელ აქციონერებს. ახალი აქციონერების რეგისტრაცია სასამართლოში არ ხდება. მათი რაოდენობა ხშირად რამდენიმე ათასს შეადგენს, რის გამოც მათი აღრიცხვა სასამართლოში, მით უმეტეს, თითოეული აქციონერის მონაცემების რეგისტრაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.¹¹

ცვლილებები იურიდიულ ძალას იძენენ მხოლოდ სასამართლოში მათი რეგისტრაციისა და პრესაში გამოქვეყნების შემდეგ.

პარტნიორების შეცვლის რეგისტრაციისას სასამართლომ უნდა შეამოწ-

¹¹ აქციონერთა რეგისტრაციის წესზე დაწერილებით იხილეთ 51-ე მუხლის კომენტარი.

მოს პარტნიორის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი, რამდენად სწორად არის მიღებული გადაწყვეტილება პარტნიორის შეცვლის შესახებ.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საზოგადოების პარტნიორობას წინ უძღვის შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან. ეს შემთხვევები გვაქვს მაშინ, როცა ხდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა არ არის საფუძველი პარტნიორობიდან გასვლისა, პარტნიორობის შეწყვეტისა.¹²

4. დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა

დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა ასევე მოითხოვს რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში და შესაბამისად, უკვე არსებული ჩანაწერების შეცვლას. დირექტორის შეცვლის შესახებ მხოლოდ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღება არ არის საკმარისი. აუცილებელია ახალი დირექტორის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.¹³

IV. საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია

პრაქტიკაში ამ საკითხმა ყველაზე დიდი დისკუსია გამოიწვია. სასამართლოები საწარმოთა ხელახალ რეგისტრაციას არცთუ იშვიათად უთანაბრებდნენ ახლადშექმნილი საწარმოების რეგისტრაციას. პირველ რიგში, ეს ეხება ყველა პარტნიორის ხელმოწერის ვალდებულებას საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტებზე.

ხელახალი რეგისტრაცია არ უნდა ჩაითვალოს საწარმოს დაფუძნებად. თუ საწარმო არ აკმაყოფილებს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებს და მისი ხელახალი რეგისტრაციისათვის აუცილებელია ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში, მაშინ ხელახალი რეგისტრაციის პროცედურა უნდა გაუთანაბრდეს საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანასა და მათი რეგისტრაციის წესს. ხელახალი რეგ-

¹² სუს გადაწყვეტილება გუმბარიძის საქმეზე, 2001 წლის 25 მაისი (საქმე №3/375-01).

¹³ თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „პეგასის“ საქმეზე.

ისტრაციის დროს, როგორც წესი, პარტნიორთა კრებაზე მიიღება წესდების ახალი რედაქცია, რაც უტოლდება წესდების ცვლილებას და არა საზოგადოების დაფუნდებს. საზოგადოების ცვლილებები კი ფორმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების სახით ისე, რომ მასზე ყველა პარტნიორის ხელმოწერა სავალდებულო არ არის. ყოველივე ეს არ გამორიცხავს პარტნიორების უფლებას მოაწერონ ხელი საზოგადოების წესდებს და განცხადებას ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

ხელახალი რეგისტრაცია არ იწვევს ადრე არსებული იურიდიული პირის ლიკვიდაციას და იგი არც ახალი იურიდიული პირის წარმოშობის საფუძველია. ხელახალი რეგისტრაციის შედეგად რეგისტრირებული იურიდიული პირი ადრე რეგისტრირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეა.¹⁴

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საწარმოთა ხელახალ რეგისტრაციას უკავშირდება, მდგომარეობს შემდეგში: აქვს თუ არა საწარმოს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება, თუკი მან გაუშვა ხელახალი რეგისტრაციისათვის კანონით დადგენილი ვადა? მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ე.ი. 1995 წლის 1 მარტამდე – კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 31 დეკემბრამდე.¹⁵ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ე.ი. რეგისტრაცია უქმდება. ამიტომ, იმ საწარმოებს, რომლებმაც ეს ვადა გაუშვეს, არა აქვთ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება.¹⁶ თუმცა ეს არ ართმევს მათ საწარმოს დაფუნდებისა და მისი რეგისტრაციაში გატარების უფლებას.

¹⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001წ., №8, გვ. 860.

¹⁵ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 28 ივნისის დადგენილება.

¹⁶ სუს გადაწყვეტილება საქმეზე ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ შს-ს „ბერძენა 92“ წინააღმდეგ. 2002 წლის 5 ივლისი (საქმე №3/661-02).

V. პრივატიზებული საწარმოების რეგისტრაციის
თავისებურებანი

სახელმწიფო საწარმოთა მასობრივმა პრივატიზაციამ მრავალი სამართლებრივი პრობლემა წარმოშვა. მეწარმეთა შესახებ კანონთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, ესაა საწარმოთა რეგისტრაციის საკითხი. ამასთან, იმის მიხედვით, თუ რა ფორმით მოხდა საწარმოთა პრივატიზება, რეგისტრაციის საკითხებიც განსხვავებულად უნდა იქნეს მოწესრიგებული.

1. პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებულ ობიექტთა საფუძველზე შექმნილ საწარმოთა რეგისტრაცია

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით „პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ დაშვებულ იქნა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების პირდაპირი მიყიდვა. ამ წესის თანახმად, შრომითი კოლექტივი ან მოწვეული პირები ქმნიდნენ დროებით ამხანაგობას ქონების გამოსყიდვის მიზნით. ეს ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ამის გამო, ამხანაგობის წევრთა მიერ პრივატიზებული სახელმწიფო ქონება შეადგენს მათ საერთო საკუთრებას. იმავედროულად, ამხანაგობის წევრებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, რომ პრივატიზებიდან განსაზღვრულ ვადაში ისინი შექმნიდნენ რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს, რომელშიც ისინი თავიანთი წილების შესაბამისად ჩადებდნენ პრივატიზებულ ქონებას.

სასამართლო პრაქტიკაში პრობლემები წარმოიშვა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: ვიდრე ამხანაგობის წევრებს არ დაუფუძნებიათ ესა თუ ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, შეუძლიათ თუ არა მათ მოითხოვონ წილის ნატურით გამოყოფა. სასამართლოებმა ამ შემთხვევებში არასწორად გამოიყენეს მეწარმეთა შესახებ კანონის ის ნორმები, რომლებიც მკაცრ შეზღუდვებს ითვალისწინებენ კაპიტალური საზოგადოებებიდან შესატანის უკან გატანის საკითხის მოწესრიგებისას. დროებითი ამხანაგობის მიერ ქონების შექმნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს

სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებას და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთო საკუთრების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება ან კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს ამ ქონების განკარგვისთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც დროებითი ამხანაგობის წევრები მიიღებენ გადაწყვეტილებას ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნების შესახებ, სრულად უნდა იქნეს გამოყენებული ნორმები საწარმოთა დაფუძნების, მათ შორის არაფულადი შესატანით დაფუძნების თაობაზე.

2. აქციონირების გზით პრივატიზებულ საწარმოთა რეგისტრაცია

სახელმწიფო საწარმოთა დიდი უმრავლესობის პრივატიზება ე.წ. აქციონირების, ე.ი. სააქციო საზოგადოებათა შექმნის გზით მოხდა. ამ დროს დამფუძნებელ აქციონერად გვევლინება სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით. თავდაპირველად იგი ფლობს აქციათა 100%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიდრე საწარმოს პრივატიზება მოხდება, ჯერ სახელმწიფომ უნდა დააფუძნოს სააქციო საზოგადოება ზუსტად ისევე, როგორც კერძო პირებმა მეწარმეთა შესახებ კანონის დაცვით, შემდეგ კი დაიწყოს აქციათა გასხვისება.

ამ პროცედურის დაუცველად ჩატარებული აქციონირების პროცესი იქნება მართლსაწინააღმდეგო.

ამ გზით პრივატიზების დროს სახელმწიფოს მიერ ხდება არა საწარმოს გასხვისება, არამედ აქციების გასხვისება. ამიტომ, ყოველი ახალი აქციონერი უნდა დარეგისტრირდეს კანონით დადგენილი წესით.¹⁷ ეს არ ნიშნავს ახალი სააქციო საზოგადოების დაფუძნებას პრივატიზების შემდეგ.

¹⁷ ეს წესი მოცემულია 51-ე მუხლში.

VI. საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია

რეგისტრაციასავალდებულო ფაქტების რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია. 5.7 მუხლში მითითებულია ორი საფუძველი ლიკვიდაციისათვის: ერთი, გაკოტრება, მეორე, საზოგადოების წესდებაში არსებითი ხარვეზის დადგენა. ამ უკანასკნელს შეიძლება მიეკუთვნოს ის გარემოება, როცა წესდებაში მითითებული არ არის საწესდებო კაპიტალი ან პარტნიორები და ა.შ.¹⁸

VII. რეგისტრაციის გაუქმება

5.8 მუხლი განსაზღვრავს რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევებს. რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლად მიიჩნევა მე-5 მუხლში გათვალისწინებული რეგისტრაციის პირობების არარსებობა. აქ კანონი ორ შემთხვევას განასხვავებს ერთმანეთისაგან: პირველი, როცა საწარმო რეგისტრირებულია ისე, რომ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის მოთხოვნებს (მაგალითად, შპს-ის წესდებაში არ იყო მითითებული მართვის ორგანოები); მეორე, როცა, მართალია, აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, მაგრამ მოგვიანებით მოისპო ეს პირობები (მაგალითად, შპს-ის პარტნიორებმა გახარჯეს საზოგადოების კაპიტალი ისე, რომ მის შევსებაზე არც უფიქრიათ). თუ ეს ხარვეზი სამი თვის განმავლობაში არ იქნება აღმოფხვრილი, მაშინ რეგისტრაცია უქმდება.

რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ პარტნიორს ან მესამე პირს. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის თანახმად, თუ სამეწარმეო რეესტრში მოხდება რეგისტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ასეთი რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით გააუქმოს იგი. მართალია, სასამართლოს აქვს უფლება თავისი ინიციატივით გააუქმოს რეგისტრაცია, მაგრამ მან უნდა შეატყობინოს სათანადო პირს (ვინც რეგისტრაცია მოახდინა) რეგისტრაციის გაუქმების განზრახვის შესახებ და

¹⁸ ლიკვიდაციის პროცესის შესახებ დაწვრილებით ის, მე-14 მუხლის კომენტარი.

მისცეს ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად. ვადის მიუცემ-
ლად სასამართლოს მიერ განხორციელებული გაუქმება რეგისტრაციისა
უნდა გაუქმდეს.¹⁹

სამეწარმეო საზოგადოების არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღე-
ბული გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია
სამეწარმეო რეესტრში ექვემდებარება ამოშლას, როგორც არასწორი
ჩანაწერი. ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების
დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა საერთო კრებამ მაშინ, როცა
ეს უნდა გაეკეთებინა სამეთვალყურეო საბჭოს. თბილისის საოლქო სასა-
მართლოს სააპელაციო პალატამ ეს ჩათვალა მნიშვნელოვან მიზეზად,
რომლის გამოც სამეწარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაცია არ
უნდა მომხდარიყო. ამასთან, ამ დარღვევის აღმოჩენისას სასამართლო
ვალდებულია მისცეს სამ თვემდე ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.²⁰

სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში
შესატანის სახით იჯარით აღებული ქონების ჩადება არის რეგისტრაცი-
ის გაუქმების საფუძველი. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უნდა მისცეს
სამ თვემდე ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.²¹

საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარ-
მოადგენს, ასევე სახელმწიფო ქონების პრივატიზების დროს შრომითი
კოლექტივის წევრებისათვის სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის უფლებ-
ის ჩამორთმევა ან შეზღუდვა. ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოების
დაფუძნება ხორციელდება იმ ქონებით, რომელიც გამოსყიდვის უფლებით
შეიძინეს შრომითი კოლექტივის წევრებმა და ეს უფლება სასამართლომ
მათ გაუუქმა. სასამართლომ საწარმოს ხარვეზის გამოსასწორებლად ამ
დროსაც უნდა მისცეს სამ თვემდე ვადა.²² იგივე შედეგები უნდა დადგეს
მამინაც, როცა პრივატიზაცია უქმდება და ის ქონება, რომელიც პარტ-
ნიორებმა ჩადეს საწესდებო კაპიტალში, უბრუნდება სახელმწიფოს. ამ

¹⁹ თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე "გურტელი" „ჯეოსელის“
წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02^ა-189).

²⁰ თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თემიშხანი „ჯეოსელის“ წინააღ-
მდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02ბ-158-99).

²¹ ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შს
„რუდულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე.

²² თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02^ა-605/99.

შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა მისცეს საზოგადოებას ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად: იქნებ შეძლონ პარტნიორებმა სადავო ქონების შეცვლა სხვა ქონებით.

VIII. რეგისტრაციის გაუქმების შედეგები

სასამართლოში საწარმოთა რეგისტრაციის გაუქმების საკითხს არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორსაც იგი სინამდვილეში მოითხოვს. რეგისტრაციის მონაცემებში ხარვეზის აღმოჩენისას სასამართლოები დაუყოვნებლივ აუქმებდნენ რეგისტრაციას და ხარვეზის გამოსწორებისათვის არ უნიშნავდნენ სამ თვემდე ვადას, რომლის დანიშვნასაც კანონის 5.8 მუხლი მოითხოვს. მაშასადამე, რეგისტრაციის მასალებში ხარვეზის აღმოჩენისას სასამართლო ვალდებულია, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საწარმოს მისცეს ხარვეზის გამოსასწორებლად სამ თვემდე ვადა.²³ რა კონკრეტული გარემოებები შეიძლება იქნეს ამ დროს მხედველობაში მიღებული? პირველ რიგში, ესაა ხარვეზის ხასიათი, რამდენად გამოსწორებადია იგი მოცემულ შემთხვევაში.

თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ამ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკის ყველაზე დიდი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ საწარმო რთული მექანიზმია. მას ურთიერთობები აკავშირებს სხვა საწარმოებთან, თანამშრომლებთან და ა.შ. რეგისტრაციის გაუქმება იურიდიულად ყველა ამ ურთიერთობის გაწყვეტას იწვევს, რაც რეალურად შეუძლებელია. ეს რომ არ მოხდეს, სასამართლომ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დანიშნოს სალიკვიდაციო კომისია და გახსნას სალიკვიდაციო პროცესი. ამას, სამწუხაროდ, სასამართლოები არ აკეთებენ და რეგისტრაციის გაუქმებით

²³ თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე „გურტელი“ „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02¹ 189); თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თბიშხანი „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02²-158-99); თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02¹-605/99 და ა.შ.

პარალიზებას უწევენ საწარმოს მთელ საქმიანობას. მაშასადამე, რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი. თუ ეს ასე არ გაკეთდა, მაშინ ის ზიანი, რომელიც რეგისტრაციის გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს, უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ.²⁴

IX. რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფცია

სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელსაც მიზნად ისახავს რეგისტრაციის ინსტიტუტი, შეუძლებელია იმ ვარაუდის გარეშე, რომ რეგისტრირებული ფაქტები სწორია. ამიტომ რეგისტრაციის ოფიციალურ გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება, როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა შეცდომით რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და პარტნიორმა ან მესამე პირმა განაცხადეს ამის შესახებ.

თუ რა ჩაითვლება *არსებით ინტერესად*, ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და სასამართლო პრაქტიკაში კონკრეტდება კიდეც. ზოგიერთი მაგალითი აქვე შეიძლება იყოს მოხმობილი. შპს რეგისტრაციაში შეცდომით გატარდა როგორც სპს და ხელშეკრულება დადო სხვა საზოგადოებასთან. ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ მისი კონტრაქტი არის სპს, ე.ი. ვალდებულებების გამო პასუხს აგებს არა მხოლოდ საზოგადოების ქონება, არამედ თითოეული პარტნიორი სოლიდარულად, სრულად, მთელი ქონებით. თუ დადგება შეცდომით სპს-ად რეგისტრირებული საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხი და ის ფაქტი, რომ საზოგადოება სპს-ად იყო რეგისტრირებული, გახდა მესამე პირთან

²⁴ მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოების მიერ ძირითადად სწორად გამოყენება 5.8 მუხლი და მართებულად უქმდება კვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ამ საკითხზე; თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე "გურტელი" „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02¹ 189); თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თბიშხანი „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02ბ-158-99); ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შპს „რულულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე და ა.შ.

ხელშეკრულების დადების საფუძველი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეცდომით რეგისტრაცია ეწინააღმდეგება სხვა საზოგადოების არსებით ინტერესებს.

X. რეგისტრაციის განხორციელების პრეზუმფცია

იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, აუცილებელია მეწარმეთათვის იმ ბარიერების მოშლა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ სამეწარმეო საქმიანობას. ერთ-ერთ ასეთ გარანტიას ითვალისწინებს 5.9 მუხლი.

2001 წლის 30 მარტის კანონით 5.9 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, სასამართლომ აუცილებელი საბუთების წარდგენიდან შეიძინა დღის ვადაში უნდა გაატაროს საწარმო რეგისტრაციაში²⁵ ან განაცხადოს წერილობით უარი რეგისტრაციაზე.

თუ შეიძლიან ვადაში სასამართლო არ გაატარებს საწარმოს რეგისტრაციაში ან არ ეტყვის უარს რეგისტრაციაზე, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად. ეს კი საწარმოს უფლებას აძლევს სასამართლოსაგან მოითხოვოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ.

²⁵ 1996 წლის 13 დეკემბერს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებითა და დამატებით გაიზარდა სასამართლოში საწარმოთა რეგისტრაციის ვადა. ადრე მოქმედი ერთკვირიანი ვადის ნაცვლად, შემოღებულ იქნა თხუთმეტდღიანი ვადა. ამჟამად კვლავ ძველ რედაქციას დაუბრუნდა კანონმდებელი. საეჭვოა, ამან რაიმე მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილება გამოიწვიოს, რადგან თავის დროზე ამ ვადის გაზრდა აუცილებელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ რეგისტრაციის ერთკვირიანი ვადა ამკარად არასაკმარისი იყო წარმოდგენილი მასალების სისწორის შესამოწმებლად.

მუხლი 5¹ ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის პირობები¹

1. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს საგადასახადო ორგანო.

2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია შექმნას სამეწარმეო რეესტრი, რომელშიც ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში შეიტანება:

ა. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;

ბ. რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

3. სამეწარმეო რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოები განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით.

4. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს ან წერილობით მოითხოვოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემები, აგრეთვე გაეცნოს საწარმოს მიერ წარდგენილ ანკეტას და მიიღოს მისი ასლი.

5. საგადასახადო ორგანო გადაწყვეტილებას საწარმოს რეგისტრაციის შესახებ უგზავნის საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდენო თვის 5 რიცხვისა.

6. საწარმოს რეგისტრაციისათვის ინდივიდუალური მეწარმე ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დაზღვეული წერილობით საგადასახადო ორგანოში გზავნის ან უშუალოდ წარადგენს ანკეტას 2 ეგზემპლარად.

7. ნებისმიერ პირს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოში დაუბროკოლებლად მიიღოს ანკეტა, აგრეთვე თავისუფლად და უნებართვოდ გადაიღოს ანკეტის ასლი.

8. ანკეტის შესავსებად პირს უფლება აქვს გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ანკეტა ან ანკეტის ასლი.

¹ დაემატა 2001 წლის 30 მარტის კანონით (სსმ, I, 2001წ., №10, მუხ.36). ამოქმედდა 01.06.01.

9. ანკეტა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
- ა. საფირმო სახელწოდებას;
 - ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
 - გ. ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გეარს, საცხოვრებელ ადგილს და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს;
 - დ. ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერას.

10. ანკეტის ორივე ეგზემპლარი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

11. საგადასახადო ორგანო ანკეტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე. თუ ამ ვადაში განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად. საგადასახადო ორგანო ვალდებულია რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოს მიანიჭოს სარეგისტრაციო ნომერი და დაუყოვნებლივ გასცეს შესაბამისი ცნობა.

12. თუ საგადასახადო ორგანოში პირის მიერ წარმოდგენილი ანკეტა აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანო მას უსვამს ბეჭედს და მიუთითებს რეგისტრაციის თარიღსა და სარეგისტრაციო ნომერს, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს.

(სსმ, I, 2002, №6, მუხ. 35, ამოქმედდა 03.04.02)

13. უარი საწარმოს რეგისტრაციაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა. ანკეტა არ არის წარდგენილი ორ ეგზემპლარად;
- ბ. ანკეტის თითოეული ეგზემპლარი არ არის დადასტურებული სანოტარო წესით.

14. დაუშვებელია ამ მუხლით გათვალისწინებულის გარდა რაიმე სხვა ღოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა.

15. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი.

16. თანამდებობის პირის მიერ რეგისტრაციაზე უკანონოდ უარის თქმა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქმედდა 01.06.01)

(სსმ, I, 2001, №19, მუხ. 66, ამოქმედდა 03.07.01)

I. კანონის სიახლე

2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი, რომლითაც ცვლილებები შევიდა კანონში მეწარმეთა შესახებ და დაემატა ახალი 5¹ მუხლი. ამ ცვლილებით შემოღებულ იქნა ინდივიდუალური მეწარმეების რეგისტრაციის ახალი წესი: 2001 წლის 1 ივნისიდან ინდივიდუალური მეწარმეები რეგისტრაციაში ტარდებიან არა სასამართლოში, არამედ საგადასახადო ორგანოებში (5¹ მუხლის 1 პუნქტი).

ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაციის მიზნით საგადასახადო ორგანოს დაევალა სამეწარმეო რეესტრის შექმნა. ამ მიზნით საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2001 წლის 26 ივნისის №543-ე ბრძანებით დამტკიცდა საგადასახადო ორგანოებში სამეწარმეო რეესტრის წარმოების წესი² და რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოების ჩამონათვალი³.

ინდივიდუალურმა მეწარმემ საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილის მიხედვით⁴ რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინოს ანკეტა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა. საფირმო სახელწოდებას;
- ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;
- გ. ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გვარს, საცხოვრებელ ადგილს და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერს;
- დ. ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერას.

სარეგისტრაციო ანკეტა უნდა შეივსოს ორ ეგზემპლარად, დამოწმდეს სანოტარო წესით და დაზღვეული წერილით ან უშუალოდ ინდემწარმის მიერ წარედგინოს ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს. ანკეტის ან დაზღვეული წერილის მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს სამეწარმეო რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა ერთი დღის ვადაში უნდა შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ანკეტა კანონის; ყველა მოთხოვნას. თუ პირობები დაკმაყოფილებულია, საგადასახადო ანსპექციის

² სსმ, I, 1, 2001, №69, გვ. 501.

³ სსმ, III, 2001, №69, გვ. 502.

⁴ სამეწარმეო რეესტრის წარმოების წესის 1ე-4 პუნქტი.

უფროსი ხელს აწერს მას. ანკეტას დაესმება ბეჭედი, რეგისტრაციის თარიღი, ჩაეწერება სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც ჩაითვლება საწარმოს საგადასახადო, აგრეთვე სტატისტიკის კოდად და ჩაერთვება სამეწარმეო რეესტრში.

ანკეტის ერთი ეგზემპლარი უბრუნდება ინდმეწარმეს.

II. რეგისტრაციის ვადები და რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველები

საგადასახადო ორგანო ანკეტის წარდგენიდან ერთი დღის ვადაში ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე. თუ ამ ვადაში განმცხადებელს არ ეცნობა წერილობით უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად. საგადასახადო ორგანო ვალდებულია რეგისტრირებულ საწარმოს მიანიჭოს სარეგისტრაციო ნომერი და დაუყოვნებლივ გასცეს შესაბამისი ცნობა (5¹ მუხლის მე-11 პუნქტი).

კანონი ამომწურავად განსაზღვრავს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველებს. *რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერძოდ, ა) თუ ანკეტა არ არის ორ ეგზემპლარად წარდგენილი და ბ) ანკეტის თითოეული ეგზემპლარი არ არის დადასტურებული სანოტარო წესით.* ბუნებრივია, უარის საფუძველი შეიძლება გახდეს ანკეტის არასწორი შევსება ან მასში არასწორი მონაცემების შეტანა.

5¹-ე მუხლით გათვალისწინებული საბუთების ნუსხა არის ამომწურავი და მისი განერცობა არ დაიშვება. ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო ორგანოს არა აქვს უფლება მოითხოვოს სხვა საბუთები ინდივიდუალური მეწარმისაგან.

ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის საჭირო ანკეტის ფორმულარებს მსურველები მიიღებენ საგადასახადო ორგანოებში. ანკეტის შევსების შემდეგ, განმცხადებელი ვალდებულია დაამოწმოს იგი სანოტარო წესით.

სასამართლოებში წარმოებული სამეწარმეო რეესტრის მსგავსად საგადასახადო ორგანოებში წარმოებული სამეწარმეო რეესტრიც სა-

ჯაროა: ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს მას ან წერილობით მოითხოვოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემები, აგრეთვე გაეცნოს საწარმოს მიერ წარდგენილ ანკეტას და მიიღოს მისი ასლი (5¹ მუხლის მე-4 პუნქტი).

საკანონმდებლო ცვლილების მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი, ან სხვა რაიმე გადასახდელი (5¹ მუხლის მე-15 პუნქტი).

მუსლი ნ. საფირმო სახელწოდება (ფირმა)

6.1. საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო.

6.2. ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. დამატებები დაიშვება 6.6 მუხლის პირობების დაცვით.

6.3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს) „სპს“-ის დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს).

6.4. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არანაკლებ ერთი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს) „კს“-ის დამატებით.

6.5. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს აღნიშვნას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“ ანდა დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“ ანდა „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“.

(სსმ, I, 1999, №6, მუხ. 23, ამოქმედდა 05.03.99)

6.6. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო.

6.7. საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად.

6.8. საწარმოს შემქმნენ შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმანი არიან.

I. ფორმის ცნება და მნიშვნელობა

მეწარმეები, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური ერთეულები, ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობენ საკუთარი სახელწოდებით. სახელწოდებათა მეშვეობით ხორციელდება ბრუნვის მონაწილეთა, ერთი მხრივ, იდენტიფიკაცია ანუ მათი იგივეობის, თავისთავადობის დადგენა და, მეორე მხრივ, ინდივიდუალიზაცია ანუ ერთი სამეურნეო ერთეულის განსხვავება მეორისაგან.

სახელწოდებას, რომლითაც სამეურნეო ერთეული საქმიანობს, საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა ეწოდება. ყოფა-ცხოვრებაში ხშირად „ფირმას“ იყენებენ თავად საწარმოს აღმნიშვნელ ტერმინად, რაც ზუსტი არ არის.

საფირმო სახელწოდების ელემენტები სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მეწარმესთან, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო ერთეულთან გვაქვს საქმე. ზოგადად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, საფირმო სახელწოდება შეიძლება შეიცავდეს მითითებას დამფუძნებლის სახელზე, სამეურნეო ერთეულის საქმიანობის საგანზე და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. თითოეული დასახელებული ელემენტის არსებობა საფირმო სახელწოდებაში დამოკიდებულია სამეურნეო ერთეულის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე.

ძირითადად საფირმო სახელწოდებები ემყარება ე.წ. ჭეშმარიტების პრინციპს ანუ საფირმო სახელწოდების ისეთი ელემენტები, როგორიცაა დამფუძნებლების სახელი, საქმიანობის საგანი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, როგორც წესი, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. ამასთან, კანონმდებლობა იცნობს გამონაკლისებს ამ ზოგადი პრინციპიდან.

II. ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდება

ინდივიდუალური მეწარმე არის ინდივიდუალური სამეურნეო ერთეული. იგი საქმიან ურთიერთობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი და ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით.

ფიზიკური პირის სახელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ორწევრიანია: იგი მოიცავს საკუთრივ სახელსა და გვარს. ამდენად, ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდების ძირითად ელემენტს მისი, როგორც ფიზიკური პირის, სამოქალაქო სახელი და გვარი წარმოადგენს.

კანონი დასაშვებად მიიჩნევს ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებაში დამატებების შეტანასაც. დამატებები შეიძლება წარმოადგენდნენ აღნიშვნას – თავად საწარმოს (სახელოსნოს, ფაბრიკის), სახელს, საგანს, სიტყვას, რომელიც დამფუძნებლის თავისუფალი გამონაგონია. ამასთან, დამატებითი ელემენტები უნდა აკმაყოფილებდნენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 6.6 მუხლის მოთხოვნებს. ინდივიდუალური საწარმოს საფირმო სახელწოდების მაგალითებია: „ექვთიმე ხელაძე“ ან „ექვთიმე ხელაძის სტამბა“ ან „ექვთიმე ხელაძის სტამბა „წიგნი“ ან „ინდივიდუალური საწარმო „ექვთიმე ხელაძე“ და ა.შ.

III. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ სამეწარმეო საქმიანობაში. ამასთან, თითოეული პარტნიორის საქმიანობა ითვლება თავად გაერთიანების საქმიანობად. თუ გაერთიანებას ვალების დასაფარავად ქონება არ გააჩნია, კრედიტორს უფლება აქვს ვალის დაფარვა მოითხოვოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის პირადი ქონებიდან ან ვალის გადახდა მოსთხოვოს ყველა პარტნიორს ერთად.

ამდენად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის როგორც საზოგადოების შიგნით, ისე საზოგადოების გარეთ ურთიერთობაში პერსონალურ შემადგენლობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ ფაქტორის გამო აღნიშნული სახის საზოგადოებებს აქვთ განსაკუთრებული მიმზიდველობა კონტრაქტებისათვის. ჩამოთვლილი გარემოებები საფირმო სახელწოდებაში აისახება იმით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება აუცილებლად უნდა

შეიცავდეს სულ ცოტა საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორის სამოქალაქო სახელსა და გვარს. ამასთან, თუ ფირმაში მოცემულია მხოლოდ ერთი პარტნიორის სახელი და გვარი, ფირმა დამატებით აუცილებლად უნდა შეიცავდეს აგრეთვე მითითებას ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. ამგვარი დამატება სავალდებულო არ იქნება, თუ საფირმო სახელწოდება შეიცავს ყველა პარტნიორის სახელსა და გვარს (ან გვარს). მაგალითად, „ხელაძე და სხვები“ ან „ხელაძე და სპს“, ან კიდევ „ხელაძე და კომპანია“.

რამდენიმე პარტნიორის სახელის ცალ-ცალკე აღნიშვნა ართულებს საფირმო სახელწოდების აღქმას. ამიტომ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდებაში სასურველია გამოიკვეთოს ერთ-ერთი პარტნიორის სახელი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ხშირია შემთხვევები, როცა პარტნიორების სახელები განზოგადებულია რაიმე, ვთქვათ, ნათესაობის ნიშნით, მაგალითად, „გოკიელი და ვაჟიშვილები“.

IV. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება

კომანდიტური საზოგადოება აერთიანებს წევრების (პარტნიორების) ორ კატეგორიას. მათი ერთი ნაწილი (კომპლემენტარები), უშუალოდ მონაწილეობენ როგორც სამეწარმეო საქმიანობაში, ისე საზოგადოების ხელმძღვანელობაში. ისინი სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიან საზოგადოების სახელით და საზოგადოების ვალებისათვის პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით, შეუზღუდავად და სოლიდარულად. ამასთან, კომპლემენტარების სახით გვევლინებიან მხოლოდ ფიზიკური პირები. წევრების მეორე ნაწილი — კომანდიტები სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობენ არაპირდაპირ. მათ უფლება არა აქვთ პყავდეთ წარმომადგენლები საზოგადოების ხელმძღვანელოაში და საზოგადოების ვალებზე პასუხს აგებენ წინასწარი შენატანის სახით განსაზღვრული ქონების ოდენობით.

კომანდიტური საზოგადოების ასეთი შემადგენლობა და იურიდიული შინაარსი ასახვას პოულობს ?¹ 1. ფირმო სახელწოდებაში. ისე, როგორც

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება, კომანდიტური საზოგადოების ფირმაც აუცილებლად უნდა შეიცავდეს პერსონალურად პასუხისმგებელი თუნდაც ერთი პარტნიორის ანუ კომპლემენტარის სახელსა და გვარს, რასაც ემატება საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითება ან აბრევიატურა — „კს“, მაგალითად, „ხელაძე და კომპ. კს“.

V. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის საფირმო სახელწოდება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის საფირმო სახელწოდება ორი ელემენტისაგან შედგება. ერთი, სავალდებულო ელემენტი არის იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღნიშვნა, რომლის მოთხოვნათა გათვალისწინებითაც მოწყობილია კოლექტიური სამართლებრივი ერთეული. მეორე ელემენტის არჩევა ნებაყოფლობითია. იგი შეიძლება იყოს ან დამფუძნებლის სახელი, ან საწარმოს საქმიანობის საგანი, ან კიდევ სხვა ნებისმიერი დამატება, რომლის შესახებაც დამფუძნებლები შეთანხმდებიან. როგორც წესი, ამ მუხლით გათვალისწინებული სამეურნეო ერთეულებისათვის საფირმო სახელწოდების მეორე ელემენტად მიიჩნევენ მათი საქმიანობის საგანს. მაგალითად, გერმანიის კანონები სააქციო საზოგადოების (1965 წ.) და კოოპერატივების (1889 წ.) შესახებ ამ საზოგადოებათა საფირმო სახელწოდების სავალდებულო ელემენტად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის საგნის აღნიშვნას მიიჩნევენ.

საფირმო სახელწოდების იმ მონაცემებთან ერთად, რომლებიც ექვემდებარებიან ჭეშმარიტების პრინციპს, ფირმა არ შეიძლება შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აიცილებული სამეწარმეო საზოგადოების საგარეო ურთიერთობებში შეცდომას ან გაუგებრობას გამოიწვევენ.

ზოგიერთი სახელწოდებით შეიძლება სარგებლობდნენ მხოლოდ განსაზღვრული სპეციალიზებული ორგანიზაციები. მაგალითად, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, ან მათი ფილიალები, რომლებიც ვერ პასუხობენ „ბირჟის“ ან „სასაქონლო ბირჟის“ მოთხოვნებს, თავიანთ

სახელწოდებაში ვერ გამოიყენებენ ტერმინებს „ბირჟა“ ან „სასაქონლო ბირჟა“. ტერმინი „ბანკი“ შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი იურიდიული პირების სახელწოდებაში, რომლებსაც გააჩნიათ საბანკო საქმიანობის ნებართვა.

VI. საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია

სამეურნეო ერთეულის ფორმა განისაზღვრება მისი წესდების დამტკიცების დროს. ფირმის რეგისტრაციას კი ახდენს სასამართლო, სარეგისტრაციო ბარათში ფირმის აღნიშვნით. ფირმის რეგისტრაცია მხოლოდ ფირმის დეკლარირებაა. იგულისხმება, რომ რეგისტრაციის შემდეგ ფირმა საჯაროდ აღიარებულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს ფირმის საყოველთაოდ ცნობის გულკვებასთან, პრეზუმფციასთან. თავად ფირმის უფლება ანუ იმის შესაძლებლობა, რომ მეწარმე სუბიექტმა მოითხოვოს იმავე ფირმის სხვების მიერ გამოყენების აკრძალვა, წარმოიშობა ფირმის მხოლოდ ფაქტობრივი გამოყენების შემდეგ.

ამდენად, ფირმის რეგისტრაცია ჯერ კიდევ არ არის იგივე ან მსგავსი ფირმის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა შეიძლება იქცეს მოგვიანებით რეგისტრირებული ფირმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად.

მიუხედავად ამისა, მოსალოდნელი სასამართლოს შეცდომის თავიდან ასაცილებლად ყოველი ახალი ფირმა უნდა შეიცავდეს მკაფიო განსხვავებებს ყველა იმ ფირმისაგან, რომლებიც რეგისტრირებულია მოცემულ სასამართლოში.

არცთუ ისე ძნელი წარმოსადგენია შემთხვევა, როცა უკვე რეგისტრირებული საზოგადოების დამფუძნებლის სახელი და გვარი ემთხვევა მეორე მეწარმის სახელსა და გვარს, რომელაც ინდივიდუალური საწარმოს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების დაფუძნებას ითხოვს. თუ მეორე მეწარმეს სურს გამოიყენოს თავისი სახელი, საფირმო სახელწოდებაში უნდა შეიტანოს ისეთი დამატებები, რომლითაც ახალი საფირმო სახელწოდება მკაფიოდ განსხვავებული იქნება ძველისაგან.

დამატებები შეიძლება იყოს ორი ძირითადი სახის: ისინი უნდა

შეეხებოდნენ თავად მეწარმის სახელსა და გვარს ან საწარმოს, მეწარმის საქმიანობის საგანს.

მეწარმე საფირმო სახელწოდებებს იყენებს ხელშეკრულებებში, ან როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, ან სასაქონლო ნიშნებში, ფირნიშებზე, რეკლამებში, კომერციული კორესპონდენციების ბლანკებზე და სხვა.

თუ სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა საფირმო სახელწოდებათა იდენტურობის ან მსგავსების ფაქტი, რასაც შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა აღრევა, მომხმარებლის შეცდომა, სახელწოდების დამრღვევის მიმართ გამოიყენება პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეები – ქონებრივი, ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი.

VII. საფირმო სახელწოდების გადასვლა საწარმოს შემძენზე

საფირმო სახელწოდება წარმოადგენს მეწარმის კუთვნილი ქონების არამატერიალურ ელემენტს. თავად საწარმო შეიძლება გადაეცეს სხვა მფლობელს მემკვიდრეობის, ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, იჯარის გზით ისე, რომ მფლობელის შეცვლამ არ გამოიწვიოს საფირმო სახელწოდების შეცვლა. ხშირია შემთხვევა, როცა, პირიქით, საფირმო სახელწოდების ახალი მფლობელი დაინტერესებულია მისი შენარჩუნებით პირს, რომელმაც შეიძინა საწარმო ან მემკვიდრეობით მიიღო იგი, უფლება აქვს არ შეცვალოს ძველი საფირმო სახელწოდება ან საფირმო სახელწოდებაში შეიტანოს უფლებამონაცვლეობის ამსახველი დამატებანი, რისთვისაც საჭიროა ძველი მესაკუთრის, თუ იგი ცოცხალია, ან მისი მემკვიდრეების თანხმობა.

ამდენად, საფირმო სახელწოდება შეადგენს ცალკე შეთანხმებისა და შეფასების საგანს. ამასთან, საფირმო სახელწოდების გასხვისება შეიძლება მხოლოდ საწარმოსთან ერთად. იგი არ შეიძლება გახდეს საწარმოსაგან სრულიად იზოლირებული შეთანხმების ობიექტი.

მუხლი 7. რეესტრის საქაროობა

7.1. ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო.

7.2. თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ.

7.3. თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

7.4. ამ წესების მიხედვით, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ფილიალთან საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას, რომელიც განხორციელებულია ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით.

I. რეესტრის საჯაროობის მნიშვნელობა

როგორც აღნიშნული იყო, რეესტრს კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მისი მიზანია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეთა ინტერესების დაცვა.

7.1 მუხლის თანახმად, ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო.

ამ ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიხმობ ერთ მაგალითს: კომანდიტური საზოგადოების პასუხისმგებლობის საგარანტიო თანხა შეადგენს 500 ლარს. ეს თანხა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და მესამე პირმა (ერთ-ერთმა საწარმომ), რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული ამ კომანდიტურ საზოგადოებასთან,

იცის კომანდიტის პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ. ამ დროს კს-ის პარტნიორებმა გადაწყვიტეს, რომ კომანდიტს შეუმცირონ საგარანტიო თანხა 100 ლარამდე. ეს ცვლილება ჯერ არ ყოფილა რეგისტრირებული რეესტრში. ამიტომ, თუ დადგა მესამე პირის წინაშე კს-ის პასუხისმგებლობის საკითხი, კომანდიტის პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა 100, არამედ 500 ლარით.

გამონაკლისი ამ წესიდან გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისათვის, როცა მესამე პირმა იცოდა ამ ცვლილების შესახებ. ეს ამბავი მესამე პირს შეეძლო გაეგო კს-თან არსებული მიმოწერიო, პრესაში გამოქვეყნებით ან სხვა გზით.

ყველა სხვა შემთხვევაში მესამე პირების მიმართ დასაშვებია მხოლოდ რეგისტრირებული ფაქტების გამოყენება. ცხადია, რომ არა ყოველი ფაქტი და მოვლენა მოითხოვს რეგისტრაციას. სარეგისტრაციო ფაქტებს კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, მაგალითად, საწესდებო კაპიტალის სიდიდე, დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭო და ა.შ.

რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფცია 7.3 მუხლშიც არის განმტკიცებული. კერძოდ, თუ ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს. აქ შეიძლება კვლავ კომანდიტის მაგალითი მოვიხმოთ. სამეწარმეო რეესტრში კომანდიტის საგარანტიო თანხად შეცდომით რეგისტრირებული იყო 500 ლარი. სინამდვილეში ეს თანხა შეადგენდა 100 ლარს. კომანდიტის პასუხისმგებლობისას მესამე პირი გამოიყენებს სწორედ ამ რეგისტრირებულ მონაცემებს, ე.ი. კომანდიტმა პასუხი უნდა აგოს 500 ლარით. თუ არასწორი რეგისტრაცია მოხდა სასამართლოს ბრალით, მაშინ სასამართლო რეგრესის წესით აუნაზღაურებს კომანდიტს წარმოშობილ ზარალს. ამ ნორმის გამოყენების აუცილებელი პირობაა მესამე პირის ნდობა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული მონაცემების მიმართ. გარეგნულად ნდობის ფაქტორი შეიძლება გამოიხატოს საქმიან მიმოწერაში, დადებულ გარიგებაში და ა.შ.

7.1 მუხლით გათვალისწინებულ წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ

მესამე პირმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ.

ფილიალთან საქმიანი ურთიერთობების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმ მონაცემებს, რომლებიც ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით მდებარე სამეწარმეო რეესტრშია რეგისტრირებული.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმო-ში. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებაში სხვა საწარმოს შექმნის დროს

8.1. ვინც სხვა ინდივიდუალური საწარმო შეიძინა და უძღვება მას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, პასუხს აგებს ადრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის.

სხვაგვარ შეთანხმებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირთათვის, თუ ეს შეთანხმება შექმნის მომენტში რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნებულია, ან ამის შესახებ ეცნობა მესამე პირს და თუ შექმნის ფასის კალკულაციაში ვალეები არაა გათვალისწინებული.

პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს, თუ საწარმო შეადგენდა გამსხვიისებლის თითქმის მთელ ქონებას და ამის შესახებ იცოდა შემქმნმა, ან მას ეს უნდა სცოდნოდა, თუ საქმიანი ურთიერთობებისთვის საჭირო წინდახედულებას გამოიჩენდა.

8.2. თუ ვინმე პარტნიორად შედის ინდივიდუალურ საწარმოში, ამის შედეგად შექმნილი საზოგადოებაც აგებს პასუხს ადრინდელი მფლობელის ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მის მიერ დადებული გარიგებიდან. ამ წესის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია მესამე პირთათვის.

8.3. ინდივიდუალური საწარმოს გამსხვიისებელი პასუხს აგებს საწარმოს გადაცემის მომენტში არსებული ყველა ვალდებულებისათვის, ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისას – იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მათ საფუძვლად არსებული გარიგების მოშლამდე ან გასხვიისების შემდეგ მოშლის პირველ შესაძლო ვადამდე.

8.4. თუ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ინდივიდუალური საწარმოს საქმიანობას აგრძელებენ მემკვიდრეები, ისინი პასუხს აგებენ სამკვიდროს დამტოვებლის იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს საქმიანობიდან. თუ სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ გააჩერებენ საწარმოს და ადრინდელი საფირმო სახელწოდების გამოყენებით გააგრძელებენ მის საქმიანობას სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ.

8.5.8.1-8.4 მუხლების წესები მოქმედებს შესაბამისად, „სპს“-ის პარტნიორებისა და „კს“-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიმართ.

I. პასუხისმგებლობა უფლებამონაცვლეობისას

ეს მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საკითხს უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, უფრო კონკრეტულად – ერთი საწარმოს მიერ სხვა საწარმოს შეძენისას.

იურიდიული პირების უფლებამონაცვლეობის საკითხის განსაზღვრა პრაქტიკაში ბევრ გაუგებრობას იწვევს. საზოგადოების წესდებაში იმის აღნიშვნა, რომ საზოგადოება არის (ან არ არის) ამა თუ იმ ორგანიზაციის უფლებამონაცვლე, საკმარისი არ არის. ფაქტობრივი გარემოებებიდან უნდა დადგინდეს, არის თუ არა უფლებამონაცვლეობა ძველ და ახალ საწარმოებს შორის. წინამდებარე მუხლი უფლებამონაცვლეობის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შეეხება. სხვა საკითხები განხილული იქნება მე-14 მუხლის კომენტარში.

II. პასუხისმგებლობა ინდივიდუალური საწარმოს შეძენისას

თუ პირი შეიძენს ინდივიდუალურ საწარმოს და უძღვება მას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით, პასუხს აგებს ამ საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც საწარმოს შეძენამდე აღმოცენდა. ამ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას არა აქვს მნიშვნელობა იმას, ახალი მესაკუთრე საქმიანობას აგრძელებს საფირმო სახელწოდებაზე სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით თუ უამისოდ (8.1 მუხლის პირველი აბზაცი).

მაგალითი:

ინდივიდუალური საწარმო „ლალიძის წყლები“ შეიძინა ვინმე ჩხეიძემ. ახალი მესაკუთრე ინარჩუნებს საწარმოს ძველ საფირმო სახელწოდებას „ლალიძის წყლები“ და ისე განაგრძობს თავის საქმიანობას.

*მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში,
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ
საზოგადოებაში სხვა საწარმოს შექმნის დროს*

საწარმოს გაყიდვამდე მას ჰქონდა დადებული ხელშეკრულება ქუთაისის ერთ-ერთ რესტორანთან 2000 ბოთლი უალკოჰოლო სასმელის მიწოდების თაობაზე. ახალი მესაკუთრე ვალდებულია შეასრულოს ეს ვალდებულება.

კანონის იმპერატიული ნორმის მიხედვით *საწ. ქოს ყოველი ახალ. მესაკუთრე პასუხს აგებს შექმნილი საწარმოს ვალდებულებებისათვის.*

შემძენი და გამყიდველი შეიძლება შეთანხმდნენ 8.1 მუხლის პირველი აბზაცისაგან განსხვავებულ პირობებზეც. კერძოდ, საწარმოს შემძენი შეიძლება გათავისუფლდეს შექმნილი საწარმოს ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შეთანხმებას მესამე პირისათვის მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ ეს შეთანხმება შექმნის მომენტში რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნებულია. შესაძლოა, რომ ეს შეთანხმება არ იყოს რეგისტრირებული. ასეთ შემთხვევაში, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მესამე პირს. არსებობს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების კიდევ ერთი საფუძველი: თუ შექმნის ფასში არაა გათვალისწინებული გამსხვიისებლის ვალეები (8.1 მუხლის მეორე აბზაცი).

საწარმოს შემძენი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როცა საწარმო გამსხვიისებლის თითქმის მთელ ქონებას შეადგენდა და ამის შესახებ იცოდა შემძენმა ან მას ამის შესახებ უნდა სცოდნოდა, თუ საქმიანი ურთიერთობებისათვის აუცილებელ წინდახედულებას გამოიჩენდა.

8.1 მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც უშვებს შესაძლებლობას გათავისუფლდეს შემძენი გამსხვიისებლის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობისაგან, 8.2 მუხლი გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის პირი პარტნიორად შედის ინდივიდუალურ საწარმოში და ამის შედეგად წარმოიშობა საზოგადოება. ეს საზოგადოება არის ყველა იმ ვალდებულების უფლებამონაცვლე, რომელიც უწინდელ საწარმოს ან პარტნიორს ჰქონდათ: ამიტომ შეთანხმება, რომელიც ათავისუფლებს ახალ საზოგადოებას პასუხისმგებლობისაგან, ბათილია მესამე პირისათვის.

მაგალითი:

ინდივიდუალური საწარმო „ლალიძის წყლები“ და შპს „კავკასიონი“ შეთანხმდნენ გაერთიანებისა და სააქციო საზოგადოების შექმნის თაობაზე. ახალი საზოგადოების წესდებაში მათ ჩაწერეს, რომ ახალი საზოგადოება პასუხს არ აგებს იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც სს-ის შექმნამდე ჰქონდათ „ლალიძის წყლებსა“ და შპს „კავკასიონს“. ასეთი შეთანხმება, კანონის 8.2 მუხლის შესაბამისად, ბათილია და ახალ სს-ას არ ათავისუფლებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც „ლალიძის წყლებსა“ და შპს „კავკასიონს“ ჰქონდათ საზოგადოების შექმნამდე.

8.1 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს შემძენის ვალდებულებას პასუხი აგოს აღრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ეს ხდება მაშინ, როცა შემძენი ძველი საწარმოს საფირმო სახელწოდებით აგრძელებს საქმიანობას. სხვა შემთხვევაში, ინდივიდუალური საწარმოს გამსხვიისებელი პასუხს აგებს საწარმოს გადაცემის მომენტში არსებული ყველა ვალდებულებისათვის, ხოლო გრძელვადიანი ურთიერთობების დროს – იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მათ საფუძვლად არსებული გარიგების მოშლამდე ან გასხვიისების შემდეგ მოშლის პირველ შესაძლო ვადამდე (8.3).

III. მემკვიდრეების პასუხისმგებლობა ინდივიდუალური საწარმოს მიღებისას

კანონი ითვალისწინებს მემკვიდრეების პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებისთვის, როცა ინდივიდუალური საწარმო შეადგენს სამკვიდრო ქონების ნაწილს, ხოლო მემკვიდრეები აგრძელებენ ამ საწარმოს საქმიანობას. ისინი პასუხს აგებენ ყველა იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც წარმოიშვა საწარმოს საქმიანობიდან. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი: თუ სამი თვის ვადაში სამკვიდროს მიღებიდან ისინი გააჩერებენ საწარმოს საქმიანობას, მაშინ მათ აღარ დაეკისრებათ ეს პასუხისმგებლობა (8.4 მუხლი).

მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას არა აქვს

*მუხლი 8. პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ საწარმოში,
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ
საზოგადოებაში სხვა საწარმოს შექმნის დროს*

მნიშვნელობა იმას, თუ რომელი საფირმო სახელწოდებით აგრძელებენ ისინი საქმიანობას – ინარჩუნებენ ძველ საფირმო სახელწოდებას, თუ დაურთავენ მას მემკვიდრეობის აღმნიშვნელ დამატებას.

სპს-სა და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების პასუხისმგებლობის მიმართ გამოიყენება კანონის 8.1-8.4 მუხლის წესები.

IV. უფლებამონაცვლების დადგენა სასამართლო პრაქტიკაში

სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საწარმოს უფლებამონაცვლების საკითხი უდავო წარმოების წესით იხილება,¹ რაც არასწორია. უფლებამონაცვლებას მნიშვნელობა აქვს იმ კონტრაქტებისათვის, რომელთანაც საწარმოს უხდება ურთიერთობა. ამიტომ, ეს საკითხი წყდება ან კანონის ძალით (როგორც ეს გათვალისწინებულია მე-8 და 14.4-14.6 მუხლებში) ანდა სასარჩელო წარმოების წესით, თუკი კონტრაქტი საწარმოს არ მიიჩნევს იმ საწარმოს უფლებამონაცვლედ, რომელთანაც მას ადრე ჰქონდა ურთიერთობა.

როგორც წესი, დაინტერესებულ პირს უფლებამონაცვლედ ცნობა სურს რაიმე უფლების მისაღებად ან მისთვის სასურველ ურთიერთობაში შესასვლელად. ამან შესაძლოა სხვა პირთა უფლებების შელახვა გამოიწვიოს. მაგალითად, თუ უფლებამონაცვლების პრეტენდენტი ნაკლებად საიმედოა, ვიდრე ადრე არსებული საწარმო, ეს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს კონტრაქტს. ამიტომ, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს კონტრაქტს და აცნობოს, რომ იგი არის უფლებამონაცვლედ და ჩაერთვება მასთან საქმიან ურთიერთობებში. თუ კონტრაქტი არ აღიარებს მას უფლებამონაცვლედ და უარს იტყვის მასთან ურთიერთობაზე (ეს, როგორც წესი, გამოიხატება კონკრეტულ მოთხ-

¹ ასე არის, მაგალითად, შპს „ეტრატი“ ინდკრეის №27 ატელიეს შრომითი კოლექტივის უფლებამონაცვლედ დადგენილი თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/498); ამავე სასამართლოს 2001 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1663) შპს „შუმერი“ აღიარებულ იქნა ინდივიდუალური საწარმო „შუმერის“ უფლებამონაცვლედ.

ოენაზე უარის თქმაში), მაშინ სასარჩელო წარმოების წესით საქმეს განიხილავს სასამართლო. კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონის მე-8 და მე-14 მუხლებში, უფლებამონაცვლეობის საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამიტომ, უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა უდავო წარმოების წესით დაუშვებელია.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს აღგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
საქონსშელტაცით საბჭო**

9.1. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – ღირეპტორებს.

9.2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

9.3. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან ღირეპტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი ღირეპტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას. ანდა ყველა ღირეპტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

გარდა ამისა, ამ კანონის შესაბამისად, შესაძლოა, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით.

9.4. 9.1 მუხლში აღნიშნული პირები საზოგადოებას წარმომადგენენ მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. იგი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს წარმომადგენლობისთვის უფლებამოსილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში.

9.5. თუ გარიგების კონტრაგენტისთვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმომადგენელ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თერამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.

იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ საზოგადოებას, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლობით.

9.6. 9.1 მუხლში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს დირექტორებს.

ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის ამჟამად არ მოუთხოვიათ (კონკურენციის აკრძალვა).

კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისას დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე. დამოშოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები და ანაზღაუროს ზარალი. ამ უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დანარჩენი პარტნიორები, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – სამეთვალყურეო საბჭო.

9.7. 9.1 მუხლში დასახელებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; ეერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აკებენ პასუხს. ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ რომ მათ არ დაურღვევით თავისი მოვალეობა.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ.110, ამოქმედდა 01.09.99)

საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია

საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუუნაროა ანდა გაკოტრების თავიდან აცილების ან საბანკროტო წარმოების შეწყვეტის მიზნით მოურიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

9.8. დირექტორებს, რწმუნებულებს ან სამეწარმეო საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს არ შეიძლება მიეცეთ კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტი, რომელიც მაინც გაიცა, ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად, მაშინვე უნდა დაბრუნდეს.

9.9. კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციების გაწვევის მიზნით შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელთაც არა აქვთ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება. დირექტორები და კომპლემენტარები არ შეიძლება იყვნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

I. ხელმძღვანელობის მნიშვნელობა

კანონი მეწარმეთა შესახებ ხელმძღვანელობის (management) პრობლემას იხილავს თანამედროვე დასავლური ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად. უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნავს საწარმოს საქმიანობისათვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის შექმნას. დასავლეთის ეკონომიკაში, უფრო ზუსტად, მსხვილი საწარმოების მართვაში მთავარ როლს ასრულებენ არა აქციონერები და პარტნიორები, არამედ სწორედ ხელმძღვანელები (დირექტორი, მენეჯერი). უმთავრესად დირექტორის ნიჭზე, მის უნარზე, გამოცდილებასა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული საწარმოს ბედი – რენტაბელური იქნება იგი თუ არა. ამავე დროს, დირექტორი პასუხს აგებს საწარმოს წინაშე. ამ კონცეფციას განამტკიცებს კანონი მეწარმეთა შესახებ.

II. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირები

კანონი განასხვავებს საზოგადოებათა ორ ჯგუფს, რომლებშიც სხვადასხვაგვარად არის მოწესრიგებული ხელმძღვანელობის საკითხი.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპს და კს. ამ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ პარტნიორებს,¹ კერძოდ, სპს-ში — ყველა პარტნიორს. თუ რამდენიმე პარტნიორიდან ერთერთს დაეკისრება ღირექტორობა, მას ეწოდება ხელმძღვანელი-პარტნიორი. კს-ში ხელმძღვანელობის უფლება მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს აქვთ და მათაც ხელმძღვანელი-პარტნიორი ეწოდებათ. რაც შეეხება კომანდიტებს, ისინი გამორიცხულნი არიან საზოგადოების მართვიდან.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება შპს, სს და კოოპერატივი. მათში ხელმძღვანელობის ფუნქცია აკისრიათ ღირექტორებს. ღირექტორი შეიძლება იყოს როგორც პარტნიორი, ასევე გარეშე პირი.

ამრიგად, 9.1 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას. სწორია მოსაზრება, რომ „საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება პარტნიორთა შიდასაზოგადოებრივი, არაქონებრივი ხასიათის უფლებაა“.²

საზოგადოების პარტნიორად ყოფნა თავისთავად არ ნიშნავს ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლებამოსილებას. ამისათვის აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ პარტნიორი ინიშნება საზოგადოების ღირექტორად. სს-ში ღირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. იგივე წესი მოქმედებს კოოპერატივებსა და შპს-ში.

კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს საზოგადოების ორგანოებს, რომლებიც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის: სპს-სა და კს-ში ესაა

¹ უნდა დავეთანხმეთ მოსაზრებას, რომ „ყველა პარტნიორის მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობის განხორციელება წარმოადგენს სპს-ის ხელმძღვანელობის ტრადიციულ ფორმას“ (ლ. ლაზარაშვილი, პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997 წ. №3, გვ.36). თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პარტნიორებმა სხვაგვარად მოაწესრიგონ ხელმძღვანელობის საკითხი.

² ლ. ლაზარაშვილი, პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997 წ. №3, გვ. 36.

პარტნიორთა კრება, შპს-ში – პარტნიორთა კრება და დირექტორატი (ან დირექტორი), სს-ში – საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი (ან დირექტორი); კოოპერატივში კი – საერთო კრება (ან წარმომადგენელთა კრება), სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა.

III. საზოგადოების მართვის ორგანოები

1. საერთო კრება

საერთო კრება საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც საწარმოს ძირითად ინტერესებს შეეხება, მიიღება საერთო კრების მიერ. შპს-სა და სს-ში პარტნიორთა კრება (საერთო კრება) ასახავს არა პარტნიორების რაოდენობას, არამედ ხმის უფლების მქონე კაპიტალის ოდენობას.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა პარტნიორთა კრებას (საერთო კრებას) საწარმოს თანამშრომელთა საერთო კრებასთან აიგივებენ. ეს არაკორექტულია. თანამშრომელთა კრებას არავითარი საერთო პარტნიორთა კრებასთან არა აქვს მაშინაც კი, როცა პარტნიორები და საწარმოს თანამშრომლები ერთი და იგივე პირები არიან.

2. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის სავალდებულო ორგანოა, თუმცა საბჭოს სტატუსი ამ ორ საწარმოში განსხვავდება ერთმანეთისაგან. კანონი სამეთვალყურეო საბჭოს სამართლებრივ მდგომარეობას სააქციო საზოგადოებაში უფრო დეტალურად აწესრიგებს. ეს იმით აიხსნება, რომ სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება დირექტორების დანიშვნის საკითხს. *სს-ის დირექტორები შეიძლება დანიშნოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭომ* (55.8-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი) მაშინ, როცა კოოპერატივის გამგეობის წევრებს ირჩევს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას კანონი თითქმის ამომწურავად განსაზღვრავს. ამასთან, დირექტორების ფუნ-

ქციები არ შეიძლება გადაეცეს: სამეთვალყურეო საბჭოს (55.8-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი). ასეთ მკაცრ წესებს კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს მომწესრიგებელი ნორმები არ შეიცავენ.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა აუცილებელია როგორც სააქციო საზოგადოების, ისე კოოპერატივისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ *სამეთვალყურეო საბჭოს გარეშე დაფუძნებული სს და კოოპერატივი კანონის დარღვევით შექმნილად ჩაითვლება და რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს*. დაუშვებელია ასევე სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების გადაცემა აქციონერთა საერთო კრებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ფაქულტატურ, არასავალდებულო ორგანოს წარმოადგენს. ამაზე პირდაპირ მიუთითებს კანონის 48-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ შპს-ში სამეთვალყურეო საბჭო არსებობს, მაშინ მის მიმართ გამოიყენება სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს წესები. ეს იმას ნიშნავს, რომ შპს-ის სამეთვალყურეო საბჭოს ისეთივე ფუნქციები აქვს, როგორც სს-ის სამეთვალყურეო საბჭოს და ამ ფუნქციითა შეცვლა შპს-ის წესდებით დაუშვებელია.

სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არის შექმნილი და სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია, ამასთან საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღემატება 30 000 ლარს და თანხების წლიური ბრუნვის ოდენობა 100 000 ლარს.³

სამეთვალყურეო საბჭო ასევე სავალდებულოა იმ კომერციული ბანკებისათვის, რომლებიც შპს-ის ფორმით არსებობენ.⁴

3. დირექტორატი (დირექტორები)

დირექტორატი (დირექტორები) ყველა საწარმოსათვის სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს. ტერმინს „დირექტორი“ კანონი იმ პირთა აღსანიშნავად იყენებს, რომელთაც კანონის ძალით მინიჭებული აქვთ

³ სსპ, I, 2001 წ., №6, მუხ. 19.

⁴ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

უფლება სამეწარმეო საზოგადოებები წარმოადგინონ მესამე პირებთან ურთიერთობაში და უხელმძღვანელონ საწარმოს საქმიანობას. ასეთ საქმიანობას მეწარმეთა შესახებ კანონი „ხელმძღვანელობით საქმიანობას“ უწოდებს (9.2 მუხლი) და მისი განხორციელების უფლებას სხვადასხვა პირებს ანიჭებს: სპს-ასა და კს-ში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარებს); შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში – დირექტორებს. კოოპერატივში დირექტორის თანამდებობის სინონიმია „გამგეობის წევრი“. გამგეობა შეიძლება ჰქონდეს სააქციო საზოგადოებასაც და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც. ამიტომ ტერმინები „დირექტორი“, „გამგეობის წევრი“ და „დირექტორატი“, „გამგეობა“ სინონიმებია.

დირექტორატი არის მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე.ი. დადოს საწარმოს სახელით ხელშეკრულებები. დირექტორატის მიერ განსახორციელებელი საქმიანობა იმდენად დამოუკიდებელი და სპეციფიკურია, რომ მისი კომპეტენცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს.

IV. ხელმძღვანელობითი საქმიანობა

ასეთი საქმიანობის ლეგალურ დეფინიციას იძლევა 9.2 მუხლი, რომლის თანახმად, *ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.*

არა ყველა პირის ან ყოველგვარი საქმიანობა მიიჩნევა ხელმძღვანელობით საქმიანობად. ასეთად ჩაითვლება მხოლოდ 9.1 მუხლში დასახელებული პირების მოქმედება. ეს მოქმედება მიზნად უნდა ისახავდეს საწარმოსადმი მომსახურებას, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ. მაგალითად, როცა ავტოქარხნის დირექტორი დებს ხელშეკრულებას საბურავების ქარხანასთან საბურავების მიწოდების შესახებ, ამით იგი პირდაპირ ემსახურება საწარმოს მიზანს, მაგრამ, თუ იგი რესტორანში პატივებს საბურავების ქარხნის დირექ-

ტორს, რომელიც სტუმრად იმყოფება, რათა გააფორმოს ეს ხელშეკრულება, ესეც ჩაითვლება საწარმოსათვის განხორციელებულ მოქმედებად, ოღონდ ამჯერად არააპირდაპირ მომსახურებად.

საწარმოს მიზნებისათვის განხორციელებული მოქმედება უნდა ანაზღაურდეს საზოგადოების მიერ.

V. ხელმძღვანელობის ფორმა

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების ხელმძღვანელობის ერთპიროვნულ და კოლექტიურ ფორმებს. 9.3 მუხლის თანახმად, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის ან დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებულია ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა.

მსხვილ საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ხელმძღვანელობის კოლექტიური ფორმა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამდენიმე დირექტორისაგან შედგება. საქართველოში დიდად პოპულარულია საწარმოთა ხელმძღვანელობისათვის ისეთი სახელწოდებების გამოყენება, როგორიცაა პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი იყენებს განსხვავებულ ტერმინებს, როგორიცაა დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, აკრძალული არაა სხვა სახელწოდებების გამოყენებაც. ძირითადი აქ ისაა, რომ ამ პირთა უფლებამოსილებას და კომპეტენციას განსაზღვრავს კანონი. კანონისეული სახელწოდებისაგან განსხვავებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეიძლება ეწოდოს პრეზიდენტი, თუმცა მისი კომპეტენცია არ უნდა აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულს. იგივე ეხება გენერალური დირექტორის ინსტიტუტსაც.

VI. საზოგადოების ხელმძღვანელების უფლებამოსილებათა შეზღუდვა

ასეთი შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა გარკვეული საქმეებისათვის სამეთვალყურეო ორგანოების ან საზოგადოების კრების აუცილებელი თანხმობის დაწესება (9.3 მუხლის მეორე აბზაცი). მაგალითად, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ წესდება ითვალისწინებს, რომ დირექტორებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე არა აქვთ უძრავი ქონების გაყიდვის ან იპოთეკით დატვირთვის უფლება, რაც კანონის 55.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს. ამიტომ, კონტრაქენტი, რომელიც დირექტორთან დებს უძრავი ქონების ყიდვის ხელშეკრულებას, უნდა დაინტერესდეს, აქვს თუ არა დირექტორს ასეთი თანხმობა. რაც შეეხება ნოტარიუსს, რომელიც ასეთ ხელშეკრულებას ამოწმებს, მან ამგვარი თანხმობა უნდა მოითხოვოს საზოგადოებისაგან.

VII. წარმომადგენლობა

წარმომადგენლობა ხელმძღვანელობითი საქმიანობის მეტად მნიშვნელოვანი სფეროა. 9.4 მუხლის თანახმად, *დირექტორი-პარტნიორები და დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.* ეს ნიშნავს:

ა. არ შეიძლება დირექტორებს აეკრძალოთ ამა თუ იმ გარიგებათა დადება, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებზეც თანხმობის გაცემა კანონით სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ. არ შეიძლება დირექტორებს შეეზღუდოთ კონტრაქტების არჩევის უფლებამოსილება.

საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენილია დირექტორების მეშვეობით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს ყველა დირექტორის შესაძლებლობას, საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. თუ საზოგადოებას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, საზოგადოებასთან გარიგების დადებისათვის საკმარისია ნების გამოვლენა ერთ-ერთი დირექტორის მიმართ.

მაგალითი:

სს-ას ჰყავს ექვსი დირექტორი. რამდენიმე უცხოურ კომპანიას სურს შეიძინოს სს-ის პროდუქცია. სს-ის მიერ გამოშვებული პროდუქციის შეძენის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭირო არაა ყველა დირექტორის ხელმოწერა. ხელშეკრულებაზე საკმარისია ერთ-ერთი დირექტორის ხელმოწერაც.

დირექტორების გარდა, მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოება შეიძლება სხვა პირებითაც იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, პროკურისტით ან სავაჭრო წარმომადგენლით. ამიტომ საზოგადოების წესდებით ზუსტად უნდა განისაზღვროს, წარმომადგენლობითი უფლებებით აღჭურვილი პირები იმოქმედებენ ერთპიროვნულად თუ ერთობლივად, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში (9.4 მუხლის მეორე აბზაცი).

9.5 მუხლი ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმს იმ შემთხვევებისათვის, როცა ამ საზოგადოების წარმომადგენელმა დადო გარიგება, რომლის დადების უფლება მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაპენტმა. საზოგადოებას შეუძლია გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში გამოაცხადოს გარიგება ბათილად.

იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა წარმომადგენელი და კონტრაპენტი განზრახ მოქმედებდნენ ერთად, რათა ზიანი მიეყენებინათ წარმოდგენილი საზოგადოებისათვის.

VIII. კონკურენციის აკრძალვა

ხელმძღვანელ-პარტნიორებსა და დირექტორებს არა აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე ეწეოდნენ იმავე საქმიანობას, რასაც ეწევა საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. მაგალითად, თუ პირი მუშაობს შპს „ავტომანქანების რემონტში“ დირექტორად, მას არ შეუძლია იყოს სხვა ანალოგიურ საწარმოში დირექტორად თუ ეს საწარმო შპს ან კს-აა, მას არა აქვს

უფლება მათში მიიღოს მონაწილეობა პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით.

მიუხედავად ამისა, პირებს შეიძლება მიეცეთ თანხმობა ასეთი საქმიანობისათვის. „კონკურენციის აკრძალვა პარტნიორთა დასაცავად არის დაწესებული და მათვე გადასაწყვეტია გამოიყენონ თუ არა ეს უფლება“.⁵ ამ თანხმობას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, ხოლო სააქციო საზოგადოებაში კი – სამეთვალყურეო საბჭო.

კონკურენციის აკრძალვას არ ექვემდებარება საზოგადოების დირექტორების მუშაობა დირექტორად შეიღობილ საზოგადოებაში ან ფილიალებში.

მაგალითი:

შპს „კავკასიონმა“ შექმნა შპს „ბოთლების წარმოება“. შპს „კავკასიონის“ დირექტორი შეიძლება იმავდროულად იყოს შპს „ბოთლების წარმოების“ დირექტორი. ამ შემთხვევაში კონკურენციის აკრძალვის წესები არ გამოიყენება.

გარდა ნებართვის ოფიციალური გაცემისა, არსებობს ასევე მეორე გზა, როცა პარტნიორებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მომავალი დირექტორი უკვე ეწეოდა ასეთ საქმიანობას სხვა საზოგადოებაში, მაგრამ მისთვის ამ საქმისათვის თავის დანებება არ მოუთხოვიათ (9.6 მუხლის მეორე აბზაცი).

რა შედეგები მოჰყვება კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევას? – ეს სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებულია 9.6 მუხლის მესამე აბზაცში, კერძოდ:

ა. დამრღვევი ვალდებულია უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე;

ბ. დათმოს ანაზღაურების მიღების მოთხოვნები;

გ. აანაზღაუროს ის ზარალი, რაც საზოგადოებას მიადგა მისი საქმიანობის შედეგად.

გადაწყვეტილებას ამ უფლების გამოყენების შესახებ იღებენ პარტ-

⁵ ლ. ლაზარაშვილი, პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. თურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997 წ., №3, გვ. 38.

ნიორები, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – სამეთვალყურეო საბჭო.

IX. საზოგადოების ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულება

1999 წლის 9 ივნისის კანონით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლი ახლებურად ჩამოყალიბდა. თუ ძველი რედაქცია მხოლოდ საზოგადოების ხელმძღვანელებს აკისრებდა კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებას, ამგვარი ვალდებულების სუბიექტები გახდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. მათი ეს ვალდებულება 9 ივნისის კანონის მიღებამდეც იყო გათვალისწინებული 55.10 მუხლით. ამჯერად ზოგადი ნაწილიც გამდიდრდა ამ ნორმით.

ზოგად ნაწილში დირექტორების პასუხისმგებლობის გვერდით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის დამკვიდრებამ პრაქტიკაში წარმოშვა ერთი ასეთი პრობლემა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კანონმდებელმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების მართვის საკითხებში დირექტორებს გაუთანაბრა? პრაქტიკაში უკვე იყო მცდელობა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, 9.7 მუხლზე დაყრდნობით სცადეს დირექტორების ფუნქციების საკუთარ თავზე აღება. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის დირექტორების მოვალეობათა დაკისრება კანონის ამჟამად არარღვევია.* კანონის 55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

მამასადამე, 9.7 მუხლის ახალი რედაქცია არ ცვლის კლასიკურ და ტრადიციულ ურთიერთდამოკიდებულებას დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. იგი მხოლოდ აზუსტებს, რომ კეთილსინდისიერების ვალდებულება თანაბრად ვრცელდება როგორც დირექტორებზე, ისე სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

9.7 მუხლის ახალმა რედაქციამ დააზუსტა საზოგადოების საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულების შინაარსი. კერძოდ, საზოგადოების ხელმძღვანელები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ

თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თუ რა უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირის მოქმედებად, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ იცნობს შემთხვევებს, როცა საზოგადოებას დაეყენებინოს ღირეპტორთა საქმიანობის შეფასებისა და მათი პასუხისმგებლობის საკითხი. იმედია, რომ საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები ამის ბევრ პრეცედენტს შექმნის.

დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ღირეპტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე პირადად და მთელი თავიანთი ქონებით. თუ ღირეპტორი რამდენიმეა, მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.

X. მტკიცების ტვირთი

ღირეპტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მათ. ე.ი. ღირეპტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და ის მოქმედებდა ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

XI. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის დაუშვებლობა

პასუხისმგებელი მენეჯმენტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გამონახტულებაა კანონის ნორმა, რომელიც ავალებს საზოგადოებას არ თქვას უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე იმ შემთხვევებში, როცა ეს ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა ვალდებული პირი: ა) გადახდისუნაროა ან ბ) გაკოტრების თავიდან აცილების ან საგაკოტრებო წარმოების შეწყვეტის მიზნით მოურიგდება თავის კრედიტორებს.

საზოგადოების ხელმძღვანელი დამოუკიდებელი და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი პირია. იგი ბევრ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, ხელმძღვანელობს საზოგადოებას ყოველდღიურ საქმიანობას. ამიტომ იგულისხმება, რომ ის საზოგადოების პარტნიორებზე უკეთ იცნობს საზოგადოების საწარმოო საქმიანობას. *ღირექტორი არ უნდა იყოს პარტნიორების გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი. პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად მოქმედებდა (9.7 მუხლის მეორე აბზაცის ბოლო წინადადება).*

XII. საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ ღირექტორებს, რწმუნებულებს (პროკურისტს, სავაჭრო წარმომადგენელი და ა.შ.), ან სამეწარმეო საქმიანობისათვის ნაწილობრივ უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ საწარმოო მიზნებისათვის განკარგონ საზოგადოების ქონება, მათ არ შეიძლება მიეცეთ კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს ხუთი ათას ლარს. ამ თანხიდან არ შეიძლება ზემოთ აღნიშნულ პირებზე გაიცეს კრედიტი. თუ ამ სახსრებიდან კრედიტი მაინც გაიცა, ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად იგი მაშინვე უნდა დაბრუნდეს (9.8 მუხლი).

XIII. საკონსულტაციო საბჭო

კს-ში, შპს-სა და სს-ში, კონსულტაციების გაწევის მიზნით შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო საბჭოები. ამ საბჭოებს არა აქვთ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. მიუხედავად ამისა, ღირექტორები და კომპლემენტარები არ შეიძლება იყვნენ საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

საკონსულტაციო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს გარეშე პირი, რომელსაც მოცემულ საკითხში ან მოცემულ სფეროში აქვს გამოცდილება.

საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავენ პარტნიორები, ხოლო წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

საკონსულტაციო საბჭოს სახელწოდება შეიძლება სხვადასხვანაირად განისაზღვროს. მაგალითად, სს „ქართულ ფილმში“ მას ეწოდება სამხატვრო საბჭო. გამომცემლობაში მას შეიძლება ეწოდოს სარედაქციო საბჭო და ა.შ.

XIV. საზოგადოების შინაგანაწესი

შინაგანაწესი საზოგადოების შიდა დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მართვის ორგანოების საქმიანობის წესს. მისი მეშვეობით ხორციელდება მართვის ორგანოების წევრთა კომპეტენციის გამოიჯენა.

მაგალითი:

შპს-ს ჰყავს რამდენიმე დირექტორი. ერთი უფლებამოსილია გაუძღვეს საზოგადოების საგარეო საქმეებს, მეორე – წარმოებას, მესამე კი ხელმძღვანელობს ბაზრის შესწავლას. მათი ეს კომპეტენცია უნდა განისაზღვროს შინაგანაწესში. ოღონდ, კომპეტენციის ამ დანაწილებას არა აქვს იურიდიული ძალა მესამე პირების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტორის მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება ნამდვილია მიუხედავად იმისა, დირექტორმა თავისი დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში დალო ხელშეკრულება თუ არა.

XV. კორპორაციული მართვის საკითხები

კორპორაციული მართვის ინსტიტუტი თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტიტუტია. იგი არ წარმოადგენს საკანონმდებლო ცნებას. ტერმინი კორპორაციული მართვა (Corporate Governence) ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებასა და თეორიაში. მასში იგულისხმება კანონით გათვალისწინებულ ნორმათა ერთობლიობა, აგრეთვე ბირჟების, საზედამხედველო უწყებებისა (როგორ-

იცაა, მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომიტეტი) და ცალკეულ საზოგადოებათა წესდებებში დადგენილი წესები, რომლებიც შეეხება პასუხისმგებელ, წარმატებაზე ორიენტირებულ, გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში ფასეულობათა შექმნასა და წარმატებაზე ორიენტირებულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ამ საწარმოებზე.⁶

კაპიტალური საზოგადოებები, განსაკუთრებით, სააქციო საზოგადოებები, თანამედროვე მსოფლიოში, მართვის თვალსაზრისით, ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველს განეკუთვნება ე.წ. ერთსაფეხურიანი მართვის სისტემა, რომელიც დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული, შვეიცარული, ფრანგული და ბელგიური სამართლისთვის. მეორე – ორსაფეხურიანი მართვის სისტემა გამოიყენება გერმანულ, ჰოლანდიურ, ავსტრიულ, ესპანურ და ა.შ. საკორპორაციო სამართალში. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ქართული სამართალიც.

1. ორსაფეხურიანი სისტემა (two-tier-System)

სააქციო საზოგადოებების მართვის ორსაფეხურიანი სისტემა გერმანულ სამართალში წარმოიშვა და იმ იდეას განამტკიცებს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობის პროცესში გამგეობას (დირექტორატს) დიდი თავისუფლება უნდა მიენიჭოს, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს საწარმოს საკეთილდღეოდ დამოუკიდებლად იმოქმედოს.⁷

ორსაფეხურიანი სისტემის დროს გამგეობის (დირექტორატის) ზემდგომ, ?ის მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მუდმივად ახორციელებს ზედამხედველობას დირექტორატის საქმიანობაზე. დირექტორატი ვალდებულია პერმანენტულად მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს. მიუხედავად ამ კონტროლისა, გამგეობა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი დამოუკიდებლად ღებს გარიგებების საწარმოს სახელით,

⁶ დაწვრილებით იხილეთ: მარკუს ლუთერი, კორპორაციული მართვა (Corporate Governance) გერმანიასა და აშშ-ში. კრებულში „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ 21-32.

⁷ მარკუს ლუთერი, გვ 23.

ორივეს კონტრაქტებს და ა.შ. კონკრეტული გარიგებების დადების დროს სამეთვალყურეო საბჭოს მითითებები მისთვის საეკონომიკურად არ არის.

აქციონერების როლი საწარმოს მართვაში შეზღუდულია მხოლოდ იმ უფლებამოსილებით, რასაც კანონი განუსაზღვრავს საერთო კრებას.

კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სააქციო საზოგადოებების მართვის ორსაფეხურიან სისტემას. ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იგივე სისტემას აწესებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის.

2. ერთსაფეხურიანი სისტემა (one-board system)

ერთსაფეხურიანი სისტემა დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისათვის და ასევე, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსათვის. იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამეწარმეო საქმიანობასა და მასზე კონტროლს. ერთ ორგანოს – საბჭოს, ევალება როგორც საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის გაძღოლა, ისე მასზე კონტროლიც. ამიტომაც დიდ საწარმოებში პრაქტიკა დღეს იქითკენ მიდის, რომ დაქირავებულ იქნეს ე.წ. აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს თავმჯდომარე და მას ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის წარმართვა ევალება.⁸

კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიანი სისტემის დახასიათებისას მნიშვნელოვანია დირექტორთა საბჭოს კომპეტენციის გარკვევა, კერძოდ, იმის, თუ: 1. რომელი საკითხები განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას, რომლებზეც დირექტორთა საბჭოს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები; 2. რა სახის გადაწყვეტილებები უნდა იქნეს საერთო კრების მიერ მიღებული ერთსულოვნად, დირექტორთა საბჭოს მოწონების გარეშე; 3. დირექტორთა საბჭოს მინიმალური კომპეტენცია; 4. აქვს თუ არა დირექტორთა საბჭოს უფლება დანიშნოს და გაათავისუფლოს საზოგადოების მართვის ორგანოები, კერძოდ, გენერალური დირექტორი; 5. აქვს თუ არა დირექტორთა საბჭოს უფლება იკისროს სხვა დამატებითი ფუნქციები.⁹

⁸ დაწერილებით იხ. მარკუს ლუთერი, გვ. 25.

⁹ General Principles Of Company Law For Transition Economies. Pr. 115.

როგორც ჩანს, ერთსაფეხურიანი სისტემის დროს დირექტორთა საბჭოს ისეთივე ფუნქციები აქვს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს. ტენდენცია, რომ აქციონერთა საერთო კრებასა და აღმასრულებელ ორგანოს შორის შუალედური რგოლი ჩამოყალიბდეს, სრულიად ლოგიკურია. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კომპეტენციის განსაზღვრა, როგორც წესი, დამოკიდებულია წესდებებზე. სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და გარკვეულობისათვის კი სასურველია, რომ კომპეტენციათა გამიჯვნა კანონით იყოს განსაზღვრული. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქართული კანონის გადაწყვეტა მიზანშეწონილია და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ სააქციო საზოგადოებების არსებობისა და საქმიანობის ხანგრძლივი ტრადიცია და გამოცდილება.

მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება

10.1. 9.1 მუხლში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ორნი ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა).

10.2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია დოკუმენტის გაუქმება ან მისი ძალადაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში.

10.3. თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, იგი წარმოადგენს გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურა).

პროკურა იძლევა უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად მიეცემა.

პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირთათვის. ეს წესი შეეხება, კერძოდ, შეზღუდვას, რომ პროკურა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა თუ გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, ან განსაზღვრული დროისთვის ანდა ცალკეულ ადგილებში.

პროკურის შემოფარგვლას ერთი ან რამდენიმე ფილიალით მხოლოდ მაშინ აქვს ძალა მესამე პირთათვის, თუ ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით. ამ წესის თანახმად, საფირმო სახელწოდებათა ურთიერთგანსხვავებულობა იმითაც გამოისახება, რომ „ფილიალს“ დაერთვება დამატება, რომელშიც აღინიშნება ფილიალის საფირმო სახელწოდება.

10.4 პროკურისტი და სავაჭრო წარმომადგენელი ხელმოწერისას საფირმო სახელწოდებას დაურთავენ თავიანთ სახელსა და გვარს და პროკურის ან სავაჭრო მინდობილობის აღმნიშვნელ დამატებას.

10.5 პროკურა და სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების უფლების ხელყოფის გარეშე.

I. პროკურის ზოგადი მიმოხილვა და მნიშვნელობა

პროკურა ანუ გენერალური სავაჭრო მინდობილობა არის სპეციალური სავაჭრო (კომერციული) მინდობილობა, რომლის ფარგლები და მოცულობა კანონითაა განსაზღვრული.

წარმომადგენლების მეშვეობით გარიგებების ან სხვა საქმეების განხორციელების შესაძლებლობას მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს და, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც. კანონი მეწარმეთა შესახებ ამგვარი წარმომადგენლობის რამდენიმე სახეს განსხვავებს: *იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება (სავაჭრო მინდობილობა), სავაჭრო წარმომადგენლობა და, საკუთრივ, პროკურა.*

პროკურა, როგორც წარმომადგენლობის სპეციალური ფორმა, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ა) მისი მოცულობა განსაზღვრულია კანონით და შეცვლა ხელშეკრულების საფუძველზე, თუნდაც ეს მარწმუნებელს სურდეს, დაუშვებელია; ბ) შესაბამისად დაუშვებელია პროკურის უფლებამოსილების შეზღუდვა მესამე პირთა წინაშე; გ) პროკურა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში.

II. პროკურის გაცემა

პროკურის გაცემის უფლება აქვთ: სპა.შპს – ყველა პარტნიორს, კს-ში – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლემენტარობს), ხოლო შპს-ში, სს-სა და კოოპერატივში – დირექტორებს. პროკურის გაცემა შეუძლია, ასევე, ინდივიდუალურ მეწარმეს.

პროკურის გაცემისათვის კანონი მოითხოვს წერილობით ფორმას

(10.1 მუხლის პირველი წინადადება), ე.ი. პროკურა ანუ გენერალური სეაჭრო მინდობილობა უნდა გაფორმდეს წერილობით.

პროკურის გაცემაზე უფლებამოსილება პირებმა პროკურა უნდა გასცენ პირადად. დაუშვებელია პროკურის გაცემა სხვა პირთა მეშვეობით.

პროკურა შეიძლება ერთდროულად ორ ან რამდენიმე პირს მიეცეს. მინდობილობის ამ სახეს საერთო პროკურა (ანუ საერთო მინდობილობა) ეწოდება. მინდობილობაში უნდა განისაზღვროს პროკურისტები ორნი თუ ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს.

პროკურის გაცემის დოკუმენტში (მინდობილობაში) სავალდებულო არაა სიტყვა „პროკურის“ აღნიშვნა. იმპედროულად, კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს პროკურის რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში. უფრო ზუსტად, თუ მინდობილობა რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, ის უკვე თავისთავად წარმოადგენს პროკურას ისე, რომ დამატებით არაა საჭირო ამის აღნიშვნა (10.3 მუხლი).

იმისათვის, რომ პროკურა იურიდიული ძალის მქონე აქტად ჩაითვალოს, აუცილებელია მისი მიღება იმ პირის მიერ, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი. საწარმოს ბრძანების ან სხვა ცალმხრივი აქტის საფუძველზე პროკურის ურთიერთობა არ წარმოიშობა, თუ მომავალი პროკურისტი არ გამოთქვამს თანხმობას იყოს პროკურისტი.

III. პროკურის ფარგლები და მოცულობა

პროკურისტი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობასთან (10.3 მუხლის მეორე აბზაცი) და რომლის უფლებაც თვითონ საწარმოს აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროკურისტს უფლება აქვს განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რისი უფლებაც საწარმოს ღირექტორებს აქვთ: საწარმოს სახელით დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს სასამართლოში და ა.შ.

პროკურა კანონის საფუძველზე წარმოშობილი მინდობილობის ნაირსახეობაა. ამიტომ, მისი მოცულობის შეზღუდვა მინდობილობით დაუშვებელია. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურისტს არ შეიძლება განესაზღვროს, თუ რა სახის გარიგებების დადება შეუ-

ძლია და რა აქვს აკრძალული. პროკურისტის მიმართ გამოიყენება *სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობის პრეზუმფცია*. კანონი განამტკიცებს, რომ „პროკურის მოცულობის შეზღუდვა ბათილია მესამე პირთათვის“ (10.3 მუხლის მე-4 აბზაცი). კერძოდ, თუ პროკურის დოკუმენტში მითითებულია, რომ პროკურიტს შეუძლია დადოს მხოლოდ ესა თუ ის გარიგება (მაგალითად, მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებები) ან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი არ არის ადგილზე ანდა შეუძლია საწარმოს სახელით გარიგებები დადოს სხვა ქალაქში და ა.შ. ასეთი პროკურა ბათილია. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შეზღუდვების მქონე პროკურისტის მიერ დადებული ხელშეკრულებები მესამე პირთათვის იურიდიული ძალის მქონე იქნება.

პროკურის შეუზღუდაობის პრეზუმფცია განპირობებულია კომერციულ ურთიერთობებში ნდობის დაცვის აუცილებლობით. ე.ი. მესამე პირები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ ურთიერთობა აქვთ საწარმოს შეუზღუდავ წარმომადგენელთან, რომელიც უფლებამოსილია დადოს საწარმოს სახელით ნებისმიერი გარიგება.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულად პროკურა შეუზღუდავი მინდობილობაა, თვით კანონი აწესებს შეზღუდვებს და ეს შეზღუდვები ამომწურავია:

ა) მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული გარიგებები

პროკურისტს არა აქვს უფლება გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვიოს საწარმოს მიწის ნაკვეთები, დააგირავოს ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთოს ისინი. მას ამგვარი მოქმედების განხორციელებისათვის სჭირდება სპეციალური უფლებამოსილება;

ბ) პროკურის შემოფარგვლა ერთი ან რამდენიმე ფილიალით

კანონი უშეებს შესაძლებლობას, რომ პროკურა გაიცეს ერთი ან რამდენიმე ფილიალის ფარგლებში. ე.ი. საწარმოს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფილიალი, ხოლო პროკურისტი იყოს უფლებამოსილი წარმოადგინოს მათგან მხოლოდ რამდენიმე ფილიალი. ამგვარ შეზღუდვას

მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება

კანონი უშვებს მხოლოდ მაშინ, თუ საწარმოს ფილიალები დამოუკიდებელი საფირმო სახელწოდებით საქმიანობენ ანდა საწარმოს საფირმო სახელწოდებას დაურთავენ დამატებას „ფილიალი“ მისი ადგილსამყოფლის მითითებით.

პროკურისტი საქმიან ურთიერთობებში ხელმოწერისას საწარმოს საფირმო სახელწოდებას ურთავს თავის სახელსა და გვარს პროკურის აღმნიშვნელი დამატებით. მაგალითი: „ქართული ლეინის ექსპორტი შპს“, „პროკურისტი პეტრე ლეინიაშვილი“ (10.4 მუხლი).

პროკურის გაუქმება უნდა მოხდეს პროკურის განმსაზღვრელი დოკუმენტის გაუქმებით ან ძალადაკარგულად აღიარებით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია ცვლილების შეტანა სამეწარმეო რეესტრში და გამოქვეყნება პრესაში (10.2 მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები). ამ ნორმის მიზანია კრედიტორთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

IV. იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება (სავაჭრო მინდობილობა)

ეკონომიკურ ურთიერთობებში პროკურა მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იმავდროულად, იგი საზიფათოცაა საწარმოსათვის, ვინაიდან პროკურისტს ძალიან ფართო და თითქმის შეუზღუდავი უფლებები აქვს. პროკურის შეუზღუდავი ფარგლებით გამოწვეული რისკის შესამცირებლად, ურთიერთობებში უფრო მეტი გარკვეულობის შეტანის მიზნით ეკონომიკურმა ცხოვრებამ წარმოშვა წარმომადგენლობის მეორე სახე, რომელსაც კანონი უწოდებს *იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილებას (სავაჭრო მინდობილობას)*. ამგვარი მინდობილობა უცხო არც საბჭოთა სამართლისა და ეკონომიკისათვის ყოფილა. მას საწარმოებში ხშირად იყენებდნენ და გამოიყენებენ დღესაც. ამიტომ, მისი კომენტირება არ არის რთული.¹

¹ დაწერილობით: მ. კახაძე, წარმომადგენლობასა და მინდობილობის ინსტიტუტის თავისებურებანი. „სამართლოს რეფორმა საქართველოში“. თბ. 1994, გვ. 256-261.

V. სავაჭრო მინდობილობის განსხვავება პროკურისაგან

ა) სავაჭრო მინდობილობა გაიცემა რაიმე კონკრეტული გარიგების დასადებად, მაგალითად, ნელლეულის შესაძენად, პროდუქციის გასაყიდად და ა.შ. პროკურა კი პროკურისტს უფლებას აძლევს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც დაკავშირებულია საწარმოსთან;

ბ) მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება თვით მინდობილობით. მაგალითად, თუ პირს მიცემული აქვს მინდობილობა, რომ შეიძინოს საწარმოსათვის სამშენებლო მასალები, მას არა აქვს უფლება შეიძინოს ავეჯი ან გაყიდოს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია. პროკურა კი ასეთ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს;

გ) სავაჭრო მინდობილობა გამოირჩევა თავისი სიმარტივეითაც. მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტად ხშირია და, ბუნებრივია, ყოველ მინდობილობას არ სჭირდება რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. პროკურა კი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში;

დ) სავაჭრო მინდობილობის გაცემისათვის ყოველთვის არაა საკვალდებულო წერილობითი ფორმა. მაგალითად, მაღაზიის გამყიდველი, რომელიც შეიძლება არც იყოს მაღაზიის მეპატრონე, ისე ყიდის საქონელს, რომ არავის არ წარუდგენს (არც არავინ მოსთხოვს მას) თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. ივარაუდება, რომ მაღაზიის დახლთან მდგომი გამყიდველი არის მაღაზიის წარმომადგენელი. პროკურა კი ყველა შემთხვევაში მოითხოვს წერილობით ფორმას.

სიმარტივისა და მოქნილობის გამო სავაჭრო მინდობილობა ცხოვრებაში მეტად გავრცელებულია. ყოველდღიურ ყოფაში ამგვარი სავაჭრო წარმომადგენლობის მეშვეობით ურთიერთობები მყარდება მრავალ საწარმოსთან. მაგალითად, ტროლეიბუსის მძღოლი არის სატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენელი. მისი მეშვეობით ჩვენ გადაყვანის ხელშეკრულებას ვღებთ სატრანსპორტო საწარმოსთან. როცა საპარიკმახეროში შევდივართ და პარიკმახერის მომსახურებას ვიღებთ, ჩვენ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ იგი წარმომადგენს საწარმოს, რომელთანაც მისი მეშვეობით ვღებთ ხელშეკრულებას.

VI. პროკურისა და სავაჭრო მინდობილობის გაუქმება

ანალოგიურად პროკურისა, სავაჭრო მინდობილობაც შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს, ოღონდ ამ უკანასკნელისთვის არაა საჭირო ის რთული პროცედურა, რაც პროკურის გაუქმებას სჭირდება.

იმავდროულად, როგორც პროკურიტს, ასევე სავაჭრო წარმომადგენელს უფლება აქვთ მოითხოვონ იმ ზიანის ანაზღაურება, რაც ხელშეკრულების შეწყვეტამ გამოიწვია და რაშიც ბრალი მარწმუნებელს მიუძღვის (10.5 მუხლი).

მუხლი 11. საგაჭრო წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მწვაჭრე. კომისიონერი

11.1. საგაჭრო წარმომადგენლად, ამ კანონის მიხედვით, მიიჩნევა პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან ღებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

ამ კანონის მიხედვით, საგაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს საგაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით, ამ კანონის მიხედვით, არის კომისიონერი.

11.2 საგაჭრო წარმომადგენლები და კომისიონერები ანგარიშვალდებულინი არიან იმ საწარმოს წინაშე, რომლისთვისაც ისინი მოქმედებენ: ვალდებულინი არიან შეთანხმებულ ვადებში, ხოლო თუ შეთანხმება არ არსებობს – ყოველი კვარტლის ბოლოს, კერძოდ, კვარტლის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში, წერილობით წარუდგინონ საწარმოს ცნობები ყოველი შესრულებული საქმის შესახებ და პროვიზიის (მომსახურების საზღაური) ან კომისიის (კომისიონერის საზღაური) ანგარიში.

პროვიზიის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა საწარმოს მიერ გარიგების შესრულების მომენტიდან და იგი გადახდილ უნდა იქნეს იმავე თვის ბოლოს. იგივე წესი მოქმედებს აგრეთვე, როცა კომისიონერი ვალდებულია გადაუხადოს საწარმოს მიღებული შემოსავალი კომისიის ხარჯების გამოკლებით. პროვიზიის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როცა საწარმო არ ასრულებს ან ისე არ ასრულებს გარიგებას, როგორც იყო შეთანხმებული. მაგრამ ეს უფლება ისპობა, როცა გარიგება არ სრულდება არა საწარმოს, არამედ გარიგების მეორე მხარის მიზეზით. თუ დადგინდა, რომ გარიგების მეორე მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, მაშინ ისპობა პროვიზიის მოთხოვნის უფლება. მიღებული თანხები უკან უნდა დაბრუნდეს.

საწარმო გადასახდელ პრივიზიებს იხდის ყოველთვიურად.

ანგარიშსწორებისას შეიძლება მოითხოვონ ყველა იმ გარიგების საბუღალტრო ამონაწერი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პროვიზია; გარდა ამისა, შეიძლება მოითხოვონ ცნობები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც არსებითია პროვიზიის მოთხოვნის, გადახდის ვადისა და პროვიზიის გამოსათვლელად.

დაუშვებელია აღნიშნული წესებისაგან გადახვევა სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის საზიანოდ.

11.3. თუ პროვიზიის ან კომისიის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ნორმა მიიჩნევა შეთანხმებულად.

11.4. პროვიზია გამოითვლება იმ თანხიდან, რომელიც უნდა გადაიხადოს გარიგების მხარემ. ფულით გადახდისას ფასდათმობები უნდა გამოიქვეთოს; იგივე წესი მოქმედებს ფულადი მიმოქცევის, ფრახტის, შეფუთვის, ბაჟისა და გადასახადების დამატებითი ხარჯებისათვის, თუ ეს დამატებითი ხარჯები არ უნდა გაიღოს მესამე პირმა.

სარგებლობის დათმობისა და სარგებლობის ვადიანი ხელშეკრულებების დროს პროვიზია გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან ხელშეკრულების ვადის შესაბამისად. უვადო ხელშეკრულების დროს პროვიზია გამოითვლება ყოველთვის ხელშეკრულების თანხიდან და ექვემდებარება ანაზღაურებას იმ დრომდე, ვიდრე გარიგების მხარეს შეუძლია მოშალოს ეს გარიგება.

დაზღვევისას პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან. თუ ასეთი თანხა არ არსებობს, მაშინ პროვიზია გამოითვლება სადაზღვევ შესატანიდან; ეს წესი მოქმედებს აგრეთვე არსებული მუდმივი კლიენტურის შენარჩუნებისათვის ზრუნვის პროვიზიის მიმართ.

11.5. კომისიონერი გარიგების შესრულებისათვის პასუხს აგებს საწარმოს წინაშე, თუ კომისიის განხორციელებამდე არ დაუსახელა მას ხელშეკრულების მხარეები. თუ კომისიონერი არ მოქმედებს საწარმოს მითითებების შესაბამისად და მას არ ჰქონდა უფლება შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე გადაეხვია თავისი უფლებამოსილებისთვის, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საწარმო, ამგვარი მოქმედებით მიყენებული ზარალი.

კომისიონერი პასუხს აგებს მისთვის მიბარებული ქონების დანაკლი-
ნისა და დაზიანებისათვის, თუ ისინი არაა გამოწვეული იმ გარემოებე-
ბით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი სავაჭრო საწარ-
მოს კეთილსინდისიერი მოქმედებით.

11.6. თუ სავაჭრო წარმომადგენლები ან კომისიონერები წინასწარ
წერილობით ივალდებულებენ, რომ თავდებად დადგებიან გარიგებიდან
გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის, მაშინ მათ შეუძლიათ
მოითხოვონ სპეციალური გასამრჯელო – ვალდებულების შესრულები-
სათვის თავდებად ყოფნის პროვიზია (სათავებო პროვიზია). ვალდე-
ბულება შეიძლება აღებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული გარიგები-
სათვის ან ასეთი გარიგებისათვის კონკრეტულ მხარეებთან. სათავებო
პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე.

11.7. სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს მეწარმის თანხ-
მობის გარეშე არა აქვთ უფლება სხვაგვარად იმოქმედონ საწარმოს
საქმიანობის სფეროში ანდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიიღონ მონაწი-
ლეობა რომელიმე კონკურენტ საწარმოში (კონკურენციის აკრძალვა),
გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება წმინდა ფინანსურ მონაწი-
ლეობას არაუმეტეს ხუთი პროცენტისა. თანხმობა რომელიმე კონკურენტ
საწარმოში მონაწილეობისათვის გაცემულად ითვლება, თუ სახელშეკ-
რულებო ურთიერთობაში შესვლისას საწარმოსათვის ცნობილი იყო ამ
მონაწილეობის ფაქტი.

თუ სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი დაარღვევს ამ ვალდე-
ბულებას, საწარმოს შეუძლია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება; გარ-
და ამისა, მას შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს
მოსთხოვოს, რომ კონკურენტ საწარმოსთვის დადებული გარიგებები
გადასცეს საწარმოს და ამ გარიგებიდან გამომდინარე სარგებელი უკან
დააბრუნოს ან უარი თქვას ამ სარგებლის მოთხოვნაზე.

თუ შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ კონკურენციის აკრძალ-
ვა გრძელდება სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდე-
გაც, აკრძალვას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ საწარმო ამისათვის
იხდის კომპენსაციას, რომელიც გამოიანგარიშება 11.9 მუხლის მესამე
და მეოთხე წინადადებების შესაბამისად. ასეთი შეთანხმება დაიშვება არა
უმეტეს ერთი წლის ვადით.

11.8. ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელთან ან კომისიონერ-
თან იდება ერთი წლის ვადით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმე-

ბულან. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გრძელდება კიდევ ერთი წლით გადამწყვეტია ხელშეკრულების მხარის შესაძლებლობა, გაეცნოს განცხადებას ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

სახელშეკრულებო ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა შესაძლებელია, თუკი არსებობს საამისო მნიშვნელოვანი გარემოებები.

11.9. სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საწარმოს მოსთხოვოს შესაბამისი კომპენსაცია, თუ

ა. სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს იმ ახალ კლიენტებთან საქმიან კავშირში, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა და

ბ. სავაჭრო წარმომადგენელი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის გამო კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტებთან უკვე დადებული ან მომავალში გასაფორმებელი გარიგებების გაგრძელებისას.

ახალი კლიენტის მოზიდვას უთანაბრდება სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კლიენტთან საქმიანი კავშირის ისე გაფართოება, რომ იგი ეკონომიკური თვალსაზრისით ღიდ მოგებას იძლევა.

კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს სავაჭრო წარმომადგენლის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის საქმიანობისას გამოანგარიშებული წლიური პროვიზიის ან სხვა წლიური გასამრჯელოს საშუალო ოდენობას; უფრო ზანმოკლე სახელშეკრულებო ურთიერთობისას საშუალო გამოანგარიშება მთელი საქმიანობის ზანგრძლივობიდან. დაუშვებელია კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი ან წინასწარი დაკმაყოფილება ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

მოთხოვნა არ არსებობს, თუ:

ა. სავაჭრო წარმომადგენელმა მოშალა ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამისათვის საბაბი მისცა საწარმოს მოქმედებამ ან სავაჭრო წარმომადგენლის მიერ თავისი საქმიანობის გაგრძელება ასაკის ან ავადმყოფობის გამო შეუძლებელია, ან

ბ. სხვა საწარმომ შეწყვიტ. სახელშეკრულებო ურთიერთობა და შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს სავაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება, ან

გ. საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის შეთანხმების საფუძველზე სავაჭრო წარმომადგენლის ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მესამე პირი; შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე.

კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის ვადაში.

I. ზოგადი მიმოხილვა

მე-11 მუხლში დასახელებული სუბიექტების მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მეტად დიდია. მათი მეშვეობით ამყარებენ ურთიერთობას დიდი საწარმოები მრავალრიცხოვან კლიენტებთან. სავაჭრო წარმომადგენლების, დამოუკიდებელი მოვაჭრეებისა და კომისიონერების წყალობით მილიონობით ადამიანი იღებს მომსახურებასა და საქონელს სხვადასხვა ფირმებისაგან.

სავაჭრო წარმომადგენელი, ფაქტობრივად, შუამავლის როლს ასრულებს წარმოდგენილ საწარმოებსა და მათ მრავალრიცხოვან კლიენტებს შორის. წარმოდგენილი საწარმოები შეიძლება იყვნენ როგორც მრეწველობის, ვაჭრობის, მშენებლობის, ასევე სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროში.

ეკონომიკური თვალსაზრისით სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ვაჭრობა (საქონლის ყიდვა-გაყიდვა) და მომსახურება. ისტორიულად, სამრეწველო რევოლუციის გარიჟრაჟზე, სწორედ ამ სფეროებში ჩაისახა და განვითარდა სავაჭრო წარმომადგენლების ინსტიტუტი.

სავაჭრო წარმომადგენელი დამოუკიდებელი მეწარმეა. ამით განსხვავდება იგი პროკურისტისა და სავაჭრო მინდობილობის მქონე პირისაგან.

II. ცნებები და დახასიათება

სავაჭრო წარმომადგენლის ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 11.1 მუხლში, რომლის თანახმად სავაჭრო წარმომადგენლად ჩაითვლება პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის ამ საწარმოში დასაქმებული.

სავაჭრო წარმომადგენლად მიიჩნევა აგრეთვე დამოუკიდებელი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

11.1 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად კომისიონერად ჩაითვლება პირი, რომელიც საქონლის ან უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით.

ა. სავაჭრო წარმომადგენელი არის პირი. იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სავაჭრო წარმომადგენელი შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური მეწარმის, სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის ან კოოპერატივის ფორმით.

სავაჭრო წარმომადგენელი არის დამოუკიდებელი საწარმო (მეწარმე) ისევე, როგორც მის მიერ წარმოდგენილი საწარმო. თუმცა, კანონი ამ უკანასკნელს „სხვა საწარმოს“ უწოდებს.

სავაჭრო წარმომადგენელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი ორგანიზაციულ-სამართლოებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება და რეგისტრირებული იყოს სამეწარმეო რეესტრში.

სავაჭრო წარმომადგენელი დამოუკიდებელი საწარმო (მეწარმე) რომ არის, სწორედ ეს განასხვავებს მას პროკურისტისაგან და სავაჭრო მინდობილობის მქონე პირისაგან. პროკურისტები საწარმოსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებიან. ეს ნიშნავს, რომ პროკურისტი საწარმოს თანამშრომელია, უფრო ზუსტად, საწარმოს წარმომადგენელი თანამშრომელი. სავაჭრო წარმომადგენელი, როგორც დამოუკიდებელი

მეწარმე, სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას დებს სხვა საწარმოსთან. როგორც წესი, ეს არის მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ ურთიერთობას სავაჭრო წარმომადგენელსა და სხვა საწარმოს შორის. ამით განსხვავდება სავაჭრო წარმომადგენელი სავაჭრო მაკლერისაგან, რომელსაც არა აქვს სტაბილური სახელშეკრულებო ურთიერთობა საწარმოსთან.

ბ. სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის ძირითადი სფერო არის საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობები.

საქონლის ცნებაში იგულისხმება ყველა ის სიკეთე, რომელიც გაიტანება ბაზარზე და რომელზეც შეიძლება არსებობდეს მოთხოვნილება. ფართო გაგებით, უფლებებიცა და მომსახურებაც საქონლის ცნებაში შედის, მაგრამ მათი თავისთავადობის გამო თითქმის ყველა სამართლებრივ აქტში ისინი ცალკეა გამოყოფილი.

სავაჭრო წარმომადგენლის მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული სფეროებია: ვაჭრობა, მომსახურება, დაზღვევა, მშენებლობა, ავტოგასამართი სადგურები, სანაოსნოს წარმომადგენლობა, ტურისტული ბიუროები და ა.შ.

გ. სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის საგანს შეადგენს შუამავლობა კლიენტსა და საწარმოს შორის, უფრო ზუსტად, კლიენტსა და საწარმოს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებისათვის ხელშეწყობა. იმავდროულად სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. მომავალი პარტნიორობის შეხვედრა ან ერთმანეთის გაცნობა ჯერ კიდევ არ ჩაითვლება მოვალეობის შესრულებად;

დ. სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობა არ მთავრდება მხოლოდ შუამავლობით. როგორც წესი, იგი დებს გარიგებებს კლიენტებთან. თუმცა, სავაჭრო წარმომადგენელი არასდროს არ არის მესამე პირთან დადებული გარიგების მხარე;

ე. სავაჭრო წარმომადგენელი გარიგებებს დებს სხვა საწარმოს სახელით და სხვა საწარმოს ხარჯით. ეს იმას ნიშნავს, რომ, სავაჭრო წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, შედეგებისათვის პასუხისმგებელია წარმოდგენილი საწარმო. სწორედ ამით განსხვავდება სავაჭრო წარმომადგენელი დამოუკიდებელი მოვაჭრის-

აგან, რომელიც საკუთარი სახელითა და ხარჯით დებს გარიგებებს და გამოდის ურთიერთობებში;

ვ. როგორც უკვე ითქვა, სავაჭრო წარმომადგენელი არ არის დასაქმებული წარმოდგენილ საწარმოში, ე.ი. არ წარმოადგენს მის თანამშრომელს. იგი დამოუკიდებელი სუბიექტია და სხვა საწარმოსთან მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს;

ზ. თავისი სამართლებრივი მდგომარეობით სავაჭრო წარმომადგენელს უთანაბრდება დამოუკიდებელი მოვაჭრე. დამოუკიდებელი მოვაჭრე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. მისი საქმიანობა, აგრეთვე, წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას და ამიტომ, მოვაჭრეს უნდა ჰქონდეს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ე.ი. იყოს ინდივიდუალური მეწარმე, სპს, კს, შპს, სს ან კოოპერატივი.

დამოუკიდებელი მოვაჭრის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენენ: მაღაზიები, ტურისტული ბიუროები და ა.შ.

პირი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დამოუკიდებელ მოვაჭრედ, თუ იგი საკუთარი სახელითა და ხარჯით მოქმედებს. მაგალითად, შპს მაღაზია „უალკოპოლო სასმელები“ არის იურიდიული პირი. ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით. ეს იმას ნიშნავს, რომ მის მიერ რეალიზებული პროდუქციიდან იგი პროვიზიას ვერ მოსთხოვს პროდუქციის დამამზადებელს;

თ. დამოუკიდებელი მოვაჭრე სამართლებრივი მდგომარეობით სავაჭრო წარმომადგენელს რომ გაუთანაბრდეს, „იგი, უპირატესად უნდა იმყოფებოდეს სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში“.

სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ყოფნა არ ნიშნავს არც წევრობას, არც დაქვემდებარებულ ურთიერთობას. იგი აღნიშნავს ფაქტობრივ მდგომარეობას, რომ

ი. მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება. მაგალითი, შპს „მაღაზია „უალკოპოლო სასმელების“ საქმიანობის ძირითადი საგანია შპს „კავკასიონის“ მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ცალკეულ საბითუმო სავაჭრო ფირმებზე. ფაქტობრივად ეს სავაჭრო ფირმები შპს „კავკასიონის“ კლიენტები არიან და საქონელს ყიდულობდნენ შპს მაღაზიაში „უალკოპოლო სასმელები“ მხოლოდ იმ-

იტომ, რომ ეს შპს „კავკასიონის“ მიერ გამოშვებული პროდუქციაა;

კ. შპს „კავკასიონისა“ და შპს „მაღაზია „უალკოჰოლო სასმელებს“ შორის დადებული ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის მიწოდებასა და მის რეალიზაციას შპს მაღაზია „უალკოჰოლო სასმელების“ მიერ, ზემოაღნიშნული კლიენტურა კვლავ შპს „კავკასიონის“ დარჩება;

ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ ერთი მონაწილე, რომელსაც კანონი განამტკიცებს, არის *კომისიონერი*.

ლ. კომისიონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. ამ უკანასკნელის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენენ საკომისიო მაღაზიები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ ინდივიდუალური საწარმოს ფორმითაც;

ბ. კომისიონერი მონაწილეობს ისეთსავე ურთიერთობებში, როგორშიც სავაჭრო წარმომადგენელი, ოღონდ მნიშვნელოვანი განსხვავებით:

ბ. კომისიონერი გამოდის საკუთარი სახელითა და სხვისი ხარჯით. მაგალითად, საკომისიო მაღაზია ყიდის მოქალაქის მიერ ჩაბარებულ ტელევიზორს. ამ დროს იგი მყიდველებთან ურთიერთობაში საკუთარი სახელით გამოდის და არა ტელევიზორის მესაკუთრე მოქალაქის სახელით. სამაგიეროდ კომისიონერის საზღაურს იგი იღებს ტელევიზორის გამყიდველისაგან, ე.ი. მოქმედებს სხვის ხარჯზე.

III. სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მოვალეობები

1. ანგარიშგების ვალდებულება (II.2 მუხლის პირველი აბზაცი).

კანონით განსაზღვრულ მოვალეობათაგან, რომლებიც სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს ეკისრებათ, უმნიშვნელოვანესია ანგარიშგების ვალდებულება. კერძოდ, სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებული არიან წარუდგინონ წერილობითი ანგარიში იმ საწარმოს, რომლისთვისაც ისინი მოქმედებენ.

წერილობითი ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ყოველი შესრულებული საქმის შესახებ პროვიზიისა თუ კომისიის საზღაურის ოდენობის თაობაზე.

კანონი განსაზღვრავს ანგარიშის წარდგენის ვადებს იმ შემთხვევებისათვის, როცა მხარეთა შორის ხელშეკრულებით ანგარიშგების სხვა ვადები არაა დადგენილი. კერძოდ, სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებული არიან წერილობითი ანგარიში საწარმოს წარუდგინონ ყოველი კვარტლის ბოლოს, უფრო ზუსტად, კვარტლის დამთავრებიდან ათი დღის ვადაში.

სავაჭრო წარმომადგენელთან და კომისიონერთან ანგარიშსწორებისას შეიძლება წარმოიშვას იმ გარიგებათა საბუღალტრო ამონაწერების წარდგენის აუცილებლობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პროვიზია ან კომისია. სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარუდგინონ ეს ინფორმაცია საწარმოს. გარდა ამისა, ისინი მოვალენი არიან წარუდგინონ ცნობები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც არსებითაა პროვიზიის ან კომისიის მოთხოვნის, გადახდის ვადისა და პროვიზიის ან კომისიის გამოსათვლელად (11.2 მუხლის მე-4 აბზაცი).

2. კონკურენციის აკრძალვა (11.7 მუხლი)

სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს უფლება არა აქვთ საწარმოს თანხმობის გარეშე მონაწილეობა მიიღონ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) რომელიმე კონკურენტ საწარმოში.

გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება წმინდა ფინანსურ მონაწილეობას სხვა საწარმოში არა უმეტეს ხუთი პროცენტისა.

თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწესებისას საწარმოს ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი უკვე მონაწილეობდნენ კონკურენტ საწარმოში და მათთვის არ მოუთხოვიათ ოფიციალურად ამ საქმიანობის შეწყვეტა, თანხმობა გაცემულად ჩაითვლება.

3. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევისათვის (11.7 მუხლის მეორე აბზაცი)

თუ სავაჭრო წარმომადგენელი და კომისიონერი დაარღვევენ ამ ვალდებულებას, საწარმოს შეუძლია მოსთხოვოს მათ ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების გარდა, მას შეუძლია სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს მოსთხოვოს კონკურენტთან დადებული გარიგებების გადაცემა საწარმოსათვის, გარიგებიდან გამომდინარე სარგებლის უკან დაბრუნება ან უარის თქმა სარგებლის მოთხოვნაზე.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერისათვის საწარმოსთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად ისეთი ინფორმაცია გახდება ცნობილი, რომლის გახმაურება ან კონკურენტი საწარმოსათვის გადაცემა შეიძლება ზიანის მომტანი იყოს. აქედან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როცა კონკურენციის აკრძალვის ვალდებულება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც გრძელდება, ოღონდ საწარმო ვალდებულია ამისათვის სავაჭრო წარმომადგენელს ან კომისიონერს კომპენსაცია გადაუხადოს.

სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგ, კონკურენციის აკრძალვის შესახებ შეთანხმება შეიძლება დაიღოს მხოლოდ ერთი წლის ვადით (11.7 მუხლის მე-3 აბზაცის ბოლო წინადადება).

4. კომპენსაციის გამოთვლის წესი

კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს სავაჭრო წარმომადგენლის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის საქმიანობისას გამოანგარიშებული წლიური პროვიზიის ან სხვა წლიური გასამრჯელოს საშუალო ოდენობას. უფრო ხანმოკლე სახელშეკრულებო ურთიერთობებისას საშუალო ოდენობა გამოიანგარიშება მთელი საქმიანობის ხანგრძლივობიდან.

IV. სავაჭრო წარმომადგენლის სხვა მოვალეობანი

თუმცა კანონი პირდაპირ არ განამტკიცებს სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის სხვა მოვალეობებს, სამეწარმეო პრაქტიკა იწინებს მათ იმ მოვალეობებს, რომლებიც არსებითაა სავაჭრო წარმომად-

გენლისა და კომისიონერის დახასიათებისათვის.

სავაჭრო წარმომადგენლის მნიშვნელოვანი მოვალეობაა შუამავლობა და საწარმოსთვის ახალი კლიენტების მოძიება. ახალი კლიენტების პოვნა და ამ გზით საწარმოს საქონელბრუნვის გაზრდა სავაჭრო წარმომადგენლის უპირველესი მოვალეობაა.

შუამავლობისა და გარიგებების დადებისას სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია წარმოადგინოს და დაიცვას წარმოდგენილი საწარმოს ინტერესები. ამით განსხვავდება იგი ნეიტრალური მაკლერისაგან, რომელიც კონკრეტულად არავის ინტერესებს არ გამოხატავს. ეს მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გარიგებების დადებით. სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია მთელი თავისი საქმიანობის მანძილზე დაიცვას საწარმოს ინტერესები.

საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, სავაჭრო წარმომადგენელი მოვალეა პირადად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. თუმცა, ეს არ გამორიცხავს მის მიერ სხვა პირთა გამოყენების შესაძლებლობას. რაც შეეხება ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებებს, მათზე პასუხს აგებს სავაჭრო წარმომადგენელი.

სავაჭრო წარმომადგენელი საწარმოს ინტერესების გამომხატველი და დამცველია. აქედან გამომდინარეობს მისი მოვალეობა, რომ დაიცვას საწარმოს მითითებები. უპირველეს ყოვლისა, ეს მითითებები ეხება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების პირობებს, კლიენტებთან ურთიერთობის წესებსა და პირობებს. იმავდროულად ეს მითითებები არ უნდა ხელყოფდნენ სავაჭრო წარმომადგენლის დამოუკიდებლობას.

სავაჭრო წარმომადგენლის მნიშვნელოვანი მოვალეობაა კლიენტების გადახდისუნარიანობის დადგენა.

ანალოგიური მოვალეობები ეკისრება კომისიონერსაც იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც მხოლოდ სავაჭრო წარმომადგენლისთვისაა დამახასიათებელი.

V. მარწმუნებელი საწარმოს მოვალეობები

1. პროვიზიის გადახდის ვალდებულება (11.2 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 აბზაცები)

კანონით განსაზღვრულ მოვალეობათაგან მარწმუნებელი საწარმოს მთავარ მოვალეობას წარმოადგენს პროვიზიის (კომისიის) გადახდა იმ სამუშაოსათვის, რომელიც შესრულეს სავაჭრო წარმომადგენელმა და კომისიონერმა.

2. პროვიზიის (კომისიის) ცნება

პროვიზია არის ის ფულადი თანხა, რომელიც გასამრჯელოს სახით უნდა მიიღოს სავაჭრო წარმომადგენელმა მარწმუნებელი საწარმოსაგან ამ საწარმოს სასარგებლოდ გაწეული შუამავლობისათვის. კანონი მას აგრეთვე „მომსახურების საზღაურსაც“ უწოდებს.

კომისია არის ის ფულადი თანხა, რომელიც კომისიონერმა უნდა მიიღოს გასამრჯელოს სახით იმ საწარმოსაგან, რომლის სასარგებლოდაც გასწია მან მომსახურება (კომისიონერის საზღაური).

ა. პროვიზიის გადახდის მოთხოვნის წარმოშობა

პროვიზიის გადახდის მოთხოვნის უფლება სავაჭრო წარმომადგენელს წარმოეშობა საწარმოს მიერ გარიგების შესრულების მომენტიდან. პროვიზია გადახდილ უნდა იქნეს შესრულების თვის ბოლომდე.

გარიგების შესრულების მომენტიდან წარმოიშობა, აგრეთვე, კომისიონერის ვალდებულება გადაუხადოს საწარმოს მიღებული შემოსავალი. ამავე დროს, კომისიონერს უფლება აქვს ამ შემოსავალს გამოაკლოს კომისიის ხარჯები.

გარიგების შესრულება არ არის ერთადერთი პირობა, რომელიც სავაჭრო წარმომადგენელს პროვიზიის მოთხოვნის უფლებას აძლევს. ეს უფლება მას აქვს მაშინაც, როცა საწარმო არ ასრულებს ან ისე არ ასრულებს გარიგებას, როგორც იყო შეთანხმებული. მაგალითად, სავაჭრო წარმომადგენლის შუამავლობით დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „საბურაეების ქარხანას“, რომლის ინტერესებსაც სავაჭრო

წარმომადგენელი გამოხატავდა, უნდა მიეწოდებინა 5000 ცალი საბურავი შპს „ავტონაწილებით ვაჭრობისათვის“. შპს „საბურავების ქარხანამ“ შეძლო მხოლოდ 2000 ცალი საბურავის მიწოდება. მიუხედავად ამისა, სავაჭრო წარმომადგენელს უფლება აქვს საბურავების ქარხანას მოსთხოვოს პროვიზია.

ბ. პროვიზიის მოთხოვნის უფლების მოსპობა

პროვიზიის მოთხოვნის უფლება ისპობა, როცა გარიგება არ სრულდება არა საწარმოს, არამედ მეორე მხარის მიზეზით. ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე სავაჭრო წარმომადგენლის მიერაა მოძებნილი. ზემოაღნიშნულ მაგალითში, თუ მალაზიამ „ავტონაწილები“ ვერ შეიძინა შეთანხმებული საბურავები, სავაჭრო წარმომადგენელი კარგავს პროვიზიის მიღების უფლებას და მან უკან უნდა დაუბრუნოს მიღებული თანხები საწარმოს შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციულად.

გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობისას, საწარმო გადასახდელ პროვიზიებს იხდის ყოველთვიურად. პროვიზიის გადახდის ეს წესი შეიძლება ხელშეკრულებით შეიცვალოს.

11.2 მუხლში გათვალისწინებული წესები იმპერატიული წესებია და მათი შეცვლა სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის საზიანოდ დაუშვებელია.

3. პროვიზიის სიდიდე და მისი გამოთვლის წესი (11.4 მუხლი)

სავაჭრო წარმომადგენლისათვის გადასახდელი პროვიზია გამოითვლება იმ თანხიდან, რომელიც უნდა გადაიხადოს გარიგების მეორე მხარემ. პროცენტის ოდენობას მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ. მაგალითად, თუ შპს „ავტონაწილებს“ 5000 ცალი საბურავისათვის უნდა გადაეხადა 25 000 ლარი, ამ თანხიდან სავაჭრო წარმომადგენლის პროვიზია შეიძლება გამოანგარიშებულიყო, ვთქვათ, 10 პროცენტის ოდენობით.

თუ გამყიდველმა შეთანხმებულ ფასზე ნაკლებად მიჰყიდა მყიდველს საქონელი, მაშინ ფასდათმობები უნდა გამოიქვეითოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფასდათმობებმა არ უნდა შეაღწიროს პროვიზიის ოდენო-

ბა, რომელიც თავდაპირველი სახელშეკრულებო ფასიდან გამომდინარეობს. მაგალითად, თუ საბურავების სახელშეკრულებო ფასი იყო 25 000 ლარი და მყიდველი ამ ფასზე თანახმა იყო, მაგრამ გამყიდველმა 20 000 ლარად მიჰყიდა საბურავები, პროვიზია უნდა გამოითვალოს 25 000 ლარიდან.

ანალოგიური წესი მოქმედებს ფულადი მიმოქცევის, ფრანხტის, შეფუთვის, ბაჟისა და გადასახადების დამატებითი ხარჯებისათვის, თუ ეს ხარჯები გამყიდველმა უნდა გაილოს და ამით მისი გასავალი იზრდება. მიუხედავად ამისა, პროვიზიის ოდენობა უცვლელი რჩება, უფრო ზუსტად კი უცვლელი რჩება ის ბაზა, საიდანაც პროვიზიის გამოთვლა ხდება.

სარკებლობის ვადიანი ხელშეკრულებების დროს პროვიზია გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან ხელშეკრულების ვადის შესაბამისად. მაგალითად, თუ ბინის ქირაენობის ხელშეკრულება იღება ორი წლის ვადით და თვიური ქირა შეადგენს 100 ლარს, პროვიზია უნდა გამოითვალოს 2400 ლარიდან. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ყოველთვიურად ან ერთბაშად.

უვადო ხელშეკრულების დროს პროვიზია ყოველთვის გამოითვლება ხელშეკრულების თანხიდან და ექვემდებარება ანაზღაურებას იმ დრომდე, ვიდრე გარიგების მხარეს შეუძლია მოშალოს ეს გარიგება.

დაზღვევის ხელშეკრულების დროს პროვიზია გამოითვლება დაზღვეული თანხიდან. თუ ასეთი თანხა არ არსებობს, მაშინ პროვიზია გამოითვლება სადაზღვევო შესატანიდან.

VI. მარწმუნებელი საწარმოს სხვა ვალდებულებები

კანონით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა, მარწმუნებელ საწარმოს ეკისრება სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც ეკონომიკურმა ცხოვრებამ დროთა განმავლობაში ჩამოაყალიბა და ხშირად, განმტკიცებულია მარწმუნებელ საწარმოსა და სავაჭრო წარმომადგენელს შორის დადებულ ხელშეკრულებებში.

– საწარმო ვალდებულია ხელი შეუწყოს სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობას, მისცეს მას სათანადო ინფორმაცია, რომელიც აუცილებე-

ლია ახალი კლიენტების მოსაზიდად. ამავე დროს, საწარმო არ არის ვალდებული დადოს ხელშეკრულება მხოლოდ ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან. იგი უფლებამოსილია ხელშეკრულებები ჰქონდეს რამდენიმე სავაჭრო წარმომადგენელთან;

– გადასცეს სავაჭრო წარმომადგენელს ნახაზები, ინსტრუქციები, ტექნიკური პირობები და ყველა სხვა დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია საქონლის რეალიზაციის ან მომსახურების გაწევისათვის;

– საწარმო ვალდებულია დროულად შეატყობინოს სავაჭრო წარმომადგენელს იმ შეფერხებების შესახებ, რომლებიც შეიძლება პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევის პროცესში წარმოიშვას.

VII. კომისიონერის პასუხისმგებლობა (11.5 მუხლი)

საწარმოსა და კომისიონერს შორის დადებულ ხელშეკრულებას კომისიის ხელშეკრულება ეწოდება. ამ ხელშეკრულების ძალით კომისიონერი ვალდებულია კომიტენტის (მარწმუნებელი საწარმოს) დავალებით სასყიდლით დადოს რამდენიმე გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე. კომიტენტსა და კომისიონერს შორის ურთიერთობა წესრიგდება ამ ხელშეკრულებითა და კანონის მე-11 მუხლით.

11.5 მუხლი ყურადღებას ამახვილებს კომისიის ურთიერთობის ერთ ასპექტზე: კომისიონერი გარიგების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს საწარმოს (კომიტენტის) წინაშე, თუ კომისიის ხელშეკრულების შესრულებამდე საწარმოს არ დაუსახელა ხელშეკრულების მხარეები.

იმ შემთხვევაში, როცა კომისიონერი არ მოქმედებს საწარმოს მითითებების შესაბამისად და მას არ ჰქონდა უფლება შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე გადაეხვია თავისი უფლებამოსილებისათვის (მაგალითად, შეემოწმებინა საქონლის გასაყიდი ფასი), მაშინ იგი ვალდებულია საწარმოს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით გამოწვეული ზიანი.

კომისიონერს გეისრება პასუხისმგებლობა მისთვის მიძარებული ჯიხების დანაკლისისა და დაზიანებისათვის. ეს პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ დანაკლისი და ზიანი გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა აღკვეთა შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი სავაჭრო საწარმოს კეთილსინდისიერი მოქმედებით.

VIII. დელკრედერე ხელშეკრულება (11.6 მუხლი)

დელკრედერე ხელშეკრულება არის სავარანტიო (გარანტიის) ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაირსახეობა. იგი გამოიყენება სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერის მონაწილეობით წარმოშობილ ურთიერთობებში. სავაჭრო წარმომადგენელი ან კომისიონერი თავდებად ღვებიან საწარმოს ან კომიტენტის წინაშე, რომ მესამე პირი (კლიენტი), კომისიონერის სახელშეკრულებო პარტნიორი შეასრულებს დადებული გარიგებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ამრიგად, დელკრედერე არის კლიენტის გადახდისუნარიანობის გარანტია. ასეთი ვალდებულება წერილობით უნდა გაფორმდეს.

სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერის მიერ უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება აღებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული გარიგებისათვის (მაგალითად, საბურავების შექმნა) ან კონკრეტულ მხარესთან (მაგალითად, შპს „ავტონაწილები“).

დელკრედერეს არსებობისას სავაჭრო წარმომადგენელსა და კომისიონერს შეუძლიათ საწარმოსაგან მოითხოვონ სპეციალური გასამრჯელო – ვალდებულების შესრულებისათვის თავდებად ყოფნის პროვიზია (სათავებო პროვიზია). სათავებო პროვიზიის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა საწარმოსა და კლიენტს შორის გარიგების დადების მომენტიდან.

IX. ხელშეკრულების ვადა (11.8 მუხლი)

ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენელსა და საწარმოს შორის, კომისიონერსა და კომიტენტს შორის იდება ერთი წლის ვადით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გრძელდება კიდევ ერთი წლით. კანონი ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულების მხარისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმის გაგება, სურს თუ არა მეორე მხარეს ხელშეკრულების მოშლა. როგორც წესი, ამ დროს გამოიყენება წერილობითი შეტყობინება.

11.8 მუხლის მეორე აბზაცი ითვალისწინებს ხელშეკრულების დაუყ-

ოვნებლივ შეწყვეტის შესაძლებლობას. ეს დაიშვება საამისო მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას. „საამისო მნიშვნელოვანი გარემოებების“ ცნებას კანონი არ აზუსტებს. მომავალში სასამართლო პრაქტიკა დააზუსტებს ამ გარემოებებს, თუმცა ზოგიერთის დასახელება ახლაც შეიძლება — მაგალითად, როდესაც სავაჭრო წარმომადგენელი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ან საწარმომ თავი დაანება იმ პროდუქციის გამოშვებას, რომელიც ხელშეკრულების საგანი იყო.

X. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

11.9 მუხლი აზუსტებს იმ შემთხვევებს, როდესაც *სავაჭრო წარმომადგენელს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოითხოვოს საწარმოსაგან შესაბამისი კომპენსაცია. ეს ხდება მაშინ, როცა:*

— სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს საქმიან კავშირებში იმ ახალ კლიენტებთან, რომლებიც მოიზიდა სავაჭრო წარმომადგენელმა და

— სავაჭრო წარმომადგენელი ხელშეკრულების შეწყვეტის გამო კარგავს იმ პროვიზიის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ექნებოდა მის მიერ მოზიდულ კლიენტებთან უკვე დადებული ან მომავალში დასადები გარიგებების გაგრძელებისას.

ახალ კლიენტის მოზიდვას უთანაბრდება სავაჭრო წარმომადგენლის მიერ კლიენტთან საქმიანი კავშირის ისეთი გაფართოება, რომ იგი ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ მოგებას იძლევა.

დაუშვებელია კომპენსაციის მოთხოვნაზე უარი ან წინასწარი დაკმაყოფილება ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

XI. კომპენსაციის მოთხოვნის დაუშვებლობა

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სავაჭრო წარმომადგენელს არა აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია, კერძოდ, თუ:

— ხელშეკრულება მოშალა თვითონ სავაჭრო წარმომადგენელმა. ოღონდ ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ხელშეკრულების მოშლის საბაბი სავაჭრო წარმომადგენელს მისცა საწარმოს მოქმედებამ (მაგალითად, არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები) ან სავაჭრო წარმომად-

გენელს ასაკის ანდა ავადმყოფობის გამო არ შეუძლია საქმიანობის გაგრძელება;

– სხვა საწარმომ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა და შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს თვით სავაჭრო წარმომადგენლის ბრალეული მოქმედება;

– არსებული შეთანხმების თანახმად, სავაჭრო წარმომადგენლის ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მესამე პირი.

კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუსლი 12. სამატრო მაკლერი

12.1. სავაჭრო მაკლერის უფლება-მოვალეობები აქვს იმ პირს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ასე, რომ მათგან არა აქვს ეს ხელშეკრულებით მუდმივად დავალებული.

ზემოთ ჩამოთვლილი გარიგებების გარდა, სხვა გარიგებების, კერძოდ, უძრავი ნივთების გამო გარიგებების შუამავლობის მიმართ, არ გამოიყენება ამ მუხლის წესები, მაშინაც კი, როცა შუამავლობა ხორციელდება სავაჭრო მაკლერის მეშვეობით.

12.2. სავაჭრო მაკლერმა გარიგების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მხარეებს მის მიერ ხელმოწერილი დასკვნითი აქტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, განსაკუთრებით, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას, მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ. თუკი მხარეებმა მას ეს არ აუკრძალეს ან საქონლის სახეობის ადგილობრივი მოხმარების გათვალისწინებით, იგი გათავისუფლებული არ არის ამ მოვალეობისაგან.

იმ გარიგებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ არ სრულდება, დასკვნითი აქტს ხელს აწერენ მხარეები და ყოველ მათგანს გადაეცემა ხელმოწერილი დასკვნითი აქტი.

თუ მხარე უარს განაცხადებს დასკვნითი აქტის მიღებაზე ან მის ხელმოწერაზე, სავაჭრო მაკლერმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს.

12.3. თუ ერთ-ერთი მხარე მიიღებს დასკვნით აქტს, რომელშიც სავაჭრო მაკლერი არ ასახელებს მეორე მხარეს, დასახელებული მხარე გარიგებით დაკავშირებული ხდება იმ მხარესთან, რომელიც დამატებით დასახელებდა, თუ მის წინააღმდეგ არ იქნა შეტანილი დასაბუთებული პრეტენზია.

ხელშეკრულების სხვა მხარის დასახელება უნდა მოხდეს ჩვეულებრივ მიღებულ ვადებში, ხოლო თუ ასეთი ვადები არ არსებობს – გარემოებების შესატყვის ვადებში.

თუ მხარე არ დასახელდება ან დასახელებული პირების წინააღმდეგ უნდა იქნეს შეტანილი დასაბუთებული პრეტენზია, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს სავაჭრო მაკლერს მოსთხოვოს პასუხი გარიგების შესრულებაზე. პრეტენზია არ მიიღება, თუ მხარე სავაჭრო მაკლერის მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს, მოითხოვს თუ არა იგი შესრულებას.

12.4. სინჯის აღების გზით საქონლის გაყიდვისას სავაჭრო მაკლერი ვალდებულია ყოველი მხარისათვის გადასაცემად შეინახოს მისი შუამავლობით გაყიდული საქონლის სინჯი, ვიდრე საქონელი მის ხარისხზე პრეტენზიის გარეშე არ იქნება მიღებული შემძენის მიერ ან გარიგება სხვაგვარად არ იქნება შესრულებული, თუ მას მხარეები ან საქონლის მოხმარების ადგილობრივი წესები ასეთი მოვალეობისაგან არ ათავისუფლებენ. სავაჭრო მაკლერმა უნდა აღნიშნოს სინჯი სპეციალური ნიშნით.

12.5. სავაჭრო მაკლერს არა აქვს უფლება მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი გადასახადი ან სხვა რაიმე სარგებელი.

12.6. სავაჭრო მაკლერი პასუხს აგებს ორივე მხარის წინაშე თავისი ბრალით გამოწვეული ზარალისათვის.

12.7. თუკი მხარეები არ შეთანხმებულან იმაზე, თუ ვინ უნდა აუნაზღაუროს მაკლერს გაწეული შრომა, მაშინ განსხვავებული ადგილობრივი წესების უქონლობისას ყოველი მხარე ვალდებულია გადაიხადოს მისაცემი თანხის ნახევარი.

12.8. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია აწარმოოს დღიური და ყოველდღიურად ჩაწეროს მასში ყველა დადებული გარიგება. ჩანაწერები უნდა გაკეთდეს ქრონოლოგიური წესით; ეს ჩანაწერები უნდა შეიცავდეს 12.2 მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულ მონაცემებს და სავაჭრო მაკლერმა ხელი უნდა მოაწეროს ყოველდღიურ ჩანაწერს.

სავაჭრო წიგნების წარმოებისა და შენახვის წესები გამოიყენება სავაჭრო მაკლერის დღიურისათვის.

12.9. სავაჭრო მაკლერი ვალდებულია მხარეთა მოთხოვნით ნებისმიერ დროს მისცეს მათ ამონაწერები დღიურიდან, რომლებიც ხელმოწერილია მის მიერ და შეიცავს ყოველივეს, რაც ჩაწერილია საშუამავლო საქმიანობის შედეგად დადებული გარიგებების შესახებ.

I. ცნება და დახასიათება

სავაჭრო მაკლერი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი მონაწილეა. მისი შუამავლობითა და აქტიურობით ათეულ ათასობით გარიგება იდება მეწარმეებს შორის.

სავაჭრო მაკლერის ლეგალურა ლეფინიცია მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონის 12.1 მუხლში, რომლის თანახმად, მაკლერი არის პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის სახით სხვა პირთათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადების ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ მათგან ეს არა აქვს ხელშეკრულებით მუდმივად დავალბებული.

გარდა სავაჭრო მაკლერისა, არსებობს კიდევ ე.წ. სამოქალაქო მაკლერი, რომლის საქმიანობა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. იგი ახორციელებს შუამავლობას იმ სფეროებში, რომლებიც არაა გათვალისწინებული 12.1 მუხლით.

ა. სავაჭრო მაკლერი არის მეწარმე, ვინაიდან მისი საქმიანობა თავისი ბუნებით შეესაბამება 1.1 მუხლში გათვალისწინებულ პირობებს. სავაჭრო მაკლერი ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ;

ბ. სავაჭრო მაკლერის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო საქმიანობა. იგი ატარებს არაერთჯერად ხასიათს და მიმართულია მოგების მისაღებად;

გ. საქმიანობის მიზანი არის შუამავლობის გაწევა პირთათვის, ე.ი. ხელის შეწყობა ხელშეკრულების მომავალი პარტნიორების მოძებნასა და მათ შორის ურთიერთობის დამყარებაში.

განსხვავებით სავაჭრო წარმომადგენლისაგან, სავაჭრო მაკლერი თვითონ არ დებს გარიგებას, არ აწერს ხელს. მისი ამოცანაა მომავალი კონტრაქტების დაკავშირება, მათი ერთმანეთისთვის წარდგენა;

დ. სავაჭრო მაკლერის საქმიანობის ძირითადი საგანია: საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის და ა.შ. ხელშეკრულებათა დადების შუამავლობა.

განხორციელებული საქმიანობა; სახეების შესაბამისად ერთმანეთისაგან განასხვავებენ მაკლერთა რამდენიმე სახეს:

- საბირჟო და ფასიანი ქაღალდების მაკლერი;
- სადაზღვევო მაკლერი;
- გემების მაკლერი;

რაც შეეხება უძრავი ქონების მაკლერს, მისი მონაწილეობით დადებული გარიგებების, კერძოდ, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებების შუამავლობისას არ გამოიყენება მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესები, თუნდაც ამ საქმიანობას სავაჭრო მაკლერი ახორციელებდეს (12.1 მუხლის მე-2 აბზაცი);

ე. სავაჭრო წარმომადგენლის ან კომისიონერისაგან განსხვავებით, შუამავლობის გაწევა სავაჭრო მაკლერს მომავალი კონტრაქტებისაგან ხელშეკრულებით არა აქვს დავალებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სავაჭრო მაკლერი არ იმყოფება მათთან მუდმივ და სტაბილურ ურთიერთობაში.

სავაჭრო მაკლერი ეძებს დაინტერესებულ პირებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან. მისი ამოცანა შემოიფარგლება მხოლოდ ამ პირთა ურთიერთდაკავშირებით და მათ შორის გარიგების დადებით მთავრდება სავაჭრო მაკლერის მოვალეობებიც.

II. დასკვნითი აქტი (12.2 მუხლი)

სავაჭრო მაკლერის უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით კანონი ითვალისწინებს მაკლერის მოვალეობას ხელშეკრულების მხარეებს წარუდგინოს დასკვნითი აქტი, რომელსაც თვითონ აწერს ხელს. მას შემდეგ, რაც გარიგება დაიდება დაინტერესებულ მხარეებს შორის, სავაჭრო მაკლერი ვალდებულია წარუდგინოს დასკვნითი აქტი მხარეებს.

დასკვნითი აქტი არ არის გარიგების ნამდვილობის პირობა. იგი უფრო მტკიცებულებაა, რომელიც ადასტურებს სავაჭრო მაკლერის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებას.

დასკვნითი აქტი უნდა შეიცავდეს მონაცემებს ხელშეკრულების მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების შესახებ. საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას დასკვნით აქტში უნდა იყოს მონაცემები მათი სახეობისა და რაოდენობის, ასევე ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ.

III. დასკვნითი აქტის დაუშვებლობა

შეიძლება სავაჭრო მაკლერს არ ჰქონდეს დასკვნითი აქტის შედგენის უფლება. ასეთი დაუშვებლობის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, როცა თვით მხარეები არ აძლევენ მაკლერს უფლებას წერილობით შეადგინოს დოკუმენტი მისი შუამავლობით დადებული გარიგების შესახებ.

მეორე შემთხვევა, როცა მაკლერი გათავისუფლებულია დასკვნითი აქტის შედგენის მოვალეობისაგან, დაკავშირებულია ამა თუ იმ სახეობის საქონლის ადგილობრივი მოხმარების სპეციფიკასთან და ტრადიციიდან გამომდინარე, არ მოითხოვს ასეთი დასკვნითი აქტის შედგენას.

სავაჭრო მაკლერის შუამავლობით დადებულ იმ გარიგებებში, რომლებიც დაუყოვნებლივ არ სრულდება, დასკვნით აქტს ხელი უნდა მოაწერონ მხარეებმა და ყოველ მათგანს გადაეცემა ხელმოწერილი დასკვნითი აქტი.

იმ შემთხვევაში, როცა ერთერთი მხარე უარს იტყვის დასკვნითი აქტის მიღებაზე ან მის ხელმოწერაზე, სავაჭრო მაკლერმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სხვა მხარეებს.

როგორც უკვე ითქვა, დასკვნით აქტში აღნიშნული უნდა იყოს ხელშეკრულების მხარეები. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სავაჭრო მაკლერი არ უთითებს ხელშეკრულების მეორე მხარეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ დროს ხელშეკრულების ერთი მხარე მაინც ხდება დაკავშირებული ჯერ კიდევ დაუსახელებელ მხარესთან.

მაგალითი:

შპს „საბურავების ქარხანას“ გასაყიდი აქვს 10000 ცალი საბურავი. სავაჭრო მაკლერმა მოუძებნა მას კლიენტი, რომელიც შეიძენს ამ რაოდენობის საბურავებს, მაგრამ შემძენის ვინაობა მას ჯერ არ დაუსახელებია. საბურავების ქარხანა მაინც ჩაითვლება გარიგების მონაწილედ, თუ გარიგების ყველა სხვა პირობაზე იგი თანახმა იქნება.

ხელშეკრულების მეორე მხარის დასახელების ვადებს კანონი არ განსაზღვრავს. აქ იგი შემოიფარგლება მხოლოდ ცნებებით „ჩვეულებრივ მიღებულ ვადებში“ ან „გარემოების შესატყვის ვადებში“. შესაძლებე-

ლია, რომ მეორე მხარის დასახელების ვადა ხელშეკრულების ერთმა მხარემ განსაზღვროს.

IV. მეორე მხარის დაუსახელებლობის შედეგები

თუ სავაჭრო მაკლერი არ დაასახელებს ხელშეკრულების მეორე მხარეს, ან დაასახელებს ისეთ პირს, რომლის მიმართ შეტანილი იქნება დასაბუთებული პრეტენზია (მაგალითად, არაკეთილსინდისიერი გადამხდელი), ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს სავაჭრო მაკლერს პასუხი გარიგების შესრულებაზე, ე.ი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების მხარის დაუსახელებლობის გამო ეკისრება სავაჭრო მაკლერს.

აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც მხარე დაუყოვნებლივ არ განუცხადებს სავაჭრო მაკლერს შესრულების შესახებ. კანონი არ აზუსტებს, თუ რას ნიშნავს „დაუყოვნებლივ“ განცხადება, მისი დაზუსტება მომავალში სასამართლო პრაქტიკის საქმეა.

V. შუამავლობა გარიგებისას სინჯის აღების გზით (12.4 მუხლი)

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქონლის გაყიდვა ხდება სინჯის აღების გზით. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება კვების პროდუქტებს, მაგრამ არა მხოლოდ მათ. თუ სინჯის აღების გზით საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება სავაჭრო მაკლერის შუამავლობითაა დადებული, მაშინ იგი ვალდებულია მხარებისათვის გადასაცემად შეინახოს მისი შუამავლობით გაყიდული საქონლის სინჯი.

სინჯის შენახვის ვალდებულება სავაჭრო მაკლერს ეკისრება მანამ, ვიდრე შემძენი საქონელს არ ჩაიბარებს და მის ხარისხზე არ ექნება არანაირი პრეტენზია.

სავაჭრო მაკლერმა სინჯი სპეციალური ნიშნით უნდა აღნიშნოს და შეინახოს ცალკე. სპეციალური ნიშნით აღნიშვნა გულისხმობს მითითებას იმ გარიგებაზე, რომლის საგანიც არის საქონელი, მისი გამყიდველისა და მყიდველის ვინაობას და ასევე, სინჯის შენახვის ვადას.

სავაჭრო მაკლერი შეიძლება მხარეებმა გაათავისუფლონ სინჯის შენახვის მოვალეობისაგან ანდა შესაძლოა, საქონლის მოხმარების ადგილობრივი წესების შესაბამისად, ასეთი შენახვა არ იყოს აუცილებელი.

VI. სავაჭრო მაკლერის ანაზღაურება (12.5, 12.7 მუხლები)

სავაჭრო მაკლერის შრომის ანაზღაურება ხდება მასა და ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე. იმავდროულად, სავაჭრო მაკლერს არა აქვს უფლება მიიღოს მისი მეშვეობით კონტრაქტებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ან სხვა რაიმე სარგებელი. ე.ი. სავაჭრო მაკლერს არა აქვს პირდაპირი უფლება მისი შუამავლობით დადებული ხელშეკრულების ფასზე. მისი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით. ამავე შეთანხმებით უნდა განისაზღვროს, თუ ხელშეკრულების რომელი მხარე უხდის მაკლერს პროვიზიას.

არაა სავალდებულო მაკლერის შრომის ანაზღაურების შესახებ შეთანხმების წერილობითი დადება. როგორც წესი, პრაქტიკაში გამოიყენება მყარი პროცენტული განაკვეთი, რომელსაც სავაჭრო მაკლერი იღებს მხარეებისაგან და ეს პროცენტი გამოითვლება ხელშეკრულების ფასიდან.

იმ შემთხვევაში, როცა მხარეები არ შეთანხმებულან იმაზე, თუ ვინ უნდა აუნაზღაუროს მაკლერს გაწეული შრომა, მაშინ ყოველი მხარე ვალდებულია გადაუხადოს მაკლერს მისაცემი თანხის ნახევარი.

ადგილობრივი ტრადიციის შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს მაკლერის შრომის ანაზღაურების სხვა წესიც, მაგალითად, როდესაც თანხას მთლიანად იხდიდეს მყიდველი ან გამყიდველი და ა.შ.

VII. სავაჭრო მაკლერის პასუხისმგებლობა (12.6 მუხლი)

სავაჭრო მაკლერი პასუხს აგებს ხელშეკრულების ორივე მხარის წინაშე, თუ მისი ბრალეული მოქმედების შედეგად ზიანი მიადგათ ამ მხარეებს. მაგალითად, სავაჭრო მაკლერმა არ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია მყიდველს შესაძენი საქონლის ხარისხის შესახებ ანდა შეგნებულად დაუმალა მას ეს. ამ დროს წარმოშობილი ზიანისათვის იგი სრულად აგებს პასუხს.

**VIII. სავაჭრო მაკლერის დამატებითი
ვალდებულებანი (12.8, 12.9 მუხლები)**

1. დღიურის წარმოების ვალდებულება

სავაჭრო მაკლერი ვალდებულია აწარმოოს დღიური და ყოველდღიურად ჩაწეროს მასში ყველა დადებული გარიგება.

ჩანაწერები დღიურში უნდა გაკეთდეს ქრონოლოგიური წესით. ისინი უნდა შეიცავდნენ მონაცემებს ხელშეკრულების მხარეების, გარიგების საგნისა და პირობების, საქონლისა და ფასიანი ქალაქების სახეობისა და რაოდენობის, ფასისა და გარიგების საბოლოო შესრულების დროის შესახებ.

სავაჭრო მაკლერის მიერ დღიურში გაკეთებული ყოველდღიური ჩანაწერი უნდა დადასტურდეს მისივე ხელმოწერით.

სავაჭრო წიგნების წარმოებისა და შენახვის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-13 მუხლით, ვრცელდება ასევე სავაჭრო მაკლერის დღიურზეც.

2. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

სავაჭრო მაკლერი ვალდებულია მხარეთა მოთხოვნით, ნებისმიერ დროს, მისცეს მათ ამონაწერები დღიურიდან, რომლებიც ხელმოწერილია მის მიერ და შეიცავს ყველა ინფორმაციას საშუამავლო საქმიანობით დადებული გარიგებების შესახებ.

მუხლი 13. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშსწორება

13.1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები თანაბრად ვრცელდება ყველა საწარმოზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მცირე საწარმოთა მიმართ სხვა წესებია დადგენილი. ბუღალტრული ანგარიშგების გამარტივებული წესები გამოიყენება იმ მცირე საწარმოთა მიმართ (გარდა სააქციო საზოგადოებებისა), რომელთაც ჰყავთ სრულ შტატში არა უმეტეს ათი თანამშრომლისა და სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატება ორმოცი ათას ლარს.

13.1.1. ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აკებული, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშგების ნომენკლატურასა და წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან. შეფასება უნდა შეესაბამებოდეს წინდახედული მეწარმის, აგრეთვე მინიმალური შეფასებისა და მოგება-ზარალის მუხლის იმპარიტეტის პრინციპებს.

13.1.2. მცირე საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სწორი, სრულყოფილი, გასაგები, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშგების ნომენკლატურასთან. ასეთი საწარმო საინვენტარიზაციო აღწერილობის საფუძველზე შეადგენს ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალსა და სამეურნეო წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

13.2. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საწარმოს საქმიანობის დაწყებისა და ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეიტანონ მონაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ნაღდი ფულის ოდენობის, ძირითადი საშუალებებისა და ყველა სხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. ამასთან, ცალკეული მატერიალური ფასეულობები ასახული უნდა იყოს მინიმალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და გაკეთდეს ქონებისა და ვალდებულებების თანაფარდობათა გამომხატველი ჯამი (ბალანსი), ხოლო მცირე საწარმოებში – ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი.

სამეურნეო წლის დამთავრებისას საინვენტარიზაციო აღწერილობის შესადგენად აუცილებელი არ არის სრული ინვენტარიზაციის ჩატარება. თუ ბუღალტრული აღრიცხვა სრული ინვენტარიზაციის გარეშეც უზრუნველყოფს ქონებრივი შემადგენლობის დადგენას მათი სახეობების, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით.

საინვენტარიზაციო აღწერილობის შედგენისას მატერიალურ ფასეულობათა შემადგენლობა მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მათუმატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შერჩევითი შემოწმების საფუძველზე. ეს პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებს. ამ გზით შედგენილი საინვენტარიზაციო აღწერილობის საინფორმაციო ღირებულება უნდა უთანაბრდებოდეს სრული ინვენტარიზაციის საინფორმაციო ღირებულებას.

სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება არ არის აუცილებელი, თუ საწარმომ თავისი ქონებისა და ვალდებულებების სრული ან შერჩევითი შემოწმება ჩაატარა სამეურნეო წლის დასასრულამდე სამი თვის განმავლობაში და, ამასთან, საბუღალტრო აღრიცხვით უზრუნველყოფილი იქნება სამეურნეო წლის ბოლოსათვის ქონებისა და ვალდებულებების რეალური მდგომარეობის დადგენა.

სამეურნეო წლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს.

13.3. ხელმძღვანელები ვალდებული არიან ათი წლის განმავლობაში შეინახონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

ბ) მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;

გ) საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

13.4. საზოგადოების ხელმძღვანელებმა სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უნდა შეადგინონ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში; მცირე საწარმოების ხელმძღვანელებმა უნდა შეადგინონ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და შემოსავალ-გასავლის ანგარიში. წლიურ ანგარიშგებას ხელს აწერენ ხელმძღვანელები თარიღის მითითებით.

13.5. დავის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან რომელიმე მხარის განცხადების საფუძველზე მოითხოვოს

ერთ-ერთი მოდავე მხარის საბუღალტრო წიგნები. თუ დავის დროს წარმოდგენილი იქნება საბუღალტრო წიგნები, მაშინ მხარეთა თანდასწრებით შეიძლება მათი შინაარსის გაცნობა, თუ ისინი დავის საგანს შეეხება. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაწერი. წიგნების სხვა მონაცემები სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის სისწორის შესამოწმებლად. ქონებრივი დავის დროს, კერძოდ, მემკვიდრეობის, საზოგადოების გაყოფის საქმეებზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნის წარდგენა მათი სრული შინაარსის გაცნობის მიზნით. ის, ვისაც შეუძლია საჭირო დოკუმენტების წარდგენა ვიდეო-, აუდიო- ან სხვაგვარი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტების წასაკითხად; აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაბეჭდოს ეს დოკუმენტები ან ამ ტექნიკური საშუალებების გარეშე წარადგინოს მათი ისეთი რეპროდუქცია, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება.

13.6. წლიური ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სტრუქტურისა და მონაცემთა შინაარსის წესები მოცემულია ამ კანონის დანართში და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია მათი ცალკე გამოყოფა.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ. №1-2 (33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97).

(„საქართველოს რესპუბლიკა“, №172, 1998 წლის 10 ივლისი, ამოქმედდა 01.08.98).

I. კანონის სიახლე

კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საწარმოთა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხები მოწესრიგებულია კანონით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ კანონი დაიკავებს ყველა იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ადგილს, რომლებიც ამ სფეროში მრავლად გამოიყენებოდა. ეს მეწარმეთა ქონებრივი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ვინაიდან ყველასათვის ხელმისაწვდომი კანონი ზუსტად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შედგეს ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში და ა.შ.

1996 წლის 13 დეკემბრის კანონით ჩამოყალიბდა მე-13 მუხლის ახალი რედაქცია.

კანონმა ახლებურად განსაზღვრა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორეზე პასუხისმგებელ პირთა წრე. საბჭოთა კანონმდებლობით პასუხისმგებლობა საბუღალტრო აღრიცხვის სისწორეზე ეკისრებოდათ ბუღალტრებს. საკუთრების გაბატონებული ფორმის – სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებში, როცა სახელმწიფოს თავისი სპეციალური კონტროლიორი სჭირდებოდა, ეს გამართლებულიც იყო. საბაზრო ეკონომიკის დროს კი ამ აღრიცხვის სისწორეზე პასუხისმგებელი თვითონ დირექტორია. რაც შეეხება ბუღალტერს, იგი ტექნიკური მუშაკია და მესამე პირებთან ურთიერთობაში არ მონაწილეობს. ასევე, არც სახელმწიფოს წინაშე იგი უშუალოდ ვალდებული. დროთა განმავლობაში ბუღალტრების ადგილს სამეწარმეო საზოგადოებებში დაიკავებენ აუდიტორები. ცხოვრება უკვე დაადგა ამ გზას და პირველი სააუდიტო საზოგადოებები საქართველოში უკვე ასრულებენ ფუნქციას.

II. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპები

13.1.1 მუხლი განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპებს. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგი აღრიცხვის სისტემაზე აგებული, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასა და წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან. ამავე დროს, შეფასება უნდა შეესაბამებოდეს წინდახედული მეწარმის, აგრეთვე მინიმალური შეფასების და მოგებაზარალის მუხლის იმპარიტეტის პრინციპს.

13.1.2 მუხლის მიხედვით, მცირე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვა ასევე უნდა იყოს სწორი, სრულყოფილი, გასაგები, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასთან. მათ უნდა ჰქონდეთ საინვენტარიზაციო აღწერილობა, რომლის საფუძველზეც უნდა შედგეს ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და სამეურნეო წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

საწარმოს საქმიანობის დაწყების დღიდან ხელმძღვანელი ვალდებულია შეადგინოს საინვენტარიზაციო აღწერილობა. მასში შეიტანება მო-

ნაცემები მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ნაღდი ფულის ოდენობის, ძირითადი საშუალებებისა და ყველა სხვა მატერიალური ფასეულობის შესახებ (13.2 მუხლის პირველი წინადადება).

საინვენტარიზაციო აღწერილობაში ცალკეული მატერიალური ფასეულობის ღირებულება მიეთითება მინიმალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და კეთდება ქონებისა და ვალდებულებების თანაფარდობათა გამომხატველი ჯამი (ბალანსი), ხოლო მცირე საწარმოებში ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი.

გარდა ამისა, ხელმძღვანელები ვალდებული არიან საინვენტარიზაციო აღწერილობა შეადგინონ აგრეთვე ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს.

სამეურნეო წლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ თვეს (13.2 მუხლის მე-5 აბზაცი), რის შესახებაც, როგორც წესი, აღინიშნება საზოგადოების წესდებაში: „საზოგადოების სამეურნეო წელი შეადგენს კალენდარულ წელს. იგი იწყება 1-ელ იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. დრო რეგისტრაციის მომენტიდან წლის ბოლომდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს“.

საინვენტარიზაციო აღწერილობაში მატერიალური ფასეულობები ჩაიწერება მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით. ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. ინვენტარიზაცია შერჩევითი შემოწმებების საფუძველზე.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ინვენტარიზაციას შერჩევითი შემოწმების საფუძველზე და სრულ ინვენტარიზაციას. პირველ შემთხვევაში არაა სავალდებულო მთელი ქონების ფიზიკური აღწერა. საკმარისია, მათი აღნუსხვა „აღიარებული მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით“ (13.2 მუხლის მე-3 აბზაცი). მეორე შემთხვევაში კი ხდება ამ ფასეულობების სრული ფიზიკური აღნუსხვა. პირველი მეთოდით განხორციელებული ინვენტარიზაციის საინფორმაციო ღირებულება უნდა უთანაბრდებოდეს სრული ინვენტარიზაციის საინფორმაციო ღირებულებას.

სამეურნეო წლის ბოლოს ყოველთვის არაა სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარება. ეს ხდება მაშინ, როცა წლის განმავლობაში ბულალტრული აღრიცხვა იმდენად სრულყოფილად არის ჩატარებული, რომ უზრუნველყოფილია მატერიალურ ფასეულობათა არსებობის დადგენა

მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით. ამიტომ აღარაა აუცილებელი სრული ინვენტარიზაციის ცალკე ჩატარება.

13.2 მუხლის მე-4 აბზაცის ბოლო წინადადება ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა სავალდებულო არ არის სამეურნეო წლის ბოლოს ინვენტარიზაციის ჩატარება.

საზოგადოების ხელმძღვანელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას შეადგენს ბალანსისა და წლიური ანგარიშის შედგენა. ისინი ვალდებული არიან ახალი სამეურნეო წლის პირველი სამი თვის განმავლობაში შეადგინონ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში), აგრეთვე საქმიანობის ანგარიში (13.4 მუხლის 1-ლი წინადადება).

ანალოგიური ვალდებულება აკისრიათ მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებს იმ განსხვავებით, რომ ისინი წლიური ბალანსის ნაცვლად ადგენენ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალს და შემოსავალ-გასავლის ანგარიშს (13.4 მუხლის მე-2 წინადადება).

ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტები მნიშვნელოვან მტკიცებულებებს შეადგენენ, რის გამოც კანონი აწესებს მათი სავალდებულო შენახვის ათწლიან ვადას. ეს ვალდებულება ვრცელდება შემდეგ საბუთებზე:

ა. საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;

ბ. მიღებული და გაგზავნილი საქმიანი კორესპონდენცია;

გ. საბუღალტრო წიგნებში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები (13.3 მუხლი).

ამ მტკიცებულებათა გამოყენება სასამართლოს შეუძლია დავის შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით ანდა ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. წარმოდგენილი საბუღალტრო წიგნების გაცნობის უფლება აქვთ დავის მონაწილეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ინფორმაცია არ ეხება განსახილველ საქმეს. თუ დავის საგანია შემკვიდრეობის, საზოგადოების გაყოფის გამო წარმოშობილი საკითხები, მაშინ სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ყველა წიგნისა და საბუთის წარდგენა.

მუხლი 13. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშსწორება

ვიდეო-, აუდიო ან სხვ. კვარი ტექნიკური საშუალებების გზით ინფორმაციის წარდგენისას წარმომდგენი პირები ვალდებული არიან საკუთარი ხარჯებით წარმოადგინონ ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ამ დოკუმენტების წასაკითხად (13.5 მუხლი).

წინამდებარე კომენტარის მიზანი არაა ბუღალტრული აღრიცხვისა და ბალანსის შედგენის წესების კომენტირება.

*მუხლი 14. ხანგრძლივობა, ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერ-
ყვმა, გაყოფა ნატურით*

14.1. საზოგადოება შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული და გა-
ნუსაზღვრელი ვადით. თუ საზოგადოების წესდებაში არაა მითითებული
ხანგრძლივობა, საზოგადოება ითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმ-
ნილად.

14.1.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომან-
დიტურ საზოგადოებაში ნებადართულია პარტნიორის მიერ საზოგადოე-
ბიდან გასვლა სამეურნეო წლის ბოლომდე თორმეტი თვით ადრე განცხ-
ადების საფუძველზე, თუ წესდება უფრო გრძელ ვადას არ ითვალ-
ისწინებს. გასვლის განცხადება, როგორც წესი, იწვევს მხოლოდ განმ-
ცხადებელი პარტნიორის გასვლას საზოგადოებიდან, თუკი საზოგადოე-
ბის წესდება არ ითვალისწინებს საზოგადოების ლიკვიდაციას. საზოგა-
დოება ექვემდებარება ლიკვიდაციას, თუ საზოგადოებიდან გასვლის შესახებ
განაცხადებენ ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მფლობელი პარტ-
ნიორები.

14.1.2. შპს-სა და სს-ში დაუშვებელია საზოგადოების დაშლა და
ერთი პარტნიორის მიერ. ლიკვიდაცია მოხდება, თუ ამას გადაწყვეტენ
ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპი-
ტალის მფლობელები.

14.1.3. თუ საწარმო გადახდისუუნარო გახდება, 9.1 მუხლში დასახ-
ელებულმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს
გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, უნდა
განაცხადონ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. ეს წესი
გამოიყენება ზედავალიანების შემთხვევაშიც. არ მიიჩნევა განცხადების
ბრალეულ გაჭიანურებად, თუ ზემოხსენებული პირები გაკოტრების საქ-
მის წარმოების გახსნას ეპყრობიან 9.7 მუხლით გათვალისწინებული
კეთილსინდისიერებით.

9.1 მუხლში დასახელებული პირები ვალდებულნი არიან საზოგა-
დოებას აუნაზღაურონ გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალ-
იანების დადგენის შემდეგ გაღებული ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა,
თუ ეს პირები მოქმედებდნენ 9.7 მუხლით გათვალისწინებული კეთილს-
ინდისიერებით. ზარალის ანაზღაურების მიმართ გამოიყენება 9.7 მუხ-
ლით განსაზღვრული წესები.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

14.2. ლიკვიდაცია წარმოებს 9.1 მუხლში დასახელებულ პირთა მიერ ერთობლივი ხელმოწერით. რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს, ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი; ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დაინიშნოს ის პირები, რომლებიც არ არიან ღირეპტორები.

ლიკვიდატორებმა დაინიშნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, — საჯარო განცხადებით და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის.

ლიკვიდატორები მოვალენი არიან დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება. დავალიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს ამის თაობაზე, რომელმაც უნდა აღძრას საბანკროტო საქმე. ლიკვიდატორები წარმოადგენენ საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, თუ საჭიროა, ჩაერთონ ახალ გარიგებებშიც. მათ შეუძლიათ აგრეთვე თავისუფლად გაყიდონ აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება 9.7 მუხლით.

14.3. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, თუ საზოგადოების წესდება სხვა წესს არ ითვალისწინებს, ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი. განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუკი არსებული ვითარებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მათი მოთხოვნების ღირებულება სასამართლოსგან დეპონირდება. ამგვარადვე უნდა იქნეს დეპონირებული საზოგადოების სადავო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, თუკი კრედიტორებისათვის არ არის წარდგენილი თანაბრადღირებული გარანტია ან საზოგადოების ქონების განაწილება არ შეჩერდება ამ ვალდებულებათა შესრულებამდე.

წესები საზოგადოების ფულის გახარჯვის შესახებ არ გამოიყენება ლიკვიდაციის პერიოდში.

თუ საზოგადოების ქონების განაწილებისას წარმოიშობა დავა პარტნიორებს შორის, ლიკვიდატორებმა უნდა შეწყვიტონ განაწილება დავის კანონიერად გადაწყვეტამდე.

14.4. პარტნიორებს შეუძლიათ ერთი ფორმის საზოგადოება გარდაქმნიან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად წილობრივი ურთიერთობებისა და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით. გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში შეიტანება აქტივები ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით.

საბაზრო ღირებულებას ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის გარდაქმნისთვის აუცილებელია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

14.5. საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ საწარმოს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საზოგადოება უერთდება მეორეს თუ ორივე საზოგადოება ერთიანდება ერთ ახალ საზოგადოებად. თუ შერწყმის დროს მოხდება გადახვევები საბალანსო ღირებულებებიდან, შერწყმის ბალანსში ღირებულება უნდა დაზუსტდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებამ უნდა განსაზღვროს პარტ-

ნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ საწეს-
დებო კაპიტალში მათი წილის პრინციპებით. საზოგადოება, რომელმაც
ძველი საზოგადოება მიიერთა, ან ახლად შექმნილი საზოგადოება –
წარმოადგენენ ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლე-
ბამონაცვლეს.

14.6. საწარმო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე საწარმოო
ერთეულია, შეიძლება დაიყოს მის შემადგენლობაში მყოფ საწარმოებად
და მათ გააგრძელონ საქმიანობა როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებ-
მა – სუბიექტებმა საკუთარი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით
(გაყოფა ნატურით). შემადგენლობაში მყოფი საწარმო წარმოადგენს
საწარმოო-ორგანიზაციულად განცალკევებულ ერთეულს, რომელსაც აქვს
საკუთარი საქმიანობის სფერო. ნატურით გაყოფა დაიშვება საბალანსო
ღირებულებით. თუ დადგინდა უფრო მაღალი ღირებულება, იგი უნდა
შემოწმდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ნატურით გაყოფის შესახ-
ებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტ-
ნიორები ნატურით გაყოფილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა
წილობრივ საფუძველზე.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ
პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე.
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

14.7. შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური
ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი
ძალით.

I. საზოგადოების არსებობის ხანგრძლივობა

სამეწარმეო საზოგადოებები შეიძლება შეიქმნას უკადროდ ან გან-
საზღვრული ვადით. თუ საზოგადოების წესდებაში არაა მითითებული
საზოგადოების არსებობის ხანგრძლივობა, მაშინ იგი ჩაითვლება უკა-
დროდ, ე.ი. განუსაზღვრელი ვადით შექმნილად (14.1 მუხლი)

ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოება
შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული ვადით. ამის შესახებ უნდა აღინიშ-
ნოს წესდებაში. აქვე აღინიშნება ვადის გაგრძელების პირობაც, მაგალ-
თიად, „თუ წესდებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე
არ განაცხადეს პარტნიორებმა საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ,

საზოგადოება ითვლება უვადოდ შექმნილად“, ან სხვა მაგალითი: თუ წესდებაში აღნიშნული ვადის გასვლაძდე ექვსი თვით ადრე არ განაცხადეს პარტნიორებმა საზოგადოების გაგრძელების შესახებ, საზოგადოება ითვლება ლიკვიდირებულად. თუ წესდებაში არაა აღნიშნული ასეთი პირობა და პარტნიორები დამატებით არ შეთანხმდებიან, ვადის გასვლასთან ერთად ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია.

ყველა საზოგადოება, რომლის წესდებაში არ არის საზოგადოების არსებობის ვადა აღნიშნული, ითვლება განუსაზღვრელი ვადით შექმნილად.

II. საზოგადოების ლიკვიდაცია

ლიტერატურაში აღიარებულია იურიდიული პირის ლიკვიდაციის სხვადასხვა საფუძვლები, კერძოდ: ა. იურიდიული პირის დამფუძნებელთა ან მისი უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ; ბ. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც არის შექმნილი კონკრეტული საზოგადოება; გ. იმ მიზნის მიღწევა, რომლისთვისაც არის შექმნილი საზოგადოება; დ. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა; ე. სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი აღმოჩენილია კანონის ისეთი დარღვევები, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია.¹

1. ლიკვიდაცია სპს-სა და კს-ში

სპს და კს ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებია, ე.ი. პარტნიორთა გაერთიანების შედეგად შექმნილი საწარმოები. ამიტომ, საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა ხშირად საზოგადოების დაშლას იწვევს. მაგალითად, თუ სპს შექმნა ორმა პირმა და ერთ-ერთი მათგანი გავიდა საზოგადოებიდან, საზოგადოება დაშლილად ჩაითვლება. სხვა მაგალითი: სპს შექმნეს სამმა პირმა. მაგრამ ერთი არის ხმათა 55% პროცენტის მფლობელი. სწორედ მან მოინდომა საზოგადოებიდან გასვლა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება საზოგადოება დაიშალოს, თუ დანარჩენი პარტნიორები

¹ ქ. ქოქრაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია. ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998 წ., №1, გვ. 31.

არ მონდომებენ საქმიანობის გაგრძელებას ამ საზოგადოების შენარჩუნებით. პირთა გასვლის შედეგად საზოგადოების დაშლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სტაბილურობა ეკონომიკურ ურთიერთობებში, კანონი აწესებს განსაზღვრულ დროით შეზღუდვებს სპს-იდან და კს-დან გასვლის მსურველთათვის. ასე, მაგალითად, პარტნიორმა სპს-დან ან კს-დან გასვლის შესახებ უნდა განაცხადოს სამეურნეო წლის დამთავრებამდე თორმეტი თვით ადრე (14.1.1 მუხლის პირველი წინადადება). ეს არის მინიმალური ვადა, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული. კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ ეს ვადა უფრო ხანგრძლივი იყოს.

როგორც წესი, გასვლის განცხადება იწვევს მხოლოდ მსურველი პირის გასვლას საზოგადოებიდან, მაგრამ წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების ლიკვიდაციას ამგვარი გასვლის შედეგად (14.1.1 მუხლის მეორე წინადადება).

მაგალითად:

სპს-ების არსებობას ხშირად უკავშირებენ ამა თუ იმ პირის წევრობას საზოგადოებაში. საზოგადოება შეიძლება დაიშალოს ამ პირის გასვლის შემთხვევაში მაშინაც კი, როცა მას არა აქვს ხმათა უმრავლესობა.

საზოგადოების ლიკვიდაციის ერთ-ერთი საფუძველი ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მფლობელი პარტნიორების გადაწყვეტილებაა (14.1.1 მუხლის მესამე წინადადება).

2. შპს-სა და სს-ის ლიკვიდაცია

სპს-სა და კს-ისაგან განსხვავებით შპს და სს კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საწარმოებია. ამიტომ ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან არ იწვევს საზოგადოების დაშლას. იმ შემთხვევაშიც, თუ საზოგადოებიდან გადის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი წილის მქონე პარტნიორი, საზოგადოება შეიძლება არ დაიშალოს, თუ დარჩენილი პარტნიორი ან პარტნიორები მოისურვებენ საზოგადოების საქმიანობის გაგრძელებას. ამრიგად, შპს-ში პარტნიორის გასვლა

ავტომატურად არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ამისთვის საჭიროა პარტნიორთა სპეციალური გადაწყვეტილება. საზოგადოების ლიკვიდაციას სჭირდება „ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელის“ თანხმობა (14.1.2 მუხლი). რაც შეეხება სს-ს, მისთვის უცხოა ცნება „აქციონერის გასვლა“ საზოგადოებიდან. აქციის გასხვისებით აქციონერი ავტომატურად გადის საზოგადოებიდან.

3. საზოგადოების ლიკვიდაცია გადახდისუნარობის გამო

ა. გადახდისუნარობის ცნება

გადახდისუნარობა არის გადახდის საშუალებების უქონლობით გამოწვეული უუნარობა მოვალისა შეასრულოს ვადამოსული ფულადი ვალდებულებები. გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოვალის გადახდისუნარობა სახეზეა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები. მოვალის გადახდისუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე ზოგადად შეწყვეტს ვალების გადახდას. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად გადახდისუნარობა არის გაკოტრების საქმის წარმოების განხილვის საფუძველი (14.1.3 მუხლის პირველი აბზაცი). გადახდის საშუალებად მიიჩნევა ფულის სხვადასხვა სახე (მათ შორის უცხოური ვალუტა), ან ფულის მსგავსი საშუალებები (აქციები, თამასუქი, ობლიგაციები და ა.შ.), რომლებიც გამოიყენება ქონებრივ ურთიერთობებში მხარეებს შორის.

საწარმოს გადახდისუნარობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია სამი ძირითადი საკითხი: მოვალის უუნარობა, გადახდის ვალდებულების არსებობა და ამ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა.² ამასთან მოვალის უუნარობა ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით უნდა იყოს ხანგრძლივი, მყარი და არა დროებითი... მოვალის იმწუთიერი (დროებითი) უუნარობა არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ იგი ვალიაროთ გადახდისუნაროდ.³

² როინ შიგრიული, შესავალი გაკოტრების სამართალში. პირველი გამოცემა. 1999 წ. გვ. 21.

³ იქვე, გვ. 21.

სამართლებრივი შედეგების მიხედვით გადახდისუუნარობას უთანაბრდება ისეთი შემთხვევები, როცა საზოგადოების ქონება ველარ ფარავს ვალებს, ე.ი. აქვს ზედავალიანება.⁴

ბ. გადახდისუუნარობის შედეგები

თუ შპს ან სს გადახდისუუნარო გახდება, დირექტორებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა გადახდისუუნარობის დადგომის დღიდან, უნდა განაცხადონ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

განცხადების ბრალეულ გაჭიანურებად არ ჩაითვლება, თუ დირექტორები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას ეპყრობოდნენ კეთილსინდისიერებით (14.1.3 მუხლის პირველი აბზაცი).

მაგალითი:

დირექტორმა იცოდა, რომ საზოგადოება გადახდისუუნარო გახდა. იგი ვალდებული იყო ამის შესახებ განეცხადებინა, მაგრამ მას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ დადებული გარიგებებიდან შემოვიდოდა განსაზღვრული თანხა და გადახდისუუნარობის ოფიციალური გამოცხადება შეაფერხებდა ამ საქმეს. ასეთ შემთხვევაში დირექტორის მოქმედება არ უნდა დაკვალიფიცირდეს ბრალეულ გაჭიანურებად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

გ. გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების განუცხადებლობის შედეგები

თუ დირექტორებმა დროულად არ განაცხადეს გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალიანების შესახებ, მაშინ მათ ეკისრებათ საზოგადოებისათვის ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალ-

⁴ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ზედავალიანება სახეზეა, სადაც მოვალის ქონება (აქტივი) ველარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს).

იანების დადგენის შემდეგ (14.1.3 მუხლის მეორე აბზაცის პირველი წინადადება).

ეს წესი არ გამოიყენება იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც, მართალია, გაღებული იყო გადახდისუუნარობის დადგომის შემდეგ, მაგრამ ღირეპტორი მოქმედებდა კეთილსინდისიერებით. აქ შეიძლება ისევ ზემოაღნიშნული მაგალითი მოვიყვანოთ: გარიგებიდან მოსალოდნელი თანხის მიღების მიზნით ღირეპტორი წავიდა მივლინებით, მაგრამ ამან ვერაერთი შედეგი ვერ გამოიღო. თუ დამტკიცდება, რომ ღირეპტორის ეს მოქმედება რეალური საფუძვლებით იყო ნაკარნახევი, შეიძლება მას არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

წარმოშობილი ზარალისათვის ღირეპტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, ამავე დროს, მტკიცების ტვირთიც მათ ეკისრებათ.

აღნიშნულ ურთიერთობებში ღირეპტორების პირადი პასუხისმგებლობის შემოღება კიდევ ერთი გარანტიაა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. პასუხისმგებელ პირთა ინდივიდუალიზება და მათი ვალდებულებების ზუსტად განსაზღვრა აუცილებელი წინაპირობაა მოწესრიგებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად.

III. საზოგადოების ლიკვიდაცია ლიკვიდატორების მიერ

საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებენ ღირეპტორები და ხელმძღვანელი-პარტნიორები. გარდა ამისა, დასაშვებია, რომ ლიკვიდაცია განახორციელონ სხვა პირებმაც – ლიკვიდატორებმა. მათი დანიშვნის უფლება აქვს სასამართლოს, თუკი არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი ან რომელიმე მონაწილე ითხოვს ამას. სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირებიც, რომლებიც არ არიან ღირეპტორები. მაგალითად, კომერციული ბანკების ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდატორები ინიშებიან საქართველოს ეროვნული ბანკის შუამდგომლობის საფუძველზე.⁵ ანალოგიური წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ხდება უკვე დანიშნული ლიკვიდატორის შეცვლა.⁶

⁵ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 3 თებერვლის დადგენილება კომერციული ბანკის „პირამიდა“ ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ.

⁶ იგივე დადგენილება.

1. ლიკვიდატორების უფლება-მოვალეობანი

საზოგადოების ლიკვიდაცია არ არის ერთჯერადი აქტი, როგორც ამას არცთუ იშვიათად მიიჩნევენ. ლიკვიდაცია ეს არის პროცესი, რომელიც ხშირად რამდენიმე წელიც კი გრძელდება. ამ ხნის მანძილზე საწარმო ჩვეულებრივ განაგრძობს საქმიანობას, დებს გარიგებებს, ასრულებს ვალდებულებებს და ა.შ. ყოველივე აქედან გამომდინარე, კანონი განსაზღვრავს ლიკვიდატორების უფლებებსა და მოვალეობებს:

ა. ლიკვიდატორებმა დანიშენისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი (14.2 მუხლის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება);

ბ. ისინი ვალდებული არიან საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს სპეციალური შეტყობინებით აცნობონ საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილიც უცნობია – საჯარო განცხადებით და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის (14.2 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება);

გ. ლიკვიდატორების მნიშვნელოვანი მოვალეობაა მიმდინარე საქმეების დამთავრება, აქტივების რეალიზაცია და საზოგადოების ვალდებულებების შესრულება. დავალიანების დადგენისას მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ სასამართლოს, რომელიც აღძრავს საგაკოტრებო საქმეს.

ლიკვიდატორები საზოგადოებას წარმოადგენენ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, წარმართავენ მათ გამო პროცესებს, უფლება აქვთ დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ჩაერთონ ახალ გარიგებებში და თავისუფლად გაყიდონ აქტივები.

თუ საზოგადოების ლიკვიდაცია გრძელდება რამდენიმე წელს (განსაკუთრებით ეს ეხება მსხვილ საწარმოებს), ლიკვიდატორებმა ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები.

ლიკვიდატორების არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ზარალისათვის პასუხს აგებს საზოგადოება. თავის მხრივ ლიკვიდატორებიც აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. მათი პასუხისმგებლობა უთანაბრდება დირექტორების პასუხისმგებლობას და გამოიყენება კანონის 9.7 მუხლი (14.2 მუხლის მე-3 აბზაცი).

IV. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილების წესი

ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის. ამ ქონების განაწილება ხდება პარტნიორების მიერ გაღებული თანხებისა და მათი წილების შესაბამისად (14.3 მუხლის 1-ლი წინადადება). წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება არ განაწილდეს პარტნიორებს შორის, არამედ გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისათვის, მაგალითად, ახალი საზოგადოების დასაარსებლად, საქველმოქმედო მიზნებისათვის და ა.შ.

დარჩენილი ქონების განაწილება შეიძლება განხორციელდეს საზოგადოების ლიკვიდაციიდან მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა გამოითვლება იმ დღიდან, როცა კრედიტორები და მოვალეები მესამედ იქნენ პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულნი. განაწილება შეიძლება ამ ვადის გასვლამდე განხორციელდეს. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს სასამართლო. წინაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად არის კრედიტორების უსაფრთხოება, ე.ი. მათთვის ვალის დაბრუნება უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

თუ ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, მათი მოთხოვნების დეპონირებას ახდენს სასამართლო. ამგვარადვე დეპონირდება საზოგადოების სადავო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორებისათვის არ არის წარდგენილი გარანტია ან საზოგადოების ქონების განაწილება არ შეჩერდება ამ ვალდებულებათა შესრულებამდე (14.3 მუხლის მე-2 აბზაცი).

დეპონირების შინაარსი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, *თუ კრედიტორი აყენებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე*. დეპონირებით ვალდებულების შეწყვეტის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა შესრულების საგანს წარმოადგენენ მოძრავი ნივთები, მათ შორის ფული და სხვა

ფასიანი ქაღალდები. რაც შეეხება მომსახურებას ან მის მსგავს შესრულებებს, მათ მიმართ არ არის შესაძლებელი სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის გამოყენება.⁷

თუ ქონების განაწილებისას პარტნიორებს შორის წარმოიშვა დავა, ლიკვიდატორები აჩერებენ ქონების განაწილებას, ვიდრე დავა არ გადაწყდება სასამართლოს მიერ. ამ უკანასკნელში იგულისხმება დავის გადაწყვეტა როგორც სამედიატორო, ასევე სასამართლო განხილვის გზით.

ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა ერთი საკითხი: ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ, აქვს თუ არა საზოგადოების პარტნიორს უფლება საზოგადოების მოვალეებისაგან მოითხოვოს შესრულება, ე.ი. იყოს საწარმოს უფლებამონაცვლე? – უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, საზოგადოების დამფუძნებელი „ამ საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა სამოქალაქო დავები საწარმოს მოვალეებთან მიუღებელი ქონების დაბრუნების და დამფუძნებელთა შორის განაწილების მიზნით. აღნიშნული უფლებისათვის მას რაიმე სპეციალური რწმუნების მინიჭება არ ესაჭიროება“.⁸

უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა 14.3 მუხლის განმარტების შედეგად. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის. სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად, ქონება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეცაა, რომელსაც განეკუთვნება აგრეთვე მოთხოვნები. ამიტომ, ლიკვიდაციის შედეგად გასანაწილებელი ქონების შემადგენლობაში ლოგიკურად შევა ის მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებას ჰქონდა მოვალეების მიმართ.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი. 2001 წ. გვ. 532.

⁸ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 286.

V. საწარმოთა რეორგანიზაცია

საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევისას მომავალი მეწარმეები სხვადასხვა გარემოებებითა და მოტივებით ხელმძღვანელობენ: ფიქრობენ, თუ რომელი ფორმაა უფრო ხელსაყრელი მათ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად; როგორია მათი ფინანსური მდგომარეობა – შეუძლიათ თუ არა დააფუძნონ კაპიტალური საზოგადოებები, რომლებიც საკმაოდ დიდ თავდაპირველ კაპიტალს საჭიროებენ; სურთ თუ არა მათ, რომ კრედიტორების წინაშე საკუთარი ქონებითაც აგონ პასუხი და ა.შ.

საწარმოს დაფუძნების შემდეგ საქმიანობისას აღმოჩნდება, რომ პარტნიორებს გონივრულად ვერ შეურჩევიათ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ანდა არარენტაბელური იყო ცალ-ცალკე საწარმოების დაფუძნება და მიზანშეწონილია მათი გაერთიანება. შეიძლება პირიქითაც, საწარმომ საქმიანობის იმდენ სახეობას მოჰკიდა ხელი, რომ სასურველი იყოს მისი დაყოფა ცალკე საწარმოებად. ყველა ამ აღნიშნულ ცვლილებას ფართო გაგებით საწარმოთა (საზოგადოებათა) რეორგანიზაცია ეწოდება და მის შესაძლებლობას კანონი უზრუნველყოფს (14.4, 14.5, 14.6 მუხლები). მე-14 მუხლით გათვალისწინებული საწარმოს რეორგანიზაციად არ ჩაითვლება „საწარმოს შიდა სტრუქტურული ცვლილებები და შტატების შემცირება“, რასაც შრომის კანონთა კოდექსი რეორგანიზაციას უწოდებს.⁹

იმის მიხედვით, თუ რა ამოცანის წინაშე დგანან პარტნიორები ან მათი საზოგადოებები, კანონი რეორგანიზაციის რამდენიმე ფორმას ითვალისწინებს. ესაა:

1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა);
2. საწარმოთა შერწყმა;
3. საწარმოთა გაყოფა.

⁹ სუს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის განჩინება სს „საქსაშენმეცნიერების“ საქმეზე (№3/180) და 2000 წლის 30 ივნისის განჩინება რ. ელისაშვილის საქმეზე (№3/329).

1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა)

სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მეწარმეებს უზრუნველყოფილი აქვთ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების თავისუფლად არჩევა. არჩევანის თავისუფლება მხოლოდ საწარმოთა დაფუძნების დროს არ გამოიყენება, მეწარმეებს საქმიანობის პროცესში შეუძლიათ თავისუფლად შეცვალონ ერთხელ არჩეული ფორმა სხვა ფორმით. ამის შესაძლებლობას განსაზღვრავს კანონის 14.4 მუხლი.¹⁰

საწარმოთა გარდაქმნის შემთხვევები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

- ა. ფორმის შეცვლა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) შიგნით;
- ბ. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) გარდაქმნა კაპიტალურ საზოგადოებებად (შპს, სს, კოოპერატივი);
- გ. ფორმის შეცვლა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების შიგნით (შპს, სს, კოოპერატივი);
- დ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებების გარდაქმნა სპს-ად ან კს-ად.

¹⁰ ამ მუხლის თანახმად შესაძლებელია გარდაქმნის შემდეგი ვარიანტები:

1. სპს-ის გარდაქმნა კს-ად;
2. სპს-ის გარდაქმნა შპს-ად;
3. სპს-ის გარდაქმნა სს-ად;
4. სპს-ის გარდაქმნა კოოპერატივად;
5. კს-ის გარდაქმნა სპს-ად;
6. კს-ის გარდაქმნა შპს-ად;
7. კს-ის გარდაქმნა სს-ად;
8. კს-ის გარდაქმნა კოოპერატივად;
9. შპს-ის გარდაქმნა სპს-ად;
10. შპს სპს-ის გარდაქმნა კს-ად;
11. შპს-ის გარდაქმნა სს-ად;
12. შპს-ის გარდაქმნა კოოპერატივად;
13. სს-ის გარდაქმნა სპს-ად;
14. სს-ის გარდაქმნა შპს-ად;
15. სს-ის გარდაქმნა კს-ად;
16. სს-ის გარდაქმნა კოოპერატივად;
17. კოოპერატივის გარდაქმნა სპს-ად;
18. კოოპერატივის გარდაქმნა კს-ად;
19. კოოპერატივის გარდაქმნა შპს-ად;
20. კოოპერატივის გარდაქმნა სს-ად;

ა. ფორმის შეცვლა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) შიგნით

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა პრაქტიკაში ძალიან ხშირია. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთ საზოგადოებებში ერთ-ერთი პარტნიორის გასვლამ ან ახალი პარტნიორის შესვლამ ავტომატურად შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების ფორმის შეცვლა. მაგალითად, არსებულ სპს-ს მიემატა ახალი პარტნიორი, რომელსაც სურს, რომ მისი პასუხისმგებლობა იყოს შეზღუდული, ე.ი. მას სურს სპს-ში შევიდეს კომანდიტად. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უნდა გარდაიქმნას კს-ად. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა იწვევს სპს-ში ახალი წევრის კომანდიტად შესვლას. ეს შეიძლება მოხდეს 33.2 მუხლის თანახმად, ე.ი. როცა გარდაიცვლება სპს-ის პარტნიორი, ხოლო მის მემკვიდრეებს სურთ კომანდიტად შესვლა; ასევე შეიძლება სპს-ის ერთ-ერთმა პარტნიორმა აღარ მოინდომოს სრული პასუხისმგებლობა და საზოგადოებაში დარჩენა დაუკავშიროს კომანდიტად მის მიღებას; არც ისაა გამორიცხული, რომ პარტნიორებმა თვითონვე მოინდომონ ახალი წევრის მიღება კომანდიტად.

ანალოგიურად შეიძლება მოხდეს კს-ის გარდაქმნა სპს-ად. ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოებიდან გადის კომანდიტი და საზოგადოებაში რჩებიან მხოლოდ კომპლემენტარები. კომანდიტის გასვლის მიზეზი შეიძლება სრულიად სხვადასხვა იყოს: გარიცხვა, ნებაყოფლობით გასვლა ან გარდაცვალება; არც ისაა გამორიცხული, რომ კომანდიტმა თვითონაც მოინდომოს კომპლემენტარად შესვლა უკვე არსებულ საზოგადოებაში.

ყველა ზემოთ განხილული შემთხვევა ავტომატურად იწვევს საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას. ეს შეცვლა შედარებით მარტივია, როცა კს გარდაიქმნება სპს-ად. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა სპს-ის გარდაქმნა ხდება კს-ად, დაცული უნდა იქნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა: კომანდიტად შესვლა დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან და, შესაბამისად, საგარანტიო (საკომანდიტო) შესატანთან. ამიტომ, ამ დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული კანონის 3.3 მუხლით გათვალისწინებული წესი შესატანის თაობაზე. გარდაქმნის შემდეგ მიღებული ყოველი ახალი ორგანიზაცი-

ულ-სამართლებრივი ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ამ ფორმისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სპს-ის გარდაქმნა კს-ად (და პირიქით) ხშირად კანონის იმპერატიული ნორმების საფუძველზე ხდება, გადაწყვეტილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორთა კრების მიერ 14.4 მუხლის მეორე აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად ერთხმად.

ბ. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების (სპს, კს) გარდაქმნა კაპიტალურ საზოგადოებებად (შპს, სს, კოოპერატივი)

ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როცა სპს-ის ან კს-ის პარტნიორებმა სამეწარმეო საქმიანობის შედეგად დააგროვეს განსაზღვრული ქონება და უკვე აღარ სურთ კრედიტორებთან უთიერობაში პირადი ქონებით აგონ პასუხი. ამიტომ იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სპს ან კს გარდაიქმნას კაპიტალურ საზოგადოებად – შპს-ად ან კოოპერატივად.

გადაწყვეტილება სპს-ისა და კს-ის კაპიტალურ საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორების მიერ ერთხმად. თუ ერთი პარტნიორი მაინც გარდაქმნის წინააღმდეგია, მაშინ გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.

ამ კატეგორიის გარდაქმნების დროს სპს-ისა და კს-ის მთელი ქონება ავტომატურად გადაიქცევა შესაბამისად შპს, სს-ის ან კოოპერატივის ქონებად. ოღონდ პარტნიორებმა აქ უნდა განსაზღვრონ, თუ რა ქონებას დებენ საწესდებო კაპიტალში. ცხადია, საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. თუ სპს-ის ან კს-ის ქონება არ არის საკმარისი საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად, მაშინ პარტნიორებმა უნდა იკისრონ დამატებითი შესატანების გადახდა, რომლის მიმართ გამოიყენება 3.3 მუხლის მოთხოვნები.

პრაქტიკაში ხშირად იბადება კითხვა: საჭიროა თუ არა გარდაქმნის შესახებ სპს-ის და კს-ის ქონების შეფასება, თუ ეს ქონება არაფულადი ხასიათისაა? ასეთი გარდაქმნის დროს, როცა ახალი საზოგადოების საწესდებო კაპიტალი სპს-ის ან კს-ის არაფულადი ქონებისაგან იქმნება, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მისი შეფასება საკვალდებულო არაა. ამის უფლებას იძლევა 14.4 მუხლის პირველი აბზაცის ბოლო წინადადება. მაგრამ იმ

შემთხვევაში, როცა სპს-ის ან კს-ის ქონება საკმარისი არ არის საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად და პარტნიორებს დამატებითი შესატანების გადახდა უწევთ, ეს შესატანები (თუ ისინი არაფულადი ფორმისაა) უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

გ. ფორმის შეცვლა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების შიგნით (შპს, სს, კოოპერატივი)

გარდაქმნად ჩაითვლება ასევე შემთხვევები, როცა კაპიტალური ტიპის ერთი საზოგადოება ფორმას იცვლის და გარდაიქმნება კაპიტალური ტიპის სხვა საზოგადოებად, რაც პრაქტიკაში ხშირად ხდება. ამის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შპს-ის გარდაქმნა სს-ად და პირიქით. თუმცა არც კოოპერატივების გარდაქმნაა შპს-ად ან სს-ად გამონაკლისი.

კანონის 14.4 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად კაპიტალურ საზოგადოებაში გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა, გარდა 54.7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ის პარტნიორები, რომლებიც კენჭისყრის დროს უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ინარჩუნებენ ახალ საზოგადოებაში პარტნიორად დარჩენის უფლებას. მათ შეუძლიათ ასევე უარი თქვან ახალ საზოგადოებაში დარჩენაზე და მოითხოვონ თავიანთი წილის შესაბამისი კომპენსაცია.

იმ შემთხვევაში, როცა შპს გარდაიქმნება სს-ად ან პირიქით, პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა, როგორც წესი, უცვლელი რჩება და იმავე ნომინალური ღირებულებით დაფიქსირდება ახალი საზოგადოების წესდებაში, რაც ყველაზე მარტივი გზაა ამგვარი გარდაქმნისას.

მაგალითი:

შპს „ქართული ღვინის ექსპორტის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30 000 ლარს. საზოგადოებას ჰყავს სამი პარტნიორი, რომელთა წილი განისაზღვრება შემდეგნაირად: ანი – 10 000 ლარი (საწესდებო კაპიტალის 33%); ბანი – 15 000 ლარი (საწესდებო კაპიტალის 50%) და განი – 5 000 ლარი (საწესდებო კაპიტალის 17%). ცხადია, რომ წილის ღირებულება ყველგან ნომინალურია, ე.ი. აღნიშნულია წილის

*მუხლი 14. ხანგრძლივობა, ლიკვიდაცია, გარდაქმნა,
შერწყმა, გაყოფა ნატურით*

თანხა, რომელიც მითითებულია წესდებაში საზოგადოების რეგისტრაციისას. საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად. საწესდებო კაპიტალი სს-ისთვის საკმარისა და არც წილების შეცვლა უნდათ პარტნიორებს. ამის შედეგად ანის ექნება 10 000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები, ბანის – 15 000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები, ხოლო განის – 5 000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები. ე.ი. ამ შემთხვევაში შპს-ს წილები, გარდაიქმნება სს-ის აქციებად. ანალოგიურად ხდება მაშინაც, როცა სს გარდაიქმნება შპს-ად.

არის შემთხვევები, როცა მიღებულია გადაწყვეტილება შპს-ის გარდაქმნის შესახებ სს-ად, მაგრამ შპს-ს კაპიტალი არ არის საკმარისი სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალისთვის. ამიტომ, აუცილებელი ხდება საწესდებო კაპიტალის შევსება. ამ დროს არსებობს ორი გამოსავალი: ან საწესდებო კაპიტალის შევსება შპს-ის სხვა ქონების ხარჯზე ანდა, თუ არც ეს ქონებაა საკმარისი, პარტნიორებმა უნდა იკისრონ დამატებითი შესატანის განხორციელება.

შპს-ის ქონების ხარჯზე საწესდებო კაპიტალის შევსებისას პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა უცვლელი რჩება, პროპორციულად იცვლება მხოლოდ მათი წილების ნომინალური ღირებულება.

მაგალითი:

შპს „ვაზის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3 000 ლარს, რომელიც განაწილებულია ორ პარტნიორს შორის თანაბრად: ანის აქვს 1 500 ლარის ნომინალური ღირებულების წილი, რომელიც ტოლია საწესდებო კაპიტალის 50%-ს, ბანის აქვს 1 500 ლარი – 50%. სს-ად გარდაქმნისათვის საწესდებო კაპიტალი უნდა გაიზარდოს სულ ცოტა 15 000 ლარამდე. შპს-ას აქვს საკმარისი ქონება. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას, რომ „ვაზის“ საწესდებო კაპიტალი იყოს 15 000 ლარი. ამგვარი გაზრდის შედეგად სს „ვაზის“ საწესდებო კაპიტალში ანის აქციათა ნომინალური ღირებულება იქნება 7 500 ლარი, იგივე იქნება ბანის აქციათა ნომინალური ღირებულებაც. პროცენტები კი უცვლელი დარჩება. ე.ი. სს-ად შპს-ის გარდაქმნისას ან პირიქით, როცა საწესდებო კაპიტალი ყალიბდება საზოგადოების ქონების ხარჯზე, პარტ-

ნიორთა წილობრივი მონაწილეობა უცვლელი რჩება, მაგრამ იცვლება მათი წილების (შესაბამისად აქციების) ნომინალური ღირებულება.

იმ შემთხვევაში, როცა შპს-ის ქონება საკმარისი არ არის სს-ის საწესდებო კაპიტალის შესავსებად, მაგრამ პარტნიორებს სურთ შპს-ის გარდაქმნა სს-ად, ისინი ვალდებული არიან დამატებითი შესატანების განხორციელებით შეავსონ საწესდებო კაპიტალი. კანონის 46.7 მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს. ამიტომ დამატებითი შესატანების განხორციელება იწვევს საწესდებო კაპიტალში პროცენტული მონაწილეობის უცვლელობას, მაგრამ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესაბამისად, იზრდება წილის (აქციის) ნომინალური ღირებულება. დამატებითი შესატანების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც გათვალისწინებულია საერთო შესატანების მიმართ საზოგადოების დაფუძნებისას, კერძოდ, კანონის 3.3 მუხლი.

მაშასადამე, შპს-ის გარდაქმნისას სს-ად შპს-ის საწესდებო კაპიტალი ავტომატურად გარდაიქმნება სს-ის საწესდებო კაპიტალად, ხოლო შპს-ის პარტნიორთა წილები – სს-ის აქციებად. ანალოგიურად ზდება სს-ის გარდაქმნისას შპს-ად იმ განსხვავებით, რომ აქ აქციები გარდაიქმნება წილებად.

რეორგანიზაციისას სასამართლოში ზდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის რეგისტრაცია და არა ახალი საზოგადოების დაფუძნების რეგისტრაცია.

ანალოგიურად უნდა მოხდეს კოოპერატივის გარდაქმნა შპს-ად ან სს-ად ანდა, პირიქით, შპს-ის ან სს-ის გარდაქმნა კოოპერატივად.

დ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებების გარდაქმნა სპს-ად ან კს-ად

პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როცა კაპიტალური საზოგადოებები ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებად გარდაიქმნება, მაგრამ კანონი ასეთ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. ასეთი გარდაქმნის დროსაც ძველი საზოგადოების პარტნიორები ავტომატურად გადაიქცევიან ახალი საზოგადოების პარტნიორებად მათი წილობრივი მონაწილეობის შეუცვლელად ან შეცვლით. ვინაიდან ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებისათვის კანონი საწესდებო კაპიტალს არ ითვალისწინებს, შპს-ის, სს-ის

და კოოპერატივის საწესდებო კაპიტალი და სხვა ქონება ავტომატურად გარდაიქმნება სპს-ის ან კს-ის ქონებად.

გარდაქმნის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია პარტნიორების პასუხისმგებლობის საკითხი ახალ საზოგადოებაში. კაპიტალურ საზოგადოებებში პარტნიორები საზოგადოების ვალებისათვის პასუხს არ აგებენ ან აგებენ შეზღუდულად, ხოლო სპს-სა და კს-ში მათი პასუხისმგებლობა მეტად სერიოზული ხდება. ამიტომ ასეთი გარდაქმნა ყოველთვის დაკავშირებულია დიდ პიროვნულ რისკთან. ბუნებრივად, წარმოიქმნება იმ პარტნიორთა ბედის საკითხი, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი საზოგადოების გარდაქმნას და უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ასეთ პარტნიორებს აქვთ არჩევანის უფლება – ან დარჩებიან ახალ საზოგადოებაში ან მოითხოვენ საკუთარი წილის, აქციის კომპენსაციას. კომპენსაციის ვალდებულება ეკისრება ახალ საზოგადოებას.

ე. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის ყველა შემთხვევისათვის საერთო და სავალდებულო წესები

1. გადაწყვეტილება საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორთა კრებაზე. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც აირჩიეს პარტნიორებმა;

ბ) ფორმის შეცვლის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

გ) მონაცემები იმ პარტნიორების შესახებ, რომლებიც ახალ საზოგადოებაში მონაწილეობენ;

დ) თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა და სახეები;

ე) წილის კომპენსაციის წესი და პირობები იმ პარტნიორებისათვის, რომლებმაც არ მოისურვეს ახალ საზოგადოებაში პარტნიორად ყოფნა;

ვ) ახალი საზოგადოების წესდების შესახებ.

2. გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დამტკიცდეს ახალი საზოგადოების წესდება. არ არის სავალდებულო, რომ ამ წესდებას ხელი მოაწეროს ყველა პარტნიორმა, თუმცა სასურველია;

3. იმ შემთხვევებში, როცა გარდაქმნა კანონის ძალით უნდა მოხდეს (მაგალითად, კს-დან გავიდა კომანდიტი), მაგრამ პარტნიორებმა ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს, შეიძლება დადგეს საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია ხმათა უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობით (შპს, სს, კოოპერატივი), უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს შეუძლიათ დარჩნენ ახალ საზოგადოებაში პარტნიორებად ან გავიდნენ საზოგადოებიდან. ასეთ შემთხვევაში მათ აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება;

4. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შემთხვევაში ძველი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა ახალ საზოგადოებაში შეიძლება უცვლელი დარჩეს. წილობრივი მონაწილეობის უცვლელობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, ახალ საზოგადოებაში პარტნიორი იღებს აქციას, პაის თუ წილს. პარტნიორებს ასევე შეუძლიათ უცვლელად დატოვონ საზოგადოების საქმიანობის საგანი;

5. ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს მოცემული საზოგადოებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

6. საზოგადოების გარდაქმნა დაიშვება სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის განმავლობაში და მას საფუძვლად უდევს გასული სამეურნეო წლის ბალანსი;

7. გადაწყვეტილება საზოგადოების გარდაქმნის შესახებ, ახალი საზოგადოების წესდება და ყველა სხვა საბუთი, რომელიც აუცილებელია საზოგადოების რეგისტრაციისათვის, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, ხოლო თუ ხდება სააქციო საზოგადოების გარდაქმნა, მაშინ აქციონერთა კრების ოქმი უნდა შეადგინოს ნოტარიუსმა;

8. გარდაქმნის შედეგად წარმოშობილი საზოგადოება უფლებამონაცვლეა გარდაქმნილი საზოგადოებისა და პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომლებიც ძველ საზოგადოებას ჰქონდა. ბუნებრივია, პასუხისმგებლობის დადგენა ახალი ფორმისათვის კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით ხდება. ეს შეიძლება კრედიტორებისათვის

ყოველთვის არ იყოს სასიამოვნო, რის გამოც კანონი ითვალისწინებს გარდაქმნისათვის სპეციალურ ვადებს და გარდაქმნის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას პრესაში.

2. საწარმოთა შერწყმა (14.5 მუხლი)

საწარმოთა შერწყმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის საწარმოები, რომლებიც მძაფრ, ძლიერ და უშედეგათო კონკურენციას ვერ უძლებენ, ხშირად იბულებულნი არიან შეუერთდნენ სხვას, ან, თუ თანაბარი დონისა და სიძლიერის საწარმოებია, გაერთიანდნენ. რაც უფრო დიდია კონკურენცია, მით უფრო ნაკლებია ცალკეული პატარა საწარმოების გადარჩენის შანსი და იზრდება საწარმოთა შერწყმის შესაძლებლობები. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ამის თვალსაჩინო მაგალითებს იძლევა. „დაიმლერისა“ და „კრაისლერის“ გაერთიანება ამის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა დადასტურებაა.

საწარმოთა შერწყმა სამეწარმეო საქმიანობის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია და მის შესაძლებლობას კანონის 14.5 მუხლი ითვალისწინებს, რომლის თანახმად „საზოგადოებასა და ინდივიდუალურ საწარმოს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა)“. მაშასადამე, საწარმოთა შერწყმა დაიშვება, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ე.ი. შეიძლება შპს და სპს, სს და კს, სპს და სს, სს და ინდივიდუალური საწარმო და ა.შ. გაერთიანდნენ. სუბიექტების მიხედვით, გაერთიანების შესაძლებლობები იმდენივეა, რამდენიც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის დროს, ამიტომ მათზე ცალ-ცალკე აღარ შევჩერდებით.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს შერწყმის ორ ფორმას: ერთი, როცა ერთი საწარმო (საზოგადოება) უერთდება მეორეს. შესაძლებელია, რომ რამდენიმე საწარმო (საზოგადოება) შეუერთდეს ერთს. ამას კანონი არ ზღუდავს; მეორე, როცა ორი დამოუკიდებელი საწარმო (საზოგადოება) ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (საზოგადოებად). ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია რამდენიმე საწარმოს (საზოგადოების) გაერთიანება ერთ საწარმოდ (საზოგადოებად).

საწარმოთა შერწყმა ხორციელდება გასაერთიანებელ საწარმოთა შორის შერწყმის ხელშეკრულების დადებით. შერწყმის ხელშეკრულებას ხელს

აწერენ გასაერთიანებელი საწარმოების ხელმძღვანელები, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტნიორთა კრებებზე მოწონებული და მიღებული იქნება შერწყმის ხელშეკრულება პროექტი, ე.ი. გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების შერწყმის შესახებ გულისხმობს პარტნიორთა კრების მიერ შერწყმის ხელშეკრულების მოწონებასაც. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში (სპს, კს) გადაწყვეტილების მიღება ერთხმად, ხოლო კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში — ხმათა უბრალო ან კვალ-იფიცური უმრავლესობით.

ვინაიდან შერწყმის ხელშეკრულება საფუძველია სამეწარმეო რეესტრში განსახორციელებელი მრავალი ცვლილებისა, იგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება იქნება ბათილი.

შერწყმის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ იგი შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1) გასაერთიანებელი საწარმოების საფირმო სახელწოდებებს და მათ ადგილსამყოფელს; შერწყმის შედეგად წარმოშობილი საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას;

2) შეთანხმებას, რომ გაერთიანებული საწარმოების ქონება გადავა ახალ საწარმოში, ხოლო თუ ერთი უერთდება მეორე საწარმოს — შეთანხმებას, რომ მეორე საწარმოს ქონება შესატყვისი წილების (აქციების) უზრუნველყოფით გადავა ახალ საწარმოში;

3) ახალ საზოგადოებაში წილთა ოდენობას გამომხატულს პროცენტებში, ხოლო თუ გაერთიანების შედეგად საჭიროა შესატანი — მის ოდენობასა და სახეს;

4) წილთა გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურ აღწერას;

5) შერწყმასთან დაკავშირებულ თავისებურებებსა და სპეციფიკას;

6) შერწყმის დღეს, ე.ი. თუ როდიდან ჩაითვლება გაერთიანების შედეგად შექმნილი საწარმო ძველი საწარმოების უფლებამონაცვლედ;

7) იმ პარტნიორების უფლებებს, რომელთაც ძველ საზოგადოებაში პრივილეგირებული აქციები ჰქონდათ, ან წილი ხმის უფლების გარეშე, ანდა სახელობითი აქციები და ა.შ.

8) ახალ საზოგადოებაში მმართველობის ორგანოთა სტატუსსა და მოვალეობებს;

9) შეთანხმებას დამოუკიდებელი ექსპერტის დანიშვნის შესახებ, თუ შერწყმის ბალანსში ადგილი ექნება გადახვევებს საბალანსო ღირებულებიდან;

10) მონაცემებს საწარმოებში მომუშავეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, გააგრძელებენ თუ არა ისინი შრომით საქმიანობას ახალ საწარმოში;

11) მონაცემებს საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე და მისი გაზრდის წყაროებს.

შერწყმის ხელშეკრულება მთლიანად ან ძირითადი დებულებები მინც უნდა შევიდეს ახალი საზოგადოების წესდებაში, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ შერწყმის ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა პირებმა.

პრაქტიკაში ხშირად იბადება კითხვა, თუ ვინ არიან ახალი საზოგადოების პარტნიორები და რითი განსხვავდება საწარმოთა შერწყმა იმ შემთხვევისაგან, როცა ორი ან მეტი დამოუკიდებელი საწარმო ახალ საწარმოს ქმნიან?

საწარმოთა შერწყმის შედეგად გაერთიანებული საწარმოები წყვეტენ არსებობას, ე.ი. როგორც სამართლის სუბიექტები, გაერთიანების შემდეგ ისინი აღარ არსებობენ. ამ წესიდან გამონაკლისია, როცა ზდება მიერთება. ამ დროს არსებობას წყვეტს მიერთებული საწარმო. ხოლო ის საწარმო, რომელმაც მიიერთა, განაგრძობს არსებობას (ძველი საფირმო სახელწოდებით, თუ ახლით, ეს შერწყმის ხელშეკრულების საგანია). ამიტომ, ახალი საზოგადოების პარტნიორები იქნებიან არა გაერთიანებული საწარმოები, არამედ მათი პარტნიორები.

მაგალითი:

შპს „ვაზმა“ და შპს „ღვინომ“ მიიღეს გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ. „ვაზს“ ჰყავს სამი პარტნიორი, ხოლო „ღვინოს“ — ხუთი. შერწყმის შედეგად „ვაზმა“ და „ღვინომ“ შეწყვეტენ არსებობა. სანაცვლოდ წარმოიშვა შპს „ვაზი და ღვინო“, რომლის პარტნიორები იქნებიან გაერთიანებული საზოგადოებების პარტნიორები, ე.ი. რვა პარტნიორი. საწარმოთა მიერ ახალი საზოგადოების დაფუძნებისას კი დამფუძნებელი

საწარმოები არ წყვეტენ არსებობას, არამედ გამოდიან დამფუძნებელ პარტნიორებად.

საწარმოთა შერწყმის თავისუფლება გულისხმობს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლებასაც, ე.ი. შერწყმის ხელშეკრულების შედგენისას გაერთიანებული საწარმოები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა აირჩიონ. მაგალითად, ორი შპს-ის შერწყმა ავტომატურად არ იწვევს შპს-ის წარშოშობას. მათ შეიძლება სხვა ფორმა აირჩიონ, დავუშვათ სს. ამავე დროს, გასაერთიანებელი საწარმოების მიერ არჩეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა უნდა აკმაყოფილებდეს კანონით ამ ფორმისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს: სს-ის არჩევის შემთხვევაში მისი საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს კანონით დადგენილზე ნაკლები.

საწარმოთა შერწყმის დროს მეტად მნიშვნელოვანია მომავალი პარტნიორების წილის ოდენობის საკითხი ახალ საზოგადოებაში. ეს ძალიან აქტუალურია, ვინაიდან საწარმოთა შერწყმა ყოველთვის არის დაკავშირებული ძველ საზოგადოებაში არსებულ ამა თუ იმ უპირატესობის დაკარგვასთან. მაგალითად, საწარმოთა შერწყმამდე პირს ჰქონდა კაპიტალის ნახევარზე მეტი, გაერთიანების შემდეგ (მით უმეტეს, თუ ეს საწარმო სხვას მიუერთდა) იგი კარგავს ამ უპირატესობას. სამაგიეროდ, იზრდება მისი წილის ეკვივალენტური ქონება ახალ საზოგადოებაში.

მაგალითი:

შპს „ღვინის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს. იგი დანაწილებულია პარტნიორებს შორის შემდეგნაირად: ანი – 20 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 20%; ბანი – 20 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 20%; განი – 60 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 60%. შპს „ვაზის“ საწესდებო კაპიტალი ასევე შედგება 100 000 ლარისაგან, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: დონი – 30 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 30%; ენი – 70 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 70%. შერწყმის შედეგად შექმნილი შპს „ვაზი და ღვინოს“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 000 ლარს. პარტნიორთა წილის ნომინალური ღირებულება შეიძლება უცვლელი დარჩეს (როგორც წესი,

ასეც ეთდება), მაგრამ საწესდებო კაპიტალში (შესაბამისად ქონებაში) პროცენტული მონაწილეობა უეჭველად შეიცვლება და მივიღებთ შემდეგს: ანი – 20 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; ბანი – 20 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; განი – 60 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 15%; დონი – 30 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 15%; ენი – 70 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 35%.

წილთა პროპორციულობის პრინციპი ყოველთვის იქნება დაცული მიუხედავად იმისა, ეს წილი აქციის სახით არის გაცემული, თუ პაის სახით.

როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები ერთიანდებიან, მაგალითად, სს-ად, მაშინ მათი წილები ძველ საზოგადოებაში გარდაიქმნება ახალი სს-ის აქციებად.

როგორც წესი, შერწყმისას პარტნიორები არ არღვევენ წილთა პროპორციულობის პრინციპს, ვინაიდან მისი შეცვლა დამატებით სიძნელეებს იწვევს, რაც შერწყმის ისედაც რთული პროცესის არსებობისას არაფრით არ არის გამართლებული.

შერწყმის შედეგად შექმნილ საზოგადოებაში გაერთიანებული საზოგადოებების ქონება შეიტანება საბალანსო ღირებულებით და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მისი შეფასება სავალდებულო არ არის. იგი სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როცა შერწყმის შედეგად წარმოშობილი ქონება საკმარისი არ არის კანონით დადგენილი საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად და პარტნიორები არაფულადი შესატანით მისი შევსების ვალდებულებას კისრულობენ.

ეკონომიკურ ურთიერთობებში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით შერწყმის დროს კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ *გაერთიანების შედეგად წარმოშობილი საზოგადოება არის გაერთიანებული საზოგადოებების უფლებამონაცვლე.*¹¹

¹¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №9, გვ 965.

3. საწარმოთა გაყოფა (14.6 მუხლი)

ა. საწარმოს გაყოფის ფორმები

საწარმოთა რეორგანიზაციის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საწარმოთა გაყოფა. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როცა საწარმო საქმიანობის რამდენიმე სახეს მისდევს ერთდროულად, რის გამოც მისი ორგანიზაციულად მართვა მეტად რთულდება. ამ შემთხვევაში საქმიანობის შესაბამისად ცალკე საწარმოებს ქმნიან. ამის შესაძლებლობას კანონის 14.6 მუხლი განამტკიცებს. ამ მუხლის თანახმად, არსებობს საწარმოთა ნატურით გაყოფის რამდენიმე შესაძლებლობა:

ა) როცა საწარმო იყოფა ორ ან რამდენიმე დამოუკიდებელ საწარმოდ ისე, რომ თავდაპირველი საწარმო წყვეტს თავის არსებობას, ე.ი. ხდება მისი ლიკვიდაცია. ამ ფორმას შეიძლება ეწოდოს *საწარმოს დაყოფა*;

ბ) როცა საწარმო თვითონ არ წყვეტს არსებობას, მაგრამ მას გამოეყოფა ცალკე ერთი ან რამდენიმე საწარმო, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, განაგრძობს საქმიანობას. ამ ფორმას ეწოდება *გამოყოფა*.¹²

საწარმოს როგორც დაყოფა, ასევე გამოყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც ახალი საწარმოების დაფუძნებით, ისე უკვე არსებული საწარმოებისათვის მიერთებით ამ შემთხვევაში გაყოფის მომწესრიგებელ ნორმებთან ერთად უნდა გამოვიყენოთ შერწყმის მომწესრიგებელი ნორმებიც.

კანონის თანახმად, შესაძლებელია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს გაყოფა და, შესაბამისად, ნებისმიერი საწარმოს დაფუძნება. მაგალითად, სპს-ას შეიძლება გამოეყოს საწარმო ერთეული და დაფუძნდეს სს ან შპს-ად. აქ შესაძლო ვარიანტი იმდენივეა, რამდენიც შერწყმისა და გარდაქმნის დროს. ამიტომ მათ ცალცალკე არ დაეახსიათებ.

¹² გაუგებრობად შეიძლება ჩათვალოს გამოთქმული მოსაზრება, თითქოს მეწარმეთა შესახებ კანონი, რუსეთის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, „არ იცნობს საზოგადოებრივ გამოყოფის გზით საზოგადოების რეორგანიზაციის წესს“. იხ. დ. ძიძიგური, სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაცია.¹ „ამართლებრივი ასპექტები. ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე“, №1, 1957 წ., გვ. 16.

საწარმოთა დაყოფის დროს ერთი საწარმო იყოფა რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ და თავდაპირველი საწარმო წყვეტს თავის არსებობას. ეინაიდან საწარმოს დაყოფას შედეგად მოჰყვება არსებული საწარმოს ლიკვიდაცია, გადაწყვეტილება რეორგანიზაციის ამ ფორმის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს საწარმოთა ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული ხმების უმრავლესობით. როგორც წესი, დაყოფის შედეგად წარმოშობილ საწარმოებში ძველი საწარმოს პარტნიორები მონაწილეობენ იმავე პროცენტული ოდენობით, როგორც დაყოფილ საწარმოში.

მაგალითი:

შპს „ვაზი და ლეინო“ დაიყო ორ დამოუკიდებელ შპს-ად „ვაზი“ და „ლეინო“. საწესდებო კაპიტალი თითოეულისათვის შეადგენს 100 000 ლარს პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა, რომელიც არსებობდა შპს „ვაზი და ლეინოში“, დაყოფის შედეგად წარმოშობილ საწარმოებში უცვლელი დარჩება, ოღონდ ცხადია, შეიცვლება წილის ნომინალური ღირებულება: ანი – 10 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; ბანი – 10 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; განი – 30 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის – 30%; დონი – 15 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 15%; ხოლო ენი – 35 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 35%.

ცხადია, პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება განსხვავებული წილობრივი მონაწილეობის შესახებ, მაგრამ დაყოფის გეგმაში ამის შესახებ ზუსტად უნდა აღინიშნოს.

ოღნავ რთულდება საკითხი წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის დროს, როცა დაყოფის შედეგად ცალკე საწარმოები კი არ ფუძნდება, არამედ უერთდებიან უკვე არსებულ საწარმოებს. ამ შემთხვევაში წილების ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს საწარმოთა შერწყმისათვის გათვალისწინებული წესით.

დაყოფის შედეგად წარმოშობილი საწარმოები უნდა შეესაბამებოდნენ მოცემული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უნდა მოხდეს მათი ცალ-ცალკე რეგისტრაცია. ისინი რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ როგორც ახალი საწარმოები. მაგრამ თუ მათი საწესდებო კაპიტალი ძველი საწარმოს ქონების

საფუძველზე იქმნება, კანონი უშვებს შესაძლებლობებს, რომ არაფულადი შესატანი შეფასდეს საბალანსო ღირებულებით და მისი შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ სავალდებულო არ არის (14.6 მუხლის მე-3 წინადადება). იმავედროულად, სამეწარმეო რეესტრში ხდება ძველი საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია.

გამოყოფისას ძველი საწარმო არსებობას არ წყვეტს, არამედ მისგან ცალკე გამოდის ქონების ნაწილი (საწარმოო ერთეული) და ერთი ან რამდენიმე საწარმოს სახით ცალკე ფუძნდება. როგორც წესი, ძველი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა გამოყოფის შედეგად შექმნილ საწარმოებში უცვლელი რჩება.

მაგალითი:

შპს „ვაზი და ღვინოს“ ცალკე გამოეყო შპს „ღვინის ექსპორტი“, რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 50 000 ლარს. პარტნიორების მონაწილეობა იქნება შემდეგნაირი: ანი – 5 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; ბანი – 5 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 10%; განი – 15 000 ლარი, საწესდებო კაპიტალის 30%; დონი – 7 500 ლარი, საწესდებო კაპიტალის 15%; ენი – 17 500, საწესდებო კაპიტალის 35%.

გამოყოფის დროსაც შეუძლიათ პარტნიორებს მიიღონ გადაწყვეტილება წილთა სხვაგვარი განაწილების შესახებ, მაგრამ, როგორც წესი, ეს მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და ამიტომ, პარტნიორები ამ მეთოდს ხშირად არ მიმართავენ.

გამოყოფის შედეგად წარმოშობილი საწარმო რეგისტრაციაში უნდა გატარდეს როგორც ახალი საწარმო, თუმცა კანონი აქაც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შესატანი საწესდებო კაპიტალში შეფასდეს საბალანსო ღირებულებით.

ბ. ნატურით გაყოფის წინაპირობები

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, იგი, ამასთან, გარკვეულ შეზღუდვებსაც განამტკიცებს. პირველ რიგში ეს ეხება საკითხს, თუ რისი გაყოფა არის შესაძლებელი. შეიძლება თუ არა საწარმოს გაყოფა ამა თუ იმ ქონების გაყოფის გზით

ანდა შენობის, მიწის ნაკვეთის საწარმოს კუთვნილებიდან გამოტანის გზით? — ასეთ შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. იგი საწარმოს გაყოფას უშვებს მხოლოდ საწარმოს შიგნით არსებული საწარმოო ერთეულების მიმართ, კერძოდ, ისეთი წარმონაქმნების მიმართ, რომლებიც ორგანიზაციულად ცალკე გამოყოფის შემთხვევაში გააგრძელებენ საქმიანობას როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები. ეს მოთხოვნა სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ნივთის გამოყოფის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საწარმოსთან, არამედ კონკრეტულ ობიექტთან, რომელიც რეორგანიზაციის გარეშე შეიძლება ურთიერთობაში მონაწილეობდეს. მაგალითად, შენობა ან მიწის ნაკვეთი გაიყოს და ა.შ. ამგვარ ნივთობრივ გამოყოფას კანონი საწარმოს ნატურით გაყოფად არ მიიჩნევს და არც უშვებს.

მაგალითი:

შპს „ვაზი და ღვინო“ მისდევს როგორც მევენახეობას, ასევე მეღვინეობას და თავისი სავაჭრო ქსელის მეშვეობით ახორციელებს დამზადებული ღვინის რეალიზაციას. აშკარაა, რომ „ვაზი და ღვინოს“ საქმიანობა სამ სფეროს მოიცავს: მევენახეობა (ამ მიზნით მას აქვს ვაზის ზვრები და ჰყავს შესაბამისი მუშახელი, რომელსაც მოჰყავს ყურძენი); მეღვინეობა (ამ მიზნით აქვს ღვინის ქარხნები სათანადო მუშახელით) და ღვინით ვაჭრობა (ამ მიზნით მას აქვს თავისი სავაჭრო ქსელი). საქმიანობის ყველა ეს სახე სრულიად ბუნებრივად შეიძლებოდა ცალკე საწარმოს დაფუძნებისა და არსებობის წინაპირობა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ ისინი ცალკე საწარმოო ერთეულების სახით არსებობენ ერთი შპს-ის ფარგლებში. კანონის მიხედვით (14.6 მუხლი) დასაშვებია, რომ პარტნიორებმა მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს გაყოფის შესახებ და ცალკე დააფუძნონ მევენახეობის, მეღვინეობის ან ღვინით მოვაჭრე საწარმოები. მაგრამ საწარმოს გაყოფად არ ჩაითვლება, თუ პარტნიორები მოინდომებენ ღვინის ქარხნის შენობის გაყოფას, წარმოებული პროდუქციის გაყოფას და ა.შ.

საწარმოს გაყოფისათვის საწარმოო ერთეულის არსებობა აუცილებელია იმიტომ, რომ მას (და არა ცალკე ნივთებს) უკავშირდება მესამე პირებთან, კრედიტორებთან ვალდებულებითი ურთიერთობები. მაგალითად,

შპს „ეაზი და ლეინოს“ ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ლეინის მიწოდების თაობაზე. თუ საწარმოს გაყოფის შედეგად ლეინის ქარხნები და საწყობები გამოყოფილ საწარმოს გადაეცემა, ბუნებრივია, მასზე უნდა გადავიდეს ლეინის მიწოდების ვალდებულებაც.

უფლებამონაცვლეობის საკითხი საწარმოს ნატურით გაყოფისას უფრო რთულია, ვიდრე შერწყმის ან გარდაქმნისას. გაყოფის შედეგად ახალ საწარმოებზე გადადის არა მხოლოდ ქონება, არამედ მასთან დაკავშირებული უფლებებიცა და მოვალეობებიც. განსაკუთრებით ეს ეხება ვალდებულებით ურთიერთობებს. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, არცთუ იშვიათად კრედიტორის თანხმობაა აუცილებელი.

მაგალითი:

შპს „სამშენებლო საწარმოს“ დადებული ჰქონდა ხელშეკრულება სასტუმროს მშენებლობაზე შპს „ტურისტთან“. „სამშენებლო საწარმოს“ ცალკე გამოეყო სასტუმროების მშენებელი შპს. ვინ იქნება დადებული ხელშეკრულების უფლებამონაცვლე? იქნებ არ სურს შპს „ტურისტს“ ახალ სუბიექტთან ხელშეკრულების შენარჩუნება. ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხი საწარმოს ნატურით გაყოფის დროს უნდა გაიცეს, რა თქმა უნდა, კრედიტორებთან შეთანხმებით.

უფრო რთულია უფლებამონაცვლეობის საკითხი, როცა საწარმო იყოფა რამდენიმე საწარმოად ისე, რომ თავად წყვეტს არსებობას. რომელი საწარმო უნდა ჩაითვალოს უფლებამონაცვლედ? პასუხის გაცემა იოლია, როცა ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რომელ საწარმოზე გადავიდა ვალდებულება, მაგრამ რთულდება, როცა ამის გარკვევა ძნელია (ა ახალ საწარმოებს არ სურთ იყვნენ უფლებამონაცვლეები. კიდევ უფრო რთულდება საკითხი, როცა გაყოფის შედეგად წარმოშობილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა კრედიტორისათვის ნაკლებად საიმედოა, ვიდრე არსებული საწარმოს ფორმა. ამიტომ, საწარმოთა ასეთი გაყოფის დროს (როცა ხდება საწარმოს ლიკვიდაცია) გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმები საწარმოთა ლიკვიდაციის წესის შესახებ, რათა კრედიტორებს მიეცეთ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი – გააგრძელონ ვალდებულებითი ურთიერთობა თუ შეწყვიტონ ის.

1999 წლის 9 ივნისის კანონმა ამ კითხვაზე გასცა პასუხი. კერძოდ, 14.6 მუხლს დაემატა ახალი აბზაცი, რომლის თანახმად გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე. სასამართლო პრაქტიკა უკვე იცნობს ამ ნორმის გამოყენების შემთხვევებს.¹³ არასწორად უნდა ჩაითვალოს იმ სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც საწარმოთა უფლებამონაცვლეობის საკითხს უდავო სამაჩ.თელწარმოების წესით იხილავენ.¹⁴

საწარმოთა ნატურით გაყოფა, როგორც წესი, ხორციელდება გაყოფის გეგმის საფუძველზე, რომელსაც პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ: ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში – ერთხმად, ხოლო კაპიტალურ საზოგადოებაში – ხმათა უმრავლესობით, გარდა 54.7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. გაყოფის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. დეტალურ დახასიათებას, თუ რა უნდა გამოეყოს საწარმოს;
2. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რომელიც უნდა შეიქმნას გაყოფილი ქონების საფუძველზე;
3. პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ მონაცემებს;
4. ინფორმაციას საზოგადოების კრედიტორებთან მოლაპარაკების შესახებ;
5. გაყოფის შედეგად შექმნილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობას.

როცა საწარმოთა ნატურით გაყოფის შედეგად წარმოიშობა არა ახალი საწარმოები, არამედ მიერთება ხდება უკვე არსებულ საწარმოსთან (ან საწარმოებთან), მაშინ გაყოფა მოხდება ამ საწარმოებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად და მის მიმართ გამოიყენება შერწყმისათვის გათვალისწინებული წესები.

საწარმოს ნატურით გაყოფისაგან უნდა განვასხვავოთ, როცა საწარმოთა თვისი მთლიანი ქონებიდან ერთ ნაწილს გამოყოფს და ქმნის ახალ საწარმოს ისე, რომ ამ საწარმოში პარტნიორები კი არ მონაწილეობენ, არამედ თვითონ საწარმო. ეს გულისხმობს საწარმოს წილობრივ მონაწილეობას სხვა საწარმოში და არ უნდა შეფასდეს როგორც საწარმოს გაყოფა ნატურით.

¹³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №9, გვ. 965; 2001 წ., №10, გვ. 1082.
¹⁴ დაწერილებით იხილეთ მე-8 მუხლის კომენტარი.

მუხლი 15. ხანდაზმულობა. მასაჩივრების ვადები

15.1 ამ კანონის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს.

15.2 დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთაულურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

I. ხანდაზმულობის ცნება

ხანდაზმულობაში იგულისხმება ამა თუ იმ უფლების (მოთხოვნის, პრეტენზიის) განხორციელების შეუძლებლობა ვადის უშედეგოდ გასვლის შედეგად. ეს არის ცნების ნეგატიური დეფინიცია.

ხანდაზმულობა შეიძლება განისაზღვროს პოზიტიურადაც: იგი არის დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

II. პრეტენზიის ცნება

პრეტენზია არის პირის უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. პრეტენზია და მოთხოვნა არსებითად იდენტური ცნებებია.

ხანდაზმულობა დაკავშირებულია მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე პრეტენზიებთან.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხანდაზმულობის ზოგად ვადასა და სპეციალურ ვადებს.

ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი (15.1 მუხლი).

ხანდაზმულობის ვადის ათვლას კანონი სამ გარემოებას უკავშირებს: ა) ამ მოთხოვნის წარმოშობა; ბ) საზოგადოების ლიკვიდაცია ან გ) პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან (15.1 მუხლი).

მოთხოვნის (პრეტენზიების) წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო,

როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო თავისი უფლების შესახებ¹. მაგალითად, აქციონერის უფლება მიიღოს დივიდენდები წარმოიშობა პირის მიერ სააქციო საზოგადოების აქციების შეძენის მომენტიდან. კონკრეტულად ეს უფლება მაშინ გამოიყენება, როცა საზოგადოებას აქვს მოგება, რომელიც უნდა განაწილდეს აქციონერთა შორის. ამიტომ ხანდაზმულობა ამ შემთხვევაში უნდა აითვალოს წლიური ბალანსის შედგენის დღიდან.

საზოგადოების ლიკვიდაცია წესრიგდება მე-14 მუხლში გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ამიტომ, ათვლის წერტილად მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ პარტნიორების ან სასამართლოს მიერ. სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშობათ პირებს მოთხოვნის უფლება.

კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვლის შესახებ წერტილად მიიჩნევს პარტნიორის გასვლას საზოგადოებიდან. ამ დროს მნიშვნელოვანია, თუ რომელი მომენტები უნდა იქნეს მიჩნეული გადამწყვეტად – გადაწყვეტილების მიღება გასვლის შესახებ თუ რეესტრში რეგისტრაცია. ამ დროს მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება გასვლის შესახებ. თუ საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს არა კრების ოქმის გასაჩივრების ორთვიანი ვადა, არამედ 15.1 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა.²

გარდა ზოგადი ვადებისა, კანონი აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს. ასეთი ვადების შესაძლებლობა განმტკიცებულია 15.1 მუხლში: ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, „თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს“.

ერთ-ერთი ასეთი ვადა კანონის მიერ განსაზღვრულია 15.2 მუხლში: „პარტნიორთა კრების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია“.

¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ. №3, გვ. 249 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „მაფაკოსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის დავაზე №3, /732-01.

² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 249.

სპეციალური ვადის ერთ-ერთი მაგალითია 14.7 მუხლის წესი, რომ საზოგადოებათა შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება წლიური ბალანსის შედგენიდან მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ წლიური ბალანსი არ შეიძლება ჩაითვალოს საწარმოთა შერწყმის ან ნატურით გაყოფის საფუძველად.

მუსლი 16. ფილიალები

საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

კანონით დადგენილი ხელმოწერები შესანახად უნდა გაკეთდეს ფილიალის მარეგისტრირებულ სასამართლოში.

ფილიალის რეგისტრაციისას სასამართლოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა. საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება ფილიალის შესახებ;

ბ. ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;

გ. საწარმოს წესდების ასლი;

დ. გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

ე. საწარმოს რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.

(პარლამენტის უწყებანი, 1997წ. №1-2(33-34/7). გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

I. ცნება

ფილიალის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლში. მის თანახმად, *იურიდიული პირის ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან აზორციელებს მის ფუნქციებს. ფილიალი არ არის იურიდიული პირი.*

მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს შეუძლია დააფუძნოს ფილიალები.

ფილიალის ცნება მე-16 მუხლში ფართო გაგებითაა გამოყენებული. საკუთრივ ფილიალის გარდა იგი გულისხმობს ასევე წარმომადგენლობებს, ბიუროებს და ა.შ., რომლებიც ახორციელებენ საწარმოს ფუნქციებს საწარმოს ძირითადი ადგილსამყოფლის გარეთ, ე.ი. *ფილიალი არის საწარმოს ნაწილი, რომელსაც აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა და ტერიტორიულად განცალკევებულია საწარმოს ადმინისტრაციისაგან.*

ფილიალის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ იგი არის საწარმოს საქმიანობის განმზოორციელებელი ქვედანაყოფი სხვა ადგილებზე, ვიდრე საწარმოს ძირითადი ადგილსამყოფელია. საწარმო ფილიალებისა და წარმომადგენლობების მეშვეობით ახორციელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას სხვადასხვა ტერიტორიაზე. საწარმო თვითონ განსაზღვრავს, თუ რამდენი ფილიალი უნდა ჰქონდეს მას და სად დააარსოს ისინი, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური მართვა.

ფილიალის ძირითადი ნიშნებია:

ა. *ფილიალი არის საწარმოს ნაწილი.* საწარმოსა და მისი ფილიალის მფლობელები იდენტური პირები უნდა იყვნენ. მაგალითად, შპს „კოკა-კოლა კავკასიონს“ აქვს სასმელების ჩამომსხმელი ქარხანა თბილისში და მისი ფილიალი ქუთაისში. მიუხედავად ამისა, ორივე ქარხნის მესაკუთრე არის შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“.

ბ. *ფილიალი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას გარკვეული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა აქვს.* წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაემსგავსებოდა სააქქროს. პირველ რიგში, აქ იგულისხმება ფილიალის ხელმძღვანელის უფლებამოსილება — საგარეო ურთიერთობებში დამოუკიდებლად წარმოადგინოს ფილიალი ისევე, როგორც საწარმოს დირექტორმა (მაგალითად, დამოუკიდებელი ანგარიშები ბანკში, ცალკე ბუღალტერია და ა.შ.). არ არის აუცილებელი, რომ საბუღალტრო წიგნები ფილიალის ოფისში იწარმოებოდეს ან იქ ინახებოდეს. დასაშვებია, რომ ეს ოპერაციები ძირითადი საწარმოს ოფისში ხორციელდებოდეს.¹ ფილიალის

¹ MünchHdb. AG/Wiesner, §10, Rn. 1.

ორგანიზაციული დამოუკიდებლობა არ ნიშნავს, რომ იგი კერძო სამართლის სუბიექტია.²

თუ ეს ნიშნები არ ახასიათებს, მაშინ სხვაგვარი წარმონაქმნი არ შეიძლება ჩაითვალოს ფილიალად. შეიძლება სახელწოდებაში იყოს აღნიშნული ფილიალი, მაგრამ თუ მას უფლებამოსილებები არა აქვს, ეს არ იქნება ფილიალი. ძირითადი საწარმოს გაუქმების შემდეგ არსებითი ცვლილებების გარეშე უნდა იყოს შესაძლებელი საქმიანობის გაგრძელება დამოუკიდებელ საწარმოდ.³

გ. *ფილიალის აუცილებელი ნიშანია ხანგრძლივი ტერიტორიული განცალკევება საწარმოს ადგილსამყოფლისაგან.* ტერიტორიული განცალკევება არ გულისხმობს ფილიალის არსებობას უეჭველად სხვა ქალაქში. იგი შეიძლება არსებობდეს იმავე ქალაქში ან იმავე რაიონში, მაგრამ საწარმოს ადმინისტრაციისაგან განცალკევებით. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ფილიალი სამეწარმეო რეესტრში ასეთად უნდა იყოს რეგისტრირებული.⁴

დ. *ფილიალი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს* (მე-16 მუხლის 1-ლი აბზაცი), ამიტომ მისი ქონებრივი დამოუკიდებლობა და ორგანიზაციული ერთიანობა მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე საწარმოსი. „ფილიალის მიერ განხორციელებული საქმიანობით წარმოშობილ მოვალეობებზე პასუხს აგებს ის იურიდიული პირი, რომლის წარმომადგენელსა და ფუნქციების განმხორციელებელს წარმოადგენს ფილიალი.“⁵ არც ფილიალის ქონების გადაცემა სხვა საწარმოსათვის არ ათავისუფლებს ძირითად საწარმოს პასუხისმგებლობისაგან.⁶

ფილიალს არ შეუძლია დადოს გარიგებები როგორც თავის ძირითად საწარმოსთან, ისე ამ საწარმოს სხვა ფილიალებთან.⁷ სასამართლო დაეხმება მონაწილეობას იღებს მხოლოდ ძირითადი საწარმო. სარჩელი

² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 226.

³ MünchHdb.GesR III/Heinrich, §11, Rn. 1.

⁴ MünchHdb. AG/Wiesner, §10, Rn. 3.

⁵ თბ. საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება კ/ბ „გამაბანკის“ საქმეზე (საქმე №02¹.574.2000).

⁶ სუს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 14 თებერვლის განჩინება შპს „გამაბანკის“ საქმეზე (№3/758).

⁷ Scholz/Winter, Kommentar zum GmbH-Gesetz, 8. Aufl. 1992/1995, §12, Rn. 12.

ძირითადი საწარმოს წინააღმდეგ შეიძლება შეტანილი იქნეს ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვითაც.⁸

გადაწყვეტილება ფილიალების შექმნის შესახებ მიიღება საზოგადოების მიერ. მაგალითად, შპს-ებში გადაწყვეტილებას ფილიალის შექმნის შესახებ იღებს პარტნიორთა კრება (47.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი); სააქციო საზოგადოებებში ფილიალების შექმნა შეიძლება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით (55.9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი); სხვა ფორმის საზოგადოებებში ფილიალის დაარსების საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს წესდებით და ეს უფლება მიეცეს საზოგადოების ხელმძღვანელობას ისე, რომ არ იყოს საჭირო საერთო კრების გადაწყვეტილება.

II. ფილიალის რეგისტრაცია

საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია ფილიალის შექმნის შესახებ აცნობოს საწარმოს მარეგისტრირებელ სასამართლოს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს ფილიალის შექმნის ფაქტი და მისი მისამართი. გარდა ამ მონაცემებისა, რეგისტრაციისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საზოგადოების წესდების ასლი, დირექტორების ხელმოწერები, გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, მისი ხელმოწერის ნიმუში. ეს საბუთები უნდა გაფორმდეს მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით სასამართლო ფილიალის სარეგისტრაციოდ შემოსულ მასალებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით სასამართლოს, რომელიც ახდენს ფილიალის საბოლოო რეგისტრაციას.

III. საზღვარგარეთის საწარმოთა ფილიალების რეგისტრაცია საქართველოში

პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს უცხოეთის საწარმოთა ფილიალების რეგისტრაცია. თუ უცხოელთა მონაწილეობით საწარმოთა შექმნის საკითხი ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან კანონი

⁸ Scholz/Winter §12 Rn. 16

არ ასხვავებს ერთმანეთისაგან უცხოელ თუ ეროვნულ სუბიექტებს, ფილიალის რეგისტრაციის საკითხი არცთუ ისე ნათელია. კერძოდ, სადავოა საკითხი, აუცილებელია თუ არა მიმართოს უცხოურმა საწარმომ თავის ქვეყანაში სავაჭრო რეესტრს იმ მიზნით, რომ მას სურს დააარსოს საქართველოში ფილიალი; უნდა მიიღოს თუ არა საქართველოს სარეგისტრაციო სასამართლომ ამ რეესტრის შუამდგომლობა და მხოლოდ ამის შემდეგ გაატაროს ფილიალი რეგისტრაციაში.

ვინაიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საწარმოთა რეგისტრაციის სხვადასხვა წესი არსებობს, მეტად რთულია მათი ფილიალების დაარსების მიმართ ისეთივე მოთხოვნების წაყენება, როგორც საქართველოს საწარმოების მიმართ. ამიტომ უცხოეთის საწარმოთა ფილიალების რეგისტრაციისას მოთხოვნილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

ა. საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება საქართველოში ფილიალის, წარმომადგენლობის განსნის შესახებ;

ბ. ამ ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;

გ. საწარმოს წესდების ასლი;

დ. გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა მინიჭების თაობაზე;

ე. უცხოეთის საწარმოს არსებობის დამადასტურებელი ცნობა.

ყველა ეს საბუთი სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული.

მუხლი 17. საწარმოთა შრომითიკავშირი (კონცერნი)

17.1. ამოღებულია

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

17.2. თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მეორე საწარმოში წილის არანაკლებ 5%, მან დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე საწარმოს. თუ საწარმოს ხელში აღმოჩნდება ხმის უფლების მქონე წილთა უმრავლესობა, ამ საწარმომ (ძირითადი საწარმო) ამის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე საწარმოს (არაძირითადი საწარმო). შეტყობინების მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა წილი აღარ შეადგენს იმ ოდენობას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია შეტყობინების მოვალეობა. საწარმოს, რომელსაც ამ პუნქტის შესაბამისად, გაეგზავნა შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს წილის სიდიდის დამადასტურებელი საბუთი.

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

17.3. თუ საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სხვა საწარმოს ხმის უფლების მქონე წილთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი, მაშინ ძირითად საწარმოს ეკისრება შემდეგი მოვალეობები:

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №1-2(33-34/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

ა. ამოღებულია

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

ბ. ამოღებულია

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

გ. ამოღებულია

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

დ. განაცხადოს არაძირითად საწარმოში მონაწილეობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისთვის.

17.4. თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა საწარმოში ხმის უფლების მქონე წილთა 75%-ზე მეტი, ძირითადი საწარმო პასუხს აგებს არაძირითადი საწარმოს წინაშე მათ შორის დადებული გარიგებებით განზრახ მიყენებული ზიანისათვის.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №1-2(33-34/7), გვ.9, ამოქმედ-
და 23.01.97)

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

17.5. ამ მუხლის მიხედვით წილობრივი მონაწილეობის დასადგენად უნდა გაერთიანდეს ძირითად საწარმოში პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობები. რამდენიმე საწარმოს მიერ ხელშეკრულების ძალით გაერთიანების შედეგად არაპირითად საწარმოში მოგროვებული ხმების ოდენობა 17.2-17.4 მუხლებით გათვალისწინებული წილობრივი მონაწილეობის ტოლფასი იქნება.

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

17.6. ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანოები ემორ-
ჩილებიან სხვა საწარმოს ნებას, ბათილია.

17.7. დაუშვებელია რომელიმე საზოგადოების საწესდებო კაპი-
ტალში ხუთ პროცენტზე მეტი ორმხრივი წილობრივი მონაწილეობა.
თუ ეს მონაწილეობა გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, გადამეტებული
ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს 3.3 მუხლის მეორე აბზაცით გათვალ-
ისწინებული წესით.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №1-2(33-34/7), გვ.9, ამოქმედ-
და 23.01.97)

I. ცნება. კონცერნი, როგორც ფაქტობრივი მდგომარეობა

კონცერნი არ არის საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორ-
მა. კონცერნი არის ფაქტობრივი მდგომარეობა, როცა ერთი საწარმო
ფლობს წილთა განსაზღვრულ ნაწილს სხვა საწარმოში.

იმის მიხედვით, თუ წილთა რა რაოდენობას ფლობს ერთი საწარმო
სხვა საწარმოში, იცვლება ამ საწარმოების სამართლებრივი სტატუსი
და კანონით განსხვავებულად წესრიგდება. სხვა საწარმოში არა ყოველ-
გვარი წილობრივი მონაწილეობა წარმოშობს კონცერნს.

ამრიგად, კონცერნი ეწოდება ისეთ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომ-
ლის დროსაც ერთი საწარმო ფლობს სხვა საწარმოს წილთა ორ-
მოცდაათ პროცენტზე მეტს.

მაგალითი:

შპს „კოკა-კოლა კავკასიონმა“ იყიდა სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ აქციათა 55%. ეს ნიშნავს, რომ შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“ და სს „ქართულ ფილმს“ შორის ურთიერთობა იქნება კონცერნი.

კონცერნი არ არის იურიდიული პირი. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ კონცერნი ფაქტობრივი მდგომარეობაა და არა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

II. კონცერნის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა

კონცერნების სამართლებრივი სტატუსი ცალკე კანონით ან სხვა კანონქვემდებარე აქტით არ წესრიგდება. კონცერნების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მეწარმეთა კანონის შესახებ მე-17 მუხლით. ეს უფლება-მოვალეობები ამომწურავადაა განსაზღვრული და დამატებით საკანონმდებლო რეგლამენტაციას არ საჭიროებს.

კონცერნი საწარმოთა ურთიერთობის, მათი კავშირის ფორმაა. იმის მიხედვით, თუ როგორია ეს კავშირი, კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოთა ურთიერთკავშირების რამდენიმე ფორმას:

1. ხუთპროცენტიანი მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.2);
2. ორმოცდაათ პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.3);
3. სამოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტის მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.4);

1. ხუთპროცენტიანი მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.2 მუხლი)

შეტყობინების ვალდებულება

თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე მეორე საწარმოს წილთა არანაკლებ ხუთი პროცენტი, მაშინ ხუთი პროცენტის მფლობელმა საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე საწარმოს.

გარდა ზეხუთპროცენტიანი მონაწილეობისა, შეტყობინების მოვალეობა გათვალისწინებულია სხვა შემთხვევებშიც: ა) როცა ერთი საწარმოს

ხელში აღმოჩნდება ხმის უფლების მქონე წილთა უმრავლესობა; ბ) როცა წილი უკვე აღარ შეადგენს უმრავლესობას, ე.ი. გასხვისების ან დათმობის შემდეგ შეიძლება წილთა რაოდენობა შემცირდეს, მაგრამ საწარმო მანაც ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს მეორე საწარმოს. შეტყობინების ვალდებულება არსებობს არა მხოლოდ მაშინ, როცა წილი აღარ შეადგენს უმრავლესობას, არამედ მაშინაც, როცა იგი ხუთ პროცენტზე ნაკლები ხდება.

საწარმოს, რომელსაც ამ პუნქტის შესაბამისად გაეგზავნა შეტყობინება, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს წილის ოდენობის დამადასტურებელი საბუთი.

2. ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მონაწილეობა სხვა საწარმოში (17.3 მუხლი)

ა. ძირითადი და არაძირითადი საწარმოს ცნება

ცნება „ძირითადი“ ან „არაძირითადი“ პირობითი ცნებებია. უფრო ზუსტი იქნებოდა „გაბატონებული საწარმო“ და „დაქვემდებარებული საწარმო“.

„ძირითადი საწარმო“ არის საწარმო, რომელიც ფლობს სხვა საწარმოს წილთა უმრავლესობას, ხოლო ის საწარმო, რომლის წილთა უმრავლესობა სხვა საწარმოს განეკუთვნება, იწოდება „არაძირითად საწარმოდ“.

საწარმოთა დაყოფა „ძირითად“ და „არაძირითად“ საწარმოებად გამოიყენება მხოლოდ ამ კატეგორიის კავშირის მიმართ. წილთა უმრავლესობის ფლობა ნიშნავს, სულ ცოტა, ორმოცდათერთმეტპროცენტიან მონაწილეობას სხვა საწარმოში.

1999 წლის 9 ივნისის კანონის მიღებამდე ორმოცდაათპროცენტიანი მონაწილეობის დროს წარმოიშობოდა ურთიერთობათა მთელი კომპლექსი, კერძოდ: ა) ძირითადი საწარმო ვალდებული იყო აენაზღაურებინა არაძირითადი საწარმოს წლიური ზარალი; ბ) აენაზღაურებინა არაძირითადი საწარმოს ის ქონებრივი დანაკლისები, რომლებიც წარმოიშვა ძირითად საწარმოებთან დადებული გარიგებებით ან სხვა ღონისძიებებით, ასევე გადაეხადა შესაბამისი კომპენსაცია გარეშე პარტნიორებისათვის; გ) ძირითადი საწარმოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას შეადგენდა

საკონცერნო ბალანსის შედგენა, რომელშიც შედიოდა არაძირითადი საწარმოს წლიური ბალანსი.

ამჟამად ორმოცდაათ პროცენტზე მეტი წილების მფლობელ ძირითად საწარმოს მხოლოდ ერთი მოვალეობა აკისრია: სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის განაცხადოს არაძირითად საწარმოში მონაწილეობის შესახებ. ე.ი. საწარმოთა კავშირის ასეთი ფორმა რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში.

3. სამოცდათხუთმეტ პროცენტთან მონაწილეობა (17.4 მუხლი)

ამგვარი მონაწილეობის დროს ძირითად საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა არაძირითადი საწარმოს წინაშე მათ შორის დადებული გარიგებებით განზრახ მიყენებული ზიანისათვის.

17.4 მუხლის ახალი რედაქციის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა ერთი საკითხი: 1999 წლის 9 ივნისამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, თუ ერთი საწარმოს ხელში აღმოჩნდებოდა სხვა საწარმოს წილთა 75%-ზე მეტი, მაშინ ძირითადი საწარმო პასუხს აგებდა არაძირითადი საწარმოს ან მესამე პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეული იყო გარიგებით ახალი რედაქცია ასეთ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მხოლოდ ძირითად და არაძირითად საწარმოებს შორის დადებული გარიგებებით განზრახ მიყენებული ზიანისათვის. თუ ურთიერთობა წარმოიშვა ახალი რედაქციის ძალაში შესვლამდე, რომელი ნორმა უნდა გამოყენებინა სასამართლოს? საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების დროს კანონის შეფარდების საკითხი გადაწყდება იმ კანონით, რომელიც მოქმედებს ამა თუ იმ სადავო ურთიერთობის გადაწყვეტის დროს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს და სათანადო მითითებას კანონის მოქმედების უკუქცევითი ძალის გამოყენების თუ აკრძალვის შესახებ. ამიტომ, საკითხი უნდა გადაწყდეს იმ მოქმედი კანონის შესაბამისად“.¹

¹ სუსგ სამოქალაქო საქმეზე, 2000. №12, გვ. 610-613.

III. კონცერნის შექმნის გზები

1. შეიღობილი საწარმოს ცნება

კონცერნის შექმნის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, როცა ერთი საწარმო ქმნის სხვა საწარმოს, რომელიც, როგორც წესი, მის ასპროცენტთან მფლობელობაში იმყოფება.

მაგალითი:

ავტომანქანების მწარმოებელი სააქციო საზოგადოება ქმნის შპს საბურავების ქარხანას. ასეთი ურთიერთობა უკვე არის კონცერნი, რომლის დროსაც შპს საბურავების ქარხანა შეიღობილ საზოგადოებას წარმოადგენს.

ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ახალი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეიღობილ საწარმოებს, როგორც ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას,² რაც არ არის მართებული. შეიღობილი საწარმო არის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ცნება, როცა ერთი საზოგადოება აფუძნებს მეორე საზოგადოებას. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ან შპს ან სს. ამიტომ ცალკე ორგანიზაციულ ფორმად შეიღობილი საწარმო არ არსებობს.

გარდა შეიღობილი საზოგადოებისა, დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა იცნობს „დედა-საზოგადოებას“, „და-საზოგადოებას“, „შვილიშვილ საზოგადოებას“ და ა.შ. ცნებები „დედა“, „და“ და ა.შ. მომდინარეობს გრამატიკული სქესიდან და სათავეს გერმანულ ენაში იღებს: „Die Gesellschaft“ გერმანულად ნიშნავს საზოგადოებას და არის მდებარეობითი სქესის სიტყვა. ამიტომ საზოგადოება, რომელიც ახალ საზოგადოებას აფუძნებს, იწოდება „დედა-საზოგადოებად“, ხოლო დაფუძნებული საზოგადოება – „ქალიშვილ საზოგადოებად“. თუ „დედა-საზოგადოება“ დააფუძნებს კიდევ სხვა საზოგადოებას, მაშინ ეს უკანასკნელი „ქალიშვილი საზოგადოებისთვის“ იქნება „და-საზოგადოება“. ეს ყოველივე ასახავს კონცერნში შემავალი საწარმოების ფაქტობრივ ურთიერთკავშირს ისე,

² Гражданское право. Том I. Отв. ред.: М. К. Сулейменов, Ю.Г. Басин, 2000. С.156.

რომ ცალკე ორგანიზაციულ ფორმებად მათი გამოყოფა, როგორც „დედა“, „და“ ან „ქალიშვილი“ საზოგადოებებისა, არ ხდება. საბოლოო ვეაში, ყველა საწარმო შეადგენს კონცერნის საწარმოებს.

კონცერნში შეიძლება შედიოდნენ სრულიად სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები. მაგალითად, სპს-მ შეიძლება დააფუძნოს შპს ან სს. ამ შემთხვევაში გვექნება კონცერნი, რომელშიც დედა-საზოგადოებას წარმოადგენს სპს, ხოლო შეიღობილი საზოგადოებები იქნებიან შპს ან სს.

2. წილთა უმრავლესობის ცნება

ვინაიდან ამ ცნებასთან დაკავშირებულია მრავალი სამართლებრივი საკითხი და შედეგი, სასურველია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება წილთა უმრავლესობაში. ყველაზე მართებული ახსნა არის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი წილების ფლობა სხვა საწარმოში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. შესაძლებელია, რომ სააქციო საზოგადოებაში წილთა უმრავლესობა სხვაგვარად განისაზღვროს, კერძოდ, აქციათა საკონტროლო პაკეტი იყოს 50%-ის ხელში, ხოლო დანარჩენი 50% – იყოს პრივილეგირებული აქციები ხმის უფლების გარეშე. რა ჩაითვლება ასეთ შემთხვევაში წილთა უმრავლესობად? – ხმის უფლების მქონე აქციათა უმრავლესობის შეძენა.

სხვა საწარმოში წილთა უმრავლესობის ფაქტის დასადგენად კანონი მართხოვს არა მხოლოდ პირდაპირი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებას, არამედ არაპირდაპირ წილობრივ მონაწილეობასაც.

პირდაპირი წილობრივი მონაწილეობის დროს ერთი საწარმო ფლობს სხვა საწარმოში წილებს ისე, რომ ეს ფაქტი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირდება. მაგალითად, სს „ავტომანქანების ქარხანა“ პირდაპირ მონაწილეობს შპს „საბურავების ქარხანაში“.

არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობის დროს, მართალია, საწარმო უშუალოდ არ გამოდის პარტნიორის სახით, მაგრამ ან შეიღობილი საზოგადოების, ან მინდობილი პესაკუთრის, ანდა სხვაგვარი წარმომადგენლობის გზით მონაწილეობს სხვა საზოგადოებაში.

მაგალითი:

სს „ავტოქარხანამ“ შეიძინა სს „ტრაქტორების ქარხნის“ აქციათა 20%, ხოლო შპს „საბურავების ქარხანამ“, რომელიც „ავტოქარხნის“ შვილობილი საზოგადოებაა – 40%. იმის გასარკვევად, არის თუ არა „ავტოქარხანა“ ტრაქტორების ქარხნის წილთა უმრავლესობის მფლობელი, უნდა გაერთიანდეს არა მხოლოდ 20%, არამედ 40%. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ტრაქტორების ქარხნის არაპირდაპირ წილობრივ მონაწილეობას.

3. სახელშეკრულებო კონცერნი

კონცერნი შეიძლება შეიქმნას ხელშეკრულების საფუძველზე და ამ გზით მოპოვებულ იქნეს წილთა უმრავლესობა სხვა საწარმოში.

მაგალითი:

სს „ავტოქარხანამ“ შეიძინა სს ტრაქტორების ქარხნის წილთა 30%, ხოლო შპს „კოკა-კოლამ“ „ტრაქტორების ქარხნის“ ასევე 30%. სს „ავტოქარხანამ“ და შპს „კოკა-კოლამ“ გადაწყვიტეს, რომ გააერთიანონ მათი წილობრივი მონაწილეობა „ტრაქტორების ქარხანაში“ და ამ გზით მოიპოვონ წილთა უმრავლესობა „ტრაქტორების ქარხანაში“. ამის შესახებ ისინი ერთმანეთში დებენ ხელშეკრულებას. ამ გზით შექმნილ კონცერნს ეწოდება სახელშეკრულებო კონცერნი.

ამისაგან განსხვავებით საწარმოთა ყოველგვარი ე.წ. გაერთიანება, რომელსაც საფუძველად უღვევს წილობრივი მონაწილეობა, არ იქნება კონცერნი, თუნდაც მისმა დამფუძნებლებმა ამ გაერთიანებას უწოდონ კონცერნი.

4. მმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ კონცერნში წილთა უმრავლესობა ძირითადი საწარმოს ხელშია, ფაქტობრივად ხორციელდება არაძირითადი საწარმოს მიმართ ძირითადი საწარმოს პოლიტიკა, თუმცა მმართველობის ორგანოები იურიდიულად დამოუკიდებელია. ძირითად საწარმოს შეუ-

ძლია, რომ მისი წილის შესაბამისად დანიშნოს დირექტორები არაპირი-
თად საწარმოებში, მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ 17.6 მუხლის
თანახმად, „ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს ორგანიზაციები
ემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას, ბათილია“.

უწინარეს ყოვლისა, აქ იგულისხმება იმ გაერთიანებების მსგავსი
წარმონაქმნები, რომლებიც საქართველოში იქმნება და ზშირად მათ
კონცერნებს უწოდებენ. ამ დროს იქმნება მმართველობის რალაც ორგა-
ნოები, რომლებიც ე.წ. „კონცერნში შემავალ“ საწარმოებზე ზემდგომ
მმართველობას ახორციელებენ. ე. ი. ერთი საწარმოს ორგანოები ექვემ-
დებარება სხვა საწარმოს ორგანოს გადაწყვეტილებებს. თუკი ასეთი რამ
ხელშეკრულების საფუძველზეა შექმნილი, ასეთი ხელშეკრულება ბა-
თილია.

მაგალითი:

სს „ავტოქარხანა“ ფლობს წილთა 100%-ის შპს „ტრაქტორების
ქარხანაში“. სს-ს აქვს მართვის საკუთარი ორგანოები, რომლებიც ხე-
ლმძღვანელობენ მას. მიუხედავად იმისა, რომ სს წილთა 100%-ის
მფლობელია, მისი ორგანოების გადაწყვეტილება ავტომატურად არაა
სავალდებულო შპს „ტრაქტორების ქარხნისათვის“. სს-ის, როგორც
წილთა 100%-ის მფლობელის ნება, უნდა გაფორმდეს შპს „ტრაქტორე-
ბის ქარხნის“ მართვის ორგანოების გადაწყვეტილებად.

IV. ორმხრივი წილობრივი მონაწილეობის აკრძალვა

1. ორმხრივი მონაწილეობის ცნება

როცა ერთი საწარმო ფლობს სხვა საწარმოში წილთა ხუთ პრო-
ცენტზე მეტს, ხოლო ეს უკანასკნელი საწარმო ასევე ფლობს წილთა
ხუთ პროცენტზე მეტს პირველ საწარმოში, მაშინ არსებობს ორმხრივი
წილობრივი მონაწილეობა. 17.7 მუხლი კრძალავს ასეთ მდგომარეობას.

თუკი ასეთი ორმხრივი მონაწილეობა სამ თვეზე მეტ ხანს გრ-
ძელდება, მაშინ 5%-ს აღმატებული ნაწილი ამოღებული უნდა იქნეს
მეორე მხარის სასარგებლოდ.

მუხლი 18. გამოქვეყნება და კონფიდენციალობა

18.1. საწარმო აქვეყნებს ამ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და ფაქტებს. კერძოდ, სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს, 17.2 მუხლის მიხედვით, ინფორმაციას წილობრივი მონაწილეობისა და პარტნიორთა კრებების შესახებ. სხვა ინფორმაციისა და ფაქტების გამო-საქვეყნებლად აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა, თუ ეს საბჭო არსებობს, ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეულ შემთხვევებში.

18.2. სხვა შემთხვევებში საზოგადოების ორგანოების სხდომათა შინაარსი და შედეგები კონფიდენციალურია, თუკი ეს შედეგები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. კონფიდენციალობა არ გამოიყენება სააქციო სა-ზოგადოების საერთო კრების მიმართ და რეგისტრირებული კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ. გარდა ამისა, ზოგადად ან ცალკეულ შემთხვევებში საზოგადოების ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება კონფიდენციალობის გაუქმების შესახებ.

I. გამოქვეყნების ცნება და მნიშვნელობა

სტაბილური სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ინფორმაციის არსებობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ ინფორმაციას სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთათვის აქვს. ამითაა განპირობებული, რომ დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა სავალდებულო წესით ითვალისწინებს საწარმოთა საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ინფორმაციის გამოქვეყნებას.

მეწარმეთა შესახებ კანონმა სამართლიანად გაიზიარა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ეს გამოცდილება და ბევრ შემთხვევაში პუბლიკაციის ვალდებულება განამტკიცა.

გამოქვეყნებულად ჩაითვლება კანონით განსაზღვრულ ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ბეჭდვით ორგანოში ისეთი მონაცემების დაბეჭდვა, რომელთაც ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილეთათვის მნიშვნელობა აქვს.

ერთ შემთხვევაში კანონი თვითონ განსაზღვრავს ზუსტად, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს. მაგალითად, 4.3 მუხლის მიხედვით „სამეწარმეო

რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქტევენებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში“. გამოქვეყნების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე უთითებს 7.1 მუხლიც: „ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ...“

სხვა შემთხვევაში პარტნიორები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რა ინფორმაციას თვლიან ისინი აუცილებლად გამოსაქვეყნებლად.

II. ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნება სავალდებულოა

კანონის სხვადასხვა მუხლებსა და თავებში განსაზღვრულია, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს, რა ექვემდებარება სავალდებულო პუბლიკაციას. ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელ ზოგად ნორმას წარმოადგენს 18.1 მუხლი, რომლის თანახმად საწარმო აქვეყნებს ამ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და ფაქტებს. კერძოდ, უნდა გამოქვეყნდეს: სამეწარმეო რეესტრის მონაცემები (4.3 მუხლი), ცნობა გენერალური სავაჭრო მინდობილობის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (10.2 მუხლი), კრედიტორების გამოძახება პუბლიკაციის მეშვეობით გაკოტრების დროს (14.3 მუხლი), პარტნიორთა კრებების მოწვევის შესახებ და ა.შ.

გამოქვეყნების იმ ზოგადი მნიშვნელობის გარდა, რომელზეც ამ მუხლის კომენტარის დასაწყისში ვისაუბრე, კანონი უთითებს გამოქვეყნებას სამართლებრივ მნიშვნელობაზე და იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვება გამოქვეყნების მოვალეობის შეუსრულებლობას. კერძოდ, 7.1 მუხლის თანახმად, „ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო“, ანდა „თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, აუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ“ (7.3 მუხლი).

აღნიშნულის გარდა, ყველა სხვა ინფორმაციისა და ფაქტების გამო-საქვეყნებლად აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხ-მობა, თუკი ეს საბჭო არსებობს, ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილე-ბა. ეს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხებოდეს როგორც ინფორმაციის მთლიანად გამოქვეყნებას, ასევე მისი ნაწილების პუბლიკაციას (18.1 მუხლის მეორე წინადადება).

III. კონფიდენციალობა (18.2 მუხლი)

ცხადია, რომ შეუძლებელია სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირე-ბული ყველა ინფორმაციის გამოქვეყნება. თანამედროვე პირობებში, როცა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ საფუძვლიანად შეცვალა წარმოების პრო-ცესებისადმი მიდგომა, კომერციულ საიდუმლოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით ეხება ეს „ნოუ-ჰაუს“ (know-how) ან საწარ-მოს სხვა კომერციულ მიზნებს, რომლებიც დაკავშირებულია ბაზარზე გასვლასთან, ახალი პროდუქციის გამოშვებასთან და ა.შ.¹

კანონი მეწარმეთა შესახებ მკაცრად იცავს ამ პრინციპს და გამო-ქვეყნების სავალდებულობასთან ერთად განამტკიცებს მის კონფიდენცია-ლობას. პირველ რიგში, ეს ეხება საზოგადოების ორგანოების სხდომათა შინაარსსა და შედეგებს, თუ მათი გამოქვეყნება მიზანშეუწონელია. კონ-ფიდენციალობის პრინციპი შეიძლება გათვალისწინებული იყოს წესდებ-ითაც, რომელიც ავალდებულებს პარტნიორებს ან საზოგადოების საქმი-ანობაში მონაწილე პირებს არ გათქვან ესა თუ ის მონაცემები, რომელთ-აც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვთ საწარმოთა საქმიანობისათვის.

სააქციო საზოგადოების საერთო კრების ან რეგისტრირებული კოოპ-ერატივის წევრთა საერთო კრების მიმართ კონფიდენციალობის პრინციპი არ გამოიყენება.

¹ დაწერილებით: დ. ძამუკაშვილი, ს. ჯორბენაძე, საწარმოო-კომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ). წიგნში „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. თბ. 2001 წ., გვ. 209-215.

**მუხლი 19. სსმპ წესები: სანოტარო შრომა, საამიანი წარ-
ილის ბლანკის მონაცემები. მქსპარტების
ღანოშვნა**

19.1. ყველა შეთანხმება, რომლითაც იქმნება ან უქმდება საწარმო, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილება მათში მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას. ბათილია გარიგება, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

19.2. საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე, რომლებიც გაეგზავრებათ ადრესატებს, უნდა მიეთითოს საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და ადგილსამყოფელი, საზოგადოების ადგილსამყოფლის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. გარდა ამისა, მითითებული უნდა იყოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის საქმიან წერილებზე აგრეთვე უნდა აღინიშნოს ყველა დირექტორი, ზოლო აუცილებლობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გვარისა და სახელის მითითებით. ასევე მიეთითება დირექტორატის თავმჯდომარე.

19.3. ამ კანონში აღნიშნულ „დამოუკიდებელ ექსპერტად“ მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოს საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მათი თანამდებობის პირთაგან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დანიშნონ ასეთი პირი ან საზოგადოება, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ადგილსამყოფლის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო.

19.4. საწარმოს საქმიანობისათვის ან რეგისტრაციისათვის საწარმოს ბეჭდის არსებობა სავალდებულო არ არის.

19.5. დაუშვებელია რომელიმე ნორმატიული აქტით ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტების მოთხოვნა.

(სსმ I, 2001, №10, მუხ. 36, ამოქვეყნდა 01.06.01)

I. სანოტარო ფორმის მნიშვნელობა

19.1 მუხლის შინაარსი ძირითადად ეხება იმ გარიგებებს, რომლებიც იქმნება ან უქმდება საწარმო, აგრეთვე ისეთ გარიგებებს, რომლებსაც ცვლილება შეაქვთ წესდებაში. ყველა ასეთი გარიგება სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული:

– სანოტარო წესით მოწმდება საზოგადოების წესდება (2.7 მუხლი);

– ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (2.7 მუხლის მეორე წინადადება);

– სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით უნდა იყოს მომზადებული განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, სასამართლოში დამოწმებული ზუსტი ხელმოწერის ნიმუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები (5.2 მუხლის მესამე აბზაცი);

– სპს-ში წილი-კაპიტალის გასხვისებასთან დაკავშირებული ყველა გარიგება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით (მუხლი 30); იგივე წესი გამოიყენება კომანდიტურ საზოგადოებაში წილის გასხვისების მიმართ (43.2 მუხლი); პარტნიორის მიერ წილის გასხვისება (დათმობა) შპს-ში ასევე მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმება საჭიროა აგრეთვე იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ (46.3 მუხლი).

19.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ საზოგადოების წესდების შეცვლა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, უფრო დაკონკრეტებულია ცალკეული საზოგადოებების მიმართ, მაგალითად, შპს-ის მიმართ 47.2 მუხლში.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, ნოტარიუსი მონაწილეობს სააქციო საზოგადოების კრების მუშაობაში და კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ადგენს ოქმს (54.4 მუხლის მეორე; წინადადება).

სანოტარო წესით დამოწმება საჭიროა იმ განცხადებისთვის, რომლითაც პირი წევრიანდება კოოპერატივში (61.2 მუხლის პირველი აბზაცი).

კანონით გათვალისწინებული ეს შემთხვევები იმპერატიულად განსაზღვრავენ, თუ როდის უნდა იქნეს გამოყენებული სანოტარო ფორმა. გარდა ამისა, პარტნიორებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ წესდების ის პირობები, როცა ისინი მიზანშეწონილად თვლიან სანოტარო ფორმის გამოყენებას.

II. საქმიანი წერილის (ე.წ. ბლანკის) მონაცემები

ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, თუ რა მონაცემები უნდა იყოს აღნიშნული საწარმოს საქმიანი წერილზე (ბლანკზე). ამ მონაცემების აღნიშვნა სავალდებულოა და მიზნად ისახავს სამეწარმეო ურთიერთობაში მონაწილეთა ინტერესებისა და მათი უსაფრთხოების დაცვას.

საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე უნდა აღინიშნოს: საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ადგილსამყოფელი, საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. ასევე უნდა მიეთითოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი (19.2 მუხლი).

სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივების საქმიან წერილებზე დამატებით უნდა აღინიშნოს ყველა ღირებულებით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ღირებულებების თავმჯდომარე.

გერბიანი ბეჭედი, როგორც საწარმოს აუცილებელი გარეგანი ნიშანი, ახალი კანონით სავალდებულო არ არის. თუმცა არსებული ტრადიციის მიხედვით ბეჭდის ინსტიტუტი ბოლო დრომდე შემორჩა. ამიტომ პარლამენტმა 2001 წლის 30 მარტს სპეციალურად მიიღო კანონი, რომლითაც იმპერატიულად აიკრძალა რომელიმე ნორმატიული აქტით ან რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტების მოთხოვნა (19.4, 19.5 მუხლები)¹.

¹ სსმ I, 2001, №10, მუხ. 36.

III. დამოუკიდებელი ექსპერტის ცნება (19.3 მუხლი)

კანონი ამ ცნებას იყენებს არა საპროცესო კანონმდებლობაში არსებული გაგებით, არამედ „სააუდიტო საზოგადოების პირის, ან, აუდიტორის“ აღსანიშნავად, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და მათი ანგარიშები.

დამოუკიდებელი ექსპერტი ანუ აუდიტორი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, რითაც განსხვავდება ის საწარმოში მომუშავე ბუღალტრისაგან. შესამოწმებელი საწარმოს ხელმძღვანელობის მითითებები მისთვის სავალდებულო არაა. უფრო ზუსტად, ის ასრულებს საწარმოს შეკვეთას, მაგრამ შეფასების შემოწმებისას იგი სრულიად დამოუკიდებელია.

აუდიტორის არჩევის საკითხი პარტნიორთა კრების კომპეტენციას შეადგენს. როგორც წესი, სამეურნეო წლის დასაწყისში პარტნიორთა კრება ნიშნავს აუდიტორს მოცემული სამეურნეო წლისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორები ვერ შეთანხმდებიან აუდიტორის დანიშვნაზე, ერთ-ერთი პარტნიორის განცხადების საფუძველზე აუდიტორი შეიძლება დანიშნოს სასამართლომ.

აუდიტორების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში წესრიგდება 1995 წლის 7 თებერვლის კანონით „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“.²

² „პარლამენტის უწყებანი“, 1995 წ. №23-26.

II. პერძო ნაწილი

თავი პირველი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მუხლი 20. ცნება

20.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

20.2. პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი დახასიათება

ამ კანონის 2.6 მუხლის მიხედვით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურიდიული პირია.¹ იგი შეიძლება დაფუძნდეს ორი ან მეტი ფიზიკური პირის შეთანხმებით. შეთანხმების პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში. საგულისხმოა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისას კანონი არ ითვალისწინებს თავად შეთანხმებას ანუ ხელშეკრულებას, როგორც აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც თან უნდა ერთვოდეს განცხადებას.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზანია ორი ან მეტი პირი ერთობლივად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას ერთი, საერთო საფირმო სახელწოდებით. ამასთან, საზოგადოების თითოეული წევრის საქმიანობა განიხილება როგორც მთელი საზოგადოების საქმიანობა.

¹ 2001 წლისათვის საქართველოში დაფუძნებული იყო 2069 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. წყარო: მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2001 წ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. გვ. 22

საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მისი ყოველი წევრი — პარტნიორი. იგი პასუხს აგებს არა მხოლოდ განცალკევებული ანუ საზოგადოებისათვის წინასწარ კანკუთენილი, არამედ მთელი თავისი ქონებითაც.

ამიტომ, რომ ურთიერთობები ამ საზოგადოების წევრ-პარტნიორებს შორის აიგება მხოლოდ განსაკუთრებული პირადი ნდობის საფუძველზე. შესაძლოა საზოგადოების სახელით გარიგება დადოს ერთმა პარტნიორმა, რის უფლებაც კანონით ყველა პარტნიორს აქვს, ხოლო ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს სხვა პარტნიორს, თუ პირველს სათანადო ქონება არ გააჩნია. კრედიტორს უფლება აქვს ვალის გადახდა მოთხოვოს ერთ-ერთ პარტნიორს (ცხადია, ყველაზე შეძლებულს), ხოლო გადახდის შემდეგ კი ამ უკანასკნელს უფლება ეძლევა რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს სხვა პარტნიორებს იმ წილის პროპორციულად, რაც თითოეულ მათგანს საწესდებო შეთანხმების შესაბამისად, მოგებიდან უნდა მიეღოს.

პასუხისმგებლობის ამგვარი წესი განაპირობებს იმას, რომ კანონი არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მიმართ. სწორედ ამიტომ, ყოველი პარტნიორის ქონება საზოგადოების შესაძლო კრედიტორების მოთხოვნათა უზრუნველყოფის საიმედო გარანტიაა. ამასთან, განსაზღვრული კაპიტალი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მაინც უნდა ჰქონდეს. იგი სამეწარმეო ურთიერთობებში მონაწილეობისათვის საზოგადოების ქონებრივი საფუძველია.

რაკი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურიდიული პირია, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა თავდაპირველად წაუყენოს მთელ საზოგადოებას, გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში — კონკრეტულ კრედიტორს.

**II. სოლიდარული პასუხისმგებლობის
საზოგადოების მონაწილეები**

სხვა ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებად გვევლინებიან მხოლოდ ფიზიკური პირები (20.2 მუხლი).

მუხლი 21. პარტნიორის შეგებებული მოთხოვნა

21.1. თუ რომელიმე პარტნიორს საზოგადოების ვალდებულებათა გამო წარედგინება პრეტენზია, მაშინ ამ პარტნიორს შეუძლია წარდგინილი პრეტენზიის წინააღმდეგ წარმოადგინოს მხოლოდ ის შეგებებული მოთხოვნა, რომლის უფლებაც საზოგადოებას ან პირადად მას აქვს ამ პრეტენზიის საწინააღმდეგოდ.

21.2. პარტნიორს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სანამ საზოგადოება უფლებამოსილია იღავოს გარეგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას.

21.3. იგივე უფლება აქვს პარტნიორს მანამ, სანამ კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს საზოგადოების დრომოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით (შემხვედრი ფულადი მოთხოვნების ურთიერთჩათვლა).

21.4. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევა, კრედიტორი უფლებამოსილია მოიპოვოს, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ აღმასრულებელ დოკუმენტთან ერთად, ასეთივე დოკუმენტი პარტნიორების მიმართაც.

21.1. თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს წარედგინა პრეტენზია ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს მთელი საზოგადოების ვალდებულებიდან, ამ პარტნიორს შეუძლია მოსარჩელეს შეედავოს, შეგებებული მოთხოვნის სახით, ობიექტური საფუძვლის მიხედვით, მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც შეგებებული მოთხოვნის წაყენება შეეძლო მთელ საზოგადოებას.

21.2 მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს წარედგინება სარჩელი საზოგადოების იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც მოცემულ პარტნიორს სადავოდ მიაჩნია. პარტნიორს უფლება აქვს არ დააკმაყოფილოს ეს სარჩელი, ვიდრე არ გარკვეულა მისი მოთხოვნა სადავო ვალდებულების მიმართ.

21.3. კანონის ეს მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორს წარედგინება სარჩელი საზოგადოების ვალდებულებისათვის. პარტნიორს უფლება აქვს

17. შეწარმოთ შესახებ კანონის კომენტარი

თავი შეიკავოს ვალის გადახდისაგან, თუ კრედიტორს სხვა ვალდებულება აქვს მოცემული პარტნიორის საზოგადოების მიმართ და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ვადა დამდგარია. როგორც ერთი, ისე მეორე სარჩელი კმაყოფილება ვალდებულებათა გაქვითვით, ფულადი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით.

21.4. კანონში გათვალისწინებულია კრედიტორის უფლება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს, ან საერთოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ან მის პარტნიორებს ან ერთ-ერთ პარტნიორს. კრედიტორის მოთხოვნა ვალდებულების დაკმაყოფილების თაობაზე სრულდება პარტნიორის ქონების ხარჯზე ანუ პარტნიორის ქონებაზე გადახდევინების იძულებითი მიქცევით. როცა მიქცევა იძულებით ხორციელდება, უნდა არსებობდეს სათანადო ფორმალური საფუძველიც (სასამართლო გადაწყვეტილება, ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერა), სადაც მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად ვისი და რა ქონებიდან ხდება გადახდევინება (საზოგადოების თუ კონკრეტული პარტნიორის).

მუხლი 22. პარტნიორთა კრება

22.1. იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იღებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება.

22.2. ყოველ პარტნიორს შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება პარტნიორთა უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარია, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმდგვარადე და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

22.3. საზოგადოების კრების მონაწილენი თავიანთი წრიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. კრებაზე ყოველ პარტნიორს აქვს თითო ხმა. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს. საზოგადოების კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს.

22.4. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობის მიერ, თუ ეს კანონი არ ადგენს გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღებას და თუ გადაწყვეტილება ერთ-ერთ პარტნიორს არ აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში ან არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

22.1. იმის გამო, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობები აგებულია განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, ამ სახის საზოგადოებებში ყალიბდება მართვის თავისებური წესი. მართვის ერთ-ერთი სავალდებულო ორგანო – პარტნიორთა კრება მოიწვევა მხოლოდ მაშინ, როცა მისაღებია საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. საკითხთა ეს წრე სასურველია წინასწარ განისაზღვროს წესდებით.

22.2. კანონის ამ მუხლით განსაზღვრულია პარტნიორთა კრების მოწვევის წესი, რომლის დაცვას შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა

ვენელობა მიენიჭოს როგორც შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისას, ისე საზოგადოების ურთიერთობაში მესამე პირებთან. წესი ითვალისწინებს არა რომელიმე ორგანოს, არამედ ყოველი პარტნიორის უფლებას მოიწვიოს პარტნიორთა კრება, თუ მას წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით კრების მოწვევა საჭიროდ მიაჩნია. მუხლი შეიცავს პარტნიორებისათვის საგულისხმო გარანტიებს. კერძოდ, კრება უნდა დაინიშნოს ინიციატორი პარტნიორის მიერ წერილის გამოგზავნიდან არა უადრეს ერთი კვირისა. წერილი უნდა შეიცავდეს მითითებას დღის წესრიგზე, რომლის მიხედვითაც ადრესატი – პარტნიორი თავისი შეხედულებით იღებს გადაწყვეტილებას კრებაზე დასწრების შესახებ. იგი უფლებამოსილია მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს ინიციატორ პარტნიორს კრების დღის წესრიგში დამატებების შეტანის თაობაზე. კრება უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება მოცემული საზოგადოების პარტნიორთა ნახევარზე მეტი. თუ კრებას პარტნიორთა ნახევარზე მეტი არ ესწრება, ინიციატორს ან სხვა პარტნიორს უფლება აქვს შემოადინონ წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს პარტნიორთა კრება. კანონის ამ მუხლის მიხედვით მეორე კრება უფლებამოსილია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღოს გადაწყვეტილებები მაშინაც, როცა კრებაზე პარტნიორთა უმრავლესობა არ გამოცხადებულა.

კანონის 22.3 მუხლი აწესრიგებს საზოგადოების კრების თავმჯდომარის არჩევის, გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემის, გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების წესებს. სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების ლიდერის არჩევას საერთო თანხმობით, ეს კანონი ითვალისწინებს კრების თავმჯდომარის არჩევას კრების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტით.

საგულისხმოა კანონის ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმა-პრინციპი: კრებაზე ერთ პარტნიორს აქვს მხოლოდ ერთი ხმა, თუნდაც მისი წილი საზოგადოების ქონებაში ან საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხი სხვა პარტნიორებთან შედარებით გაცილებით მეტი იყოს.

პარტნიორი კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუ გადაწ-

ყვეტილება შეეხება მოცემულ პარტნიორსა და საზოგადოებას შორის დავას.

22.4 მუხლიდან გამომდინარეობს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპი: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვისათვის საჭიროა პარტნიორთა საერთო თანხმობა. საზოგადოება ყველა გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო თანხმობით. ამ ზოგადი ნორმიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, როცა საზოგადოებას უფლება ეძლევა გადაწყვეტილება მიიღოს პარტნიორთა არა საერთო, არამედ უმრავლესობის თანხმობით. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით, მაგრამ წესდებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა უმრავლესობის მიერ და პარტნიორთა საერთო თანხმობა საჭირო, თუ ასეთ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ მიუთითებს ეს კანონი (14.4 მუხლის მეორე აბზაცი), თუ გადაწყვეტილების შედეგად საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორი სხვებთან შედარებით არათანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება ან მოსალოდნელი გადაწყვეტილება არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ქონებრივ ან არაქონებრივ ინტერესებს.

მუხლი 23. საზოგადოების ხელმძღვანელობა

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია გაუძღვეს საწარმოო საქმეებს, რომლებსაც ისინი საჭიროებისას ცალ-ცალკე განაზოცეილებენ, თუ ცალკეულ შემთხვევაში რომელიმე პარტნიორი ამის წინააღმდეგი არ იქნება; ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელობის ეს ფორმა არ გამოიყენება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ კანონით გათვალისწინებული წესები ძირითადად მაშინ გამოიყენება, როცა საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორი უფლებამოსილია წარუძღვეს საწარმოო საქმეებს დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ. საწარმოო საქმეების წარმართვაში ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობაში იგულისხმება საზოგადოების სახელით მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში – გარიგების დადება, განკარგულების გაცემა და ა.შ.

ეს ზოგადი წესი არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოების წესდებით თავიდანვე განისაზღვროს პარტნიორები, ვისაც საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები დაეკისრება. წესდების მიხედვით საზოგადოების ხელმძღვანელობა ანუ საზოგადოების საქმეების წარმართვა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული წესისა, შესაძლებელია დაეკისროს ყველა პარტნიორს მხოლოდ ერთობლივად ან ერთ ან რამდენიმე პარტნიორს. როცა საქმე გვაქვს ორ უკანასკნელ შემთხვევასთან, ეს აუცილებლად უნდა იყოს ასახული საზოგადოების წესდებაში. თუ ეს გადაწყვეტილებანი მიღებულია საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ, ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში რეგისტრაციის ფორმით.

ამ წესებს თავისი იურიდიული შედეგები მოსდევს. კერძოდ, მესამე პირს, რომელიც ურთიერთობას ამყარებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან, უფლება აქვს იგულისხმოს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი აღჭურვილია სათანადო უფლებით წარმართოს საზოგადოების საქმე. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას კი უფლება ენიჭება არ სცნოს მისი წევრის მიერ დაღებული გარიგებანი, თუ დაამტკიცებს, რომ წესდებით

„გარიგების დადების“ უფლებამოსილება მას არ გააჩნდა და ამის შესახებ მესამე პირმა იცოდა. მტკიცების ტვირთი აწევს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

თუ წესდებით გათვალისწინებულია, რომ პარტნიორები საქმეებს წარმართავენ ერთობლივად, ყოველი გარიგების დადებისათვის საჭიროა საზოგადოების ყველა პარტნიორის თანხმობა. თუ საქმეთა წარმართვა წესდებით ეკისრება ერთ ან რამდენიმე პარტნიორს, დანარჩენი პარტნიორები მოვალენი არიან გარიგებათა დადებისათვის აღიჭურვილ უფლებამოსილი პარტნიორების მინდობილობით.

მუხლი 24. პარტნიორის კონტროლის უფლება

იმ პარტნიორსაც, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებული მოვალეობების შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

კანონის ეს მუხლი განსაზღვრავს იმ პარტნიორთა უფლებებს, რომლებსაც ჩამოერთვათ საზოგადოების საქმეების წარმართვის უფლება ან საზოგადოების წესდებით თავიდანვე არ დაკისრებიათ იგი. გარდა საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობისა და შემოწმებისა, ამ მუხლით გათვალისწინებული პარტნიორები სარგებლობენ უფლებით საკუთარი სახელით საზოგადოების სხვა პარტნიორებს მოთხოვონ საზოგადოების მიმართ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულება.

მუხლი 25. მოგება და ზარალი

25.1. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მათში ყოველი პარტნიორის წილი.

25.2. ერთ-ერთი პარტნიორის წილი-მოგება მიემატება მისსავე წილ-კაპიტალს; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში წილ-კაპიტალიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან.

25.1. მოგება და ზარალი დგინდება ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს. მოგება არის წმინდა შემოსავალი, რომელიც გამოითვლება ორი მომიჯნავე წლის ბალანსის შედარების საფუძველზე. ბალანსის მონაცემებს შორის მატება ან კლება შესაძლოა მოხდეს არა მხოლოდ სავაჭრო გარიგებების წარმატების გამო, არამედ საზოგადოების კუთვნილი ქონების ღირებულების მატებითა და კლების გამო. თუ წესდებით გათვალისწინებულია სხვადასხვა ანარიცხების გაღება წმინდა შემოსავლიდან, მაგალითად, საზოგადოების დამატებითი კაპიტალისათვის, ასეთი ანარიცხების გაღება უნდა მოხდეს მოგების განაწილებამდე თუ წესდებით გათვალისწინებული არ არის, ანარიცხები შეუძლებელია გაღებულ იქნეს

ყველა პარტნიორის თანხმობის გარეშე. ეინაიდან მოგება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სავაჭრო პერიოდის დასასრულს, მოგების გადანაწილებაც შეიძლება მოხდეს სამეურნეო წლის ბოლოს, თუ წესდებით არ არის განსაზღვრული უფრო შეკვეცილი ვადა.

25.2 მუხლით გათვალისწინებული წესი მიზნად ისახავს უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის, როგორც საზოგადოების ნორმალური საქმიანობის გარანტიის შენარჩუნებას. საზოგადოების წმინდა აქტივები უნდა განიხილებოდეს საზოგადოების კაპიტალთან მიმართებაში. თუ საზოგადოების საქმიანობა ზარალიანია, აქტივების ოდენობა საზოგადოების კაპიტალის ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება. აქტივების შევსება აისახება საზოგადოების მოგების ანგარიშში და მოგება ნაწილდება პარტნიორებს შორის. თუ შეიქმნება წმინდა აქტივების აღდგენის აუცილებლობა, ამ მიზნებისათვის მოგება სრული მოცულობით წარიმართება და პარტნიორებს მოგებიდან ანარიცხები არ მიეცემათ.

მუხლი 26. მოგებისა და ზარალის განაწილება

26.1. ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, წილი თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგება ამისთვის საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება, შესაბამისად, უფრო დაბალი პროცენტით.

26.2. 26.1 მუხლის მიხედვით, პარტნიორის წილად მოსული მოგების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება პარტნიორის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც მან სამეურნეო წლის განმავლობაში შესატანის სახით შეასრულა, ამ სამუშაოს შესრულებიდან გასული დროის გათვალისწინებით თუ პარტნიორმა სამეურნეო წლის განმავლობაში გახარჯა ფული, მაშინ მხედველობაში მიიღება გახარჯული თანხა გახარჯვამდე გასული დროის პროპორციულად.

26.3. წლიური წილი-მოგების ის ნაწილი, რომელიც აღემატება 26.1 და 26.2. მუხლების მიხედვით გამოსაანგარიშებელ წილ მოგებათა თანხას, და სამეურნეო წლის ზარალი, განაწილდება პარტნიორთა შორის და მიემატება მათ წილ კაპიტალს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა წესებსაც.

26.1. იმის გათვალისწინებით, რომ სამეწარმეო საქმიანობაში მოგებას იძლევა კაპიტალი ამა თუ იმ პროცენტით, ამასთან, საზოგადოების საქმიანობაში პარტნიორის პირადი მონაწილეობა არ შეადგენს საზოგადოების არსებობის აუცილებელ ელემენტს, პირადი შრომითი მონაწილეობა კი განსხვავებული წესით ნაზღაურდება, მოგებაც უნდა განაწილდეს თითოეული პარტნიორის მიერ შეტანილი წილ-კაპიტალის პროპორციულად. საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ წესდებაში განსაზღვრონ მოგების განაწილების სხვაგვარი საფუძველი.

მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვითაც წლიური მოგებიდან ყოველ პარტნიორს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მისი წილ-კაპიტალის ოთხი პროცენტი, მოგების დანარჩენი ნაწილი კი შეიძლება მიეცეს უკლებლივ ყველა პარტნიორს. თუ ამ წესით მოგების განაწილებისათვის წლიური მოგება საკმარისი არ აღმოჩნდება, მოგების წილი შეიძლება განისაზღვროს უფრო დაბალი პროცენტით.

26.2. მოგების განაწილებისას კანონი ითვალისწინებს პარტნიორის მიერ არა მხოლოდ საზოგადოების საქმიანობაში ჩადებული თანხის ოდენობას, არამედ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ეს თანხა საზოგადოების მიზნებს ხმარდებოდა.

26.3. თუ, ვთქვათ, შენატანი შემოსულია პარტნიორის მიერ სამეურნეო წლის დასასრულს და პარტნიორმა თავისი წილ-კაპიტალიდან თანხა გახარჯა, მოგების განაწილებისას პარტნიორი მიიღებს იმ ნაწილს, რაც შეესაბამება მისი შენატანისა და წილ-კაპიტალის მონაწილეობას ქონებრივ ბრუნვაში.

მუხლი 27. ფულის გახარჯვა პარტნიორის მიერ

27.1. პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისთვის გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის დადგენილი წილი კაპიტალის ოთხ პროცენტამდე ოდენობის თანხა და, თუ ეს საზოგადოებას აშკარად ზიანს არ აყენებს, მოითხოვოს ბოლო წლის მოგებაში მისი წილი მოგების გამოტანა, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს ზემოხსენებულ თანხას. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განსხვავებულ წესებს, კერძოდ, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას ფულის გახარჯვის თაობაზე.

27.2. სხვა შემთხვევაში პარტნიორს არა აქვს უფლება დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე მოაკლოს თანხა თავის წილ კაპიტალს.

27.1 მუხლით გათვალისწინებული წესი, ისე როგორც სხვა ზემოხსენებული წესები, მიზნად ისახავს საზოგადოების კაპიტალის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი გარანტიის შენარჩუნებას, და შესაბამისად, საზოგადოების ფაქტობრივი მდგომარეობის გამყარებას სამეურნეო წლის ბოლომდე. თუ წესდება პარტნიორის მიერ საკუთარი ხარჯისათვის საზოგადოების სალაროდან ფულის გატანისათვის პარტნიორთა კრების თანხმობას არ ითხოვს, ამ მუხლით გათვალისწინებული წილი-კაპიტალის ოთხ პროცენტამდე ოდენობის სალაროდან გატანა პარტნიორს შეუძლია.

27.2 მუხლის შესაბამისად ბოლო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგებისა და წილ-კაპიტალის ოთხ პროცენტზე მეტი თანხის გახარჯვა პარტნიორს შეუძლია სხვა პარტნიორების თანხმობით. კანონი არ ითვალისწინებს პარტნიორების მიერ ამ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას. იგი შეიძლება მიღებულ იქნეს ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 28. ლიკვიდაციის საფუძვლები

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლიკვიდირებული იქნება:

- ა. იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც იგი შეიქმნა;
- ბ. პარტნიორთა გადაწყვეტილებით;
- გ. საზოგადოების საბანკოროტო წარმოების გახსნით;
- დ. სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კანონი ითვალისწინებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შეწყვეტის ზემოაღნიშნულ ოთხ საფუძველს.

საზოგადოების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება აქვთ, აგრეთვე, პარტნიორთა პირად კრედიტორებსაც, რომლებიც მიზნად ისახავენ მიიღონ დაკმაყოფილება იმ თანხიდან, რაც პარტნიორებს მიეცემათ საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში.

კანონით უშუალოდ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მისი ზოგადი შინაარსიდან იგულისხმება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შეწყვეტა, თუ მის შემადგენლობაში ერთი პარტნიორი დაარჩა. ასეთმა პარტნიორმა, ალბათ, განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის სხვა, მისთვის ხელსაყრელი და კანონით ნებადართული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 29. ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით

29.1. ერთ-ერთი პარტნიორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს განსაზღვრული ვადით შექმნილი საზოგადოება ვადაზე ადრე ან უვადო საზოგადოება, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

29.2. მნიშვნელოვან საფუძველად, კერძოდ, ჩაითვლება, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია მასზე საზოგადოების წესდებით დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება შეუძლებელი ხდება.

29.3. შეთანხმება, რომლითაც პარტნიორს ერთმევა, ან, ამ ნორმების საწინააღმდეგოდ, ეზღუდება საზოგადოების ლიკვიდაციის მოთხოვნის უფლება, ბათილია.

კანონის ეს მუხლი გამომდინარეობს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო იურიდიული ბუნებიდან, რაც ემყარება პარტნიორებს შორის განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე აგებულ ქონებრივ და საქმიან ურთიერთობებს. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეწყდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა, თუკი ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია მასზე წესდების მიხედვით დაკისრებული ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს სარჩელით უნდა მიმართოს ერთ-ერთმა პარტნიორმა.

მუსლი ვი. წილი კაპიტალის განსხვისება

პარტნიორს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება. წილი-კაპიტალის დათმობისას საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. საბუთი უნდა შეიცავდეს სხვა პარტნიორების თანხმობას. თუ ეს აკლია, დათმობის ხელშეკრულება ბათილია.

პარტნიორის წილ-კაპიტალში ქონებრივ გამოხატულებას პოულობს მისი უფლებები და მოვალეობები მოცემული საზოგადოების სხვა პარტნიორების მიმართ. ამიტომაც, კანონი არ ითვალისწინებს პარტნიორის შეუზღუდავ თავისუფლებას – უკვე საკუთარი შეხედულებით გაასხვისოს თავისი მთელი წილი კაპიტალი ან მისი ნაწილი ან დაუთმოს იგი საზოგადოების სხვა პარტნიორს თუ გარეშე პირს. წილ-კაპიტალის გასხვისებით პარტნიორი სხვა პირს უთმობს მოთხოვნას. თუ ჩვეულებრივ მოთხოვნის დათმობისას, მოვალის თანხმობა სავალდებულო არ არის, მოცემულ შემთხვევაში საქმე პირიქითაა.

პარტნიორის მიერ წილ-კაპიტალის საზოგადოების სხვა პარტნიორისათვის გადაცემა არ იწვევს ახალი სუბიექტის შემოსვლას საზოგადოებაში. მაგრამ, როცა წილ-კაპიტალს იღებს სხვა, საზოგადოების გარეშე პირი, აუცილებელია თანხმობა საზოგადოებაში ახალი პირის მიღებაზე.

მუხლი 31. ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა ან გააოტრება

31.1. თუ ერთ-ერთი პარტნიორი განაცხადებს საზოგადოებიდან გასვლას ან მის ქონებაზე იხსნება საბანკოტო წარმოება, მაშინ იგი საზოგადოებიდან გადის ამ ფაქტის ძალაში შესვლის მომენტიდან.

31.2. თუ პარტნიორი საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას დაარღვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება მისთვის შეუძლებელი ხდება ან არსებობს სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება საზოგადოებიდან ამ პარტნიორის გარიცხვის შესახებ, თუ სხვა პარტნიორები ამას განაცხადებენ.

31.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები იქმნებიან განსაზღვრული ვადით ან ვადის განუსაზღვრელად. იმის მიუხედავად, თუ რა ვადითაა შექმნილი საზოგადოება, მის მონაწილეს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებით გავიდეს საზოგადოებიდან. ეს მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებიდან მისი მონაწილის გასვლის ორ საფუძველს: პირველი, როცა მონაწილე საზოგადოებიდან გადის საკუთარი სურვილით და მეორე, როცა მონაწილე საზოგადოებიდან გადის გარიცხვის გამო საკუთარი სურვილის გარეშე. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მონაწილე საზოგადოებიდან გასულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა იურიდიული თვალსაზრისით ძალაში შედის პირველი ან მეორე საფუძველი. კერძოდ, როცა პარტნიორი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გადის საკუთარი სურვილით, მონაწილე გასულად ჩაითვლება, თუ მან საზოგადოების დანარჩენ წევრებს გასვლის სურვილი განუცხადა სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე და კანონით განსაზღვრული ეს ვადა გასულია. მოქმედი საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს პარტნიორთა გაფრთხილების მხოლოდ უფრო ხანგრძლივი ვადა, მაგრამ ვადა ოფიციალური განცხადებიდან სამეურნეო წლის ბოლომდე არ შეიძლება იყოს 12 თვეზე ნაკლები. ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია კანონის მე-14 მუხლით.

იურიდიული თვალსაზრისით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილის მოცემული საზოგადოებიდან გასვლის საფუძველი სახეზეა, როცა არსებობს საგაოტრებო წარმოების ძალაში შესვლის ფაქტი; უფრო ზუსტად, როცა სასამართლოს მიერ საზოგადოება

გამოცხადებულია გაკოტრებულად და გახსნილია საგაკოტრებო საქმის წარმოება.

31.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინაშე მისი მონაწილის მოვალეობა განისაზღვრება ამ საზოგადოების წესდებით. თუ მონაწილემ ეს მოვალეობა დაარღვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ან მან ვერ შეძლო გონივრულად გაძლოლოდა მისდამი მინდობილ მოვალეობას და ნდობა დაკარგა სხვა მონაწილეთა წინაშე ან არსებობს მისდამი უნდობლობისა თუ საზოგადოებიდან გაყვანის სხვა სერიოზული საფუძველი. დანარჩენ მონაწილეთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საზოგადოებიდან მოცემული მონაწილის გარიცხვა ხორციელდება სასამართლოს მიერ. მხოლოდ სასამართლოს შეუძლია იმის შეფასება, ირღვევა თუ არა ვალდებულება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, შეძლო თუ არა მონაწილემ გონივრულად გაძლოლოდა მინდობილ მოვალეობას ან არსებობდა თუ არა საზოგადოებიდან მისი გარიცხვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

მუხლი 32. შრტირტობანი საზოგადოებრიანი პარტნიორის გაცვლის შიქლეპ

32.1. საზოგადოებრიანი პარტნიორის გაცვლის ან მისი გარიცხვის შიქლხევევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს.

32.2. ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან საზოგადოებრიანი გამსვლელი ან გარიცხული პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალბისაგან და გადაუხალონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შიქლხევევაში მიიღებდა. საზოგადოებრიანი გამსვლელ ან გარიცხულ პარტნიორს არა აქვს გარანტიის მოთხოვნის უფლება.

32.3. საზოგადოების ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ ღლისთვის, როცა საზოგადოებრიანი გაცვლა ძალაში შედის, იხსნება საბანკროტო წარმოება ან შეიტანება სარჩელი გარიცხვის შესახებ. მოთხოვნა უნდა შესრულდეს გამოყოფის ბალანსის წარდგენისას.

32.1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებრიანი მისი მონაწილის გაცვლის ან გარიცხვის შიქლხევევაში დანარჩენ მონაწილეთა წილი საზოგადოების ქონებაში იზრდება საწესდებო კაპიტალში თითოეულის წილის პროპორციულად. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წილის გადაწილების სხვა წესი. კერძოდ, გასული მონაწილის წილი სხვა პარტნიორებს შორის შეიძლება გაიყოს თანაბრად.

32.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებრიანი გაცულ ან გარიცხულ პირს საზოგადოება უხდის ქონების იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც შესაბამება მოცემული პირის წილს საზოგადოების კაპიტალში. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წილის გადახდა ნატურითაც.

32.3. იმისათვის, რომ შეფასდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებრიანი გამსვლელი ან გარიცხული წევრის ქონებრივი წილი და, შესაბამისად, მთელი საზოგადოების ქონების ღირებულება, შესადგენი ბალანსი უნდა ასახავდეს ქონებრივ მდგომარეობას იმ მომენტი-სათვის, როცა მონაწილის გადაწყვეტილება გაცვლის თაობაზე ძალაში შედის. ძალაში შესვლის მომენტად ამ კანონის 31.1 და 14.1.1 მუხლების მიხედვით ჩაითვლება სამეურნეო წლის ბოლო; თუკი სოლიდარული

პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილემ სხვა პარტნიორები გასვლის თაობაზე გააფრთხილა „სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე“. გაკოტრების საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით გასვლის შემთხვევაში, ბალანსი უნდა ასახავდეს ქონებრივ მდგომარეობას იმ მომენტისათვის, როცა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების გაკოტრებულად აღიარებისა და საგაკოტრებო წარმოების გახსნის შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილებით მონაწილის გარიცხვის შემთხვევაში ბალანსი უნდა ასახავდეს საზოგადოების ქონებრივ მდგომარეობას სასამართლოში სარჩელის შეტანის დღისათვის.

მუხლი 33. პარტნიორის გარდაცვალება

33.1. უმემკვიდრეოდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს.

33.2. თუ, 33.1 მუხლის თანახმად, პარტნიორს ჰყავს მემკვიდრეები, მაშინ ყოველ მემკვიდრეს შეუძლია საზოგადოებაში დარჩეს იმისდა მიხედვით, მიენიჭება თუ არა მას კომანდიტის სტატუსი და ჩათვლება თუ არა სამკვიდროს დამტოვებლის საწევრო შენატანიდან მისი კუთვნილი წილი საკომანდიტო შენატანად. თუ საზოგადოების ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მაშინ ამ კომანდიტის წილი მოგება ასევე განისაზღვრება სამკვიდროს დამტოვებლის საწევრო შენატანიდან მემკვიდრის კუთვნილი წილის მიხედვით.

33.3. თუ დანარჩენი პარტნიორები არ მიიღებენ მემკვიდრისაგან შესაბამის განცხადებას, მაშინ მემკვიდრე უფლებამოსილია განაცხადოს საზოგადოებიდან თავისი გასვლის შესახებ დათქმულ ვადაზე ადრე.

33.4. მემკვიდრემ განცხადება შეიძლება გააკეთოს სამი თვის ვადაში იმ მომენტიდან, როცა მან მიიღო მემკვიდრეობა. თუ მემკვიდრე არ შედის საზოგადოებაში სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით, მაშინ იგი პასუხს აგებს მისი სტატუსის გარკვევამდე წარმოშობილ საზოგადოების ვალებზე იმ წესების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ საანდერძო დანაკისრისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობას.

33.5. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთი ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში შემსვლელი (ან შემსვლელები) სპეციალური უფლებამოსილების ძალით იღებს პარტნიორის სტატუსს. იგი (ისინი) ვალდებულია სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

33.1–33.2. პარტნიორის სიკვდილი, როგორც წესი, არ იწვევს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შეწყვეტას, მის ლიკვიდაციას, თუ განსხვავებული შედეგები არ არის გათვალისწინებული საზოგადოების წესდებით. თუ საზოგადოება შედგება მხოლოდ ორი

პარტნიორისაგან, გარდაცვლილ პარტნიორს არ ჰყავს მემკვიდრე ან მისი ქონება ანდერძით გადასცა სხვა პარტნიორს, საზოგადოება ექვემდებარება ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის შეცვლას. თუ საზოგადოებაში ორზე მეტი წევრია და უმემკვიდროდ დარჩენილი პარტნიორის ქონება არ ექვემდებარება ანდერძით სხვა პირებზე გადაცემას, გარდაცვლილი პარტნიორის წილი ემატება სხვა დანარჩენი პარტნიორების წილს, ისე როგორც ეს შესაძლებელია მოხდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში.

თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეები ხდებიან უფლებამონაცვლეები, მაგრამ საზოგადოების წევრებად დარჩებიან იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი პარტნიორები თანახმა იქნებიან, რათა მემკვიდრეები ამ საზოგადოებაში შემოვიდნენ კომანდიტის სტატუსით. სხვა სტატუსით საზოგადოებაში შესვლის მოთხოვნის უფლება მათ კანონის მიხედვით არ გააჩნიათ, რადგან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც აღინიშნა, ემყარება საქციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას. პარტნიორებს შორის. საზოგადოების წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს პარტნიორად გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის მიღება.

33.3 მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების დარჩენილი პარტნიორები უარს განაცხადებენ ან თავს შეიკავენ გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის მიღებაზე საზოგადოების წევრად სრული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის ან კომანდიტის სახით. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე უფლებამოსილია განაცხადოს საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, ვიდრე ეს ჩვეულებრივი წესით ხდება, სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე.

33.4. განცხადება საზოგადოებიდან გასვლის თაობაზე, როგორც გათვალისწინებულია ამ კანონის 33.3-ე მუხლში განსაზღვრულ პირობებში, გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეს შეუძლია გააკეთოს სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, ვიდრე საზოგადოების სხვა პარტნიორებისაგან განსაზღვრულ პასუხს მიიღებდეს. საზოგადოების ვალე-

ბზე იგი პასუხს აგებს იმ წესით, რაც მემკვიდრეს ეკისრება საანდერძო დანაკისრისათვის.

33.5. თუ, წესდებით გათვალისწინებული დათქმის შესაბამისად, მემკვიდრე მიიღება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წევრად, იგი სრულფასოვნად იჭერს გარდაცვლილი პარტნიორის ადგილს მოცემულ საზოგადოებაში არსებულ ქონებრივ და პირად უფლებებზე ურთიერთობებში. მემკვიდრე, რომელიც საზოგადოების პარტნიორი გახდა, ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება სხვა მემკვიდრეებთან. ეს ანგარიშსწორება ხორციელდება იმავე წესით, როგორც საზოგადოებიდან პირის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში.

თავი მეორე

კომანდიტური საზოგადოება

მუხლი 34. ცნება

34.1. საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები).

34.2. კომანდიტური საზოგადოების მიმართ ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად, გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესაბამისი წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

34.3. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

I. ცნება და დახასიათება

კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს სპს-ის მოდიფიცირებულ ნაირსახეობას. სპს-ისაგან განსხვავებით, კს-ს ჰყავს ორი კატეგორიის პარტნიორი:

ა. კომპლემენტარი, ანუ, როგორც მას კანონი უწოდებს, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი. მისი პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია.

ბ. კომანდიტი, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მის მიერ შეტანილი საგარანტიო თანხით.

34.1 მუხლის შინაარსიდან შეიძლება განისაზღვროს კს-ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც აუცილებელია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დახასიათებისათვის:

ა. სპს-ის ანალოგიურად კს არის არა კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება, როგორც ეს სააქციო საზოგადოებებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებშია, არამედ პარტნიორთა წევრობის საფუძველზე შექმნილი საზოგადოება;

ბ. საზოგადოებას აქვს ერთიანი საფირმო სახელწოდება, რომელიც შეიცავს მინიმუმ ერთი კომპლემენტარის სახელსა და გვარს (6.4 მუხლი);

გ. საზოგადოებას უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა, ორი პარტნიორი. აქედან ერთი მაინც უნდა იყოს კომპლემენტარი და ერთი – კომანდიტი. პარტნიორი არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპლემენტარიც და კომანდიტიც;

დ. კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი (34.3 მუხლი), ხოლო რაც შეეხება კომანდიტს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირიც. კს-ში კომანდიტად შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფოც.

ე. ვინაიდან კს არის პირთა წევრობის საფუძველზე შექმნილი საზოგადოება, განსხვავებით შპს-სა და სს-ისაგან, მას არ სჭირდება მინიმალური საწესდებო კაპიტალი. თუმცა, საზოგადოების წესდებაში უნდა მიეთითოს კომანდიტის შესატანი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ განისაზღვროს კომანდიტის პასუხისმგებლობის მოცულობა. როგორც წესი, კომანდიტის პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება მისი წილი შესატანი ფულადი ან არაფულადი სახით.

კს-ის პრაქტიკული მნიშვნელობა დასავლეთის ქვეყნებში მეტად დიდია. უწინარეს ყოვლისა, ეს აიხსნება იმ დიდი ისტორიითა და ტრადიციით, რომელიც კს-ებს იქ აქვთ. როგორც წესი, კს-ები არსებობდა საოჯახო ან მცირე საწარმოების სახით.

ჩვენს ქვეყანაში კს-ებმა ვერეგერობით ვერ დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი¹, თუმცა მეტად ფართოდ შეიძლება მათი გამოყენება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესში. კერძოდ, მაშინ, როცა საწარმოში თანამშრომელთა, ე. ი. მომავალ პარტნიორთა რაოდენობა აღემატება ორ-

¹ 2001 წლისათვის საქართველოში სულ დაფუძნებული იყო 150 კომანდიტური საზოგადოება. წყარო: მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2001 წ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. გვ. 22.

მოცდაათს, ზოლო დამფუძნებლებს არ სურთ სააქციო საზოგადოების შექმნა. ამ დროს შეიძლება დაბალი პროცენტის მქონე თანამშრომელთა გაერთიანება კომანდიტურ საზოგადოებაში. შემდეგ კს, როგორც ერთი პირი, მონაწილეობას მიიღებს მომავალ შპს-ში. იმედია, რომ მომავალში ეს ფორმა ფართოდ დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში.

კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება კანონის ზოგადი ნაწილის ნორმები, კერძოდ, ნორმები საზოგადოების დაფუძნების, საზოგადოებისა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის და ა.შ. შესახებ, გარდა ამისა, კომპლემენტარების მიმართ გამოიყენება ასევე სპს-ის ნორმები (34.2 მუხლი).

მუხლი 35. კონკურენციის აკრძალვა

კონკურენციის აკრძალვა არ ვრცელდება კომანდიტებზე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

კონკურენციის აკრძალვის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თახმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით (9.6 მუხლი).

ვინაიდან კომანდიტები არ განეკუთვნებიან 9.1 მუხლის მიხედვით საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს, მათზე არ ვრცელდება კონკურენციის აკრძალვის წესები (35-ე მუხლი).

ამ წესიდან გამონაკლისს შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების წესდება. ჩვეულებრივ, ეს ხდება მაშინ, როდესაც კომანდიტის ყოფნა მოცემულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მისი პიროვნებით ან პროფესიული თვისებებით. ასეთ შემთხვევაში პარტნიორებმა შეიძლება კომანდიტს აუკრძალონ სხვა მსგავს საზოგადოებაში მონაწილეობა.

კონკურენციის აკრძალვის წესები გავრცელდება კომანდიტზე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კს-ში ასრულებს ხელმძღვანელი პარტნიორის ფუნქციებს.

მუხლი 36. კომანდიტის კონტროლის უფლება

36.1. კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე.

36.2. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი კომანდიტის განცხადების საფუძველზე ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების წიგნებისა და საბუთების წარდგენა.

კომპლემენტარის კონტროლის უფლების მიმართ გამოიყენება 24-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სპს-ის პარტნიორის კონტროლის უფლებას.

კომპლემენტარისაგან განსხვავებით, კომანდიტის კონტროლის უფლება შემოიფარგლება წლიური ანგარიშის ასლის მიღების მოთხოვნითა და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით (36.1 მუხლი).

კომპლემენტარს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს საზოგადოების წიგნებისა და საბუთების შემოწმება. კომანდიტს კი ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას და სასამართლოს მეშვეობით (36.2 მუხლი).

კომპლემენტარს შეუძლია, მოითხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ მოვალეობათა შესრულება, ხოლო შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი (24-ე მუხლის მეორე წინადადება). ვინაიდან კომანდიტი საზოგადოების ხელმძღვანელობიდან, საერთოდ გამორიცხულია, მას ეს უფლება არ გააჩნია. 37-ე მუხლი უფრო კონკრეტულად აწესრიგებს ამ საკითხებს.

საზოგადოების წესდებით კომანდიტების კონტროლის უფლება შეიძლება გაფართოვდეს ან შეიზღუდოს. იმავედროულად არ შეიძლება ეს შეზღუდვა გავრცელდეს 36.1 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებზე.

კონტროლის უფლება წარმოადგენს კომანდიტების პირად უფლებას და იგი შეიძლება მხოლოდ მათ მიერ პიროვნულად განხორციელდეს. წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას, როგორცაა, მაგალითად, ხანგრძლივი ავადმყოფობა და ა.შ.

მუხლი 97. საზოგადოების ხელმძღვანელობა

37.1. კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. თუ მოქმედება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

37.2. თუ ერთერთ კომანდიტს წესდებით მინიჭებული აქვს უფლება-მოსილება, განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აკებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. წესდება შეიძლება მათ ამგვარ უფლებამოსილებას ანიჭებდეს, ოღონდ, როგორც წესი, წარმომადგენლობის უფლების გარეშე. თუ კომანდიტს წარმომადგენლობის უფლებაც მიეცა, მაშინ მასზე გაერცელება წესები შპს-ის დირექტორის შესახებ. კომანდიტისთვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭება არ ნიშნავს კომპლემენტარისთვის ამგვარი უფლებამოსილების წართმევას.

კომანდიტი საზოგადოებაში შეიძლება საქმიანობდეს შრომის ხელშეკრულების საფუძველზეც. ამიტომ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის დროს, სასურველია, საწარმოთა ამ ფორმის გამოყენებაც, კერძოდ, მაშინ, როცა ხდება სახელმწიფო საწარმოს პირდაპირი მიყიდვა თანამშრომლებზე.

თუ კომანდიტს მინიჭებული აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება და ამის საფუძველზე იღებს იგი ანაზღაურებას, ეს უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში.

კომანდიტს არა აქვს უფლება, ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გამოვიდეს კომპლემენტარის მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მოქმედება სცილდება ამ ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პარტნიორთა კრე-

ბის გადაწყვეტილება. მაგალითად, შპს-ს ჰყავს ორი პარტნიორი: ერთი — ფიზიკური პირი და მეორე კი — კს. ამ კს-ის საქმიანობის საგანია შპს-ში მისი კუთვნილი წილის მართვა, ისე, რომ კს-ს არ უწევს სხვა საწარმოებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა. ამ წილების მართვა ჩაითვლება კს-ს ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობად. თუკი კომპლემენტარები გადაწყვეტენ, დადონ ნარდობის ან სხვა მსგავსი ხელშეკრულებები მესამე პირებთან, კომანდიტს უფლება აქვს, პროტესტი გამოთქვას ასეთი ხელშეკრულებების მიმართ, ვინაიდან ისინი სცილდებიან ჩვეულებრივ საქმიანობას. თუმცა, ამგვარი პროტესტისათვის აუცილებელია დანარჩენი პარტნიორების გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს კომანდიტიც.

გენერალური სავაჭრო მინდობილობების გაცემისას კომანდიტების მონაწილეობა არაა სავალდებულო. კომპლემენტარებს ეს შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ.

საზოგადოების წესდებით შეიძლება კომანდიტის უფლებამოსილება ცალკეული შემთხვევების მიმართ შეიზღუდოს. მაგალითად, კომანდიტს შეიძლება წაერთვას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ზოგიერთი გარიგების დადებისას, კერძოდ, უძრავი ქონების განსხვავებისას და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როცა კს-ში რამდენიმე კომანდიტია, წესდებით შეიძლება კომანდიტების უფლებამოსილების განხორციელება ერთ-ერთ მათგანს დაეკისროს. იმავედროულად, ეს არ ნიშნავს კომანდიტების წილების გაერთიანებას. ამ შემთხვევაში ხდება მხოლოდ უფლებების განხორციელება ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით უფლებათა ამგვარი გაერთიანება არ გამოიყენება იმ დროს, როცა ლაპარაკია კომანდიტების პირად უფლებებზე, როგორცაა საზოგადოებიდან გასვლის უფლება და ა.შ.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კს-ში საკონსულტაციო საბჭოს არსებობასაც. ამ საბჭოს შეიძლება დაეკისროს როგორც საკონტროლო ფუნქცია, ისე პარტნიორებს შორის წამოჭრილი დაეების განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია. საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ როგორც კომპლემენტარები, ისე კომანდიტები.

მუხლი 38. მოგება და ზარალი

38.1. 25-ე მუხლის წესები მოგებისა და ზარალის დაანგარიშების შესახებ ვრცელდება კომანდიტების მიმართაც.

38.2. კომანდიტი ზარალის მოზიარება მხოლოდ თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით.

38.3. კომანდიტის წილი მოგება დაერიცხება მის წილ კაპიტალს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიაღწევს შესატანის დათქმულ ოდენობას.

მოგებისა და ზარალის გამოანგარიშება კომანდიტურ საზოგადოებაში ისეთივე წესით ხდება, როგორც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში.

ა) კს, ისევე როგორც ყველა სამეწარმეო საზოგადოება, თავისი საქმიანობის დასაწყისში ადგენს დაფუძნების (გახსნის) ბალანსს და ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს – წლიურ ანგარიშს.

ბ) ნებისმიერი სახის მოთხოვნები პარტნიორების მიმართ წარმოადგენენ საზოგადოების აქტივებს, ხოლო ვალები პარტნიორების მიმართ – საზოგადოების პასივებს. კს-ს, განსხვავებით შპს-ისა და სს-გან, არ მოეთხოვება მყარი საწესდებო კაპიტალი, მაგრამ საზოგადოების წესდებით ეს შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების კაპიტალი იქნება პარტნიორთა წილი კაპიტალების ჯამი. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რეზერვების შექმნასაც.

გ) კომანდიტების მოგებისა და ზარალის გამოთვლის თავისებურებებს, განსხვავებით კომპლემენტარებისაგან, ის წარმოადგენს, რომ მოგებაც და ზარალიც გამოანგარიშება არა თავისუფლად, არამედ კომანდიტის შესატანის ოდენობამდე. ამიტომ, „კომანდიტი ზარალის მოზიარება მხოლოდ თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით“ (38.2 მუხლი). ასევე, „კომანდიტის წილი მოგება დაერიცხება მის წილ კაპიტალს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიაღწევს შესატანის დათქმულ ოდენობას“ (38.3 მუხლი).

მუხლი 39. მოგებისა და ზარალის განაწილება

39.1. პარტნიორთა წილი წლიურ მოგებაში განისაზღვრება ამ კანონის 26.1 და 26.2 მუხლებით, თუ მოგება არ აღემატება წილი კაპიტალის ოთხ პროცენტს.

39.2. სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი, რომელიც აღემატება ამ თანხას, პროპორციულად ნაწილდება პარტნიორებს შორის, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. განაწილების პროპორციულობის დასადგენად, კერძოდ, მხედველობაში მიიღება კომანდიტის წილი კაპიტალი, ასევე მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

კს-ში მოგებისა და ზარალის განაწილების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც სპს-ის მოგებისა და ზარალის განაწილების მიმართ, კერძოდ, ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან პირველ რიგში ეკუთვნის წილი თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგება ამისათვის საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება, შესაბამისად, უფრო დაბალი პროცენტით (26.1 მუხლი). ეს წესი გამოიყენება მაშინ, „თუ მოგება არ აღემატება წილი კაპიტალის ოთხ პროცენტს“ (39.1 მუხლი).

იმ შემთხვევაში, როცა მოგება აღემატება ამ თანხას, იგი პროპორციულად ნაწილდება პარტნიორებს შორის. კანონის ეს ნორმა არ არის იმპერატიული, ვინაიდან იგი უშვებს შესაძლებლობას, საზოგადოების წესდებით განისაზღვროს მოგების განაწილების სხვა წესიც. თუ სპს-ში პროპორციულობის დადგენა შედარებით მარტივად ხდება, კს-ში ამ პროპორციულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომანდიტის წილი კაპიტალი და მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

ანალოგიური წესი გამოიყენება საზოგადოების ზარალის განაწილების დროსაც.

მუხლი 40. კომანდიტის მიერ მოგების გამოყენება

40.1. ამ კანონის 27-ე მუხლი კომანდიტების მიმართ არ გამოიყენება.

40.2. კომანდიტს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი წილი კაპიტალი ზარალის შედეგად ან ანგარიშსწორების გამო შესატანის დათქმულ თანხაზე ნაკლებია.

40.3. კომანდიტი ვალდებული არ არის დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

კომპლემენტარებისაგან განსხვავებით, კომანდიტებს არა აქვთ საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისათვის ფულის გამოტანის უფლება. კომპლემენტარს უფლება აქვს, ამ მიზნით გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის დადგენილი წილი-კაპიტალის ოთხ პროცენტამდე ოდენობის თანხა და, თუ ეს საზოგადოებას აშკარა ზიანს არ აყენებს, მოითხოვოს ბოლო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგების გამოტანა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს ზემოხსენებულ თანხას (27.1 მუხლი). სხვა შემთხვევაში პარტნიორს არა აქვს უფლება, დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე, მოაკლოს თანხა თავის წილ კაპიტალს (27.2 მუხლი).

კომანდიტს შეუძლია, სრულად მოითხოვოს თავისი კუთვნილი მოგება (40.2 მუხლის პირველი წინადადება). ამ წესიდან გამონაკლისს უშეებს კანონი იმ შემთხვევებში, როცა მისი წილი – კაპიტალი, ზარალის შედეგად ან ანგარიშსწორების გამო, შესატანის დათქმულ თანხაზე ნაკლები გახდა (40.2 მუხლის მე-2 წინადადება).

კომანდიტს შეუძლია, გამოუყენებელი მოგება ნებისმიერ დროს გაასხვიოს, დათმოს, დააგირავოს და ა.შ.

კომანდიტი, ისევე როგორც კომპლემენტარი, არ არის ვალდებული, ერთხელ მიღებული მოგება საზოგადოებას დაუბრუნოს იმ მოტივით, რომ საზოგადოებამ შემდგომში ზარალი განიცადა (40.3 მუხლი).

მუხლი 41. კომანდიტის პასუხისმგებლობა

41.1. კომანდიტის საგარანტიო თანხა საზოგადოების კრედიტორების მიმართ განისაზღვრება სამეწარმეო რეესტრში მითითებული თანხის ოდენობით, თუ ეს თანხა უკვე შეტანილია. სხვა შემთხვევაში გამოიყენება 3.3-3.5 მუხლები.

41.2. სამეწარმეო რეესტრში მოცემული საგარანტიო თანხის არარეგისტრირებულ მომატებას კრედიტორები შეიძლება მხოლოდ შაშინ დაეყრდნონ, თუ მომატება საქმიან ურთიერთობებში მიღებული წესით გახდება ცნობილი ან საზოგადოება ამის შესახებ კრედიტორებს სხვა გზით შეატყობინებს.

41.3. კომანდიტი ვალდებული არ არის უკან დააბრუნოს ის თანხა, რომელსაც იგი კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღებს. სხვა შემთხვევებში გამოიყენება 3.9 მუხლი.

კს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საზოგადოებას. კომანდიტის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოებაში მის მიერ განხორციელებული შენატანით (საგარანტიო თანხა). საგარანტიო თანხა განისაზღვრება სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციისას მითითებული თანხის ოდენობით. ეს წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანხა (ან პირადი შენატანი) სრულადაა შეტანილი (41.1 მუხლის პირველი წინადადება).

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საზოგადოების წესდება პირდაპირ არ მიუთითებს საგარანტიო თანხაზე და არც მის ოდენობაზე. ასეთ საზოგადოებაში განსაზღვრულია საზოგადოების კაპიტალი და იმ კაპიტალში თითოეული კომანდიტის პროცენტებში გამოსახული წილი. ამგვარი წილი კაპიტალი მიჩნეულ უნდა იქნეს კომანდიტის საგარანტიო თანხად. ამავე დროს აუცილებელია, წესდებაში აღინიშნოს, რომ ამ წილის მფლობელი (ან მფლობელები) წარმოადგენენ კომანდიტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ჩაითვლებიან კომპლემენტარებად და მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე იქნება შეუზღუდავი. მაგალითად, სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციის შედეგად შრომითი კოლექტივი გახდა საწარმოს წილთა 51%-ის მესაკუთრე. შრომითი კოლექტივის წევრებს სურთ, ამ წილების სამართავად შექმნან კს. სა-

ზოგადობის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს, მისი 51% იქნება 51000 ლარი. ეს შედგება 10 წევრისაგან, მათგან ერთს ირჩევენ კომპლემენტარად, ოღონდ თანაბარი წილით. ასეთ შემთხვევაში 51 000 გაიყოფა ათზე. ცხრა კომანდიტის საგარანტიო თანხა იქნება 5100 ლარი. მაშინაც კი, როცა საზოგადოების წესდებაში პირდაპირ არ არის ნახსენები „საგარანტიო თანხა“, ეს თანხა ჩაითვლება საგარანტიოდ და იქნება კომანდიტის პასუხისმგებლობის ფარგლები.

თუ კომანდიტს სრულად არა აქვს შეტანილი საგარანტიო თანხა, მაშინ იგი პასუხს აგებს როგორც კომპლემენტარი – შეუზღუდავად, პირდაპირ, მთელი თავისი ქონებით (3.3-3.5 მუხლები).

მაშასადამე, საზოგადოების კრედიტორებისათვის კომანდიტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ხდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული საგარანტიო თანხის მიხედვით. რეგისტრაცია კომანდიტის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

შეიძლება თუ არა კრედიტორებმა მოსთხოვონ კომანდიტს გაზრდილი პასუხისმგებლობა მაშინ, როცა კომანდიტის საგარანტიო თანხა გაზრდილია, მაგრამ იგი არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. კანონი ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს. კრედიტორები შეიძლება დაეყრდნონ საგარანტიო თანხის არარეგისტრირებულ მოგებას მხოლოდ მაშინ, „თუ მომატება საქმიან ურთიერთობებში მიღებული წესით გახდება ცნობილი ან საზოგადოება ამის შესახებ კრედიტორებს სხვა გზით შეატყობინებს“ (41.2 მუხლი).

„საქმიან ურთიერთობაში მიღებულ წესად“ ჩაითვლება საგარანტიო თანხის მომატების გამოქვეყნება პრესაში. ხოლო რაც შეეხება კრედიტორისათვის შეტყობინებას, ამის ინიციატივა თვით საზოგადოებიდან უნდა მოდიოდეს.

საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს ასევე კომანდიტის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. კანონი ამ პასუხისმგებლობის ერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ, კომანდიტი არ არის ვალდებული, უკან დააბრუნოს ის თანხა, რომელიც მან კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღო (41.3 მუხლი). თუ მაინც წარმოიშობა ასეთი ვალდებულება, მაშინ ამგვარი დაბრუნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება საზოგადოებას (3.9 მუხლი).

მუხლი 42. პასუხისმგებლობა კომანდიტად შესვლის დროს

უკვე არსებულ საზოგადოებაში კომანდიტად შემსვლელი პირის პასუხისმგებლობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 41-ე მუხლი

არსებულ კს-ში კომანდიტად შესვლისას პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება 41-ე მუხლის მიხედვით.

თუ კს-ში კომანდიტად შედის კომპლემენტარი, იგი კომანდიტად შესვლამდე არსებული ვალებისათვის პასუხს აგებს როგორც კომპლემენტარი შეუზღუდავად, პირადად, მთელი თავისი ქონებით. კომანდიტად შესვლა მას არ ათავისუფლებს ძველი ვალების გადახდისაგან, უფრო ზუსტად, ძველი ვალების მიმართ არ გამოიყენება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტი.

მუხლი 43. კომანდიტის წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა

43.1. კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს და გადაეცეს მემკვიდრეობით სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

43.2. წილის დათმობისთვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

კომანდიტს უფლება აქვს, თავისი წილი გაასხვისოს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე. იგივე წესი გამოიყენება წილის მემკვიდრეობით გადაცემისას. კომანდიტის წილი მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას და იგი გადადის მემკვიდრეობით (43.1 მუხლი).

საზოგადოების წესდება შეიძლება ამ წესიდან გამონაკლისებს ითვალისწინებდეს, კერძოდ, წილის გასხვისება შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა პარტნიორების თანხმობაზე ან პარტნიორებს ჰქონდეთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

კომანდიტის წილის გასხვისებისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

19. შეწარმეთ შესახებ კანონის კომენტარი

თავი მესამე

**შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება**

მუხლი 44. ცნება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., № 1-2(33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

(სსმ, I, 1999, №24, მუხ.110, ამოქმედდა 01.09.99)

I. ცნება, არსი და მნიშვნელობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სამეწარმეო საზოგადოებათა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ ჩვენშიც დაიკვიდრეს ადგილი და ფრიად პოპულარულნი გახდნენ მეწარმეთა შორის, როგორც საწარმოს ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური ფორმა.¹

შპს-ის ლეგალური დეფინიცია მოცემულია 44-ე მუხლში. ამ დეფინიციიდან შეიძლება შპს-ის რამდენიმე ნიშნის გამოყოფა:

ა. შპს არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც იქმნება პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად. ეს კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით შექმნილი (3.3. მუხლი);

¹ 2001 წლის დასასრულისათვის საქართველოში რეგისტრირებული იყო 27 022 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანუ საწარმოთა 33,2%. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. 2001 წ., გვ. 22.

ბ. შპს არის იურიდიული პირი (მუხლი 2.6.) და იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით კრედიტორების წინაშე;

გ. შპს-ის პასუხისმგებლობა შეზღუდულია კრედიტორების წინაშე. იგი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. შეიძლება საზოგადოების ვალები აღემატებოდეს მის ქონებას, მაგრამ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ ამ ქონებით;

დ. შპს-ის პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალდებულებებზე, ე.ი. კრედიტორებთან ურთიერთობაში პარტნიორი კი არ გამოდის, არამედ საზოგადოება, ოღონდ ის, რაც პარტნიორებმა საზოგადოებაში ჩადეს, ხმარდება საზოგადოების ვალების დაფარვას;

ე. შპს-ის არსებობა არ არის დამოკიდებული მასში წევრობაზე. ე.ი. პარტნიორების გამოსვლა საზოგადოებიდან ავტომატურად არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ეს განპირობებულია იმით, რომ შპს არის კაპიტალური საზოგადოება ე.ი. კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება;

ვ. შპს-ას აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები – პარტნიორთა კრება, დირექტორატი და საჭიროებისას – სამეთვალყურეო საბჭო. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ დირექტორებად და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ პარტნიორები. ისინი შეიძლება იყვნენ გარეშე პირებიც;

ზ. შპს შეიძლება დააარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმაც. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი შეიძლება იყოს სახელმწიფოც;

თ. შპს შეიძლება დააარსოს ერთმა პირმაც – იქნება ეს ფიზიკური, იურიდიული პირი თუ სახელმწიფო (44-ე მუხლი).

II. შპს-ის განსხვავება სააქციო საზოგადოებისაგან

კაპიტალურ საზოგადოებათა ეს ორი ფორმა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათ შორის განსხვავება არსებითია. სწორედ ეს განსხვავებები იძლევა იმის საფუძველს, რომ პრაქტიკაში უფრო გავრცელებული ფორმა იყოს შპს:

ა. შპს უფრო მარტივი ფორმაა, ვიდრე სს. იმის გამო, რომ სს-ის

კაპიტალი გამოხატულია აქციებში – ფასიან ქაღალდებში, მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში, ეს შეეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით კი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ბრუნვაზე. ამგვარი კონტროლი არ ხორციელდება შპს-ების მიმართ;

ბ. შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს ორი ათას ლარს, მაშინ, როცა სს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს თხუთმეტ ათას ლარს;

გ. შპს-ის მმართველობის ორგანოთა სისტემა უფრო მარტივია, ვიდრე სს-ის. ამ უკანასკნელის საეკონომიკურ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო მაშინ, როცა შპს-ისთვის იგი ფაქულტატურია;

დ. სს-ის საერთო კრების გადაწყვეტილებათა ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ კრებას ესწრებოდეს და კრების ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი. შპს-ის საერთო კრებას ნოტარიუსის დასწრება არ სჭირდება;

ე. შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები უფრო დისპოზიციურია და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს საზოგადოებას, ვიდრე სს-ის მომწესრიგებელი ნორმები. ეს განპირობებულია იმით, რომ სს გაცილებით უფრო რთული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, ვიდრე შპს;

ვ. სს-ების კაპიტალი გამოხატულია აქციებში, რომლებიც სავაჭროდ გაიტანება ბირჟაზე ისე, რომ აქციების მფლობელები ხშირად იცვლებიან და ყოველი ახალი აქციონერის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელი არ არის. შპს-ის წილის ყოველი გასხვისება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, ხოლო ყოველი ახალი პარტნიორი (წილის შემძენი) უნდა დარეგისტრირდეს სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 45. საზოგადოებო კაპიტალი. შესატანები

45.1. საზოგადოების კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ორი ათას ლარს.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №1-2, (33-34/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

45.2 შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისთვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს, მაგრამ იგი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

I. საწესდებო კაპიტალის მნიშვნელობა შპს-ისთვის

შპს-ისთვის, როგორც კაპიტალური საზოგადოებისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს წარმოშობისა და რეგისტრაციაში გატარების აუცილებელ წინაპირობას. მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობის უპირველესი მიზანია კრედიტორების დაცვა. ამიტომ კანონი სავალდებულოდ თელის მინიმალური საწესდებო კაპიტალის შეტანას (45.1 მუხლი).²

კანონი განსაზღვრავს საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას. რაც შეეხება მის მაქსიმუმს, იგი არ არის შემოფარგლული.

საწესდებო კაპიტალი შეადგენს საზოგადოების საკუთარი კაპიტალის შექმნის, მართალია, არა ერთადერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა პარტნიორების მიერ განხორცილებული შესატანი და საზოგადოების მთლიანი კაპიტალი არ ემთხვევა ერთმანეთს.

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორების მიერ შესრულებული შესატანების ჯამი საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ტოლი უნდა იყოს. საზოგადოების დაფუძნების შემდეგ არ არის სავალდებულო, რომ შესატანების ჯამი და საზოგადოების საწესდებო კაპიტალი იყოს ტოლი. ე.ი. საზოგადოების დაფუძნების შემდეგ თავისი საქმიანობით საზოგადოება გაცილებით მეტ კაპიტალს იღებს, ვიდრე ეს პარტნიორებმა დაფუძნებისას

² თავდაპირველ პროექტში კანონისა შპს-ის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 10000 ამერიკული დოლარის ოდენობით, პროექტის მეორე ვარიანტში - 5000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტით. საპარლამენტო დისკუსიების შედეგად გადაწყდა, რომ შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი ყოფილიყო ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. 1996 წლის 3 დეკემბერის კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ორი ათასი ლარის ოდენობით.

შეიტანეს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საზოგადოების კაპიტალი შესატანებზე მეტი იქნება ყოველთვის.

II. შესატანის ოდენობის განსაზღვრა პარტნიორებისათვის

საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორების მოვალეობას შეადგენს შესატანის შეტანა, რომელიც შეესაბამება მათ წილს საზოგადოების კაპიტალში. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს. მიუხედავად ამისა, ყოველი შესატანი ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს. ეს ნიშნავს, რომ პარტნიორის შესატანი არ შეიძლება იყოს, მაგალითად, 333,5 ლარი. შესატანი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს იმ ფულად ერთეულში, რომელშიც შესრულებულია შესატანი და აღნიშნულია საზოგადოების წესდებაში.

პარტნიორის წილის ოდენობა, როგორც წესი, დამოკიდებულია შესატანის ოდენობაზე და გამოიხატება პროცენტებში.

45-ე მუხლის მოთხოვნები იმპერატიულია. თუ საზოგადოების წესდება ან სხვა დამფუძნებელი დოკუმენტები არღვევენ ამ მუხლის წესებს, კერძოდ, თუ წესდებაში არაა მითითებული ყოველი პარტნიორის შესატანის ოდენობა და თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა გამოხატული პროცენტებში, მთელი წესდება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად. ამის გამო, სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას საზოგადოებას რეგისტრაციაზე კანონის 5.3, 5.8 მუხლების საფუძველზე.

თუ, მიუხედავად ამისა, საზოგადოება მაინც იქნება რეგისტრირებული, ამ საზოგადოების მიმართ გამოიყენება 5.8 მუხლის მეორე აბზაცის წესი.

პარტნიორების შესატანი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი.³

პარტნიორების მიერ შესატანის განხორციელების შემდეგ საზოგადოება ზღდება ამ შესატანების შესაკუთრე. საზოგადოება შესაკუთრეა სამეწარმეო საქმიანობით ან სხვა გზით საზოგადოების მიერ შეძენილი ქონების. მას უფლება აქვს შეიძინოს მიწის ნაკვეთები და სხვა უძრავი ქონება. ეს ქონება საზოგადოების საკუთრებაა და არა მისი პარტნიორების.

³ დაწვრილებით იხ. მე-3 მუხლის კომენტარი

მუხლი 46. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

46.1. პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა.

46.2. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.

46.3. პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს -სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმება ასევე საჭირო შეთანხმებისთვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ.

46.4. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც, კერძოდ, გასხვისებისთვის აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

46.5. წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლოა მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება და თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შენატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს. 45.2 მუხლის წესები შესატანის თანხის შესახებ შესაბამისად გამოიყენება წილის გაყოფის მიმართ.

46. დაუშვებელია საკუთარი წილის შექენა

46.7. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პარტნიორთა მიერ შესატანის გარდა დამატებითი შესატანების გადახდაც. დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს.

საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იმ გადასახდელის გაზრდა, რომელიც ეკისრება პარტნიორს, დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით.

46.8. პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ კრების მოწვევა ამ კრების მიზნისა და საფუძვლების მითითებით. თუ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან ან საერთოდ არ არსებობენ ის პირები, ვის მიმართაც არის ეს მოთხოვნა გათვალისწინებული, მაშინ პარტნიორებს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლიათ თვითონ მოიწვიონ იგი. კრება გადაწყვეტს მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის საკითხს.

46.9. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

46.10. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყვანებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

დირექტორებს შეუძლიათ უარი თქვან ამგვარი ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოიყენოს და ამით საზოგადოებას ან მის მეკავშირე საწარმოს უარყოფითი შედეგები მოუტანოს. უარი მოითხოვს პარტნიორთა გადაწყვეტილებას.

დირექტორების მიერ ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, თუ მას განცხადებით მიმართეს. განცხადებით მიმართვის უფლება აქვს პარტნიორს, რომელსაც უარი ეთქვა ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე.

I. ზოგადი დებულებები

თუმცა, შპს არის იურიდიული პირი და მას აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი მდგომარეობა, ფაქტობრივად, მის უკან დგანან პარტნიორები, რომლებიც „მათი წილების შესაბამისად“ იღებენ გადაწყვეტილებებს საერთო კრებაზე და განსაზღვრავენ საზოგადოების საქმიანობის ზოგად პოლიტიკას.

საზოგადოების დაფუძნებისას განხორციელებული შესატანის განკარგვის უფლება აქვს საზოგადოებას; საზოგადოება ხდება ამ ქონების მესაკუთრე.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა საზოგადოებათა წესდებების მიხედვით, საზოგადოების კაპიტალი „ეკუთვნის მის მონაწილეებს წილობრივი საკუთრების უფლებით“ (მაგალითად, შპს „პეგასის“ წესდების მე-2 თავის 2.4 პუნქტი).⁴ ეს ჩანაწერი ბათილია და იგი არის საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის საფუძველი, ხოლო თუ რეგისტრაცია

⁴ თბ. საოლქო სასამართლო 1999 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „პეგასის“ საქმეზე.

მოხდა, — მისი გაუქმების საფუძველი. მართალია, პარტნიორები არიან წილის მფლობელები საზოგადოებაში და წილის ოდენობის მიხედვით მართავენ საზოგადოებას, მაგრამ შპს არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი და თავისი ქონების მესაკუთრე. ეს საკორპორაციო სამართლის ერთი-ერთი აუცილებელი თავისებურებაა და შესაბამისად, სანივთო სამართლით გათვალისწინებული საერთო საკუთრების მარეგულირებელი ნორმების გამოყენება აქ გაუმართლებელია.

46-ე მუხლი განსაზღვრავს პარტნიორთა უფლება-მოვალეობებს, როგორც ერთმანეთის, ისე საზოგადოების მიმართ. ამ მუხლში გათვალისწინებულია უკვე არსებული შპს-ის პარტნიორების უფლება-მოვალეობები. შპს-ის დაფუძნების პროცესში მათი უფლება-მოვალეობები გამტკიცებულია კანონის ზოგად ნაწილში და შესაბამისად, ეს საკითხები განვიხილეთ ზოგადი ნაწილის ნორმების კომენტარებისას.

II. წილის გასხვისება

1. წილის თავისუფალი გასხვისების უფლება

შპს-ის პარტნიორების უმნიშვნელოვანეს უფლებას შეადგენს წილის გასხვისების უფლება.

საზოგადოების წილად მიიჩნევა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს შპს-ის წევრობიდან გამომდინარე.⁵ ეს არის საერთო საკუთრების წილის იდენტური ორი გარემოების გამო:

ა. განისაზღვრება განხორციელებული შესატანის ოდენობის შესაბამისად და

ბ. გამოიხატება მყარ ნომინალურ ღირებულებაში (თანხაში).

ვინაიდან პარტნიორებს საზოგადოების დაფუძნებისას ევალებათ ერთი შესატანის განხორციელება, შესაბამისად, მათ აქვთ მხოლოდ ერთი წილი. რა თქმა უნდა, დასაშვებია დამატებითი წილის შექმნაც, ოღონდ ყველა შექმნილი წილი ინარჩუნებს პირვანდელ დამოუკიდებლობას (46.2 მუხლი).

საზოგადოებაში წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორების უფლება-მოვალეობების მოცულობას, მაგალითად, მოგების მიღების სიღ-

⁵ სუსგ სამოქალაქო საქმებზე, 2001 წ., №1, გვ. 5.

იდე, ხმის უფლების მოცულობა, დამატებითი შესატანის განხორციელების ვალდებულება და ა.შ. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოების წილად მიიჩნევა არა საწესდებო კაპიტალში შენატანის ოდენობა, არამედ იმ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს შპს-ის წევრობიდან გამომდინარე“.⁶

სააქციო საზოგადოების აქციონერებისაგან განსხვავებით შპს-ის პარტნიორებს არ მიეცემათ წილის დამადასტურებელი რაიმე მოწმობა. ასეთი მოწმობის როლს ასრულებს საზოგადოების წესდება (ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), რომლის ეგზემპლარი მიეცემა ყოველ პარტნიორს. თუ ასეთი მოწმობა მაინც გაიცა, ის არ იქნება ფასიანი ქალაქი არამედ იქნება მხოლოდ მტკიცებულება იმისა, რომ პირი შპს-ის პარტნიორია. *ნებისმიერი ფორმით გაცემული შპს-ში წილის მოწმობა არ წარმოადგენს ფასიან ქალაქს.*⁷ ამიტომ ასეთი მოწმობების დაზიანების ან დაკარგვისას არ გამოიყენება მათი აღდგენის ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ტიპის ფასიანი ქალაქების აღდგენისათვის.⁸

შპს-ის დაფუძნებისას პარტნიორის წილის ღირებულება გამოიხატება ნომინალურ თანხად. როგორც წესი, იგი არ შეესაბამება წილის რეალურ ღირებულებას. ეს უკანასკნელი სხვა მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. წილის რეალური ღირებულება შეიძლება გაცილებით მეტი ან ნაკლები იყოს წილის ნომინალურ ღირებულებაზე. იგივე წესი ვრცელდება სააქციო საზოგადოების აქციის ღირებულებაზეც.

46.1 მუხლი პარტნიორს ანიჭებს წილის გასხვისებისა და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას. 46.2 – 46.6 მუხლები აწესრიგებენ წილის გასხვისებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამიტომ მათ განვიხილავ მთლიანობაში.

განსახილველი მუხლი განამტკიცებს წილთა თავისუფალი გასხვისების პრინციპს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალ-

⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ. 5.

⁷ Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. – 15. Aufl. §14, Rn. 32.

⁸ იხილეთ მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 917-ე და 928-ე მუხლები.

ისწინებით, როგორცაა სანოტარო უორმა, დანარჩენი პარტნიორების თანხმობა და ა.შ.

წილის გასხვისება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, დათმობის და ა.შ. გზით წილის გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ ამ წილის მესაკუთრეს (პარტნიორს) ან მისგან უფლებამოსილ პირს. საზოგადოებას არ შეუძლია პარტნიორის წილი გაასხვისოს.⁹ პარტნიორის წილის გასხვისების უფლება არა აქვს სხვა პარტნიორს, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებულ წილთა ოდენობისა.¹⁰

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილის გასხვისების სხვა შეზღუდვებსაც. წესდებით შეიძლება განმტკიცებული იყოს გასხვისებული წილის კვლავ გამოსყიდვის უფლება ამა თუ იმ პირობის არსებობისას.

წესდებები ხშირად განამტკიცებენ ისეთ შემთხვევებს, როცა წილის უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ დანარჩენ პარტნიორებს ან ერთერთ მათგანს.

წილის გასხვისების შეზღუდვის ერთ-ერთი შემთხვევა საოჯახო სამართლით არის გათვალისწინებული. კერძოდ, თუ შპს-ის წილი მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაშია შექმნილი, იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის თანახმად, ამ წილის გასხვისებისათვის აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა.¹¹ თანხმობისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა. იგი შეიძლება ნებისმიერი ფორმით გამოიხატოს: ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ა.შ. თუ თანხმობა გაცემულია ისეთი გარიგების

⁹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ. 4-5.

¹⁰ ერთერთ შპს-ში წილთა 80% გაასხვისა პარტნიორმა, რომელიც თვითონ იყო მხოლოდ წილთა 20%-ის მფლობელი. ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ და ეს გარიგება ბათილად მიიჩნია. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ. 1-5.

¹¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., №2, გვ. 225. იხილეთ ასევე რ. შენგელია „საოჯახო სამართალი“, თბ. 1999, გვ. 96-101.

დადებაზე, რომელმაც შესაძლოა წილის გასხვისებაც გამოიწვიოს (მაგალითად, წილის დაგირავება), მაშინ თანხმობა წილის გასხვისებაზე გაცემულად ჩაითვლება.¹²

წილის გასხვისების ყველაზე გავრცელებული ფორმაა წილის ნასყიდობა. წილის ნასყიდობა არის უფლების ნასყიდობა. წილის გასხვისებით ხდება უფლების გასხვისება. წილის შეძენით შეძენი იკავებს პარტნიორის ადგილს შპს-ში. შეძენზე გადადის ყველა ის უფლება-მოვალეობა, რომელიც ძველ პარტნიორს ჰქონდა. „საზოგადოებაში წილის შეძენა იმავდროულად ნიშნავს საზოგადოების პარტნიორად გახდომას, ყოველი ახალი პარტნიორის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელია“.¹³

2. წილის გადაცემა მემკვიდრეობით

წილის გასხვისების თავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია წილის გადაცემა მემკვიდრეობით.

წილის გადაცემა მემკვიდრეობით წესრიგდება მემკვიდრეობის სამართლით. პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეებზე.¹⁴

წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის მემკვიდრეობითობა, მაგრამ შეუძლია მოაწესრიგოს მემკვიდრეების პარტნიორებად მიღების საკითხი.

პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეებზე გადადის შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობითა და ოდენობით, როგორიც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მემკვიდრეს უფლება აქვს მემკვიდრეობის (პარტნიორის) ფუნქციების შესრულებას შეუდგეს მანამ, ვიდრე მემკვიდრეობა მასზე ოფიციალურად გადაფორმდება.

თუ მემკვიდრე რამდენიმეა, წილი გადადის მათ საერთო საკუთრებაში.

¹² სუსგ სამოქალაქო საქმებზე, 2002 წ., №2, გვ. 225,226.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილუმინტერის“ საქმეზე №3, /530-02.

¹⁴ შ. ჩიკვაშილი, მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 200 წ. გვ. 59.

3. რამდენიმე წილის შეძენის უფლება

46.2 მუხლის თანახმად, პარტნიორს უფლება აქვს შეიძინოს რამდენიმე წილი. ოღონდ, ამ დროს ყოველი წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას მაშინაც, როცა რამდენიმე ან ყველა წილი გასხვისების ან მემკვიდრეობის გზით ერთი პირის ხელში გადადის. თუ ყველა წილი ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, მათ გასასხვისებლად საზოგადოების ნებართვა (თანხმობა) აღარ არის საჭირო.

ამ ნორმის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თითოეულ წილთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობათა ინდივიდუალიზება. ერთ-ერთი მათგანია წილის ცალკე დაგირავების შესაძლებლობა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია წილთა გაერთიანება. ეს, რა თქმა უნდა, ნებადართულია, ოღონდ საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება და შესაბამისი ცვლილება წესდებაში.

4. წილის ნაწილობრივი გასხვისება

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების წილის არა მხოლოდ მთლიანად, არამედ მისი ნაწილობრივი გასხვისების შესაძლებლობასაც (46.5 მუხლი).

წილის ნაწილი მიიღება საზოგადოების წილის დაყოფით ორ ან რამდენიმე დამოუკიდებელ წილად ისე, რომ მათი ნომინალურ ღირებულებათა ჯამი უნდა შეესაბამებოდეს თავდაპირველი წილის ნომინალურ ღირებულებას. წილის სხვაგვარი დაყოფა დაუშვებელია, კერძოდ, წილის დაყოფა ფულად და არაფულად წილებად და ა.შ. წილის გაყოფისას გამოიყენება 45.2 მუხლში გათვალისწინებული წესები, მაგალითად, გაყოფის შედეგად წარმოშობილი შესატანის ოდენობა ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

წილის დაყოფის შედეგად წარმოიშობა ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი წილი, მათი გასხვისების მიმართ გამოიყენება წილის გასხვისების ზოგადი წესები.

წილის ნაწილობრივი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით (46.5 მუხლის 1-ლი წინადადება). ნებართვა მიღებულ

უნდა იქნეს პარტნიორთა კრებაზე. იგი უნდა გაფორმდეს წერილობით.

ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება, მისი ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია საზოგადოების პარტნიორთა რეგისტრაციისათვის, ასევე თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს.

5. წილის გასხვისების ფორმა

46.3 მუხლი აწესრიგებს წილის გასხვისების ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, *წილის ყოველგვარი გასხვისება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით*. გასხვისება, როგორც წესი, ყოველთვის ხდება ხელშეკრულების საფუძველზე. ამიტომ სანოტარო დამოწმება სჭირდება ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ხდება წილის გასხვისება. სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს არა მხოლოდ გასხვისების ხელშეკრულება, არამედ ისეთი შეთანხმებაც, რომელიც წარმოშობს წილის გასხვისების ვალდებულებას (46.3 მუხლის მეორე წინადადება).

6. შეზღუდვები წილის გასხვისებისას

საზოგადოების წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს წილის გასხვისებისათვის აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა არსებობის დროს შეიძლება წილის გასხვისება. 46.4 მუხლი ასეთ შესაძლო პირობად თვლის საზოგადოების ნებართვას ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას.

ნებართვის საგანი შეიძლება იყოს თანხმობის მიცემა როგორც წილის გამსავისებელი პარტნიორისათვის, ასევე წილის შემძენისათვის. წესდება შესაძლოა ზოგ პირებს არ აძლევდეს უფლებას შეიძინოს მოცემული საზოგადოების წილი (მაგალითად, კრძალავდეს კონკურენტი საზოგადოების პარტნიორისათვის წილის გადაცემას).

ზოგ შემთხვევაში წილის შექმნა დამოკიდებულია შემძენის მიერ ამა თუ იმ მოვალეობის შესრულებაზე ან შემძენის პიროვნულ თვისებებზე. მაგალითად, პარტნიორობა შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ საზოგადოებაში დირექტორად მუშაობაზე. ასეთ დროს ყოველი ახალი დირექტორი ავტომატურად ხდება პარტნიორი და შესაბამისად წილის მფლობელი.

ნებართვის გამცემი ორგანო შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, დირექტორატი, ან დირექტორი ერთპიროვნულად.

კანონი სხვადასხვა ადგილას ხშირად იყენებს ისეთ ცნებებს, როგორცაა „პარტნიორთა თანხმობა“, „პარტნიორთა გადაწყვეტილება“, „დანარჩენი პარტნიორების ნებართვა“ და ა.შ. ეს ცნებები აუცილებლად საჭიროებენ განმარტებას: რა იგულისხმება მათში, როგორ უნდა იქნეს გაცემული პარტნიორთა თანხმობა? საჭიროა თუ არა თითოეული პარტნიორის თანხმობა? ყველა ეს საკითხი საზოგადოების წესდებაში უნდა იყოს მოწესრიგებული. თუ საზოგადოების წესდება არ ითვალისწინებს ამ წესებს, მაშინ ივარაუდება, რომ გადაწყვეტილება დანარჩენი პარტნიორების მიერ მიიღება პარტნიორთა საერთო კრებაზე.¹⁵ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი კაპიტალის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა.

წილის გასხვისების შეზღუდვის გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს დანარჩენი პარტნიორების მხრიდან წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. „პარტნიორი თავის მოსაზრებას წილის შეძენის თუ დათმობის შესახებ გამოთქვამს საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე. თუ პარტნიორთა კრებაზე არ იქნება გამოთქმული პარტნიორის შეხედულება წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დათმობის ან დათმობაზე უარის შესახებ, ხოლო სათანადო კვორუმით მიიღება გადაწყვეტილება შესყიდვის უფლების დათმობის შესახებ, იგულისხმება, რომ პარტნიორს არ გამოუთქვამს სურვილი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე“.¹⁶

7. საკუთარი წილის შეძენის დაუშვებლობა

46.6 მუხლი კრძალავს საკუთარი წილების შეძენას. ამ აკრძალვის სუბიექტს წარმოადგენს თვითონ საზოგადოება. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას არ შეუძლია შეიძინოს თავისი პარტნიორე-

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთუმინტერის“ საქმეზე №3, /530-02

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთუმინტერის“ საქმეზე №3, /530-02

ბის წილი¹⁷. ამგვარი აკრძალვის ძირითადი მიზანი არის ის, რომ საზოგადოება არ შეიძლება იყოს თავისი თავის პარტნიორი. წილის შეძენა ნიშნავს პარტნიორად გახლომას. ამიტომ, თუ საზოგადოება თავისსავე წილს შეიძენს, იგი გახდება თავისი თავის პარტნიორი.

თუ ასეთი გარიგება მიიწევა დაიღო, იგი ბათილი იქნება. გარიგების ორივე მხარეს დაუბრუნდება ის, რაც მათ გარიგებით მიიღეს. გამსხვიებული კვლავ რჩება წილის მესაკუთედ, ხოლო თანხა, რაც მან მიიღო ამ გარიგებით, უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას.

8. წილის გასხვისებასთან გათანაბრებული გარიგებანი

წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის დაგირავება, უზუფრუქტით მისი დატვირთვა, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად წილის გამოყენება ან მინდობილ საკუთრებად მისი გადაცემა¹⁸. ამ დროს გამოიყენება იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია წილის გასხვისებისათვის. იმ შემთხვევებში, როცა პარტნიორის მიერ ხდება წილის გადაცემა სამართავად სხვა პირისთვის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც, მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, წილის გასხვისებისთვისაა საჭირო. ასეთი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე.¹⁹

II. დამატებითი შესატანების გადახდა (46.7 მუხლი)

46.7 მუხლი ითვალისწინებს პარტნიორების მიერ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეტანის გარდა დამატებითი შესატანების გახორციელების შესაძლებლობასაც. შესატანი შეიძლება განხორციელდეს როგორც საწესდებო კაპიტალში, ასევე რეზერვებში. *თუ დამატებითი შესატანი განხორციელდა საწესდებო კაპიტალში, მაშინ ეს იწვევს საწესდებო კაპიტალის გაზრდას.* როგორც წესი, პარტნიორები შპს-ის დაფუძნებისას მხოლოდ

¹⁷ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა შპს-ისა სს-საგან. კანონის 53¹ მუხლი ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის შესაძლებლობას.

¹⁸ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №12, გვ. 1398.

¹⁹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №12, გვ. 1402.

საწესდებო კაპიტალის შევსებით შემოიფარგლებიან. ამიტომ, დამატებითი შესატანები, როგორც საზოგადოების კაპიტალის შევსების წყარო, პრაქტიკულად იშვიათად გამოიყენება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საწესდებო კაპიტალი არ არის საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად, რის გამოც, პარტნიორებს უწევთ დამატებითი სახსრების გაღება.

კანონი განსაზღვრავს დამატებითი შესატანების გადახდის რამდენიმე წინაპირობას:

ა. დამატებითი შესატანის გადახდის ვალდებულება გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებით. თუ წესდება ასეთ ბულებას არ ითვალისწინებს, მაშინ ჯერ მასში უნდა იქნეს ცვლილებები შეტანილი, ხოლო შემდეგ უნდა განხორციელდეს გადახდა. აქედან გამომდინარე, დამატებითი შესატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს. ეს ფუნქცია არ შეიძლება გადაეცეს არც ცალკეულ პარტნიორებს, არც პარტნიორთა ჯგუფებს და არც მართვის სხვა ორგანოებს, თუნდაც ეს საზოგადოების წესდებით იყოს გათვალისწინებული²⁰;

ბ. დამატებითი შესატანების ოდენობა პარტნიორების წილის პროპორციული უნდა იყოს. ამ ნორმის მიზანია უზრუნველყოს პარტნიორებს შორის წილთა განაწილების ის პრინციპი, რომელიც საზოგადოების დაფუძნებისას იქნა მიღწეული. განსხვავებული შესატანების შეტანა გამოიწვევდა წილების შეცვლას. პარტნიორებს შეუძლიათ შეიტანონ წილის პროპორციულზე მეტი შესატანი, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს წილის ოდენობის შეცვლა;

გ. წესდებით გათვალისწინებული გადასახადის გაზრდა დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით. როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ეს თანხმობა მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორთა საერთო კრებაზე.

3.5 მუხლის მიხედვით შპს-ის პარტნიორები, რომლებსაც სრულად არ შეუტანიათ საწესდებო კაპიტალი, პასუხს აგებენ როგორც სპს-ის პარტნიორები. პასუხისმგებლობის ეს წესი დამატებითი შესატანების

²⁰ MünchHdb.GesR III/Wegmann §54, Rn. 4.

მიმართ არ გამოიყენება. ზიანის ანაზღაურების ოდენობა, ამ შემთხვევაში შემოიფარგლება შეუსრულებელი შესატანის მოცულობით და ამ შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანით. თუმცა, ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ დამატებითი შესატანის შეუსრულებლობა გახდეს გარიცხვის საფუძველი.

III. პარტნიორის გასვლა შპს-დან

განსხვავებით სპს-ისა და კს-გან კანონი შპს-დან გასვლის საკითხს ცალკე არ აწესრიგებს. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან შპს კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოებაა და მის პარტნიორს წილის გასხვისების გზით ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან. მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არავითარ ეჭვს არ იწვევს შპს-დან გასვლის უფლების არსებობა²¹.

კანონი არ უკრძალავს პარტნიორებს საზოგადოებიდან გასვლას, მაგრამ არც გასვლის წინაპირობებს უწესებს მათ. როგორც წესი, საზოგადოებიდან გასვლის მიზეზად მიიჩნევა მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობა. მნიშვნელოვან საფუძველად კი უნდა ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან გასვლის მსურველი პარტნიორის დარჩენას საზოგადოებაში და საქმიანობის გაგრძელებას სხვა პარტნიორებთან ერთად.

მართალია, წილის გასხვისებით პარტნიორი პრაქტიკულად გადის საზოგადოებიდან, მაგრამ საზოგადოებიდან გასვლის დამოუკიდებელი უფლების არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. ეს აიხსნება იმით, რომ შესაძლოა წილის გასხვისების უფლება საზოგადოების თანხმობით იყოს შეზღუდული და ეს თანხმობა არ გასცეს საზოგადოებამ. პარტნიორს კი სურს გაწყვიტოს კავშირი საზოგადოებასთან.²²

საზოგადოებიდან გასვლის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული მიზეზია საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების

²¹ MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 1-31; Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. 15. Aufl. §34, Rn. 36 ff. და სხვა.

²² MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 4.

მიღება და დამატებითი შესატანის შეტანის შეუძლებლობა პარტნიორის მხრიდან. ამ კატეგორიას განეკუთვნება შემთხვევები, როცა პარტნიორს ნაწილობრივ აქვს ვანზორციელებული დამატებითი შესატანი, ხოლო დარჩენილი ნაწილის შეტანის შესაძლებლობა მას არ გააჩნია.²³ მნიშვნელოვან საფუძვლად შეიძლება ასევე ჩათვალოს საზოგადოების მიერ საქმიანობის პროფილის შეცვლა ან სხვა საზოგადოებასთან შერწყმა, რის გამოც პირს აღარ სურს გააგრძელოს პარტნიორობა ამ საზოგადოებაში.²⁴

გასვლა ხორციელდება საზოგადოების წინაშე ნების გამოხატვით, რაც, როგორც წესი, გასვლის შესახებ განცხადების შეტანით კეთდება. გასვლის შესახებ განცხადების შეტანა ავტომატურად არ იწვევს პარტნიორის გასვლას საზოგადოებიდან. განცხადების შეტანა პარტნიორს აძლევს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.²⁵ სარჩელის შეტანა სასამართლოში საზოგადოებიდან გასვლის მოთხოვნით ან შესამე პირთა თანხმობა გასვლის თაობაზე არ არის აუცილებელი.²⁶ თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გამსვლელმა პარტნიორმა სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუკი საზოგადოება დროულად არ დააკმაყოფილებს მის განცხადებას საზოგადოებიდან გასვლისა და სათანადო კომპენსაციის მიღების თაობაზე. ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, გამსვლელ პარტნიორს, თუკი მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, უფლება აქვს საზოგადოების დაშლაც კი მოითხოვოს.²⁷

თუ პარტნიორი საზოგადოებიდან გადის არა წილის გასხვისების გზით (მათ შორის დანარჩენ პარტნიორებზე მიყიდვის გზით), მაშინ წარმოიშობა მისი წილის კომპენსაციის პრობლემა. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში მას აქვს თავისი *წილის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება*. სადავო შეიძლება გახდეს წილის კომპენსაციის სიდიდე და ფორმა (ფულით თუ ნატურით).

²³ MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 19-21.

²⁴ Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht. 2. Aufl. S. 387, 2. E. Rn. 177.

²⁵ MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 22.

²⁶ Baumbach/Hueck AktG. Anh. §34, Rn. 20.

²⁷ Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht. 2. Aufl. S. 387, 2. E. Rn. 178.

თუ მხარეები შეთანხმდნენ წილის ფულად კომპენსაციაზე, მაშინ მისი სიდიდე განისაზღვრება ამ წილის საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით ვინაიდან, საქართველოში საბაზრო ურთიერთობები ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და წილის ფასის დადგენა არცთუ იოლია, მიზანშეწონილია კომპენსაციის სიდიდის საზომად აღებულ იქნეს წილის საბალანსო ღირებულება.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლისას წილის კომპენსაციის საკითხს შესაძლოა წესდება დაწერილებით აწესრიგებდეს და ითვალისწინებდეს შეზღუდვებსაც. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს საზოგადოებიდან გასვლის უფლების არსებით შეზღუდვას.²⁸

უფრო რთულია შემთხვევა, როცა საზოგადოებიდან გასვლის მსურველი პარტნიორი წილის კომპენსაციად მოითხოვს ნატურით ზუსტად იმ ქონებას, რომელიც მან საზოგადოებაში შეიტანა არაფულადი შესატანის სახით. საქართველოში გახშირდა შემთხვევები, როცა პარტნიორები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან პარტნიორებთან ურთიერთობებით, მოითხოვენ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების უკან დაბრუნებას. ეს აიხსნება იმით, რომ მომავალ პარტნიორებს საზოგადოების დაფუძნებისას კარგად არა აქვთ გაცნობიერებული, თუ რას ნიშნავს საზოგადოების კაპიტალში შეტანილი ქონების უკან დაბრუნება. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მომავალ პარტნიორებს საზოგადოების დაფუძნებისას არა აქვთ სწორი წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს საზოგადოების კაპიტალში შესატანის განხორციელება. ისინი ამ მიზნით ხშირად „დებენ“ საკუთარ მანქანებს, ბინებს, სახლებს ისე, რომ ეს ქონება მაინც თავიანთი საკუთრება ჰგონიათ. სინამდვილეში კი, განხორციელებული შესატანი საზოგადოების საკუთრებაა და მას განკარგავს საზოგადოება თავისი მართვის ორგანოების მეშვეობით.²⁹

გამსვლელ პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს წილის კომპენსაცია და საზოგადოება მას ამაზე უარს ვერ ეტყვის. მაგრამ, *საზოგადოება არაა ვალდებული წილის კომპენსაციის სახით დაუბრუნოს გამსვლელ პარტნიორს საწესდებო კაპიტალში შეტანილი არაფულადი შესატანი*. თუ საზოგადოებაში წარმოიშობა აზრთა სხვადასხვაობა წილის

²⁸ MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn.24.

²⁹ დაწერილებით იხილეთ მე-3 მუხლის კომენტარი.

ნატურით კომპენსაციის თაობაზე, საკითხი უნდა გადაწყდეს ხმათა უმრავლესობით.

თუ პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამსვლელი პარტნიორისათვის წილის ნატურით კომპენსაციის შესახებ, უფრო ზუსტად კი, არაუფლადი შესატანის უკან დაბრუნების გზით, მაშინ ამოქმედდება კანონის იმპერატიული ნორმა, რომლის თანახმადაც შესატანის უკან დაბრუნება დაიშვება:

ა. მხოლოდ საწესდებო კაპიტალის ოფიციალური შემცირების გზით (3.3 მუხლის მეორე აბზაცის 1-ლი წინადადება);

ბ. წესდებაში სათანადო ცვლილების შეტანისა და მისი სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ (3.3 მუხლის მეორე აბზაცის მე-2 წინადადება);

გ. საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციით სამეწარმეო რეესტრში (3.3 მუხლის მეორე აბზაცის მე-3 წინადადება);

დ. საწესდებო კაპიტალის შემცირების რეგისტრაციიდან და გამოქვეყნებიდან 12 თვის შემდეგ (3.6 მუხლის პირველი აბზაცის მე-3 წინადადება).

თუ გამსვლელ პარტნიორს შესატანი დაუბრუნდა აღნიშნული მოთხოვნების დარღვევით, იგი ვალდებულია საზოგადოებას დაუბრუნოს მიღებული ქონება. გარდა ამისა, ღირექტორებიცა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც პასუხს აგებენ სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით. ეს პასუხისმგებლობა ძალაშია მაშინაც, თუ შესატანის დაბრუნების თაობაზე არსებობდა შპს-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება (9.7 მუხლის მე-2 აბზაცის მე-3 წინადადება).

ზემოთ განხილული მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წილის კომპენსაცია საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში დაუშვებელია, თუკი ამით საფრთხე ემუქრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალს და მთლიანად საზოგადოების საკუთრებას.

ამ იმპერატიულ ნორმათა მიზანი საზოგადოების კრედიტორებისა და ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვაა. წარმოვიდგინოთ, რომ ერთმა პირმა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადო თავისი ორსართულიანი სახლი. ამ საზოგადოების კონტრაქტმა იცის, რომ საწესდებო კაპიტალი უზრუნველყოფილია ორსართუ-

ლიანი სახლით. ამ იმედით დებს იგი საზოგადოებასთან ძვირადღირებულ ხელშეკრულებას. თუ ჩვენ საზოგადოების პარტნიორს უფლებას მივცემოდით თვითნებურად გამოეტანა უკვე შეტანილი ქონება, ეს დიდი რისკის ქვეშ დააყენებდა ხელშეკრულების კონტრაქტს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთი ურთიერთობები თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ასეულ ათასობითაა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს განხორციელებული შესატანის დაუსაბუთებლად უკან დაბრუნებას.

პარტნიორის გასვლასთან დაკავშირებული წილის კომპენსაციის საკითხს პარტნიორები წესდებაში აწესრიგებენ. წესდებით განისაზღვრება კომპენსაციის ფორმა, ოდენობა და სხვა პირობები. მაგრამ ამ შემთხვევაში პარტნიორებს არ შეუძლიათ კანონის 3.6 მუხლის მოთხოვნათა იგნორირება.

პარტნიორის გასვლის შედეგად საწესდებო კაპიტალში ღიად დარჩენილი წილი გადანაწილდება დანარჩენ პარტნიორებს შორის, თუ ისინი სხვაგვარ წესზე არ შეთანხმებულან.

IV. პარტნიორის გარიცხვა შპს-დან

შპს-თან პარტნიორის ურთიერთობის გაწყვეტის ერთ-ერთი ფორმაა პარტნიორის გარიცხვა. მართალია, კანონი კონკრეტულად მხოლოდ ერთ შემთხვევაში განამტკიცებს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას (3.5 მუხლის მე-2 აბზაცი), მაგრამ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ არის აღიარებული საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა.³⁰ ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა გარიცხვის შესახებ წესებს საზოგადოების წესდება არ შეიცავს. როცა საზოგადოების წესდება განამტკიცებს საზოგადოებიდან გარიცხვის უფლებას, მაშინ ეს საკითხი ნათელია. ამიტომ აქ განვიხილავ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა გარიცხვის უფლება წესდებით არაა განმტკიცებული.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაიშვება მხოლოდ მნიშ-

³⁰ Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. 15. Aufl. §34, Rn 24-35 და სხვა.

ენელოვანი საფუძვლის არსებობისას. ამ უკანასკნელის განსაზღვრა და შეფასება სასამართლო პრაქტიკის საქმეა, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით აქაც შეიძლება საორიენტაციო მაგალითების მოხმობა. ყველაზე უზოგადესი განსაზღვრების თანახმად, მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს მაშინ, როცა გასარიცხი პარტნიორის პიროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი დარჩენა საზოგადოებაში (დანარჩენი პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ მას, ვინაიდან მან დაარღვია თავისი მოვალეობები და საზოგადოების ტექნოლოგიური საიდუმლოებანი გადასცა კონკურენტ საწარმოს, რის გამოც საზოგადოებას დიდი ზიანი მიადგა და ა.შ.).³¹

საზოგადოებიდან გარიცხვა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოს იგი, როცა დარწმუნდება, რომ ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოებაში საქმიანობის შემდგომი გაგრძელება. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან და საკმარის საფუძველად ის ფაქტი, რომ გასარიცხმა პარტნიორმა სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე დაეალები ხელშეკრულებით გადასცა თავისი წილი სხვა პირს.³²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არ ჩათვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან საფუძველად ის ფაქტი, რომ პარტნიორი სისტემატურად მიმართავდა შინაგან საქმეთა ორგანოებს განცხადებით, სადაც ამხელდა შპს-ის პარტნიორთა და თანამშრომელთა დანაშაულებრივ ქმედებებს. ამ პარტნიორის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ერთ-ერთ თანამშრომელს მსჯავრი დაედო საზოგადოების ქონების დატაცებისათვის.³³ ამ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლომ, რომლის აზრითაც „ეს მოქმედებები პარტნიორთა მიმართ ჩასაფრებული პარტნიორის საქციელს ჰგავს, ვი-

³¹ Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. – München: Beck. Bd. 3. GmbH / hrsg. von Hans-Joachim Priester; Dieter Mayer, §29, Rn. 33-53. (შემდგომში: MünchHdb.GesR III/ავტორი §... რიგითი ნომერი).

³² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №12, გვ. 1402. 1403.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3, /647-01

დრე კანონიერების სადარაჯოზე მდგარი კაცისა.“ აღნიშნულის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა მორალური და საქმიანი პრინციპები იმგვარად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მომავალში მათი პარტნიორობა და ერთობლივი საქმიანობა შესაძლოა ვერ გაგრძელდესო და ამ საფუძვლით დააკმაყოფილა საზოგადოების სარჩელი პარტნიორობის გარიცხვის თაობაზე.³⁴

შპს „არგოს“ ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ერთი გარემოება: საზოგადოების წესდება განსაზღვრავდა პარტნიორობის გარიცხვის საფუძვლებს – ნებისმიერი სახის მოსაკრებლების, საზოგადოების ქონების მითვისების, გაფლანგვა-განიავების მცდელობა, სამუშაო საათებში ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა-დატოვება, ხელმძღვანელობის კანონიერი დავალებების შეუსრულებლობა და სხვა. უზენაესი სასამართლოს შეფასებით არც ერთი ეს წინაპირობა საზოგადოებიდან პარტნიორობის გარიცხვისათვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა.³⁵

სასამართლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა სასამართლო არ აძლევს სათანადო შეფასებას იმ ფაქტებს, რომლებზე დაყრდნობითაც პარტნიორები მოითხოვენ საზოგადოებიდან პარტნიორობის გარიცხვას და შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ კანონი პარტნიორობის გარიცხვის მხოლოდ ერთ საფუძველს იცნობს – შესატანის შეუტანლობას საწესდებო კაპიტალში.³⁶ ამ დროს აუცილებელია სასამართლომ შეფასება მისცეს იმ ფაქტებს, რომლებზეც უთითებს საზოგადოება, გაარკვიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საფუძველი საზოგადოებიდან პარტნიორობის გარიცხვისათვის.

პარტნიორობის გარიცხვის წინაპირობა არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო, და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3, /647-01

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3, /647-01

³⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №2, ვკ. 272-274.

მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უბრალო უმრავლესობით³⁷. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს³⁸. თუ შპს ორი პარტნიორისაგან შედგება, მაშინ გასარიცხი პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს, ე.ი. ამ დროს გადაწყვეტილებას იღებს ერთი პარტნიორი. საზოგადოებიდან შეიძლება გაირიცხოს რამდენიმე პარტნიორი. ყოველი პარტნიორის გარიცხვაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე³⁹. *პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს მის გარიცხვას საზოგადოებიდან.* უფრო ზუსტად, ეს არის საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო.⁴⁰ ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა საზოგადოების წესდება პირდაპირ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვის უფლებას.⁴¹

პარტნიორის გარიცხვის შესახებ საზოგადოების კრების გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონის 47.3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დაეაში მოსარჩელე არის საზოგადოება (და არა ცალკეული პარტნიორები), ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პარტნიორი. გარიცხვის გამო გამართულ სასამართლო პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები⁴², რომელთა უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით შეიძლება 47.4 მუხლის შესაბამისად განისაზღვროს.

პარტნიორის გარიცხვის საკითხის უდავო წარმოების წესით გადა-

³⁷ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გარიცხვისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეობა საპროტესტის მხარდაჭერა. (MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 43).

³⁸ Lutter/Hommelhoff. GmbH-Gesetz: Kommentar. 15. Aufl. §34, Rn. 28.

³⁹ MünchHdb.GesR III/Kort §29, Rn. 43.

⁴⁰ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 44 – 50; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთემინტურის“ საქმეზე №3 /530-02.

⁴¹ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 148.

⁴² სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ. 49.

წყვეტა დაუშვებელია. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით⁴³, გარდა 3.5 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁴⁴

თუ გარიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გასარიცხი პარტნიორი თავის წილს გაასხვისებს, მაშინ დავა უნდა შეწყდეს, ვინაიდან დავის საგანი უკვე აღარ არსებობს – წილის გასხვისებით პარტნიორი საზოგადოებიდან გასულად ითვლება.⁴⁵

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ ნიშნავს მისთვის წილის კომპენსაციის უფლების ჩამორთმევას. მას აქვს უფლება მიიღოს წილის კომპენსაცია მისი წილის სრული ღირებულების ოდენობით. ეს ღირებულება განისაზღვრება საბალანსო ჩანაწერების მიხედვით.

გარიცხული პარტნიორის წილის კომპენსაციის ფორმისა და მოცულობის მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც საზოგადოებიდან გასული პარტნიორის წილის კომპენსაციის მიმართ.⁴⁶ იმპერატიული ნორმები საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების თაობაზე, ამ შემთხვევაშიც, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უნდა იყოს დაცული.

V. პარტნიორთა კრების მოწვევა (46.8 მუხლი)

47-ე მუხლი განსაზღვრავს პარტნიორთა კრების მოწვევის წესსა და ამ კრების კომპეტენციას. 46.8 მუხლი განამტკიცებს პარტნიორთა უფლებამოსილებას მოიწვიონ რიგგარეშე კრება. კრების მოწვევის უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის მეოცედი ნაწილის მფლობელ პარტნიორებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ პარტნიორები უფლებამოსილნი არიან მოიწვიონ პარტნიორთა კრება.

კრების მოწვევისას მითითებული უნდა იყოს კრების მიზანი, შესაბამისად, დღის წესრიგი და კრების მოწვევის საფუძველი.

თუ კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელი პარტნიორების ამ

⁴³ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ. 49; №3, გვ. 247-248.

⁴⁴ დაწერილებით იხილეთ 3.5 მუხლის კომენტარი.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთუმინტერის“ საქმეზე №3 /530-02

⁴⁶ იხილეთ IV პარაგრაფი.

მოწვევას სხვა პარტნიორები ან დირექტორები არ გამოეხმაურებიან, მაშინ ისინი თვითონ იწვევენ ამ კრებას.

საკითხს, თუ ვინ უნდა გადაიხადოს კრების მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები, წვევებს პარტნიორთა კრება.

VI. კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობაზე (46.9 და 46.10 მუხლები)

1. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ინდივიდუალური კონტროლი (ინფორმაციის მიღების უფლება)

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას. ეს კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თითოეული პარტნიორის მიერ როგორც ინდივიდუალურად, ასევე პარტნიორთა კრების მეშვეობით. პირველ შემთხვევას აწესრიგებს კანონის 46.9 და 46.10 მუხლები, ხოლო პარტნიორთა კრების მეშვეობით კონტროლის განხორციელების ფორმები, მოცულობა და შინაარსი გათვალისწინებულია 47-ე მუხლში.

ამჯერად შევეხები ინდივიდუალურ კონტროლს, როგორც პარტნიორის უფლებას თვალყური ადევნოს საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობას.

პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია არ არის საკმარისი ან სრულად ვერ აკმაყოფილებს პარტნიორის მოთხოვნებს, მას შეუძლია გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებსა და სხვა ჩანაწერებს, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. იმავდროულად, დირექტორი ვალდებულია პარტნიორს მისცეს ასეთი შესაძლებლობა (46.10 მუხლის პირველი აბზაცი).

2. დირექტორის უარი

მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორი უფლებამოსილია მიიღოს საჭირო ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, კანონი მანც ანიჭებს დირექტორს უფლებას, უარი უთხრას პარტნიორს ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე. იმედგარეულად, კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ როდის შეუძლია დირექტორს არ დააკმაყოფილოს პარტნიორის მოთხოვნა:

ა. როცა ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება გამოიყენოს საზოგადოების საწინააღმდეგოდ და

ბ. ამით საზოგადოებას ან მის მოკავშირე საწარმოს შესაძლოა მოუტანოს უარყოფითი შედეგები. დირექტორის მიერ უარის თქმის უფლება მანც დამოკიდებულია პარტნიორების გადაწყვეტილებაზე. ეს ნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პარტნიორები. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ საზოგადოების წესდება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს.

პრაქტიკაში, როგორც წესი, კონფლიქტი დირექტორსა და პარტნიორს შორის ინფორმაციის გაცემაზე წამოიშობა კომერციული საიდუმლოების გამო, როცა აშკარაა, რომ ამ საიდუმლოების გამჟღავნება ერთ-ერთი პარტნიორისათვის შეიძლება ზიანი მიაყენოს თვით საზოგადოებას.

3. სასამართლოს უფლებამოსილება

პარტნიორთა გადაწყვეტილების გარდა, არსებობს პარტნიორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მეორე გზაც: ესაა სასამართლო. სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით დაავალდებულოს დირექტორი გასცეს პარტნიორზე საჭირო ინფორმაცია. ამის საფუძველს წარმოადგენს პარტნიორის განცხადება სასამართლოში დირექტორისაგან ინფორმაციის მიღების მოთხოვნით.

მუხლი 47. პარტნიორთა კრება

47.1. პარტნიორთა კრება ტარდება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ, თუ პარტნიორებმა არ ისარგებლეს 47.7 მუხლში გათვალისწინებული უფლებით. დირექტორებმა უნდა მოიწვიონ საზოგადოების კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს ანდა თუ პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას 46.8 მუხლის შესაბამისად.

47.2. საზოგადოების წესდების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ასეთ გადაწყვეტილებას სჭირდება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება.

47.3. თუ საზოგადოების წესდება სხვა წესებს არ შეიცავს, მაშინ პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, კერძოდ:

- ა. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- ბ. წილთა შექმნა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შექმნა, გასხვისება და ლიკვიდაცია;
- გ. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- დ. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ე. უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება და დატვირთვა;
- ვ. ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს;
- ზ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგებილ ოდენობას;
- თ. იმ სესხისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;
- ი. ხელმძღვანელ მუშაკათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
- კ. პროკურის გაცემა და გაუქმება;
- ლ. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;
- მ. წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
- ნ. შესატანების გადახდის მოთხოვნა;

ო. დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;

პ. ღირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშის დამტკიცება.

47.4. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პარტნიორთა კრება საზოგადოების ხელმძღვანელობას აძლევს ცალკეულ დავალებებს ამ ხელმძღვანელობის კომპეტენციის ფარგლებში.

47.5. ღირექტორებს შეუძლიათ მოიწვიონ საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომლებსაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

47.6. კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

47.7. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

47.8. საზოგადოების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ან თუ არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

47.9. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარის ხელმოწერა.

I. ცნება

პარტნიორთა კრება შპს-ს მართვის უმაღლესი ორგანოა. მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებას შეეხება, თვით ლიკვიდაციის ჩათვლით. პარტნიორთა კრების კომპეტენცია განსაზღვრულია კანონის 47.3 მუხლში. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. საზოგადოების წესდებამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს ეს კომპეტენცია.

პარტნიორების მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის უნდა გაფორმდეს, როგორც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები.

ცნება „პარტნიორთა კრება“ საზოგადოების წესდებაში გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა საზოგადოებას ერთი პარტნიორი ჰყავს. ამ პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს პარტნიორთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად. აქ საქმე გვაქვს ე.წ. იურიდიულ ფიქციასთან. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო წარმოდგენს შპს-ის ერთადერთ პარტნიორს, მისი გადაწყვეტილებები შეიძლება გაფორმდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებად.

არასწორია, როცა საზოგადოების წესდებაში მართვის უმაღლეს ორგანოდ მიიჩნევენ იმ სამინისტროს ან სახელმწიფო ორგანოს, რომლითაც წარმოდგენილია სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო საზოგადოების პარტნიორია, ხოლო საზოგადოების ორგანო მანც პარტნიორთა კრებაა.

II. პარტნიორთა მორიგი და რიგგარეშე კრებები

1. პარტნიორთა მორიგი კრება

პარტნიორთა მორიგი კრება უნდა ჩატარდეს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მანც. ეს კანონის იმპერატიული ნორმაა. ამ კრებამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საზოგადოების საქმიანობის წლიური შედეგების შესახებ. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს (47.7 მუხლი).

2. პარტნიორთა რიგგარეშე კრება

პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვთ პარტნიორებს, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს (46.8 მუხლი). ისინი ვალდებული არიან მოსაწვევეში მიუთითონ კრების მიზანი და მისი მოწვევის საფუძველი. თუ კრების მოწვევის მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან დანარჩენი პარტნიორები, მაშინ კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ პარტნიორებს თვითონ შეუძლიათ მოიწვიონ პარტნიორთა კრება.

გარდა პარტნიორებისა, რიგგარეშე კრების მოწვევის ვალდებულება აკისრიათ დირექტორებს, თუ

ა. საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს (47.1 მუხლის მეორე წინადადება);

ბ. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელი პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას (47.1 მუხლის მეორე წინადადება);

გ. წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს (47.6 მუხლი).

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა შემთხვევებსაც, როცა დირექტორები ვალდებული არიან მოიწვიონ პარტნიორთა კრება.

დირექტორებს კრების მოწვევის მოვალეობის შეუსრულებლობის გამო დაეკისრებათ პასუხისმგებლობა 9.7 მუხლის შესაბამისად.

III. პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურა და კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა

დირექტორებს შეუძლიათ მოიწვიონ საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით. წერილში მოცემული უნდა იყოს კრების დღის წესრიგის პროექტი. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგის პროექტში.

პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია (ე.ი. უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები), თუ მას ესწრებიან ხმათა უმრავლესო-

ბის მქონე პარტნიორები. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებას უნარიანი, ვინაიდან, მასზე არ გამოცხადდა ხმათა უმრავლესობა, კრების მოწვევის შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებას უნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდა პარტნიორთა უმრავლესობა. სხვა დღის წესრიგით კრების ხელშეწყობა მოწვევა არ უნდა შეფასდეს კრების განმეორებით მოწვევად; არც სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით კრების მოწვევა ჩათვლება კრების განმეორებით მოწვევად მას შემდეგ, რაც კრება კვორუმის არარსებობის გამო ერთხელ უკვე გადაიღო.⁴⁶

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კრების მოწვევის სხვაგვარ პროცედურას, კერძოდ, ტელეფონით, ფაქსით, ტელეგრაფით და ა.შ.

კანონის მოთხოვნათა იგნორირებით კრების ჩატარება ძალიან ხშირია, რაც იწვევს პარტნიორებს შორის მუდმივ უსიამოვნებებს, და სასამართლო პრაქტიკაც მრავლად იცნობს ამგვარ დავებს.⁴⁷ როგორც პრაქტიკა ადასტურებს, სადავო ხდება კრების მოწვევის პროცედურის დაცვა (პარტნიორების შეტყობინება დადგენილი წესითა და ფორმით, დღის წესრიგის გაგზავნა საკითხების ზუსტად მითითებით, კრების ადგილის აღნიშვნა და ა.შ.) და კრების ოქმის შედგენა.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორ უნდა შედგეს შპს-ის პარტნიორთა კრების ოქმი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს კრების ოქმი, კერძოდ: იგი „უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას და დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებას უნარიანი; ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს იმ პარტნიორების ვინაობა, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და უნდა აღნიშნოს დაუსწრებლობის მიზეზებიც. ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭი-

⁴⁶ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ 44 – 50.

⁴⁷ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №1, გვ 44 – 50; 2001 წ., №12, გვ 1376 – 1381 და სხვა.

სყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე. სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც“.⁴⁸

თუ აღნიშნული მოთხოვნები არ არის დაცული, კრების გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად.

IV. გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების მიერ

გადაწყვეტილების მიღების კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება *ხმათა უბრალო უმრავლესობით*. ამასთან, კანონი უთითებს, თუ რომელ შემთხვევაში უნდა იქნეს უბრალო უმრავლესობა გამოყენებული.

1. წესდების შეცვლა

საზოგადოების წესდება შპს-ის ძირითადი დოკუმენტია. მისი მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, ასევე წესდების ახალი რედაქციის მიღება შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდება „კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა და სანოტარო წესით დამოწმება“ (47.2 მუხლი)

47-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სანოტარო წესით დამოწმება სჭირდება პარტნიორთა კრების მხოლოდ იმ ოქმს, რომლითაც ცვლილებები შედის წესდებაში. ყველა სხვა შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ კრების თავმჯდომარის ხელმოწერა (47.9 მუხლი). თუმცა, პრაქტიკაში დაინერგა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, როგორც წესი, პარტნიორთა კრების ოქმი მოწმდება სანოტარო წესით.

2. საერთო კრების კომპეტენცია

ა. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა

შპს-ის სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა ხდება პარტნიორთა საერთო კრებაზე. აღიარებული შეხედულების თანახმად, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს, ღირე-

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილომინტერის“ საქმეზე №3 /530-02.

ტორებს არა აქვთ ამ პრინციპების განსაზღვრის უფლებამოსილება⁴⁹. სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება პარტნიორთა კრების მიერ და განსახორციელებლად გადაეცემათ დირექტორებს;

ბ. წილთა შექმნა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შექმნა, გასხვისება და ლიკვიდაცია

შპს-ის, როგორც სამეწარმეო საზოგადოების, საქმიანობის ბუნებრივ გამოხატულებას წარმოადგენს სხვა სამეწარმეო საზოგადოებებში დამფუძნებლად მონაწილეობა ანდა ამ საზოგადოებათა წილების შექმნა და ასევე, მათი გასხვისება. წილის ცნებას ამ შემთხვევაში კანონი ფართო გაგებით იყენებს და მასში იგულისხმება აქციებიც. კანონი არ განსაზღვრავს წილის (აქციის) ოდენობას, რომლის შექმნის ან გასხვისებისათვის საჭიროა პარტნიორთა კრების თანხმობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა საზოგადოება აპირებს სხვა საზოგადოების წილთა (აქციების) შექმნას ან გასხვისებას, აუცილებელია ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების მიერ დირექტორებს დამოუკიდებლად არა აქვთ უფლება საზოგადოების სახელით დადონ ასეთი გარიგებები.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაა საჭირო იმ შემთხვევაშიც, როცა შპს იძენს სხვა საწარმოს ან ასხვისებს მას. საწარმოს შექმნაში უნდა ვიგულისხმოთ არა სხვა საზოგადოების წილთა (აქციების) შექმნა, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი, არამედ საწარმოს, როგორც ობიექტის, სამეურნეო კომპლექსის (ქარხნის, საამქროს) შექმნა ან გასხვისება.

საზოგადოების წილის გასხვისება არ უნდა გაიგივდეს პარტნიორის მიერ წილის გასხვისებასთან. 47.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ეხება საზოგადოების მიერ წილისა და უძრავი ქონების შექმნას ან გასხვისებას და არა პარტნიორის მიერ საკუთარი წილის გასხვისებას, რომლისთვისაც, 46.7 მუხლის თანახმად, ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს პარტნიორთა კრების თანხმობა.⁵⁰

შპს-ის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების განსაკუთრებული (ექსკლუზიური) კომპეტენციაა;

⁴⁹ MünchHdb.GesR III/Ingerl §37, Rn. 5.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 1999 წლის 3 ნოემბრის განჩინება შპს „ლიმენას“ საქმეზე (№3-68).

გ. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა

წარმოების სახეები, რაც საქმიანობის საგნის დაზუსტებას წარმოადგენს, განისაზღვრება საზოგადოების დაფუძნებისას და აღინიშნება საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების წესდებით განსაზღვრული საქმიანობის საგანი შეიძლება წარმოების რამდენიმე სახეობით დაკონკრეტდეს. მაგალითად, საქმიანობის საგანი შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საქონლის წარმოება, ხოლო წარმოების კონკრეტული სახე კი იყოს: მაცივრების ანდა სარეცხი მანქანების წარმოება. ვინაიდან წარმოების ყოველი ახალი სახის დაწყება საზოგადოების მხრიდან გარკვეული ინვესტიციების განხორციელებასთან არის დაკავშირებული, აუცილებელია, რომ ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს პარტნიორთა საერთო კრებამ;

დ. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია

გადაწყვეტილება ფილიალების შექმნის შესახებ მიიღება პარტნიორთა საერთო კრების მიერ. შესაძლებელია, რომ საზოგადოების წესდებით ეს უფლება ღირექტორებს გადაეცეთ;

ე. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა

პარტნიორთა კრების აუცილებელი თანხმობაა საჭირო ღირექტორებს მიერ იმ გარიგებათა დადებისათვის, რომლებითაც ხდება უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან დატვირთვა.

პარტნიორთა კრების მოწვევა არაა სავალდებულო იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების ღირექტორი იმავდროულად წილთა უძრავი ქონების მესაკუთრეა და ღებს საზოგადოების უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის გარიგებებს.⁵¹ ეს აიხსნება იმით, რომ კანონის 47.3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიზანია საზოგადოების პარტნიორთა დაცვა ღირექტორების მხრიდან საზოგადოების ქონების შესაძლო ფარული გასხ-

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გოულის“ საქმეზე №3, /845-01

ვისების საფრთხისაგან. თუკი საზოგადოების დირექტორი წილთა უმრავლესობის მფლობელია და იგი დებს ამ ქონების გასხვისების გარიგებას, მაშინ ქონების ფარულად გასხვისების საფრთხეც აღარ არსებობს. ამიტომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სწორად განმარტა, რომ კანონის 47.3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როცა დირექტორი ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორი არ არის⁵² ან იგი საერთოდ არ წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორს;

ვ გადაწყვეტილება ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის ათ პროცენტს

საზოგადოების მიერ განხორციელებული ინვესტიციები შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს: ახალი საწარმოების შექმნა, ტექნოლოგიური ხაზებისა თუ პროცესების შექმნა და ა.შ. თუ საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები აღემატება ბოლო წლის საბალანსო თანხის 10%-ს, აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება;

ზ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას

ყოველი სამეურნეო წლის დასაწყისში პარტნიორთა კრება განსაზღვრავს იმ სესხებისა და კრედიტების ოდენობას, რომელთა აღების უფლება დირექტორებს აქვთ. თუკი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აუცილებელი ხდება დამატებითი სესხის ან კრედიტის აღება, რომელიც დადგენილ თანხას აღემატება, აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

ამგვარი გადაწყვეტილება არ არის აუცილებელი, თუკი საზოგადოების დირექტორი იმავდროულად არის საწესდებო კაპიტალის წილთა უმრავლესობის მქონე პარტნიორი;

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გიულის“ საქმეზე №3/845-01

თ იმ სესხისა და კრედიტის უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას

საკითხი, იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაითვალოს საქმიანობად, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გარდა ამისა, ასეთი საქმიანობის ჩამონათვალი უნდა გაკეთდეს საზოგადოების წესდებაში. მაგალითად, წიგნის ფაბრიკა, ბანკში აღებული სესხის გარანტიად უდგება რძის გადამამუშავებელ ქარხანას. ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა „ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება“ (47.4 მუხლი);

ი. ხელმძღვანელ მუშაკათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა

ჩვეულებრივ შპს-ის მოგება ნაწილდება საზოგადოების პარტნიორებს შორის საწესდებო კაპიტალში მათი წილის შესაბამისად. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საზოგადოების მოგებაში მონაწილეობენ ის პირებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოების პარტნიორებს. მათ, როგორც წესი, განეკუთვნება დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები და ა.შ. ამგვარი მონაწილეობის საფუძვლები შეიძლება წესდებით იყოს განსაზღვრული, თუმცა ეს არ არის საეალღებულო. პარტნიორთა კრებას თვითონ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მოგებასა თუ საერთო შემოსავალში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობის საკითხზე.

დიდი ტრადიციების მქონე შპს-ებში არსებობს საპენსიო ფონდებიც, საიდანაც საზოგადოების გამოჩენილ ხელმძღვანელებს ენიშნებათ პენსია. ამ პენსიის დანიშნვისა და ოდენობის განსაზღვრაც შეადგენს პარტნიორთა კრების კომპეტენციას;

კ. პროკურის გაცემა და გაუქმება

დირექტორების გარდა საზოგადოების წარმომადგენლობის უფლება აქვთ პროკურისტებს. პროკურის გაცემა და მისი გაუქმება პარტნიორთა კრების კომპეტენციაა, თუმცა ეს უფლებამოსილება შეიძლება დირექტორებსაც ჰქონდეთ (10.1 მუხლი);

ლ. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე, დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს

დამატებითი უფლებების ცნებაში იგულისხმება ის უფლებები, რომლებიც საზოგადოებას წარმოემოხა პარტნიორების მიერ შესატანის შეუტანლობით გამოწვეული ანდა დირექტორების მიერ თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. პარტნიორთა კრებას შეუძლია ამ დამატებითი უფლებების გამოყენებაზე უარი თქვას. თუმცა, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ საზოგადოებას არა აქვს უფლება უარი თქვას ზოგიერთი მოთხოვნის გამოყენებაზე (3.7 მუხლი).⁵³

პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლო პროცესებში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ, რომლებშიც საზოგადოება გამოდის დირექტორების წინააღმდეგ.

მ. წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება

საზოგადოების საქმიანობის წლიური შედეგების დამტკიცება და ამ შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება პარტნიორთა კრებაზე. შედეგების შესახებ ინფორმაცია კეთდება დირექტორების მიერ.⁵⁴

ნ. შესატანების გადახდის მოთხოვნა

საზოგადოების დაფუძნებისას საზოგადოების პარტნიორები განსაზღვრავენ საწესდებო კაპიტალის ოდენობას და თითოეული პარტნიორის შესატანის სიდიდეს. პარტნიორებისაგან შესატანის გადახდის მოთხოვნის უფლება აქვს პარტნიორთა კრებას.⁵⁵

⁵³ დაწვრილებით იხილეთ 3.5 – 3.7 მუხლების კომენტარი.

⁵⁴ დაწვრილებით იხილეთ 50-ე და 57.2 მუხლების კომენტარი.

⁵⁵ დაწვრილებით იხილეთ 3.3-3.7 მუხლების კომენტარი.

ო. დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება

პარტნიორების მიერ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში დამატებითი შესატანების გადახდა ისეთივე წესით ხდება, როგორც საწესდებო კაპიტალის შევსება საზოგადოების დაფუძნებისას. უმთავრესი აქ ისაა, რომ დამატებითი შესატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პარტნიორთა კრებამ და ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში.

დამატებითი შესატანების გადახდა, ბუნებრივია, იწვევს საზოგადოების ქონების გაზრდას. ვინაიდან დამატებითი შესატანები საზოგადოების საკუთრებად გადაიქცევა, პარტნიორებს ცალმხრივად არა აქვთ უფლება მოითხოვონ ამ შესატანების უკან დაბრუნება.⁵⁶ დაუშვებელია ასევე უკან დაბრუნების გარანტიის მიცემა.⁵⁷ თუმცა დამატებითი შესატანების უკან დაბრუნების შესაძლებლობას კანონი მაინც ითვალისწინებს. ამისთვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა.

ერთმანეთისაგან განასხევებენ *დამატებითი შესატანების უკან დაბრუნების მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობებს*. უკან დაბრუნების მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სრულად შევსება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია დამატებითი შესატანის უკან დაბრუნება. ფორმალური წინაპირობა არის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დამატებითი შესატანის უკან დაბრუნების შესახებ. დასაშვებია, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ჰქონდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატს, თუკი ამის შესახებ აღნიშნულია საზოგადოების წესდებაში;⁵⁸

პ. დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშის დამტკიცება.

დირექტორების დანიშვნა, მათი გამოწვევა და ანგარიშების დამტკიცება წარმოადგენს პარტნიორთა კრების მნიშვნელოვან კომპეტენციას.

⁵⁶ MünchHdb.GesR III/Meyer/Vollrath, §50, Rn. 15.

⁵⁷ MünchHdb.GesR III/Meyer/Vollrath, §52, Rn. 39

⁵⁸ MünchHdb.GesR III/Meyer/Vollrath, §52, Rn. 40ff.

საზოგადოების ღირეპტორი შეიძლება იყოს მხოლოდ შეუზღუდავი ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი. დაუშვებელია ღირეპტორად დანიშვნა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების, იურიდიული პირების ან პირთა სხვაგვარი გაერთიანებებისა.⁵⁹

საზოგადოების ღირეპტორად დანიშენისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პირის მოქალაქეობას ან იმას, აქვს თუ არა ამ პირს საქართველოში საცხოვრებელი ადგილი ან ცხოვრების უფლება. ასეთ მოთხოვნებს მეწარმეთა შესახებ კანონი ღირეპტორად დასანიშნ პირთათვის არ ითვალისწინებს.

თუ შპს-ს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმაედროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების ღირეპტორი. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დააპირებს საზოგადოების ღირეპტორობას, იგი ჯერ უნდა გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან და შემდეგ დაინიშნოს ღირეპტორად.⁶⁰

ღირეპტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც საზოგადოების პარტნიორი, ისე გარეშე პირიც. თუ ღირეპტორად დაინიშნა საზოგადოების პარტნიორი, ეს არ უშლის მას ხელს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრების მუშაობაში.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გარკვეულ პირობებსა და შეზღუდვებს ღირეპტორად დასანიშნი პირებისათვის, როგორცაა ასაკი, ამა თუ იმ სფეროში მუშაობის გამოცდილება და ა.შ.

საზოგადოების ღირეპტორის დანიშნის შემდეგ მასთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება.⁶¹ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ღირეპტორის დანიშვნასა და მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებას. ღირეპტორის დანიშვნა არის საკორპორაციო-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ხდება საზოგადოების მმართველობის ორგანოს შექმნა, ხოლო სასამსახურო ხელშეკრულება არის ვალდებულებით-სამართლებრივი

⁵⁹ MünchHdb.GesR III/Marsch-Barnert/Dieckmann, §42, Rn. 1.

⁶⁰ MünchHdb.GesR III/Marsch-Barnert/Dieckmann, §42, Rn. 6.

⁶¹ მართალია, კანონის ტექსტში მითითებულია შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ღირეპტორებსა და საზოგადოებას შორის დადებული ხელშეკრულება არის სასამსახურო ხელშეკრულება და მასზე შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული წესები არ ერეკლდება (სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., № 7, გვ 715).

ურთიერთობა საზოგადოებასა და ღირეპტორის შორის. პრაქტიკაში ხშირ-ია შემთხვევები, როცა ღირეპტორების დანიშვნის შემდეგ მასთან არ ხდება სასამსახურო ხელშეკრულების დადება. ეს დარღვევას არ წარ-მოადგენს, მაგრამ ღირეპტორის სამართლებრივი მდგომარეობა ამ დროს უფრო ნაკლებად არის განსაზღვრული და დაცული, ვიდრე ხელშეკ-რულების დადებისას.⁶²

შპს-ის ღირეპტორთა ანგარიშის დამტკიცების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ის წესები, რაც გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოე-ბის ღირეპტორთა ანგარიშის დამტკიცებისათვის.⁶³

არის შემთხვევები, როცა დანიშვნის აქტის შინაარსი და ხელშეკ-რულების შინაარსი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამ დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს დადებულ ხელშეკრულებას.⁶⁴

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საზოგადოების ღირეპტორის მონაცემები საზოგადოების წესდებაში არის აღნიშნული. ეს არ გამორ-იცხავს იმას, რომ ყოველი ახალი ღირეპტორი დაინიშნოს წესდებაში ამის აღნიშვნის გარეშე, თუმცა ახალი ღირეპტორის რეგისტრაცია სამე-წარმეო რეესტრში აუცილებელია.

ღირეპტორის დანიშვნა პარტნიორთა კრების მიერ ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე ღირეპ-ტორების გამოწვევა. „ღირეპტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონებ-ის განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ ღირეპტორი“.⁶⁵ „საწარმოს ხელმძღვანელობისას ღირეპტორის მიერ განხ-ორციელებული საქმიანობის დამოუკიდებლობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მისი დანიშვნისა და გამოწვევის განსაკუთრებულ წესს და ამ ურთიერთობის მოსაწესრიგე-ბლად გამოიყენება არა შრომის კანონთა კოდექსი, არამედ მეწარმეთა

⁶² დაწერილებით იხილეთ 56-ე მუხლის კომენტარი.

⁶³ დაწერილებით იხილეთ 54-ე მუხლის კომენტარი.

⁶⁴ MünchHdb.GesR III/Marsch-Barner/Dieckmann, §42, Rn. 19.

⁶⁵ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., № 7, ვკ 715.

შესახებ კანონის საეცალური ნორმები“.⁶⁶ შპს-ის დირექტორის გამოწვევის საფუძვლები ისეთივეა, როგორც სააქციო საზოგადოების დირექტორების გამოწვევის საფუძვლები.⁶⁷

3. გადაწყვეტილებათა მიღების დელეგირება დირექტორებისათვის

საზოგადოების წესდებით შეიძლება დირექტორებს დაეკისროთ ზოგიერთი ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომელიც პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება. მაგალითად, დირექტორებს შეიძლება მიეცეთ პროკურის გაცემის ან გაუქმების, ფილიალების შექმნისა და ლიკვიდაციის უფლება (47.4 მუხლის მე-2 წინადადება). კრების კომპეტენცია კი ამ საკითხში მხოლოდ ინფორმაციის მოსმენით შემოიფარგლება.

პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო სამართლის ნორმები გარიგებათა შესახებ, კერძოდ, გარიგების ნამდვილობისა და მისი ბათილობის ნორმები. თითოეული პარტნიორის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია შპს-ის მთლიანი ნების ჩამოყალიბებისაკენ. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება არის პარტნიორთა ნების გამოვლინების შედეგი.

პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნამდვილობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კრების ოქმი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს კრების თავმჯდომარის მიერ.

პარტნიორთა კრების ფორმალზებული გადაწყვეტილება არ არის აუცილებელი იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების დირექტორი და საკონტროლო პაკეტის მქონე პარტნიორი ერთი და იგივე პირია.

⁶⁶ თბ. საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინება შპს „ტიტანი-ქართუს“ საქმეზე (№02^ა-893-2000).

⁶⁷ დაწვრილებით იხილეთ 56-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 48. სამეთვალყურეო საბჭო

1. საზოგადოების წესდებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია, ამასთან საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღემატება 30 000 ლარს და თანხების წლიური ბრუნვის ოდენობა – 100 000 ლარს, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის წესები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ.

2. ამოღებულია

(სსმ, I, 2001, №6, მუხ. 19, ამოქმედდა 21.03.01)

(სსმ, I, 2001, №19, მუხ. 66, ამოქმედდა 03.07.01)

I. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის ორგანო

1. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის ფაქულტატური ორგანო

სამეთვალყურეო საბჭო არ წარმოადგენს შპს-ის აუცილებელ, სავალდებულო ორგანოს, მისი არსებობა დამოკიდებულია პარტნიორთა სურვილზე. პრაქტიკაში უფრო მეტად გაერცელებულია შემთხვევები, როცა შპს-ას არა აქვს სამეთვალყურეო საბჭო.

2. სამეთვალყურეო საბჭო, როგორც შპს-ის სავალდებულო ორგანო

გამონაკლისი ამ წესიდან გვხვდება მაშინ, როცა შპს შექმნილია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით და სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია, ამასთან, საწესდებო კაპიტალის ოდენობა აღემატება 30 000 ლარს და თანხების წლიური ბრუნვის ოდენობა – 100 000 ლარს. მაშასადამე, მხოლოდ ფაქტი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობისა არ არის საკმარისი წინაპირობა იმისათვის, რომ შპს-ში შეიქმნას სამეთვა-

ლყურეო საბჭო. ყველა სხვა წინაპირობაც უნდა იყოს სახეზე: კერძოდ: ა. წილთა ოდენობა უნდა აღემატებოდეს 50%-ს; ბ. საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს 30 000 ლარზე მეტი; გ. თანხების წლიური ბრუნვა უნდა აჭარბებდეს 100 000 ლარს. თუ ერთ-ერთი ამ პირობათაგანი არ არის სახეზე, საეაღდებულო არ არის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, თუნდაც საწარმო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით იყოს შექმნილი.⁶⁸

3. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მომწესრიგებელი წესების გამოყენება შპს-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ

თუკი შპს-ას აქვს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ, კერძოდ კი მისი იმპერატიული ნორმები.⁶⁹

⁶⁸ სსმ, I, 2001, №6, მუხ. 19, ამოქმედდა 21.03.01.

⁶⁹ დაწვრილებით იხილეთ 55-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 49. ღირექტორები

49.1. ამ კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ ღირექტორებს.

49.2. ღირექტორებმა მათი ამოცანები უნდა შეასრულონ ჩვეულებრივი კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. შესაბამისად გამოიყენება მუხლი 9.7.

შპს-ის ღირექტორების კომპეტენცია და მათი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონის მე-9 მუხლით და შესაბამისად, ამ მუხლის კომენტარშია განხილული.⁷⁰

მუხლი 50. წლიური შედეგები

პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება მოგების ჩათვლით და ზარალის გამოკლებით, თუ კანონით ან საზოგადოების წესდებით ანდა პარტნიორთა გადაწყვეტილებით დაშვებულია ამ თანხის განაწილება პარტნიორებს შორის.

შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორებს შეუძლიათ თანხა მოგების დანაზოგში ჩარიცხონ ან წარმოადგინონ როგორც მოგება, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წლიური წმინდა მოგების განაწილება ხდება წილის პროპორციულად. შესაბამისად, გამოიყენება 57.2 მუხლი.

შპს-ის პარტნიორების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს სამეურნეო წლის ბოლოს შესაბამისი მოგების მიღების უფლება.

როგორც წესი, საზოგადოების წლიური მოგება ნაწილდება პარტნიორებს შორის. მოგების განაწილება ხდება წილების პროპორციულად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება პარტნიორებს შორის კი არ განაწილდება, არამედ ჩაირიცხება საზოგადოების რეზერვებში და მოხმარდება საზოგადოების შემდგომ ეკონომიკურ

⁷⁰ ასევე იხილეთ 56-ე მუხლის კომენტარი.

გაძლიერებას. ახლადდაფუძნებულ საზოგადოებებში პარტნიორები სწორედ ამ გზას ირჩევენ.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხმის უფლების გარეშე წილების არსებობას. ხმის უფლების არარსებობა გავლენას არ ახდენს მოგების მიღების უფლებაზე. პარტნიორი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ხმის უფლების მქონე წილი, მოგებაში მონაწილეობს თავისი წილის პროპორციულად.

თავი მეოთხე

სააქციო საზოგადოება

მუხლი 51. ცნება. საზოგადოების აქციათა რეესტრი

51.1. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აკებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე თხუთმეტ ათას ლარს.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997 წ., №1-2(33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

(სსმ I. 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

51.2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით. კანონის შესაბამისად, აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა სერტიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან, ანდა კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

(სსმ I. 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

51.3. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობაც 100-ზე მეტია, ვალდებულია აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს, მას შეუძლია სურვილისამებრ აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

(„საქართველოს რესპუბლიკა“ №172, 1998 წ. 10 ივლისის, ამოქმედდა 01.08.98 წ.).

51.4. იმ საწარმოთა აქციების გადაცემა, რომლის რეესტრსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ხდება შესაბამისი კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პა-

სუბსიდირებული პირის მიერ, და აქციის სერტიფიკატზე ინდოსამენტით. თუ სერტიფიკატი გაცემული არ არის, მაშინ საჭიროა აგრეთვე სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

(სსმ. I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. სააქციო საზოგადოების ცნება და ზოგადი დახასიათება¹

სააქციო საზოგადოება მსხვილი კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა. ისტორიულად სააქციო საზოგადოებები დიდი კაპიტალის კონცენტრაციის მიზნით ჩამოყალიბდა². დღესაც თანამედროვე ეკონომიკაში სააქციო საზოგადოებები გამორჩეულად დიდი კაპიტალის მქონე ორგანიზაციებად ითვლება.

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად (51.1 მუხლის პირველი წინადადება).

ა. როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოებას, სს-ს უნდა ჰქონდეს საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეიქმნას როგორც ფულით, ისე არაფულადი შესატანით. მისი ოდენობა არ უნდა იყოს თხუთმეტი ათას ლარზე ნაკლები.

მეწარმეთა შესახებ კანონი განსაზღვრავს სააქციო საზოგადოებების მინიმალურ საწესდებო კაპიტალს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონით არ შეიძლება დაწესდეს მინიმალური საწესდებო კაპიტალის უფრო მაღალი ოდენობა. ამის შემთხვევები უკვე არის ქართულ სამართალში. მაგალითად, კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი სააქციო საზოგადოებებისა.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საზოგადოების წესდებით და მისი შეცვლა დასაშვებია მხოლოდ წესდებაში ცვლილებების

¹ კომენტარის ამ თავზე მუშაობისას მოწოდებული, უაღრესად სასარგებლო რჩევებისა და წინადადებებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვასწერო ბატონ ვიორჯი ლოლაძეს.

² ლ. ჭანტურია შესავალი შესატყვისლოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გვ. 280 – 287.

შეტანისა და მათი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

საწესდებო კაპიტალი იმ მიზნით იქმნება, რომ საწარმოს საქმიანობის დაწყებისას გააჩნდეს სახსრები ძირითადი საშუალებების, ნედლეულის, ხელფასების და სხვა ხარჯების გასაწევად. რა თქმა უნდა, შემდგომში, საქმიანობის რალაც ეტაპზე, საწარმოს მიეცემა კრედიტის აღების საშუალება ან დაფინანსების სხვა შესაძლებლობაც, მაგრამ ამას გარკვეული „დამსახურება“, საქმიანობის გარკვეული გამოცდილება ესაჭიროება. ამრიგად, თავდაპირველად, საწესდებო კაპიტალში შესული სახსრების ნაწილი აქტიურ ბრუნვაში იმყოფება.

ბ. სააქციო საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით საწესდებო კაპიტალის ჩათვლით.

აქციონერები საზოგადოების ვალებისათვის პასუხს არ აგებენ. პრაქტიკულად ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან სააქციო საზოგადოებებს ხშირად ათეულ ათასობით აქციონერი ჰყავთ და მათი ჩაბმა მოპასუხედ არარეალურია. ამგვარი პასუხისმგებლობის შეუძლებლობის გაცნობიერებამ განაპირობა სავაჭრო ამხანაგობების ბაზაზე სააქციო საზოგადოებების შექმნა და განვითარება.

ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როცა სს-ების დაფუძნებისას დამფუძნებელი აქციონერი სრულად არ შეიტანს საწესდებო კაპიტალში თავის შენატანს (3.4 მუხლის პირველი წინადადება).

გ. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად.

ყველა აქციას უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულება. 1999 წლის 9 ივნისის კანონის მიღებამდე ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ლარს ან მის მრავალჯერადს. ბოლო ცვლილებით აქციის ნომინალური ღირებულების კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპი შეიცვალა. 1999 წლის 1 სექტემბრიდან დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში აქციათა ნომინალურ ღირებულებას თვით სააქციო საზოგადოება განსაზღვრავს, ოღონდ თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს ერთი და იგივე. დაუშვებელია, რომ სს-მ სხვადასხვა ნომინალური ღირებულების აქციები გამოუშვას.

ნომინალური ღირებულება ეწოდება იმ ღირებულებას, რომლითაც

გაიცა აქცია და დარეგისტრირდა საზოგადოების წიგნში. აქციის ნომინალური ღირებულება და მისი რეალური საბაზრო ღირებულება უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, პირს შეიძლება ჰქონდეს 10 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია, მაგრამ იგი გაყიდოს 100 ლარად. ეს უკანასკნელი იქნება აქციის საბაზრო ფასი. მიუხედავად იმისა, რომ აქცია ნომინალურზე მეტ ფასად გაიყიდა, მის ახალ მფლობელს იგივე უფლებები ექნება, რაც 10 ლარის ნომინალური ღირებულების აქციის მფლობელს. აქციის საბაზრო ფასს მრავალი გარემოება განსაზღვრავს, რომლებიც არაა დაკავშირებული აქციის ნომინალურ ღირებულებასთან.

დ. სააქციო საზოგადოება არის კაპიტალური საზოგადოება და, როგორც ყველა კაპიტალური საზოგადოება, მისი არსებობა დამოუკიდებელია საზოგადოებაში წევრთა შეცვლისაგან, ე.ი. თუ არ მოხდება საზოგადოების ლიკვიდაცია, იგი მუდამ იარსებებს.

„წევრთა შეცვლის“ თვალსაზრისით სს განსაკუთრებულად გამორჩეული კაპიტალური საზოგადოებაა. ბირჟებზე აქციებით ვაჭრობის მეშვეობით ათასობით და ათეულ ათასობით პირი ხდება სხვადასხვა სააქციო საზოგადოებების აქციონერი ისე, რომ ამას არ მოსდევს ცვლილებების შეტანა წესდებაში ან სამეწარმეო რეესტრში.

II. აქციის ცნება

აქციის ლეგალურ (საკანონმდებლო) დეფინიციას მეწარმეთა შესახებ კანონი არ იცნობდა. ასეთი დეფინიცია კანონში მხოლოდ 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებების შემდეგ შევიდა. მის თანახმად, *აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში (51.1 მუხლის მეორე წინადადება).*

აქციის სრულყოფილი დახასიათებისათვის აუცილებელია მისი ძირითადი ნიშნების მიმოხილვა, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან და სხვა სამეწარმეო საზოგადოებათა წილებისაგან:

ა) აქცია, უწინარეს ყოვლისა, გამოხატავს სს-ის საწესდებო კაპი-

ტალის წილს, რომელიც გამოითვლება გაცემული აქციების საერთო რაოდენობის მიხედვით. აქციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნომინალური ღირებულება. გაცემული აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი უნდა შეადგენდეს საწესდებო კაპიტალის ოდენობას.

მაგალითი:

სს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 50 000 ლარს. იგი დაყოფილია 10 000 აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 5 ლარს, ე. ი. $10\ 000 \times 5 = 50\ 000$ ლარს.

აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სს-ს შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

აქციის ნომინალური ღირებულების პრინციპი, თუმცა საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ზოგიერთ ქვეყანა მას არ იცნობს. კერძოდ, აშშ, ბელგიასა და ლიხტენშტეინში არ გამოიყენება აქციათა ნომინალური ღირებულების პრინციპი. ქართულმა კანონმა აირჩია ნომინალური ღირებულების პრინციპი, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. აქციის ნომინალური ღირებულება უნდა ჩაიწეროს წესდებაში.

აქციის გაცემა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში დაუმეგებელია, ვინაიდან ეს ხელს უშლის საწესდებო კაპიტალის სრულყოფილ ფორმირებას. შეიძლება თუ არა აქცია გაიცეს ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასად? – კანონი ასეთ აკრძალვას არ ითვალისწინებს. ამიტომ აქციები შეიძლება ნომინალურზე მეტ ფასადაც გაიცეს, რაც იწვევს სს-ის ქონების გაზრდას. საწესდებო კაპიტალი კი არ უნდა აღემატებოდეს აქციათა ნომინალური ღირებულების ჯამს. გადაჭარბებული თანხა ჩაიწერება საზოგადოების რეზერვებში.³ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს დამფუძნებელთა ან აქციონერთა საერთო კრებაზე (52.5 მუხლი). იგივე წესი გამოიყენება

³ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ამ თანხას ემისიური კაპიტალი ეწოდება.

არაფულადი შესატანების მიმართ, რომელთა ღირებულება აღემატება აქციის ნომინალურ ღირებულებას.

ბ) აქცია ადასტურებს ძირის წვერობას სს-ში და ამ წვერობიდან გამომდინარე მის უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე დროს, აქციონერი არაა ვალდებული მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში. აქციონერს შეუძლია არც მონაწილეობდეს საზოგადოების საქმეებში და მიიღოს მხოლოდ დივიდენდები. როგორც წესი, სს-ის მართვაში აქტიურად მონაწილეობენ აქციონერები, რომლებსაც ხმათა უმრავლესობა აქვთ.

სს-ის კაპიტალისტური ბუნება იმაში გამოიხატება, რომ ყოველი აქცია წარმოშობს წვერობის დამოუკიდებელ უფლებას. ის, ვინც რამდენიმე აქციას იძენს, იურიდიულად რამდენჯერმე ხდება აქციონერი ამ აქციების შერწყმის გარეშე.

როგორც წესი, ყოველი აქცია უზრუნველყოფს ერთ ხმას, თუ გაცემული არაა შეღავათიანი (პრივილეგირებული) აქციები (დაწვრილებით ქვემოთ).

გ) აქცია არის ფასიანი ქაღალდი⁴, რომელშიც აღნიშნულია სს-ში წვერობის შესახებ. ისტორიულად, სააქციო საზოგადოების წვერობის და, შესაბამისად, მის საწესდებო კაპიტალსა თუ მოგებაში წილის დასადასტურებლად ხდებოდა სათანადო დოკუმენტის – აქციათა სერთ-ფიკატის⁵ – გაცემა. ამიტომ, აქციას (სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან და უფლებებთან ერთად) „ფასიანი ქაღალდის“ კატეგორიის აქტივებს მიაკუთვნებენ. ანუ ამ კატეგორიის აქტივებს ისტორიულად ეწოდა ფასიანი ქაღალდი.

ვინაიდან ფასიანი ქაღალდი ინსტრუმენტია, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს მისი სწრაფი მიმოქცევალობა წარმოადგენს, ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე, მიმოქცევის (ტრანზაქციური) ხარჯების შემცირების მიზნით, უფრო მოხერხებულად, დატულად და სანდოდ აღიარებულ იქნა მისი დემატერიალიზებული – როგორც წესი, ელექტრონული – ფორმით არსებობა. ამ შემთხ-

⁴ ფასიანი ქაღალდის ლეგალური განმარტება მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 2.32 მუხლში.

⁵ მას, შეცდომით, ხშირად, აქციას უწოდებენ ხოლმე.

ვევაში, ფასიანი ქალაქის შესაბამისი უფლების დასტურად ითვლება არა ამ უფლების მესაკუთრისთვის გაცემული დოკუმენტი, არამედ (უმეტესწილად, ელექტრონული) ჩანაწერი, სათანადო წესით წარმოებულ რეესტრში. 1999 წლის 9 ივნისის კანონმა სწორედ ეს პრინციპი დააკანონა: „*აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით.*“ (51.2 მუხლის პირველი წინადადება). აქ ნახსენები „კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმა“ შესაბამება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს, როცა აქციაზე საკუთრება დასტურდება ჩანაწერით აქციათა სუბრეესტრებში, რომლებსაც ამ კანონით განმარტებული ფასიანი ქალაქების ნომინალური მფლობელები აწარმოებენ⁶.

იმისათვის, რომ ფასიანი ქალაქის მესაკუთრეს გააჩნდეს ინფორმაცია რეესტრში მის ანგარიშზე რიცხული ფასიანი ქალაქების (დასახელების, კლასის, რაოდენობის) შესახებ, ხდება მისთვის სერთიფიკატის, ან რეესტრიდან (სუბრეესტრიდან) ამონაწერების გაცემა დადგენილი წესით (51.2 მუხლის მეორე წინადადება). მნიშვნელოვანია, რომ არც აქციათა სერთიფიკატი და არც ამონაწერი რეესტრიდან ფასიან ქალაქს არ წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, რომ ის „ქალაქის“ ფორმით არის გაცემული).

საქართველოში სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა ჩამოყალიბდა პრივატიზაციის მიზნით სახელმწიფო საწარმოთა აქციონერების გზით. პრივატიზაციის პროცესში მოხდა სახელმწიფოს მიერ ამ საზოგადოებათა აქციების გასხვისება კერძო ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე. 1999 წლის 9 ივნისის კანონის, „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონისა და 1998 წლის 18 ივლისის „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების“ მიღებამდე თუმცა კი ხდებოდა სააქციო საზოგადოებების რეესტრების წარმოება, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს პროცესი არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული და, რაც მთავარია, *საკუთრების უფლების დასტურად რეესტრში ჩანაწერი არ იყო მიჩნეული*. ამავე დროს, ზოგიერთ სააქციო საზოგადოებას ჰქონდა გაცემული აქციათა სერთიფიკატები, ზოგს კი – არა. საპრივატიზაციო აუქციონის მონაწი-

⁶ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონის მუხლები 10.3 და 2.43.

ლეთა უმრავლესობას კი უკეთეს შემთხვევაში აუქციონის შედეგების ამონაწერები გააჩნდათ (დადასტურებული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ). 1999 წლის 9 ივნისის კანონის მიღებით ეს საკითხი მოწესრიგდა და ყველა, ვინც აღრიცხულია სააქციო საზოგადოების რეესტრში (მიუხედავად სერთიფიკატის თუ ამონაწერის არსებობა-არარსებობისა) წარმოადგენს აქციის მესაკუთრეს.

დ) აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. დაუშვებელია აქციის, როგორც საკუთრების შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება საკანონმდებლო წესით. კონსტიტუციის ეს ნორმა ეხება სახელმწიფოს მოვალეობას არ შელახოს საკუთრების უფლება. მისგან უნდა განვასხვავოთ აქციონერებს შორის შეთანხმება, რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს აქციის გასხვისების თავისუფლება. ეს უკანასკნელი კერძო სამართლებრივი აქტია.

საკუთრების კონსტიტუციური დაცვის საგანი, დასახელებულ შემთხვევაში, არის არა საწარმოს ქონებისათვის განკუთვნილი ნივთები და უფლებები, არამედ სს-ის წევრობა, რომელიც დასტურდება აქციით. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომელიც ახასიათებს საკუთრების კონსტიტუციურ დაცვას საკორპორაციო სამართალში. იმავდროულად, სს იმ ქონების მესაკუთრეა, რომელიც მის ბალანსზეა, ამიტომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი ვრცელდება სს-ზეც, როგორც ქონების მესაკუთრეზე.

III. აქციაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, „აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმით“ (51.2 მუხლის პირველი წინადადება).⁷

⁷აქ ნახსენები „კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმა“ შეესაბამება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს, როცა აქციაზე საკუთრება დასტურდება ჩანაწერით აქციათა სუბრეესტრებში, რომლებსაც ამ კანონით განმარტებული ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელები აწარმოებენ (“ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონის 10.3 და 2.43 მუხლები).

კანონი აქციათა რეესტრის წარმოების ორ წესს ითვალისწინებს: პირველი – რეესტრის წარმოება თვით სააქციო საზოგადოების მიერ (მას შეიძლება ვუწოდოთ *შიდა რეგისტრაცია*); და მეორე – რეესტრის წარმოება ე.წ ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ (51.3 მუხლი).

ე.წ. *დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებისათვის*, კანონით ორივე წესია დაშვებული, ხოლო, ე.წ. *საჯარო (ღია ტიპის) სააქციო საზოგადოებებისათვის* – მხოლოდ მეორე (51.3 მუხლი).

დახურული ტიპის საზოგადოებად უნდა ჩაითვალოს სააქციო საზოგადოება, რომელსაც 100-მდე აქციონერი ჰყავს და რომლის აქციებიც არ არის საფონდო ბირჟაზე საჯაროდ სავაჭროდ გატანილი; *საჯარო (ღია) სააქციო საზოგადოება* კი არის სააქციო საზოგადოება, რომელსაც ჰყავს 100-ზე მეტი აქციონერი, ან/და საჯარო ვაჭრობისათვის გატანილია საფონდო ბირჟაზე.⁸

ამრიგად, აქციათა რეესტრის წარმოების პირველი წესის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სააქციო საზოგადოებას ჰყავს ასამდე აქციონერი. ამ დროს აქციონერად ყოფნა დასტურდება რეესტრში ჩანაწერით, ხოლო *აქციონერზე გაიცემა აქციათა სერთიფიკატი ან ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან*. სავალდებულოა, რომ აქციონერს ამ ორ დოკუმენტთან ერთ-ერთი მაინც მიეცეს.

აქციათა რეგისტრაციის მეორე წესი სავალდებულოა იმ სააქციო საზოგადოებებისთვის, რომელთაც ასზე მეტი აქციონერი ჰყავთ ან/და მათი აქციებით ვაჭრობა ხორციელდება საფონდო ბირჟაზე. ასეთი საზოგადოების აქციათა *რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი*. ამ მიზნით, სააქციო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ რეგისტრატორს შორის იდება ხელშეკრულება.

დამოუკიდებელ რეგისტრატორად მიიჩნევა პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტების (ამ შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების) ფასიანი ქაღალდების (ამ შემთხვევაში – აქციების) რეესტრს და ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში

⁸ ამ ტიპის სააქციო საზოგადოება, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 9.1 და 2.36 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს ე.წ „ანგარიშვალდებულ საწარმოს“.

ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის, არ არის ემიტენტის თანამშრომელი და აქვს კანონით მინიჭებული უფლება ამ საქმიანობის განხორციელებისათვის.⁹ ეს არის ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელსაც კანონით მხოლოდ ამ (და, განსაკუთრებულ შემთხვევაში – ცენტრალური დეპოზიტარის) საქმიანობის უფლება გააჩნია.

სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს აწარმოოს აქციათა რეესტრი დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით მაშინაც, როცა აქციონერთა რაოდენობა 100-ზე ნაკლებია. ამგვარ რეგისტრაციას შეიძლება ეუწოდოთ *ფაქულტატური რეგისტრაცია დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით*.

იმის მიუხედავად, აქცია სერთიფიკატის ფორმით იქნება გაცემული თუ არა, აქციაზე საკუთრების რეგისტრაციის შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა. მითითებული უნდა იყოს აქციის ნომინალური ღირებულება; ბ. აქციონერის სახელი და გვარი; გ. აქციის გამომშვები საზოგადოების საფირმო სახელწოდება; დ. აქციის გამოშვების თარიღი; ე. აქციის კლასი (ჩვეულებრივი თუ პრივილეგირებული).

ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან აქციათა რეგისტრაციის წესი განისაზღვრება კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (მუხლი 40). ამასთან, თუ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებისთვის დასაშვებია აქციის სერთიფიკატის გაცემაც, საჯარო სააქციო საზოგადოებებისთვის აქციები უნდა იქნეს დემატერიალიზებული¹⁰ და მათ შესაკუთრებზე მხოლოდ *აქციათა რეესტრიდან ამონაწერის გაცემა მოხდება*.

ამონაწერი აქციათა რეესტრიდან უნდა შეიცავდეს:

ა. მკაფიო მითითებას, რომ მოცემული ამონაწერი არ არის ფასიანი ქაღალდი, არ საჭიროებს წარდგენას რეგისტრაციისათვის და წარმოადგენს მხოლოდ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ მასში აღნიშნული პირი არის ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი მასში მითითებული თარიღისათვის;

ბ. ანგარიშის მფლობელის სახელს, ამონაწერის გაცემის დღესა და

⁹ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხ. 2, 44-ე პუნქტი. სსმ I, №1, 1999, მუხ 1.

¹⁰ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მუხლი 10.1.

დროს, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სახელს, ემიტენტის იურიდიულ მისამართს, ფასიანი ქაღალდის კლასის საიდენტიფიკაციო ნომერს, ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ შესაბამის მოვალეობებს ან შეზღუდვებს და ნებისმიერ სხვა საჭირო ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს რეგისტრაციის წესები.¹¹

IV. აქციათა გასხვისების წესი

1999 წლის 9 ივნისის კანონით ცვლილებები შეეხო აქციათა გასხვისების წესს. პირველ რიგში ეს გამოიწვია იმან, რომ გაუქმდა *წარმომდგენის აქციები* (თუმცა წარმომდგენის აქციები საქართველოში, პრაქტიკულად, არც გამოშვებულა) და დარჩა მხოლოდ *სახელობითი აქციები*, ასევე შემოღებულ იქნა *დამოუკიდებელი რეგისტრატორის ინსტიტუტი*. ბუნებრივია, ამან გავლენა მოახდინა აქციათა გასხვისების ტრადიციულ წესსა და პროცედურაზე.

1. არასაჯარო (დახურული) სააქციო საზოგადოებების აქციათა გასხვისება

არასაჯარო („არაანგარიშვალდებული“) სააქციო საზოგადოებებისთვის (რომელთაც 100-ზე ნაკლები აქციონერი ჰყავთ ან/და მათი აქციები სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე არ არის დაშვებული), რომელთა აქციების რეესტრს თვით საწარმო აწარმოებს, კანონი უშვებს გასხვისების შემდეგ ორ ფორმას:

ა. აქციათა გასხვისება სანოტარო წესით დამოწმებული დათმობის ხელშეკრულებით და საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რაც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

ბ. აქციათა გასხვისება აქციის სერთიფიკატზე ინდოსამენტითა და საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით,

¹¹ კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მე-40 მუხლის, მე-5 პუნქტი.

რაც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ა. აქციის გასხვისების სანოტარო წესი

სააქციო საზოგადოებაში აქციონერად ყოფნა (წევრობა) ყოველთვის არ დასტურდება აქციის სერთიფიკატის გაცემით. 51.2 მუხლის მეორე წინადადების თანახმად, აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან, მაგრამ ეს ამონაწერი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს და მასზე არ ვრცელდება ფასიანი ქაღალდების გასხვისებისათვის კანონით დადგენილი წესი.

იმ შემთხვევაში, როცა აქციონერზე არ არის გაცემული აქციის სერთიფიკატი, მისი სამართლებრივი მდგომარეობა უთანაბრდება შპს-ის პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას. ამ დროს აქციის (როგორც სააქციო საზოგადოების წევრობის) გასხვისებისათვის აუცილებელია *დათმობის ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით*. აქციონერმა, რომელმაც გადაწყვიტა აქციის გასხვისება, ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან.

აქციის დათმობისათვის გარიგების სანოტარო წესით დამოწმების გარდა, აუცილებელია *ახალი აქციონერის რეგისტრაცია საზოგადოების აქციათა რეესტრში*.

ამრიგად, იმ აქციის გასხვისებისათვის, რომელიც არ არის გაცემული აქციის სერთიფიკატის ფორმით, *აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული დათმობის ხელშეკრულება და შემძენის რეგისტრაცია საზოგადოების აქციათა რეესტრში*.

აქციის გასხვისება თავისუფალია. მიუხედავად იმისა, აქცია სერთიფიკატების ფორმით იქნება გაცემული თუ არა, სააქციო საზოგადოებას არ შეუძლია აუკრძალოს აქციონერს აქციის გასხვისება. საზოგადოების თანხმობა ვინკულირებადი აქციების გასხვისებისას გამონაკლისია, მაგრამ იგი არ ნიშნავს აქციის გასხვისების აკრძალვას¹².

¹² იხ. 52.3 მუხლების კანონები.

ბ. აქციის გასხვისება ინდოსამენტის მეშვეობით

ინდოსამენტი, როგორც აქციათა გასხვისების საშუალება, გამოიყენება სახელობითი აქციების შემთხვევაში. *ინდოსამენტი არის სახელობითი აქციის მეორე მხარეს გაკეთებული წარწერა, რომლითაც დასტურდება აქციის ყოველი ახალი მფლობელის ვინაობა.*

ინდოსამენტის მეშვეობით აქციის გასხვისებისას წარწერის გაკეთებასთან (ინდოსირებასთან) ერთად აუცილებელია ამ აქციის გადაცემა ახალი მფლობელის მფლობელობაში (სამოქ. კოდექსის 923-ე მუხლის პირველი ნაწილი). ინდოსამენტი კეთდება აქციის მეორე მხარეს ან აქციის დანართზე და მასზე აუცილებელია ინდოსანტის (აქციის გამსხვისებლის) ხელმოწერა. დაუშვებელია ინდოსამენტის შესრულება რაიმე პირობით.

1999 წლის 9 ივნისის კანონის მიღებამდე აქციის გასხვისებისათვის საკმარისი იყო აქციის ინდოსირება და მისი გადაცემა შემდგომისათვის. ამჟამად *ინდოსამენტთან ერთად აუცილებელია საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ (51.4 მუხლის მე-2 წინადადება).*

2. საჯარო (ღია) სააქციო საზოგადოებების აქციათა გასხვისება

ერთი მხრივ, საჯარო ფასიანი ქაღალდების გამოშვების მიზანი არის ინვესტორთა ფართო ფენების ჩართვა საწარმოს დაფინანსებაში და თანაც ისე, რომ მათთვის მაქსიმალურად გამარტივებული იყოს მათი ყიდვა-გაყიდვა. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როცა ეს მოხერხებული ფინანსური ინსტრუმენტი თაღლითობის და ინვესტორთა მოტყუების საშუალებად ქცეულა. ამიტომ, მსოფლიოში დამკვიდრდა საჯარო ფასიანი ქაღალდების მკაცრი რეგულირების პრაქტიკა. მაგრამ მკაცრმა რეგულირებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ეფექტურობას.

სწორედ ამ ორი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, მიზნის მიღწევას – ტრანზაქციულ ეფექტურობას და საიმედო რეგულირებას – ემსახურება ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური სტრუქტურა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოდელი, რომელიც

არჩეულ იქნა საქართველოში, ეყრდნობა საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკას და ზემოხსენებული დილემის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტას წარმოადგენს.

საჯარო აქციების (ანგარიშვალდებულ საწარმოთა აქციების) გასხვისების წესი სწორედ ამ პრინციპებზეა დაფუძნებული. კერძოდ, იმისთვის, რომ არ მოხდეს ინვესტორთა შეკლამაში შეყვანა აქციის ემიტენტის საიმედოობის, მისი რეალური საბაზრო ღირებულების, მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, ამ აქციების ყიდვა-გაყიდვა ხდება ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით. საბროკერო კომპანიები იგივე საინვესტიციო ბანკებია, რომელთა საქმიანობას შეადგენს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული კონსულტაციები, შუამავლობა მათთან დაკავშირებულ გარიგებებში და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რიგი სხვა ოპერაციებისა. ყველა ეს საქმიანობა მკაცრადაა რეგლამენტირებული კანონმდებლობით და მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 19.1 მუხლის მიხედვით, საჯარო აქციების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის მეშვეობით. ხოლო ამავე კანონის 19.2 მუხლის მიხედვით, თუ აქცია დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე, მაშინ მათი ყიდვა-გაყიდვა აუცილებლად უნდა განხორციელდეს ამ საფონდო ბირჟაზე.

ა. საჯარო აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟის გარეშე

თუ საჯარო აქცია საფონდო ბირჟაზე არ არის სავაჭროდ დაშვებული, მაშინ მისი გასხვისების მსურველმა უნდა მიმართოს საბროკერო კომპანიას და დაუდოს სათანადო ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ იქნება აღწერილი დავალების შინაარსი. საბროკერო კომპანიის წარმომადგენელი ლიცენზირებული ბროკერი, აქციათა დამოუკიდებელ რეგისტრატორთან და კლიენტთან ერთად გადაამოწმებს, აქვს თუ არა მის კლიენტს ის აქციები, რომლის გაყიდვასაც აპირებს. აღსანიშნავია, რომ ბროკერი ვერ დაკმაყოფილებს მხოლოდ კლიენტის მიერ წარმოდგენილი რეესტრიდან ამონაწერით, ვინაიდან შეიძლება ის მოძველებული

იყოს და მოცემული მომენტისთვის კლიენტს ეს აქცია მის საკუთრებაში აღარ გააჩნდეს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამონაწერი რამდენიმე საათის წინაა გაცემული, თეორიულად არაა გამორიცხული, რომ ამ ამონაწერის მიღების შემდეგ, კლიენტს უკვე მოეხდინა ამ აქციების გასხვისება (სხვა საბროკერო კომპანიის მეშვეობით). მაგრამ რეესტრში გადამოწმებაც არაა საკმარისი იმისთვის, რომ საბროკერო კომპანია დარწმუნებული იყოს, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც იგი მოიძიებს მყიდველს, აქცია კელავ მისი კლიენტის სახელზე იქნება. ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვაზე დავალების მიღების მომენტში ბროკერს მყიდველი არ გააჩნია, იგი ავალებს გამყიდველს, რომ გასაყიდად გამიზნული აქციები საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში იქნეს გადაცემული. ამ შემთხვევაში, საბროკერო კომპანია გარანტირებულია, რომ დავალების შესრულების პერიოდში ამ აქციების გასხვისება კლიენტის მიერ არ განხორციელდება.

საბროკერო კომპანია ამ კლიენტს უხსნის ფასიანი ქაღალდების სპეციალურ ანგარიშს, სადაც აღნუსხულია კლიენტის სახელზე რიცხული აქციები. იმავედროულად, კლიენტისთვის საბროკერო კომპანია ხსნის, აგრეთვე, ფულად ანგარიშს ნულოვანი ნაშთით. მყიდველისგან დავალების მიღების შემთხვევაში, საბროკერო კომპანია ანალოგიურად მოითხოვს, რომ სათანადო თანხა ჩარიცხულ იქნეს მის ანგარიშზე. საბროკერო კომპანია მყიდველ კლიენტს უხსნის სპეციალურ ფულად ანგარიშს, სადაც აღნუსხულია ამ კლიენტის სახელზე რიცხული ფულადი სახსრები, იმავედროულად, მყიდველი კლიენტისთვის საბროკერო კომპანია ხსნის აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ანგარიშს ნულოვანი ნაშთით. როდესაც საბროკერო კომპანიას ჰყავს როგორც მყიდველი, ასევე გამყიდველი, იგი აფორმებს და ამოწმებს მათ შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას. ამის შემდეგ იგი ერთდროულად აკეთებს ორ ჩანაწერს: 1) გამყიდველი კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშიდან გაყიდული აქციების რაოდენობა გადაეწერება (გადაირიცხება) მყიდველი კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე და 2) მყიდველი კლიენტის ფულადი სახსრების ანგარიშიდან გარიგების (ანხა გადაეწერება (გადაირიცხება) მყიდველი კლიენტის ფულადი სახსრების ანგარიშზე. ამ ტიპის ანგარიშსწორებას ჰქვია „გადაცემა გადახდის წილ“ (DVP - Delivery versus Payment). ეს გარიგება სრულიად გარან-

ტირებულია და დაზღვეულია ყოველგვარი რისკისგან. კლიენტთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე ამგვარი ჩანაწერების განხორციელება ტოლფასია საკუთრების უფლების გადასვლისა ერთი კლიენტისგან მეორეზე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 10.3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კლიენტის მიერ ნაყიდი აქციები ირიცხება საბროკერო კომპანიაში, რომელიც წარმოადგენს მათ ნომინალურ მფლობელს. ეს ფაქტი დაფიქსირებულია აქციების რეესტრში, სადაც ჯერ-ჯერობით დადებული გარიგება არანაირად არ ასახულა. მაგრამ ეს არცაა სავალდებულო, ვინაიდან საკუთრების უფლება ამ აქციაზე კანონის სრული შესაბამისობით უკვე დაფიქსირებულია. აქციების მყიდველის სურვილისამებრ ნაყიდი აქციები შეიძლება დარჩეს საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში ან დაბრუნებულ იქნეს ნომინალური მფლობელობიდან მყიდველი-კლიენტისთვის. ამ შემთხვევაში, აქციათა რეესტრში განხორციელდება ჩანაწერი, რომლითაც ამ აქციების მფლობელად – ამჯერად უკვე მესაკუთრე (ბენეფიციარი) მფლობელად – აღირიცხება მყიდველი. თუ ახალი მესაკუთრე დატოვებს აქციებს საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში, მაშინ მას მათი შემდგომი გასხვისება გაცილებით უფრო გაუმარტივდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში, აღარ იქნება საჭირო რეგისტრაციულიდან საბროკერო კომპანიისთვის მათი კვლავ გადაცემა.

ბ. საჯარო აქციების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟის მეშვეობით

თუ საჯარო აქცია საფონდო ბირჟაზე დაშვებულია სავაჭროდ, მაშინ მისი გასხვისების მსურველმა კვლავ უნდა მიმართოს საბროკერო კომპანიას და გაიაროს დაახლოებით იგივე მოსამზადებელი პროცედურა, რაც წინა პუნქტში იყო აღწერილი (ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა). ამის შემდეგ, საბროკერო კომპანია უნდა მოემზადოს ამ აქციების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გასაყიდად. საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობენ მხოლოდ საბროკერო კომპანიები. საფონდო ბირჟა არის კოლექტიური გარანტი იმისა, რომ იქ გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდები ნამდვილად გააჩნიათ გამყიდველ საბროკერო კომპანიებს და რომ მყიდველ საბროკერო კომპანიებს ნამდვილად გააჩნიათ აქციათა შესაძენად საჭირო სახსრები. მისი უზრუნველყოფა ხდება იმის ანალოგიური

პროცედურით, რაც საბროკერო კომპანიებმა განახორციელეს თავისი კლიენტების მიმართ, ანუ აქციათა გაყიდვის მსურველი საბროკერო კომპანია მის ნომინალურ მფლობელობაში არსებულ აქციებს გადასცემს (შემდეგი საფეხური) ნომინალურ მფლობელობაში *ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს*, რომელიც ბირჟასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და საფონდო ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ამ ფასიანი ქაღალდების ბლოკირებას ახდენს საბირჟო სესიის პერიოდში. ანალოგიურად ხდება ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში ფასიანი ქაღალდების შესაძენად განკუთვნილი ფულადი სახსრების ბლოკირება.

საფონდო ბირჟის ელექტრონული სავაჭრო სისტემა აკონტროლებს სავაჭრო სესიის თითოეული მონაწილის განკარგულებაში არსებულ ფასიანი ქაღალდებსა და ფულად სახსრებს და აძლევს მათ შესაძლებლობას გააკეთონ განაცხადები შესყიდვასა და გაყიდვაზე მხოლოდ ამ ლიმიტების ფარგლებში.

საბირჟო სესიის განმავლობაში ყველა განაცხადი ავტომატურად ლაგდება *ფასი-მოცულობა-დრო* პრიორიტეტების შესაბამისად და თუ ყიდვისა და განაცხადების სათანადო პარამეტრები ემთხვევა ერთმანეთს – გარიგება ავტომატურად იდება.

საბირჟო სესიის დასრულების შემდეგ დადებულ გარიგებათა შესახებ ინფორმაცია ელექტრონულად მიეწოდება ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს, რომელშიც, კვლავ ელექტრონულად, წამების განმავლობაში ხდება აქციათა და ფულადი სახსრების გადარიცხვა სხვადასხვა ანგარიშებზე, დადებული გარიგებების შესაბამისად (ანუ ხდება *ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება*). სწორედ ამ მომენტში ხორციელდება საკუთრების უფლების გადასვლა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 10.3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.¹³

¹³ უფრო დაწვრილებით მკითხველს შეუძლია ეს საკითხები შეისწავლოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული წესების, საქართველოს საფონდო ბირჟისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარის წესების გაცნობით ეს დოკუმენტები თავმოყრილია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის ასოციაციის საინფორმაციო ანალიტიკური ბიულეტენის „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ №15-ში (თბილისი, 2001 წ.). აგრეთვე საქართველოს საფონდო ბირჟის web-გვერდზე: www.gse.ge.

როგორც ჩანს, ახალმა ცვლილებებმა საკმაოდ გაართულეს აქციებით ვაჭრობის პროცესი. თუმცა ამ ცვლილებებს აქვს მეტად მნიშვნელოვანი მადისციპლინირებელი ასპექტი. მეწარმეთა შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან განვლილმა დრომ აჩვენა, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონისა და ამ ცვლილებების შემოღებამდე, აქციებით ვაჭრობამ ვერ შეიძინა მოწესრიგებული ურთიერთობების ხასიათი. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქციებით ვაჭრობის ასეთი მოწესრიგება დამოუკიდებელი რეგულატორების, საბროკერო კომპანიების, საფონდო ბირჟებისა და კანონი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარების ინფრასტრუქტურის გამოყენებით აუცილებელია. ამის პრაქტიკული დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ 2000 წლის აპრილიდან საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმატებით მიმდინარეობს საჯარო აქციებით ვაჭრობები, სადაც საშუალო თვიური ბრუნვა პირველი ორი წლის განმავლობაში დაახლოებით ერთ მილიონ ლარს შეადგენს.

ის შემთხვევები, რომლებზეც მე მქონდა აქ საუბარი, შეეხება ფასიანი ქაღალდებით (აქციებით) *მეორად საჯარო ვაჭრობას*, ე.ი. აქციონერის მიერ საკუთარი აქციების გაყიდვას. მისგან უნდა განვასხვავოთ *პირველადი საჯარო ვაჭრობა* ანუ *ფასიანი ქაღალდების ემისია*, ე.ი. როცა სააქციო საზოგადოება ემისიის გზით ანუ ახალი აქციების გამოშვებით გადის ბირჟაზე და განათავსებს თავის აქციებს საჯარო ვაჭრობისათვის.

52.1. სააქციო საზოგადოება გაცემს ჩვეულებრივ და პრივილეგიურ-ბულ აქციებს მხოლოდ სახელობითი ფორმით. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. ჩვეულებრივი აქციის მფლობელის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია დივიდენდების ან ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილებასთან, განხორციელდება მხოლოდ პრივილეგირებული აქციების მფლობელთა ანალოგიური უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ. ბათილ-ია დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

52.2. საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან/და სათანადო ემისიის პროსპექტით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში, ნაწილდება პრივილეგირებულ აქციათა მფლობელებზე, ხოლო შემდგომ – ჩვეულებრივ აქციონერებზე, მათ წილთა შესაბამისად. პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას საერთო კრებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წესდება ან ამ აქციათა ემისიის პროსპექტი ითვალისწინებს ერთ პრივილეგირებულ აქციაზე ერთი ხმის მინიჭებას პრივილეგირებულ აქციაზე დივიდენდების გაუცემლობისას.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

52.3. რომელიმე კლასის აქციათა გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. ამ თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში და აქციათა სერტიფიკატზე (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). წესდებაში ასეთი აღნიშვნის შეტანისათვის აუცილებელია ყველა იმ აქციონერის წერილობითი თანხმობა, რომლებიც ამ კლასის აქციებს ფლობენ.

საზოგადოებამ უნდა განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით საზოგადოების არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს თანხმობასთან დაკავშირებულ საკითხებს. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

52.4. საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

52.5. საზოგადოების მიერ აქციები და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები გაიცემა, სულ მცირე ნომინალურ თანხად. ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცემის ზარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა მიემატება სარეზერვო ფონდს. იგივე წესი მოქმედებს, შესაბამისად, არაფულადი შესატანის დროსაც, რომლის ღირებულება აღემატება ნომინალურ ღირებულებას.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

I. აქციათა სახეები და აქციათა კლასი

მეწარმეთა შესახებ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ცნებას: „აქციათა სახეს“ და „აქციათა კლასს“.

1. აქციათა სახეები (52.1 მუხლი)

1999 წლის 9 ივნისის ცვლილებების შემდეგ სააქციო საზოგადოებას შეუძლია გასცეს მხოლოდ ერთი სახის აქცია — *სახელობითი აქცია*. მაშასადამე, სააქციო სამართალი უკვე აღარ იცნობს აქციათა ისეთ გავრცელებულ სახეს, როგორცაა წარმომდგენის (საწარმდგენლო) აქციები.

ძირითადი განსხვავებები წარმომდგენის აქციებსა და სახელობით აქციებს შორის მდგომარეობს შემდეგში:

წარმომდგენის (საწარმდგენლო) აქციაზე არ აღინიშნება მისი მფლობელის ვინაობა. ამიტომ, აქციიდან გამომდინარე უფლების მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვინც ამ აქციას ფლობს: აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის უფლება, დივიდენდის მოთხოვნის უფლება და ა.შ. წარმომდგენის ფასიანი ქაღალდის კლასიკური მაგალითია ფული. მის მფლობელს შეუძლია ფულის ნიშნით შეიძინოს ყოველგვარი ქონება, რომლის შეძენაც კანონით დასაშვებია. წარმომდგენის აქციის ყველაზე ღირსეული ღირსება ისაა, რომ მას ბაზარზე ბრუნვისათვის არ სჭირდება რაიმე

რთული პროცედურა: ვინმეს თანხმობა, სანოტარო დამოწმება, რეგისტრაციაში გატარება და ა.შ.

სახელობით აქციებზე (აქციის სერთიფიკატზე) აღინიშნება მისი მფლობელის ვინაობა. ინდოსამენტიის, ე.ი. აქციის მეორე მხარეზე წარწერის მეშვეობით ფიქსირდება ამ აქციის ყოველი ახალი მფლობელი. ასევე აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია ან სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ან დამოუკიდებელ რეგისტრატორთან.

სახელობით და წარმომდგენის აქციებს შორის განსხვავებას უკვე აღარა აქვს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა ან ღირებულება. *კანონი ითვალისწინებს მხოლოდ სახელობითი აქციების გაცემის შესაძლებლობას.*

სახელობითი აქციების დახასიათებისას აღსანიშნავია ერთი გარემოება: როგორც წესი, აქციები დემატერიალიზებულია – ისინი არ გაიცემა აქციის სერთიფიკატის ფორმით ამიტომ აქციათა ინდივიდუალიზაციის ფუნქციას ასრულებს აქციათა რეგისტრაცია და აქციათა ბრუნვის რეგისტრაცია.

2. აქციათა კლასი

აქციათა სახეებისაგან უნდა განვასხვაოთ *აქციათა კლასი*. აქციები, რომლებიც აქციონერებს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს, ქმნიან აქციათა კლასს. მეწარმეთა შესახებ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი კლასის აქციებს: *ჩვეულებრივსა და პრივილეგირებულს (შელავათიანს).*

ა. ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები აქციონერს ანიჭებენ ხმის უფლებას და, აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფენ საზოგადოების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობას. *ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე (52.1 მუხლის მე-2 წინადადება).* ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს იმდენივე ხმა, რამდენი აქციაცაა გაცემული. ხმათა ასეთი თანაბრობა მიიღწევა იმით, რომ ყველა აქციას აქვს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულება. სწორედ ამაში გამოიხატება აქციათა ნომინალური ღირებულების თანაბრობის პრინციპის პრაქტიკული დანიშნულება.

მაგალითი:

სს „კაბადონის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 50 000 ლარს, რომელიც დაყოფილია 500 ჩვეულებრივ აქციად თითოეულის ნომინალური ღირებულებით 100 ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ სააქციო საზოგადოებაში არსებობს 500 ხმა.

ბ. პრივილეგირებული აქციები (52.2 მუხლი)

პრივილეგირებული აქციები აქციონერს არ ანიჭებენ ხმის უფლებას. მაშასადამე, პრივილეგირებული აქციის მფლობელები არ მონაწილეობენ აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში. სანაცვლოდ, პრივილეგირებული აქციები გარკვეულ შეღავათებს ანიჭებენ მათ მფლობელებს, განსხვავებით ჩვეულებრივი აქციებისაგან:

ა. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან/და სათანადო ემისიის პროსპექტით (52.2 მუხლის მე-2 წინადადება);

ბ. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ, პირველ რიგში ნაწილდება პრივილეგირებულ აქციათა მფლობელებზე, ხოლო შემდგომ – ჩვეულებრივ აქციონერებზე (52.2 მუხლის მე-3 წინადადება);

გ. როგორც საზოგადოების დივიდენდის მიღების, ისე ლიკვიდირებული საზოგადოების ქონებიდან წილის მიღების მოთხოვნის უფლება ჯერ უნდა დაუკმაყოფილდეს პრივილეგირებული აქციის მფლობელს, ხოლო შემდგომ – ჩვეულებრივი აქციის მფლობელს (52.1 მუხლის მე-3 წინადადება).

მართალია, პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს არ ანიჭებს ხმის უფლებას, მაგრამ კანონი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ პრივილეგირებული აქცია გარდაიქმნას ხმის უფლების მქონე აქციად. კერძოდ, ეს ხდება მაშინ, როცა პრივილეგირებულ აქციაზე არ იქნება დივიდენდი გაცემული კანონითა და წესდებით განსაზღვრული წესით. პრივილეგირებული აქციის ხმის უფლების მქონე აქციად ტრანსფორმაციის წესი დაწვრილებით უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოების წესდებაში ან აქციათა ემისიის პროსპექტში.

1999 წლის 9 იენისის ცვლილებების შემდეგ, კანონი არ განსაზღვრავს პრივილეგირებული აქციების რაოდენობრივ ფარგლებს. სააქციო საზოგადოებას შეუძლია შეუზღუდავად გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. ოღონდ აქციის ნომინალური ღირებულების თანაბრობის პრინციპი დაცული უნდა იყოს: მიუხედავად იმისა, აქცია ჩვეულებრივია თუ პრივილეგირებული, ნომინალური ღირებულება უნდა იყოს თანაბარი.

სწორედ ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ტრანსფორმირებული პრივილეგირებული აქციის მფლობელს ჰქონდეს ერთი ხმა (52.2 მუხლის მე-3 წინადადება).

გ. დივიდენდის უცილობლად გაცემის შეპირების ბათილობა

მიუხედავად იმისა, რომ პრივილეგირებული აქცის მფლობელს უფლება აქვს ჩვეულებრივი აქციის მფლობელზე უფრო ადრე მიიღოს დივიდენდი, ეს არ ნიშნავს დივიდენდის გარანტირებულად მიღების უფლებას. საზოგადოება არ არის ვალდებული გასცეს აქციონერზე დივიდენდი, თუ საზოგადოებას არა აქვს გასანაწილებელი მოგება. მაგრამ აქციონერად ყოფნა თავისთავად არ ნიშნავს დივიდენდის უპირობოდ მიღებას. ეს დამოკიდებულია საზოგადოების რენტაბელობაზე, მის წარმოებულ კომერციულ საქმიანობაზე და, რაც მთავარია, გასანაწილებელი მოგების არსებობაზე. თუ წესდება შეიცავს დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირებას, ასეთი შეპირება ბათილია და იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების მიმართ მოთხოვნის საფუძველად (52.1 მუხლის მე-4 წინადადება).

II. საზოგადოების თანხმობა აქციების გასხვისებისას (ვინკულირებული აქციები) (52.3 მუხლი)

1. აქციათა თავისუფალი გადაცემის პრინციპი და ვინკულირებული აქციის ცნება

განსხვავებით სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისაგან, სააქციო საზოგადოებებისათვის უცხოა საზოგადოებიდან აქციონერის გასვლის ინსტიტუტი. მაგრამ საზოგადოებიდან „გასვლა“ ფაქტობრივად ხორციელდება

იმით, რომ აქციონერს აქვს აქციის თავისუფალი გადაცემის უფლება. სხვა პირზე აქციის გადაცემით მასზე გადაღის სააქციო საზოგადოების „აქციონერობაც“. ამიტომ აქციათა თავისუფალი გადაცემის პრინციპი სააქციო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. სხვაგვარად წარმოუდგენელია აქციების არსებობა და მათი აქტიური მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარში.

ამ ზოგადი წესიდან არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელსაც ითვალისწინებს 52.3 მუხლი. მის თანახმად, „რომელიმე კლასის აქციათა გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე“. აქციებს, რომელთა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე, ვინკულირებული აქციები ეწოდება.

ვინკულირების მიზანი არის სააქციო საზოგადოების დაცვა არატიპიური კაპიტალის ზეგავლენისაგან ან უცხო კაპიტალის ხელში გადასვლისაგან. როგორც წესი, აქციათა გასხვისებისას საზოგადოების თანხმობის ინსტიტუტი გამოიყენება სადაზღვევო კომპანიებში.¹ იგი ასევე გამოიყენება საკონცერნო საწარმოებში და მიზნად ისახავს აქციათა საკონტროლო პაკეტის უცხო პირებზე გადასვლის თავიდან აცილებას.

ვინკულირებული აქციები არ წარმოადგენს აქციათა ცალკე კლასს. ეს ნიშნავს, რომ თანხმობა აქციათა გასხვისებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჩვეულებრივი, ისე პრივილეგირებული აქციების მიმართ.

მართალია, კანონი ითვალისწინებს საზოგადოების თანხმობის გამოყენების შესაძლებლობას აქციათა გადაცემისას, მაგრამ, ამასთან ერთად, ზუსტად განსაზღვრავს ვინკულირების წინაპირობებს. კერძოდ:

ა. თანხმობის აუცილებლობის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს საზოგადოების წესდებასა და აქციათა სერთიფიკატზე (სააქციო ბარათზე), თუკი ეს უკანასკნელი არსებობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, არცთუ იშვიათად, სააქციო საზოგადოებები არ უშვებენ სააქციო ბარათებს, აღნიშვნის გაკეთების შესაძლებლობაც იხსნება. რაც შეეხება წესდებაში ჩანაწერს, იგი აუცილებელი წინაპირობაა ვინკულირებული აქციების დამეებისათვის;

¹ MünchHdb./AG. Wiesner §14, Rn.17.

ბ. წესდებაში ასეთი აღნიშვნის შეტანისათვის აუცილებელია ყველა იმ აქციონერის წერილობითი თანხმობა, რომლებიც ამ კლასის აქციებს ფლობენ (52.3 მუხლის მე-2 წინადადება). ცხადია, რომ ასეთი თანხმობის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია იმ სააქციო საზოგადოებებში, რომელთაც მრავალი აქციონერი ჰყავთ. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ვინაჟღერებული აქციები გამოიყენება მხოლოდ იმ საზოგადოებებში, რომელთაც რამდენიმე აქციონერი ჰყავთ.

2. თანხმობის გაცემის პროცედურა და უარის პირობები

52.3 მუხლის მე-2 აბზაცის ბოლო წინადადების თანახმად, თანხმობას აქციების გასხვისებაზე გასცემს „ღირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით“. „ღირექტორის“ ცნებაში კანონი არ გულისხმობს მხოლოდ ერთ ღირექტორს. აქ იგულისხმება სააქციო საზოგადოების ღირექტორატი (გამგეობა). გადაწყვეტილება კი ღირექტორატის მიერ მიიღება იმ პროცედურის დაცვით, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით ღირექტორატისათვის. კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას თანხმობის მიცემისათვის არ ითვალისწინებს. ამიტომ, თანხმობა შეიძლება გაცემული იყოს ნებისმიერი ფორმით, რაც ფორმათაგანსუფალი გარიგებებისათვის არის შესაძლებელი. იგი შესაძლოა კონკლიუდენტური მოქმედებებითაც გამოიხატოს. კანონი არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებითაც, შესაძლებელია თუ არა წესდებამ განსაზღვროს სპეციალური ფორმა. თუ გარიგებათა ფორმის შესახებ მოძღვრების ზოგადი დებულებებით ვიხელმძღვანელებთ, ასეთი რამ დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

თანხმობა შეიძლება გადადების ან გაუქმების პირობითაც იქნეს გაცემული, თუმცა, ამ პირობამ არარაობად არ უნდა აქციოს 52.3 მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის თანახმად „საზოგადოებამ უნდა განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე“.

„საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს თანხმობასთან დაკავშირებულ საკითხებს“ (52.3 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება). „დეტალურად მიწესრიგება“ შეიძლება შეეზღოდეს როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, ისე თანხმობის გაცემის პირობებს.

3. საზოგადოების მიერ თანხმობის გაცემის ვალდებულება

მართალია, ვინკულირებული აქციების გასხვისებისათვის აუცილებელია საზოგადოების თანხმობა, მაგრამ 52.3 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს თანხმობა აქციების გასხვისებაზე. უარის საფუძველად კანონი მხოლოდ საზოგადოების არსებით ინტერესებისათვის საფრთხის არსებობას მიიჩნევს. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა უნდა ვიგულისხმოდ „საზოგადოების არსებითი ინტერესების საფრთხეში“. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გზით უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ თანხმობის გაცემაზე უარის საფუძველები წესდებაში იყოს დაწერილებით მოწესრიგებული. თუმცა აქაც მნიშვნელოვანია, რომ აქციის თავისუფალი გასხვისების პრინციპი არარაობად არ იქცეს.

წესდებით შესაძლებელია განისაზღვროს თანხმობის გაცემის ვადა, მაგრამ ეს ვადა უნდა იყოს გონივრული და იგი ასევე არ უნდა ხელყოფდეს აქციის გასხვისების თავისუფლებას.

თანხმობის გაცემაზე უარის შემთხვევაში აქციონერს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ აქციონერს უარი უსაფუძველოდ ეთქვა, აქციონერს უფლება აქვს საზოგადოებისაგან ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს.

4. თანხმობისა და უარის სამართლებრივი შედეგები

საზოგადოების თანხმობის გარეშე ვინკულირებული აქციის გასხვისების შესახებ გარიგება არის მერყევად ბათილი.² ეს იმას ნიშნავს, რომ გასხვისების შემდეგ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, გარიგება ხდება ნამდვილი, ხოლო უარის შემთხვევაში – ბათილი.

საზოგადოებისაგან აქციის გასხვისებაზე უარის მიღება აქციონერს არ ართმევს უფლებას განმეორებით მოითხოვოს საზოგადოებისაგან თანხმობა. აქციონერს უფლება აქვს უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

თუ აქციონერი გაასხვისებს აქციას საზოგადოების თანხმობის გარეშე, ეს უნდა დაკვალიფიცირდეს სამოქალაქო კოდექსის 490-ე და 491-ე

² MünchHdb. AG / Wiesner §14, Rn. 29.

მუხლების შესაბამისად, როგორც ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვა. ამ დროს მყიდველს შეუძლია გამყიდველი აქციონერისაგან მოითხოვოს ან ნაკლის გამოსწორება (ამ შემთხვევაში თანხმობის მიღება), ან ზიანის ანაზღაურება. თუ მყიდველმა იცოდა ამ ნაკლის შესახებ და მაინც შეიძინა აქცია, იგი კარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

III. აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები (52.4, 52.5 მუხლები)

1999 წლის 9 ივნისის ცვლილებების შედეგად 52.4 და 52.5 მუხლები ახლებურად ჩამოყალიბდა. დაკონკრეტდა, რომ სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს გამოუშვას „აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები“. ამ ღონისძიების მიზანი არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

52.4 მუხლის თანახმად სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები. კანონით დადგენილ წესში იგულისხმება მეწარმეთა შესახებ კანონითა და კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ გათვალისწინებული წესები.

გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ მიიღება საზოგადოების საერთო კრების მიერ (54.6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 59-ე მუხლი). მაგრამ გადაწყვეტილება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ მიიღება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, თუკი ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს (55.9 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი).

კანონი სააქციო საზოგადოებას უფლებას ანიჭებს გამოსცეს მხოლოდ ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომელთა კონვერტირება შესაძლებელია აქციად იმ შემთხვევებისათვის, როცა სააქციო საზოგადოება ვერ შეასრულებს ამ ფასიანი ქაღალდით ნაკისრ ვალდებულებას (მაგალითად, ვერ დააბრუნებს ვალს და ა.შ.).

ფასიან ქაღალდებს, რომლებიც გამოიყენება სააქციო საზოგადოების მიერ კაპიტალის გასაზრდელად, განეკუთვნება: კონვერსიული სესხის ობლიგაციები და ოფციური სესხი.

ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ობლიგაციის გამცემის მიერ სესხის აღების ფაქტს და ობლიგაციის მფლობელის უფლებას დაიბრუნოს მიცემული ვალი ობლიგაციით გათვალისწინებული წესით, ვადებსა და პირობებში. **კონვერსიული სესხის ობლიგაცია** არის ობლიგაცია, რომელიც ობლიგაციის გაცემის დოკუმენტში აღნიშნული პირობების არსებობისას შეიძლება გარდაიქმნას აქციად, ხოლო მისი მფლობელი კი – საზოგადოების აქციონერად.

ოფციური სესხი კრედიტორს (სესხის მიმცემს) უფლებას აძლევს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სესხის სანაცვლოდ მოითხოვოს აქცია.

აქციად გარდაქმნის პირობები შეიძლება აღნიშნული იყოს როგორც აქციის სერთიფიკატზე (თუ ამგვარი არსებობს), ისე ემისიის პროსპექტში, რომელიც შესრულებული უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისად.

IV. აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაცემა ნომინალურ თანხად (52.5 მუხლი)

საზოგადოების მიერ აქციები და აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები უნდა გაიცეს, სულ მცირე, ნომინალურ თანხად.

ყველა აქციასა და ფასიან ქაღალდს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე ნომინალური ღირებულება. 1999 წლის 9 ივნისის კანონის მიღებამდე ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ლარს ან მის მრავალჯერადს. ბოლო ცვლილებით აქციის ნომინალური ღირებულების კანონისმიერი განსაზღვრის პრინციპი შეიცვალა: 1999 წლის 1 სექტემბრიდან დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებში აქციათა ნომინალურ ღირებულებას თვით სააქციო საზოგადოება განსაზღვრავს, ოღონდ თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს ერთი და იგივე. დაუშვებელია, რომ სს-ამ სხვადასხვა ნომინალური ღირებულების აქციები გამოუშვას. იგივე წესი უნდა იყოს გამოყენებული სხვა ფასიანი ქაღალდების მიმართ.

ნომინალური ღირებულება ეწოდება იმ ღირებულებას, რომლითაც გაიცა აქცია ან სხვა ფასიანი ქაღალდი და დარეგისტრირდა კანონით დადგენილი წესით. *აქციის ნომინალური ღირებულება და მისი რეალური საბაზრო ღირებულება, უმეტეს შემთხვევაში, არ ემთხვევა ერთმანეთს.* ამიტომ, ბუნებრივად წარმოიშობა საკითხი იმ თანხის ბედის შესახებ, რომელიც აღემატება ნომინალურ თანხას და რომელსაც საზოგადოება იღებს ამ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შედეგად. 52.5 მუხლის თანახმად, ნომინალურზე მეტი ღირებულებით გაცემის შემთხვევაში, ღირებულებიდან გაცემის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ნამატი თანხა მიემატება სარეზერვო ფონდს.³ იგივე წესი გამოიყენება არაფულადი შესატანის დროსაც, რომლის ღირებულება აღემატება ნომინალურ ღირებულებას.

³ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (რომელიც კანონით აღიარებულია საქართველოს ეროვნულ სტანდარტად) ამ თანხას *ემისიური კაპიტალიც* ეწოდება.

53.1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მოვალეობის დაკისრება.
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

53.2. აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად შეღავათიანი უფლებების გათვალისწინებით. სხვა ფასიანი ქაღალდების კაპიტალიდან გამომდინარე ვალდებულებები პირველ რიგში უნდა შესრულდეს. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობს მოგების განაწილებაში შესატანი სიდიდის პროპორციულად.
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

53.3. ჩვეულებრივ, აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება (მუხლი 15.2)) ახორციელებენ საერთო კრებაზე.

53.3.1. აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვოს განმარტებები ღირეპქორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებაზე ათი დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

53.3.2. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი.

53.3.3. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ საწარმოს ინტერესების შესაბამისად

რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული. თუ ღირექტორები კრებას მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში არ მოიწვევენ, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

53.4. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ზმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას.

თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გადამწვეტი ზეგავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ. №1-2(33-34/7), გვ. 9, ამოქმედდა 23.01.97)

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

53.5. თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება,

რომელიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუდოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა. (სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. აქციონერის მოვალეობები (53.1 მუხლი)

1. სააქციო შესატანის განხორციელების მოვალეობა

სააქციო საზოგადოების ქონების დაცვა მეწარმეთა შესახებ კანონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ამ ქონების შექმნა თავდაპირველად ხდება დამფუძნებელი აქციონერების მიერ შესატანის შეტანის გზით. შესატანი კი ხორციელდება როგორც ფულადი, არაფულადი (სანიეთო), აგრეთვე შერეული (ფულად-არაფულადი) შესატანის ფორმით. ამით ყალიბდება საზოგადოების თავდაპირველი ქონება, რომელიც სააქციო საზოგადოების წარმატებული საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ აქციონერთა ერთადერთ მოვალეობას (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი) წარმოადგენს შესატანის შეტანა კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად (53.1 მუხლის პირველი წინადადება).

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდიდან წარმოეშობა აქციონერს შეტანის ვალდებულება. აქ შეიძლება რამდენიმე ვარიანტი არსებობდეს იმის მიხედვით, თუ როდის წარმოიშობა კაპიტალის შექმნასთან ან გაზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობები:

საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში აქციონერის ვალდებულება შეიტანოს შესატანი წარმოიშობა წესდებაზე ხელის მოწერის მომენტიდან (და არა სასამართლოში რეგისტრაციის მომენტიდან). წესდების ხელმოწერისთანავე შეტანილ უნდა იქნეს შესატანის ნახევარი, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს (3.5 მუხლის პირველი აბზაცი);

თუ საზოგადოების კაპიტალი იზრდება საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, შესატანის განხორციელების ვალდებულება წარმოიშობა შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერის ან აქციის შექმნის სურვილის სხვა გზით გამოხატვის მომენტიდან;

თუ შემძენი იძენს სრულად დაუფარავ აქციას, შესატანის შეტანის

ვალდებულება წარმოიშობა აქციის შექმნის მომენტიდან, თუმცა ამ დროს წარმოშობილი ურთიერთობები თავისებურებებით ხასიათდება. თუკი აქციონერი გაასხვისებს აქციას, რომელიც სრულად არ არის დაფარული და უნდა დაფარულიყო არაფულადი შესატანით, შემძენზე არაფულადი შესატანის შეტანის ვალდებულება არ გადადის. არაფულადი შესატანის შეტანის ვალდებულება კვლავ გამსხვისებულ აქციონერს უნდა დაეკისროს. მაგრამ, თუ რეალურად შეუძლებელია არაფულადი შესატანის განხორციელება გამსხვისებელი აქციონერის მიერ, მაშინ აქციის შემძენს უნდა დაეკისროს ფულადი შესატანის განხორციელება.¹

იმ შემთხვევებში, როცა სრულად დაუფარავი აქციის შემძენი კეთილსინდისიერია, მას შეიძლება არ დაეკისროს შესატანის განხორციელება. კეთილსინდისიერად უნდა ჩაითვალოს შემძენი, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ შესატანი აქციონერს არ ჰქონდა სრულად განხორციელებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს თვით სააქციო ბარათი (აქციის სერთიფიკატი), რომელზეც არ არის მითითება იმის შესახებ, რომ აქციონერს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს განხორციელებული შესატანი.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიხედვით, ანგარიშვალდებულ საწარმოთა სრულად დაუფარავი აქციების გადაცემა შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესებით².

შესატანი აქციონერის მიერ განხორციელებულად ჩაითვლება იმ მოქმეტიდან, როცა იგი საზოგადოების მფლობელობაში გადავა და საზოგადოების დირექტორატს ექნება მისი თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა. ფულადი შესატანის შემთხვევაში, თანხა უნდა მოთავსდეს საზოგადოების ანგარიშზე, რათა მისი გამოყენება შეეძლოს საზოგადოებას. არაფულადი შესატანის დროს შესატანი უნდა აისახოს საზოგადოების ბალანსზე. აუცილებლობისას უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია დადგენილი წესით. მაგალითად, უძრავი ქონება საჯარო რეესტრში უნდა გატარდეს სააქციო საზოგადოების სახელზე, ავტომანქანა უნდა დადგეს აღრიცხვაზე საგზაო პოლიციაში და ა.შ.

¹ MünchHdb. AG/Wiesner, §16. Rn.3.

² „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 10.9 მუხლი.

აქციონერის შესატანი შესაძლოა განხორციელდეს საზოგადოების კრედიტორის დაკმაყოფილების გზითაც. ამ შკდთხვევაში შესატანი განხორციელებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა საზოგადოება მიიღებს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ კრედიტორის მოთხოვნა აქციონერის მიერ დაკმაყოფილებულია.

2. შესატანის განხორციელებლობის შედეგები

ა. საზოგადოებიდან გარიცხვა

თუ აქციონერი გადააცილებს შესატანის შეტანის ვადას, სხვა აქციონერებს შეუძლიათ წერილობით მოსთხოვონ მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით და გააფრთხილონ იგი საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ. დამატებითი ვადა უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ერთ თვეს (3.5 მუხლის მე-2 აბზაცი).

კანონი დეტალურად არ განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა შეასრულოს საზოგადოებიდან გარიცხვის პროცედურა. საყოველთაოდ დაშვებული აზრის თანახმად,³ რომელსაც ქართული სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს,⁴ აქციონერის გარიცხვის პროცედურას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორატი. წესდება შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობასაც ითვალისწინებდეს. გარიცხვა გაფრთხილებიდან გონივრულ ვადაში და გონივრული პროცედურის დაცვით უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება საფუძველი გახდეს სასამართლოს მიერ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებისა.

გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღების მომენტიდან ქვეყნდება საჯაროდ. გამოქვეყნებას ექვემდებარება, აგრეთვე, მონაცემები აქციონერის პიროვნების შესახებ და ძალადაკარგული აქციის სერთიფიკატის ნომერი და სერია.

ბ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

საზოგადოებიდან გარიცხვა არ არის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი, რომელიც შესატანის შეუტანლობას შეიძლება მოჰყვეს. ცხა-

³ MünchHdb.AG/Wiesner, §16, Rn. 12.

⁴ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ. 244-250.

ღია, რომ შესატანის შეუტანლობით ზიანი ადგება საზოგადოებას. ამიტომ დასაშვებია, რომ საზოგადოებამ შესატანის შეუტანლობის გამო აქციონერისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. არის შემთხვევები, როცა საზოგადოების წესდება ითვალისწინებს პირგასამტეხლოს გადახდას აქციონერის მიერ შესატანის განუხორციელებლობისათვის.

3. შესატანის გადახდისაგან აქციონერის გაათავისუფლების დაუშვებლობა

საზოგადოებას არა აქვს უფლება აქციონერები გაათავისუფლოს შესატანის გადახდასთან დაკავშირებული მოთხოვნებისაგან, კერძოდ, გაათავისუფლოს გადახდისაგან (3.7 მუხლი). ამ მოთხოვნებში იგულისხმება როგორც სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას განსაზღვრული შეტანის მოთხოვნა, ისე კაპიტალის გაზრდის შედეგად წარმოშობილი შესატანის შეტანის მოთხოვნა.

4. აქციონერის სხვა მოვალეობები

1999 წლის 9 ივნისის ცვლილებების შედეგად, 53.1 მუხლი სრულიად ახალი შინაარსით ჩამოყალიბდა. თუკი ადრე შესაძლებელი იყო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წესდებით განსაზღვრული იყო აქციონერის სხვა მოვალეობანი, ამჟამად ასეთი რამ დაუშვებელია. *უფრო მეტიც, სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მოვალეობების დაკისრება ბათილია* (53.1 მუხლის მე-2 წინადადება).

ამრიგად, 53.1 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, აქციონერს სხვა მოვალეობები (გარდა შესატანის შეტანისა) შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონის საფუძველზე. კანონში ამ ცვლილების შეტანის მიზანი იყო აქციონერთა გაათავისუფლება ზედმეტი მოვალეობებისაგან, რომელთა დაკისრება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა, იშვიათობას არ წარმოადგენს. თუმცა 53.1 მუხლის მე-2 წინადადებით განმტკიცებული იმპერატიული ნორმა გარკვეულ უხერხულობას იწვევს: სააქციო საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას, აქციონერთა ერთსულოვნობის შემთხვევაშიც კი, დაადგინოს დამატებითი

მოვალეობები აქციონერებისათვის, თუკი ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.

1999 წ. 9 ივნისის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ პრაქტიკაში წამოიჭრა ერთი საკითხი: რა ვუყოთ საზოგადოების იმ თანამშრომლებს, რომლებიც საზოგადოების აქციონერებიც არიან, მაგრამ შრომითი ხელშეკრულებით აკისრიათ საწარმოში მუშაობის ვალდებულება? არის თუ არა ეს ის მოვალეობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის 53.1 მუხლის პირველ წინადადებასთან?

საწარმოს მუშა-მოსამსახურე, მიუხედავად იმისა, არის ის საზოგადოების აქციონერი თუ არა, მუშაობს შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ვალდებულება წარმოიშობა ამ ხელშეკრულების თანახმად და 53.1 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან საერთო არაფერი აქვს. მუშა-მოსამსახურის ვალდებულება ამ შემთხვევაში არ უნდა დაკავალიფიცირდეს 53.1 მუხლში აღნიშნულ „სხვა მოვალეობად“. ამასთან, კანონის 57.3 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „აქციონერს შეუძლია იყოს საქმიან ან შრომით ურთიერთობაში საზოგადოებასთან...“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები არანაირად არ უკავშირდება მათ, როგორც აქციონერის ვალდებულებებს.

II. აქციონერის უფლებები

სააქციო საზოგადოების აქციონერთა უფლებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთია *ქონებრივი უფლებები*, ხოლო მეორე – *უფლებები მართვის სფეროში*.

1. *ქონებრივი უფლებები*

ა. *დივიდენდის მიღების უფლება*

აქციონერთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ბოკების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება (53.2 მუხლი). ეს უფლება აქციონერის სტატუსის განუყოფელი ნაწილია. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ *დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება (დივიდენდის მიღების უფლება)*, რომელიც აქვს ყველა აქციონერს, და *კონკრეტული*

სამეურნეო წლის ბოლოს აქციონერის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლება (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების აქციონერად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების საერთო კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან (57.1 მუხლი). დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული აქციონერად ყოფნასთან და მისი გადაცემა სხვა პირისათვის დაუშვებელია მაშინ, როცა დივიდენდის მოთხოვნის უფლება შეიძლება აქციონერის თანხმობით სხვა პირმაც განახორციელოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აქციონერი საზოგადოების კრედიტორს წარმოადგენს და, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს თავისი მოთხოვნა სხვა პირს დაუთმოს.

დივიდენდის მოთხოვნის უფლება აქციონერს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა საერთო კრება 57.1 მუხლის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ. ამისთვის კი აუცილებელია, რომ საზოგადოებას წლის ბოლოს ჰქონდეს მოგება. თუ კრების გადაწყვეტილება ბათილად იქნება აღიარებული ან სხვა საფუძველით გაუქმდება, ეს გამოიწვევს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გაუქმებასაც.

კანონი დაწერილებით არ განსაზღვრავს, თუ გადაწყვეტილების მიღებიდან რა ვადაში უნდა მოხდეს დივიდენდის განაწილება. ამ საკითხს, როგორც წესი, ან წესდება არეგულირებს ან თვით საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება განისაზღვროს. დასაუღეთის ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, მოგების განაწილება იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი ორი დღის შემდეგ.⁵

აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად შეღავათიანი უფლებების გათვალისწინებით (53.2 მუხლის პირველი წინადადება). კანონი მოგების განაწილების ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევს აქციის ნომინალურ ღირებულებას. მაგრამ იმის გამო, რომ 51.1 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქცია, პრაქტიკულად მოგების განაწილება ხდება აქციათა რაოდენობის (ცალკების) მიხედვით.

⁵ MünchHdb.AG/Hoffmann-Becking, §46, Rn.22

მაგალითი:

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20 000 ლარს, რომელიც დაყოფილია 10 ლარის ნომინალური ღირებულების 2000 აქციად. სამეურნეო წლის ბოლოს საზოგადოებას დარჩა გასანაწილებელი მოგება 50 000 ლარი. ეს თანხა უნდა გაიყოს აქციათა რაოდენობაზე, ე.ი. 2000-ზე. თითოეულ აქციაზე გასანაწილებელი მოგება ანუ დივიდენდი იქნება 25 ლარი.

53.2 მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, აქციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად წილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება *აქციონერის შეღავათიანი უფლებები*. ამ უკანასკნელში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება პრივილეგირებული აქციით გათვალისწინებული უფლებები, რაც განისაზღვრება ან საზოგადოების წესდებით ანდა ემისიის პროსპექტით (52.2 მუხლის მე-2 წინადადება). შეღავათიანი უფლება შეიძლება ითვალისწინებდეს დივიდენდის მიღებას ჩვეულებრივ აქციონერზე უფრო ადრე და ა.შ.

მოგების განაწილებისას *სხვა ფასიანი ქაღალდების კაპიტალიდან გამომდინარე ვალდებულებები პირველ რიგში უნდა შესრულდეს (53.2 მუხლის მე-2 წინადადება)*. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საზოგადოებას 52.5 მუხლის შესაბამისად, გამოშვებული აქვს აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები, როგორცაა ობლიგაციები და სხვა, მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოებამ ეს ვალდებულებები პირველ რიგში უნდა შეასრულოს. კანონის ეს ნორმა იმპერატიულია და მისი შეცვლა საზოგადოების წესდებით დაუშვებელია. ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მოთხოვნები უნდა შესრულდეს აქციონერებს შორის დივიდენდების განაწილებამდე. მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ აქციონერებს (მათ შორის პრივილეგირებული აქციების მფლობელებს) კუთვნილი დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობს მოგების განაწილებაში შესატანის სიდიდის პროპორციულად. მაგალითად, თუ აქციონერს საზოგადოებაში შეტანილი აქვს აქციის ნომინალური ღირებულების მხოლოდ 50%, მაშინ მოგების განაწილებისას იგი მიიღებს ერთი აქციის კუთვნილი დივიდენდის 50%-ს.

აქციონერს არ შეიძლება მიეცეს სხვა საზღაურის, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა (დაწერილებით 57-ე მუხლის კომენტარი).

ბ. სხვა ქონებრივი უფლებები

მართალია, აქციონერის ქონებრივ უფლებებს შორის დივიდენდის მიღების უფლება ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ აქციონერებს სხვა ქონებრივი უფლებებიც აქვთ, კერძოდ, საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში საზოგადოების ქონების ნაწილის მიღების უფლება (52.2 მუხლი), სააქციო კაპიტალის გაზრდისას აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება (59.7 მუხლი) და ა.შ.

2. საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებები

უფლებები სააქციო საზოგადოების მართვის სფეროში აქციონერთა მეტად მნიშვნელოვან უფლებებს განეკუთვნება. მათზეა დამოკიდებული სს-ის საქმიანობის უმთავრესი საკითხების გადაწყვეტა. *ჩვეულებრივ, აქციონერები ამ უფლებებს საერთო კრების მეშვეობით ახორციელებენ.* საზოგადოების მართვის უფლებებიდან ძირითადია: ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებები (53.3 მუხლი). ამ წესიდან გამონაკლისია, როცა აქციონერი თავის უფლებას სასამართლოს მეშვეობით ახორციელებს. მაგრამ აქაც იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა აქციონერს ეს უფლებები (მაგალითად, კონტროლის უფლება) არ გამოიყენოს საერთო კრებაზე და პირდაპირ მიმართოს სასამართლოს?

ა. ხმის უფლება

ხმის უფლება აქციონერს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში: მართვის ორგანოების შექმნა, საწესდებო კაპიტალის შეცვლა, წლიური ანგარიშის დამტკიცება და ა.შ. კანონი ხმის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციების მფლობელ პირებს. რაც შეეხება პრივილეგირებულ

ლი აქციების მფლობელ აქციონერებს, მათ ხმის უფლება არა აქვთ. გამონაკლისია, როცა წესდება ან აქციათა ემისიის პროსპექტი ითვალისწინებს ერთ პრივილეგიურულ აქციაზე ერთი ხმის მინიჭებას იმ შემთხვევებისათვის, როცა საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს აქციონერზე დივიდენდის გაცემას (52.2 მუხლის მე-4 წინადადება). მასასადამე, პრივილეგიურული აქცია შეიძლება გარდაიქმნას ხპის უფლების მქონე აქციად, თუკი საზოგადოება ვერ გასცემს აქციონერზე დივიდენდს. კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ დივიდენდის რამდენჯერ გაუცემლობამ შეიძლება გამოიწვიოს პრივილეგიურული აქციის გარდაქმნა ჩვეულებრივ აქციად. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს საზოგადოების წესდებით.

ერთი აქცია უზრუნველყოფს ერთ ხმას. ამ დროს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს აქციის ნომინალურ ღირებულებას, ვინაიდან ყველა აქციას აქვს თანაბარი ღირებულება.

აქციონერებს შეუძლიათ ხმის უფლება გამოიყენონ როგორც სააქციო საზოგადოების, ისე საკუთარი ინტერესებისათვის. კენჭისყრაში არ მონაწილეობს აქციონერი, თუ იხილება საკითხი მასთან გარიგების დადების ან მისი ანგარიშის დამტკიცების შესახებ (53.4 მუხლის პირველი აბზაცი). ამ დროს აქციონერს უფლება არა აქვს გამოიყენოს თავისი ხმის უფლება.

1999 წ. 9 ივნისის ცვლილებებით 53.4 მუხლს დაემატა ახალი აბზაცი, რომელიც უმცირესობაში მყოფ აქციონერს უფლებას აძლევს *დომინანტი აქციონერისგან* მოითხოვოს კომპენსაცია, თუკი „დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ“. *დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე“ (53.4 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება).* კანონი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა უნდა ჩაითვალოს „საზოგადოების ინტერესების საზიანოდ“ მოქმედებად. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს.

ბ. ინფორმაციის მიღების უფლება (53.3.1 მუხლი)

ინფორმაციის მიღების უფლება დამოუკიდებელია აქციის სახეობაზე. იგი აქვს ყველა აქციონერს. ინფორმაციის გაცემაზე უარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ეწინააღმდეგება საწარმოს არსებით ინტერესებს. 1999 წ. 9 ივნისის ცვლილებით საზოგადოებამ ეს უარი წერილობით უნდა დაასაბუთოს. კანონი არც ამ შემთხვევაში განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება საწარმოს არსებით ინტერესად. ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია, თუმცა საწარმოს ინტერესის ხელყოფად უნდა ჩაითვალოს ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საზოგადოების ტექნოლოგიურ ან კომერციულ საიდუმლოებებს შეეხება და რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებას.

აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული საკითხის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი განსხვავებული საკითხების გამო. კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ უფლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ საერთო კრებაზე და არა ზოგადად. თუ აქციონერს საერთო კრების გარეშე შეეძლებოდა ინფორმაციის მოთხოვნა, საზოგადოების ხელმძღვანელობა ფიზიკურად ვერ შეძლებდა ყველა აქციონერის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. აქციონერს შეუძლია მისთვის სასურველი ინფორმაცია საერთო კრების განხილვის საგნად აქციოს. ამისათვის აქციონერმა კრებამდე ათი დღით ადრე წერილობით უნდა დააყენოს ეს საკითხი. იგი შეიტანება დღის წესრიგის საკითხად და მას განიხილავს საერთო კრება.

გ. კონტროლისა და რეგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება

რადგან ეს უფლებები უფრო უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვას ემსახურება, ისინი განხილული იქნება მომდევნო პარაგრაფში.

III. უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებები (53.3.2 და 53.3.3 მუხლები)

უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვა თანამედროვე სააქციო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მან განსაკუთრებული აქტუალობა პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შეიძინა, სადაც უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მიერ პრაქტიკულად იგნორირებულ იქნა მცირე აქციონერთა ინტერესები. ამიტომ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შემუშავებულ იქნა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის კორპორაციული მართვის ზოგადი პრინციპები, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად მცირე აქციონერთა უფლებების დაცვასაც ისახავენ მიზნად.⁶ კონტროლისა და რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლებები გამორჩეულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

1. კონტროლის უფლება

კონტროლის უფლება დაკავშირებულია საწესდებო კაპიტალის განსაზღვრულ ოდენობასთან. კერძოდ, საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს შეუძლიათ მოითხოვონ დირექტორების მიერ გაწეული საქმიანობის ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს (53.3.2 მუხლი). თუ აქციონერების ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სპეციალური შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი.

2. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება

ეს უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს (53.3.3 მუხლი). კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე რიგგარეშე კრების მოწვევა გამართლებული და აუცილებელი უნდა იყოს. რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი სს-ის

⁶ The Journal of Corporation Law, Volume 24, Number 2, Winter 1999.

დირექტორებისათვის. დირექტორები კი მოვალენი არიან დანიშნონ საერთო კრება მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში. წინაღმდეგ შემთხვევაში აქციონერები უფლებამოსილნი არიან რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნით მიმართონ სასამართლოს.

რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება იმ აქციონერთა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელთაც შესაძლებლობა არა აქვთ აქციათა მცირე რაოდენობის გამო გავლენა მოახდინონ საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

1. აქციონერს უფლება აქვს ამ მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან 54.6 მუხლის „გ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას. საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციის შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა. ასეთი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

ა) აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;

ბ) აქციონერმა ეს აქციები შეიძინა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

4. აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განხორციელებული შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას, სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

5. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ მიღებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

6. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

7. აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა) გამოსყიდვის შედეგად საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 51.1 მუხლით განსაზღვრულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე ნაკლები გახდება;

ბ) აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს.

8. თუ გამოსასყიდად შემოთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე ეს დაშვებულია ამ მუხლის მე-7 პუნქტით, ისინი გამოსყიდულ უნდა იქნეს სხვადასხვა გამყიდველთაგან პროპორციულ საფუძველზე.

9. საზოგადოების მიერ ამ მუხლის მიხედვით გამოსყიდული აქციები უქმდება და საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შესაბამისად მცირდება ამ კანონით დადგენილი წესით.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99).

I. ცნება და დახასიათება

სააქციო სამართლის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპსა და თავისებურებას წარმოადგენს აქციონერების მიერ სააქციო საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციების სტაბილურობა. აქედან გამომდინარე, არც ერთ აქციონერს არა აქვს უფლება საზოგადოებაში განხორციელებული შესატანი (ინვესტიცია) უკან მოითხოვოს. ამ შესატანის „დაბრუნება“ მას მხოლოდ აქციის გასხვისების გზით შეუძლია, რაც პრაქტიკულად წარმოადგენს საზოგადოებიდან აქციონერის გასვლას. ამით განსხვავდება სააქციო საზოგადოება სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისაგან.

ზემოაღნიშნული თავისებურების გამო, ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების მიერ აქციის გამოსყიდვის შესაძლებლობას. იგი წარმოადგენს გამონაკლისს და

გამოიყენება მხოლოდ კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.¹ იგი უცხო იყო ქართული სამართლისთვისაც. მეწარმეთა შესახებ კანონი 1999 წლის 9 ივნისის ცვლილებებამდე არ ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესაძლებლობას.

9 ივნისის ცვლილებებით მეწარმეთა შესახებ კანონს დაემატა 53¹ მუხლი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აქციონერს უფლება აქვს ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა.

აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება აქციონერის ოფციას წარმოადგენს და კანონი მის არსებობას გარკვეულ წინაპირობებს უკავშირებს. კერძოდ, აქციონერს აქციის გამოსყიდვის მოთხოვნა წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა:

1. გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს;

2. გადაწყვეტილებას საზოგადოების სხვა საზოგადოებასთან შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ (54.6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი);

3. გადაწყვეტილებას საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების ან გაცვლის, გარიგებების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი (54.6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი).

1. წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს

საზოგადოების წესდებაში აქციონერის უფლებების არსებითად შემლახავი ცვლილებების ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოად-

¹ General Principles Of Company Law For Transition Economies, P. 9, 10.

გენს ახალი ტიპის აქციების გამოშვება, რომელთაც უპირატესობა აქვს საზოგადოებაში უკვე არსებულ პრივილეგიურულ აქციებთან შედარებით.² მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად ითვალისწინებს ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას, ხოლო ის, ვინც მხარი არ დაუჭირა ამ გადაწყვეტილების მიღებას, უფლებამოსილია საზოგადოებას მოსთხოვოს საკუთარი აქციების გამოსყიდვა საბაზრო ღირებულებით³

კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, ჩაითვლება თუ არა აქციონერის უფლებების არსებით შელახვად წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე კრძალავს საზოგადოების აქციონერებზე დივიდენდების გაცემას.

თუ რა უნდა ჩაითვალოს აქციონერთა უფლებების შემლახველ ცვლილებად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს. მთავარი პირობა საზოგადოებისაგან აქციის გამოსყიდვის მოთხოვნისა არის მოცემული აქციონერისაგან ამ გადაწყვეტილებაზე მხარის არდაჭერა.

2. გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ

საზოგადოების რეორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით განხორციელდება იგი, შესაძლოა იყოს ძალიან მსხვილი ან რადიკალურად შეცვალოს სააქციო საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციების ხასიათი და, შესაბამისად, დაკავშირებულია აქციონერისათვის დიდი ზიანის მიყენების რისკთან.⁴ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კანონი მეწარმეთა შესახებ, ისე როგორც სხვა ქვეყნების კანონმდებლობა, ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად ითხოვს ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას. კერძოდ, 54.7 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა.

² General Principles Of Company Law For Transition Economies, P. 40.

³ იქვე.

⁴ General Principles Of Company Law For Transition Economies, P. 43.

იმ აქციონერებს, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესახებ, 53¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უფლება აქვთ საზოგადოებას მოსთხოვონ საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

3. გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ მსხვილი გარიგებების დადების თაობაზე

54.6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, *მსხვილ გარიგებად ჩაითვლება საზოგადოების მიერ ქონების შექენის, გასხვისების ან გაცვლის გარიგებები, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს.* ამგვარი გარიგებების დროს საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციების დაკარგვის რისკი ისევე დიდია, როგორც საზოგადოების რეორგანიზაციისას. ამიტომ იმ აქციონერებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კანონი უფლებას ანიჭებს მოსთხოვონ საზოგადოებას საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

II. აქციათა გამოსყიდვის პროცედურა

იმის გამო, რომ აქციათა გამოსყიდვა წარმოადგენს გამოწვევის, მაგრამ იმავედროულად საზოგადოებისათვის საკმაოდ უხერხულ მოვალეობას, კანონი დეტალურად აწესრიგებს აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საზოგადოებამ, რომელიც აპირებს საზოგადოების რეორგანიზაციის, მსხვილი გარიგების დადების შესახებ ან აქციონერის უფლების არსებითად შემლახველი გადაწყვეტილების მიღებას, საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი (53¹ მუხლის მე-2 პუნქტი). ამ მოთხოვნის დარღვევით საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს ბათილად.

საერთო კრების მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს წერილობით

მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა (53¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

აქციონერს არა აქვს უფლება საზოგადოებას მოსთხოვოს აქციის გამოსყიდვა, თუკი მის მიერ *სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი ან აქციონერმა ეს აქციები შეიძინა მას შემდეგ, რაც დაგზავნილი იქნა შეტყობინება საერთო კრების მოწვევისა და მასზე სათანადო გადაწყვეტილებების მიღების შესახებ.*

III. გამოსასყიდი აქციის ღირებულება

საზოგადოების მიერ აქციის გამოსყიდვის პროცესში აქციის ღირებულების განსაზღვრის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ამას, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება განაპირობებს, რომ აქციას აქვს როგორც ნომინალური, ისე საბაზრო ღირებულება. ამიტომ, აქციონერისათვის არ არის სულ ერთი, თუ რა ფასად შეიძენს მის აქციას საზოგადოება.

53¹ მუხლის მე-4 პუნქტი გამოსასყიდი აქციის ღირებულების განსაზღვრის რამდენიმე შესაძლებლობას ითვალისწინებს. პირველი და უმთავრესი პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია ამ მუხლში, მდგომარეობს იმაში, რომ *„აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით“*. ამ ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმად აღებულია საზოგადოების საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების წინა დღეს არსებული ღირებულება. თუ იმ სააქციო საზოგადოებების მიმართ, რომელთა აქციებიც მონაწილეობენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და რომელთა აქციების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, საქართველოში მოქმედი საზოგადოებების აქციათა მიმართ ამის განსაზღვრა არ არის იოლი. ამიტომ საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იქნეს „ზოგადი პრინციპების“ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია, რომლის თანახმად, *გამოსასყიდი აქციის საბაზრო ღირებულება უნდა დაადგინოს დამოუკიდებელმა შემფასებელმა (ექსპერტმა).*⁵

53¹ მუხლის მე-4 პუნქტი უშვებს აქციის ღირებულების განსაზღვრის

⁵ General Principles Of Company Law For Transition Economies, P 52.

სხვა წესის გამოყენების შესაძლებლობასაც იმ შემთხვევებისთვის, როცა „აქციით დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო კანონით დადგენილია აქციით სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას, სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება“. ვინაიდან კანონი ჯერჯერობით არ განსაზღვრავს ამ წესს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საბაზრო ღირებულების პრინციპს დამოუკიდებელი შემფასებლის მონაწილეობით ეს შესაძლებლობას მოგვცემს აქციით დაბალი ლიკვიდურობაც იქნეს გათვალისწინებული და სხვა მიზეზებიც, რომლებიც აქციის რეალურ ფასზე გავლენას ახდენენ.

IV. გამოსასყიდი აქციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

53¹ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას გამოსასყიდი აქციების ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო. გადაწყვეტილება მიიღება 30 დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა აქციონერი წერილობით მოითხოვს საზოგადოებისაგან თავისი აქციების გამოსყიდვას. ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში (53¹ მუხლის მე-5 პუნქტი).

აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

V. შეზღუდვები აქციის გამოსყიდვისას

კანონი მეწარმეთა შესახებ ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა აქციის გამოსყიდვის განხორციელება შეზღუდულია. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს შეზღუდვათა ორ ჯგუფს: პირველი, როცა აქციონერს არ წარმოეშობა საზოგადოებისაგან აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება; მეორე, როცა აქციის გამოსყიდვა დაუშვებელია.

1. აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლების არარსებობა

53¹ მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა აქციონერს არ წარმოეშობა აქციის გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება, მიუხედავად საერთო კრების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რომელიც სხვა შემთხვევაში აქციონერს ანიჭებს ასეთ უფლებას. კერძოდ, ეს შემთხვევებია, როცა:

ა. *აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი;*

ბ. *აქციონერმა ეს აქციები შეიძინა მას შემდეგ, რაც კანონით დადგენილი წესით აქციონერებს დაეგზავნათ შეტყობინება საერთო კრების მოწვევის შესახებ.*

2. აქციის გამოსყიდვის დაუშვებლობა

აქციის გამოსყიდვის დაუშვებლობა უნდა განვასხვაოთ წინა პარაგრაფში განხილული შემთხვევისაგან. ამ დროს, მართალია, აქციონერს აქვს გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება, მაგრამ გამოსყიდვის განხორციელებამ შეიძლება საზოგადოება მძიმე ფინანსურ და მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენოს, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციები და მომავალი გეგმები. ამიტომ კანონი ასეთი შემთხვევებისათვის საზოგადოების ინტერესების დამცავ ნორმებს განამტკიცებს.

აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ:

ა. *გამოსყიდვის შედეგად საზოგადოების საკუთარი კაპიტალი კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე ნაკლებად მინიმალური საწესდებო კაპიტალი, 51.1 მუხლის თანახმად, შეადგენს 15 000 ლარს;*

ბ. *აქციების გამოსყიდვისათვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს.*

თუ გამოსასყიდად შემოთავაზებულია იმაზე მეტი აქცია, ვიდრე საზოგადოების კაპიტალის 25% ან იმდენი აქცია, რომლის გამოსყიდვამ შეიძლება გამოიწვიოს საწესდებო კაპიტალის შემცირება კანონით გათვალისწინებულ მინიმუმზე დაბლა, ისინი გამოსყიდულ უნდა იქნეს სხვა-

დასხვა გამყიდველთაგან პროპორციულ საფუძველზე, მაგრამ მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით (53¹ მუხლის მე-8 პუნქტი).

VI. აქციის გამოსყიდვის შედეგები

აქციის გამოსყიდვა, ცხადია, იწვევს სააქციო საზოგადოების ქონების შემცირებას. არ არის გამორიცხული, რომ ამან გამოიწვიოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება. შესაბამისად, დგება გამოსყიდული აქციების ბედის საკითხი, კერძოდ, უნდა გადანაწილდეს იგი სხვა აქციონერებს შორის, თუ უნდა გაუქმდეს? – 53¹ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საზოგადოების მიერ გამოსყიდული აქციები უქმდება და შესაბამისად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი მცირდება კანონით დადგენილი წესით.

VII. განსაკუთრებული წესები ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 10.9 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ შეიძლება 53¹ მუხლით გათვალისწინებული საკითხები დამატებით მოაწესრიგოს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის, მაგალითად, საჯარო (ღია) სააქციო საზოგადოებებისთვის – რომელთაც 100 ან მეტი აქციონერი ჰყავთ ან/და, თუ მათი აქციები სავაჭროდაა დაშვებული საფონდო ბირჟაზე.

მუხლი 54. საერთო კრება

54.1. ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ან 53.3.3 მუხლის შესაბამისად, აქციონერების მოთხოვნით.

სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების საადრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

54.2. საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების წიგნში შეტანილ უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე ოცი დღის ვადაში დირექტორების მიერ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისთვის მოსაწვევის გაგზავნით. მოწვევასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილებების მისაღებად; შესაძლო ცვლილებები საზოგადოების წესდებაში უნდა გამოცხადდეს ასევე წინასწარ.

კრების მოწვევის შეტყობინებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოს, რომელშიც დასაშვებია შეტყობინების გამოქვეყნება.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

54.3. აქციონერს შეუძლია 54.2 მუხლის მიხედვით დადგენილი

პროცედურის შესაბამისად წინასწარ მიიღ.ის კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური. იგი მონაწილეობას იღებს კრების მუშაობაში პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

54.4. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას – ერთ-ერთი დირექტორი. კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ოქმს ადგენს ნოტარიუსი.

54.5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევრის მფლობელები მაინც. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელებისა. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით, 54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა მიუხედავად.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

54.6. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა. შეცვალოს საზოგადოების წესდება, კერძოდ, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, საზოგადოების საქმიანობის საგანი და გადაწყვეტიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;

ბ. (ამოღებულია)

(სსმ, I, 1999, №24, მუხლი 110, ამოქმედდა 01.09.99)

გ. მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ;

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

დ. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უბირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს (მუხლი 59-ე), აგრეთვე მუხლი 52.4-ის შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებისას;

ე. მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ ან, როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვ. აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლები სამეთვალყურეო საბჭოში ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

ზ. დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;

თ. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ი. აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;

კ. მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ. მიიღოს გადაწყვეტილებები ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

მ. მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის გარიგებების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, ჩვეული საქმიანობის წარმართვის გარდა, რომელთა ღირებულებაც შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებენ სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები.

54.7. 54.6 მუხლში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა, გარდა „ა“ და „ე“ ქვე-

პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა და „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

54.8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციათა სრულ რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ხოლო თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. საერთო კრების მოწვევის წესი

საერთო კრება სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელზეც აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა მრავალრიცხოვნობის გამო ძნელია მათი ხშირი შეკრება და ორგანიზებულად თავშეყრა. ამიტომ კანონი დაწვრილებით აწესრიგებს საერთო კრების მოწვევის პროცედურას. კრების მოწვევის დაწვრილებითი რეგლამენტაცია გამოწვეულია რამდენიმე გარემოებით:

ა. აქციონერთა სიმრავლის გამო არცთუ იშვიათად უცნობია აქციონერების ვინაობა და მათი ადგილსამყოფელი. ბუნებრივია, რომ აქციონერთა უმრავლესობა, როგორც წესი, არ წარმოადგენს ამ სააქციო საზოგადოების თანამშრომელს. ამიტომ, კრების მოწვევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობა, აქციონერებმა დროულად გაიგონ კრების მოწვევის შესახებ და კრების დღის წესრიგი;

ბ. მიუხედავად იმისა, რომ აქციონერთა ერთ ნაწილს (უმცირესობას) ნაკლები შანსი აქვს ზეგავლენა მოახდინოს კრების გადაწყვეტილების მიღებაზე, მათ ასევე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კრების მუშაობაში და გამოთქვან თავიანთი აზრი.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის საერთო კრებას – *მორიგ საერთო კრებას* და *რიგგარეშე საერთო კრებას*.

1. მორიგი საერთო კრება

მორიგი საერთო კრების მოწვევა კანონის მიხედვით სავალდებულოა. მისი მოწვევის ვადებს კანონი ზუსტად განსაზღვრავს. იგი მოწვეულ უნდა იქნეს ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში (54.1 მუხლი). კანონი ასევე იმპერატიულად განსაზღვრავს ამ კრებაზე განსახილველ ერთ-ერთ საკითხს – წლიური შედეგების განხილვა (54.1 მუხლი).

2. რიგგარეშე საერთო კრება

ყველა სხვა კრება, რომელიც არ არის მოწვეული 54.1 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული პირობის დაცვით, ჩაითვლება რიგგარეშე კრებად. რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვთ:

ა. დირექტორებს;

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს და

გ. საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელ აქციონერებს კანონის 53.3.3 მუხლის შესაბამისად.

რიგგარეშე კრების მოწვევა შესაძლოა ყველა შემთხვევაში, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.

3. კრების მოწვევის პროცედურა

საერთო კრება მოიწვევა დირექტორების მიერ 20 დღის ვადაში ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით ან აქციონერებისათვის მოსაწვევების გაგზავნით.

მორიგი საერთო კრების მოწვევა დირექტორების მოვალეობას წარმოადგენს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა უნდა შეფასდეს კანონის 56.4 და 9.7 მუხლების დარღვევად, რის გამოც მათ შეიძლება მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისროთ. გარდა ამისა, კრების მოწვევის მოვალეობის შეუსრულებლობა შეიძლება დირექტორის გათავისუფლების საფუძველიც კი გახდეს. დირექტორი ვალდებულია მოიწვიოს კრება მაშინაც, როცა ამას ითხოვენ აქციონერები 53.3.3 მუხლის შესაბამისად.

გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ დირექტორების მიერ მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით¹. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ დირექტორებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების დღისთვის რეგისტრირებულნი არიან სამეწარმეო რეესტრში დირექტორებად.

რთულია საკითხის გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებას ჰყავს ორი დირექტორი და მათ შორის ხმები გაიყოფა. 56.4 და 9.7 მუხლების დარღვევად უნდა შეფასდეს იმ დირექტორის მოქმედება, რომელმაც მხარი არ დაუჭირა მორიგი ან 53.3.3 მუხლით გათვალისწინებული საერთო კრების მოწვევას.

გადაწყვეტილების მიღების იგივე წესი უნდა იყოს გამოყენებული მაშინაც, როცა გადაწყვეტილებას საერთო კრების მოწვევის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მიღებულად ითვლება ის გადაწყვეტილება, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაუჭერს მხარს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა არც დირექტორები, არც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და არ იწვევენ საერთო კრებას. ამ დროს სასამართლო უფლებამოსილია აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელთა მოთხოვნით მოიწვიოს საერთო კრება (მუხლი 53.3.3).

¹ Hüffer, Uwe: Aktiengesetz. 3. Aufl. §121, Rn.6.

საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა. კრების დღის წესრიგი;

ბ. დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად;

გ. წესდებაში შესაძლო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში – წესდებაში ცვლილებების საკითხი (54.2 მუხლი).

კრების მოწვევის შეტყობინებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება (54.2 მუხლის მე-2 აბზაცი).

1999 წ. 9 ივნისის ცვლილებების² მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების განსაკუთრებული დაცვა. კერძოდ, *საზოგადოების აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგ ზავნებათ დაზღვეული წერილით* (54.2 მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადება). ანგარიშვალდებული საწარმოს³ შემთხვევაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია განსაზღვრავს აგრეთვე იმ ბეჭდვით ორგანოს, რომელშიც დასაშვებია შეტყობინების გამოქვეყნება.

საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს საზოგადოების წიგნში შეტანილი სააქციო საზოგადოების უკანასკნელ იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერ სხვა ადგილზე.

² სსმ, I, 1999 №24, მუხ. 110.

³ ანგარიშვალდებულ საწარმოს წარმოადგენს საწარმო, რომელსაც გამოშვებული აქვს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდი (საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი – სსმ, I, 1999 წ. მუხ. 1)

აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ განცხადების ნიმუში:

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

სააქციო საზოგადოების მორიგი კრების მოწვევის შესახებ

სს „კოლხეთის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2002 წლის 20 თებერვალს თბილისში, რუსთაველის გამზირზე №50-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სააქტო დარბაზში.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. 2001 წლის წლიური ანგარიში:

- ა. წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
- ბ. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;

3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

4. წესდებაში ცვლილებების შეტანა;

5. 2001 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან ჩაგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2002 წლის 10 თებერვლამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

– ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმო-

მადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ქართული რეესტრი“, 2002 წლის 15 იანვარის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 10 თებერვლის 10 საათიდან 19 თებერვლის 18 საათამდე მისამართზე: თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 73, მე-2 სართული, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ქართული რეესტრის“ ოფისი.

თბილისი, 2002 წლის 1 თებერვალი

4. კრების მუშაობაში მონაწილეობის წესი

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს ჩვეულებრივი აქციონის მფლობელ ყველა აქციონერს, ქვემოთ მოყვანილ გარემოებათა გათვალისწინებით.

ა. საერთო კრების სააღრიცხვო დღე

კრების მუშაობაში ორგანიზებულად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამეთვალყურეო საბჭო ადგენს *საერთო კრების სააღრიცხვო დღეს* (54.1 მუხლის პირველი აბზაცი). საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის. სააღრიცხვო დღე არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან.

მაგალითი:

სს „ალიონის“ აქციონერთა საერთო კრება დანიშნულია 20 აგვისტოს. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ მიღებულ იქნა 1 აგვისტოს. სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 15 ივლისი. ეს იმას ნიშნავს, რომ კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი იყვნენ აქციონერებად 15 ივლისს. ვინაიდან სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა (აქციონერთა) შემადგენლობა ცვალებადია, მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, თუ რომელ დღეს (უფრო ზუსტად რომელი დღის სამუშაო

საათების დამთავრების მომენტისთვის) რეგისტრირებულ აქციონერებს გააჩნიათ საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.

ბ. კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლების დადასტურება

54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, აქციონერს შეუძლია წინასწარ მიიღოს კრებაში მონაწილეობის უფლებისა და მის განკარგულებაში არსებულ ხმათა რაოდენობის დასტური.

აქციონერი მონაწილეობას იღებს კრების მუშაობაში პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

აქციონერს უფლება აქვს კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოაგზავნოს სხვა პირი. ამისათვის აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

5. საერთო კრების გადაწყვეტილებათუნარიანობა

საერთო კრება გადაწყვეტილებათუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის ნახევრის მფლობელები მაინც (54.5 მუხლის პირველი წინადადება).

თუ კრებაზე არ გამოცხადდა აქციონერთა 50%, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (ან იმ პირის, რომელიც თავმჯდომარეობს კრებას) მიერ განსაზღვრულ ვადაში იგივე დღის წესრიგით (54.2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად) მოიწვევა ახალი კრება.⁴ *ხელმოკრედ მოწვეული კრება გადაწყვეტილებათუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე კაპიტალის არანაკლებ 25%-ის მფლობელებისა.*

თუ კრებაზე კვლავ არ გამოცხადდა აქციონერთა საკმარისი რაოდენობა და ამის გამო კრება არ არის გადაწყვეტილებათუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით მესამედ მოიწვევა საერთო კრება. *მესამედ მოწვეული საერთო კრება გადაწყვეტილებათუნარიანია.*

⁴ 1999 წ. 9 ივნისამდე მოქმედი კანონის თანახმად, ხელმოკრედ მოწვეული კრება გადაწყვეტილებათუნარიანი იყო გამოცხადებული აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

ბუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე კაპიტალის მფლობელთა მიუხედავად (54.5 მუხლის ბოლო წინადადება).

6. კრების თავმჯდომარეობა და საერთო კრების ოქმი

ა. საერთო კრების თავმჯდომარე

კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ უხელმძღვანელონ საერთო კრების მუშაობას: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას – ერთ-ერთი დირექტორი (54.4 მუხლი).

კრების მუშაობის დაწყებისას თავმჯდომარემ დამსწრე აქციონერებს უნდა მოახსენოს კრების გადაწყვეტილება ბუნარიანობისა და იმის შესახებ, რომ კრება მოწვეულია კანონისა და საზოგადოების წესდების მოთხოვნათა დაცვით.

საერთო კრება დახურულია და მასში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ აქციონერებს, თუ საერთო კრება სხვა რამეს არ გადაწყვეტს.

საერთო კრების მუშაობის წარმართვის პროცედურა შეიძლება უფრო დაწვრილებით განისაზღვროს საზოგადოების შინაგანაწესში.

ბ. საერთო კრების ოქმის შინაარსი

განსხვავებით სხვა სამეწარმეო საზოგადოებისაგან, *სააქციო საზოგადოების კრების მუშაობაში მონაწილეობს ნოტარიუსი, რომელსაც გვალება კრების ოქმის შედგენა.*

იმისათვის, რომ საერთო კრების ოქმი სწორ და უტყუარ ინფორმაციას იძლეოდეს კრებაზე განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, იგი უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ მონაცემებს.

ოქმში აღნიშნული უნდა იყოს ოქმის შედგენის დრო და ადგილი, ასევე ოქმის შემდგენი ნოტარიუსის სახელი, გვარი და სანოტარო ბიუროს მონაცემები, რომელშიც ეს ნოტარიუსი მუშაობს. კრების ჩატარების ადგილის მითითებისას საკმარისია იმ დასახლებული პუნქტის (ქალაქი, დაბა, სოფელი) აღნიშვნა, რომელშიც ტარდება საერთო კრება. უფრო

დაწერილებითი ინფორმაცია, როგორცაა ქუჩა, სახლის ნომერი და ა.შ. აუცილებელი არაა.⁵ თუ საერთო კრება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, საჭიროა ამ დროის მონაკვეთის მითითება, მაგრამ ცალკე უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების მიღების დღე.

კრების ოქმი უნდა შეიცავდეს მონაცემებს საერთო კრების ვადაწყვეტილებაუნარიანობის შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ მერამდენე მოწვევის შემდეგ გახდა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი.

კრების ოქმში დღის წესრიგთან ერთად უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების მიღების ფორმა (ფარული თუ ღია). ასევე უნდა აღიწეროს ხმის დათვლის პროცედურა.

და ბოლოს, კრების ოქმში უნდა აღინიშნოს დღის წესრიგის თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ ნაწილში დაწერილებით უნდა აღიწეროს მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხმების რაოდენობა.

მართალია, 54.4 მუხლის თანახმად, კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი, მაგრამ აუცილებელია, რომ კრების ოქმს, ვიდრე მას ნოტარიუსი დაამოწმებს, ხელი მოაწეროს კრების თავმჯდომარემ.

II. საერთო კრების კომპეტენცია

მიუხედავად იმისა, რომ საერთო კრება სააქციო საზოგადოებას მართვის უმაღლესი ორგანოა, მისი უფლებები კანონით ზუსტადაა განსაზღვრული და, ამავე დროს, შპს-ის პარტნიორთა კრებისაგან განსხვავებით საკმაოდ შეზღუდულია. მაგალითად, საერთო კრებას არა აქვს უფლება აირჩიოს საზოგადოების დირექტორები, დადოს ხელშეკრულებები საზოგადოების სახელით და ა.შ. იმავედროულად, საერთო კრებას აქვს ისეთი უფლებები, რომლებიც მას შესაძლებლობას აძლევენ განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მთლიანად საზოგადოების ბედი.

კანონის 54.6 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საერთო კრების უფლებამოსილებას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

⁵ Hüffer, AG, §130, Rn 15.

ა. საზოგადოების წესდების შეცვლა

საზოგადოების წესდების შეცვლა საერთო კრების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. წესდების შეცვლა ფორმალურ-იურიდიული გამოხატულებაა იმ ცვლილებისა, რომელსაც საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ესაა *საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების, საზოგადოების საქმიანობის საგნის შეცვლა და ა.შ.*

„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი უფლებაა *საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა*, რომელიც ადრე „ბ“ ქვეპუნქტში იყო გათვალისწინებული. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, *გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ არ განეკუთვნება წესდებაში ცვლილების შემტან გადაწყვეტილებებს*.⁶ ამიტომ, 1999 წ. 9 ივნისის ცვლილებამდე საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი სისტემურად და ლოგიკურად სწორად იყო „ბ“ ქვეპუნქტში მოთავსებული. თუმცა საერთო კრების გადაწყვეტილება, რომელსაც ცვლილება შეაქვს საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძვლებსა და პირობებში, უნდა ჩაითვალოს საზოგადოების წესდების შემცვლელ გადაწყვეტილებად. საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქციონერთა საერთო კრების იმანენტურ უფლებას განეკუთვნება და დაუშვებელია მისი წესდებით აკრძალვა.

საზოგადოების წესდება შეცვლადი უნდა იყოს: შესაძლებელი უნდა იყოს მასში ცვლილებების შეტანა. წესდების ისეთი ნორმები, რომლებიც კრძალავენ წესდებაში ცვლილებების შეტანას, ბათილია.⁷ წესდების ცვლილებად ჩაითვლება ყველა ცვლილება, რომელიც იწვევს საზოგადოების წესდების ტექსტის შეცვლას, მიუხედავად იმისა, თუ წესდების რომელ ნაწილს ეხება ეს შეცვლა.

პრაქტიკაში წესდების შეცვლის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებს წარმოადგენს:

- საფირმო სახელწოდების შეცვლა;
- საქმიანობის საგნის შეცვლა;
- საწესდებო კაპიტალის შეცვლა;

⁶ Zöllner in Kölner Kommentar zum AktG, §179, Rn. 10.

⁷ Zöllner in Kölner Kommentar zum AktG, §179, Rn. 2.

- აქციათა ნომინალური ღირებულების შეცვლა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის, დირექტორების რაოდენობისა და მათი კომპეტენციის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა არ იწვევს საზოგადოების წესდების შეცვლას;
- საზოგადოების ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შეცვლა და ა.შ.

იმდენად მნიშვნელოვანია „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხები, რომ მათზე გადაწყვეტილებების მისაღებად კანონი მოითხოვს ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭიროა *ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა* (54.7 მუხლი). ამ მოთხოვნის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია და იგი არ იწვევს წესდებაში ცვლილების შეტანას.

ბ. (ამოღებულია)⁸

გ. გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ

სამეწარმეო საზოგადოებათა, მათ შორის, სააქციო საზოგადოებების რეორგანიზაციის საკითხები მოწესრიგებულია მე-14 მუხლით.⁹ გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების სხვა საზოგადოებასთან შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის მეტად მნიშვნელოვანია. ამიტომ მათ მისაღებად კანონი ხმათა უფრო მეტ რაოდენობას მოითხოვს, ვიდრე სხვა გადაწყვეტილებების მიღების დროს. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა *ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა* (54.7 მუხლი).

⁸ სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110.

⁹ იხილეთ მე-14 მუხლის კომენტარი.

დ. აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება საწესდებო კაპიტალის მომატების დროს

59.7 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოების მიერ სააქციო კაპიტალის გაზრდისას ან აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად.

54.6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესაძლებლობას. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა *ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 3/4-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა (54.7 მუხლის ბოლო წინადადება).*

აქციის უპირატესი შესყიდვის უფლება აქციონერის კანონისმიერ უფლებას წარმოადგენს და მისი ჩამორთმევა აქციონერის სამართლებრივ მდგომარეობაში მნიშვნელოვან ჩარევად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, აქციონერისთვის ამ უფლების ჩამორთმევა მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას უნდა იყოს შესაძლებელი და გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს.

აქციის უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა კაპიტალის გაზრდით დასახული მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია და აქციონერების უფლებების შეზღუდვა მთლიანად საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. თუკი არსებობს უკეთესი ალტერნატიული წინადადებები, ვიდრე აქციონერისთვის უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევაა, მაშინ დაუშვებელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება.¹⁰ აქციის უპირატესი შესყიდვის უფლების ჩამორთმევა ყველაზე ხელსაყრელი და მისაღები გზა უნდა იყოს საზოგადოების კაპიტალის გაზრდისათვის.

გადაწყვეტილება აქციის შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ უნდა გაფორმდეს იმავე გადაწყვეტილებით, რომლითაც ხდება საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხის გადაწყვეტა. აქციის შესყიდვის უფლების გაუქმების თაობაზე მოსალოდნელი გადაწყვეტილების

¹⁰ MünchHdb. AG/Krieger, §56, Rn.63.

მიღების შესახებ აღნიშნული უნდა იყოს კრების მოწვევის დღის წესრიგში. გარდა ამისა, როგორც წესი, საზოგადოების დირექტორატმა წერილობით უნდა გადასცეს საერთო კრების მონაწილეებს დასაბუთება, თუ რატომ უნდა ჩამოერთვათ აქციონერებს აქციათა შესყიდვის უფლება. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა არის მიზეზი და საფუძველი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა.

აქციის შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. ნაწილობრივ გაუქმება ნიშნავს, რომ აქციათა მხოლოდ ერთი ნაწილი გადის გასაყიდად, ხოლო დანარჩენი ნაწილის შესყიდვის უფლება აქციონერებს უნარჩუნდებათ. აქციის შესყიდვის უფლების ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაშიც აუცილებელია ისეთივე პროცედურის დაცვა, როგორც აქციის შესყიდვის უფლების გაუქმების დროს არსებობს.

პრაქტიკაში საინტერესოა საკითხი აქციების შესყიდვის უფლების გართულების შესახებ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა, მართალია, ფორმალურად არ ხდება ამ უფლების გაუქმება, მაგრამ საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას აქციების ისეთი მაღალი ნომინალური ღირებულებით გაცემის შესახებ, რომ აქციონერებს არა აქვთ ამ აქციების შეძენის შესაძლებლობა: ე.ი. აქციების ფაქტობრივად შეძენა ხელოვნურად რთულდება. ასეთი გადაწყვეტილებები მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგოდ და აქციონერებს მათი გასაჩივრების უფლებას ანიჭებს.¹¹

ე. გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ

სააქციო საზოგადოების წლიური ანგარიში, სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში და წმინდა მოგების განაწილების პროექტი მზადდება დირექტორების მიერ. დირექტორები ამ პროექტს წარუდგენენ სამეთვალყურეო საბჭოს. თუ სამეთვალყურეო საბჭო მოიწონებს დირექტორების მიერ მომზადებულ მოგების განაწილების გეგმას, იგი წარედგინება საერთო კრებას დასამტკიცებლად. იმ შემთხვევაში, როცა დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო ვერ თანხმდებიან მოგების განაწილების გეგმაზე,

¹¹ Lutter in Kölner Komm. AktG, §186, Rn. 58.

მაშინ ორივე პროექტი (როგორც დირექტორატის მიერ მომზადებული, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული) წარედგინება საერთო კრებას.

წმინდა მოგების განაწილების შესახებ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად *საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 2/3-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა* (54.7 მუხლი).

საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება წმინდა მოგება არ განაწილდეს აქციონერებს შორის და მთლიანად დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს (57.1 მუხლის მე-2 აბზაცი). სხვა შემთხვევაში მოგება დივიდენდების სახით ნაწილდება აქციონერებს შორის.

მართალია, მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს, მაგრამ საერთო კრებას არა აქვს უფლება საბალანსო მოგება შეამციროს ან გაზარდოს. მას შეუძლია დივიდენდები მხოლოდ საბალანსო მოგების ფარგლებში გაანაწილოს.¹² საერთო კრებას ასევე არა აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილოს მოგება აქციონერებს შორის და არ მიიღოს მხედველობაში აქციათა წილი მოგებაში.

ვ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა

საერთო კრების ძირითადი ფუნქცია საზოგადოების მართვის საკითხის განსაზღვრისას არის *სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა*. კრებებს შორის პერიოდში საზოგადოების დირექტორების საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო. ამიტომ სს-ის წარმატება-წარუმატებლობა ბაზრის პირობებში ბევრადაა დამოკიდებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სწორად შერჩევაზე (დაწვრილებით 55-ე მუხლის კომენტარი).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსის ლეგიტიმაციის საფუძველი არის საერთო კრების გადაწყვეტილება წევრის არჩევის შესახებ. ამიტომ საზოგადოებასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის რაიმე ხელშეკრულება არ იღება (განსხვავებით დირექტორებისაგან). უფრო მეტიც, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილება და

¹² Claussen in Kölner Kommentar, §174, Rn. 2.

მოვალეობები განისაზღვრება კანონით აღიარებული შეხედულების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საზოგადოებას შორის არსებობს არა სხელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ კანონისმიერი ვალდებულებებით ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა საერთო კრების მიერ არჩევისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ თანამდებობის მიღების მომენტიდან და რომლის შინაარსი განისაზღვრება კანონით, წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებით¹³

გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ მიიღება ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის ნახევარზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა მიერ, ე.ი. ხმათა უბრალო უმრავლესობით.

1999 წ. 9 ივნისის ცვლილებებით გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელსაც კანონი ხმების აკუმულირების მეთოდს უწოდებს (54.8 მუხლი). მის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდზე, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა. ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციათა სრულ რაოდენობას.

მაგალითი:

სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად წარმოდგენილია ხუთი კანდიდატურა. უნდა აირჩეს სამი. აქციონერს აქვს ასი აქცია, ე.ი. ასი ხმა. მას შეუძლია ეს ხმები გადაანაწილოს ხუთივე ან რამდენიმე კანდიდატურაზე: ერთს მისცეს 30 ხმა, მეორეს – 40 და ა.შ.

ბ. აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს, მაგრამ არა აქვს მის წინააღმდეგ ხმის მიცემის უფლება;

¹³ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking, §33, Rn. 9.

გ. თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ხოლო, თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა არჩევის ეს წესი წარმოადგენს გამონაკლისს და იგი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აქციონერები ამაზე შეთანხმდებიან.

საერთო კრება თავისუფალია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კანდიდატების შერჩევასა და მათ არჩევაში, გარდა 55.1 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. კერძოდ, *წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის არჩევის შესაძლებლობა მუშა-მოსამსახურეთაგან*. მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის წესი განისაზღვრება სპეციალური საარჩევნო დებულებით, რომელსაც იღებს საერთო კრება. პრაქტიკაში გავრცელებულია ორი ფორმა მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა: *პირველი*, როცა მუშა-მოსამსახურეთა კრება ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეთვალყურეო საბჭოში და მათ არ სჭირდებათ შემდგომში არჩევა საერთო კრების მიერ; ისინი ავტომატურად ხდებიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები; *მეორე*, როცა მუშა-მოსამსახურეთა კრება განსაზღვრული კვოტის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 1/3) ფარგლებში საერთო კრებას წარუდგენს კანდიდატებს ასარჩევად. მუშა-მოსამსახურეთა მიერ არჩეული წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ამ მუშა-მოსამსახურეთა რიგებიდან, ისე გარეშე პირთაგან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დანარჩენი 2/3 საერთო კრებამ შეიძლება აირჩიოს როგორც აქციონერთა რიგებიდან, ისე გარეშე პირთაგან. ამ საკითხში საერთო კრება არ არის შეზღუდული. კანდიდატების დასახელების უფლება აქვს ნებისმიერ აქციონერს.

გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გამოწვევის

შესახებ ასევე იღებს საერთო კრება. კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს გამოწვევის საფუძვლებს, მაგრამ გავრცელებული შეხედულების თანახმად, გამოწვევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. *თუ რა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან საფუძვლად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს კონკრეტული ფაქტების შემოწმების შედეგად.*

საერთო კრების გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი-ბიდან გამოწვევის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საინტერესოა საკითხი იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა საერთო კრებას გამოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრები, რომლებიც არჩეული არიან მუშა-მოსამსახურეების მიერ. როგორც წესი, გამოწვევის უფლება აქვს იმას, ვინც დანიშნა ან აირჩია პირი ამა თუ იმ თანამდებობაზე. თუ მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელი არჩეულია მუშა-მოსამსახურეთა მიერ, მაშინ იგი გამოწვეული უნდა იყოს მუშა-მოსამსახურეთა კრების მიერ, ხოლო თუ არჩეულია საერთო კრების მიერ, მაშინ გამოწვევის უფლება აქვს საერთო კრებას. გამონაკლისი შეიძლება ამ წესიდან დაშვებული იყოს იმ შემთხვევებში, როცა გამოწვევა მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო ხორციელდება (მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გაამჟღავნებს კომერციულ საიდუმლოებას და ა.შ.).

ზ. დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება

დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება საერთო კრების ყოველწლიურ ამოცანასა და უფლებამოსილებას წარმოადგენს. *ანგარიშის დამტკიცება ნიშნავს საანგარიშო პერიოდში აღმინისტრაციის მიერ გაწეული მუშაობის მოწონებას და ნდობის გამოცხადებას მომავალი საქმიანობისათვის.¹⁴*

წლიური ანგარიშის დამტკიცება სავალდებულოა ყველა საზოგადოებისათვის და იგი წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს. ერთადერთი გამონაკლისი, როცა წლიური ანგარიშის დამტკიცება არ ხდება საერთო კრებაზე, გვხვდება იმ სააქციო საზოგადოებებში, სადაც აქციათა 100%-ს ფლობს ერთი პირი და ეს პირი იმავდროულად

¹⁴ Hüffer, AktG. 3.AufI. §120, Rn. 2.

არის საზოგადოების დირექტორიც. ეს დასკვნა გამომდინარეობს 53.4 მუხლის პირველი აბზაცის შინაარსიდან, რომლის თანახმად აქციონერს არ შეუძლია გამოიყენოს ხმის უფლება, თუკი მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება ამ აქციონერის ანგარიშის დამტკიცებას.

54.1 მუხლის თანახმად, წლიური ანგარიშის დამტკიცება ხდება მორიგ საერთო კრებაზე ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში.

წლიური ანგარიში ითვლება დამტკიცებულად, თუ მას მხარს დაუჭერს ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა, ე.ი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. წინააღმდეგ შემთხვევაში წლიური ანგარიში არ ჩაითვლება დამტკიცებულად. 53.4 მუხლის მიხედვით, ის აქციონერები, რომლებიც დირექტორატის წევრები არიან, არ მონაწილეობენ კენჭისყრაში. ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საერთო კრების ოქმში.

პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ *დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცებას მთლიანად და დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანგარიშების დამტკიცებას ცალ-ცალკე.* ანგარიშის მთლიანად დამტკიცების დროს საერთო კრების მიერ მიიღება ერთი გადაწყვეტილება, ხოლო ცალ-ცალკე დამტკიცებისას საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ ინდივიდუალურად გაწეული მუშაობის თაობაზე და ცალ-ცალკე ამტკიცებს მათ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს.

დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მომზადებული წლიური ანგარიშის პროექტი წინასწარ უნდა დაურიგდეთ აქციონერებს. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს კანონის 3.9 მუხლიდან, რომლის მიხედვით, ყველა აქციონერს აქვს წლიური ანგარიშის ასლის მიღების უფლება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საერთო კრების მიერ ანგარიშის დაუმტკიცებლობას. ეს უკანასკნელი არ შეიძლება იყოს საზოგადოებიდან დირექტორების გაწვევის საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული ქმედება არ შეად-

გენს საერთო კრების კომპეტენციას. ანგარიშის დაუმტკიცებლობა ასევე არ არის საკმარისი საფუძველი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გაწვევისა. ანგარიშის დაუმტკიცებლობას შეიძლება თან ერთვოდეს ასევე უნდობლობის გამოცხადება როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ისე ღირეპქტორების მიმართ.

ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლოა დადგეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა (ან წევრის) გამოწვევის საკითხი. ანგარიშის დაუმტკიცებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ არის საკმარისი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების (ან წევრის) გამოსაწვევად. ამისთვის აუცილებელია ცალკე გადაწყვეტილების მიღება 54.6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

კანონი არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ღირეპქტორებმა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა სასამართლოს მეშვეობით მოითხოვონ საერთო კრების მიერ ანგარიშის დამტკიცება.

თ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა არ წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ საკითხის გადაწყვეტა საერთო კრების კომპეტენციაა და მის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს. ეს მნიშვნელოვნად განასხვავებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სტატუსს ღირეპქტორების სტატუსისაგან. როგორც წესი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით. ამიტომ საერთო კრებას არა აქვს უფლება თვითნებურად გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი. იგი უნდა დაეყრდნოს სააქციო საზოგადოების წესდებას.¹⁵

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსის განსაზღვრისას აღსანიშნავია ის გარემოება, რომ *ანაზღაურების გარეშე საქმიანობა არ არის პასუხისმგებლობისაგან საბჭოს წევრის გათავისუფლების საფუძველი*. კანონის 9.7 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა მასზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა, მისი შრომა სასყიდლიანია თუ უსასყიდლო.

¹⁵ Mertens in Kölner Kommentar, §101, Rn. 5.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრად მუშაობა უსასყიდლოდ არ ნიშნავს, რომ მას არა აქვს უფლება მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გასწია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე (მაგალითად, მივლინების ხარჯები და ა.შ.).

პრაქტიკაში გამოიყენება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება მთელი წლისათვის განსაზღვრული თანხის ფარგლებში. ასევე დაშვებულია შრომის ანაზღაურების საკითხი მიბმული იყოს საზოგადოების მოგებაზე და განისაზღვროს მოგებიდან განსაზღვრული პროცენტის მიცემით.

ბ. აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა

კანონი მეწარმეთა შესახებ ერთმანეთისაგან განასხვავებს აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის ფიგურებს, რომელთა არჩევაც საერთო კრების კომპეტენციას წარმოადგენს. განსხვავებულია მათი არჩევის წინაპირობები, საქმიანობის საგანი და უფლებამოსილება. ვინაიდან სააქციო საზოგადოებების საქმიანობისათვის ორივე ამ პირს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, აუცილებელია მათი სამართლებრივი მდგომარეობის დაწვრილებითი განხილვა.

1. აუდიტორი

მორიგი საერთო კრება ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით ირჩევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისაგან და მათი აქციონერებისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს (58.1 მუხლი).

აუდიტორის ანუ დამოუკიდებელი ექსპერტის ცნება მოცემულია კანონის 19.3 მუხლში. მის თანახმად, დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოს საბუღალტრო საქმე და ანგარიშვინაობა ზოგადად და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო კრებას არა აქვს უფლება ნებისმიერი პირი აირჩიოს აუდიტორად. ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონის

19.3 და 58.1 მუხლის მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს ბათილად.¹⁶

თუ საერთო კრებაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება აუდიტორის არჩევის შესახებ, მაშინ გადაწყვეტილებას აუდიტორის დანიშვნის შესახებ იღებს სააქციო საზოგადოების ადგილსამყოფელის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო (19.3 მუხლის ბოლო წინადადება).

საერთო კრების მიერ აუდიტორის არჩევის შემდეგ მასთან იღება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს როგორც აუდიტორის მიერ შესამოწმებელ სფეროს, ისე მისი შრომის ანაზღაურებას.

58.2 მუხლი დაწვრილებით განსაზღვრავს აუდიტორის მიერ შესამოწმებელი ობიექტების წრეს და შემოწმების პირობებს.

უმთავრესი აუდიტორის სტატუსის დახასიათებისას ისაა, რომ საზოგადოების წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში ექვემდებარება სავალდებულო ყოველწლიურ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მხრიდან.

2. სპეციალური კონტროლიორი

აუდიტორისაგან განსხვავებით სპეციალური კონტროლიორი არ არის ის პირი, რომელიც ყოველწლიურად სავალდებულო წესით უნდა იქნეს არჩეული საერთო კრების მიერ. მისი დანიშვნის მოთხოვნის უფლება, 53.3.2 მუხლის თანახმად, აქვთ საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

გადაწყვეტილებას სპეციალური კონტროლიორის დანიშვნის შესახებ იღებს საერთო კრება. როგორც წესი, სპეციალური შემოწმების მიზანი არის საზოგადოების დამფუძნებლებისა და ადმინისტრაციის (დირექტორატის) წევრების წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მომზადება. სპეციალური შემოწმების საგანი შეიძლება იყოს საზოგადოების დამფუძნებლების

¹⁶ Münch.Hdb.GesR IV/Hoffmann-Becking, §44, Rn. 3. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე: BGHZ 118, 142/145.

ან დირექტორების ცალკეული მოქმედების, მაგრამ არა დროის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება.¹⁷ ამით განსხვავდება სპეციალური კონტროლიორის საქმიანობა აუდიტორის საქმიანობისაგან.

სპეციალური კონტროლიორის დანიშვნის საკითხი საერთო კრების დღის წესრიგში ცალკე საკითხად უნდა იყოს შეტანილი იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია საერთო კრების მოწვევისათვის საერთოდ. ეს გამომდინარეობს 53.3.1 მუხლის შინაარსიდან და არ არის საკმარისი, რომ სხვა საკითხის განხილვისას (მაგალითად, დირექტორების ანგარიშის დამტკიცებისას) მიღებული იქნეს გადაწყვეტილება სპეციალური კონტროლიორის დანიშვნის შესახებ.

თუ დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან აქციონერები, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოიშვა სპეციალური შემოწმების საკითხი, ისინი არ მონაწილეობენ კენჭისყრაში. იგივე წესი გამოიყენება იმ აქციონერების მიმართ, რომლებიც, მართალია, ამჟამად არ არიან დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, მაგრამ სპეციალური შემოწმება შეეხება იმ საქმიანობას, რომელიც დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში მათი ყოფნის დროს განხორციელდა.¹⁸

საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ სპეციალური შემოწმების დანიშვნის შესახებ, არამედ ირჩევს კიდევ სპეციალურ კონტროლიორს. ეს გამომდინარეობს „ი“ ქვეპუნქტის შინაარსიდან. დაუშვებელია, რომ საერთო კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების დანიშვნის შესახებ, ხოლო სპეციალური კონტროლიორის არჩევა მიიღოს დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს.¹⁹

განსხვავებით აუდიტორის პიროვნებისაგან, კანონი არ აწესებს რაიმე მოთხოვნებს სპეციალური კონტროლიორის მიმართ. თუმცა გაერცხვებული პრაქტიკის თანახმად, სპეციალურ კონტროლიორებად აირჩევიან აუდიტორები ან ის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ აუდიტორთათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სპეციალურ შემოწმებლად შეიძლება დაინიშნოს სააუდიტო საზოგადოებაც.²⁰ ამ შემთხვევაში, საზოგადოების

¹⁷ Münch.Hdb.GesR IV/Semler, §42, Rn. 3.

¹⁸ Münch.Hdb.GesR IV/Semler, §42, Rn. 4.

¹⁹ Hüffer AktG, §142 Rn. 10.

²⁰ Münch.Hdb.GesR IV/Semler, §42, Rn. 12.

ერთი წარმომადგენელი მაინც, რომელმაც შემოწმება უნდა განახორციელოს, უნდა აკმაყოფილებდეს აუდიტორისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

სპეციალურ კონტროლიორად არჩევის შემდეგ იღება ხელშეკრულება კონტროლიორსა და საზოგადოებას შორის, რომლითაც განისაზღვრება შემოწმების საგანი, ვადები, კონტროლიორის ანაზღაურება და ა.შ. სპეციალური შემოწმების ხარჯებს გაიღებს საზოგადოება.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საერთო კრებაზე ვერ ხერხდება სპეციალური კონტროლიორის არჩევა. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, როცა ინიციატივა სპეციალური შემოწმების თაობაზე მოდის უმცირესობაში მყოფი აქციონერებისაგან. ამ დროს გადაწყვეტილებას სპეციალური კონტროლიორის დანიშვნის შესახებ იღებს სასამართლო (53.3.2 მუხლი). სასამართლოს მიერ დანიშნული სპეციალური კონტროლიორიც უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს.

გადაწყვეტილება სპეციალური კონტროლიორისა და აუდიტორის არჩევის შესახებ მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კ. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა და სასამართლო პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნა

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში მონაწილეობისათვის წარმომადგენლების დანიშვნა საერთო კრების მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გამართლებულია იმით, რომ საერთო კრებებს შორის პერიოდში საზოგადოების ქონებას პრაქტიკულად მართავენ დირექტორები და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. მათ ეს პრივილეგირებული მდგომარეობა საზოგადოების ქონების განკარგვის სფეროში შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ. ამიტომ დაუშვებელია, რომ საერთო კრება დარჩეს რეალური მექანიზმის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების დაცვას დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მხრიდან მათი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების შემთხვევებისათვის. ამ მიზანს ემსახურება 54.6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება საერთო კრებისა მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების

წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალის 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ დააყენონ საკითხი საერთო კრების წინაშე ღირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პასუხისმგებლობის შესახებ. ეს საკითხი საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას იმავე წესითა და იგივე პროცედურის დაცვით, როგორც ეს კანონით გათვალისწინებულია საერთო კრების მოწვევისა და მისი დღის წესრიგში საკითხების შეტანისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ავალდებულებს საერთო კრებას არ თქვას უარი ღირექტორების წინააღმდეგ მოთხოვნების გამოყენებაზე. მაგალითად, 9.7 მუხლის თანახმად, საზოგადოების ღირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს. საზოგადოებას არა აქვს უფლება ღირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გაათავისუფლოს ზიანის ანაზღაურებისაგან, თუკი ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.

ღირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღების თაობაზე გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს სპეციალური კონტროლიორის დასკვნა საზოგადოების მიმდინარე საქმეების შესახებ.

საერთო კრება ამ საკითხთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას როგორც ღირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანის თაობაზე, ისე სასამართლო პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე.

გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრებაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ლ. გადაწყვეტილებები კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

საერთო კრების კომპეტენციის განსაზღვრისათვის საზოგადოების წესდებას პრაქტიკულად რაიმე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან კანონი ფაქტობრივად ამომწურავად აწესრიგებს უფლებამოსილებათა სფეროს. დაუშვებელია ასევე ღირექტორატის ან სამეთვალყურეო საბ-

ჭოს ფუნქციების გადაცემა საერთო კრებისათვის. „ლ“ ქვეპუნქტი აზუსტებს, რომ შესაძლოა საერთო კრების მიერ გადასაწყვეტი ზოგიერთი საკითხი 54.6 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში არ იყოს, მაგრამ საერთო კრების ამგვარი კომპეტენცია კანონის სხვა მუხლებში იყოს განმტკიცებული. მაგალითად, 59.2 მუხლის თანახმად, საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ ე.წ. ნებადართული კაპიტალის ფორმით.

საერთო კრებაზე გადასაწყვეტი საკითხების წრე შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით. დაუშვებელია წესდებამ ისეთი საკითხების გადაწყვეტის უფლება მიანიჭოს საერთო კრებას, რაც არ არის გათვალისწინებული კანონით.

მ. გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის შესახებ

მართალია, საერთო კრებებს შორის პერიოდში საზოგადოების ქონებას მართავენ დირექტორები, მაგრამ მათი უფლებამოსილება საზოგადოების ქონების განკარგვის სფეროში შეუზღუდავი როდია. მაგალითად, უძრავი ქონების გასხვისების, მისი უფლებრივად დატვირთვის, ანდა იჯარით გაცემისათვის აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა (55.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამგვარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება ბათილია.

კანონი საზოგადოების ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. უფრო მეტიც, თუ გარიგება შეეხება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, მაშინ აუცილებელია საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება. სულ ერთია, ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება საზოგადოების ქონების შეძენას თუ მის გასხვისებას.

გადაწყვეტილება საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, ან გაცვლის გარიგებების შესახებ მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

54.6 მუხლში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ.

მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო

55.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, სამი, არა უმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. წევრთა ორი მესამედი აირჩევა საერთო კრების მიერ, ხოლო ერთი მესამედი შეიძლება აირჩეს მუშა-მოსამსახურეთაგან (მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესი განისაზღვრება სპეციალური საარჩევნო დებულებით, რომელსაც იღებს საერთო კრება). საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ის მფლობელს (მფლობელებს) უფლება აქვთ სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი.

(სსმ, I, 2001, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 21.03.01)

55.2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი საერთო კრების მიერ აირჩევა ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადაძლე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზე მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

55.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

55.4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უხუცესი დანიშნება თავმჯდომარედ.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

55.5. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

55.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ

მანც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგითურთ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილნი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.

55.7. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

55.8. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

ა. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს ღირეპქტორების საქმიანობას;

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ღირეპქტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, მეკავშირე საწარმოებთან ურთიერთობის ჩათვლით;

გ. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

დ. სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;

ე. სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის თუ რომელი

ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;

ვ. დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა, ასევე მათთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

ზ. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარეგნების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი შეეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი;

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

თ. დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

55.9. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

ა. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

ბ. უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა;
(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

გ. ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

დ. წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსისა და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების კეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება;

ე. ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, რომელთა ოდენობა, ცალკე ან საშუალო წლის განმავლობაში, აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

ვ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვა-

ლყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

ზ. სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია;

თ. ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

ი. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

კ. ხელმძღვანელ მუშაკათათვის მოგებასა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა;

ლ. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

მ. გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;

ნ. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსყიდვის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაციისა და მუშაობის ზოგადი მიმოხილვა

I. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (55.1 მუხლი)

კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობის ფარგლებს: სულ ცოტა სამი და არა უმეტეს ოცდაერთი წევრი (55.1 მუხლი). ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა სამზე უნაშთოდ გაყოფადი უნდა იყოს: 3, 6, 9, 15 და ა.შ. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს წესდებით* მისი ცვლილება ასევე მოითხოვს წესდებაში ცვლილების შეტანას.

კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედი აირჩეს სააქციო საზოგადოების თანამშრომლები-საგან. ასეთ შემთხვევაში წევრთა დანარჩენ ორ მესამედს ირჩევენ აქციონერები საერთო კრებაზე. მუშა-მოსამსახურეთაგან სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის წესს განსაზღვრავს სპეციალური დებულება, რომელსაც იღებს აქციონერთა საერთო კრება (55.1 მუხლის მეორე წინადადება).¹ ვფიქრობ, რომ სწორია კანონის 55.1 მუხლთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კანონმა აუცილებელია ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის უნდა აირჩეს მუშა-მოსამსახურეთა ერთი მესამედი სავალდებულო წესით სამეთვალყურეო საბჭოში, ვინაიდან დღემდე პრაქტიკა თითქმის არ იცნობს იმის პრეცედენტს, რომ სამეთვალყურეო საბჭოში შეეყვანათ მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები.²

საზოგადოების წესდება უნდა ითვალისწინებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ერთი მესამედის არჩევას მუშა-მოსამსახურეთაგან. თუ წესდება ასეთ რამეს არ ითვალისწინებს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს მთელ შემადგენლობას ირჩევენ აქციონერთა საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოში, სულ ცოტა, ერთი წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ის მფლობელ აქციონერებს (55.1 მუხლის მე-3 წინადადება).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც აქციონერი, ისე გარეშე პირი. აქციონერები თავისუფალნი არიან საბჭოს წევრების არჩევისას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის თანახმად შეუზღუდავად ქმედუნარიანია.

კანონი რაიმე სპეციალურ ცოდნას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისათვის არ ითვალისწინებს. თუმცა დასაველეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს. კერძოდ, გერმანიის უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, „სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს უნდა გააჩნდეს ის

¹ საერთო კრების კომპეტენცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის საკითხში დაწერილობით იხილეთ 54.6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის კომენტარში.

² ა. კახნიაშვილი. მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის. თურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა – 1999 წლის მეოთხე კვარტალი. გვ. 113.

მინიმალური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მას ესაჭიროება, რათა სხვისი დახმარების გარეშე შეძლოს სათანადოდ გარკვევა ყველა მიმდინარე, ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში³. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ავსტრიის უზენაესმა სასამართლომაც. კერძოდ, მან დაადგინა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს მოეთხოვება ისეთი მზრუნველი დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს, რომელსაც სამეწარმეო და ფინანსურ საქმეებში იმაზე მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს, ვიდრე საშუალო კომერსანტს და რომელსაც გააჩნია უნარი, შეიცნოს რთული სამართლებრივი, ეკონომიკური კავშირები და შეაფასოს მათი ზემოქმედება საზოგადოებაზე.⁴

უეჭველია, რომ საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება. ფაქტობრივად ისინი აქციონერების წარმომადგენლები და მათი ინტერესების გამომხატველები არიან. მათ უნდა შეეძლოთ კონკურენციის პირობებში სწორი სამეურნეო პოლიტიკის არჩევა და მისი განხორციელების უნარის მქონე დირექტორების შერჩევა.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა (55.2 მუხლი)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით (52.2 მუხლი). ოთხწლიანი ვადის გასვლა ავტომატურად არ იწვევს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. საბჭოს უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ვიდრე არ მოიწვევა მორიგი საერთო კრება და არ აირჩევა ახალი წევრი.

მაგალითი:

1998 წლის 1 სექტემბერს არჩეულ იქნა სს „ღვინის ექსპორტის“ სამეთვალყურეო საბჭო. 2002 წლის 1 სექტემბერს სრულდება არჩევიდან ოთხი წელი, მაგრამ საბჭო არ იხსნის თავის უფლებამოსილებას, ვიდრე არ ჩატარდება მორიგი საერთო კრება. საერთო კრება კი ტარდება 2003

³ ი. ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების იერარქიაში. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., 2000 წ., გვ. 45.

⁴ იქვე, გვ. 45.

წლის 1-ელ მარტამდე. ამ დრომდე სამეთვალყურეო საბჭო მოვალეა შეასრულოს კანონითა და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა, როგორც წესი, ათვლება მისი არჩევის დღიდან. მაგრამ, ამ წესიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი: თუკი საერთო კრების გადაწყვეტილებაში მითითებულია უფლებამოსილების დაწყების სხვა ვადაზე, რომელიც არ ემთხვევა არჩევის დღეს, უფლებამოსილების ვადის ათვლა დაიწყება ამ დღიდან. უფლებამოსილების ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს სამეთვალყურეო საბჭოდან რომელიმე წევრის გასვლის დღიდანაც. უფლებამოსილების ვადის დაწყებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილება საბჭოს წევრის არჩევის შესახებ. აუცილებელია, რომ ამ გადაწყვეტილებას გაეცნოს ასარჩევი პირი და იგი დაეთანხმოს მას, ე.ი. გამოხატოს ნება.

კანონი იცნობს არა სამეთვალყურეო საბჭოს, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადას. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოში შეიძლება იყვნენ სხვადასხვა დროს არჩეული წევრები. შესაბამისად ამისა, უფლებამოსილებაც მათ სხვადასხვა დროს შეუწყვდებათ.

კანონით არ არის გათვალისწინებული, თუ რამდენჯერ შეიძლება აირჩეს პირი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. რაიმე შეზღუდვას ამ საკითხში კანონი არ ითვალისწინებს.

3. უფლებამოსილების შეწყვეტა ვადამდე

ა. გამოწვევა (ვადამდე გადარჩევა)

საერთო კრებას ნებისმიერ დროს შეუძლია გაათავისუფლოს პირი სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან (55.2 მუხლის მე-2 წინადადება). ამისთვის კანონი რაიმე საფუძვლის, განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას არ მოითხოვს.⁵

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტის შესაბამისი აქციების მფლობელთა ხმა.

⁵ სხვაგვარად იყო ეს საკითხი კომენტარის მეორე გამოცემაში განმარტებული: გვ. 343.

წესდება შეიძლება ხმათა უფრო მეტი რაოდენობის აუცილებლობას განამტკიცებდეს.

გამოწვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა გამოწვეულ წევრს ეცნობება საერთო კრების გადაწყვეტილების შესახებ. კანონი სპეციალურ ფორმას ამ შეტყობინებისათვის არ ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ საკმარისია ზეპირად შეტყობინებაც. როგორც წესი, შეტყობინების ფუნქციას კისრულობენ ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან დირექტორი.⁶ წევრობის შეწყვეტის მომენტის განსაზღვრისათვის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა დირექტორატი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში მომხდარი ყოველი ცვლილება გაატაროს რეგისტრაციაში (5.6 მუხლი). ამ მუხლის შესაბამისად, „ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.“ ამრიგად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა მხოლოდ ამ ფაქტის რეგისტრაციის შემდეგ დგება (ისევე, როგორც ახალი წევრის უფლებამოსილების დადგომა).

საბჭოს წევრობიდან გათავისუფლების ყველაზე გავრცელებული საფუძვლებია: წევრის ავადმყოფობა, რის გამოც მას არ შეუძლია განახორციელოს დაკისრებული მოვალეობები; კონფიდენციალობის მოვალეობის დარღვევა, რითაც საზოგადოებას შეიძლება მიაღვეს ქონებრივი ზიანი.

თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არჩეულია მუშა-მოსამსახურეთა მიერ, მაშინ მათი გამოწვევის უფლება აქვს მუშა-მოსამსახურეთა კრებას.

ბ. გადადგომა

კანონი ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოდან ნებაყოფლობით გასვლის შესაძლებლობასაც (55.2 მუხლის მე-3 წინადადება). *საბჭოს წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გადადგეს წევრობიდან ისე, რომ მას არ სჭირდება გადადგომის საფუძვლის მითითება.*

გასვლის შესახებ განცხადებისთვის სპეციალურ ფორმას კანონი არ ადგენს. გასვლის მსურველი პირი წერილობით მიმართავს საზოგადოების

⁶ Hülfner, Aktiengesetz. – 4. Aufl. §103, Rn. 5.

დირექტორატს. ლაიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არ არის საკმარისი, რომ გამსვლელმა წევრმა განცხადებით მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.⁷

საზოგადოების წესდება შესაძლოა დაწერილებით აწესრიგებდეს სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის პროცედურას. დასაშვებია ისიც, რომ საზოგადოების წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ჰქონდეს უფლება მიიღოს გამსვლელი პირის განცხადება.

გ. ახალი წევრის არჩევა

სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი არჩეულ უნდა იქნეს ყოფილი წევრის გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუ ამ ვადაში არ იქნება საერთო კრება მოწვეული და ახალი წევრი არჩეული, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ნიშნავს სასამართლო. ამ მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ: ა) ერთ-ერთ აქციონერს, ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს ან გ) დირექტორს.

როგორც წესი, საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატურებს წარუდგენს დირექტორატი. რაც შეეხება აქციონერთა პირველ კრებას, კანდიდატებს წარადგენენ აქციონერები. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ყველამ ერთად წარუდგინოს სასამართლოს რამდენიმე კანდიდატი სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად. მათგან სასამართლო აირჩევს ერთ-ერთს. იმ შემთხვევაშიც, როცა წარდგენილია ერთი კანდიდატი, სასამართლო არ არის ვალდებული, დანიშნოს იგი.⁸ სასამართლოს უარი წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე უნდა იყოს დაბუთებული.

⁷ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking, §30, Rn. 47. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარის მეორე გამოცემაში მე სხვა მოსაზრებას ვიზიარებდი. ამ საკითხის დამატებით შესწავლის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა გასვლის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორატს.

⁸ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking, §30, Rn. 33.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად საზოგადოების ღირექტორების არჩევის დაუშვებლობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმადროულად იყოს ამ საზოგადოების ღირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი (55.3 მუხლი).

1999 წ. 9 ივნისის ცვლილებებამდე კანონი ასეთ შეზღუდვას მხოლოდ საზოგადოების ღირექტორებისათვის ითვალისწინებდა. ამჟამად ეს შეზღუდვა ვრცელდება „სხვა პასუხისმგებელ აღმასრულებელ პირზე“. თუ რა იგულისხმება ამ უკანასკნელში, კანონი არ აზუსტებს. „სხვა აღმასრულებელ პასუხისმგებელ პირად“ უნდა ჩითვალოს ყველა ის პირი, რომლის საქმიანობაც ღირექტორატის საქმიანობას უკავშირდება და რომელიც შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს შემოწმების საგანი გახდეს, მაგალითად, პროკურისტი ან გენერალური სეკრეტარი მინდობილობის მქონე პირი.⁹ ამ კატეგორიის პირებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე მთავარი ბუღალტერი ან მთავარი ეკონომისტი და ა.შ.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

ა. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევა (55.4 მუხლი)

საერთო კრების მიერ არჩევის მომენტიდან სამეთვალყურეო საბჭო ავტონომიური, დამოუკიდებელი ორგანოა და საქმიანობს კანონისა და წესდების საფუძველზე. საბჭოს ავტონომიურობა, პირველ რიგში, გამოიხატება იმაში, რომ იგი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს (55.4 მუხლი). კანონის ეს ნორმა იმპერატიულია: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის უფლება წესდებით არ შეიძლება გადაეცეს საერთო კრებას. 55.4 მუხლის ახალი რედაქცია არც იმის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აირჩიოს სასამართლომ.

გადაწყვეტილება თავმჯდომარის არჩევის შესახებ მიიღება ღია კენ-

⁹ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking, §30, Rn. 3-5.

ჭისყრით და ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუკი წესდება არ მოითხოვს ხმათა უფრო მეტ რაოდენობას. 55.4 მუხლის თანახმად, ფარული კენჭისყრა ჩატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „თავმჯდომარის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული“.

თუ ფარული კენჭისყრის დროს კანდიდატები მიიღებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, თავმჯდომარედ დაინიშნება მათ შორის უზუცესი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის ეს წესი შემოღებულ იქნა 9 ივნისის ცვლილებებით.¹⁰

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს საბჭოს ნებისმიერი წევრი. კენჭისყრაში მონაწილეობს დასახელებული კანდიდატიც. მას წესდებით არ შეიძლება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება წაერთვას.¹¹

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას კანონი არ განსაზღვრავს. ეს შეიძლება საზოგადოების წესდებით ან სამეთვალყურეო საბჭოს შინაგანაწესით განისაზღვროს. როგორც წესი, თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა საბჭოში მისი წევრობის უფლებამოსილების ვადას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამოწვეული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ იმავე წესისა და პროცედურის დაცვით, რაც გათვალისწინებულია თავმჯდომარის არჩევისათვის. წესდებით შეიძლება თავმჯდომარის გამოწვევისათვის ხმათა უფრო მეტი რაოდენობა დადგინდეს, ვიდრე ეს მისი არჩევისთვისაა საჭირო. როგორც წესი, საზოგადოებათა წესდებებში ჩამოთვლილია თანამდებობიდან თავმჯდომარის გადაყენების საფუძვლები.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს თავმჯდომარეობიდან, მაგრამ დარჩეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

გარდა თავმჯდომარისა, *სამეთვალყურეო საბჭომ უნდა აირჩიოს ასევე თავმჯდომარის მოადგილე.* ეს მოვალეობა გამომდინარეობს როგორც 55.4, ისე 55.5 მუხლის შინაარსიდანაც, რომლის თანახმად, თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. სამეთვა-

¹⁰ სმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99.

¹¹ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking, §31, Rn. 8.

ლყურეო საბჭოს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს თავმჯდომარის რამდენიმე მოადგილე, თუკი საზოგადოების წესდებით ზუსტად არ არის განსაზღვრული მოადგილეთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, როცა აირჩევა რამდენიმე მოადგილე, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელია პირველი, მეორე და ა.შ. მოადგილეები. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ნათელი იყოს, თუ ვინ ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობებს მისი არყოფნის შემთხვევაში.

თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა და მათი გამოწვევა თანამდებობიდან ხდება იმავე წესითა და პროცედურით, რაც გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის.

ბ. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენცია

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირია, ამიტომ მის კომპეტენციას ხშირ შემთხვევაში კანონივე განსაზღვრავს. პრაქტიკულად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან – საერთო კრებასა და დირექტორატთან ურთიერთობაში.

საერთო კრებასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია მისი, როგორც კრების თავმჯდომარის, ფუნქცია (54.4 მუხლი). გარდა ამისა, იგი საერთო კრებას მოახსენებს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ანგარიშს.

დირექტორატთან მიმართებაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქცია პრაქტიკულად იმით შემოიფარგლება, რომ იგი დირექტორატს მიაწვდის ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოში გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად, საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები შემოიფარგლება მხოლოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით: სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ჩატარების უზრუნველყოფა, საკითხების მომზადება საბჭოს სხდომაზე გასატანად, საბჭოს სხდომათა ოქმებზე ხელის მოწერა (55.5 მუხლი), საერთო კრების თავმჯდომარეობა (54.4 მუხლი).

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს

იმავე ფუნქციებს, რასაც თავმჯდომარე, თუკი თავმჯდომარეს ავადმყოფობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს *სამეთვალყურეო საბჭოს საპატიო თავმჯდომარის თანამდებობასაც*. როგორც წესი, საპატიო თავმჯდომარე აირჩევა იმ წევრებისაგან (ან თავმჯდომარეთაგან), რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებასა და საქმიანობაში. საპატიო თავმჯდომარეობა რაიმე სამართლებრივ უფლებებსა და კომპეტენციას არ წარმოშობს. უფრო მეტიც, საპატიო თავმჯდომარეს უფლებაც კი არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში და მიიღოს კონფიდენციალური ინფორმაცია. გამონაკლისის სახით იგი შეიძლება მხოლოდ ექსპერტად იქნეს მოწვეული საბჭოს სხდომებზე.¹²

გ. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევა (55.5 მუხლი)

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს იწვევს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე), განსაზღვრავს სხდომის დღის წესრიგს (55.5 მუხლი).

კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ *სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც* (55.6 მუხლი). ამ პერიოდულობით სხდომების მოწვევა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობაა. სხვა სხდომების ჩატარების აუცილებლობის საკითხს სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებლად წყვეტს.

საბჭოს წევრები სხდომაზე მოიწვევიან წერილობით სხდომის დღემდე, სულ მცირე რვა დღით ადრე. მათ უნდა ეცნობოთ ასევე სხდომის დღის წესრიგი (55.6 მუხლის პირველი წინადადება). თუ სხდომის მოწვევისას საბჭოს წევრებს არ ეცნობათ დღის წესრიგი, სხდომა ჩაითვლება 55.6 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით მოწვეულად და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრების შემთხვევაში გაუქმდეს.

კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სხდომაზე წარმოდგენილი იყოს სხვა წევრით. საბჭოს სხდომაზე წარმო-

¹² Geßler/Hefermehl AktG/Geßler (Fn.3) §107 Rn. 25.

მადგენლობის დროს მოქმედებს განსაზღვრული შეზღუდვები: 1) საბჭოს წევრის წარმომადგენელი შეიძლება იყოს, ასევე, მხოლოდ საბჭოს წევრი. დაუშვებელია უცხო პირის გამოყენება სხდომაზე წარმომადგენლად; 2) წარმომადგენლობა შეიძლება მხოლოდ ერთი წევრის მიერ ერთხელ. ბათილია წარმომადგენლობა, როცა ერთი პირი სხდომაზე რამდენიმე წევრის ნაცვლად მონაწილეობს და მათ მაგივრად აძლევს ხმას. ამგვარი შეზღუდვები აიხსნება იმით, რომ „სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ფუნქციები უარესად პიროვნულია. მას არ შეუძლია ისინი სხვა ადამიანს გადააკისროს“.¹³

საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს უკვე დანიშნული სხდომა გადადოს. ეს გამოძინარეობს 55.5 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებამოსილებიდან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სასამართლოს შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს დანიშნული სხდომის გადადება დაადგინოს.¹⁴

4. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაუნარიანობა (55.7 მუხლი)

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, ე.ი. გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი (55.7 მუხლის პირველი წინადადება).

თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25% (55.7 მუხლის მე-2 წინადადება).

თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად (55.7 მუხლის მე-3 წინადადება).

¹³ ი. ზემლერის დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

¹⁴ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking §31, Rn. 40.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების წარმართვა და გადაწყვეტილებების მიღება

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის წარმართვა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობაა. თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებისა და სპეციალისტების მოწვევის შესახებ, ღირეუქტორატის წევრების მოსმენის თაობაზე. თუ მის წინადადებებს საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება, მაშინ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კენჭისყრით საბჭოს მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს დღის წესრიგის საკითხთა რიგითობას. იგი უძღვება საკითხების განხილვას და აყენებს საკითხებს კენჭისყრაზე.

საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. აქ გასათვალისწინებელია არა საბჭოს წევრთა რაოდენობა, არამედ სხდომაზე გამოცხადებულ ან წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობა.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად იმისა, თუ კაპიტალის რა რაოდენობას ფლობს იგი. ამიტომ, როგორც წესი, მეტი კაპიტალის მფლობელ აქციონერებს საბჭოში ჰყავთ მეტი წევრები.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი. ამ ოქმს არ სჭირდება სანოტარო წესით დამოწმება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით რეაქციული ცვლილება შედის საზოგადოების წესდებაში ან ხდება ღირეუქტორების დანიშვნა.

6. კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგები

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებები სამართლებრივი შედეგების მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:¹⁵

უცილოდ ბათილი გადაწყვეტილებები. მათ განეკუთვნება გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევენ კანონის იმპერატიულ ნორმებს და ბათილია მათი მიღებისთანავე, მაგალითად, თუ სამეთვალყურეო საბჭომ

¹⁵ ScholzGmbHG/U.H. Schneider §52 Rn. 309ff.

მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომლის გადაწყვეტა შეადგენს საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას ანდა, თუ გადაწყვეტილება მიღებულია გადაწყვეტილებაუნარო საბჭოს მიერ.

საცილოდ ბათილი გადაწყვეტილებები. ამგვარად უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია კანონით ან წესდებით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით, მაგალითად, გადაწყვეტილება მიიღო საბჭომ, რომლის სხდომა მოწვეულია მოწვევის ვადის დარღვევით. ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილია მანამ, სანამ კანონით დადგენილი წესით არ მოხდება მისი გასაჩივრება.

ნაკლის მქონე გადაწყვეტილებები. ესაა გადაწყვეტილებები, რომლებიც მთლიანობაში ნამდვილია და ის ნაკლი, რომელიც მათ აქვთ, არ იწვევს მათ ბათილობას – არც უცილოდ და არც საცილოდ, მაგალითად, გადაწყვეტილება შეცდომით არის გაფორმებული ოქმში ან შეცდომით არის მითითებული გადაწყვეტილების მიღების თარიღი. ასეთი შეცდომები შეიძლება გასწორდეს ისე, რომ მათ არ გამოიწვიონ გადაწყვეტილებათა ბათილობა.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა ბათილობის აბსოლუტურ საფუძვლებს წარმოადგენს: საბჭოს გადაწყვეტილებაუნარობა, გადაწყვეტილების მიღება სხდომის მოწვევის გარეშე, რასაც არ ეთანხმება საბჭოს ერთ-ერთი წევრი, გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, რომელიც არ იყო დღის წესრიგში შეტანილი, სხდომის მოწვევა არაუფლებამოსილი პირის მიერ, საბჭოს ერთ-ერთი წევრის მოუწვეველობა სხდომაზე.¹⁶

დარღვევებს, რომელთა გასწორება შეიძლება შეცილების გზით, განეკუთვნება: სხდომის მოწვევის ვადის დარღვევა, მოწვევის ფორმის დაუცველობა, არაუფლებამოსილი პირის მონაწილეობა სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარის შეცდომა სხდომის წარმართვისას.¹⁷

კანონის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების დროს გამოიყენება 15.2 მუხლით გათვალისწინებული ორთვიანი ვადა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესების დაცვით.

¹⁶ MünchHdb. AG/Hoffmann-Becking §32, Rn. 102.

¹⁷ GeBler/Hefermehl AktG/GeBler (Fn. 3) § 108, Rn. 71.

II. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებები და მოვალეობანი. პასუხისმგებლობა

სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს, იმის მიუხედავად, თუ ვის მიერ არიან ისინი არჩეული – საერთო კრების, თუ მუშა-მოსამსახურეთა კრების მიერ, თანაბარი უფლებები აქვთ. არც იმასა აქვს მნიშვნელობა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უმრავლესობაში, თუ უმცირესობაში მყოფი აქციონერების წარმომადგენელია. ყველა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს და არა მისი ამომრჩეველი აქციონერების ინტერესებს.¹⁸

დაკისრებული მოვალეობები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა თვითონ უნდა განახორციელონ. ამ ფუნქციების სხვებისთვის გადაცემა დაუშვებელია. კანონი ერთ შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ, როცა ერთი წევრი საბჭოს სხდომებზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა წევრით (55.6 მუხლის მე-2 წინადადება).

უფლებამოსილების განხორციელებისას საბჭოს წევრი დამოუკიდებელია და იგი არ არის ვალდებული შეასრულოს ცალკეული აქციონერების მითითებები. ეს აიხსნება იმით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის სოლიდარულად აგებს პასუხს (9.7 და 56.4 მუხლები).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საპატიო მოვალეობას წარმოადგენს. ამის გამო, საბჭოს წევრებს, როგორც წესი, არა აქვთ გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება. ეს უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების წესდება ითვალისწინებს ანაზღაურებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის. ეს აიხსნება იმით, რომ ურთიერთობა საზოგადოებასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის წარმოადგენს არა სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობას, არამედ კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას.¹⁹

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა

¹⁸ Mertens in Kölner Komment. AktG. Anh. §96 Rn. 72; Gebler/Hefermehl AktG/Gebler §96 Rn.61.

¹⁹ დაწერილობით იხილეთ 54.6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის კომენტარი.

გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (9.7 მუხლი). დაკისრებულ მოვალეობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საიდუმლოების, მათ შორის, კომერციული საიდუმლოების დაცვა. საბჭოს წევრი მოვალეა არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად მუშაობის დროს და რომელიც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, მტკიცების ტვირთიც მათ ეკისრებათ. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ არ დაურღვევიათ დაკისრებული მოვალეობა.

არცთუ უსაფუძვლოდ გამოითქმის კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა საპატიო მოვალეობას წარმოადგენს. ეს აიხსნება იმით, რომ მათ მნიშვნელოვანი მოვალეობები და, 9.7 და 56.4 მუხლების თანახმად, დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებათ (საზოგადოებისთვის ან მისი კრედიტორებისთვის ზიანის ანაზღაურების ჩათვლით). საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობას, სამწუხაროდ, არა აქვს გააზრებული ეს მოვალეობები და შესაბამისი პასუხისმგებლობა.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 11.9 მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებულ სააქციო საზოგადოებათა (რომელთაც 100-ზე მეტი აქციონერი ჰყავთ ან მათი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ხელი უნდა მოაწეროს ამ საწარმოთა წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს. ამ ანგარიშებში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა თუ არასწორად გადმოცემის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ეს წევრები, ამ კანონის 11.10 და 16.3 მუხლების შესაბამისად, სოლიდარულად აგებენ პასუხს საწარმოსთვის მიყენებული ზიანის გამო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ახალი ვალდებულებები, რაც დააკისრა ანგარიშვალდებულ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა

და ღირეპტორებს („მმართველ ორგანოს“) კანონმა „ფასიანი ქალაღღე-ბის შესახებ“. აღმინისტრაციულ სამართალღარღვევათა კოღექსში ზემოხ-სენებული კანონის მიღებისას (1998 წლის 24 დეკემბერი) შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შესაბამის პასუხისმგებლობას:

– ემიტენტის მიერ ფასიანი ქალაღღების საჯარო შეთავაზების წესების ღარღვევა – გამოიწვევს ემისიის პროსპექტის ხელმომწერი პირების (ღირეპტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა) და-ჯარიმებას 10 000 ლარამღე;

– ემიტენტის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისი-ის პროსპექტში შესწორების შეუტანლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოღენობით;

– ანგარიშვალღებული საწარმოს მიერ გამოშვებული საჯარო ფა-სიანი ქალაღღების დაღენილი წესით დემატერიალიზაციის დაღენილი განუხორციელებლობა – გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამღე;

– ანგარიშვალღებული საწარმოს მიერ მისი საჯარო ფასიანი ქალაღღების შესახებ ჩანაწერების საწარმოებლად ლიცენზირებული ფასიანი ქალაღღების რეგისტრატორის შეურჩევლობა – გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამღე;

– ანგარიშვალღებული საწარმოს მიერ საჭირო ანგარიშების მოუშა-ღებლობა ან წარუღგენლობა – გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრე-ბის დაჯარიმებას 2000 ლარამღე;

– ანგარიშვალღებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ ყალბ ან შეცღღომაში შემყვან ანგარიშებზე ხელის მოწერა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარამღე.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკმაოდ რთულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა (განსაკუთრებით ანგარიშ-ვალღებულ საწარმოში) ჩავთვალათ მხოლოდ „საპატიო“ მოვალეობად.

III. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები
და კომპეტენცია

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველი, საქმიანობა, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო თვითონ განახორციელებს; მეორე, საქმიანობა, რომელსაც განახორციელებს დირექტორატი, ოღონდ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით.

1. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა (55.8 მუხლი)

55.8 მუხლში გათვალისწინებული კომპეტენცია შეიძლება სამ დიდ ჯგუფად იქნეს განხილული: პირველი, დირექტორების დანიშვნა, მეორე, დირექტორატზე კონტროლის განხორციელება და მესამე, დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში საზოგადოების წარდგენა.

ა. დირექტორების დანიშვნა

სს-ში სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, სპეციფიკური ფუნქცია არის საზოგადოების დირექტორების დანიშვნა.

სს-ში დირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. ეს კანონის იმპერატიული ნორმაა და მისი შეცვლა საზოგადოების წესდებით დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ სს-ის მართვის უმაღლესი ორგანო საერთო კრებაა, მას არა აქვს დირექტორების დანიშვნის უფლება. *საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დირექტორების დანიშვნის შესახებ ბათილია.* საერთო კრების მიერ დანიშნული დირექტორები არ ჩაითვლებიან დირექტორებად და სასამართლო ასეთ საზოგადოებას რეგისტრაციაში არ გაატარებს. თუ სასამართლომ მაინც გაატარა რეგისტრაციაში, მაშინ გამოიყენება კანონის 5.8 მუხლი და რეგისტრაცია გაუქმდება.

დირექტორების დანიშვნის საკითხს სამეთვალყურეო საბჭო წყვეტს ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდება არ ითვალისწინებს ხმათა უფრო მეტ რაოდენობას. დანიშვნის შემდეგ ყოველ დირექტორთან იდება

სასამსახურო ხელშეკრულება. სამეთვალყურეო საბჭოს სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ღირექტორების გამოწვევა და მათთან სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა. გამოწვევისა და ხელშეკრულების მოშლის რამდენიმე საფუძველი შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც დაინიშნა ღირექტორი, დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა, ნებაყოფლობით თავის დაწება და ა.შ.

საზოგადოების ღირექტორი შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს ღირექტორები დანიშნოს გამოსაცდელი ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ღირექტორი მაშინაც კი, როცა იგი მოკლე ვადით ან გამოსაცდელი ვადით ინიშნება ღირექტორად.

მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს ღირექტორებს, მისი უფლებამოსილება კანონით მკაცრად განსაზღვრულია. *სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება გადაეცეს ღირექტორების ფუნქციები.* პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს უფლება არა აქვს დადოს საზოგადოების სახელით გარიგებები, სამსახურში მიიღოს ან გაანთავისუფლოს თანამშრომლები, უშუალოდ ჩაერიოს საწარმოს საქმეებში და ა.შ.

ბ. ღირექტორების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება

მართალია, სამეთვალყურეო საბჭოს არა აქვს უფლება შეასრულოს ღირექტორების ფუნქციები, მაგრამ როგორც აქციონერთა წარმომადგენელ ორგანოს, აქვს კონტროლის განხორციელების ფართო უფლებამოსილება: მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ღირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში, შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, საზოგადოების საჯარო, ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა.

სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების შესახებ ღირექტორების მიერ მომზადებულ წინადადებებს. ამ

საკითხების შესწავლა სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება დაავალოს როგორც თავის წევრებს, ასევე მოიწვიოს სპეციალისტები (ექსპერტები) და მათ დააკისროს შემოწმება.

განხორციელებული შემოწმების შესახებ და ღირექტორების მიერ წარმოდგენილი პროექტების გამო სამეთვალყურეო საბჭო ინფორმაციას აკეთებს აქციონერთა საერთო კრებაზე.

აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე წარმოდგენილ ინფორმაციაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები (55.8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი აქციონერის განცხადების საფუძველზე შეიძლება ინფორმაცია არადაამკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ღირექტორების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან არ ნიშნავს მხოლოდ საქმიანობის მართლზომიერებაზე ზედამხედველობასა და კონტროლს, არამედ საქმიანობის მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის (ყაირათიანობის) გაკონტროლებას.²⁰ ამიტომ სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია არა მხოლოდ ღირექტორატის მიერ საქმიანობის მართლზომიერად განხორციელებაზე, არამედ მის ეფექტურობაზეც იმ პერსპექტივით, რომ საწარმომ, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს.

გ. ღირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში საზოგადოების წარდგენა

პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ღირექტორების არაკვალიფიციური, არაკეთილსინდისიერი ან სხვაგვარი ბრალეული მოქმედების შედეგად საზოგადოებას დიდი ზიანი ადგება და მას უწევს ღირექტორების წინააღმდეგ დავების წარმართვა. ამ დროს სასამართლოში ან დავების განმხილველ სხვა ორგანოში საზოგადოებას წარმოად-

²⁰ Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht. 2.Aufl. 1996, S. 254-255.

გენს სამეთვალყურეო საბჭო. ამ უფლების გამოყენებისათვის საბჭოს არ სჭირდება საერთო კრების ნებართვა.

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გამოვიდეს არა მხოლოდ დირექტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების, არამედ საერთო კრების მიერ მიღებული სადავო სამართლებრივი საკითხების წინააღმდეგაც.

სამეთვალყურეო საბჭოს ამგვარი ინიციატივის არსებობა აიხსნება ორი გარემოებით:

პირველი, სამეთვალყურეო საბჭო არის დამოუკიდებელი ავტონომიური ორგანო, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვათა (მათ შორის საერთო კრების) მითითებებზე. მისი მოვალეობა არის საზოგადოების საქმიანობაზე კონტროლის ეფექტური განხორციელება, რომელიც პირველ რიგში სწორედ დირექტორების საქმიანობის გაკონტროლებას გულისხმობს;

მეორე, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მის წევრებს თვითვე დაეკისრებათ პასუხსიმგებლობა. მოვალეობის შეუსრულებლობად ჩაითვლება, თუკი საბჭო უმოქმედობას გამოიჩინოს და სათანადო რეაგირებას არ გაუკეთებს დირექტორების გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება ზიანი მოუტანონ საზოგადოებას.

2. საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას

55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამავე დროს, კანონი განსაზღვრავს საქმიანობის ცალკეულ სახეებს, რომელთა განხორციელება დირექტორებს შეუძლიათ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით ამ საქმიანობის ნუსხა მოცემულია 55.9 მუხლში:

ა. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება

გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია სააქციო საზოგადოების მიერ სხვა საზოგადოებათა წილების (აქციების) 50%-ზე მეტის შექმნასთან ან გასხვისებასთან, მოითხოვენ სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან თანხმობას. „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არა აქვს მნიშვნელობა შესაძენ

ან გასასხვისებელი წილების (აქციების) ღირებულებას. მაგრამ 54.6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ ამგვარი გარიგებების ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, მაშინ სავალდებულოა საერთო კრების გადაწყვეტილება. ამ ოდენობამდე გარიგებებისათვის საკმარისია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. მთავარია, რომ შესაძენი ან გასასხვისებელი წილები (აქციები) სხვა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს შეადგენდნენ.

კანონი არ ანიჭებს რაიმე მნიშვნელობას იმას, თუ რა სამართლებრივი ფორმით ხდება წილების (აქციების) შეძენა: ნასყიდობით, გაცვლით, პირდაპირი ინვესტიციის განხორციელებით (ე.ი. განხორციელებული ფულადი ან სხვაგვარი შესატანის სანაცვლოდ წილთა 50%-ზე მეტის მიღებით) თუ სხვა.

შესაძენი ან გასასხვისებელი წილები შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსი – შპს, სს, კომანდიტური საზოგადოება. არაა სავალდებულო, რომ წილები აუცილებლად იურიდიული პირის იყოს. შესაძლებელია სააქციო საზოგადოებას სურდეს კონსორციუმის (ამხანაგობის) წილების შეძენა.

ბ. უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა და იჯარით გაცემა, აგრეთვე წარმოების იჯარით გაცემა ან მისი საქმიანობის შეწყვეტა

უძრავ ქონებას მიეკუთვნება უძრავი ნივთები და მათთან დაკავშირებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები. უძრავ ნივთად ითვლება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე (სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი). უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს აღნაგობა, უზუფრუქტი, იპოთეკა. მათი გასხვისება ან შეძენა საზოგადოების ღირებუტორებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. ამისთვის მათ სჭირდებათ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

მაგალითი:

სააქციო საზოგადოების დირექტორებმა გადაწყვიტეს სასტუმროს მოწყობის მიზნით შეიძინონ ხუთსართულიანი შენობა ქალაქის პრესტიჟულ უბანში. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობა.

უძრავი ქონების ღირებულებას კანონი მაშინ ანიჭებს მნიშვნელობას, თუკი ამ ქონების ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილება (54.6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი). ამ თანხის ოდენობამდე გარიგებებისათვის საკმარისია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობაა ასევე აუცილებელი საზოგადოების უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვისათვის. ამ უკანასკნელში იგულისხმება უძრავი ქონების გამოყენება კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად (იპოთეკა), აღნაგობა, უზუფრუქტი და ა.შ.

უძრავი ქონების გასხვისებას ან მის უფლებრივ დატვირთვას უთანაბრდება ქონების გაცემა იჯარით.

გ. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია

სააქციო საზოგადოების ფილიალი არის სააქციო საზოგადოების განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს საზოგადოების ადგილსამყოფელის გარეთ და მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს სააქციო საზოგადოების ფილიალის შექმნის თაობაზე. როგორც წესი, ამ საკითხს დაწვრილებით აწესრიგებს საზოგადოების წესდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფილიალის შექმნას ან ლიკვიდაციას სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, ლოგიკურად ივარაუდება, რომ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების დირექტორატი. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ასეთი თანხმობა მხოლოდ დირექტორების მიმართ გამოხატოს და არა საერთო კრების მიმართ.

დ. წლიური ბიუჯეტის შედგენა და გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება

საზოგადოების ღირეექტორების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს საზოგადოების წლიური ბიუჯეტის პროექტის შედგენა. იგი შეიცავს როგორც მოგება-ზარალის, ისე ინვესტიციების გეგმის პროექტს. თუ რა მოცულობით უნდა შეამოწმოს სამეთვალყურეო საბჭომ წარმოდგენილი პროექტი ან რა მოთხოვნები უნდა წაუყენოს მას, დამოკიდებულია თვით სააქციო საზოგადოების საქმიანობის სფეროზე, მის მასშტაბებზე.

როგორც წესი, საზოგადოების შინაგანაწესი განსაზღვრავს, თუ რა ვადებში უნდა წარუდგინოს დირექტორატმა სამეთვალყურეო საბჭოს მომავალი წლის გეგმის პროექტი, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს პროექტი.

დირექტორატის მიერ მომზადებული პროექტის შემოწმება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა. საბჭომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად დამაკერებელია პროექტის საფუძველად არსებული მონაცემები.

წლიური ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს მონაცემებს პროდუქციის (მომსახურების) გასაღების, საკადრო, ინვესტიციებისა და საფინანსო საკითხებზე და ასევე, შედეგების დაგეგმვის შესახებ.²¹ გეგმის პროექტი არ უნდა იყოს მხოლოდ ციფრების ერთობლიობა. იგი უნდა შეიცავდეს იმ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებს, რომლის განხორციელებასაც დირექტორატი საანგარიშო პერიოდში აპირებს. პროექტი უნდა იყოს რეალური და შეიცავდეს დასაბუთებულ წინაპირობებს წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისათვის. მაგალითად, რამდენად რეალურად არის წარმოდგენილი ნედლეულის ფასი, რომელიც აუცილებელია პროდუქციის საწარმოებლად.²² ეს პრაქტიკულად ნიშნავს საწარმოს მიერ დადებული ან მომავალში დასადები გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების შეფასებას.

დირექტორატის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მოწონე-

²¹ Bruno Kropff in: Semler (Hrsg.), Arbeitshandbuch für Aufsichtsratsmitglieder. H 43-44.

²² Bruno Kropff in: Semler (Hrsg.). AR Hdb. H 45-46.

ბა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არ ნიშნავს თანხმობას გეგმაში მითითებული ცალკეული გარიგებების დასადავად ან ლონისძიებების განსახორციელებლად. მაგალითად, თუ წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებულია საზოგადოების უძრავი ქონების გასხვისება, გეგმის მოწონება არ ნიშნავს, რომ უძრავი ქონების გასასხვისებლად აუცილებელი თანხმობა სამეთვალყურეო საბჭომ უკვე გასცა. ამისთვის აუცილებელია, რომ გარიგების დადებამდე სამეთვალყურეო საბჭომ გასცეს ცალკე თანხმობა 55.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

თუ სამეთვალყურეო საბჭო არ ეთანხმება წარმოდგენილი პროექტის ცალკეულ საკითხებს, მაშინ ამის შესახებ საბჭომ უნდა მიუთითოს დირექტორატს. ამ უკანასკნელმა კი უნდა გაითვალისწინოს ეს მითითებები და ისე წარმოუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს პროექტის შეცვლილი ვარიანტი.

პრაქტიკულად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს დირექტორატმა, თუკი სამეთვალყურეო საბჭო არ ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს. თუ დირექტორატი ფიქრობს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიცემული შენიშვნები და გამოთქმული სურვილები არარეალურია ან მათ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანონ საზოგადოებას, მან უნდა მოითხოვოს ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად. დირექტორატი არ არის ვალდებული შეასრულოს ისეთი მითითებები, რომლებიც საზოგადოებისთვის ზიანის მომტანია და ამაში დირექტორატი იმთავითვე დარწმუნებულია. ამ დროს წარმოიშობა ალტერნატივა: ან საბჭომ უნდა მიიღოს დირექტორატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ან გაატაროს საკადრო ლონისძიებები – შეცვალოს დირექტორატი.²³ კანონი არ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ეს საკითხი განხილულ იქნეს საერთო კრებაზე. 54.6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების განაწილების შესახებ, თუკი სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ვერ თანხმდებიან ამ საკითხთან დაკავშირებით.

²³ Bruno Kropff in: Semler (Hrsg.). AR Hdb. H 48, 49.

ე. ინვესტიციებში დაბანდება და ამოღება

ინვესტიციების (კაპიტალდაბანდებების) განხორციელება ნებისმიერი ნორმალურად ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის აუცილებელი ნაწილია. ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია საწარმოს განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, შკაცრი კონკურენციის პირობებში საწარმოს კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. მთავარია, თუ რომელ სფეროებში განახორციელებს საწარმო ინვესტიციებს. თანამედროვე ეკონომიკა იცნობს შემთხვევებს, როცა არასწორად განხორციელებული ინვესტიციები საწარმოების გაკოტრებასაც კი იწვევენ. მაგალითად, 2001 წლის სექტემბერში შვეიცარული ავიაკომპანიის „სვისეარის“ გაკოტრების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ არასწორად განხორციელებულ ინვესტიციებს და უთითებენ კომპანიის მიერ ბელგიური ავიაკომპანიის „საბენას“ შეძენის ფაქტზე.

ვინაიდან სააქციო საზოგადოების ქონებას პრაქტიკულად ღირექტორები მართავენ, კანონმდებლობა ქმნის მათი საქმიანობის გაკონტროლების მექანიზმს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოების ქონების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ამ მიზანს ემსახურება 55.9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია, თუ ღირექტორატი ახორციელებს ინვესტიციების დაბანდებას ან ჩადებული ინვესტიციების უკან ამოღებას, თუკი მათი ოდენობა ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საზოგადოების მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს.

ზემოთ აღნიშნული ოდენობის ინვესტიციების განხორციელებისას სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს ამ ინვესტიციების აუცილებლობა, ეფექტურობა და *მეურნეობრიობა*.²⁴

ვ. სესხებისა და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას

სესხებისა და კრედიტების აღება საწარმოთა საქმიანობის ბუნებრივი თანამდევია. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოს არ ჰყოფნის საკუთარი

²⁴ Bruno Kropff in: Semler (Hrsg.). AR Hdb. H 60.

სახსრები კონკრეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, იგი იძულებულია მიმართოს საკრედიტო დაწესებულებებს.

საწარმოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან: ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოების ქონება იქნეს გამოყენებული ამ ვალის დასაფარავად ანდა გაიხსნას გაკოტრების საქმე. ამიტომ, საწარმოს ხელმძღვანელობის ამოცანაა დაიცვას საზოგადოება ასეთი უარყოფითი შედეგებისაგან. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება განმტკიცებულია 55.9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში. იგი შესაძლებლობას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს დაადგინოს თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დირექტორატს შეუძლია დამოუკიდებლად აიღოს სესხი ან კრედიტი. ხოლო, თუ სესხისა და კრედიტის ოდენობა აღემატება ამ თანხას, მაშინ აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

თანხმობის გაცემის წინ საბჭომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად აუცილებელია საწარმოს ინტერესებისათვის ამ სესხისა თუ კრედიტის აღება, რა გარანტიები არსებობს მათი დროულად დაფარვისათვის. მხოლოდ ამ საკითხების სათანადოდ შემოწმების შემდეგ, საბჭომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი – გასცემს თუ არა იგი ამ თანხმობას.

ზ. სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა

მესამე პირთა მიერ აღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს: თავლებობით, საკუთარი ქონების დაგირავებით, ან იპოთეკით დატვირთვით და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში, საწარმოს წარმოეშობა დამატებითი რისკი საკუთარი ქონებით სხვისი ვალებისათვის პასუხისმგებლობისა. ამიტომ, კანონი ამგვარი უზრუნველყოფისათვის ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულო თანხმობას.

ამგვარი თანხმობა არ არის სავალდებულო, თუკი სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა შეადგენს საწარმოს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას. ამგვარ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს საინვესტიციო ან სალიზინგო კომპანიების საქმიანობა, რომელიც შეიძლება მდგომარეობდეს სხვათა ვალდებულებების უზრუნველყოფისათვის შემოსავლების მიღებაში.

საზოგადოებას არა აქვს უფლება ამგვარი უზრუნველყოფა შესთავაზოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დირექტორებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი უზრუნველყოფა დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაშიც.

თ ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა

სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას დამფუძნებელი აქციონერები განსაზღვრავენ საზოგადოების საქმიანობის საგანს, რომლისთვისაც ისინი დებენ განსაზღვრულ კაპიტალდაბანდებებს. სააქციო საზოგადოებებისთვის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის, კანონით უზრუნველყოფილია ზოგადი უფლებაუნარიანობა, რაც ნიშნავს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების უფლებას.

ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტას არ სჭირდება საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი სიახლე განსაზღვრულ კომერციულ რისკთან არის დაკავშირებული, დირექტორებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ეს საკითხი. ამიტომ, კანონი მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა აუცილებელ თანხმობას.

ი. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა

დირექტორატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სამეურნეო პოლიტიკის დაგეგმვა და მისი ჩამოყალიბება. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს საწარმოს შესაძლებლობებისა და რესურსების გათვალისწინებით საწარმოს ეფექტურ საქმიანობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება იმ პერსპექტივით, რომ იგი რეალურადაც განხორციელდეს.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანაა უზრუნველყოს დირექტორატის მიერ მომზადებული სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების შემოწმება, რათა გარანტირებული იყოს საწარმოს მიერ მაღალი მოგების მიღება და საწარმოს ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება.²⁵

²⁵ Johannes Semler in: Semler (Hrsg.). AR Hdb. A 60.

საწარმოს სამეურნეო პოლიტიკის შემოწმება და მისთვის თანხმობის მიცემა სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ძალიან მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.²⁶ ამ ფუნქციის მეშვეობით სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს საწარმოს საქმიანობაზე, ვიდრე მხოლოდ დირექტორატის მიერ უკვე გაწეულ მუშაობაზე შემდგომი კონტროლის განხორციელებით.

კ. ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა

საწარმოთა საქმიანობის ჩვეულებრივ და მეტად აპრობირებულ ტრადიციას წარმოადგენს ის, რომ დირექტორები ან საწარმოს სხვა ხელმძღვანელი პირები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების მოგებაში მათთვის გარკვეული პროცენტის მიკუთვნების გზით ამგვარი გადაწყვეტის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა თავად იყოს დაინტერესებული საწარმოს ეფექტური და წარმატებული საქმიანობით.

დირექტორატის მიერ მომზადებულ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ხელმძღვანელი პირების მონაწილეობას მოგებაში, აუცილებლად სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

ლ. პროკურისტების დანიშვნა და გამოწვევა

პროკურისტი საწარმოში ინიშნება იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საწარმო მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურისტის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს სახელით დაამყაროს ურთიერთობა სხვა პირებთან. ამ ასპექტით პროკურისტების საქმიანობა გარკვეულწილად დირექტორების საქმიანობის გაგრძელებაა. პროკურისტებს არჩევენ დირექტორები. მაგრამ, პროკურისტების დანიშვნის საკითხში სამეთვალყურეო საბჭოსაც აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა: დირექტორები ვერ დანიშნავენ პროკურისტებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე.

²⁶ Kersten v. Schenck in: Semler (Hrsg.). AR Hdb. E 77.

მ. გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაა საჭირო აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუკი ამით საზოგადოებას ეკისრება კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დანახარჯები. ამ დანახარჯების ცნებას კანონი არ აკონკრეტებს, მაგრამ ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც აქციების დაბეჭდვასთან, ისე რეკლამასთან ან მათ სხვაგვარ გავრცელებასთან. თუ რა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან დანახარჯებად, ეს კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღებისას.

ნ. გადაწყვეტილებების მიღება აქციების გამოსყიდვის შესახებ

საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წესი განსაზღვრულია კანონის 53¹ მუხლში. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს გამოსასყიდი აქციების ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ²⁷.

3. თანხმობის გაუცემლობის შედეგები

55.9 მუხლით გათვალისწინებული თანხმობის გაცემა სამეთვალყურეო საბჭოს უფლებაა. სამეთვალყურეო საბჭო არ არის ვალდებული გასცეს თანხმობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი საკითხის გარემოებათა გათვალისწინებით სამეთვალყურეო საბჭო ან აძლევს დირექტორებს თანხმობას ან უარს ეუბნება მათ ამ თანხმობის გაცემაზე.

თუ სამეთვალყურეო საბჭო თავს იკავებს თანხმობის გაცემისაგან, მაშინ დირექტორატს შეუძლია საერთო კრებისაგან მოითხოვოს, რომ სამეთვალყურეო საბჭომ ასეთი თანხმობა გასცეს.²⁸

²⁷ დაწერილობით იხილეთ 53¹ მუხლის კომენტარი.

²⁸ Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht. 2. Aufl. 1996, S. 255.

მუხლი 56. დირექტორები

56.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ეკალებათ დირექტორებს.

56.2. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. თუ არ არსებობს ასეთი შინაგანაწესი, მაშინ გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

56.3. სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმომადგენენ დირექტორები.

იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა რამდენიმე დირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ ზოგი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძლოლის უფლებამოსილება. საზოგადოების მიმართ ნების გამომჟღავნების გამოსახატავად საკმარისია ნების გამომჟღავნება ერთი დირექტორის მიმართ.

თუ დირექტორი რამდენიმეა, მაშინ წესდება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს, რომ ერთ რომელიმე მათგანს დამოუკიდებლად ან ერთ-ერთ სავაჭრო წარმომადგენელთან ერთად მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება; მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ დირექტორებს სავაჭრო წარმომადგენლების გარეშე შეეძლოთ წარმომადგინონ საზოგადოება.

56.4. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი, დირექტორები კი პასუხს აკებენ სოლიდარულად. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი უძღვებოდნენ საქმეს 9.7 მუხლის შესაბამისად. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისგან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. დირექტორატის ცნება და მისი ზოგადი დახასიათება

1. დირექტორატი, როგორც სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანო

ტერმინით „დირექტორები“ კანონი აღნიშნავს სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანოს, რომელსაც „მინიჭებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობით საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება“¹. „დირექტორების“ სინონიმად კანონი იყენებს „დირექტორატს“, როგორც რამდენიმე დირექტორისაგან შემდგარ ორგანოს. გამოიყენება ასევე ტერმინი „გამგეობა“², რომელიც „დირექტორებისა“ და „დირექტორატის“ იდენტურია. „დირექტორატის“ ცნებაში ვგულისხმობთ ერთ დირექტორსაც.

სააქციო საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში დირექტორები (დირექტორატი) ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ფაქტობრივად მათზეა დამოკიდებული სს-ის აკვარგიანობა, მისი რენტაბელობა და კონკურენტუნარიანობა.

დირექტორატი სააქციო საზოგადოების ავტონომიური და დამოუკიდებელი ორგანოა. მისი ასეთი მდგომარეობა უზრუნველყოფილია იმით, რომ დირექტორატის ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს, და ასევე იმით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების გადაწყვეტილებები დირექტორებისათვის სავალდებულო არ არის (9.7 მუხლის მე-2 აბზაცი). პრაქტიკულად ეს იმასაც ნიშნავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორების დანიშვნისას არა აქვს უფლება რაიმე პირობით შებოჭოს, შეზღუდოს დირექტორის პიროვნება და მისი საქმიანობა.³

დირექტორატი უნდა შეიქმნას საზოგადოების დაფუძნებისთანავე. *დაუშვებელია საზოგადოების რეგისტრაცია დირექტორატის გარეშე.* ეს დასკვნა გამომდინარეობს კანონის 5.2 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, წარმომადგენლობითი ორგანოს შესაძლო წევრები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ განცხადებას საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ

¹ MünchHdb. AG/Wiesner, §19, Rn.1.

² მაგალითად, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის მე-13 მუხლი.

³ MünchHdb. AG/Wiesner, §19, Rn.12.

და სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც ისინი საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ.

ღირექტორატი შეიძლება ერთი ან რამდენიმე ღირექტორისაგან შედგებოდეს. ღირექტორების რაოდენობა შესაძლოა საზოგადოების წესდებად განსაზღვროს, თუმცა ეს არ არის სასურველი, რადგან ღირექტორების რაოდენობის შეცვლა ყოველთვის გამოიწვევს წესდების შეცვლას, რაც ორგანიზაციულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, როგორც წესი, ღირექტორთა რაოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრებას აქვთ მინიჭებული, თუმცა წესდება განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კომპეტენციის გამიჯვნა ღირექტორებს შორის.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, *სამუშაოს მიმცემს წარმოადგენს სააქციო საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი.* იგი იმავდროულად მეწარმედაც მიიჩნევა.⁴ ვინაიდან ღირექტორები კანონის 56.3 მუხლის მიხედვით სააქციო საზოგადოებას წარმოადგენენ სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში, სამუშაოს მიმცემის ფუნქციასაც და საწარმოს ფუნქციასაც სწორედ ისინი ასრულებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის ხელშეკრულებას საწარმოს თანამშრომლებთან დებს ღირექტორატი, იგი იღებს სამსახურში და ათავისუფლებს მუშა-მოსამსახურეებს. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ ღირექტორებმა თავიანთი ფუნქციების დელეგირება გარკვეულ პირებზე ან განყოფილებებზე (მაგალითად, კადრების განყოფილება) მოახდინონ.

2. ღირექტორების დანიშვნა

სააქციო საზოგადოების ღირექტორებს ნიშნავს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. ღირექტორი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, შეუზღუდავად ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, მიუხედავად მოქალაქეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და განათლებისა. ღირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც ამ საზოგადოების აქციონერი, ისე გარეშე პირიც.

ღირექტორად არ შეიძლება დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს

⁴ MünchHdb. AG/Wiesner, §19, Rn. 27.

წვერი.⁵ ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნა და იგი გამოიყენება მაშინაც კი, როცა პირი მოკლე ვადით ან გამოსაცდელი ვადით ინიშნება ღირეკტორად.

ღირეკტორებს საზოგადოებასთან აკავშირებთ როგორც საკორპორაციო (ორგანულ)⁶ სამართლებრივი, ისე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები. ეს გამომდინარეობს 55.8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სასამსახურო ხელშეკრულების დადებით. რაც შეეხება საკორპორაციო (ორგანულ) სამართლებრივ ურთიერთობას, იგი წარმოიშობა დანიშვნის აქტის საფუძველზე.⁷

ღირეკტორის დანიშვნა იურიდიული ძალის მქონე მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც ეს დანიშვნა მიღებული იქნება თვით ღირეკტორის მიერ (აქცეპტი). დანიშვნისას, როგორც წესი, არ განისაზღვრება საქმიანობის ის სფერო, რომელსაც ღირეკტორმა უნდა უხელმძღვანელოს.

დანიშვნის აქტი, მართალია, ღირეკტორსა და საზოგადოებას შორის საკორპორაციო (ორგანული) ურთიერთობების საფუძველია, მაგრამ იგი დაწერილებით არ განსაზღვრავს ამ ურთიერთობათა შინაარსს. არც კანონი აწესრიგებს ამ საკითხებს დეტალურად. იგი მხოლოდ ზოგადი დებულებებით შემოიფარგლება, როგორცაა, მაგალითად, „ღირეკტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები“. ამ ამოცანების შინაარსი და კონკრეტული მოვალეობები, რომლებიც ღირეკტორებს აკისრიათ, ასევე საქმიანობის ვადა, ანაზღაურება და ა.შ. განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით. ამიტომ, ღირეკტორების დანიშვნისას ძირითადი აქცენტი სწორედ ამ ხელშეკრულების კორექტულად გაფორმებაზე არის გადატანილი.

ღირეკტორსა და საზოგადოებას შორის არსებული საკორპორაციო (ორგანული) ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოების უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს ღირეკტორი თანამდებობიდან, თუკი ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ. ვალდებულებით-სა-

⁵ დაწერილებით იხილეთ 55.8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის კომენტარი.

⁶ ორგანული ურთიერთობის ცნების საკითხი დაწერილებით იხილეთ: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., 1997 წ., გვ. 238 – 241.

⁷ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn. 10

მართლებრივი ურთიერთობის დაცვის ობიექტი უფრო ღირეექტორის ინტერესებია, კერძოდ, ის, თუ როგორი ანაზღაურება უნდა მიიღოს ღირეექტორმა ასეთი გათავისუფლების შემთხვევაში. საზოგადოების უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს ღირეექტორი დაკავებული თანამდებობიდან, გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ ღირეექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ საზოგადოების ქონება და ამით წარმოიშობა ამ ქონების გასხვისებისა და დაკარგვის რისკიც, რისგან თავის დაცვის შესაძლებლობაც საზოგადოებას უნდა ჰქონდეს.

აღიარებული შეხედულების თანახმად, მართალია, ბევრია მსგავსება დანიშვნასა და სასამსახურო ხელშეკრულების დადებას შორის, მაგრამ მათი განხილვა ერთიანი გარიგების ნაწილებად არასწორია.⁸ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად არ იწვევს დანიშვნის აქტის გაუქმებას და, პირიქით, არც დანიშვნის აქტის გაუქმება (გათავისუფლება) იწვევს სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტას. როგორც წესი, *ღირეექტორის გათავისუფლების აქტს მოსდევს სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტა*. თუმცა შესაძლოა, რომ დანიშვნის აქტის გაუქმების წინაპირობა იყოს სასამსახურო ხელშეკრულების ვადის გასვლა. ორივე შემთხვევაში მხარედ, რომელიც დებს ხელშეკრულებას ღირეექტორებთან, გამოდის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მომავალ ღირეექტორთან ჯერ ხელშეკრულებას დებენ, ხოლო შემდეგ ფორმალურად ხდება დანიშვნის გაფორმება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ღირეექტორად დანიშვნის ვადას კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს. ეს შეიძლება საზოგადოების წესდებით დადგინდეს, თუმცა დასაშვებია, რომ ღირეექტორად მუშაობის ხანგრძლივობა სასამსახურო ხელშეკრულებით იყოს რეგლამენტირებული. პრაქტიკაში ეს უკანასკნელი უფრო გავრცელებულია. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს ღირეექტორები დანიშნოს გამოსაცდელი ვადითაც.⁹

⁸ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn. 14

⁹ ლ. ჭანტურია, თინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა. გვ. 347.

3. ღირექტორების გამოწვევა (გაათვისუფლება)

ღირექტორების (გამოწვევის) გაათვისუფლების ექსკლუზიური უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს. ღირექტორების გამოწვევის (გათავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, ღირექტორის გასანთავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი.¹⁰ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ასეთ საფუძვლად მიიჩნევს შემდეგს: ღირექტორის მხრიდან საზოგადოების ქონების ბოროტად გამოყენება პირადი მიზნებისათვის; გამუდმებული უთანხმოება ღირექტორატის სხვა წევრებთან; წლიური ანგარიშის შედგენაზე უარის თქმა; არასწორი ან ყალბი ანგარიშის მომზადება; ღირექტორატის სხვა წევრების მოტყუება მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით; საქეულაციური გარიგებების დადებით საზოგადოების საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა; ღირექტორის თანამდებობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის და ა.შ.¹¹ გამოწვევის საფუძვლად მიჩნეულია ასევე შრომითი კოლექტივის წევრების გაფიცვა ღირექტორის გადაყენების მოთხოვნით.¹² ღირექტორის გაათავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე ღირექტორის მიმართ უნდობლობის გამოცხადება საერთო კრების მიერ.¹³

*მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია (და არა მხოლოდ უფლებამოსილია) მიიღოს გადაწყვეტილება ღირექტორის გაათავისუფლების შესახებ.*¹⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება შეფასდეს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.7 და 56.4 მუხლების დარღვევად და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ღირექტორის გაათავისუფლება თანამდებობიდან ხდება სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით. ამ

¹⁰ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ღირექტორების გაათავისუფლების შესაძლებლობა განმტკიცებულია გერმანიის საექციო კანონის 84-ე მუხლში. მნიშვნელოვანი საფუძვლის ცნება კანონში დაზუსტებული არაა. მას დიდძალი სასამართლო პრაქტიკა აკონკრეტებს. Hüfner, Aktiengesetz. 4. Aufl. § 84, Rn. 23-37.

¹¹ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn.44.

¹² Gebler/Hefermehl AktG/Hefermehl §84, Rn. 70.

¹³ MünchHdb. AG/Wiesner, §20, Rn.47.

¹⁴ Kölner Komm. AktG/Mertens §84 Rn. 65.

დროს, ბუნებრივია, გათავისუფლებულ დირექტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს თანამდებობაზე აღდგენა. თუ რამდენად მნიშვნელოვანია გათავისუფლების საფუძველი, ეს სასამართლოს შეფასების საგანია.

პრაქტიკაში საინტერესოა საკითხი, შეუძლია თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს დირექტორის ჩამოცილება თანამდებობიდან. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაიცეს დიფერენცირებულად: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191 – 199-ე მუხლებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის მიერ მომავალში შესატანი სარჩელის უზრუნველყოფა, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიზანია მიმართოს სასამართლოს დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მიზნით და ითხოვს დირექტორის ჩამოცილებას საქმეებიდან სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ეს დასაშვებია. ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭო ითხოვს დირექტორის ჩამოცილებას საქმეებიდან, ვიდრე სამეთვალყურეო საბჭო მიიღებდეს გადაწყვეტილებას დირექტორის გამოწვევის შესახებ, ასეთი მოთხოვნა სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.

სასამართლოში მიმართვის გარეშეც სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, რომ დირექტორი დროებით ჩამოაცილოს საქმიანობას ისე, რომ იგი არ გაათავისუფლოს თანამდებობიდან. ამიტომ, სასამართლოში ამ მოთხოვნით მიმართვის აუცილებლობა არც უნდა წარმოიშვას. თუ რა ვადით შეიძლება დირექტორის ჩამოცილება საქმიანობიდან, არ არის განსაზღვრული. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა ამგვარ ჩამოცილებას ერთ თვემდე ვადით შესაძლებლად მიიჩნევს.¹⁵

არ არის სავალდებულო, რომ დირექტორის გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობისას იქნეს მიღებული. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს: დირექტორის გარდაცვალება ან მისი გამოცხ-

¹⁵ Krieger, Personalentscheidungen des Aufsichtsrats, 1981, (Fn. 12), S. 153.

ადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; დირექტორის არჩევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად; სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ა.შ.

დირექტორის გამოწვევა (გათავისუფლება) აუცილებლად უნდა იქნას რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში დირექტორს კვლავაც ექნება შესაძლებლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოვიდეს საზოგადოების სახელით.

4. სასამსახურო ხელშეკრულება დირექტორებთან

სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც იდება დირექტორებთან, არ არის შრომის ხელშეკრულების იდენტური. ამიტომ მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული შრომის სამართლის ის წესები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეთა შრომით ურთიერთობებს აწესრიგებენ.¹⁶ განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ნორმებს, რომლებიც შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებს განსაზღვრავენ. ეს გამომდინარეობს დირექტორების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკიდან – მათ მინდობილი აქვთ საზოგადოების ქონება და დაყოვნებამ დირექტორების გათავისუფლების საკითხში საზოგადოებას შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორები გარეგნულად სამუშაოს მიძღვებიან ჰგვანან, აღიარებული შეხედულების თანახმად, ისინი არ მიიჩნევიან სამუშაოს მიმღებად და, შესაბამისად, არ უთანაბრდებიან მუშა-მოსამსახურეებს.¹⁷

სასამსახურო ხელშეკრულებას დირექტორებთან დებს სამეთვალყურეო საბჭო. ხელშეკრულების ფორმას კანონი არ განსაზღვრავს, თუმცა ურთიერთობათა სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია წერილობითი ფორმის გამოყენება, რაც პრაქტიკაში ასეც ხდება. არც ის არის გამორიცხული (ამას იცნობს ქართული პრაქტიკა), რომ საერთოდ არ გაფორმდეს რაიმე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმები.

¹⁶ სუსგ სამოქალაქო საკმებზე, 2001 წ., № 7, გვ 715.

¹⁷ Gebler/Hefermehl AktG/Hefermehl §84, Rn. 35; Reiser, Recht der Kapitalgesellschaften, 1983, S. 67.

კანონი არც ღირექტორად დანიშვნის ხანგრძლივობას განსაზღვრავს. ამიტომ, მხარეებს თვითონ შეუძლიათ ხელშეკრულებით განსაზღვრონ ეს ხანგრძლივობა. თუმცა იგი არ უნდა აღემატებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ღირექტორის დანიშვნისას განსაზღვრულ ვადას.

სასამსახურო ხელშეკრულების შინაარსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი არის ღირექტორის შრომის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს როგორც ყოველთვიური ხელფასით, ისე საწარმოს მოგებაში მონაწილეობის მიღებით. გარდა ამისა, შრომის ანაზღაურებაში შეიძლება ასევე იგულისხმებოდეს ღირექტორის უზრუნველყოფა სამსახურებრივი მანქანით (მძღოლის ჩათვლით ან მის გარეშე), სამსახურებრივი ბინით და ა.შ. ღირექტორის შრომის ანაზღაურების სიდიდისა და ფორმის მიმართ გამოიყენება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, თუმცა ღირექტორის შრომის ანაზღაურება გონიერულ შესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან.

როგორც წესი, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ან გაუმჯობესება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს ღირექტორის შრომის ანაზღაურების არც შემცირებას და არც გაზრდას. *უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ღირექტორების შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია საწარმოს მიერ მიღებულ მოგებასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ღირექტორს მიეცემა საზოგადოების დივიდენდის გარკვეული პროცენტი.*

ღირექტორთა დაინტერესებისა და სტიმულირების მიზნით გამოიყენება ასევე *ბრუნვაში (ბრუნვის მოცულობაში) მონაწილეობის ინსტიტუტი*. ამ დროს შესაძლოა საწარმოს სამეურნეო წარმატებები ფორმალურად არ გამოიხატოს მოგებაში, მაგრამ გაიზარდოს ფულადი ან სასაქონლო ბრუნვის მოცულობა, რაც საწარმოს მომავალი ფინანსური სიძლიერის წინაპირობა იქნება.

არსებობს ღირექტორთა სტიმულირების კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც მთლიანად სამეთვალყურეო საბჭოზეა დამოკიდებული. კერძოდ, სამეურნეო წლის ბოლოს სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ღირექტორის პრემიების შესახებ. წინა ორისაგან განსხვავებით, შრომის ანაზღაურების ამ ფორმის შესახებ, როგორც წესი, სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დათქმას.

II. ღირეკტორების კომპეტენცია

ღირეკტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლიობაში ეწოდება სააქციო საზოგადოების ადმინისტრაცია.¹⁸ კანონის 56.1 მუხლის თანახმად, *ღირეკტორების მოვალეობა საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა*. აქედან გამომდინარე, ღირეკტორების საქმიანობა ორ ძირითად სფეროდ იყოფა: საზოგადოების ხელმძღვანელობა და საზოგადოების წარმომადგენლობა.

1. ხელმძღვანელობა

ხელმძღვანელობა ნიშნავს საზოგადოების საწარმოო საქმიანობის გაძღვლას, მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებას, მათი ფუნქციების გადანაწილებას და ა. შ. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს (9.2 მუხლი).¹⁹

ღირეკტორების უფლებამოსილებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა სამეთვალყურეო საბჭო არ იღებს შინაგანაწესს. კანონის მიხედვით ამ დროს გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი (56.2 მუხლი).

ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი კანონში განსაზღვრულია მრავალ ადგილზე და მხოლოდ 56-ე მუხლით არ ამოიწურება.

55.9 მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობას ფაქტობრივად ღირეკტორები ახორციელებენ. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, როგორც წესი, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

საზოგადოების ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებები და მოვალეობები განმტკიცებულია მე-9 მუხლში.²⁰ ამიტომ, ღირეკტორების კომპე-

¹⁸ MünchHdb. AG/Wiesner, §19, Rn.1 (აქ, შესაძლოა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიერ განმარტებული ტერმინის – *მმართველი ორგანო* გამოყენებაც, რომელიც ზუსტად ამ მნიშვნელობითაა განმარტებული. მუხლი 2.22).

¹⁹ იხ. 9.2 მუხლის კომენტარი.

²⁰ იხ. მე-9 მუხლის კომენტარი.

ტენციისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისას 56-ე მუხლთან ერთად, სრულად გამოიყენება კანონის მე-9 მუხლიც.

2. წარმომადგენლობა

წარმომადგენლობაში იგულისხმება საზოგადოების სახელით გამოვლენა მესამე პირებთან ურთიერთობაში, კერძოდ, დირექტორები უფლებამოსილნი არიან საზოგადოების სახელით დადონ გარიგებები (56.3 მუხლი).

სს-ის სახელით ხელშეკრულების დადების ან მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ დირექტორებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ საზოგადოების სახელით დადებული გარიგება ბათილია და იგი სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ვინაიდან, დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კანონიდან გამომდინარეობს, იგი ემსგავსება კანონისმიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტსაც.

56.3 მუხლის თანახმად, დირექტორების მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა ორ ძირითად სფეროს განეკუთვნება: სასამართლო და არასასამართლო.

ა. არასასამართლო წარმომადგენლობა

9.4 მუხლის თანახმად დირექტორების „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს“.²¹ საზოგადოების საქმიანობის საგანი ან მიზანი არ შეიძლება იყოს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძველი. ეს არ გამომდინარეობს კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლებათუნარიანობის პრინციპიდან. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტორებს უფლება აქვთ საზოგადოების სახელით დადონ ნებისმიერი გარიგება, მიუხედავად იმისა, წესდებაში არის თუ არა ამის შესახებ სპეციალურად აღნიშნული.

²¹ იხ. 9.4 მუხლის კომენტარი.

ბ. სასამართლო წარმომადგენლობა

როგორც კანონისმიერი ორგანო, ღირექტორატი უფლებამოსილია საზოგადოების სახელით მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესებში სპეციალური რწმუნებულების გარეშე. როგორც წესი, ესაა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავები, ანდა წესდებაში ცვლილებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან არსებობს მაშინ, როცა სახეზეა დაეა საზოგადოებასა და ღირექტორატს შორის. ამ შემთხვევებში, ღირექტორების წინააღმდეგ საზოგადოების წარმოდგენის უფლება მინიჭებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს (54.6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

გ. წარმომადგენლობა ღირექტორთა სიმრავლისას

სააქციო საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ღირექტორი. პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როცა სს-ს მხოლოდ ერთი ღირექტორი ჰყავს. საზოგადოების წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს ღირექტორების მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის წესს:

ა. საგარეო ურთიერთობებში სს-ს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი ღირექტორი. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების სახელით დადებულ გარიგებებს საკმარისია ხელს აწერდეს ერთი ღირექტორი;

ბ. საზოგადოებას შეიძლება წარმოადგენდეს ორი ან რამდენიმე ღირექტორი. ამ დროს დადებულ გარიგებებზე ხელს უნდა აწერდნენ ეს ღირექტორები;

გ. საზოგადოება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ღირექტორითა და პროკურისტით. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია გარიგებებზე მათი ხელმოწერა. თუმცა წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ღირექტორს პროკურისტის გარეშეც შეუძლია დადოს გარიგებები საზოგადოების სახელით.

იმ შემთხვევაში, როდესაც სს-ს რამდენიმე ღირექტორი ჰყავს და წესდება არ განსაზღვრავს საზოგადოების წარმომადგენლობის ფორმას, ღირექტორებმა ერთობლივად უნდა დადონ გარიგებები და ერთობლივად მოაწერონ ხელი.

როგორც წესი, სს-ები მსხვილი საზოგადოებებია. ამიტომ მათ მრავალი მიმართულებით და მრავალ სფეროში უწევთ საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად ყველაზე გაერცელებულ ფორმას წარმოადგენს ღირეპტორებს შორის კომპეტენციის განაწილება. ყოველ ღირეპტორს მიენიჭება განსაზღვრული სფერო, კის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. მაგალითად, ღირეპტორი მარკეტინგის დარგში, ღირეპტორი ფინანსების დარგში, ღირეპტორი კადრების დარგში და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ მათ უფლება აქვთ საქმიანობის ამ სფეროში ერთპიროვნულად წარმოადგინონ საზოგადოება და დაღონ გარიგებები.

იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოებას რამდენიმე ღირეპტორი ჰყავს და მესამე პირი დებს ხელშეკრულებას ამ საზოგადოებასთან (ნების გამოვლენა საზოგადოების მიმართ), საკმარისია იგი გაფორმდეს ერთ-ერთ ღირეპტორთან. მესამე პირს არ სჭირდება იმის გარკვევა, უფლებამოსილი იყო თუ არა ეს ღირეპტორი დაედო გარიგება. თუ ღირეპტორი დადებს ისეთ გარიგებას, რომლის დადების უფლება მას არ ჰქონდა, ის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და გარიგების ბათილობის საკითხი არ დადგება. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სახეზეა 9.5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.²²

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როცა სს-ის ღირეპტორებს ან „პრეზიდენტებს“ უწოდებენ, ან „გენერალურ ღირეპტორებს“. ეს არ ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს და მათ მიმართ მთლიანად გამოიყენება სს-ების ღირეპტორებისათვის გათვალისწინებული წესები.

II. ღირეპტორების მოვალეობა

ღირეპტორების ძირითადი მოვალეობაა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ გაუძღვნენ საზოგადოებას და შეასრულონ დაკისრებული ამოცანები (56.4 მუხლი), რომლებიც შეიძლება უშუალოდ წესდებიდან გამომდინარეობდეს ანდა ხელმძღვანელობის პრაქტიკული გარემოებებიდან წარმოიშვას. კანონი დაწერილებით არ განსაზღვრავს კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ გაძღოლის ცნებებს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

²² იხ. 9.5 მუხლის კომენტარი.

სასამართლოსეული შეფასების საკითხია. თუმცა 9 იენისის კანონი შეეცადა დაეკონკრეტებინა კეთილსინდისიერების შინაარსი: „ეკრძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნაეს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩეეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის“.²³

1. ანგარიშების შედგენის მოვალეობა

57.1 მუხლის თანახმად, ღირეკტორების მოვალეობას შეადგენს წლიური ანგარიშისა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშის შედგენა.²⁴ გარდა ამისა, ღირეკტორატმა უნდა შეიმუშაოს და სამსჯელოდ სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები მომავალი სამეურნეო პოლიტიკის შესახებ, ინფორმაცია საზოგადოების რენტაბელობის თაობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით ღირეკტორებმა სხვა ინფორმაციაც უნდა მიაწოდონ საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, ზოლო ინფორმაციის გამცემი ორგანო – ღირეკტორატი.

ღირეკტორატის ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, საიმედო და ობიექტური. ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომელიც წარედგინება ღირეკტორების ანგარიშს.²⁵ ამ მოვალეობის შეუსრულებლობა შესაძლოა ღირეკტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდეს.

2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ღირეკტორებმა საზოგადოებას უნდა აუნაზღაურონ ის ზიანი, რომელიც წარმოიშევა ღირეკტორების მიერ თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობით. ღირეკტორების პასუხისმგებლობა ამ დროს სოლიდარულია. ღირეკტორი პასუხს აგებს არა მხოლოდ მისი მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის, არამედ სხვა ღირეკტორების მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობით დამდგარი ზიანისათვის.

²³ იხ. 9.7 მუხლის კომენტარი.

²⁴ იხ. 57.1 მუხლის კომენტარი.

²⁵ MünchHdb. AG/Wiesner, §25, Rn. 20 – 22.

მტკიცების ტვირთი ეკისრებათ დირექტორებს. ეს ნიშნავს, რომ ზიანის არსებობისას მათ უნდა დაადასტურონ, რომ ისინი კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით უძღვებოდნენ საქმეს და ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვით.

საზოგადოება არ არის უფლებამოსილი გაათავისუფლოს დირექტორები ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან (56.4 მუხლის მე-4 წინადადება).

III. საზოგადოების კრედიტორთა უფლებები

სააქციო საზოგადოება ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგათ მესამე პირებს საზოგადოების დირექტორების ბრალით. კანონი იმის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, რომ საზოგადოების კრედიტორებმა პირდაპირ დირექტორებისაგან მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, თუკი საზოგადოება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს (56.4 მუხლის მე-5 წინადადება).

*მუსლი 57. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება.
ქონების მოვლის ვალდებულება*

57.1. დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

57.2. არ შეიძლება მიეცეს აქციონერებს სხვა საზღაური გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებიდან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

57.3. აქციონერს შეუძლია იყოს საქმიან ან შრომით ურთიერთობაში საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. წლიური ანგარიშის შედგენა და დამტკიცება

წლიური ანგარიშის შედგენის მოვალეობა ეკისრებათ დირექტორებს. მათი მოვალეობაა ასევე *სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშისა და მოგების განაწილების წინადადების მომზადება* სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარსადგენად (57.1 მუხლის 1-ლი წინადადება). იმის გამო, რომ 54.1 მუხლიდან გამომდინარე, აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელმაც წლიური შედეგები უნდა განიხილოს, ტარდება სამეურნეო წლის

დამთავრებიდან ორი თვის ვადაში, ივარაუდება, რომ ღირექტორებმა წლიური ანგარიში უნდა შეადგინონ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ამ ვადაში.

ღირექტორები პასუხს აგებენ წლიური ანგარიშის არასწორად ან არასრულყოფილად შედგენისათვის. მათი პასუხისმგებლობა განისაზღვრება 54.6 მუხლით.

57.1 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ღირექტორების მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო და მისი გატანა საერთო კრებაზე საჭირო არ არის.

წლიური ანგარიშის წარდგენა საერთო კრებაზე მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: როცა ღირექტორების მიერ მომზადებული მოგების განაწილების გეგმა არ იქნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული და ღირექტორები ვერ თანხმდებიან მოგების განაწილებაზე.

საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და მოგება აქციონერებს შორის დივიდენდების სახით კი არ გაანაწილოს, არამედ მთლიანად დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

წლიური ანგარიშის დამტკიცების წინ სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს მას, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ადგენს ცნობას შემდგომში საერთო კრებაზე წარსადგენად. ამ ცნობაში მითითებული უნდა იყოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა სამეთვალყურეო საბჭომ საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საჭიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვიეს თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები (55.8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

II. ქონების შენარჩუნების (მოვლის) ვალდებულება

სს, ისევე როგორც სხვა კაპიტალური საზოგადოება, აუცილებლად არის დაკავშირებული განსაზღვრული კაპიტალის არსებობასთან, რომელიც, პირველ რიგში, კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ემსახურება. ამავე დროს, სს ყველაზე მსხვილი კაპიტალური

საზოგადოებაა, რომელსაც ძალიან ხშირად ათი ათასობით აქციონერი ჰყავს. ამიტომ სს-ების ნორმები, რომლებიც კაპიტალის უზრუნველყოფას ემსახურებიან, უფრო მაკცარია, ვიდრე შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები. სს-ში აკრძალულია იმ ქონების ან ფულადი თანხის უკან დაბრუნება, რომელიც აქციონერმა შეიტანა სააქციო საზოგადოების კაპიტალში. *ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდები.* სწორედ ამას განამტკიცებს 57.2 მუხლის პირველი წინადადება: „არ შეიძლება მიეცეთ აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა“. რეალურად ეს ნიშნავს შემდეგს:

1. ის შესატანი (ფულადი თუ არაფულადი), რომელიც აქციონერებმა შეიტანეს საზოგადოებაში, ხდება სს-ის საკუთრება და მათი უკან დაბრუნების მოთხოვნა აქციონერებს არ შეუძლიათ. მაგალითად, თუ „ა“-მ სააქციო საზოგადოების კაპიტალში ჩადო თავისი საკუთარი სახლი, ეს სახლი ხდება სს-ის საკუთრება. იგი აიღებს ჩადებული ქონების შესაბამის აქციას. მას აქვს ამ აქციის გასხვისების უფლება, მაგრამ არა სახლის;

2. აქციონერებს არა აქვთ უფლება დივიდენდის სახით მოითხოვოს საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქციის გადაცემა მათთვის;

3. პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება აქციონერს მიიღოს ხელფასი იმავე საზოგადოებაში მისი საქმიანობიდან გამომდინარე. პირი, რომელიც ხელფასს იღებს სააქციო საზოგადოებაში მუშაობიდან, ჩაითვლება დაქირავებულ მოსამსახურედ, რომელიც შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს კუთვნილ საზღაურს. მას ხელფასი ეძლევა არა როგორც აქციონერს, არამედ როგორც თანამშრომელს. ე.ი. ეს პირი სააქციო საზოგადოებასთან ორმხრივ ურთიერთობაში იმყოფება: როგორც აქციონერი და როგორც თანამშრომელი. პირველ შემთხვევაში ის იღებს დივიდენდს, როგორც საზოგადოების აქციონერი, მეორე შემთხვევაში კი – ხელფასს, როგორც თანამშრომელი. ორივე მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს ერთდროულად;¹

¹ ეს საკითხი პრაქტიკაში ბევრ ვაუგებრობას იწვევდა. ამიტომ 15 ივნისის კანონით 57.3 მუხლში შევიდა ცვლილება, რომელმაც სიცხადე შეიტანა ამ ნორმაში: „აქციონერს შეუძლია იყოს საქმიან ან შრომით ურთიერთობაში საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს“.

4. აქციონერს არ შეიძლება მიეცეს გარანტია, რომ ის აუცილებლად მიიღებს დივიდენდებს. ასეთი გარანტია ბათილად ითვლება. *დივიდენდი აქციონერს მიეცემა მხოლოდ მაშინ, თუ საერთო კრება მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ.*² ეს იმას ნიშნავს, რომ აქციონერად ყოფნა თავისთავად არ არის საკმარისი პირობა იმისა, რომ იგი მოგებას მიიღებს.

მიუხედავად 57.2 მუხლის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შუზღუდვისა, თუ აქციონერმა მაინც მიიღო დივიდენდისგან განსხვავებული სხვა საზღაური, ის „*კალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით ანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი*“.

გარდა თვითონ აქციონერისა, ამგვარი დარღვევისათვის პასუხს აგებენ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სოლიდარულად.

კანონის მოთხოვნა დივიდენდების გარდა სხვა საზღაურის მიღებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმპერატიულია და აქციონერთა საერთო კრებასაც კი არა აქვს უფლება გაათავისუფლოს დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

თუ აქციონერებზე დივიდენდის გარდა სხვა საზღაურის გაცემით შეილახა კრედიტორების ინტერესები, მათ უფლება აქვთ ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ პირდაპირ აქციონერებისაგან ან დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან.

² MünchHdb. AG/Hoffmann-Beck.ing, §46, Rn. 20

58.1. მორიგი საერთო კრება ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით ირჩევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისგან, მისი ღირებულებისაგან და მათი აქციონერებისგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

58.2. რევიზია მოიცავს ანგარიშგების, წლიური ანგარიშისა და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას. ყოველგვარი საგანგებო შემთხვევის შესახებ, განსაკუთრებით, სხვა საწარმოებთან საქმიანი ურთიერთობების თაობაზე ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიეწოდოს აქციონერებს. ჩვეულებრივი წლიური ანგარიში უნდა შემოწმდეს რევიზიის აქტით. რევიზიის აქტიდან უნდა ჩანდეს, რომ სავალდებულო რევიზია ჩატარებულია საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, ასევე ღირებულების მიერ გაცემული განმარტებებისა და მტკიცებულებების, წლიური ანგარიშისა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე, თუ ამ უკანასკნელში გამოხატულია წლიური ანგარიში, რომელიც შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ წესებს. აუდიტორებმა რევიზიის აქტში უნდა მიუთითონ შემოწმების ადგილი და დღე.

58.3. რევიზორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გამოიყენება მუხლი 56.4.

I. აუდიტორის დანიშვნის წესი

აუდიტი (აუდიტორი) სს-ების საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. კანონი მას სააქციო საზოგადოების ერთ-ერთ სავალდებულო ფიგურად მიიჩნევს. როგორც 54.4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის კომენტარში იყო განხილული, სს-ების აუდიტორს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. აუდიტორი აირჩევა ყოველწლიურად აქციონერთა მორიგი საერთო კრების მიერ. აუდიტორის კანდიდატურას საერთო კრებას წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტორის ანუ დამოუკიდებელი ექსპერტის ცნება მოცემულია კანონის 19.3 მუხლში, რომლის თანახმად, დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და ანგარიშიანობა ზოგადად და საერთაშორისოდ

აღიარებული პრინციპების თანახმად. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო კრებას არა აქვს უფლება ნებისმიერი პირი აირჩიოს აუდიტორად. ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონის 19.3 და 58.1 მუხლების მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს ბათილად.¹

თუ საერთო კრებაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება აუდიტორის არჩევის შესახებ, მაშინ გადაწყვეტილებას აუდიტორის დანიშვნის შესახებ იღებს სააქციო საზოგადოების ადგილსამყოფელის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო (19.3 მუხლის ბოლო წინადადება).

აუდიტორი არ უნდა იყოს სს-ების თანამშრომელი, იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს მისგან, საზოგადოების დირექტორებისა და აქციონერებისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად (58.1 მუხლი). თუ სს-ების აქციონერი არის რომელიმე იურიდიული პირი, აუდიტორი არ შეიძლება იყოს ამ იურიდიული პირის თანამშრომელი, ან სხვაგვარად მასზე დამოკიდებული. აუდიტორი არ უნდა იღებდეს ხელფასს როგორც სააქციო საზოგადოებისაგან, ასევე მისი ცალკეული აქციონერებისაგან. ეს უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. რაც შეეხება იმ ანაზღაურებას, რომელსაც აუდიტორი იღებს აუდიტორული შემოწმების (რევიზიის) განხორციელების შედეგად, ხელფასად კი არ მიიჩნევა, არამედ გაწეული მომსახურების საზღაურად და ეს არ ხელყოფს მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ვინაიდან ამ საზღაურის ოდენობის განსაზღვრა აუდიტორსა და სააქციო საზოგადოებას შორის თავისუფალი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება.

აუდიტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. იგი უნდა აკმაყოფილებდეს კანონის 19.3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს კანონს აუდიტორული საქმიანობის შესახებ.

¹ Münch.Hdb.GesR IV/Hoffmann-Becking, §44, Rn. 3. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე: BGHZ 118, 142/145.

II. რევიზიის ცნება და საგანი

აუდიტორის მიერ განხორციელებულ აუდიტორულ შემოწმებას კანონი რევიზიას უწოდებს:²

საერთო კრების მიერ აუდიტორის არჩევის შემდეგ მასთან იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს როგორც აუდიტორის მიერ შესამოწმებელ სფეროს, ისე მისი შრომის ანაზღაურებას.

58.2 მუხლი დაწერილებით განსაზღვრავს აუდიტორის მიერ შესამოწმებელი ობიექტების წრეს და შემოწმების პირობებს.

უმთავრესი აუდიტორის სტატუსის დახასიათებისას არის ის, რომ საზოგადოების წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში ექვემდებარება სავალდებულო ყოველწლიურ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მხრიდან.

რევიზიის საგანს შეადგენს წლიური ანგარიშის, საქმის წარმოების პრაქტიკისა და ზოგადად ანგარიშების შემოწმება.

ვიდრე დირექტორების მიერ შედგენილი წლიური ანგარიში მოხსენდება საერთო კრებას, იგი უნდა შემოწმდეს აუდიტორების მიერ. წლიური ანგარიშის შემოწმების შესახებ უნდა შედგეს რევიზიის აქტი.

² იგი განსხვავდება საბჭოთა კავშირის დროს არსებული და ჯერ კიდევ შემორჩენილი რევიზიისაგან („ე.წ. საბჭოთა რევიზია“): ა) საბჭოთა რევიზიას ახორციელებდა მმართველობის შემდგომი ორგანო და უფრო სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ფორმა; ბ) საბჭოთა რევიზორი ინიშნებოდა სახელმწიფო ორგანოების მიერ და საწარმოებს არ ჰქონდათ მისი არჩევის შესაძლებლობა; გ) საბჭოთა რევიზორი წარმოადგენდა სახელმწიფო მოსამსახურეს, ანაზღაურებას იღებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი შემოსავალი არ იყო დამოკიდებული მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე; დ) მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული აუდიტორი არის დამოუკიდებელი ფიგურა, რომელსაც სახელმწიფოსაგან მინიჭებული აქვს საწარმოთა საქმიანობის შემოწმების უფლებამოსილება.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, „საბჭოთა რევიზორის მიერ განხორციელებული და აუდიტორის მიერ განხორციელებული რევიზიაც ორივე არის საწარმოთა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის კონტროლის ფორმა. „საბჭოთა რევიზორის“ არსებობა სახელმწიფო თუ საბჭოური ეკონომიკის პირობებში სრულიად გამართლებული იყო. კერძო ეკონომიკა კი განაპირობებს დამოუკიდებელი აუდიტორების არსებობის აუცილებლობას და მათი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმებით.

III. შემოწმების აქტის შინაარსი

კანონი რევიზიის აქტს უწესებს განსაზღვრულ რეკვიზიტებს, რომელთა დაცვა ამ აქტის შედგენის დროს აუცილებელია. კერძოდ, აქტიდან უნდა ჩანდეს, თუ რა დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა შემოწმება. კანონი ასეთ სავალდებულო დოკუმენტად მიიჩნევს: საზოგადოების წიგნებსა და სხვა ჩანაწერებს, დირექტორების მიერ მიცემულ განმარტებებსა და მტკიცებებს, წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშს.

აუდიტორმა უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საზოგადოების საბუღალტრო საქმის წარმოება, შედგენილი ბალანსი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რევიზიის აქტში მითითებული უნდა იყოს შემოწმების ადგილი და თარიღი.

IV. აუდიტორის პასუხისმგებლობა

დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან მათი არაჯეროვნად შესრულებისათვის აუდიტორები ისევე აგებენ პასუხს, როგორ სააქციო საზოგადოების დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

მუხლი 59. კაპიტალის შექმნის ღონისძიებები. კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან

59.1. გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის მომატების შესახებ უნდა განსაზღვრავდეს ნომინალურ თანხას, შესაძლოდ მაღალ გასაცემ თანხას, ფასიანი ქაღალდების დაყოფას, აქციების სახესა და მომატების ვადებს. არაფულადი შენატანისას დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შესრულებული შეფასების დასკვნა უნდა წარედგინოს სამეწარმეო რეესტრში საჯარო შემოწმებისთვის.

59.2. საერთო კრებას შეუძლია მოახდინოს კაპიტალის გაზრდა მუხლის შესაბამისად, აგრეთვე ნებადართული კაპიტალის ფორმით. ე.ი. ღირებულებები უფლებამოსილნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით მომავალი ხუთი სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ გაზარდონ გადაწყვეტილებაში მითითებულ თანხამდე ახალი აქციების გამოცემის გზით. გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს, შეეხება თუ არა და რა მოცულობით შეეხება გაზრდა შეღავათიან ან ჩვეულებრივ აქციებს და წარმომდგენის თუ სახელობით აქციებს.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

59.3. 52.4 მუხლის შესაბამისად, კაპიტალის შექმნის ღონისძიებათა შესახებ გადაწყვეტილება, 59.2 მუხლის წინაპირობების არსებობისას, შეიძლება ასევე ნაბადართული კაპიტალის სახით იქნეს მიღებული.

59.4. 52.4 მუხლის მიხედვით, მუშა-მოსამსახურეებზე აქციების გასაცემად, კაპიტალის შექმნის ღონისძიებათა განსახორციელებლად, ასევე საზოგადოებების შერწყმის გამო საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირობითი კაპიტალის დაშვების შესახებ. გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს პირობის დადგომის დროს და მისი გამოყენების წინაპირობებს ისე, რომ ამ პირობების დადგომა არ იყოს დამოკიდებული ღირებულებებზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე. გარდა ამისა, გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს გასაცემი აქციების სახეს.

59.5. 59.2 მუხლით გათვალისწინებული ნებადართული კაპიტალი შეიძლება დაშვებულ იქნეს შესაბამისი ჩვეულებრივი ან შეღავათიანი აქციების ნახევრამდე ოდენობით, ხოლო პირობითი კაპიტალი მხოლოდ 52.4 მუხლით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების თანხის ან არა უმეტეს საწესდებო კაპიტალის საერთო თანხის ოდენობამდე.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

59.6. კაპიტალის მომატების საკითხი შეიძლება ისე გადაწყდეს, რომ სარეზერვო ფონდები გარდაიქმნეს საწესდებო კაპიტალად. ამ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აკრძალვა.

59.7. სააქციო კაპიტალის მომატების ან 52.4 მუხლით განსაზღვრული კაპიტალის შეძენის ღონისძიებების მეშვეობით კაპიტალის შეძენის ყველა შემთხვევაში აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. თუ გაიცემა ჩვეულებრივი ან შეღავათიანი აქციები ან აქციონერებს მიენიჭებათ 52.4 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, უპირატესი მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ჩვეულებრივ ან შეღავათიან აქციონერებს. ამ წესიდან გამონაკლისების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საერთო კრება 54.6 და 54.7 მუხლების შესაბამისად.

(სსმ, I, 1999, №24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.99)

I. კაპიტალის შეძენის ცნება და მნიშვნელობა

სს-ის საქმიანობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ხელთ არსებული კაპიტალი საკმარისი არ აღმოჩნდება დასახული მიზნების მისაღწევად. ამ დროს სს იძულებულია იზრუნოს კაპიტალის გაზრდაზე, დამატებითი სახსრების მოზიდვაზე. ამ პროცესს კანონი უწოდებს კაპიტალის შეძენის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია არსებული საწესდებო კაპიტალის გაზრდა ახალი ინვესტიციების მოზიდვის გზით.

1. საწესდებო კაპიტალის რეგულარული (ჩვეულებრივი) გაზრდა

საწესდებო კაპიტალის გაზრდის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კაპიტალის გაზრდა ახალი აქციების გამოშვების გზით. ამ დროს იზრდება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ახალი სახსრების მოზიდვის მეშვეობით. სხვანაირად ამ პროცესს *აქციების ემისიას* უწოდებენ.

ვინაიდან ამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, აუცილებელია მისი დეტალური განხილვა და ანალიზი. *საწესდებო კაპიტალის გაზრდა ახალი აქციების გამოშვების გზით* მსხვილ სააქციო საზოგა-

დოებებში უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ახალი საზოგადოების დაფუძნება. ამ დროს საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს პერიოდულად გაზარდოს საწესდებო კაპიტალი და ამ მიზნით მოიზიდავს ახალ-ახალ სახსრებს და, როგორც წესი, ზრდის აქციონერთა რაოდენობასაც. *საწესდებო კაპიტალის გაზრდა უკვე გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების მომატების გზით აკრძალულია.*¹

გადაწყვეტილებას დამატებითი აქციების გზით საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ იღებს აქციონერთა საერთო კრება (54.6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

საერთო კრების გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს საწესდებო კაპიტალის ოდენობა, რომლითაც იზრდება კაპიტალი, გასაცემი აქციების რაოდენობა და თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება, მაქსიმალური გასაყიდი ფასი, აქციების სახე, ასევე ვადები, - თუ როდის გაიცემა აქციები.

გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ იწვევს საზოგადოების წესდების შეცვლას და იგი უნდა წარედგინოს სამეწარმეო რეგისტრს რეგისტრაციისათვის. საერთო კრების ოქმი ფორმდება ნოტარიუსის მიერ 54.4 მუხლში გათვალისწინებული წესით.

ამის შემდეგ ხდება აქციების გამოშვება. ეს პროცესი განსხვავებულად წარმართება აქციათა კერძო თუ საჯარო შეთავაზების დროს. კერძო შეთავაზებად ითვლება შეთავაზება, რომელიც ხდება პირდაპირ ან არაპირდაპირ ემიტენტის სახელით 100-მდე პირისთვის. აქციების საჯარო შეთავაზება არის წინადადება ემიტენტის სახელით აქციების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისთვის ან პირთა დაუზუსტებელი რაოდენობისთვის.²

საჯარო შეთავაზება ხდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის შესაბამისად ემისიის პროსპექტის გამოშვების და მისი ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიაში რეგისტრაციის რთული პროცედურის გავლით. ეს მექანიზმი დეტალურადაა განსაზღვრული ზემოხსენებული კანონით. სხვაგვარად საჯარო შეთავაზების განხორციელება აკრძალულია და იხჯება კანონით. აქ შეეჩერდები მხოლოდ იმ

¹ MünchHdb. AG/Krieger, §56, Rn. 1.

² „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის 3.1 მუხლი.

ფაქტზე, რომ ვინაიდან საჯარო ფასიანი ქაღალდები დემატერილიზებულია, მათზე საკუთრების უფლების დასტურს წარმოადგენს ჩანაწერი აქციათა რეესტრში (ან ნომინალური მფლობელის – მაგალითად ცენტრალური დეპოზიტარის – სუბრეესტრში), ხოლო მესაკუთრებს მიეცემა ამონაწერი რეესტრიდან.

კერძო შეთავაზება არ მოითხოვს საჯარო ფასიანი ქაღალდებისთვის განსაზღვრულ რთულ პროცედურას. აქაც აქციაზე საკუთრების უფლება ფიქსირდება აქციათა რეესტრში, ხოლო მესაკუთრეზე გაიცემა ამონაწერი რეესტრიდან ან აქციათა სერთიფიკატი.

ორივე შემთხვევაში აქციის გასაყიდი ფასი შეიძლება აღემატებოდეს მის ნომინალურ ღირებულებას. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აქციათა ნომინალური ღირებულება აღირიცხება, როგორც *საწესდებო კაპიტალის* შევსება, ხოლო ნამატი – როგორც *საემისიო კაპიტალი (რეზერვები)*.

ამ დროს მთლიანად გამოიყენება საზოგადოების დაფუძნებისათვის გათვალისწინებული წესები. იმ შემთხვევაში, როდესაც შესატანი შეიტანება არაფულადი სახით, იგი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა (აუდიტორმა). ღირექტორებმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ განცხადებით უნდა მიმართონ სასამართლოს, რომ შესატანი უკვე განხორციელდა და შეიძლება მისი რეგისტრაცია. კაპიტალის გაზრდა იურიდიული ძალის მქონედ მიიჩნევა მხოლოდ შესრულებული შენატანის რეგისტრაციის შემდეგ. ამრიგად, აქ უნდა განეასხვავოთ სს-ის წესდების რეგისტრაცია, რომელშიც აღნიშნულია გაზრდილი საწესდებო კაპიტალი და შეესებული საწესდებო კაპიტალის რეგისტრაცია. როგორც წესი, ეს ორი რეგისტრაცია დროში წანაცვლებულია და გაზრდილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეიძლება არ ემთხვეოდეს შეესებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას.

2. კაპიტალის გაზრდა ნებადართული კაპიტალის ფორმით (59.2 მუხლი)

ხშირია შემთხვევები, როცა კაპიტალის გაზრდა აქციების ემისიის გზით არაა აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებისთანავე განხორციელდეს,

არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭირო დამატებითი სახსრების მოზიდვა ან ემისია საზოგადოებისათვის ხელსაყრელია. ასეთი შემთხვევებისათვის, საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და ღირებულებებს მიანიჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულ ნომინალურ ღირებულებამდე გამოუშვან აქციები და გაზარდონ კაპიტალი. საერთო კრების გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება საზოგადოების წესდების შეცვლა და იმის აღნიშვნა, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდა ხდება ნებადართული კაპიტალის ფორმით.

ნებადართული კაპიტალის ფორმით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა ხშირად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძნელია აქციონერთა საერთო კრების მოწვევა; მეორე მხრივ, ეს იწვევს ღირებულებების ფუნქციების გაზრდას. თანამედროვე პირობებში სააქციო საზოგადოებების მართვის სრულიად ბუნებრივ ელემენტს წარმოადგენს ღირებულებებისათვის ნებადართული კაპიტალის ფორმით კაპიტალის გაზრდის უფლების მინიჭება.

კანონი იმავდროულად ზღუდავს ღირებულებების უფლებას გამოიყენონ ნებადართული კაპიტალი:

ა) ნებადართული კაპიტალის ფორმით საზოგადოების კაპიტალის გაზრდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით;

ბ) კაპიტალის გაზრდა უნდა მოხდეს ხუთი სამეურნეო წლის განმავლობაში;

გ) გაზრდილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების გადაწყვეტილებით;

დ) საერთო კრების გადაწყვეტილებით განისაზღვრება, თუ რომელ აქციებს და რა მოცულობით შეეხება კაპიტალის გაზრდა – შეღავათიან თუ ჩვეულებრივ აქციებს;³

ე) ნებადართული კაპიტალი შეიძლება დაშვებულ იქნეს შესაბამისი ჩვეულებრივი ან შეღავათიანი აქციების ნახევრამდე ოდენობით (59.5 მუხლი).

³ 59.2 მუხლის ბოლო წინადადებაში შეცდომითაა დასახელებული წარმომდგენის აქციები. 1999 წ. 9 ივნისის ცვლილებების შემდეგ შეწარმეთა შესახებ კანონი უკვე აღარ ითვალისწინებს ამგვარ აქციებს: ყველა აქცია არის მხოლოდ სახელობითი.

მაგალითი:

თუ გაცემულია 20 000 ლარის ჩვეულებრივი აქციები, ნებადართული კაპიტალის ფორმით შეიძლება გაიცეს კიდევ 10 000 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქციები.

სააქციო საზოგადოებამ, ნებადართული კაპიტალის ფორმით შეიძლება გამოუშვას ასევე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები 52.4 მუხლში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

3. კაპიტალის გაზრდა პირობითი კაპიტალის ფორმით

სააქციო საზოგადოების კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს პირობითი კაპიტალის ფორმით. ეს ხდება მაშინ, როცა დამატებით საჭირო კაპიტალის ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული, ვინაიდან იგი დამოკიდებულია გარკვეული გარემოებების არსებობაზე. ე.ი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია კაპიტალის გაზრდაზე, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული პირობების დადგომასთან.

გადაწყვეტილებას პირობითი კაპიტალის დაშვების შესახებ იღებს აქციონერთა საერთო კრება. გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული, თუ რა პირობების დადგომისას უნდა მოხდეს კაპიტალის გაზრდა, თუ როდის უნდა დადგეს ეს პირობა. იმავდროულად, პირობის დადგომა არ უნდა იყოს დამოკიდებული დირექტორებზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე.

გადაწყვეტილება უნდა განსაზღვრავდეს, თუ რომელი სახის აქციების გამოშვების გზით უნდა მოხდეს კაპიტალის გაზრდა.

პირობითი კაპიტალის ფორმით შეიძლება გაიცეს როგორც აქციები (მათ შორის მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემი აქციები), ისე აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

პირობითი კაპიტალი შეიძლება გაიცეს მხოლოდ, ან არაუმეტეს საწესდებო კაპიტალის საერთო თანხის ოდენობამდე, ანდა როცა ლაპარაკია 52.4 მუხლით განსაზღვრულ კონვერსიული სესხის ობლიგაციებზე ან სხვა ფასიანი ქაღალდებზე – მათ ოდენობამდე.

II. კაპიტალის გაზრდა საზოგადოების სახსრებიდან (59.6 მუხლი)

გარდა ახალი აქციების გამოშვების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდისა, შესაძლებელია საწესდებო კაპიტალი გაიზარდოს საკუთარი სახსრებიდან. მას *კაპიტალის ნომინალურ მომატებას* უწოდებენ, ვინაიდან ამ დროს საზოგადოებაში ახალი სახსრების მოზიდვა კი არ ხდება, არამედ საზოგადოების უკვე არსებული ქონება, რომელიც რეზერვების (სარეზერვო ფონდების) სახით არსებობდა, გარდაიქმნება საწესდებო კაპიტალად და გამოიხატება აქციების ნომინალურ ღირებულებაში.

საკუთარი სახსრებიდან კაპიტალის გაზრდა მიზანშეწონილია მაშინ, როცა რეზერვების ოდენობა დიდად გაიზარდა და იგი მნიშვნელოვნად აღემატება საწესდებო კაპიტალის ოდენობას. რეზერვების გარდაქმნის შედეგად იზრდება საზოგადოების კრედიტუნარიანობა: რაც უფრო მეტია კაპიტალი, მით უფრო დიდია კრედიტის მიმცემა დაწესებულების ნდობა სააქციო საზოგადოების მიმართ.

რეზერვების გარდაქმნის შედეგად, საწესდებო კაპიტალის გაზრდისას გამოშვებულ აქციებს იღებენ საზოგადოების აქციონერები. მათთვის ამ უფლების წართმევა აკრძალულია. ამ გარემოებას განაპირობებს ის, რომ აქციონერები ფაქტობრივად რეზერვების მესაკუთრეები არიან მათ საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად. საერთო კრების გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული აქციების გადაცემას მესამე პირებისათვის, ბათილია.

გადაწყვეტილებას რეზერვების გარდაქმნის შესახებ იღებს აქციონერთა საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გარდაქმნა შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ რეზერვებს (სარეზერვო ფონდებს), რომლებიც ბალანსში აღნიშნულია „ღია რეზერვების“ სახით.

III. ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება (59.7 მუხლი)

საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ყველა შემთხვევაში აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ არსებულ აქციონერებს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ აქციების გამოშვების დროს ახალი აქციების

შეძენის წინადადება უნდა მიეცეთ არსებულ აქციონერებს. თუ ისინი არ არიან თანახმა შეიძინონ ეს აქციები, მაშინ აქციების შესაძენად შეიძლება მოწვეულ იქნენ მესამე პირები.

იმ შემთხვევაში, როცა გაიცემა ჩვეულებრივი აქციები, უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერებს, ხოლო შელაგათიანი აქციების გაცემის შემთხვევაში – შელაგათიანი აქციების მფლობელ აქციონერებს. ამ წესის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების სპეციალური გადაწყვეტილებით (54.6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

მუხლი 60. ცნება

60.1. კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

კოოპერატივებს მიეკუთვნება:

ა. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისთვის;

ბ. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

გ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო – სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები);

დ. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემქენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები;

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №23-24, გვ.9, ამოქმედდა 08.06.07)

ე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები;

ვ. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები;

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №17, გვ.32, ამოქმედდა 04.07.96)

ზ. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №17, გვ.32, ამოქმედდა 08.06.07)

(სსმ, I, 2002, №27, მუხ. 107, ამოქმედდა 2002 1 ოქტომბრიდან)

60.2. კოოპერატივის წევრს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სხვა კოოპერატივებში, თუ ეს უკანასკნელი მოწოდებულია ემსახუროს პირველი კოოპერატივის წევრთა შემოსავლის მიღების ან მათი მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

60.3. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

I. კოოპერატივის ცნება და საქმიანობის პრინციპები

ამ კანონის თანახმად, კოოპერატივი არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც შედგება წევრთა შეუზღუდავი ოდენობისაგან და მიზნად ისახავს საკუთარი წევრების სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს მიზანი კოოპერატივის ძირითადი მახასიათებელი და მისი, როგორც იურიდიული ინსტიტუტის, არსებობის პირობაა.¹

კოოპერატივის საქმიანობა მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ და არა კოოპერატივის, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის მიერ მოგების მიღებისაკენ. ეს ნიშანი კოოპერატივის წევრისათვის არსებითი ეკონომიკური და იურიდიული გარანტიაა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კოოპერატივს არა აქვს მოგების უფლება. როგორც სამეწარმეო საზოგადოება, მასზე შეუზღუდავად ვრცელდება კანონის 1.1 მუხლის მოთხოვნები.

კოოპერატივის საქმიანობა ემყარება თვითდახმარების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს.

თვითდახმარება გულისხმობს, რომ კოოპერატივი მის ყოველ წევრს ხელს უწყობს ისეთი ამოცანების შესრულებაში, რომელიც ცალკე ინდივიდის შესაძლებლობებს აღემატება. კოოპერატივის მეშვეობით კი ინდივიდი ინარჩუნებს მეურნეობრივ არსებობას და მისი სამეწარმეო თავისუფლებაც არ იზღუდება.

თვითმმართველობა გულისხმობს, რომ კოოპერატივი ავტონომიური წარმონაქმნია. კოოპერატივის მართვას ახორციელებს თვითონ კოოპერატივი. მისი საქმიანობის კონტროლი, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება მის მიერვე.

საკუთარი პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ კოოპერატივის ვალდებუ-

¹ 2001 წლისათვის საქართველოში რეგისტრირებული იყო 944 კოოპერატივი. წყარო: მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2001 წ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. გვ. 22.

ბულებებისათვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებენ კოოპერატივის წევრები და პასუხს აგებს თვითონ კოოპერატივი, როგორც სამეურნეო ერთეული.

II. კოოპერატივის სახეები

60.1 მუხლში ჩამოთვლილი კოოპერატივები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შემპენ-გამსაღებელი და საწარმოო კოოპერატივები. განსხვავებებს კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის შინაარსში ეს კანონი იურიდიულ შედეგებს არ უკავშირებს. აქედან გამომდინარე, კანონში მოცემული კოოპერატივების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლებელია შეიქმნას სხვა კოოპერატივებიც.

III. კოოპერატივის წევრი

კანონის 60.2 მუხლი გამომდინარეობს იმ პირობიდან, რომ კოოპერატივის წევრი, როგორც წესი, პირად შრომით მონაწილეობას უნდა იღებდეს კოოპერატივის საქმიანობაში. ამდენად, კოოპერატივის წევრის სხვა კოოპერატივში მონაწილეობა საბოლოო ჯამში უნდა ემსახურებოდეს კოოპერატივის ამოცანებს, სადაც იგი შრომით საქმიანობას ეწევა და საიდანაც საკუთარი სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისა და ეკონომიკური განვითარების გარანტიებს იღებს.

IV. კოოპერატივის პასუხისმგებლობა (60.3 მუხლი)

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით ისე, რომ კოოპერატივის წევრები ამ ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებენ.

მუხლი 61. პაი. კოოპერატივში გაწევრიანება

61.1. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ ყოველი პაი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი.

61.2. სამეწარმეო რეესტრში კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივში წევრად მისაღებად აუცილებელია შესვლის მსურველის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე.

მსურველი პირის მიღების შემთხვევაში კოოპერატივის გამგეობამ განცხადება უნდა გადასცეს სამეწარმეო რეესტრს კოოპერატივის წევრის სიაში ჩასაწერად. წევრობა წარმოიშობა განცხადების საფუძველზე რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

61.3. განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი კანონისა და წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე ოდენობით.

61.1. პაი კოოპერატივში შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა ქონების სახით, მაგალითად, აღჭურვილობის, შენობის, იჯარით აღებული არასაცხოვრებელი ნაგებობითა და სხვა სახით. პაის ოდენობა განისაზღვრება წესდებით. ამასთან, საპაიო შესატანის ღირებულება უნდა შეადგენდეს ორმოცდაათზე გაციოფად რიცხვს.

კოოპერატივის წევრის საპაიო შენატანის ოდენობა შესაძლოა რამდენჯერმე აღემატებოდეს წესდებით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას; შესაბამისად, კოოპერატივის წევრი იქნება რამდენიმე პაის მფლობელი.

61.2. კანონი ითვალისწინებს კოოპერატივის წევრობის წარმოშობის ორ გზას: პირველი, კოოპერატივის წევრობას მოცემული კოოპერატივის დამფუძნებლის სახით და მეორე, კოოპერატივის წევრად მიღებას კოოპერატივის დაფუძნების შემდეგ. მეორე შემთხვევაში, ვიდრე პირი კოოპ-

ერატივის წევრი გახდებოდა, გაივლის ოთხ ეტაპს: პირველი, განცხადების შეტანა კოოპერატივის გამგეობაში კოოპერატივის წევრად მიღების თაობაზე (განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული); მეორე, წევრად მიღების დამტკიცება კოოპერატივის გამგეობის მიერ; მესამე, კოოპერატივის გამგეობის მიმართვა სარეგისტრაციო სასამართლოსადმი კანდიდატის კოოპერატივის წევრთა სიაში შეტანის მოთხოვნით; მეოთხე, სასამართლოს მიერ პირის შეტანა კოოპერატივის წევრთა სიაში. პირი კოოპერატივის წევრად ჩაითვლება სასამართლოს მიერ კოოპერატივის წევრთა სიაში შეტანის შემდეგ (სია დანართის სახით ერთვის კოოპერატივის რეესტრს, რომელსაც აწარმოებს შესაბამისი სასამართლო).

კოოპერატივის წევრებს შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

61.3. საკუთარი კაპიტალით არცთუ ისე ძლიერი უზრუნველყოფა კოოპერატივების ტიპური, ამასთან, მეტად არასასურველი თვისებაა. კოოპერატივების კაპიტალი, როგორც წესი, იქმნება მათი სამეურნეო საქმიანობის დაწყების შემდეგ წევრების მიერ პაის და მოგებიდან წილის შესაბამისი ანარიცხების შეტანის შედეგად. კოოპერატივის თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი წევრის მონაწილეობა კოოპერატივის ქონებაში არის კოოპერატივის წევრობის არა წინაპირობა, არამედ წევრობის შედეგი.

განცხადებაში, საპაიო შენატანის შესახებ ვალდებულებების გარდა, კოოპერატივის წევრობის კანდიდატი უთითებს იმ საგარანტიო თანხის ვალდებულებას, რომელსაც გადაიხდის შესაძლო კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, თუ კოოპერატივის წესდება წევრების ასეთ ვალდებულებას ითვალისწინებს.

მუხლი 62. წევრის ბასკლა კოოპერატივიდან

62.1. ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. გასვლა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს. განცხადება გასვლის შესახებ უნდა გააკეთდეს წერილობით სულ ცოტა სამი თვით ადრე გასვლამდე. წესდებით შეიძლება დადგინდეს უფრო ხანგრძლივი ვადა, ოღონდ არა უმეტეს ხუთი წლისა.

62.2. თუ წესდებაში შეიტანება ისეთი ცვლილება, რომელიც არსებითად ცვლის საწარმოს საქმიანობის საგანს, მაშინ კოოპერატივიდან გასვლა შეუძლია:

ა. საერთო კრების მონაწილე კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ მან უთანხმოება გადაწყვეტილების მიმართ ოქმში შეიტანა, ან თუ ოქმში მისი ჩაწერა უარყოფილ იქნა;

ბ. საერთო კრებაზე გამოუცხადებელ კოოპერატივის ყოველ წევრს, თუ იგი უსამართლოდ არ იქნა დაშვებული კრებაზე, ან თუ კრება არ იყო ჯეროვნად მოწვეული, ანდა თუ გადაწყვეტილების საგანი სათანადოდ არ იქნა გამოცხადებული.

62.3. 62.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კოოპერატივიდან გასვლა ფორმდება წერილობით. განცხადება შეიძლება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან, მაგრამ გასვლა ფორმდება სამეურნეო წლის ბოლოს.

62.4. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან სხვა კოოპერატივში წევრობის გამო, თუ ეს კოოპერატივი იმავე სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს და იმავე სახის საქმიანობას ეწევა. გარიცხვა მოხდება სამეურნეო წლის ბოლოს გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე. წესდებით შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივიდან გარიცხვის სხვა საფუძველებიც.

62.5. გამგეობა მოვალეა სამეწარმეო რეესტრს წარუდგინოს ინფორმაცია კოოპერატივის წევრის გასვლის თაობაზე სულ ცოტა ექვსი კვირით ადრე იმ სამეურნეო წლის ბოლომდე, რომლის დამთავრებამდეც ხდება გასვლა. მანვე უნდა გადასცეს წერილობითი საბუთი, რომ გასვლა მოხდა დროულად.

62.6. კოოპერატივის წევრთა სიაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი ის დასაბუთებული მიზეზი, რამაც გამოიწვია კოოპერატივის

წვერის გასვლა. კოოპერატივის წვერი კოოპერატივიდან გასულად ითვლება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

62.7. გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ბალანსის საფუძველზე გასვლის დღისათვის. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის მანძილზე, მაშინ საფუძველად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წვერის აქტივები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში; კოოპერატივის რეზერვებისა და სხვა ქონების მიმართ მას, თანახმად ამ მუხლის მე-3 აბზაცისა, არა აქვს მოთხოვნის უფლება.

თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება, რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა წვერმა კოოპერატივს უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი დაიანგარიშება კოოპერატივის წვერთა რაოდენობის მიხედვით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ კოოპერატივის წვერებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა შეიძლება დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წვერად ყოფნის სტაჟზე ან შეიძლება წესდება სხვა პირობებსა და მოთხოვნის შეზღუდვებს ითვალისწინებდეს.

62.8. კოოპერატივის წვერს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი თანხმობით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუკი პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წვერი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებო პირობებს უყენებდეს ამგვარ გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაკონკრეტებლივ უნდა წარუდგინოს სამეწარმეო რეესტრს.

პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი გამსხვისებულ წვერთან. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

62.9. კოოპერატივის წვერის გარდაცვალებისას წვერობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წვერობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განაზორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის განგრძობლება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე იყოს გათვალისწინებული, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით გათვალისწინებულ ვალებში.

გამგეობამ კოოპერატივის წევრთა სიაში რეგისტრაციისთვის დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს სამეწარმეო რეესტრს შეტყობინება კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შესახებ.

62.1. კანონი ითვალისწინებს კოოპერატივის წევრობიდან გასვლის ოთხ ძირითად საფუძველს: პირადი განცხადებით, კოოპერატივის მიერ საქმიანობის შეცვლის, კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვისა და კოოპერატივის წევრის გარდაცვალების გამო. კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წევრობიდან გასვლის სხვა საფუძველიც.

როცა კოოპერატივის წევრობიდან გასვლა ხდება პირადი სურვილით, განცხადებას აქვს წერილობითი ფორმა და იგი შეიტანება კოოპერატივის გამგეობაში სამეურნეო წლის ბოლომდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე. კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს განცხადების შეტანის სხვა ვადას, მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება იყოს სამეურნეო წლის ბოლომდე ხუთ თვეზე მეტი.

62.2. „საერთო კრების მონაწილე ყოველი წევრის“ ქვეშ იგულისხმება კოოპერატივის ყოველი წევრი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც თავიანთ ხმის უფლებას ქმედუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო აზორციელებენ წარმომადგენლების მემეუობით, აგრეთვე იურიდიული პირები, რომლებიც საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობენ სათანადოდ უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

წესდებაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს კოოპერატივის საქმიანობის საგნის შეცვლას, საერთო კრების კომპეტენციაა. ამიტომ, თუ კოოპერატივის წევრმა გამოთქვა უთანხმოება საქმიანობის საგნის შეცვლასთან დაკავშირებით და ეს წინადადება ოქმში იქნა შეტანილი ან წევრს უარი ეთქვა წინადადების ოქმში დაფიქსირება-

ზე, მისი განცხადება კოოპერატივიდან გასვლის თაობაზე საფუძვლიანად ჩაითვლება.

კოოპერატივიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე, თუ კოოპერატივის წვერი უსამართლოდ არ დაუშვეს საერთო კრებაზე, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება სამეურნეო საქმიანობის საგნის შეცვლის შესახებ, ან ეს კრება ჯეროვანი წესით არ იყო მოწვეული და პირს არ მიეცა კრებაზე დასწრების საშუალება, ან კრებას თავისი გადაწყვეტილება კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული წესით არ გამოუცხადებია და პირი ვერ გაეცნო გადაწყვეტილებას.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის გასვლა კოოპერატივის წევრობიდან ხორციელდება განსხვავებული წესით და მას შესაბამისი შედეგები მოსდევს. (ამ წესებისა და შედეგების შესახებ იხილეთ 62.3 და 62.7 მუხლების კომენტარები).

62.3. პირი, რომელიც კოოპერატივის წევრობიდან გადის კოოპერატივის საქმიანობის საგნის ცვლილების გამო 62.2-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, გასვლის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს კოოპერატივის გამგეობას არა უგვიანეს ერთი თვისა მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა საერთო კრების გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც კოოპერატივის წესდებაში შესაბამისი ცვლილება შეიტანა.

62.4. კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კოოპერატივიდან გარიცხვის სხვადასხვა საფუძველი. კანონი ითვალისწინებს კოოპერატივის წევრობიდან გარიცხვას, თუ პირი სხვა კოოპერატივის წევრი გახდა, ამასთან, ეს კოოპერატივი იმავე სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს და იმავე სახის საქმიანობას ეწევა. კოოპერატივი უფლებამოსილია კანონით გათვალისწინებული ეს საფუძველი წესდებაში არ ჩათვალოს თავისი წვერის გარიცხვის პირობად.

ამასთან საგულისხმოა, რომ კოოპერატივის ყოველ წევრს აქვს განუყოფელი უფლება გარიცხვის თაობაზე კოოპერატივის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, თუკი მიიჩნევს, რომ კოოპერატივიდან იგი არასწორადაა გარიცხული. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს

არა მხოლოდ ის, დაცული იყო თუ არა გარიცხვისათვის კანონით ან წესდებით დადგენილი პროცედურა, არამედ იმ ფაქტობრივი მიზეზების არსებობა, რამაც განაპირობა გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. განიხილოს ამ მიზეზების საფუძვლიანობის საკითხი.

62.6. ეს მუხლი შეეხება სამეწარმეო რეესტრში იმ ინფორმაციის რეგისტრაციის საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია კოოპერატივიდან გასვლასთან პირადი განცხადების, კოოპერატივის საქმიანობის საგნის შეცვლის და გარიცხვის საფუძველზე. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში კოოპერატივის წევრი კოოპერატივიდან გასულად ითვლება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

62.7. ამ კანონის მიხედვით, კოოპერატივის ქონება შეიძლება შედგებოდეს კოოპერატივის სამეწარმეო საქმიანობით მოპოვებული აქტივების, კოოპერატივის რეზერვების და კოოპერატივის წევრების საპაიო შენატანებისაგან. სამეწარმეო საქმიანობით მოპოვებული აქტივების ქვეშ იგულისხმება ქონება, რომელიც ფულადი თუ სხვა სახით კოოპერატივმა მიიღო მისი წევრების შრომითი საქმიანობის შედეგად. კოოპერატივის რეზერვების ქვეშ იგულისხმება ქონება, რომელიც კოოპერატივის მიერ იქმნება მიზნობრივი დანიშნულებით და არ შეადგენს კოოპერატივის წევრების საერთო წილობრივ საკუთრებას. საპაიო შენატანების ქვეშ კი იგულისხმება კოოპერატივის დაფუძნებისას და დაფუძნების შემდეგ წევრების მიერ შეტანილი პაი.

კოოპერატივიდან გასვლისას, ამ კანონის მიხედვით, კოოპერატივის წევრს, უპირველეს ყოვლისა, შეუძლია მოითხოვოს ის წმინდა მოგება, რაც მას ეკუთვნის პირადი შრომითი წვლილის შესაბამისად. თუ გამსვლელი წევრი თურთილული პირია, ბუნებრივია, მას ეკუთვნის მოგება კოოპერატივის საქმიანობაში მისი ფინანსური მონაწილეობის შესაბამისად.

ამასთან, კანონი ითვალისწინებს საგულისხმო გარიგებას, რათა წევრის გასვლამ უარყოფითად არ იმოქმედოს კოოპერატივის სამეურნეო სიცოცხლისუნარიანობაზე. კერძოდ, დადგენილია ანგარიშსწორების სპეციალური საფუძვლები და ვადები.

როგორც წესი, გასულ წევრთან კოოპერატივი ანგარიშს ასწორებს სამეურნეო წლის ბოლოს შედგენილი ბალანსის საფუძველზე. მაგრამ,

თუკი წვერის გასვლა ხდება სამეურნეო წლის მანძილზე, ანგარიშსწორება ხორციელდება იმ ბალანსით, რომელიც კოოპერატივში უკვე არსებობს.

ამასთან ერთად, კოოპერატივის წვერს ის წმინდა მოგება, რაზედაც ზემოთ აღინიშნა, აუნაზღაურდება გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

კოოპერატივიდან გასვლისას წვერი არ თავისუფლდება ვალდებულებებიდან, რომელიც კოოპერატივს აკისრია, იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის აქტივები საკმარისი არ არის ვალდებულებათა დასაფარავად, გამსვლელი პირი იხდის თავის წილს კოოპერატივის სხვა წევრებთან ერთად.

რაც შეეხება პაის უკუმოთხოვნას, მას ზოგადი წესის სახით, კანონი არ ითვალისწინებს. კოოპერატივის წესდებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს პაის უკუმოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ გამსვლელი წვერის მიერ, რომელსაც გადახდილი აქვს არა მხოლოდ პირველადი საპაიო შენატანი, არამედ სრული პაი. თანაც ასეთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კოოპერატივში უნდა არსებობდეს სპეციალური სარეზერვო ფონდი, რომელიც იქმნება წლიური ქონებრივი ნაშთიდან. კანონის მიხედვით, ასეთი უკუმოთხოვნის დაკმაყოფილების დროს შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს კოოპერატივში ყოფნის სტაეი და სხვა პირობები.

62.8. ეს მუხლი ითვალისწინებს ორ შემთხვევას: პირველი, როცა კოოპერატივის წვერი თავის პაის გადასცემს პირს, რომელიც მის მაგივრად ხდება კოოპერატივის წვერი და მეორე, როცა პაი გადაეცემა პირს, რომელიც უკვე არის კოოპერატივის წვერი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პაის მესაკუთრეს უწყდება კოოპერატივის წვერობა და მისი გასვლა კოოპერატივის წვერობიდან ხდება საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე.

ამგვარად კანონი, ზოგადი წესის მიხედვით, აღიარებს პაის და კოოპერატივის წვერობის გადაცემადობას. თუმცა მიუთითებს, რომ კოოპერატივის წესდებით, შეიძლება აიკრძალოს პაის გადაცემა საერთოდ, ან მისი გადაცემა კოოპერატივიდან გასვლისას შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ კოოპერატივის სხვა წევრისათვის. შესაძლებელია, წესდებით გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე პაის გადაცემა გარეშე პირისათვის ან

კოოპერატივის სხვა წევრისათვის კოოპერატივის წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

პაის გადაცემა ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ამასთან, შეთანხმება პაის გამცემის ინიციატივით დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საწარმოს მარეგისტრირებელ ორგანოს. კოოპერატივიდან გასვლის თარიღად ჩაითვლება პაის გადაცემის რეგისტრაციის დღე. ვინაიდან პაის გადაცემის შემთხვევაში კოოპერატივიდან გამსვლელ პირთან ანგარისშწორება არ ხდება, პაის გადაცემა და კოოპერატივიდან გასვლა შეიძლება მოხდეს სამეურნეო წლის ნებისმიერ პერიოდში.

62.9. კოოპერატივის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, კოოპერატივის წევრობა, კანონით აღიარებული ზოგადი წესის თანახმად, გადადის მის მემკვიდრეებზე. ამასთან, კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ გარდაცვლილი წევრის მემკვიდრის მიღება წევრად მოხდება მხოლოდ კოოპერატივის წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

კოოპერატივის წევრის სიკვდილის შემდეგ იხსნება მისი მემკვიდრეობა. სამკვიდროს გახსნა ხდება სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ. კანონის მიხედვით გარდაცვლილის კოოპერატივის წევრობის უფლება კოოპერატივში შეწყდება იმ სამეურნეო წლის ბოლოს, როცა მოხდება სამკვიდროს გახსნა.

როცა სამკვიდროს დამტოვებელს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, ისინი უფლებამოსილნი არიან თავიანთი ხმის უფლება საერთო კრებაზე განახორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

კოოპერატივის წესდებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს რამდენიმე მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში წევრობის გადაცემა მხოლოდ ერთი მემკვიდრისათვის. თუ რამდენიმე მემკვიდრიდან, წესდების მიხედვით, წევრობის უფლება არ მიიღო ერთ-ერთმა განსაზღვრულ კადაში, შესაძლოა, წევრობის უფლებამონაცვლეობა შეწყდეს. წევრის გარდაცვალების რეგისტრაცია ექვემდებარება რეგისტრაციის საერთო წესს.

მუხლი 63. საერთო კრება

63.1. კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

63.2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო დიდი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი.

63.3. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე ხმის უფლების მიცემას. იგი უნდა დაუწესდეს მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივების საქმიანობის განვითარებას. რამდენიმე ხმის უფლების მიცემის პირობები წესდებით უნდა იქნეს დადგენილი. სამ ხმაზე მეტი უფლების მიცემა დაუშვებელია.

63.4. წევრმა პირადად უნდა განახორციელოს თავისი ხმის უფლება. არაქმედუნარიანი ან შეზღუდულ ქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას განახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებათა ხმის უფლებას ახორციელებს წარმომადგენლობაზე საამისოდ უფლებამოსილი პირი.

წევრმა ან მისმა წარმომადგენელმა შეიძლება გასცეს მინდობილობა კენჭისყრაზე. მინდობილობა გაიცემა წერილობით. რწმუნებულს აქვს უფლება შეცვალოს არა უმეტეს ორი წევრისა. რწმუნებულისათვის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს პიროვნულ წინაპირობებსაც, კერძოდ, გამოირიცხოს იმ პირთა უფლებამოსილება, რომლებიც საქმიანობის სახით შესთავაზებენ ხმის უფლების განხორციელებას, ან საერთოდ გამოირიცხოს წარმომადგენლობა რწმუნებულების გზით.

63.5. არავის არა აქვს უფლება თავისთვის ან სხვა პირისთვის განახორციელოს ხმის უფლება, თუ არსებობს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსმენილ იქნეს მისი ან მისი წარმომადგენლის ანგარიში ან უნდა გათავისუფლდნენ ვალდებულებებისაგან, ან რომ კოოპერატივმა პრეტენზიები უნდა წამოაყენოს მისი ან შეცვლილი წევრის მიმართ.

63.6. საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან ამ კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილნი.

საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონში სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა ერთხელ მაინც წელიწადში, თუ ამას კოოპერატივის ინტერესები მოითხოვს.

63.7. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა მეთუდი ან წესდებაში საამისოდ აღნიშნული უფრო მცირე ნაწილი მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით.

თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც აქვს კოოპერატივის იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

63.8. საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა სამი კვირის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ოფიციალურ ანდა წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით.

საერთო კრების დღის წესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ გამოცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე საგანგებო საერთო კრების მოწვევის შესახებ.

63.9. საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები.

ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება გაეცნოს საოქმო ჩანაწერს. ოქმი უნდა ინახებოდეს კოოპერატივში და ეცნობოს სამეწარმეო რეესტრს.

63.10. საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების შესახებ, ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და

სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

წლიური ბალანსი, მოხსენება მდგომარეობის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე გამოკრული უნდა იქნეს სულ ცოტა ერთი კვირით ადრე კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა რომელიმე ადგილას, რათა წევრებს შეეძლოთ გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის ამსახველი მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

63.11. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილების შეტანის ან ვადიანი კოოპერატივისათვის ვადის გაგრძელების თაობაზე, ამასთან, გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭიყრაში მონაწილე ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში სხვა რამ არ იქნება მითითებული):

- ა. საქმიანობის საგნის შეცვლა;
- ბ. პაის გაზრდა;
- გ. რამდენიმე სვალდებულ პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება;
- დ. დამატებითი შესატანის გადახდის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება;
- ე. კოოპერატივიდან გასვლის ვადის გაგრძელება 2 წელზე მეტი ვადით;
- ვ. რეზერვებში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის დაწესება ან გაფართოება;
- ზ. რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება;
- თ. პაის დაყოფა.

წესდების იმ ცვლილებისათვის, რომლითაც შემოღებულია ან გაფართოებულია წევრის მოვალეობა კოოპერატივის ან სხვა საქმიანობის გამოყენების, ანდა სამსახურის შემოღების შესახებ საჭიროა ხმების ცხრა მეათედი. წესდება შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეწარმეო რეესტრში შეტყობინებამდე გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს.

საერთო კრება როგორც კოოპერატივის
ხელმძღვანელი ორგანო

63.1. კოოპერატივს აქვს სამი ხელმძღვანელი ორგანო – საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა.

საერთო კრება კოოპერატივის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა, რომლის მეშვეობითაც კოოპერატივი, როგორც იურიდიული პირი, ავლენს თავის ნებას კოოპერატივის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კანონი განსაზღვრავს საკითხების წრეს, რომლებიც კოოპერატივის ხელმძღვანელ ორგანოსაგან მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებას ექვემდებარება. ამასთან, არის საკითხები, რომლებიც კოოპერატივის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება და მას საერთო კრება გადაწყვეტილების მისაღებად მითითებებს ვერ მისცემს. საკითხთა ახალი წრე შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივის წესდებით.

კოოპერატივის საქმეებში მონაწილეობის უფლება კოოპერატივის წევრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. კანონის თანახმად კოოპერატივის წევრი ამ უფლებას საერთო კრებაში მონაწილეობით ახორციელებს. კოოპერატივის საქმეებში მონაწილეობის უფლება ხორციელდება კოოპერატივის საერთო კრებაზე დასწრების, კრებაზე სიტყვით გამოსვლის, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლებებით. კოოპერატივის წევრებს საერთო კრებაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლების მეშვეობით.

63.2. საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, არსებითად, კოოპერატივის წესდებით განისაზღვრება. თუ ეს წესები წესდებით განსაზღვრული არ არის, მაშინ მოქმედებს ნორმა, რომლის მიხედვითაც საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით ანუ კოოპერატივის საერთო კრების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტით. ამასთან, წესდებამ უნდა განსაზღვროს, თუ კოოპერატივის რამდენი წევრი უნდა ესწრებოდეს კრებას, რომ იგი იყოს უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე, ანუ როგორც იტყვიან, კრება იყოს გადაწყვეტილებაუნარიანი. საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ ამა თუ იმ საკითხზე, კერძოდ, არჩევნების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად წესდებით

შეიძლება განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების ურთიერთგანსხვავებული წესები.

63.3. ვინაიდან კოოპერატივი ძირითადად საკუთარი წევრების შრომითი მონაწილეობის პრინციპზე აგებული გაერთიანებაა, აქ მოქმედებს აღიარებული პრინციპი – საერთო კრებაში კოოპერატივის ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. კოოპერატივის წესდებით, კოოპერატივის ამა თუ იმ წევრს განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, შეიძლება მიეცეს ორი ან სამი ხმა. კოოპერატივის წევრს კანონის მიხედვით არ შეიძლება გააჩნდეს სამ ხმაზე მეტი. პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც კოოპერატივის წევრს ერთზე მეტი ხმა მიეცემა, შეიძლება იყოს სხვადასხვა: კერძოდ, განსაკუთრებული ქონებრივი ან შრომითი წვლილი. როგორც წესი, ერთზე მეტი ხმის უფლება ენიჭებათ კოოპერატივის წევრ იურიდიულ პირებს.

63.4. კანონის თანახმად, კოოპერატივის წევრი თავის მონაწილეობას საერთო კრების საქმიანობაში ახორციელებს უშუალოდ, პირადად, წარმომადგენლის გარეშე. კანონით გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევებიც და წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საერთო კრებაში მონაწილეობას მინდობილობის საფუძველზეც.

კანონის თანახმად, თუ კოოპერატივის წევრი ქმედუნაროა ან შეზღუდული ქმედუნარიანია, მისი ხმის უფლება ხორციელდება კანონიერი წარმომადგენლების მიერ. ქმედუნარო ფიზიკური პირის კანონიერი წარმომადგენელია მეურვე, შეზღუდული ქმედუნარიანისა – მზრუნველი. კოოპერატივის წევრი-იურიდიული პირების კანონიერი წარმომადგენელია: შეზღუდული პასუხისმგებლობებისა და სააქციო საზოგადოებების – დირექტორები, სოლიდარული და კომანდიტური საზოგადოებებისა – პარტნიორები და კომპლემენტარები.

როგორც კოოპერატივის წევრს, ისე მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება ენიჭებათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მინდობილობით მისცენ რწმუნებულ პირს. ამასთან, არავის აქვს უფლება იყოს კოოპერატივის ორზე მეტი წევრის რწმუნებული. კოოპერატივის წესდებით შესაძლოა საერთოდ აიკრძალოს რწმუნებულების მეშვეობით წარმომად-

გენლობა საერთო კრებაში. შესაძლოა წესდებით გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე რწმუნებულების გაცემა იმ პირებზე, რომლებიც კოოპერატივის წევრს ხმის მიცემის განხორციელების მონაწილეობას შესთავაზებენ საქმიანობის სახით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალჯერადი შემთხვევისათვის ან სათანადო საზღაურით.

63.5. კოოპერატივისა და მის წევრებს შორის მოქმედებს პირადი კავშირის პრინციპი, რომლის გამოხატულებაცაა კოოპერატივის უფლება დააწესოს მისი წევრის პირადი ანგარიშგება და პასუხისმგებლობა საერთო კრების მიმართ. ამ მოვალეობათა განხორციელება კოოპერატივის წევრს შეუძლია მხოლოდ პირადად ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით და მათ იგი ვერ გადააკისრებს სხვა პირს რწმუნებულის საფუძველზე.

63.6. კანონი არ მოითხოვს იმას, რომ კოოპერატივის საერთო კრება აუცილებლად მოწვეულ იქნეს ყოველწლიურად. იგი შეიძლება მოიწვიონ მხოლოდ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან როცა განსახილველია საკითხები, რომლებზედაც გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საერთო კრების უფლებამოსილების სფეროშია. კანონის მიხედვით კოოპერატივის საერთო კრებას უნდა იწვევდეს მისი გამგეობა. წესდებით კრების მოწვევა შეიძლება დაეკისროს კოოპერატივის წევრთა განსაზღვრულ ოდენობასაც.

63.7. ზოგადი წესის თანახმად, კანონი საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილებას ანიჭებს კოოპერატივის გამგეობას. ამასთან, თუ კოოპერატივის წევრთა ერთი მეთუდი ან კოოპერატივის წევრთა ნაწილი, რომელიც ითხოვს კრების მოწვევას, აღნიშნულის თაობაზე განცხადებით მიმართავენ კოოპერატივის გამგეობას და თუ გამგეობა ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, მათ უფლება აქვთ მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის კოოპერატივის იურიდიული მისამართი.

სასამართლო, განცხადებაში მითითებული და მხარეთა მოთხოვნით დადგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, უფლებამო-

სილია საერთო კრების მოწვევის და დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილებით აღჭურვოს პირები, რომლებმაც კრების მოწვევის მოთხოვნა წამოაყენეს. პირთა ოდენობა, ვისაც შეუძლია კრების მოთხოვნის წამოყენება, უნდა განისაზღვროს წესდებით. თუ ეს ოდენობა წესდებით გათვალისწინებული არ არის, კანონის შესაბამისად, კრების მოწვევის მოთხოვნის წამოყენების უფლება აქვს კოოპერატივის წევრთა ერთ მეათედს. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებულად უნდა ჩაითვალოს იმ წესით, რომელსაც მისაღებად მიიჩნევს სასამართლო.

63.8. კრების მოწვევის დროს უნდა დაცულ იქნეს განცხადების გამოქვეყნების განსაზღვრული პირობები. კერძოდ, განცხადება უნდა გამოქვეყნდეს იმ გაზეთში, რომელიც განსაზღვრულია კოოპერატივის წესდებაში. ამასთან, იგი ქვეყნდება საერთო კრების გამართვის თარიღამდე, სულ ცოტა, სამი კვირით ადრე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების დღის წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

63.9. საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები.

ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება გაეცნოს საოქმო ჩანაწერს. ოქმი უნდა ინახებოდეს კოოპერატივში და ეცნობოს სამეწარმეო რეესტრს.

63.10. წლიური ბალანსის დამტკიცებას, წლიური მოგების გამოყენებისა და წლიური დანაკლისის დაფარვის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას, გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების მოსმენას კანონი განაკუთვნებს სპეციალური საკითხების (63.6 მუხლი) რიცხვს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა კოოპერატივის საერთო კრების

უფლებამოსილებას განეკუთვნება. სპეციალურ შემთხვევებს განეკუთვნება აგრეთვე ცვლილებების შეტანა კოოპერატივის წესდებაში ან წინასწარ დადგენილი ვადით შექმნილი კოოპერატივებისათვის სამოქმედო ვადის გაგრძელება, რაც ასევე მხოლოდ კოოპერატივის საერთო კრების უფლებამოსილებაა.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული საკითხებიდან წლიური ბალანსის დამტკიცების, წლიური მოგების ან წლიური დანაკლისის დაფარვის შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად საერთო კრებაზე კოოპერატივის წევრები იკრიბებიან ყოველწლიურად. დანარჩენ საკითხებზე საერთო კრება ინიშნება წესდების შესაბამისად დადგენილი პერიოდულობით (სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობის ანგარიში) ან შექმნილი საჭიროების მიხედვით კანონი ადგენს მასალების გამოქვეყნების, წევრებისათვის გაცნობის პირობებს, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა საერთო კრების გადაწყვეტილება ცნობილი იყოს იურიდიული ძალმოსილების მქონედ.

63.11. საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი, ძირითადად, წესდებით განისაზღვრება. წესდებამ უნდა განსაზღვროს, მოცემული კოოპერატივისათვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხმების როგორი უმრავლესობით უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე.

გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც აფართოებენ კოოპერატივის წევრთა მოვალეობებს, ან კოოპერატივის მოწყობილობების, ან ახალი პირობების შემოღების შესახებ, კანონი აწესებს საერთო კრების მონაწილეთა ცხრა მეათედის მხარდაჭერის აუცილებლობას. წესდებით შეიძლება დადგინდეს სხვა, მაგრამ უბრალო უმრავლესობით მიღებისაგან განსხვავებული წესი. ამასთან, გადაწყვეტილებები, რომლებიც კოოპერატივის წესდებაში ცვლილებებს შეეხება, მხოლოდ იმის შემდეგ იღებენ სავალდებულო ძალას, როცა მათ სარეგისტრაციო სასამართლოს წარუდგენენ.

მუხლი 64. წარმომადგენელთა კრება

64.1. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებამ განსაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენლების კრება.

64.2. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ფიზიკური, ქმედუნარიანი პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში.

64.3. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა ორმოცდაათი წარმომადგენლისაგან, რომელთაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. მათ არც რამდენიმე ხმის უფლება აქვთ.

64.4. წარმომადგენლები აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩევნებისას წევრთა წარმომადგენლობისათვის შესაბამისად გამოიყენება 63.4 მუხლი. პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით.

წესდებამ უნდა განსაზღვროს:

- ა. რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი;
- ბ. წარმომადგენლობის დრო.

სხვა უფრო დაწვრილებითი დებულებები არჩევნების წესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად.

64.5. ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეულ უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი განთავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად წარმომადგენელთა არჩევნებისათვის დადგენილი წესებით უფლებამოსილების იმავე ვადით.

64.6. არჩეულ წარმომადგენელთა და არჩეულ სათანადარიგო პირთა სია გამოკრული უნდა იყოს 2 კვირის განმავლობაში კოოპერატივის ოფისში, რათა წევრები გაეცნონ მას. ამის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთი ან ოფიციალური წესდებით გან-

საზღვრულ გაზეთში. სიის გამოკერის ვადა იწყება გამოქვეყნების დღიდან. ყოველ წევრს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიეტყოს სიის ასლი.

წარმომადგენელთა კრების ცნება და კომპეტენცია (64.1 მუხლი)

წარმომადგენელთა კრება კოოპერატივის საერთო კრების უფლებამოსილების მქონე ორგანოა. თუ კოოპერატივში ორასზე მეტი წევრია, შეიძლება წესდებით განისაზღვროს, საერთო კრებამ განახორციელოს კოოპერატივის უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებანი თუ წარმომადგენელთა კრებამ, მაგრამ თუ კოოპერატივში ხუთასზე მეტი წევრია, კოოპერატივის უმაღლესი ორგანოს მოვალეობას აუცილებლად კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება უნდა ასრულებდეს. კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა ემყარება იმას, რომ ხუთასზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში კოოპერატივის წევრებს აღარ შეუძლიათ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა კოოპერატივის ნების ფორმირებაში საერთო კრებაში მონაწილეობის გზით და ამ ამოცანის განხორციელება მხოლოდ მათ მიერვე არჩეულ წარმომადგენლების მეშვეობით შეიძლება.

64.2. წარმომადგენელთა კრებაზე წარმომადგენლებად აირჩევიან მხოლოდ კოოპერატივის წევრები. თუ კოოპერატივის წევრები ოურიდული პირებიც არიან, კანონის მიხედვით, მათი კანონიერი წარმომადგენლების არჩევა დაშვებული არ არის. ამასთან, წარმომადგენელთა კრებაში არ შეიძლება კოოპერატივის იმ წევრთა არჩევა, რომლებიც წარმომადგენ მოცემული კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრებს.

64.3. საერთო კრების მონაწილეთა უფლებებისათვის დამახასიათებელი ხმების თანაბრობისაგან განსხვავებით, წარმომადგენელთა კრების თითოეულ მონაწილეს ანუ ყოველ წარმომადგენელს კენჭისყრაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმა. დაუშვებელია წარმომადგენელმა თავისი უფლებამოსილება გადასცეს კოოპერატივის სხვა წევრს ან წარმომადგენლობით კრებაში არჩეულ სხვა წარმომადგენელს ან კიდევ თაყისი უფლებამოსილებები გადასცეს სხვა გარეშე პირს რწმუნებულებით.

64.4. წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც კოოპერატივის წევრი არ არის ან ასეთ პირს დაეკისროს წარმომადგენლობა რწმუნებულების საფუძველზე. წარმომადგენლობის პირობები, კერძოდ, ვადა და ის თუ რამდენ პირზე მოდის ერთი წარმომადგენელი, უნდა განისაზღვროს კოოპერატივის წესდებით. იქ, სადაც მისაღებია კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების არჩევნების დებულება, რადგან წარმომადგენელთა კრების არჩევნების საკითხები კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული არ არის, დებულების მიღების უფლება კოოპერატივის საერთო კრებამ შეიძლება დააკისროს კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობას ერთობლივად. თუ საერთო კრების მიერ დებულების მიღების უფლებამოსილება დაეკისრა კოოპერატივის გამგეობას, ამ უკანასკნელმა არჩევნების დებულება შეიძლება მიიღოს მხოლოდ გამგეობის ყველა წევრის თანხმობით.

64.5. წარმომადგენლებს ირჩევს საერთო კრება და არა კოოპერატივის ერთი ან რამდენიმე პირი ცალ-ცალკე. კანონი მოითხოვს აგრეთვე ყოველი წარმომადგენლისათვის იმავე წესით სათადარიგო პირის არჩევას. სათადარიგო პირები წარმომადგენლობითი კრებიდან წარმომადგენლად არჩეული პირი უფლებამოსილების ვადის გასულამდე არ გათავისუფლდება. წარმომადგენლები აირჩევიან ოთხ წლამდე ვადით, ამავე ვადით ირჩევიან მათი სათადარიგო პირებიც. ამ უკანასკნელთა თადარიგში ყოფნის ვადა წყდება წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადის გასვლასთან ერთად.

64.6. წესდებით – განსაზღვრულ გაზეთში ან ოფიციალურ გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს არა კოოპერატივის წარმომადგენელ და მათ სათადარიგო პირთა სია, არამედ ცნობა იმის თაობაზე, რომ ასეთი სია გამოკრულია კოოპერატივის ოფისში. სია გამოკრული უნდა იყოს ორი კვირის განმავლობაში. ამასთან, გამოკერის ვადა იწყება გაზეთში ცნობის გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 65. სამეთვალყურეო საბჭო

65.1. კოოპერატივის აქვს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისაგან. წევრთა საჭირო რაოდენობა წესდებით განისაზღვრება.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. გადაწყვეტილებას სჭირდება დამსწრე ხმების სამი მეოთხედი.

65.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები.

გამგეობიდან გასული წევრები, მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში.

65.3. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას მისი საქმეების წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის ანგარიში და წინადადებები წლიური მოგების განაწილების შესახებ, შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოიწვიოს საერთო კრება, თუ ეს აუცილებელია კოოპერატივის ინტერესებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

65.4. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

I. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და კომპეტენცია

65.1. სამეთვალყურეო საბჭო არის კოოპერატივის თვითმმართველობის ორგანო, რომელიც ახორციელებს კონტროლს კოოპერატივის გააგეობის საქმიანობაზე და წარმოადგენს კოოპერატივის გამგეობასთან ურთიერთობაში თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს კოოპერატივის საერთო კრება, წესდების მიხედვით, განსაზღვრული ოდენობით, მხოლოდ კოოპერატივის წევრთა შემადგენლობიდან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ოდენობა არ შეიძლება იყოს 3-ზე ნაკლები და 15-ზე მეტი. გასამრჯელოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის შედეგების მიხედვით, განსაზღვრავს საერთო ან წარმომადგენელთა კრება.

საერთო ან წარმომადგენელთა კრება უფლებამოსილია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან გამოიწვიოს ესა თუ ის პირი. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება საერთო ან წარმომადგენლობითი კრების დამსწრეთა სამი მეოთხედის მხარდაჭერით.

65.2. კანონი ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისა და გამგეობის წევრობის შეუთავსებლობას, რადგან სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის საქმიანობაზე ახორციელებს კონტროლს და გამგეობის წევრებად შეიძლება იყვნენ კოოპერატივის არაწევრი პირებიც კონტრაქტის საფუძველზე. გამგეობიდან გასული წევრი მხოლოდ მაშინ შეიძლება საერთო ან წარმომადგენლობითი კრების მიერ არჩეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ თუ საერთო ან წარმომადგენლობითმა კრებამ მისი ანგარიში მოისმინა და დაამტკიცა.

65.3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებანი განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით. ამასთან, კანონი ადგენს იმ უფლებებს, რომ-

ლებიც სამეთვალყურეო საბჭოს გამგეობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისათვის ენიჭება. წლიური ბალანსის დამტკიცებამდე საერთო ან წარმომადგენლობითი კრება ისმენს სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენებას და წინადადებებს გასული წლის ბალანსის მდგომარეობის შემოწმების შედეგების, წლიური მოგების განაწილების შესახებ კანონით მას ევალება საერთო კრების მოწვევა, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს კოოპერატივის ინტერესებისათვის. კანონი დაუშვებლად მიიჩნევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების გადაცემას სხვა პირებისათვის რწმუნებულების ან სხვა საფუძველზე. შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა საბუღალტრო წიგნების ან სხვა საქმიანი ჩანაწერების შესამოწმებლად სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებით.

65.4. სახელშეკრულებო ურთიერთობებში კოოპერატივს ჩვეულებრივ წარმოადგენს გამგეობა. საერთო კრების დადგენილებით, კოოპერატივის სახელით, ხელშეკრულების დადების უფლება შეიძლება მიენიჭოს გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ერთად.

კრედიტი, რომელსაც იღებს კოოპერატივის გამგეობის წევრი ან ამ უკანასკნელის თავდებობით სხვა პირი კოოპერატივის ქონებიდან ან სხვა დაწესებულებიდან, გაიცემა მხოლოდ კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 66. გამგეობა. ღირექტორები

66.1. კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი ღირექტორისგან (გამგეობის წევრები). ღირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. წესდება შეიძლება სხვა პირობებსაც ითვალისწინებდეს.

66.2. ღირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

66.3. სხვა დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება მუხლი 9.

ღირექტორების უფლებამოსილებანი (66.1 მუხლი)

66.1. თუ სამეთვალყურეო საბჭო გამგეობის საქმიანობაზე კონტროლის ორგანოა, კოოპერატივის გამგეობა საკუთარი პასუხისმგებლობით მართავს კოოპერატივს და წარმომადგენლობის განხორციელების დროს სარეგულობს უფლებამოსილებათა შეუზღუდაობით. საერთო კრებას უფლება არა აქვს კოოპერატივის გამგეობას მისცეს მითითებები კოოპერატივის მმართველობის ზოგად თუ კონკრეტულ საკითხებზე. საერთო ან წარმომადგენლობით კრებას აქვს კანონითა და წესდებით დაკისრებული უფლებამოსილებები, რომლებიც მხოლოდ მათი კომპეტენციაა. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, დაამტკიცონ ბალანსი ან მიიღონ გადაწყვეტილება მოგების გამოყენების შესახებ, მაგრამ მმართველობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამგეობა ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით და ამიტომაც დამოუკიდებელია. გამგეობა შედგება ორი ან მეტი ღირექტორისგან.

66.2. თუ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებში ღირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, კოოპერატივებში ღირექტორები აირჩევიან საერთო ან წარმომადგენლობის კრების მიერ ოთხი სამეურნეო წლის ვადით.

კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვაგვარი ვადებიც.

66.3. ღირექტორების უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი კოოპერატივების პირობებში ისეთივეა როგორც სხვა სამეწარმეო საზოგადოებებში.

მუხლი 67. წლიური ანგარიში

კოოპერატივის წლიური ანგარიშის შემოწმებისათვის შესაბამისად გამოიყენება მუხლი 58-ე.

კოოპერატივის წლიური ანგარიშის შემოწმებისას გამოიყენება დადგენილი წესები. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს უშუალოდ ან მოწვეული აუდიტორის მეშვეობით შეამოწმოს წლიური ანგარიში. წლიური ანგარიში მოწმდება რევიზიის აქტით ამ კანონის 58-ე მუხლის წესების შესაბამისად.

მუხლი 68. მოგებისა და ზარალის განაწილება

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებთ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი — მოგების მიმატებითა და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. სანამ არ მიიღწევა (ზარალის გამო შემცირებული) პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება.

წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

კოოპერატივის წევრის მონაწილეობა კოოპერატივის ქონებაში, სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისაგან განსხვავებით, წევრობის შედეგია და არა წევრობის წინაპირობა. კოოპერატივში შესვლისას წევრი იხდის საპაიო შენატანს, რაც პაის მხოლოდ ნაწილია. პაი არის კოოპერატივის მთელი ქონება დანაწილებული წევრებზე აბსტრაქტულად. პაი არ არის კოოპერატივის წევრის რეალური წილი კოოპერატივის ქონებაში, ვინაიდან თავად კოოპერატივის ქონება არ წარმოადგენს საერთო წილობრივ საკუთრებას. კოოპერატივის წევრის პაის ოდენობა განისაზღვრება კოოპერატივის წესდებით. პირველი სამეურნეო წლის მოგებიდან კოოპ-

ერატივის წევრს წილი-მოგება ერიცხება მის მიერ შეტანილი საპაიო შენატანის პროპორციულად, ანუ იმის პროპორციულად, მთელი პაის რა ნაწილსაც შეადგენს მისი პირველი საპაიო შენატანი. ყოველი მომდევნო წლისათვის მის პაის ემატება წილი მოგებიდან ან აკლდება წილი ზარალიდან. მოგების მიმატება გრძელდება მანამ, სანამ არ შეივსება წესდებით გათვალისწინებული პაის ოდენობა. ამის შემდეგ კოოპერატივის წევრი მოგებას იღებს საერთო მოგებიდან თავისი შრომითი საქმიანობის შესაბამისად. ვიდრე წესდებით გათვალისწინებული პაი არ შეივსება, მოგება არ განაწილდება.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოგების მთლიანი ან წილობრივი დარიცხვა სარეზერვო ფონდისათვის და კოოპერატივის წევრის ანაზღაურება მხოლოდ გაწეული შრომითი საქმიანობის შესაბამისად.

გარდაამავალი დებულებანი

მუხლი 69. აქციათა რეესტრის წარმოება

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიღებამდე აქციათა რეესტრის წარმოების წესი და აქციათა რეგისტრატორების საქმიანობა მოწესრიგდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი მის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებებზე გავრცელდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს 1998 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგინოს კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

(„საქართველოს რესპუბლიკა“ №172, 1998 წ. 10 ივლისი, ამოქმედდა 01.08.98).

მუხლი 70. სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია.

1. სახელმწიფო ან ადგილობრივმა თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა 1999 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ან მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა (სახელმწიფოს ასპროცენტრიანი წილობრივი მონაწილეობით) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. რეორგანიზების შედეგად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს სახაზინო საწარმოს უფლებამონაცვლეს.

3. არსებულმა სახაზინო საწარმოებმა რეორგანიზების პერიოდში ახალი ვალდებულებები შეიძლება იკისრონ მხოლოდ დამფუძნებელ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით. იგივე წესი გამოიყენება უძრავი

მუხლი 69. აქციათა რეესტრის წარმოება

ნიუტების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შემთხვევაში.

(სსმ, I, 1999, №6, მუხ. 23, ამოქმედდა 05.03.99);

(სსმ, I, 1999, №20, მუხ. 100, ამოქმედდა 10.06.99).

**მუხლი 71. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის
გადასახდელი**

ამ კანონის 5¹ მუხლის მე-15 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1
იანვრიდან.

(სსმ, I, 2001, №10, მუხ. №36, ამოქმედდა 01.06.01).

1. წლიური ბალანსის სტრუქტურა

1.1. წლიურ ბალანსში გამოყოფენ შემდეგ მუხლებს (მეურნეობის ცალკეული დარგისათვის შეიძლება დადგინდეს სხვაგვარი სტრუქტურა, რომელიც ამ დანართში მოცემული სტრუქტურის ტოლფასი იქნება), ამასთან, შესაძლებელია წლიური ბალანსის შემდგომი სტრუქტურული სრულყოფა:

აქტივში:

ა) საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შესატანები, მათ შორის შესატანები, რომელთა შეტანის ვადა დაბდგარია.

ბ) ძირითადი კაპიტალი.

1. ძირითადი საშუალებები

1.1. მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობებით.

1.2. მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობების გარეშე.

1.3. შენობა-ნაგებობები სხვისი მიწის ნაკვეთებზე.

1.4. მანქანები, დანადგარები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებები.

1.5. საწარმოო და სასამსახურო ინვენტარი.

1.6. სხვა ძირითადი საშუალებები.

1.7. დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი.

2. არამატერიალური აქტივები

2.1. კონცესიები, ინტელექტუალური საკუთრება და ლიცენზიები.

2.2. ფირმის ღირებულება (გუდვილი).

2.3. სხვა არამატერიალური აქტივები.

3. ფინანსური დახანძრები

3.1. მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში.

3.2. ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

3.3. ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული სესხები, მათ შორის მიწის გირავნობით უზრუნველყოფილი.

გ) საბრუნავი საშუალებები

1. საწარმოო მარაგები.

1.1. ნედლეული და მასალები.

1.2. დაუმთავრებელი წარმოება.

1.3. მზა პროდუქცია, საქონელი.

2. სხვა საბრუნავი საშუალებები.

2.1. მომწოდებლებსა და მოიჯარეებზე გაცემული ავანსები.

2.2. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები.

2.3. მიღებული თამასუქები.

2.4. ჩეკები.

2.5. ნაღდი ფული სალაროში.

2.6. ფულადი საშუალებები საბანკო ანგარიშებზე.

2.7. მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებანი.

2.8. მოთხოვნები მეკავშირე (შვილობილი და სხვ.) საწარმოების მიმართ.

2.9. საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე გაცემული კრედიტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები.

2.10. საწარმოს პარტნიორებზე გაცემული კრედიტებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები.

2.11. სხვა საბრუნავი აქტივები.

დ) მომავალი პერიოდის ხარჯები

ქასიეში:

ა) საკუთარი კაპიტალი

1. კაპიტალი.

2. რეზერვები.

3. მიზნობრივი დაფინანსება.

4. გასული წლების გაუნაწილებელი მოგება.

5. გასული წლების დაუფარავი ზარალი.

6. სამეურნეო წლის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი).

ბ) ანარიცხები

1. საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები.
2. სხვა ანარიცხები.

გ) მოზიდული კაპიტალი და დანარჩენი პასივები

1. ვალდებულებები ბანკების წინაშე.

1.1. გრძელვადიანი ვალდებულებები.

1.2. მოკლევადიანი ვალდებულებები, მათ შორის მიწის გირავნობით უზრუნველყოფილი.

2. სესხები.

2.1. გრძელვადიანი სესხები.

2.2 მოკლევადიანი სესხები.

3. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.

4. ვალდებულებები თამასუქების მიხედვით.

5. მიღებული ავანსები.

6. ვალდებულებები მეკავშირე (შვილობილი და სხვ.) საწარმოების წინაშე.

7. ვალდებულებები პარტნიორების წინაშე.

8. ვალდებულებები მუშა-მოსამსახურეების წინაშე.

9. ვალდებულებები ბიუჯეტთან.

10. სხვა ვალდებულებები.

დ) მომავალი პერიოდის შემოსავლები

1.2. თუ მეწარმეს არა აქვს რომელიმე მუხლში გათვალისწინებული მონაცემები, მაშინ ეს მუხლი ბალანსში არ აისახება.

1.3. თუ რომელიმე მუხლში გაერთიანებულია რამდენიმე მუხლის მონაცემები, მაშინ გასაგები და ნათელი წლიური ბალანსის შესადგენად საჭიროა ამის აღნიშვნა საქმიანობის შესახებ ანგარიშში. მოთხოვნები და ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ, როგორც წესი, ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი; თუ ისინი სხვა მუხლებშია გაერთიანებული, მაშინ ამის შესახებ უნდა მიეთითოს საქმიანობის ანგარიშში.

1.4. ჩამოწერები, ანარიცხები და რეზერვები წლიური ბალანსის შედგენის დროს უკვე გათვალისწინებული უნდა იყოს. ასეთივე წესი მოქმედებს კანონის ან საზოგადოების წესდების შესაბამისად, ან ღირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რეზერვების შექმნისა და გახარჯვის შემთხვევაში. სამეურნეო წლის გაუნაწილებელი მოგება ან დაუფარავი ზარალი ბალანსში აისახება ცალკე.

1.5. რადგანაც ბალანსის პასივში არ აისახება, ამიტომ საქმიანობის შესახებ ანგარიშში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი:

ა) თამასუქების გადაცემისა და გადაყვანის (გადაპირების) პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ვალდებულებები;

ბ) საგარანტიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

გ) სხვისი ვალდებულებებისათვის გარანტიების მიცემიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა;

ეს ვალდებულებები მაშინაც უნდა აღინიშნოს, როცა მათ უპირისპირდება ეკვივალენტური უკუმოთხოვნები. თუ არსებობს ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მეკავშირე საწარმოების მიმართ, მაშინ იგი ცალკე გამოიყოფა.

2. ნორმები წლიური ბალანსის ცალკეული მუხლების შესახებ

2.1. ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში უნდა აისახოს მხოლოდ ის საშუალებები, რომლებიც საწარმოს საქმიანობისათვის ხანგრძლივად გამოიყენება. მათი სამეურნეო წლის განმავლობაში შემოსვლა, გასვლა, ჩამოწერები, სხვა ანგარიშებზე გადატანა უნდა აისახოს საქმიანობის შესახებ ანგარიშში.

2.2. მონაწილეობად ითვლება წილი საზოგადოებაში, რომლის ნომინალური ღირებულება აღემატება ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მეოთხედ ნაწილს.

2.3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცალკე უნდა იყოს ასახული მონაწილეობის ან ყველა სახეობის აქციის მთელი ნომინალური ღირებულება.

2.4. რეზერვების ასახვისას საქმიანობის შესახებ ანგარიშში ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი თანხა, რომელიც რეზერვებში იქნა მიმართული წინა წლის და სამეურნეო წლის მოგებიდან; ასევე თანხა, რომელიც დაიხარჯა სამეურნეო წელს.

2.5. ანარიცხები შეიძლება შეიქმნას მოსალოდნელი ზარკებისათვის და დაუმთავრებელი გარიგებებიდან მოსალოდნელი ზარალისათვის. გარდა ამისა, ანარიცხები შეიძლება შეიქმნას:

ა) სამეურნეო წელს განუხორციელებელი რემონტის, დასუფთავების, კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის, რომელიც მომდევნო წელს უნდა შესრულდეს;

ბ) გარანტიებისათვის, რომლებიც სამართლებრივი ვალდებულებების გარეშე წარმოიშევა. მუხლში „საპენსიო ანარიცხები“ აისახება ანარიცხები მიმდინარე პენსიებისათვის და პენსიების მოთხოვნის უფლებებისათვის.

ანარიცხები მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ცალ-ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი. ანარიცხები არ შეიძლება შეიქმნას სხვა მიზნებისათვის.

2.6. მოთხოვნები არ შეიძლება გადაიფაროს ვალდებულებებით, გადაუხდელი მომსახურება – ავანსით, ხოლო უფლებები მიწის ნაკვეთზე – მიწის ნაკვეთის ვალდებულებითი დატვირთვით.

არ შეიძლება რეზერვები, ფასშესწორებები და ანარიცხები აისახოს ვალდებულებებზე.

2.7. ხარჯებისა და შემოსავლების გამმიჯნავი მუხლები აისახება:

ა) აქტივში – „მომავალი პერიოდის ხარჯების“ სახით – ბალანსის შედგენის თარიღის წინა პერიოდის გასავლები, რომლებიც მომდევნო პერიოდის დანახარჯებს წარმოადგენენ;

ბ) პასივში – „მომავალი პერიოდის შემოსავლების“ სახით – ბალანსის შედგენის თარიღამდე მიღებული თანხები, რომლებიც მომდევნო პერიოდის შემოსავლებს წარმოადგენენ.

3. ძირითადი კაპიტალის ობიექტების ღირებულების ასახვა

3.1. ძირითადი კაპიტალის ობიექტები შემოსავალში აიღება შეძენის ან წარმოებაზე გაწეული ხარჯების თანხით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში უნდა აისახოს მათ შეძენაზე ან წარმოებაზე გაწეული ხარჯების თანხით დარიცხული ცვეთის და ფასშესწორების გათვალისწინებით.

3.2. წარმოების ხარჯებში, სხვა ხარჯებთან ერთად, შეიძლება შეტანილ იქნეს მოხმარებული ძირითადი საშუალებების ცვეთა და ღირებუ-

ლების სხვაგვარი შემცირება, აგრეთვე წარმოებისა და მმართველობის ხარჯების ის ნაწილი, რომელიც წარმოების პერიოდს ეკუთვნის. გასაღების ხარჯები არ ითვლება წარმოებისა და მმართველობის ხარჯებად.

3.3. არამატერიალური აქტივების ობიექტები ბალანსში შეიძლება აისახოს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი შეძენილია სასყიდლით.

3.4. საზოგადოების დაარსებისა და კაპიტალის პირველადი დაგროვების ხარჯები არ შეიძლება აქტივის მუხლად იქნეს ასახული. საწარმოს ამოქმედების ხარჯები შეიძლება აისახოს ნაგებობებისა და მოწყობილობების მშენებლობაზე გაწეული ხარჯების სახით. ეს თანხა უნდა გამოიყოს ცალკე და ყოველ მომდევნო სამეურნეო წელს დაიფაროს სულ ცოტა ერთი მეხუთედით ჩამოწერის გზით.

3.5. საწარმოს ან ფირმის ღირებულების გამოსახვისათვის, როგორც წესი, აქტივის ცალკე მუხლი გათვალისწინებული არ არის. თუ საწარმოს შეძენისათვის გაწეული საზღაური აღემატება შეძენის მომენტი-სათვის ამ საწარმოს ცალკეული ქონებრივი ობიექტების ღირებულებას, მაშინ ეს განსხვავება უნდა აისახოს საწარმოს ძირითადი კაპიტალის განაყოფში, როგორც "ფირმის ღირებულება". თანხა აისახება ცალკე და ყოველ მომდევნო სამეურნეო წელს სულ ცოტა ერთი მეხუთედით უნდა დაიფაროს ჩამოწერის (ცვეთის) გზით.

4. ჩამოწერები და ფასშესწორებები

4.1. ძირითადი კაპიტალის იმ ობიექტებისათვის, რომელთა გამოყენების ვადა შეზღუდულია, შეძენის ან წარმოების ხარჯები უნდა შემცირდეს გეგმაზომიერი ჩამოწერებით (ცვეთა) ან ფასშესწორებებით. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი ჩამოწერის მეთოდების გამოყენებით, ცვეთის გეგმამ შეძენის და წარმოების ხარჯები უნდა გაანაწილოს იმ სავარაუდო სამეურნეო წლებზე, რომელთა განმავლობაში შეიძლება ობიექტის გამოყენება.

4.2. ძირითად კაპიტალის ობიექტების მიმართ, მიუხედავად იმისა, შეზღუდულია თუ არა მათი გამოყენების ვადა, შეიძლება განხორციელდეს არაგეგმური ჩამოწერები და ფასშესწორებები, რათა ობიექტები აისახოს:

ა) უფრო დაბალი ღირებულებით, რომელიც მათ აქვთ ბალანსის შედგენის თარიღისათვის, ან

ბ) უფრო დაბალი ღირებულებით, რომელიც დასაშვებია მოგებიდან გადასახადით დაბეგვრის საფუძვლებიდან გამომდინარე.

ისინი უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა ამ ობიექტებზე დაბალი ფასების ხანგრძლივად შენარჩუნება. ეს დაბალი ღირებულება შეიძლება შენარჩუნდეს მაშინაც, როცა არაგეგმური ჩამოწერებისა და ფასშესწორებების საფუძველი უკვე აღარ არსებობს.

5. საბრუნავ საშუალებათა ღირებულების ასახვა

5.1. საბრუნავი საშუალებები უნდა აისახოს შეძენის ან წარმოების ხარჯებით. ბულალტრული აღრიცხვის პრინციპების გათვალისწინებით ერთგვაროვანი მარაგის ღირებულების დადგენისას შეიძლება დაშვებულ იქნეს, რომ პირველად ან ბოლოს შეძენილი ან წარმოებული საგნები გამოყენებული ან გასხვისებული იქნება პირველ რიგში ან სხვა თანამიმდევრობით.

5.2. თუ ბალანსის შედგენის თარიღისათვის შეძენის ან საწარმოების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ საბრუნავი საშუალებები ბალანსში უნდა აისახოს, მათ შორის უფრო დაბალი ფასით. თუ საბირჟო ან საბაზრო ფასი არ არის განსაზღვრული, ხოლო შეძენის ან წარმოების ხარჯები აღემატება იმ ღირებულებას, რომელიც საგნებს აქვთ ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაშინ ეს ღირებულება ბალანსში უნდა აისახოს.

საბრუნავი საშუალებები შეიძლება აისახოს უფრო დაბალი ღირებულებით, თუ ასეთი ასახვა:

ა) გონივრული კომერციული შეფასების თვალსაზრისით, აუცილებელია უახლოეს მომავალში ფასების მოსალოდნელი მერყეობის გამო, ამ საგნებზე ფასების შეცვლის თავიდან ასაცილებლად, ან

ბ) დასაშვებია მოგებიდან გადასახადით დაბეგერის საფუძვლებიდან გამომდინარე. უფრო დაბალი ღირებულების შენარჩუნება შეიძლება მაშინაც, როცა საამისო საფუძველი უკვე აღარ არსებობს.

6. პასივის მუხლების ასახვა

6.1. საზოგადოების კაპიტალი უნდა აისახოს ნომინალური ღირებულებით.

6.2. ვალდებულებები უნდა აისახოს მათი უკან დასაბრუნებელი თანხით, ხოლო საპენსიო ვალდებულებები – მათი ფაქტობრივი ღირებულებით.

6.3. თუ ვალდებულებების ან სესხების უკან დასაბრუნებელი თანხა უფრო მეტია, ვიდრე მიღებული თანხა, მაშინ სხვაობა შეიძლება აისახოს აქტივში მომავალი პერიოდის ხარჯებში. იგი ცალკე აღინიშნება. თანხა შეიძლება დაიფაროს გეგმაზომიერი ჩამოწერების მეშვეობით, რომელიც გადანაწილდება მთელ პერიოდზე.

6.4. ანარიცხები უნდა შეიქმნას მხოლოდ გონივრული კომერციული შეფასებით აუცილებელი ოდენობით.

7. მოგებისა და ზარალის ანგარიშის სტრუქტურა

7.1. მოგებისა და ზარალის ანგარიშში, თუ მეურნეობის მოცემული დარგისათვის დადგენილი არ არის სხვაგვარი სტრუქტურა, რიგითობის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მუხლები (ამასთან შესაძლებელია წარმოდგენილი სტრუქტურის სრულყოფა):

ა) ერთობლივ ზარჯთა მეთოდის გამოყენებისას:

1. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები;

2. შპს პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ზრდა ან შემცირება;
3. სხვა კაპიტალიზებული საკუთარი სამუშაო;
4. წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მთლიანი მოცულობა;
5. ნედლეულისა და მასალების ხარჯი;
6. დაქვემდებარებული საწარმოებიდან კუთვნილი შემოსავლები;
7. სხვა საწარმოებში მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლები;
8. სხვა ფინანსური დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლები;
9. სხვადასხვა პროცენტები და ანალოგიური შემოსავლები;
10. ძირითადი კაპიტალის ობიექტების გაყიდვიდან და აფასებიდან მიღებული მოგება;
11. საექვო მოთხოვნების ანარიცხების შემცირებიდან მიღებული შემოსავლები;
12. შემოსავლები მოსალოდნელი ხარჯების დასაფარავად შექმნილი ანარიცხების გამოუყენებელი თანხებიდან;
13. საკუთარ თავზე აღებული სხვისი ზარალის შემცირებიდან მიღებული შემოსავლები;
14. სხვა შემოსავლები;
15. ხელფასები და გასამრჯელოები;
16. სოციალური გადასახდელები;

17. მოხუცებულთა უზრუნველყოფისა და თანადგომის ხარჯები;
18. მატერიალური და არამატერიალური ძირითადი კაპიტალის ობიექტების ღირებულების ჩამოწერები და ფასშესწორებები;
19. ფინანსური დაბანდების ჩამოწერები და ფასშესწორებები;
20. სხვა საბრუნავი საშუალებების გასვლით ან ჩამოწერებით მიღებული ზარალი და მოთხოვნათა ფასშესწორება;
21. ძირითადი კაპიტალის ობიექტების გასვლის (ჩამოწერის, რეალიზაციის) შედეგად მიღებული ზარალი;
22. სხვადასხვა პროცენტები და ანალოგიური ხარჯები;
23. საკუთარ თავზე სხვისი ზარალის აღებით გამოწვეული ხარჯები;
24. სხვა ხარჯები;
25. მოგება (ზარალი) ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან;
26. გაუთვალისწინებელი შემოსავლები;
27. გაუთვალისწინებელი ხარჯები;
28. სამეურნეო წლის მოგება (ზარალი);
29. კონცერნში გადასარიცხი მოგება;
30. მოგებიდან გადასახადი;
31. წლიური წმინდა მოგება;

32. მიმართულია რეზერვებში და სხვა მიზნით;

33. სამეურნეო წლის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი);

ბ) რეალიზებულ პროდუქციაზე გაწეულ ხარჯთა (საბრუნავ ხარჯთა) მეთოდის გამოყენებისას:

1. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგები;

2. რეალიზებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გაწეული ძირითადი ხარჯები;

3. შედეგი რეალიზაციიდან;

4. კომერციული ხარჯები;

5. მმართველობის ხარჯები;

6. სხვა საწარმოო შემოსავლები;

7. სხვა საწარმოო ხარჯები;

8. სხვა საწარმოებში მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლები;

9. სხვა ფინანსური დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლები;

10. სხვადასხვა პროცენტები და ანალოგიური შემოსავლები;

11. ფინანსური დაბანდებების ჩამოწერები;

12. სხვადასხვა პროცენტები და ანალოგიური ხარჯები;

13. მოგება (ზარალი) ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან;
14. გოთვალისწინებელი შემოსავლები;
15. გაუთვალისწინებელი ხარჯები;
16. სამეურნეო წლის მოგება (ზარალი);
17. კონკერნში გადასარიცხი მოგება;
18. მოგებიდან გადასახადი;
19. წლიური წმინდა მოგება;
20. მიმართულია რეზერვებში და სხვა მიზნით;
21. სამეურნეო წლის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი).

7.2. თუ საწარმოს არ წარმოექმნება რომელიმე მუხლში გათვალისწინებული შემოსავლები ან ხარჯები, მაშინ ამ მუხლების ასახვა აუცილებელი არ არის.

7.3. თუ შემოსავლები და ხარჯები სხვა მუხლებშია მოცემული, ვიდრე ანალოგიური შემოსავლები და ხარჯები გასული სამეურნეო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშში, მაშინ ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს საქმიანობის შესახებ ანგარიშში თანხების მითითებით.

7.4. საზოგადოების პარტნიორებზე გასანაწილებელი თანხები (დივიდენდები, წილი მოგებიდან) შესაბამისი წყაროების მითითებით სამეურნეო საქმიანობის შესახებ ანგარიშში უნდა აისახოს ცალკე.

8. ნორმები მოგებისა და ზარალის ანგარიშის ცალკეული მუხლების შესახებ

8.1. მოგებისა და ზარალის ანგარიშის 7.1. ა) 1. და 7.1. ბ) 1. მუხლებში აისახება შემოსავლები, რომლებიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტიპიური პროდუქციისა და საქონლის გაყიდვიდან ან სარგებლობაში გადაცემიდან, მომსახურების გაწევიდან, გადასახადებისა და ამონაგების შესწორებათა გამოკლებით.

8.2. 7.1. ა) 2. მუხლში მითითებულ ქონებრივ ცვლილებად ითვლება, როგორც რაოდენობრივი, ასევე ღირებულებითი ცვლილება. ამასთან, ღირებულებათა განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის ჩამოწერები, რომლებიც არ აღემატება საწარმოსათვის დადგენილ გეგმურ ჩამოწერებს.

არაგეგმური ჩამოწერები, აგრეთვე ჩამოწერები, რომლებიც გონივრული კომერციული შეფასებით აუცილებელია უახლოეს მომავალში ფასების მერყეობით გამოწვეული ფასცვლილებების თავიდან ასაცილებლად, ცალკე უნდა იქნეს ასახული ან მითითებული საქმიანობის შესახებ ანგარიშში.

საწარმოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოგების ან მისი ნაწილის მიღებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები უნდა აისახოს ცალკე დასახელებით.

"გაუთვალისწინებელი შემოსავლების" და "გაუთვალისწინებელი ხარჯების" მუხლებში უნდა აისახოს ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან. ისინი სახეობებისა და ოდენობის მიხედვით უნდა გაიშიფროს საქმიანობის შესახებ ანგარიშში, თუ კი მათ საწარმოს საქმიანობის შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე იმ შემოსავლებსა და ხარჯებზე, რომლებიც მიეკუთვნება გასულ სამეურნეო წლებს.

8.3. შემოსავალს, რომელიც მიღებულია მოგების მთლიანად ან

ნაწილობრივი გადაცემის შესახებ საწარმოებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან, აკლდება თანხა, რომელიც ეკუთვნის გადაძემა საწარმოს დანარჩენ პარტნიორებს. თუ ეს თანხა მოგების ოდენობას აღემატება, მაშინ ეს ნამატი აისახება სხვისი ზარალის საკუთარ თავზე აღებით გამოწვეულ ხარჯებში. ამ შემოსავლებიდან სხვა თანხების გამოქვითვა დაუშვებელია.

8.4. გადასახადების სახით უნდა აისახოს ის თანხები, რომლებიც უნდა გადაიხადოს საწარმომ, როგორც ბეგარავალდებულმა პირმა.

9. საპენსიო გადასახდელების ასახვა

წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაიშიფროს სამეურნეო წელს გადახდილი, მათ შორის იურიდიულად დამოუკიდებელი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში გადარიცხული საპენსიო გადასახდელების თანხა და მომდევნო ხუთი სამეურნეო წლის განმავლობაში ყოველწლიურად სავარაუდო გადასახდელი თანხები მათი პროცენტული გამოსახულებით.

10. ანგარიში სამეურნეო საქმიანობის შესახებ

10.1. სამეურნეო საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობისა და მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები, რომლებიც მოხდა სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

10.2. საქმიანობის შესახებ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ასევე განმარტებები წლიური ანგარიშგების შესახებ. ამასთან, შეფასებისა და ჩამოწერის მეთოდები იმდენად სრულყოფილად უნდა იქნეს აღწერილი, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოების ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე სრული წარმოდგენის შექმნა. ამ მეთოდების დეტალური აღწერა აუცილებელი არ არის, თუ ისინი ბოლო სამი წლის განმავლობაში არ შეცვლილა და აღწერილი იყო წინა წლების ანგარიშში. ამასთან,

საქმიანობის შესახებ ანგარიშში დახასიათებული უნდა იყოს ის განსხვავებები, რომლებიც ხელს უშლიან წინა წლის წლიური ანგარიშგების შედარებას ბოლო წლიურ ანგარიშგებასთან. კერძოდ, შეფასებისა და ჩამოწერის, მათ შორის არაგეგმური ჩამოწერისა და ფასშესწორების მეთოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები. დაწერილებითი მონაცემების მოტანა აუცილებელი არ არის, თუ შეფასებისა და ჩამოწერის, მათ შორის არაგეგმური ჩამოწერის ან ფასშესწორების, მეთოდების შეცვლის შედეგად წარმოშობილი დამატებითი წლიური მოგება ან წლიური ზარალი არ აღემატება იმ თანხის ათ პროცენტს, რომელიც აღნიშნული ცვლილებების გარეშე უნდა ყოფილიყო მიღებული.

10.3. საქმიანობის შესახებ ყოველი ანგარიში უნდა შეიცავდეს:

ა) მონაცემებს ძირითადი და დამატებითი შენატანების შესახებ, რომლებიც რომელიმე პარტნიორმა ივალდებულა დამფუძნებლის ან აქციონერის უფლებით, ანდა საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად აქციების გაცემისას თავისი საზოგადოებისათვის ან დამოუკიდებელი საწარმოსათვის, ან იმ საწარმოსათვის, უპირველესი უფლების გამოყენებით, რომლის წილთა უმრავლესობას საზოგადოება ფლობს.

თუ სამეურნეო წელს მოხდა ამგვარი წილის გასხვისება, მაშინ იგი უნდა აღინიშნოს და მიეთითოს მიღებული შემოსავლის ოდენობა და მისი გამოყენების გზები;

ბ) სამეურნეო წელს საწესდებო კაპიტალის გაზრდისას მიღებულ წილებს;

გ) ნებადართულ კაპიტალს;

დ) საზოგადოების არაწევრთა უფლებას მოგების ან ლიკვიდაციიდან მიღებული შემოსავლის ნაწილზე, სამეურნეო წელს წარმოშობილი უფლებების მითითებით;

ე) პასუხისმგებლობრივ ურთიერთობებს, რომლებიც წლიურ ბალ-

ანსში არ ასახულა, მათ შორის საკუთარი ვალდებულებებისათვის გაცემულ გარანტიებს;

ვ) ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო ორგანოს ან მსგავსი ორგანოების წევრთა მთელ შემოსავლებს (ხელფასებს, მოგების წილებს, ხარჯების კომპენსაციებს, სადაზღვევო თანხებს, პროვიზიას და ნებისმიერი სხვა სახის შემოსავლებს) ცალ-ცალკე თითოეული ორგანოს მიხედვით მთელ შემოსავლებს მიეკუთვნება აგრეთვე შემოსავლები, რომლებიც კი არ გაიცემა, არამედ გარდაიქმნება სხვა სახის მოთხოვნებად ან გამოიყენება სხვა მოთხოვნების გასადიდებლად. მოცემული სამეურნეო წლის შემოსავლების გარდა, აისახება აგრეთვე ის შემოსავლები, რომლებიც მიიღეს მოცემულ სამეურნეო წელს, მაგრამ აქამდე არც ერთ ანგარიშში არ ყოფილა აღნიშნული. თუ საზოგადოების დირექტორები დამატებით შემოსავალს იღებენ საზოგადოების მეკავშირე საწარმოებიდან მათი კანონიერი წარმომადგენლის ან მოსამსახურის როლში საქმიანობისათვის, მაშინ ეს შემოსავლები აისახება ცალკე;

ზ) ყოფილი დირექტორების და მათი ოჯახის წევრების მთელ შემოსავალს (საბოლოო ანგარიშსწორებას, პენსიებს, დახმარებას მარჩენლის დაკარგვის გამო და სხვა ანალოგიურ შემოსავალს). თუ დირექტორები და მათი ოჯახის წევრები კომპენსაციებს ან პენსიებს იღებენ აგრეთვე მეკავშირე საწარმოებიდან, მაშინ ეს შემოსავლები ცალკე უნდა აისახოს;

თ) სამართლებრივ და კომერციულ ურთიერთობებს ქვეყნის შიგნით განლაგებულ მეკავშირე საწარმოებთან, აგრეთვე ამ საწარმოების სამეურნეო საქმიანობას, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საზოგადოების მდგომარეობაზე;

ი) სხვის მონაწილეობას საზოგადოებაში, რომლის შესახებაც მას ეცნობა, ამასთან, უნდა მიეთითოს, თუ ვის ეკუთვნის ეს წილი და აღემატება თუ არა იგი საზოგადოების ყველა წილის მეოთხედ ნაწილს, ან არის თუ არა ის აქციების უმრავლესობის მფლობელი.

10.4. ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს კეთილსინდისიერი და სარწმუნო ანგარიშგების პრინციპებს. ანგარიში მზადდება იმ ზომით, რამდენადაც იგი შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს. ანგარიშში არ არის საჭირო დაწვრილებითი დეტალების აღწერა, თუ გონივრული კომპერციული შეფასების თანახმად, ამ ცნობების აღნიშვნას შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს საზოგადოებას ან მის მეკავშირე საწარმოს. თუ რომელიმე მონაცემი არ არის შეტანილი კომპერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით, მაშინ საქმიანობის ანგარიშში, სადაც ეს მონაცემები უნდა იყოს ასახული, შესაბამისი ნორმების მინიშნებით უნდა მიეთითოს, რომ ამ მონაცემების მიმართ გამოყენებულია საიდუმლოების დაცვის წესები.

10.5. საქმიანობის შესახებ ანგარიშში უნდა იყოს საზოგადოების ღირეკტორებისა და სამეთვალყურეო ორგანოთა ყველა წევრის, აგრეთვე სამეურნეო წელს და მის შემდეგ გასული წევრების გვარი და სახელი სრულად. საჭიროა აგრეთვე მიეთითოს სამეთვალყურეო ორგანოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და საზოგადოების გამგეობის, თუ ასეთი არსებობს, თავმჯდომარის ვინაობა.

11. შემოწმების საგანი და მოცულობა

11.1. წლიური ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა შემოწმდეს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი ერთი ან რამდენიმე აუდიტორის მიერ (დასკვნითი შემოწმება). ასეთი შემოწმების გარეშე წლიური ანგარიშგების მიღება დაუშვებელია.

11.2. წლიური ანგარიშგების შემოწმებით უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა წლიური ანგარიშგებისადმი კანონისა და წესდების მოთხოვნები და საქმიანობის შესახებ ანგარიშში მოტანილი მონაცემები ზომ არ შექმნის მცდარ წარმოდგენას საზოგადოებაში არსებულ საქმის ვითარებაზე.

11.3. თუ საზოგადოების ღირეკტორები შემოწმების შედეგებზე დასკვნის

შედგენის შემდეგ შეცვლიან წლიურ ანგარიშგებას, მაშინ აუდიტორებმა ხელახლა უნდა შეამოწმონ წლიური ანგარიშგება.

11.4. აუდიტორებს ირჩევენ პარტნიორები ხმების უბრალო უმრავლესობით.

12. შემოკლებული ანგარიშგება მცირე საწარმოსათვის

მცირე საწარმოებს შეუძლიათ ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის ნაცვლად ინვენტარიზაციის საფუძველზე შეადგინონ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და შემოსავალ-გასავლის ანგარიში საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

(„პარლამენტის უწყებანი“, 1997წ., №1-2(33-34/7), გვ.9, ამოქმედდა 23.01.97)

**სარეგისტრაციო ბარათი (60მუშე)
06დივიდუალური ვეფარმისათვის**

რეგითი ნომერი	თარიღი	მულობელის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, მისამართი	საზოგადოების საქმიანობის საგანი	საუკურო წარმომადგენლები (პროკურორისტები)

**სარეგისტრაციო ბარათი (60მუშე)
სოლიდარული ეასუნისმგებლობის
საზოგადოებისათვის**

რეგითი ნომერი	თარიღი	პარტნიორების სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია, მისამართი	წარმომადგენლობა პარტნიორების შიგნით	საუკურო წარმომადგენლები

სარეგისტრაციო ბარათი (ნიმუში)
ქოვანდითური საზოგადოებისათვის

რეგიონი ნომერი	თარიღი	კომანდიტისტების სახელი, დაბადების თარიღი, ადგილი, პროუესია, მისამართი და მათი სვანართი შესატანი; უკლებლად როგორც კომანდიტის აღნიშვნა	წარმომადგენლობა კომპლომენტარების მიერ	საქართველო წარმომადგენლები (პროკურისტები)

სარეგისტრაციო ბარათი (ნიმუში)
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის

რეგიონი ნომერი	თარიღი	შეტანის ქვეშ პარტნიორების სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროუესია, მათი პროცენტული წილი საწესდები კაპიტალში, მისამართი	ლოკატორის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროუესია მისამართი	საშეუღლებლო საქმის წყობის სახელი დაბადების ადგილი და თარიღი, პროუესია, მისამართი თუ არსებობს საშეუღლებლო საქმი	საზოგადოების საწინამძღვრო საგანი და საერთო კაპიტალი	წარმომადგენლობა ლოკატორების მიერ	საქართველო წარმომადგენლები (პროკურისტები)

(ნმ, I, 2000, №23, მუხ. №62, ამოქმედდა 24.06.00).

სარეგისტრაციო ბარათი (603უზი)
სააქციო საზოგადოებისათვის

რეგისტრაციის ნომერი	თარიღი	საქმიანობის სუბანი და კასიტული	აქციონა სახეები აქციონა დაყოფა	დირექტორების სახელი, დასაღების თარიღი და ადგილი, პროექსია მისამართი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სახელი დასაღების ადგილი და თარიღი, პროექსია, მისამართი	წარმომადგ ენლობა დირექტორ ების მიერ	საკურო წარმომადგ ენლები (პროკურო რები)

სარეგისტრაციო ბარათი (603უზი)
რეგისტრირებული ქოლიერატისთვის

რეგისტრაციის ნომერი	თარიღი	საქმიანობის სუბანი და კასიტული	დირექტორების სახელი, დასაღების თარიღი და ადგილი, პროექსია მისამართი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სახელი დასაღების ადგილი და თარიღი, პროექსია, მისამართი თუ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო	წარმომადგ ენლობა დირექტორ ების მიერ	პროკურო რები

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

(1994 წლის 28 ოქტომბერი)

საქართველოს პარლამენტი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი "მეწარმეთა შესახებ" ამოქმედდეს 1995 წლის 1 მარტიდან.

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე*.

(საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 21 დეკემბრის დადგენილება).

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები 1996 წლის 1 იანვრამდე გარდაიქმნებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ამ კანონ. 1. 2.4. მუხლის შესაბამისად ექვემდებარებიან სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას.

4. ამ დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა შეუს-

* საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 28 ივნისის №332-III დადგენილებით კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოებისათვის განსაზღვრული ხელახალი რეგისტრაციის ვადა საქართველოს სამომხმარებლო კოპერაციის ეროვნულ აღიანსს – ეკეკემირს და მისი სისტემის ორგანიზაციებს გაუგრძელდათ 1996 წლის 31 დეკემბრამდე.

(საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 28 ივნისის დადგენილება).

რულებლობის შემთხვევაში საწარმოთა მიმართ გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 5.8. მუხლით გათვალისწინებული წესები.

5. სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

6. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი;

2. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის „ა“ და „ბ“ პუნქტები, აგრეთვე მე-3 და მე-5 აბზაცები;

3. „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონის მე-10 და 26-ე მუხლები;

4. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი;

5. „საქართველოს რესპუბლიკის ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-2 მუხლი, მე-8 მუხლის I პუნქტი, მე-14 – მე-18 მუხლები;

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

7. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4

სექტემბრის №891 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა შე-
სახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

8. „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრო-
ბის 1992 წლის 31 აგვისტოს №876 დადგენილებით დამტკი-
ცებული დროებითი დებულების მე-3 – მე-13 პუნქტები;

9. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 12
სექტემბრის №990 დადგენილება „ინდივიდუალური მეწარმეო-
ბისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ დებულების დამტ-
კიცების თაობაზე“;

10. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993
წლის 8 მარტის №183 დადგენილება „ადგილობრივი (მუნიცი-
პალური) საწარმოს შესახებ დებულების დამტკიცების თაობა-
ზე“;

11. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993
წლის 27 აპრილის №336 დადგენილება „შეზღუდული პასუ-
ხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების
თაობაზე“.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა სხვა კანონქვემდებარე
აქტი ან მათი ცალკეული ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან
„მეწარმეთა შესახებ“ კანონს.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1996 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს
სასამართლოებში საწარმოთა რეგისტრაციისათვის მატერიალური და
ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები.

9. ძალადაკარგულია.

*(საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 დეკემბრის დადგენილება, ამოქმედდა
23.01.97).*

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს 1996 წლის 13 დეკემბრის
კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.*

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულმა იურიდიულმა პირებმა ბუღალტრული ანგარიშგების წარმოება ამ კანონით გათვალისწინებული ფორმებით განახორციელონ 1997 წლის II კვარტლიდან.

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი გავრცელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში 1997 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ ვალდებულებებზეც.**

4. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონის მე-15 და მე-16 მუხლები არ ვრცელდება 1997 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საზოგადოებებზე.

* გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1997 წლის 5 იანვარს (რედ. შენიშვნა).

** ეს არის კანონის 44-ე მუხლის 1-ლი წინადადება.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს:

I. უზრუნველყოს, რომ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ:

შეიმუშაოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა სასამართლოში რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურა.

უზრუნველყოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მითითებული ყველა საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება საწარმოთა რეგისტრაციის მოსაკრებელიდან შემოსული თანხების ხარჯზე.

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 1997 წლის 1 აპრილამდე:

შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუქცია ბუღალტრული ანგარიშგების მოცულობისა და ფორმების შესახებ;

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

გააუქმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1993 წლის 11 იანვრის 12-03 წერილი „საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებისა და მეთოდების შესახებ“.

II. ამ დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცით გათვალისწინებული ინსტრუქციის დამტკიცების დღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 4 სექტემბრის №888 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საბუღალ-

ტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 აგვისტოს №565 დადგენილება „პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯები შემადგენლობისა და ფინანსური შედეგების ფორმირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

6. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ იურიდიულ პირებს, მათ შორის ბანკებს, ფონდებს და სადაზღვევო კომპანიებს ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 23 დეკემბრის №933 და 1995 წლის 16 მაისის №263 დადგენილების შესაბამისად ძირითადი საშუალებების (ფონდების) აფასების სპეცფონდებში აღრიცხული თანხები მიმართონ თავიანთ საწესდებო კაპიტალში.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მე-9 პუნქტი.

სამეწარმეო საზოგადოებათა წესდებების ნიშნუბი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება

1. საზოგადოება. მისი საფირმო სახელწოდება

1.1. წინამდებარე საზოგადოება არის სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა „იოსებ ქორიძე და კომპანია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ (შემოკლებით „იოსებ ქორიძე და კომპ. სპს“).

1.2. საზოგადოების ადგილსამყოფელი არის თელავი, ერეკლე მეფის ქუჩა N 5.

1.3. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.4. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.5. საზოგადოების საქმიანობის საგანია ავტომანქანების შეკეთება, მათი კაპიტალური რემონტი, ავტომანქანების აღჭურვა დისტანციური სიგნალიზაციით და ა.შ.

1.6. საზოგადოების დამფუძნებლები და პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები არიან:

ა. იოსებ ქორიძე, დაბადებული 1968 წლის 12 ნოემბერს, ინჟინერ-მექანიკოსი, მცხოვრები თელავში, ქინძმარაულის ქ. N 10-ში.

ბ. ვანო ხერხეულიძე, დაბადებული 1970 წლის 16 მაისს, ელექტრიკოსი, მცხოვრები თელავში, წინანდლის ქ. N 14-ში.

2. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

2.1. მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმომადგენლის უფლება აქვს ყოველ პარტნიორს დამოუკიდებლად.

2.2. ყოველი პარტნიორი უფლებამოსილია უხელმძღვანელოს სა-

ზოგადობის საქმეებს დამოუკიდებლად. იმავდროულად თითოეული პარტნიორი ვალდებულია თავისი შრომით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში.

2.3. მიუხედავად იმისა, საზოგადოებას ექნება თუ არა სამეურნეო წლის ბოლოს მოგება, ხელმძღვანელობით საქმიანობისათვის პარტნიორები ყოველთვიურად იღებენ გასამრჯელოს 300 ლარის ოდენობით.

2.4. მოგებასა და ზარალში პარტნიორები თანაბრად მონაწილეობენ, თითოეულის წილი შეადგენს 50%-ს. პარტნიორები ასევე თანაბრად გაიყოფენ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას.

3. პარტნიორთა კრება. გადაწყვეტილების მიღება

3.1. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს წლიური ბალანსის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს პარტნიორთა მორიგი კრება. მოწვევის ვადა არის ორი კვირა. მოწვევაში მითითებული უნდა იყოს დღის წესრიგის შესახებ.

პარტნიორებმა უნდა მოიწვიონ რიგგარეშე კრება, თუ ეს საზოგადოების ინტერესებისათვის აუცილებელია.

3.2. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება პარტნიორთა ნახევარზე მეტი. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

კრების გადაწყვეტილებაუნარობის შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქნეს მეორე კრება, რომელიც განიხილავს იმავე საკითხებს, რაც პირველ კრებას უნდა განეხილა, და გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მიუხედავად წარმოდგენილი პარტნიორების ოდენობისა. ამის შესახებ მითითებული უნდა იყოს მოსაწვევში.

3.3. პარტნიორთა გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც წესი, საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობა.

3.4. პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პარტნიორები. ყოველ პარტნიორს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეუზანება ამონაწერი ამ ოქმიდან. ოქმი ითვლება მიღებულად, თუ მისი გადაგზავნის დღიდან პარტნიორები წერილობით არ გამოხატავენ პროტესტს.

3.5. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს:

- ა) წლიური ანგარიშის შემოწმებისა და მიღების, ასევე ფინანსური შედეგების განაწილების შესახებ;
- ბ) პარტნიორის გარიცხვის შესახებ;
- გ) საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ;
- დ) საწარმოს მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისების შესახებ;
- ე) საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ;
- ვ) ყველა იმ საკითხზე, რომელიც ამ წესდების თანახმად პარტნიორთა კრების განხილვის საგანია.

4. ლიკვიდაცია

საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ პარტნიორები ერთხმად. საზოგადოების ლიკვიდატორები არიან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. ამ წესდებაში ცვლილებები ან დამატებები უნდა განხორციელდეს წერილობით და დამოწმდეს სანოტარო წესით, ეს წესი მოქმედებს ამ ნორმის მიმართაც.

5.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. უფრო ზუსტად, ბათილი განსაზღვრების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

5.3. ამ წესდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს საზოგადოება.

თბილისი, 2002 წლის

კომანდიტური საზოგადოების წესდება

1. საზოგადოება

1.1. ეს საზოგადოება არის კომანდიტური საზოგადოება. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

გენადი ღვინაძე და კომპ. „თბილღვინოს“ თანამშრომელთა კომანდიტური საზოგადოება (შემოკლებით: „გენადი ღვინაძე და კომპ. კს“).

საზოგადოების ადგილსამყოფელი არის თბილისი, ღვინის ქ. N 1.

სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის არასრულ სამეურნეო წელს.

1.2. საზოგადოება წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.3. საზოგადოების საქმიანობის საგანია (საქმიანობის მოკლე აღწერა).

1.4. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

I. საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები):

ა. ღვინაძე გენადი, დაბადებული 1935 წლის 7 თებერვალს, მცხოვრები გლდანის ქ. N 100, მელვინე.

ბ. სოხაძე პავლე, დაბადებული 1957 წლის 10 თებერვალს, წყალტუბოში, მცხოვრები თბილისში, გურამიშვილის ქ. N 10, ინჟინერი.

II. საზოგადოების კომანდიტი:

გურგენიძე ვასო, დაბადებული 1961 წლის 29 თებერვალს, მცხეთაში, მცხოვრები თბილისში, ვანის ქ. N 15, მელვინე.

კომანდიტის საგარანტიო თანხა შეადგენს 1000 ლარს, რომელიც შეიტანება ფულადი სახით.

საზოგადოების ქონება კომპლემენტარებსა და კომანდიტებს შორის განაწილებულია თანაბარ კაპიტალ-წილებად. კაპიტალ-წილები არის მყარი. მათი შეცვლა შეიძლება მხოლოდ საზოგადოების წესდების შეცვლის გზით.

2. პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა

2.1. ამ წესდებიდან გამომდინარე, პარტნიორის მიერ წილის გასხვისება, დაგირაუება ან მისი სხვაგვარი უფლებრივი დატვირთვა დაიშვება მხოლოდ პარტნიორთა წინასწარი წერილობითი თანხმობით.

2.2. ერთ-ერთი პარტნიორის გარდაცვალება არ იწვევს საზოგადოების დაშლას. გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეებს აქვთ მემკვიდრეობის უფლება.

2.3. პარტნიორთა კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორთა გარიცხვის შესახებ.

იმ პარტნიორს, ვისი გარიცხვის საკითხიც იხილება, გადაწყვეტილების მიღებისას არა აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ აქვს დასწრების უფლება. გარიცხვის გადაწყვეტილებასთან ერთად პარტნიორთა კრებას შეუძლია დაადგინოს, რომ შესატანები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს გადაწყვეტილებაში მითითებულ პარტნიორს. სხვა შემთხვევაში წილი მიემატება სხვა პარტნიორებს მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

2.4. საზოგადოებიდან ერთ-ერთი პარტნიორის გასვლის შემთხვევაში (სიკვდილის შედეგად ან გარიცხვით) საზოგადოების საქმიანობას გააგრძელებენ დარჩენილი პარტნიორები მანამდე არსებული საფირმო სახელწოდებით, შესაძლოა ეს მოხდეს ერთ-ერთი ახალი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის მიღებით ან ერთ-ერთი კომანდიტის გარდაქმნით პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორად.

3. პარტნიორთა კრება. გადაწყვეტილების მიღება

3.1. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს წლიური ბალანსის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს პარტნიორთა მორიგი კრება. პარტნიორთა კრების მოწვევა და მისი ხელმძღვანელობა ევალებათ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს. მოწვევის ვადა არის ორი კვირა. მოწვევაში მითითებული უნდა იყოს დღის წესრიგის შესახებ.

გარდა ამისა, პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა უნდა მოიწვიონ რიგგარეშე კრება, თუ ეს საზოგადოების ინტერესებისათვის

აუცილებელია ან ხმების 10 პროცენტზე მეტის მფლობელი პარტნიორები მოითხოვენ ამას კრების მიზნისა და დასაბუთების მითითებით. თუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები ორი კვირის განმავლობაში არ დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას, მაშინ განმცხადებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, განსახილველი საკითხის მითითებით, მოიწვიონ კრება.

3.2. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება პარტნიორთა ნახევარზე მეტი. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

კრების გადაწყვეტილებაუნარიობის შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქნეს მთელი კრება, რომელიც განიხილავს იმავე საკითხებს, რაც პირველ კრებას უნდა განეხილა, და გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მიუხედავად წარმოდგენილი პარტნიორების ოდენობისა. ამის შესახებ მითითებული უნდა იყოს მოსაწვევეში.

3.3. პარტნიორთა გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც წესი, საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობა. თუ პარტნიორებს შორის წილები თანაბრად არის განაწილებული, ყოველი წილი უზრუნველყოფს ერთ ხმას.

3.4. პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები. ყოველ პარტნიორს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, გადაეგზავნება ამონაწერი ამ ოქმიდან. ოქმი ითვლება მიღებულად, თუ მათი გადაგზავნის დღიდან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები წერილობით არ გამოხატავენ პროტესტს.

3.5. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს:

ა) წლიური ანგარიშის შემოწმებისა და მიღების, ასევე ფინანსური შედეგების განაწილების შესახებ;

ბ) პარტნიორის გარიცხვის შესახებ;

გ) საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ;

დ) საწარმოს მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისების შესახებ;

ე) საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) ყველა იმ საკითხზე, რომელიც ამ წესდების თანახმად პარტნიორთა კრების განხილვის საგანია.

4. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობისა და საზოგადოების წარმომადგენლობის უფლება აქვთ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს მხოლოდ ერთობლივად. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების რაოდენობა შეადგენს მინიმუმ ერთს და მაქსიმუმ სამს.

4.2. პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს.

5. წლიური ანგარიში. პარტნიორთა ანგარიშები და შედეგების განაწილება

5.1. წლიური ანგარიში (ბალანსი; მოგება-ზარალის ანგარიში) უნდა შედგეს პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში და არაუგვიანეს ორი კვირისა პარტნიორთა წლიური კრების ჩატარებამდე უნდა გაეგზავნოთ კომანდიტებს. წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პარტნიორები პარტნიორთა მორიგ კრებაზე.

5.2. პარტნიორები მათ კუთვნილ წილ-მოგებას იღებენ, როგორც ნაღდი ფულით, ასევე ამ მიზნით მათთვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე.

5.3. პარტნიორები მოგებასა და ზარალში მონაწილეობენ მათი მყარი წილ-კაპიტალის პროპორციულად, თუ პარტნიორთა კრება სხვა რამეს არ დაადგენს.

6. პარტნიორის კომპენსაცია

თუ ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარტნიორი გაირიცხება, მაშინ იგი მიიღებს თავისი წილის ეკვივალენტს წილის საბალანსო ღირებულებით.

7. ლიკვიდაცია

საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ პარტნიორები ერთხმად. საზოგადოების ლიკვიდატორები არიან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ამ წესდებაში ცვლილებები ან დამატებები უნდა განხორციელდეს წერილობით და დამოწმდეს სანოტარო წესით; ეს წესი მოქმედებს ამ ნორმის მიმართაც.

8.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. ბათილი განსაზღვრების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

8.3. ამ წესდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს საზოგადოება.

თბილისი, 2002 წლის

პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები:

ლვინაძე გენადი

სოხაძე პავლე

კომანდიტი:

გურგენიძე ვასო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფესდება

სააქციო საზოგადოება „თუთარჩელასა“ და შპს „თამასუქს“ შორის 1996 წლის 20 მაისს დადებული წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აისი“.

1. საზოგადოება

1.1. ეს საზოგადოება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

„აისი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საზოგადოების ადგილსამყოფელი არის ქალაქი ქუთაისი, ახვლედიანის ქ. N 100.

სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. წელი საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.3. საზოგადოება წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.4. საზოგადოების საქმიანობის საგანია უალკოჰოლო სასმელების დამზადება და მათი რეალიზაცია.

საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს, და მიიღოს მონაწილეობა იგივე ან მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებებში.

1.5. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 000 (ათი ათას) ლარს.

კაპიტალი შეიტანება ფულადი სახით.

იგი ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) სააქციო საზოგადოება „თუთარჩელა“ (რეგისტრირებული ქ. ქუთაისის სასამართლოში 1996 წლის 11 ნოემბერს N 5/23, წარმოდგენილი დირექტორის სახით) შესატანი 4900 ლარი, საწესდებო კაპიტალის – 49%.

ბ) შპს „თამასუქი“, შესატანი 5100 ლარი, საწესდებო კაპიტალის – 51%.

საწესდებო კაპიტალი შეიტანება პარტნიორების მიერ განსაზღვრულ, საქართველოში მდებარე ერთ-ერთ ბანკში ნოტარიუსის მიერ დამფუძნებელი დოკუმენტების დამოწმებიდან ხუთი დღის ვადაში.

2. პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა

2.1. საზოგადოებისა და პარტნიორთა ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვის მიზნით პარტნიორები თანხმდებიან, რომ:

ა) არც ერთი პარტნიორი არ გაასხვისებს, დააგირავეს, მინდობილ საკუთრებად არ გადასცემს სხვა პირს ან სხვაგვარად არ დატვირთავს თავის წილს ან ამ წილის ნაწილს მეორე პარტნიორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

ბ) არც ერთი პარტნიორი მეორე პარტნიორის გარეშე წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაასხვისებს, დააგირავეს, მინდობილ საკუთრებად გადასცემს სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთავს საზოგადოების უძრავ ქონებას ან იმ ქონებას, რომელიც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს;

გ) ერთ-ერთი პარტნიორის მიერ თავისი წილის ან წილის ნაწილის გასხვისების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს მეორე პარტნიორს.

2.2. გარდა ამისა, პარტნიორებს ეკისრებათ შემდეგი ვალდებულებები:

ა) სააქციო საზოგადოება „აისი“ ახალი შპს-ს კაპიტალში დებს ქუთაისში, ნინოშვილის ქ. N 3-ში მდებარე ლიზინათის ქარხანას მთელი აქტივებით (ნუსხა იხილეთ ამ წესდების დანართში);

ბ) შპს „თამასუქი“ საზოგადოებას:

– მიაწვდის 1997 წლის 30 ნოემბრამდე და დაამონტაჟებს უაღკოპოლო სასმელების ჩამომსხმელ მოწყობილობას (ერთი მილიონი ლარის ღირებულების);

2.3. თუ პარტნიორები არ შეასრულებენ წესდების 2.2 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს, ეს ჩაითვლება საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძვლად და მხარეებს დაუბრუნდებათ ის, რაც მათ ჩადეს საზოგა-

დოებაში. ამ საფუძვლით გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ მიიღება სამედიატორო სასამართლოს მიერ, რომელიც ინიშნება ამ წესდების § 8-ის მიხედვით.

3. პარტნიორთა კრება

3.1. პარტნიორთა კრება ტარდება საზოგადოების ადგილსამყოფელზე. პარტნიორებისათვის წლიური ანგარიშის გადაგზავნიდან სამი თვის ვადაში ტარდება პარტნიორთა მორიგი კრება. მას იწვევენ დირექტორები დაზღვეული წერილის, ფაქსის ან ტელეგრაფის მეშვეობით ოთხი კვირის ვადაში განსახილველი დღის წესრიგით მითითებით.

3.2. დირექტორები ვალდებული არიან მოიწვიონ პარტნიორთა რიგგარეშე კრება, თუ საზოგადოების ინტერესები მოითხოვს ან საზოგადოების წილთა, სულ ცოტა, 10 პროცენტის მფლობელი პარტნიორები კრების მიზნის მითითებით და შესაბამისი დასაბუთებით მოითხოვენ მის მოწვევას. თუ დირექტორები ექვსი კვირის ვადაში არ დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას, პარტნიორებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მოიწვიონ კრება § 3.1-ში დასახელებული ფორმით და ვადაში.

3.3. საზოგადოების კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალის 51%. თუ პარტნიორთა კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, ორი კვირის ვადაში მოწვეულ უნდა იქნეს მეორე კრება იმავე დღის წესრიგით ეს კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მიუხედავად მასში წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალისა; ამის შესახებ მითითებული უნდა იყოს მოსაწვევეში.

3.4. თუ ეს წესდება ან კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ან წარმოდგენილი პარტნიორების ხმათა უბრალო უმრავლესობით. კაპიტალში მონაწილეობის ყოველი 1% უდრის ერთ ხმას.

3.5. ყოველი პარტნიორი შეიძლება წერილობითი მინდობილობის საფუძველზე პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი იყოს სხვა პარტნიორით.

3.6. გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს მიმოწერის გზით, ასევე ზეპირად და ტელეფონით, თუკი ამ ორი უკანასკნელი შემთხვევი-

სათვის წერილობითი თანხმობა წინასწარ გამზადებულია. თუ რომელიმე პარტნიორი არ ეთანხმება ამ პროცედურას, მაშინ უნდა ჩატარდეს პარტნიორთა რიგგარეშე კრება.

3.7. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების და მონაწილეთა განსაკუთრებული აზრის გამო დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და ეგზავნება ყველა პარტნიორს.

3.8. პარტნიორთა კრების კომპეტენციას შეადგენს:

ა). წლიური ანგარიშის შემოწმება და მიღება. ასევე სამეურნეო შედეგების განაწილება;

ბ) ღირეპტორების დანიშვნა, გამოწვევა და მათი ანგარიშების დამტკიცება;

გ) ღირეპტორებთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და დამთავრება;

დ) იმ დამატებითი მოთხოვნების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს ღირეპტორების ან მათი მოადგილეების მიმართ, აგრეთვე წარმომადგენლის დანიშვნა პროცესის საწარმოებლად, თუ არ შეიძლება, რომ საზოგადოება წარმოდგენილი იყოს ღირეპტორებით;

ე) პარტნიორების გარიცხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას;

ვ) საზოგადოების წესდების შეცვლა, განსაკუთრებით, საზოგადოების მიზნების გაფართოება ან კაპიტალის შემცირება ანდა გაზრდა;

ზ) საზოგადოების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება;

თ) კანონით ან წესდებით პარტნიორთა კრებისათვის დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

გადაწყვეტილებები 3.8 მუხლისა ა, ვ, ზ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება ერთხმად.

3.9. ყოველ პარტნიორს შეუძლია, თუ კანონით ეს დასაშვებია, საკუთარ საქმეებშიც გამოიყენოს თავისი ხმის უფლება.

4. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ დირექტორებს, რომელთა რაოდენობა შეადგენს სამს და ისინი ინიშნებიან პარტნიორთა კრების მიერ.

4.2. მმართველობის მიმდინარე საქმეების შესრულება ეკისრებათ დირექტორებს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. სხვა შემთხვევებში საჭიროა პარტნიორთა კრების წინასწარი გადაწყვეტილება. მათ მიეკუთვნება შემდეგი საქმეები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სხვა საზოგადოებებში მონაწილეობა, ასევე ფილიალების დაარსება და მათი დახურვა;

გ) გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარება 12 თვეზე მეტი ვადით ან საფინანსო ვალდებულებების აღება ბიუჯეტის 10%-ზე მეტი თანხით;

დ) წლიური ბიუჯეტის შედგენა; ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს ასევე გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს;

ე) დადგენილი წლიური ბიუჯეტის 15%-ზე მეტი გადახრები დაფინანსების, ხარჯების და ინვესტიციების სფეროში;

ვ) სავაჭრო მინდობილობებისა და პროკურების გაცემა და გაუქმება;

ზ) სხვა საქმეები, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და უტოლდებიან ზემოჩამოთვლილ საქმეებს.

4.3. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია მიიღოს შინაგანაწესი დირექტორებისათვის, რომელშიც დაწვრილებით იქნება მათი კომპეტენცია განსაზღვრული.

4.4. დირექტორები წარუდგენენ პარტნიორთა კრებას ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ და მომავალში ხელმძღვანელობის სხვა პრინციპულ საკითხებზე (წელიწადში სულ ცოტა ერთხელ მაინც);

ბ) საზოგადოების რენტაბელობის შესახებ პარტნიორთა ყოველ კრებაზე, რომელზეც იხილება წლიური ანგარიშის საკითხები;

გ) საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, ბრუნვისა და

საზოგადოების მდგომარეობის შესახებ (ყოველკვარტალურად);

დ) იმ საქმეების შესახებ, რომელთაც საზოგადოების რენტაბელობის ან ლიკვიდურობისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

გარდა ამისა, პარტნიორთა კრებას უნდა ეცნობოს სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.

5. წლიური ანგარიში და შედეგების განაწილება

5.1. წლიურ ანგარიშს ადგენენ დირექტორები. წლიური ანგარიში დგება სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში და ეგზავნება პარტნიორებს.

5.2. პარტნიორთა კრება წლიური ანგარიშის გადაგზავნის შემდეგ მოწვეულ კრებაზე ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და შედეგების განაწილებას.

6. პარტნიორის კომპენსაცია

6.1. თუ საზოგადოებიდან გადის ერთ-ერთი პარტნიორი, მაშინ კომპენსაციის მოთხოვნის სიდიდე განისაზღვრება შესაბამისი წილის საბალანსო ღირებულებით.

თუ პარტნიორები ვერ შეთანხმდებიან კომპენსაციის სიდიდეზე, მხარეები ნიშნავენ მედიატორებს მათი ინტერესების დასაცავად. ისინი ერთობლივად ადგენენ კომპენსაციის ოდენობას.

6.2. საზოგადოებიდან ერთ-ერთი პარტნიორის გასვლის ყველა შემთხვევაში კომპენსაციის გამოთვლის საფუძველი არის ბოლო წლის ბალანსი. თუ პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან ემთხვევა სამეურნეო წლის დასასრულს, მაშინ კომპენსაციის გადახდის საფუძველი არის ამ მომენტისათვის შედგენილი წლიური ბალანსი. გამსვლელი პარტნიორის მოთხოვნა კომპენსაციაზე უნდა დაკმაყოფილდეს გასვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში ოთხ თანაბარ კვარტალურ ნაწილად.

7. საზოგადოების ლიკვიდაცია

7.1. საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება, თუ ამას გადაწყვეტენ კაპიტალის სამოცდათხუთმეტი პროცენტის მქონე პარტნიორები.

7.2. საზოგადოების ლიკვიდაციას აწარმოებენ ღირექტორები ერთობლივი ხელმოწერით. ერთ-ერთი პარტნიორის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, ლიკვიდატორები შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

7.3. ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის.

7.4. ლიკვიდატორებმა უნდა დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავლიანება არ გამომდინარეობს. დავლიანების დადგენისთანავე ისინი მოვალენი არიან ამის თაობაზე აცნობონ სასამართლოს, რომელმაც უნდა აღძრას საგაკოტრებო საქმე.

7.5. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ, ნაწილდება პარტნიორებს შორის, პარტნიორებს უბრუნდებათ ის ქონება, რაც მათ ჩადეს საზოგადოებაში მისი დაარსებისას იმ სახით, რა სახითაც ის არსებობს ლიკვიდაციის მომენტში. დანარჩენი ქონება ნაწილდება კაპიტალში პარტნიორთა წილის შესაბამისად.

8. სამედიატორო შეთანხმება

პარტნიორებს შორის, ასევე პარტნიორებსა და საზოგადოების ორგანოებს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში პარტნიორები ნიშნავენ ორ-ორ მედიატორს. თუ პარტნიორები არ ეთანხმებიან ამ მედიატორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაშინ ეს მედიატორები

თვითონ ნიშნავენ თითო მედიატორს, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა მხარეებისათვის.

9. დასკვნითი დებულებები

თუ ამ წესდების რომელიმე განსაზღვრება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე, უფრო ზუსტად, ბათილი განსაზღვრების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

**მართი პირის მიერ დაფუძნებული შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოების
ფ ე ს დ ე ბ ა**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 44-ე მუხლის თანახმად, მე, ივანე ღვინიაშვილი, ვაფუძნებ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

I. საზოგადოება

1.1. ეს საზოგადოება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი საფირმო სახელწოდებაა „ოჯახური“ შპს.

საზოგადოების ადგილსამყოფელია თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N 1.

1.2. საზოგადოების სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.3. საზოგადოება წარმოიშობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.4. საზოგადოების საქმიანობის საგანია საზოგადოებრივი კვების ობიექტების დაფუძნება და მათი ექსპლუატაცია. ასევე მონაწილეობა და წილთა მართვა სხვა საზოგადოებებში. გარდა ამისა, საზოგადოება უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს.

1.5. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს. იგი შეიტანება ნაღდი ფულით წესდების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში.

საზოგადოების წილთა 100% პროცენტის მფლობელი არის ივანე ღვინიაშვილი, დაბადებული 1941 წლის 22 ივნისს, ქალაქ სიღნაღში, პროფესიით ეკონომისტი, საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. N 201.

2. პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა

ვიდრე წილთა 100% საზოგადოებაში ეკუთვნის ივანე ღვინიაშვილს, საზოგადოების კრების ფუნქციებს ახორციელებს იგი ერთპიროვნულად.

3. საზოგადოების კრება

3.1. კრების გადაწყვეტილებების გამო ღებვა ოქმი.

3.2. კრების კომპეტენციას შეადგენს:

ა) წლიური ანგარიშის შემოწმება და მიღება, ასევე სამეურნეო შედეგების განაწილება;

ბ) დირექტორების დანიშვნა, გამოწვევა და მათი ანგარიშის დამტკიცება;

გ) დირექტორებთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;

დ) იმ დამატებითი მოთხოვნების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დირექტორების ან მათი მოადგილეების მიმართ, აგრეთვე წარმომადგენლის დანიშვნა პროცესის საწარმოებლად;

ე) პარტნიორების გარიცხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას;

ვ) საზოგადოების წესდების შეცვლა, განსაკუთრებით, საზოგადოების მიზნების გაფართოება ან კაპიტალის შემცირება ანდა გაზრდა;

ზ) საზოგადოების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება;

თ) კანონით ან წესდებით პარტნიორთა კრებისათვის დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

4. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების დირექტორი არის ივანე ღვინიაშვილი. იგი უფლებამოსილია საზოგადოება წარმოადგინოს ერთპიროვნულად.

გარდა ამისა, საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე დირექტორი. თუ დანიშნულია ერთი დირექტორი, მაშინ საზოგადოებას წარმოადგენს იგი ერთპიროვნულად. თუ დანიშნულია მეტი დირექტორი,

საზოგადოება წარმოდგენილი იქნება ორი დირექტორით ერთობლივად ან ერთი დირექტორით პროკურისტთან ერთად.

5. წლიური ანგარიში და შედეგები განაწილება

წლიურ ანგარიშს ადგენს დირექტორი.

6. დასკვნითი ღებულებები

თუ ამ წესდების რომელიმე ღებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე. უფრო ზუსტად, ბათილი ღებულების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონისმიერი ღებულებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ, იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

ივანე ლვინიაშვილი

სააქციო საზოგადოების წესდება

1. საფირმო სახელწოდება, ადგილსამყოფელი, სამეურნეო წელი

1.1. წინამდებარე საზოგადოება არის სააქციო საზოგადოება. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

„.....“ სააქციო საზოგადოება

1.2. საზოგადოების ადგილსამყოფელია თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 105, საქართველო.

1.3. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს. საზოგადოების არსებობის ვადა განუსაზღვრელია.

2. საზოგადოების საქმიანობის საგანი

2.1. საზოგადოების საქმიანობის საგანია

საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს, და მიიღოს მონაწილეობა მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებებში.

3. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20 000 (ოცი ათას) ლარს.

3.2. საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 10 000 (ათი ათას) აქციად, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს ორ ლარს.

3.3. აქციები დამფუძნებელ აქციონერებს შორის გაიცემა შემდეგნაირად:

ა)

ბ)

4. საზოგადოების ორგანოები

საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) დირექტორატი;
- ბ) სამეთვალყურეო საბჭო;
- გ) აქციონერთა კრება.

5. დირექტორატი

5.1. დირექტორატი შედგება... დირექტორისაგან. მათ რაოდენობას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო.

5.2. დირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აგრეთვე ირჩევს დირექტორატის თავმჯდომარეს (გენერალურ დირექტორს).

5.3. თუ დირექტორატი ორი წევრისაგან შედგება, დირექტორატის გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად, თუ დირექტორების რაოდენობა ორზე მეტია, მაშინ გადაწყვეტილების მიღების წესს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო.

5.4. შესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოებას წარმოადგენს ორი დირექტორი ერთობლივად ან ერთი დირექტორი სავაჭრო წარმომადგენელთან (პროკურისტთან) ერთად.

თუ დანიშნულია მხოლოდ ერთი დირექტორი, მაშინ იგი ერთპიროვნულად წარმოადგენს საზოგადოებას. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები სხვაგვარად მოაწესრიგოს.

6. დირექტორატის ამოცანები

დირექტორატი ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას კანონის, წესდების შესაბამისად ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანწესის საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილება, კერძოდ, მათ რიცხვს მიეკუთვნება:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დაგირავება ან სხვაგვარი უფლებრივი დატვირთვა;

ბ) სხვა საზოგადოებებში მონაწილეობა, ასევე ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

გ) თავდებობა ან გარანტიის მიცემა ისეთი მოქმედებებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, ასევე საზოგადოების საკრედიტო მიმართულებების აღება და გაფართოება;

დ) გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარება 12 თვეზე მეტი ვადით ან საფინანსო ვალდებულებების აღება, რომლებიც აღემატება ბიუჯეტის 10%-ს;

ე) წლიური ბიუჯეტის დადგენა;

ვ) დადგენილი წლიური ბიუჯეტის 15%-ზე მეტი გადახრები დაფინანსების, ხარჯებისა და ინვესტიციების სფეროში;

ზ) სავაჭრო მიწდობილობებისა და პროკურების გაცემა და გაუქმება;

თ) სხვა საქმეები, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და უტოლდებიან ზემოჩამოთვლილ საქმეებს.

7. სამეთვალყურეო საბჭო, მისი უფლებამოსილების ვადა, მუშაობის შეწყვეტა

7.1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება აქციონერთა კრების მიერ არჩეული... წევრისაგან.

7.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა, თუ ისინი მოკლე ვადით არ არიან არჩეული, შეადგენს ოთხ წელს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ მხოლოდ ის პირები, რომელთა ასაკი 65 წელს არ აღემატება.

7.3. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილი განცხადებით ოთხკვირიანი ვადის დაცვით უარი თქვას წევრობაზე.

7.4. საარჩევნო ვადის გასვლამდე საბჭოდან სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრის გასვლის შემთხვევაში არა უგვიანეს მორიგი სხდომისა უნდა ჩატარდეს დამატებითი არჩევნები. გასული წევრის მანდატი, რომელიც ახალ არჩეულ წევრს გადაეცემა, ძალაშია მხოლოდ გასული წევრის საარჩევნო ვადის გასვლამდე.

8. სამეთვალყურეო საბჭოს შინაგანაწესი

8.1. სამეთვალყურეო საბჭო არჩეულ წევრთა წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილს. თუ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე უარს იტყვიან თავიანთ საქმიანობაზე, სამეთვალყურეო საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა ჩაატაროს ახალი არჩევნები, რათა დანიშნოს ახალი თავმჯდომარე ან მისი მოადგილე საარჩევნო ვადის დარჩენილი დროისათვის.

8.2. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს იწვევს თავმჯდომარე წერილობით 14 დღით ადრე. ვადის გამოთვლისას წერილის გაგზავნის დღე და სხდომის ჩატარების დღე არ ჩაითვლება ამ ვადაში. საჭიროებისას თავმჯდომარეს შეუძლია ეს ვადები შეამციროს და სხდომა ზეპირად ან სხვაგვარად მოიწვიოს. მოწვევისას შეტყობინებულ უნდა იქნეს დღის წესრიგის საკითხები. სხდომების გარდა, გადაწყვეტილებების მისაღებად დასამუშებია ხმის მიცემა წერილობით, ტელეგრაფით, ფაქსით ან ტელექსით, თუ ყველა წევრი მხარს დაუჭერს თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ ხმის მიცემის წესს ან თვითონ მონაწილეობს ხმის მიცემის ამ პროცედურაში.

8.3. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს, სულ ცოტა, ოთხი წევრი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემულ ხმათა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8.4. თავმჯდომარე უფლებამოსილია, მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები.

8.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა შეიძლება უფლებამოსილება წერილობით მისცეს საბჭოს სხვა წევრს, რათა მან წარმოადგინოს ეს წევრი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე და წერილობით კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა.

8.6. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე. ოქმში აღინიშნება სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, მონაწილეები, დღის წესრიგის საკითხების განხილვის ძირითადი შინაარსი და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება. იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც სხდომაზე არ მიიღება, თავმჯდომარის მიერ დგება ოქმი, ოქმი ხელმოსაწერად დაეგზავნებათ საბჭოს წევრებს დაუყოვნებლივ.

8.7. სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა კრება.

9. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები

9.1. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კანონითა და ამ წესდებით დადგენილი ამოცანების შესრულებაზე. კერძოდ, დირექტორატზე კონტროლის განხორციელებასა და მისთვის დირექტივების მიცემაზე მენ-პუნქტში ჩამოთვლილ საქმეებთან დაკავშირებით.

9.2. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია წესდებაში შეიტანოს მხოლოდ რედაქციული ცვლილებები.

10. საკონსულტაციო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს გარდა შეიძლება ასევე არსებობდეს საკონსულტაციო საბჭო. საკონსულტაციო საბჭო შედგება სულ ცოტა 6 და მაქსიმუმ 15 წევრისაგან, რომლებიც თავიანთი წრიდან ირჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს.

11. აქციონერთა კრების ჩატარების ადგილი, კრების მოწვევა და მასში მონაწილეობის წინაპირობები

11.1. აქციონერთა კრება ტარდება საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით.

11.2. კრებას იწვევს დირექტორატი ან სამეთვალყურეო საბჭო.

11.3. მოსაწვევი გაგზავნილ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი თვისა კრების ჩატარების დღემდე. კრების გახსნისა და ჩატარებს დღე ამ ვადაში არ ჩაითვლება.

11.4. აქციონერები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ კრებაში, თუ ისინი არა უგვიანეს სამი დღისა, კრების დაწყებამდე წერილობით შეატყობინებენ საზოგადოებას თავისი მონაწილეობის შესახებ.

12. კრების თავმჯდომარეობა

12.1. კრების თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. მათი არყოფნის შემთხვევაში მოწვეული ნოტარიუსის ხელმძღვანელობით თავმჯდომარე აირჩევა დამსწრე აქციონერთა რიგებიდან.

12.2. თავმჯდომარე განსაზღვრავს კენჭისყრის ფორმას და უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

13. გადაწყვეტილების მიღება და ხმის უფლება

13.1. თუ კანონით ან წესდებით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, გადაწყვეტილება მიიღება კრების მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

13.1. ყოველი აქცია მე-3 პუნქტის თანახმად, შეიცავს ერთი, ხმის უფლებას, ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა ნომინალური ღირებულების მიხედვით.

13.3. ხმის უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

13.4. აქციონერთა კრების კომპეტენციას შეადგენს:

ა) წლიური ანგარიშის შემოწმება და დამტკიცება, ასევე სამეურნეო შედეგების განაწილება;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა, გამოწვევა და მათ ანგარიშის დამტკიცება;

გ) საზოგადოების წესდების შეცვლა, საზოგადოების საქმიანობის მიზნების გაფართოება ან საწესდებო კაპიტალის შემცირება ანდა გაზრდა (ხმების 3/4-ის უმრავლესობით);

დ) კანონით ან წესდებით აქციონერთა კრებისათვის დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

14. წლიური ანგარიში

14.1. წლიური ანგარიში უნდა შეადგინოს დირექტორატმა კანონით განსაზღვრულ ვადებში და დაუყოვნებოვნად წარუდგინოს იგი საბოლოო შემოწმებისათვის. შემოწმების ანგარიშის შედგენის შემდეგ წლიური

ანგარიში, ანგარიში მდგომარეობის შესახებ, შემოწმების ანგარიში და წინადადება საბალანსო მოგების გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

14.2. დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მათ შეუძლიათ წლიური ანგარიშიდან კანონით დაწესებული რეზერვების შესადგენად საჭირო თანხების გამოკლების შედეგად დარჩენილი თანხა სრულად მიაკუთვნონ თავისუფალ რეზერვებს, სანამ იგი ძირითადი კაპიტალის ნახევარს არ აღემატება.

15. მოგების გამოყენება

15.1. წლიური ანგარიშის შედეგად დადგენილი მოგების გამოყენების შესახებ, წლიური ანგარიშის შემმოწმებლის (მაუდიტორის) არჩევისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა კრება.

15.2. დივიდენდების გადახდა, თუ კრების მიერ სხვა არ არის დადგენილი, წარმოებს კრების დამთავრებიდან 2 თვის განმავლობაში.

15.3. დივიდენდები, რომლებიც დივიდენდების გადახდის დაწყების დღიდან 3 წლის განმავლობაში არ იქნება მათ მფლობელთა მიერ აღებული, მიეკუთვნება საზოგადოების თავისუფალ რეზერვებს.

16. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის... ხმათა უმრავლესობა.

17. დაფუძნების ხარჯები

საზოგადოება იხდის დაფუძნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივის წესდება

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 60.1 მუხლის თანახმად ჩვენ, დავაფუძნეთ კოოპერატივი.

1. საფირმო სახელწოდება, საქმიანობის საგანი

1.1. კოოპერატივის საფირმო სახელწოდებაა „სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივი „.....“

კოოპერატივის ადგილსამყოფელი არის გურჯაანის რაიონი სოფელი ბაკურციხე, გაფრინდაშვილის ქ. N 20.

სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. წელი კოოპერატივის რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.2. კოოპერატივი წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.3. კოოპერატივის საქმიანობის საგანია სოფლის ეურნეობის პროდუქტების, პირველ რიგში, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და მათი რეალიზაცია. გარდა ამისა, კოოპერატივი უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება კოოპერატივის მიზნებს.

1.4. კოოპერატივის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 (ორას) ლარს, რომელიც დამფუძნებელი წევრების მიერ შეიტანება ფულადი სახით.

კაპიტალი ნაწილდება დამფუძნებელ მეპაიეებს შორის შემდეგნაირად:

ა. 50 ლარი,	კაპიტალის 25%;
ბ. 50 ლარი,	კაპიტალის 25%;
გ. 50 ლარი,	კაპიტალის 25%;
დ. 50 ლარი,	კაპიტალის 25%.

1.5. შესატანის ნახევარი დამფუძნებელ მეპაიეებს შეაქვთ წესდების ხელმოწერიდან და მისი სანოტარო წესით დადასტურებიდან ათი დღის

ვადაში. დანარჩენი ორმოცდაათი პროცენტი შეაქვთ სამეურნეო წლის ბოლომდე.

კოოპერატივის წევრის მინიმალურის პაის ოდენობა შეადგენს ორმოცდაათ ლარს.

2. წევრად მიღება

2.1. კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ კოოპერატივში წევრად მისაღებად აუცილებელია შესვლის მსურველი პირის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე.

2.2. მსურველი პირის მიღების შემთხვევაში კოოპერატივის გამგეობამ უნდა შეატყობინოს სამეწარმეო რეესტრს კოოპერატივის წევრთა სიაში კოოპერატივის ახალი წევრის ჩაწერის მიზნით. წევრობა წარმოიშობა რეესტრში კოოპერატივის წევრად რეგისტრაციის მომენტიდან.

განცხადება უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ ახალი წევრი კანონისა და წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის).

3. წევრის გასვლა კოოპერატივიდან

3.1. ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება. გასვლს დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს. განცხადება გასვლის შესახებ უნდა გაკეთდეს წერილობით სულ ცოტა სამი თვით ადრე გასვლამდე.

3.2. კოოპერატივიდან გასვლა ფორმდება წერილობით.

3.3. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან სხვა კოოპერატივში წევრობის გამო, თუ ეს კოოპერატივი იმავე სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს და იმავე სახის საქმიანბას ეწევა. გარიცხვა ხდება სამეურნეო წლის ბოლოს გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე. წესდებით შეიძლება განისაზღვროს კოოპერატივიდან გარიცხვის სხვა საფუძველებიც.

3.4. გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება ბალანსის

საფუძველზე გასვლის დღისათვის. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის მანძილზე, მაშინ საფუძვლად აიღება ბოლო ბალანსი. კოოპერატივის წევრის აქტრები უნდა ანაზღაურდეს გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

3.5. კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს, სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე. პაის გასხვისებისათვის აუცილებელია კოოპერატივის სხვა წევრების თანხმობა.

პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

4. პაის გადასვლა მემკვიდრეობით

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელონ ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით.

5. საერთო კრება

5.1. კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეებთან დაკავშირებით ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

5.2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო დიდი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდება შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი.

5.3. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამდენიმე ხმის უფლების მიცემას. იგი უნდა დაუწესდეს მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივების საქმიანობის განვითარებას. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს საერთო კრება. სამ ხმაზე მეტი უფლების მიცემა დაუშვებელია.

5.4. წევრმა პირადად უნდა განახორციელოს თავისი ხმის უფლება. ქმედუნარიო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას განახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებათა ხმის უფლებას ახორციელებს წარმომადგენლობაზე საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5.5. არავის არა აქვს უფლება თავისთვის ან სხვა პირისათვის განახორციელოს ხმის უფლება, თუ არსებობს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსმენილი იქნეს მისი ან მისი წარმომადგენლის ანგარიში ან უნდა გათავისუფლდნენ ვალდებულებებისაგან, ან რომ კოოპერატივმა პრეტენზიები უნდა წამოაყენოს მისი ან შეცვლილი წევრის მიმართ.

5.6. საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილნი.

საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონში სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეულ უნდა იქნეს სულ ცოტა ერთხელ მაინც წელიწადში.

5.7. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა მესამედი მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით.

თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც აქვს კოოპერატივის იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა, კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

5.8. საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა სამი კვირის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებით ან მეპაიეთათვის სხვაგვარად შეტყობინებით.

საერთო კრების დღის წესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ ცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე საგანგებო საერთო კრების მოწვევის შესახებ.

5.9. საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ.

ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და გამგეობის ის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ კრებას და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები.

ყოველ წევრს უნდა მიეცეს უფლება გაეცნოს საოქმო ჩანაწერს. ოქმი უნდა ინახებოდეს კოოპერატივში და ეცნობოს სამეწარმეო რეესტრს.

5.10. საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღბს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების შესახებ, ან წლიური დანაკლისის დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

წლიური ბალანსი, მოხსენება მდგომარეობის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე გამოკრულ უნდა იქნეს სულ ცოტა ერთი კვირით ადრე კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა რომელიმე ადგილას, რათა წევრებს შეეძლოთ გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის მსახველი მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

5.11. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

ქვემოთ მოცემული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისბრაში მონაწილე ხმების უბრალო უმრავლესობა (თუ წესდებაში სხვა რამ არ იქნება მითითებული):

- ა. საქმიანობის საგნის შეცვლა;
- ბ. პაის გაზრდა;
- გ. გამგეობის არჩევა;
- დ. დამატებითი შესატანის დაწესება;

- ე. საპენსიო და სხვა სოციალური დახმარების ფონდების შექმნა;
- ვ. პაის დაყოფა.

6. სამეთვალყურეო საბჭო

6.1. კოოპერატივს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საერთო კრების მიერ დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული 3 წევრისაგან.

საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო.

კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. გადაწყვეტილებას სჭირდება დამსწრე მეპაიეთა ხმების სამი მეოთხედი.

6.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები.

გამგეობიდან გასული წევრები, მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში.

6.3. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას მისი საქმეების წარმოებაში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ; მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის ანგარიში და წინადადებები წლიური მოგების განაწილების შესახებ, შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დადგენამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოიწვიოს საერთო კრება, თუ ეს აუცილებელია კოოპერატივის ინტერესებისათვის.

საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

6.4. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, წარმოადგინოს კოოპ-

ერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს.

7. გამგეობა, დირექტორები

7.1. კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისგან (გამგეობის წევრები). დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები.

7.2. დირექტორები აირჩევიან 4 სამეურნეო წლის ვადით პატივსაცემი საფუძვლების არსებობისას ისინი შეიძლება გადარჩეულ იქნენ ვადაძლე.

8. წლიური ანგარიში

კოოპერატივის წლიური ანგარიში მტკიცდება საერთო კრებაზე.

9. მოგებისა და ზარალის განაწილება

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს, განაწილება ხდება მათ მიერ შესრულებული შენატანების პროპორციულად.

საერთო კრების გადაწყვეტილებით მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება დაერიცხოს რეზერვებს.

ლიტერატურა

ალავიძე თენგიზ, სამეწარმეო ურთიერთობების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების მაგალითზე, უ. „სამართალი“, №6-7, 2000, გვ. 123.

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი. თბ., 1999.

ბარბაქაძე გიორგი, საწარმოს დაარსების თეორია და პრაქტიკა, საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრი, ბიულეტენი №22, 1999, გვ. 42.

ბახუტაშვილი გელა, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ., 2000, გვ. 117-126.

ბერიშვილი გიორგი, კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ., 2000, გვ. 201-204.

გენეტაძე ნინო, მამულაშვილი გოჩა, პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. თბ., 2000.

ზამბახიძე თამარ, ტრასტები ოფშორულ ზონაში, უ. „სამართალი“ №6-7, 2000, გვ.52-57.

ზამბახიძე თამარ, კომერციული ბანკებისათვის მინდობილი ქონების მართვის სამართლებრივი ასპექტები, უ. „სამართალი“ №4-5, 2000, გვ. 50-63.

ზარნაძე ეკა, ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია, უ. „სამართალი“ №8-9, 2000, გვ. 43-54.

ზემლერი იოჰანეს, სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოებების იერარქიაში. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ., 2000. გვ. 43-54.

ზომე ბესარიონ, სანივთო სამართალი, თბ., 1999.

ზომე ბესარიონ, აქცია და სააქციო საკუთრების ცნება. შ. „ცხოვრება და სამართალი“, თბ., 1998 წ. №3, გვ. 5-11.

კახაძე მაცვალა, წარმომადგენლობისა და მინდობილობის ინსტიტუტის თავისებურებანი. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994, გვ. 256-261.

კახნიაშვილი აეთანდილ, მეწარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (Tacis), ქართული სამართლის მიმოხილვა“, მეოთხე კვარტალი, 1999, გვ. 115.

კნიპერი როლფ, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ., 2000. გვ. 117-126.

კნიპერი როლფ, კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეფციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში. კრ. „სამართლის რეფორმა საქართველოში“. თბ., 1994, გვ. 176-191.

კნიპერი როლფ, საკუთრების პრობლემები გარდამავალ საზოგადოებაში. „გივი ინსტიტუტი 70“. საიუბილეო კრებული. თბ., 1996, გვ. 118-124.

კობახიძე აეთანდილ, სამოქალაქო სამართალი. I. ზოგადი ნაწილი, თბ., 2001.

კორტავა ირაკლი, სამეთვალყურეო საბჭოს როლი ქართული სააქციო საზოგადოების კორპორაციულ მართვაში. კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ., 2000, გვ. 65-72.

ლაზარაშვილი ლალი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ბუნება, საქართველოს უზენაესი სასამართლო შ. „მართლმსაჯულების მაცნე“ 1, 1998, გვ. 124.

ლაზარაშვილი ლალი, პარტნიორთა გარიცხვა სამეწარმეო საზოგადოებიდან, ჟ. „ეკონომიკა“ №8-10, 1997, გვ. 106-111.

ლაზარაშვილი ლალი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სამართლებრივი მოწესრიგება), ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.

ლაზარაშვილი ლალი, ცვლილებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობაში, ჟ. „ეკონომიკა“ №8-10, 1997 გვ. 106-111

ლაზარაშვილი ლალი, პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ №3, 1997, გვ. 35

ლაზარაშვილი ლალი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო რეგულირების ისტორია ქართული კანონმდებლობის მიხედვით. ჟ. „ალმანახი“ №5, 1998.

ლეკვეიშვილი მზია, მამულაშვილი გოჩა, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის. კომენტარი. თბ., 1999.

ლილუაშვილი გია, სამეწარმეო სამართლის ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში, სამოსამართლო სწავლების ცენტრის საინფორმაციო გამოშვება №3, Tacis 2000, გვ. 5.

ლილუაშვილი თენგიზ, გაკოტრების საქმის წარმოება საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სამოსამართლო სწავლების ცენტრის საინფორმაციო გამოშვება Tacis, პირველი კვარტალი, 1998, გვ.35-41.

ლილუაშვილი თენგიზ, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2001.

ლუთერი მარკუს, კორპორაციული მართვა (Corporate Governance) გერმანიასა და აშშ-ში. კრებულში „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი. გვ. 21-32

მემარნიშვილი მერაბ, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოების შესახებ“ კანონის მიხედვით, კრ. „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემების საქართველოში“ თბ. 2000. გვ. 127-130.

მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2001 წ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ღებარტაქენტი.

მიგრიაული როინ, გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე ქ. „ალმანახი“ №5, 1998.

მიგრიაული როინ, შპს-ს სამართლებრივი მდგომარეობა ქართული სამართლის მიხედვით, ქ. „საქართველოს ნოტარიატი“ №2 გვ. 54-59,

მიგრიაული როინ, შესავალი გაკოტრების სამართალში. პირველი გამოცემა. 1999.

ქოქრაშვილი ქეთევან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თანამედროვე სამართალში. შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999

ქოქრაშვილი ქეთევან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ქ. „მართლმსაჯულების მაცნე“, №1, 1998, გვ. 31

ქოქრაშვილი ქეთევან, სამეწარმეო სამართლის ცნების პრობლემა, ქ. „სამართალი“, №6-7, 2000, გვ. 62-65.

ქოქრაშვილი ქეთევან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ქ. „მართლმსაჯულების მაცნე“, №4, 1997, გვ. 34.

ქოქრაშვილი ქეთევან, სამეწარმეო სამართლის შესავალი. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2001.

შარაძე ნინო, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

რაიონულ სასამართლოებში საწარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკა, უ. „სამართალი“ №3-4, 1997, გვ. 9.

შენგელია ეკა, “სააქციო საზოგადოება როგორც იურიდიულ პირი და აქციონერთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი” უ. „სამართალი“, №1-2, 1996, გვ. 48.

შენგელია ეკა, სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდცია. უ. „სამართალი“, №7-8, 1998.

შენგელია ეკა, სააქციო საზოგადოების დირექტორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. უ. „სამართალი“, №3, 2000.

შენგელია ეკა, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 1999.

შენგელია ეკა, სააქციო საზოგადოების ორგანიზაცია და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002.

შენგელია რომან, საოჯახო სამართალი, თბ. 1999.

ჩიკვაშვილი შალვა, მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2000.

ცისკაძე მარიამ, სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი. „სერგო ჯორბენაძე 70“ საიუბილეო კრებული. თბ., 1996. გვ. 379-386.

ცოფურაშვილი მათა, კომერციული ბანკი – ფუნქციები და მნიშვნელობა, უ. „ალმანახი“ №11, 1999.

ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2000 წ.

ძამუკაშვილი დავით, ჯორბენაძე სანდრო, საწარმო-კომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ). „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, თბ., 2001, გვ. 209-215.

ძიბიგური დავით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების

რეგულირების სამართლებრივი პრობლემები. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1997.

ძიძიგური დავით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი. თბ. 1997.

ძიძიგური დავით, სასამართლო ორგანოების მონაწილეობა სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაციაში. ჟ. "სამართალი" №3-4. თბ. 1997.

ძიძიგური დავით, სამეწარმეო სუბიექტთა რეგისტრაციის სამართლებრივი ასპექტები, ჟ. მართლმსაჯულების მაცნე, №1, 1997.

ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., 1997.

ჭანტურია ლადო, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, სერგო ჯორბენაძე 70" საიუბილეო კრებული. თბ., 1996, გვ. 32-55.

ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბ., 1998.

ჭანტურია ლადო, საკორპორაციო სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, თბ., 2000, გვ. 225-263.

ჯანხოთელი შორენა, ფილიალები და წარმომადგენლობა, გაზეთი „ბიზნეს-კურიერი“ №9(94), 1999, 20-27 აგვისტო.

ჯანხოთელი შორენა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი კითხვა-პასუხებში, თბ., 2001.

ჯორბენაძე სერგო, წინასიტყვაობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მრავალენოვანი გამოცემისათვის. თბ., 1995, გვ 5-7.

ჯორბენაძე სანდრო, სასაქონლო ნიშნის დეფინიციისათვის, ჟ. "სამართალი" №1-2, 2001, გვ. 27.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი.

37. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი

მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 1999.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე. მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 1999.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I და II. მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, მთ. რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბ., 2000.

Baumbach, Adolf/Hueck, Alfred, Aktiengesetz, 13. Aufl. 1968, ergänzt 1970.

Brox, Hans, Allgemeiner Teil des BGB, 15. Aufl.

Charlesworth & Morse. Company Law. Fifteenth Edition. Geoffrey Morse. 1999.

GeBler, Ernst/Hefermehl, Wolfgang/Eckhard, Ulrich/Kropff, Bruno, Aktiengesetz. Kommentar, 1973 ff.

Grunewald, Barbara, Gesellschaftsrecht. 2. Aufl. Tübingen: Mohr, 1996.

Hüffer, Uwe: Aktiengesetz. 3. Aufl. 1997; 4. Aufl. 1999.

Kölner Kommentar zum Aktiengesetz, 2. Aufl. 1986 ff.

Krieger, Personalentscheidungen des Aufsichtsrats, 1981.

Kropf, Bruno / Semler, Johannes, Münchener Kommentar zum Aktiengesetz, Bd. 1, 7, 8, 2000.

Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. – 15. Aufl. 2000.

Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. Band. 1: BGB-Gesellschaft, OHG, Partnerschaftsgesellschaft, Partenreederei, EWIV/ hrsg. Riegger/ Weipert. München: Beck (MünchHdb.GesR I)

Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. Band. 2. Kommanditgesellschaft (KG), Stille Gesellschaft (StG)/hrsg. Riegger/ Weipert. . München: Beck (MünchHdb.GesR II).

Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. Band. 3. Gesellschaft mit beschränkter Haftung./ hrsg. von Hans-Joachim Priester; Dieter Meyer. München: Beck. (MünchHdb.GesR III)

Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. Band. 4. Aktiengesellschaft. /hrsg. Hoffmann-Becking. München: Beck. (MünchHdb. GesR IV).

Raiser, Thomas, Recht der Kapitalgesellschaften, 2. Aufl. 1992.

Scholz u.a., Kommentar zum GmbH-Gesetz, 8. Aufl. 1992/1995.

Schmidt, Karsten, Handelsrecht. 5. Aufl. 1999.

Semler, Johannes (Hrsg.), Arbeitshandbuch für Aufsichtsratsmitglieder, 1999.

Semler, Johannes, (Hrsg.), Arbeitshandbuch für die Hauptversammlung, 1999.

The Journal of Corporation Law, Volume 24, Number 2, Winter 1999

Гражданское и торговое право капиталистических государств часть I. М. 1983 с.191

შპს "მედიკალიზაცია"

ტექ. რედაქტორი რ. ჭანტუაშვილი
კორექტორი ი. ნაპროვანაძე

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 36.5
საბეჭდი ქაღალდი, ოფსეტი № 1 60X90, $\frac{1}{16}$
ბეჭდვა ოფსეტური

შეკვეთა №77 ტირაჟი 1500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“
გრ. რობაქიძის ქ. №7*